ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ბერულავა, ზ. ხოჯავა

ფსიქოლოგიის ცნება - ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

რედაქტორი ვ. კაკაბაძე

გამომცემლობა „განათლება"
გამოიცემა „ლეგარი"
თბილისი, 1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

88 ფ
ბ641

ფსიქოლოგიის ენება - ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის შედგენა ჭარბიელად მიზნად ისახავს „ზოგადი ფსიქოლოგიისა“ და „განწყობის თეორიის“ შესატყვის ენება-ტერმინთა განმარტებას, შესატყვისი თეორიების ჩამოყალიბებას და მათი ადგილის ჩვენებას სხვა თეორიათა შორის. ასევე, ფსიქოლოგიური მეცნიერების ჭარბიელი მიმართულების „განწყობის თეორიის“ მაღალგანვითარებული ლექსიკონის წარმოჩენას.

ლექსიკონში განმარტებულია დაახლოებით 1000 ენება-ტერმინი. ფსიქოლოგიის საკუთარ დარგებრივ ენება - ტერმინთა გარდა, მასში შესულია ავრეთვე ზოგი ტერმინი ფსიქოლოგიის მისაზღვრე მეცნიერებიდან (ფილოსოფია, ფიზიოლოგია, ფსიქიატრია და სხვ.)

ნაშრომი განკუთვნილია ფსიქოლოგ-სპეციალისტების, პედაგოგებისა და საერთოდ, ფსიქოლოგიით დაინტერესებულთათვის.

რეცენზენტები: პროფ. ვ. ნოსაკაძე
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ა. ჯოხოლავა

ISBN 4602030000-047
М-602 (08) 92 ... - 92
ISBN 5-505-00305-2

© ნ. ბერულავა, ზ. ხოფერია, 1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომას ეუძღვნით ქართული ფსიქოლოგიური
მეცნიერების დამფუძნებლის,
საქართველოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი
დამაარსებლის, ქართული ექსპერიმენტული
პედაგოგიკის პირველი მკვლევარისა და
საქართველოში პედაგოგიური ინსტიტუტის
პირველი დამაარსებლის
დიმიტრი უზნაძის
ნათელ ხსოვნას

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საგანძურში საქართველოს ფსიქოლოგიურ მეცნიერებას თავისი წვლილი აქვს შეტანილი. არსებობს ფსიქოლოგიის ქართული მიმართულება – „გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს თ ე ო რ ი ა“, რომელიც ცნობილია მსოფლიოს ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. მისი შემქმნელი და ფუძემდებელია ქართველი ფსიქოლოგი დ ი მ ი ტ რ ი უ ზ ნ ა ძ ე (1886–1950).

„განწყობის თეორია“ ახსნითი სისტემაა ფსიქიკის მოქმედების შესახებ, სახელდობრ, მ ი ს ი კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ; ეს კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა გ ა ს ა ვ ე ბ ს ხ დ ი ს ი მ ა ს, თ უ რ ა ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ე ნ ფ ს ი ქ ი კ ი ს ი მ ს ა ხ ი თ მ ო ქ მ ე დ ებ ა ს, რ ა ს ა ხ ი თ ა ც ი ს ვ ლ ი ნ დ ებ ა.

ფსიქოლოგიური მეცნიერების ქართული მიმართულების არსებობის ფაქტი საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღაღგანვითარებული კულტურის არსებობას გულისხმობს. ეს გარემოება საკმაო საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ შეიქმნას როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის, ისე საკუთრივ. „განწყობის თეორიის“ შესატყვის ცნება-ტერმინთა ქართული განმარტებითი ლექსიკონი. წინამდებარე ნაშრომი აუცილებელი მეცნიერული მოთხოვნის საპასუხოდაც შეიქმნა.

ლექსიკონში განმარტებულია დაახლოებით 1300 ცნება-ტერმინი. ფსიქოლოგიის საკუთრივ, დარგობრივი ცნება-ტერმინის გარდა მასში გათვალისწინებულია ზოგი ტერმინი „მოსაზღვრე მეცნიერებებიდან“, რომელთაც შინაგანი კავშირი აქვთ ფსიქოლოგიასთან: ასეთია ქუსანი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტერული მეცნიერებანი: ფილოსოფია, სოციოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან – ფიზიოლოგია, ფსიქოპათოლოგია. შეტანილია აგრეთვე ზოგი სიტყვა, რომელსაც მეცნიერულ ფსიქოლოგიასთან შინაგანი კავშირი არ აქვს, მაგრამ ფსიქოლოგია იყენებს მას ექსპერიმენტული ფაქტების საიმედოობის დადგენის მიზნით, როგორც დამხმარე ტერმინს. მაგ., ასეთია სიტყვა ვალიდობა, ვერიფიკაცია და სხვ.

ავტორებმა მიზანშეწონილად ცნეს – მოსაზღვრე მეცნიერების, ფსიქოპათოლოგიის ზოგი ტერმინი თვით ამ მეცნიერების სპეციალისტს განემარტა. ამ მოსაზრებით ფსიქოპათოლოგიის 23 ტერმინი – აკვიატებული მდგომარეობა, ამბულატორიული ავტომატიზმი, ამნეზია, ბოდეა, გულგრა, ეპილეფსია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, მოსაზღვრე მდგომარეობანი, სევროზი ობსესიოფობიული ანუ სიზმრისებური ცნობიერება, პათოფსიქოლოგია, პარანოია, სამედიცინო ფსიქოლოგია, სომნამბულური ცნობიერება, ფსევდოდემენცია, ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაცია, ფსიქოთერაპია, ფსიქოზი, ფსიქოპათია, ფსიქოპათოლოგია, ფსიქოპროფილაქტიკა, შიზოფრენია, ცნობიერების გაბლეფა – ჩვენი თხოვნით განმარტა საქართველოს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოპათოლოგიის განყოფილების გამგემ, პ. საყარელიძემ /პროფესორი, დოქტორი/.

სამედიცინო ტერმინების დადგენაში კონსულტაცია გაგვიწია ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დოც. ა. ბერულავამ, ეცხო წარმომავლობის ტერმინთა მართლწერის დადგენაში – საქართველოს სსრ აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგემ, დოქტ. რ. ღამბაშიძემ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ავტორები ეძღვნიან აგრეთვე ა. ჭანტურიას, რომელიც წლების მანძილზე გვამარაგებდა სათანადო ეტლოური ლიტერატურის გამოკრებითა.

განმარტებისათვის საჭირო ლიტერატურად მეტწილად გამოიყენეთ და უზნაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა: მისი სახელმძღვანელები, მონოგრაფიები, ნარკვევები. ავტორები ცდილობდნენ წარმოეჩინათ და უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფცია საზოგადოდ და, კერძოდ, მის მიერ წამოყენებული ფსიქოლოგიური ცნება „განწყობა", როგორც ფსიქიკის მომწესრიგებელი პრინციპის არსი. წარმოეჩინათ „განწყობის თეორიის" მნიშვნელობა თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიათა შორის.

ავტორთა მიზანი იყო ფსიქოლოგიურ ცნება-ტერმინთა არასპეციალისტ მკითხველთათვისაც შეძლებისდაგვარად გასაგები ეყოთ. რამაც მოითხოვა ტერმინთა განმარტებებისადმი სპეციფიკური მიდგომა: ზოგი ადგილს მაგალითები ილუსტრირება, ზოგან განმარტების გაშალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვება, არსებითი ცვლების უეცარი დაწვრილებით გადმოცემა და სხვა. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური ცვლა-ტრანსფორმაციათა პირველ ჭარიელ ლექსიკონს ზოგად მიზანთან ერთად თავისი სპეციფიკური ამოცანაც აქვს.

ავტორები მადლიერების გრძნობით მიიღებენ ყველა სათანადო შენიშვნას, რაც ლექსიკონის მიზნის, ამოცანის და ტექსტის გაუმჯობესება-დაზუსტებას შეუწყობს ხელს.

ავტორები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსიკონის აბრევიატურა და შემოკლებანი

ლექსიკონი ანბანთა თანამიმდევრობის წესითაა აგებული. განმარტების ტექსტში მკვლევარის სახელის და გვარის შემდეგ ფრჩხილებში აღნიშნულია მკვლევარის დაბადების და სიკვდილის თარიღი. თუ მკვლევარი ცოცხალია, იწერება დაბადების თარიღი და წინ დასმული ასო დ., რიცა ტექსტში ტერმინის დაფუძნების, ან რაიმე ფაქტის აღმოჩენის შესახებაა დაპარაგი, მკვლევარის გვარის შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია ტერმინის დაფუძნების ან ფაქტის აღმოჩენის თარიღი ჯოველგვარი ასნის კარგეზ.

შემოკლებანი

აბსტრ. - აბსტრაქცია
ადმინ. - ადმინი
ადად. - ადამეოდი
ასან. - ასასიათებს
ბავ. - ბავშვი
ბიბლ.- ბიბლიოგრ
ბერძ. - ბერძნული
გერმ. - გერმანული
დამახ. - დამახასიათებელია
დაპირ. - დაპირისპირებელია
დაფუძნ. - დაფუძნერისპირდა
ეკზისტ. - ეგზისტენციალიზმ
ნიგ. ფსიქ. - ბიგადი ფსიქოლოგია
ინგლ. - ინგლისური
ინდივიდ. - ინდივიდუალური
მეცნ. - მეცნიერება, ული
ფსიქ. - ფსიქოლოგია, ია
ნ. ბ. - ნერვული სისტემა
პიროდ. - პაციოლოგიური
პედაგ. - პედაგოგიკა, ური
რ-ან - რიგორ, რიგორია
რ-ბც - რიგორც
რ-ადა - რიგორიცა
რ-ელია - რიგელია
რ-ელი - რიგელიმ
რ-ელ - რიგელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ-ებაც - რიბლებიც
რ-ია - რიბლია
რ-ათაც - რიბლათაც
რ-�ე - რიბლებიც
რ-შიც - რიბლებშიც
რ-ზეც - რიბლებზეც
რ-ის - რიბლის
სამედ. - სამედიცინო
სპეციალ. - სპეციალური
საწარმ. - საწარმოდმდგომი
სოც. - სოციალური
სუბ. - სუბიექტი
ტერ. - ტერმინი
უარყ. ნაწ. - უარყოფითი ნაწილაკი
უმაღ. - უმაღლესობა
ფიზ. - ფიზიკური
ფიზიოლ. - ფიზიოლოგიური
ფილოს. - ფილოსოფია
ფს-ლ - ფსიქოლ. უნა
ფს-გია. - ფსიქოლოგია, უნა
ქიმ. - ქიმიური ნაერთები სისტემა
ცდ. - ცდისპირი
წარმ. - წარმოდმდგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აალის დავიწყების კანონი – იხ. დავიწყება.

AAM – დასაწყისი ასოები გერმ. გამოთქმის – **Angeborener Auslösemechanismus**–მოქმედების გამომწვევი თანდაყოლილი მექანიზმი (კ. ლორენცი). იგულისხმება ინსტინქტით განსაზღვრული მოქმედების მექანიზმი.

აბაზია (ბერძ. a – უარყ. ნაწილ. basis – სიარული) – სიარულის უნარის დაკარგვა ფსიქოგენური ფაქტორების ზეგავლენით. ა. არ არის გამოწვეული ფიზიოლ. მიზეზით, მოძრაობის კუნთური აპარატის დაზიანებით. იგი ნევროზული დაავადების ერთ-ერთი ისტერიული სიმპტომია (იხ. ბაზოფობია).

აბერაცია (ლათ. aberratio – გადახრა) –ფს–გიაში –თვალის ბადურაზე საგნის გამოსახულების დამახინჯება, გამოწვეულია თვალის ლინზის დეფექტით; საგანი და მისი სურათი თვალის ბადურაზე არ შეეფარება ურთიერთს ვით პუნქტი პუნქტს. გამაღიზიანებლის სურათი ბადურაზე აისახება არა რ-რც გარკვეული საგნის სახე, არამედ რ-რც ფართობი, ლაქა. მიზეზი სინათლის გარდამტეხ ელემენტთა სიმრუდეა, რის გამოც ღიზიანდება ელემენტთა მთელი ჯგუფი, რაც აღნიშნულ ეფექტს იწვევს.

აბსანსი (ფრანგ. absens – არმყოფი, არდამსწრე) – ცნობიერების დარღვევა, გამოთიშვა, გრძელდება რამდენსამე წამს. დამახ. ეპილეფსიური დაავადებისათვის, ე. წ. „ეპილეფსიური მცირე გულყრისთვის" (petit mal).

აბსოლუტური ზღურბლი – იხ. შეგრძნების აბსოლუტური ზღურბლი.

აბსოლუტური სმენა– მუსიკალური ტონის სიმაღლის ზუსტი გარჩევის უნარი, სხვა ტონებთან შედარების გარეშე. განსხვავდება „შედარებითი სმენისაგან", რ-იც ტონების სიმაღლეს არჩევს მათი ურთიერთთან შედარების გზით. ა. ს. ად-ნის თანდაყოლილი სპეციფიკური უნარია, რაც მხოლოდ ზოგიერთს ახასიათებს. „შედარებითი სმენა" კი, ამა თუ იმ დონით დამახ. ყველასათვის. ა. ს -ის გავარჯიშება შესაძლებელია გარკვეულ დონემდე. ა. ს. არ ნიშნავს აუცილებლად მაღალ მუსიკალობას, თუმცა ხშირად მასთანაა დაკავშირებული. არსებობს ა. ს–ის ორი ტიპი: „ხაზობრივი" და „პოლარული". ხაზობრივი იჩენს მიდრეკილებას მეზობელი ტონების შერევისაკენ. პოლარული – კვინტების შერევისაკენ. (ს. ვეღეკი, 1938).

აბსტრაქცია (ლათ. abstractio – განყენება, მოშორება) – ფს – კერძო აქტი, ცნების შემუშავების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი საფეხური (იხ. ცნება). ნიშნავს საგნისთვის დამახ. ნიშანთა კომპლექსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან ზოგის გამოყოფას, გამოცალკევებას და სხვა ნიშნებისაგან დამოუკიდებლად მის განხილვას. ა. ხორციელდება ნებისეული (აქტიური) ყურადღების საფეძველზე. ხდება გარკვეული ნიშნების განზრახული, მიზანდასახული გამოცალკევება, იმავე დროს დანარჩენი ნიშნების ყურადღების გარეშე დატოვება; ამიტომ ყოველ ა-ში ორი მომენტი უნდა განვასხვაოთ: პ ო ზ ი ტ ი უ რ ი – ნიშანთა კომპლექსიდან ზოგიერთის გამოყოფა - და ნ ე გ ა ტ ი უ რ ი – დანარჩენი ნიშნების უგულებელყოფა– (ი. ელიასბერგი).

ა-ის გაიგივება ყურადღებასთან არ არის სწორი, რადგან ყურადღება იქაც დასტურდება, სადაც ა. არ მონაწილეობს.

ა-ის მნიშვ. უზომოდ დიდია. იგი სინამდვილის შემეცნებისაკენ მიმართული მეცნ-ული აზროვნების აუცილებელი პირობაა.

სიტყვა „აბსტრაქტული" უპირ. „კონკრეტულს", თვალსაჩინოს. ადრეული ასაკის ბ-ვი (2–5 წ. წ.) ვერ ახდენს ა-ს. ა-ის უნარს მოკლებულია გონებრივად დეფექტური (იდიოტი, იმბეცილ.); დებილს იგი დაქვეითებული აქვს. ა. ვითარდება სასკოლო ასაკის პერიოდში. მისი განვითარების მძლავრ ფაქტორს სწავლა წარმოადგენს. ადრეულ ბ-ეობას და სწავლის პირველ წლებს ახას. თვალსაჩინო აზროვნება, ამ პერიოდში ა. თვალსაჩინო ნიშნების გამოყოფით იფარგლება; ეს ა-ის დასაწყისი და დაბალი საფეხურია. ბ-ვის ზრდისა და სწავლის პროცესში ა. თანდათან ვითარდება. ის უკვე არათვალსაჩინო ნიშნების გამოყოფას ახერხებს, ქმნის ცნებებს, და საფუძვლად ედება მეცნ-ულ ლოგიკურ-ვერბალურ აზროვნებას.

აბსტრაქტული აზროვნება –ის. ლოგიკურ-ვერბალური ანუ ცნებითი აზროვნება.

აბულია (ბერძ. a -უარყ. ნაწ. , boulé – ნებისყოფა) – ნებისყოფის პათოლოგიური დარღვევა. სუბ-ს არ შეუძლია ან უჭირს გადაწყვეტილების გამოტანა, მაგ., უჭირს გადაწყვიტოს, ან სრულიად ვერ წყვეტს წავიდეს თუ არა დღეს თეატრში, მისწეროს თუ არა ბარათი მეგობარს და სხვა. ა-ით დაავადებულს ახასიათებს აპათიური სულიერი მდგომარეობა, ინტერესის, ინიციატივის (აქტიურობის) დაკარგვა. გარემოს ზემოქმედებაზე თუმცა რეაგირებს, მაგრამ შემოქმედებით აქტიურობას ვერ იჩენს და გარემოში ცვლილების შეტანა უჭირს. ა. გვხვდება ნევროზისა და ფსიქოზის დროს. შეიძლება იყოს თავის ტვინის ორგანული დაზიანების შედეგი.

აგენტი (ლათ. agens –მოქმედი) – 1. ფს-გიაში –ყოველი გამღიზიანებელი, რ-იც ორგანიზმში იწვევს გარკვეულ რეაქციას. 2. პარაფსიქოლოგიაში – ბრძანების გამგზავნი პერსონალიენტის მისამართით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(იხ. პერციპიენტი).

აგზნება – 1. ზოგადად –ყოველი ცოცხალი ქსოვილის (ნერვულისა და არანერვულის) **საპასუხო რეაქცია** |გარეგამღიზიანებლის ზემოქმედებაზე. გამღიზიანებლის|ზემოქმედების შედეგად ყოველი უჯრედის (ორგანიზმის; ფსიქო–ფიზიკ. მთლიანი სისტემის) გადასვლა პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში. 2. ფიზიოლ–ში ერთ–ერთი მთავარი ფიზიოლ. პროცესი, დაკავშირებული ელექტროპოტენციალების წარმოშობასთან| და იონების გარკვეული მიმართულებით გადანაცვლებასთან. გამღიზიანებლის რეცეპტორზე (ნერვულ დაბოლოებაზე) ზემოქმედების შედეგად აღძრული ა. ვრცელდება |ცნ.ს–მის გარკვეულ ცენტრში; ტვინის მეზობელ არეებში ა–ის საწინ. ნერვული პროცესის, შეკავების წარმოშობასთან ერთად საფუძვლად ედება სხვადასხვა შეგრძნებას და საერთოდ ორგანიზმის მოქმედებას გარემოში. 3. ფს–გიაში, გრძნობებში, – დამშვიდების საპირ. მიმართულება, აგზნება–დამშვიდება (ვ. ვუნდტი, იხ. პლურალიზმი გრძნობებში). 4. ფსიქო–პათოლოგიაში განასხვავებენ მანიურ, კატატონიურ და ჰიპერფრენიულ ა–ას. კატატონიური ა. მანიურის საპირ. უაზრო და მექანიკურია. ახას. ცალკეულ მოძრაობათა „ქარიშხალი“. მანიური ა. გარეგნულად „საქმიანი“ ხასიათის მოძრაობებია. ჰიპერფრენიული ა. განსხვავდება ორივესაგან იმით, რომ ის ავად–ის სულიერი განწყობილებითაა გამოწვეული. 5. ყოველდღიურ მეტყველებაში ა. ნიშნავს აღელვებას, მოუსვენრობას, აღტაცებულ მდგომარეობას.

აგზნებადობა – ნერვული სისტემის უნარი გაღიზიანებას უპასუხოს სათანადო რეაქციით. განასხვავებენ ძლიერ და სუსტ ა–ს. ძლიერი ნიშნავს ადვილ და სწრაფ რეაგირებას გამღიზიანებელზე, სუსტი –გაძნელებულსა და გახანგრძლივებულ რეაგირებას.

აგზნებადობა განწყობისა –იხ. „განწყობის თეორია“, აქედან თავი „განწყობის ინდივიდუალურ– დიფერენციული ხასიათი“.

აგლუტინაცია (ლათ. **agglutinatio** – შეწებება, მიკერვა) ფს–გიაში –სხვადასხვა ჰეტეროგენური ელემენტების შერწყმა ერთ მთლიან ხატში; ელემენტთა აპერცეფციული შეერთების უმარტივესი ფორმა. ადგილი აქვს სახვით ხელოვნებაში და, საზოგადოდ, ფანტაზიაში. მაგ, ასეთია ძველ ბერძნულ მითოლოგიაში „კენტავრი“ (არსება ცხენის ტანით და ადამიანის თავითა და გულმკერდით), „სფინქსი“ (ქანდაკება ადამიანის თავით და ლომის ტანით) და სხვა.

აგნოზია (ბერძ. **a** – უარყ. ნაწ., **gnōsis** ცოდნა, შემეცნება) – აღქმის პათოლოგიური დარღვევა, სუბ. აღიქვამს საგანს და ვერ ცნობს მას. ა. სამი სახისაა: 1. ოპტიკური ა. –„სულიერი სიბრმავე“, სუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავს და ვერ ცნობს საგანს. მაგ., ხედავს ფანჯარს და არ იცის, რომ ეს ფანჯარია. 2. აკუსტიკური ა. – „სმენითი სულიერი სიყრუე" – სუბ. ვერ ცნობს ნაცნობ ბგერებს, ტონებს; ნაცნობის ხმას ისმენს და არ იცის თუ ვისი ხმაა ეს. 3. ტაქტილური ა. – „შეხებითი (ტაქტილური) სულიერი სიბრმავე" – სუბ. ვერ ცნობს საგნებს შეხებით.

ამის გამომწვევი მიზეზია არა გრძნობის ორგანოების – თვალის, ყურის, კანის დაავადება, არამედ თავის ტვინის ქერქის გარკვეული ნაწილების დაზიანება. ა–ის ერთ–ერთი სახეა ალექსია (იხ.)

აგნოსტიციზმი (ბერძ. agnóstos – შეუმეცნებელი) – იდეალისტური ფილოს–ური მოძღვრება, რ–ის თანახმად მოვლენათა არსის შემეცნება შეუძლებელია. ცნობილია აგრეთვე ფს–გიური ა., რ–ც ფს–კური მოვლენების მეცნ–ულ შემეცნებას მისი სუბ–ურობის გამო შეუძლებლად თვლის. მაგ., ასეთია ამერიკული ბიჰევიორიზმი.

აგორაფობია (ბერძ. agora – მოედანი, phobos – შიში) – მოედნის, სივრცის, გაშლილი ადგილის შიში. სუბ-ს ეშინია ქუჩის ან მოედნის გადაკვეთა; ლოკომოცია ნორმალური აქვს, გამყოლთან მიდის თავისუფლად.

აგრავაცია (ლათ. aggravatio – გაუარესება, დამძიმება) –ავადობის მოვლენების გაძლიერებულად ჩვენება, გადაჭარბებული ჩივილი განზრახვით ან განუზრახველად; ისტერიული რეაქცია (იხ. სიმულაცია).

აგრამატიზმი (ბერძ. agrammatos – უწიგნური, უსწავლელი) – მეტყველების დეფექტი, დარღვეულია სიტყვების სწორი თანამიმდევრობა წინადადებაში. გამოწვეულია თავის ტვინის სათანადო ცენტრების დაზიანებით. ზოგჯერ აფაზიის სიმპტომია. ა–ის კორექცია შესაძლებელია სპეციალური „აღდგენითი სწავლებით". ადრეული ბ–ვობის ხანაში ა. განვითარების (გარკვეული პერიოდისთვის) ნორმალური მოვლენაა, რაც ზრდასთან ერთად გაივლის.

აგრაფია (ბერძ. a – უარყ. ნაწ. gráphō – ვწერ) – წერის უნარის პათოლოგიური დარღვევა, ინტელექტისა და ხელის წერითი მოძრაობების შენარჩუნების პირობებში: ავად. ისმენს სიტყვას, კითხულობს სწორად, ესმის მისი მნიშვ. მაგრამ ვერ წერს მას. იზოლირებული სახით იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ დაკავშირებულია აფაზიასთან (იხ. აფაზია). გამომწვევი მიზეზია თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა არეების დაზიანება. თავს იჩენს წერის სწავლებისას ბ–ვობის ასაკში. რაც უფრო ადრე ჩნდება ავად-ობა, მით უფრო მძიმეა მისი გავლენა ბ–ვის ფს–კის საერთო განვითარებაზე. სამკურნალო პედ–ის ამოცანაა მისი ადრე გამოვლინება და შესაფერისი მკურნალობა. წერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევის კორექციას ნორმალური სმენის ბავშვებთან აწარმოებს ლოგოპედი.

ადამიანის ფსიქოლოგია — ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგი, შეისწავლის ადამიანის მოქმედების კანონებს (იხ. ფსიქოლოგია).

ადაპტაცია (ლათ. adaptatio — შეგუება) — ფართო მნიშვ. ორგანიზმის შეგუება, შეჩვევა გარემო პირობებთან. ემსახურება არსებობის შენარჩუნებას. ვიწრო მნიშვნელობით რეცეპტორთა მგრძნობელობის შეცვლა გარეგამღიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად; გამღიზიანებელი აღარ იგრძნობა პირვანდელი სიძლიერით. მისი ინტენსიურობა განცდაში კლებულობს და საშუალო დონეს უახლოვდება. მაგ., სინათლიდან სიბნელეში გადასვლისას პირველად საგნებს ვერ ვარჩევთ, შემდეგ სიბნელის ხარისხი (ინტენსიურობა) თითქოს კლებულობს და საგნების გარჩევას ვახერხებთ — მოხდა თვალის ა. ე. ი. შეგუება სიბნელესთან. არსებობს სინათლის ა: სიბნელიდან ნათელ გარემოში გადასვლისას სინათლე პირველად „თვალს გვჭრის“ ძლიერია, შემდეგ იგი სუსტდება, საშუალო დონეს უახლოვდება და ნორმალური ხდება. ასეთივე ბუნებისაა ა. მგრძნობელობის სხვა მოდალობაშიც — ყნოსვის, გემოს, ტემპერატურის, შეხებისა და სხვა. ა. უფრო ძლიერია შეხების მოდალობაში, ვიდრე სმენის მოდალობაში. სმენის მოდალობაში ყურადღების ჩარევა იწვევს ა-ს აღკვეთას. მაგ., შეგუების შედეგად საათის წიკ-წიკი არ გვესმის, მაგრამ თუ საგანგებოდ მივმართავთ მისკენ ყურადღებას, მას მყისვე გავიგონებთ. ა. შეიმჩნევა სოციალურ ცხოვრებაში: ადამიანი ეგუება ცხოვრების ისეთ ახალ პირობებს, რ-ებიც მას თავიდან მიუღებლად ეჩვენებოდა (მაგ., მოდა). ერთი სიტყვით ა. **ყველა პირობებში და ყოველთვის თავდაპირველად გაღიზიანებით გამოწვეული განცდის ინტენსიურობის შემცირება და საშუალო დონესთან მიახლოებაა.**

ადაპტაციური სინდრომი ანუ გენერალური ადაპტაციური სინდრომი GAS. იხ. სტრესი.

ადეკვატური გამღიზიანებელი (ლათ. adaequatus — გათანაბრებული, შესატყვისი) — გაღიზიანება, რ-იც გარკვეული შეგრძნების ორგანოსთვის არის შესატყვისი. მაგ. თვალისთვის ადეკვატურია სინათლის სხივები, ყურისთვის — ჰაერის ტალღისებური რხევა და სხვა. (იხ. შეგრძნების ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის კანონი).

ადოლესცენცი (ლათ. adolescéntia — სიჭაბუკე, სიყრმე, სიყმაწვილე) — ად-ნის ონტოგენეზურ განვითარებაში პუბერტატის (სქესობრივი მომწიფების) მომდევნო პერიოდი. გრძელდება ქალებში 16 წლიდან 20 წლამდე, ვაჟებში 16 წლიდან 22 წლამდე. (ზოგი მკვლევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა-ის პერიოდად მიიჩნევს ქალებში 17–19 წწ).

ამ პერიოდში ად-ნის გონებრივი და სხეულებრივი განვითარება სრულდება, იწყება ზრდადამთავრებულობის პერიოდი.

ადრეული ბავშვობის ასაკი –იგულისხმება განვითარების პერიოდი დაბადებიდან სამ წლამდე; დ. უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით მოიცავს: „ახალდაბადებულობის პერიოდს", „ძუძუს ბავშვობის პერიოდს" და „სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდის" პირველ წელს. (იხ. ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია).

ავსტრიული სკოლა ანუ გრაცის სკოლა – ფს–გიური სკოლა ავსტრიის ქალაქ გრაცში. სკოლის წარმომადგენლები არიან: ფ. ბრენტანო, ჰ. კორნელიუსი, ფ. კრაუსი, ვ. ბენუსი, ხ. ფ. ერენფელსი, ა. მაინონგი. ს. ვიტაზეკი და სხვა. სკოლას საფუძველი ჩაეყარა მას შემდეგ, რაც ა. მაინონგმა გრაცში ფს–გიური ლაბორატორია დააარსა (1894). ა. ს. „ელემენტების ფსიქოლოგიის" საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა. ფს–კურის არსებით დამახ. ნიშნად მას ფს-კურის მთლიანი ბუნება მიაჩნდა. ამის გამო ა. ს-ის წარმომადგენლები გეშტალტფსიქოლოგიის წინამორბედად ითვლებიან (იხ. ბერლინის სკოლა).

ავტოეროტიზმი (ბერძ. autos –თვით, erós –სიყვარული) ზ. ფროიდის მოძღვრებით, ბ-ვის სექსუალობის პირველი ფორმა. სექსუალური გრძნობის დაკმაყოფილება საკუთარი სხეულის განსაკუთრებული ადგილების გაღიზიანებით ხდება. ზრდადამთავრებულ ად-ში ა. ნარცისიზმის სახით ვლინდება.

ავტომატიზმი (ბერძ. automatos – თვითმოქმედი) ფს–გიაში–ცნობიერების მონაწილეობის გარეშე მიმდინარე მოქმედება. განასხვავებენ: 1. თანდაყოლილ, ანუ საკუთრივ ავტომატურ მოქმედებას, რ-იც მუდამ ცნობიერების დაუხმარებლად სრულდება და 2. ე. წ. ავტომატიზებულ მოქმედებას, რ–იც ჯერ ცნობიერების მონაწილეობით მუშავდება საგანგებო სწავლა–ვარჯიშის გზით, შემდეგ კი ცნობიერების დაუხმარებლად სრულდება. ასეთია ად-ნის ჩვევები და ჩვეულებები. სწავლის გზით შეძენილ ჩვევებს და ჩვეულებებს ად-ნთან სხვანაირად „მეორეულ ავტომატიზმებს" უწოდებენ, განსხვავებით „პირველადი ავტომატიზმისაგან". „პირველად ავტომატიზმებს" მიეკუთვნება ინსტინქტები, უპირობო რეფლექსები. მათი განხორციელება დაკავშირებულია ცნ. ნ. ს-ის ქერქქვეშა ცენტრებთან. „მეორეული ავტომატიზმებია" კითხვის, წერის, ანგარიშის, მეტყველების ჩვევები; ყოველი პროფესიული და სპორტული ჩვევა და სხვა. მათი შემუშავება და ფუნქციობა დაკავშირებულია თავის ტვინის ქერქთან.

ავტონომიური მეტყველება –იხ. იდიოლალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრი 1. — ფს–გიაში ა. ეწოდება აზროვნების პროდუქტს, შედეგს, არათვალსაჩინო ცოდნას, ცნებას, ცნებათა სისტემას, თვალსაჩინო შინაარსს (შეგრძნებას) არ შეიცავს, არც უბრალო წარმოდგენაზე დაიყვანება. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენი ცნობიერება თვალსაჩინო შინაარსთა, შეგრძნებათა და წარმოდგენათა გარდა არათვალსაჩინო განცდებსაც შეიცავს, არათვალსაჩინო ცოდნას, რ-იც აზროვნების პროცესში იჩენს ხოლმე თავს და, რ-იც „აზრის" სახელწოდებითაა ფს-გიაში შემოტანილი (დ. უზნაძე). ა. გაანალიზებული ზოგადი წარმოდგენაა (ვ. ვუნდტი); გაშუალებული და განზოგადებული ცოდნაა საგანზე (ს. დ. რუბინშტეინი). 2. ფილოს-ში ა. ყოველი საგნის არსის წვდომაა, ცოდნაა. 3. ხელოვნებაში ნაწარმოების მთავარ, ძირითად იდეას ნაწარმოების ა. ეწოდება. 4. ყოველდღიურ მეტყველებაშიც მოვლენების და ქცევის შეფასებითი თვალსაზრისი აზრს გულისხმობს. მაგ., უაზრო მოქმედება, აზრიანი სიტყვა-პასუხი და სხვა.

ყველა ამ 4 სხვადასხვა თვალსაზრისით ა. ფაქტობრივად საგანთა და მოვლენათა შორის უზოგადესის და არსებითის წვდომას გულისხმობს, რაც თვალსაჩინო შინარსის სახით არ წარმოიდგინება.

აზრითი ექსპერიმენტი — ერთ-ერთი სახის ექსპერ. ფს-გიაში. მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა ნამდვილი პირდაპირი ექსპერ-ის დაყენება და ნამდვილი განცდის თვითდაკვირვება შეუძლებელია. ა. ე-ს შემდეგნაირად აყენებენ: ეს წარმოიდგენს რაიმე სიტუაციას და იმას, თუ როგორ მოიქცეოდა ის ამ სიტუაციაში. ამავე დროს აკვირდება თავის განცდების მიმდინარეობას. რასაკვირველია, ა. ე. განცდის სრული წვდომის შესაძლებლობას არ იძლევა და სრულფასოვანი ექსპერ-ის ადგილს დაკავება არ შეუძლია, მაგრამ გარკვეული დადებითი მნიშვ. მას მაინც აქვს, როცა საკითხი მეთოდს, ცდის დაყენებას და ექ-თათვის ინსტრუქციის შერჩევას ეხება. (გ. ე. მიულერი).

აზრითი მეხსიერება — აზრიანი ტექსტის დამახსოვრება, სწავლა და აღდგენა; სხვანაირად მას ლოგიკურ მეხსიერებასაც უწოდებენ (იხ. დასწავლა ანუ დამახსოვრება).

აზროვნება — ფს–გიაში ინტელექტუალური აქტი. როდესაც სამოქმედო სიტუაციის დაძლევა ინსტინქტური, ავტომატიზებულის, ჩვეულებრივად ქცეული მოქმედების ან დასწავლილი ქცევის გზით ვერ ხერხდება, მაშინ ადამიანი დროებით წყვეტს დაწყებულ მოქმედებას და ითვალისწინებს ახლად წამოჭრილი პრობლემური სიტუაციის გადაჭრის მიზანშეწონილ ხერხებს. იმას, რაც ადამიანს ფს-კაში ამ პაუზის ანუ მოქმედების შეწყვეტის განმავლობაში ხდება — ანალიზი, შედარება, განყენება, გამორიცხვა, გაგება, დასკვნა და სხვა შემეცნებითი აქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ა. ეწოდება. ა. პ რ ო ბ ლ ე მ უ რ ი ს ი ტ უ ა ც ი ი ს დ ა ძ ლ ე ვ ა დ ა გ ა დ ა ჭ რ ა ა, ქმიტომ იგი შემეცნებითი ფს-კური მოვლენების ჯგუფს განეკუთვნება. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა (იხ. ფს-კურ მოვლენათა კლასიფიკაცია). მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა მხოლოდ კონკრეტული საგნების, მოვლენების და მათ შორის არსებული თვალსაჩინო მიმართების ასახვას იძლევა; ა. კი საგანთა და მოვლენათა შორის ისეთ რთულ დამოკიდებულებებს, მიმართებებსა და კავშირებს ასახავს, რ-ებიც თვალსაჩინოდ არ არის მოცემული (მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება, იგივეობა, მსგავსება, განსხვავება).

ა. შეგრძნების, აღქმისა და წარმოდგენის გარეშე შეუძლებელია. იგი სენსორულ შინაარს ემყარება და სინამდვილეში არსებული რთული მიმართების წვდომას მათი გადამუშავების საფუძველზე ახერხებს. ამ მხრივ ა. სინამდვილის ასახვის მაღალ საფეხურს წარმოადგენს.

ა-ის პროცესისათვის დამახ.: პ რ ო ბ ლ ე მ ‍ ‍ ‍

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა-ის შეწყვეტას. ეს კი იმის საბუთია, რომ ა. ნებელობას ემყარება და მისი თვისებით მიმდინარეობს.

3. ა. მკაცრად დეტერმინირებული პროცესია იმ პრობლემით, რომ გადაწყვეტისაც ის ემსახურება. რიცა ვაზრიანებთ, ყველა აზრი და წარმოდგენა კი არ გვიჩნდება, არამედ მხოლოდ ისეთი, რ-იც დასმული პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება. ამ მხრივ ა. ორსებითად განსხვავდება ასოციაციისაგან, რ-იც პრობლემით. დეტერმინებული ერთი მიმართულება არა აქვს.

4. ა. გადატანის ანუ ტრანსპოზიციის უნარით ხასიათდება. გარკვეული ამოცანის გადაწყვეტა სხვა ანალოგიური ამოცანის გადაწყვეტას აადვილებს.

ჩამოთვლილ ნიშნებით ა. ორსებითად განსხვავდება სხვა შემეცნებითი ფს-კური პროცესებისაგან: შეგრძნება – აღქმა – წარმოდგენის რეპროდუქცია მხოლოდ გარკვეული გაღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად ჩნდება. სრულიად პასიურად, სუბ-ტის აქტიურობისაგან დამოუკიდებლად და არავითარ პრობლემის თუ საკითხს არ წყვეტს. ა. კი პასუხია გარკვეულ პრობლემაზე, რ-იც სუბ-ტმა შეგნებულად, ადგილი მოთხოვნილების შესაფერისად აყენებს. განასხვავებენ ა-ის სამ სახეს: პრაქტიკულს, ხატოვანს ანუ თვალსაჩინოს და ლოგიკურ-ვერბალურს ანუ ცნებითს.

შეხედულება, რომ ა. პრაქტიკული მოქმედების დაბრკოლებისა და შეწყვეტის შედეგად ჩნდება, რაც იწვევს სუბ-ში შექმნილი სიტუაციის დაძლევის ახალ ფორმად მოთხოვნილებას და, რომ ეს უკანასკნელი საფეხურად ედება ა-ს მეცნიერებაში, ქართველ ფს-გს დ. უზნაძეს ეკუთვნის. მან შეაჯერა ყურადღება, რომ ა. გენეტიკურად ორის დაკავშირებული პრაქტიკულ მოქმედებასთან და მის საფეხურზე ჩნდება. ა-ნის გარეგნულთან დამოკიდებულების განვითარების პროცესში იგი გამოიკვეთ. პრაქტიკულ მოქმედებას მეცნიერულ-თეორიული ა-ის სახით.

დ. უზნაძის განსაზღვრებაში ნაჩვენებია რ-ოც ა-ის წარმოშობის პირობები (პრობლემური სიტუაცია, თეორიული მოთხოვნილება), ისე მისი შემდგომი განვითარებაც: მეცნიერულ-თეორიული ა-ის სახით.

ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის თანახმად ა. – ცნების შემუშავება, მსჯელობა, დასკვნა – წარმოდგენათა შორის ასოციაციური კავშირების დადგენით განსაზღვრება. ასოციაციური ფს-გიის თანახმად ა., რაც წარმოდგენათა ასოციაციას ემყარება, პასიური, მექანიკური პროცესია, მასში მოაზროვნე სუბ-ის აქტიურობა გამორიცხულია (ბ. ასოციაციური ფსიქოლოგია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვიურცბურგის ფსიქოლოგიურმა სკოლამ" ასოციაციონიზმის პრინციპი აზროვნებაში თუმცა უარყო და ა-ის არსებით ნიშნებად აღიარა პრობლემის დასმა, დეტერმინაციის ტენდენცია, არათვალსაჩინო განცდები, სუბ-ის აქტიურობა, მაგრამ აზროვნების კავშირი სუბ-ის პრაქტიკულ მოქმედებასთან და მისი „თეორიული მოთხოვნილებით" განსაზღვრულობა, რ-რც ა-ის საწყისი პუნქტი, მათთვის შეუმჩნეველი დარჩა (იხ. ვიურცბურგის სკოლა).

გეშტალტფსიქოლოგიაში ა. მოცემული შინაარსის გადასტრუქტურება და ახალი გეშტალტის შექმნაა. პიროვნების აქტიურობას აქ ადგილი არა აქვს, რამდენადაც თვითონ ა. საერთოდ გეშტალტის კანონებს ექვემდებარება და სუბ-ის აქტიურობას გამორიცხავს.

ბიპეიორისტულ მიმდინარეობას ფს-გიაში საერთოდ არა აქვს ა-ის თეორია. ა. მისი აზრით, იგივე რეაქციაა გაღიზიანებაზე, ოღონდ შინაგანი, უხგერო მეტყველების სახით. ბუნებრივი და აშკარაა, რომ ბიპეიორისტულ მიმართულებას, რ-იც არ ცნობს ცნობიერების არსებობას, არც აზროვნების თეორია შეიძლება ჰქონდეს (იხ. ბიჰეიორიზმი).

აზროვნების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია — შეისწავლის აზროვნების პროცესს. გამოთქმა ა. ე. ფ., რ-ოც ტერმ. შემოტანილია ფს-გიაში ო. კიულპესა და მისი მოწაფეების მიერ (ვიურცბურგის სკოლა). ამ გამოთქმით ისინი აღნიშნავდნენ აზროვნების პროცესების ექსპერიმენტულ კვლევას. მათ უჩვენეს, რომ აზროვნება არ დაიყვანება ასოციაციის პროცესებზე, მასში გარდა თვალსაჩინო შინაარსისა (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა) მონაწილეობენ არათვალსაჩინო განცდები, რომ აზროვნების პროცესში ეს უკანასკნელი უმთავრეს როლს ასრულებს, რომ აზროვნება პრობლემით დეტერმინებული პროცესია (იხ. **აზროვნება**).

აზროვნებას გარდა ფს-გიისა, შეისწავლის ლოგიკაც და გნოსეოლოგიაც, ამდენად, ის ფილოს-ის კვლევის საგანიცაა, მაგრამ აზროვნების ფს-გიისა, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის თვალსაზრისები განსხვავებულია. ფს-გია შეისწავლის აზროვნებას რ-რც ბუნებრივი ფს-კური განცდის პროცესს მის მიმდინარეობაში, მისთვის ყოველი აზროვნება სწორი თუ არასწორი, ერთნაირად საინტერესოა. ლოგიკა მხოლოდ ფორმალურად სწორ აზროვნებას იკვლევს. გნოსეოლოგიას აზროვნების ეშმარიტება-მცდარობა აინტერესებს. აზროვნების არსს (როგორ არის?) ფილოს. იკვლევს, ხოლო აზროვნების განცდას (რ-რ განვიცდით?) —ფს-გია.

აზროვნების ონტოგენეზური განვითარება—დაბადებიდან ორ წლამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე (ძუძუს ბ-ვობის ხანა) იწყება ბ-ვის პერცეპტული უნარის მოქმედება. ექსპერ-ლი თამაში და ტაცება (რითაც იწყება აზროვნების ნიადაგის მზადება) ბ-ვს უქმნის შესაძლებლობას შეუთანხმოს თავისი მოძრაობები აღქმული სინამდვილის თავისებურებას, მოახერხოს საგანთა და მოვლენათა შორის არსებული მიმართების წვდომა, მიზნის მისაღწევად საგნების იარაღად გამოყენება (კ. ბიულერის ცდა: ძაფის საშუალებით საჭმლის მოწევა).

2–4 წლამდე (სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი): ბ–ვისათვის დამახასიათებელია ე. წ. პრაქტიკული აზროვნება, აზროვნების ის ფორმა, რ–იც გონიერი ქცევის სახით იჩენს თავს და მეტყველებაში არ ვლინდება. შესამჩნევი ხდება ბ-ვის ისეთ ქცევაში, სადაც მიზნის მისაღწევად საჭიროა მიზანსა და საშუალებას შორის მიმართების წვდომა. თუ პირველი წლის ბოლოს ბ-ვი შოკოლადის ხელში ჩაგდებას ახერხებს მასზე მიბმული ძაფის საშუალებით (კ. ბიულერის ცდა) და ამ გზით წვდება მიმართებას მიზანსა და საშუალებას შორის, 2–3 წელში ასეთი მიმართების წვდომა თავს იჩენს რთულ ქცევებში – ფანტაზიის, თამაშის რთულ სახეებში, სოციალური ქცევის მარტივ ფორმებში და თვითმომსახურების ქცევებში (ყუთიდან შოკოლადის ამოღება, დ. უზნაძის ცდა).

განვითარების შემდეგ ეტაპზე (4–5 წელი), „სკოლის წინარე ასაკი", „პრაქტიკული აზროვნება" არსებითად იგივე რჩება, რაც წინა პერიოდში იყო, თუმცა საშინაო საყოფაცხოვრებო საქმიანობა, კონსტრუქტიული თამაშის ფორმები ახლა უფრო რთულ ამოცანას აყენებენ ბ-ვის პრაქტიკული აზროვნების წინაშე, მაგრამ არსებითი სახის ცვლილებებს მაინც არ იწვევენ.

ლოგიკურ-ვერბალურ აზროვნებაში, წინა პერიოდთან შედარებით, ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი შეიმჩნევა; იწყება: 1. საგნებიდან არსებითი ნიშნების გამოყოფა (ანალიზი, აბსტრ.), 2. საერთო ნიშნების მიხედვით საგანთა დაჯგუფება (განზოგადება), 3. სახელდება (ნიშანთა ლოგიკური სინთეზი), 4. დეფინიცია (დ. უზნაძის „დაჯგუფების ცდები"). მაგრამ ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების აღნიშნული ოპერაციები იმ დონეზე არ დგას, რომ ბ-ვს მათი გამოყენება დამოუკიდებლად შეეძლოს. მათ გამოყენებას 6 – 7 წლის ბ-ვი ახერხებს ძირითადად სხვისი დახმარებით. ამიტომ აღნიშნულ პერიოდში ეს ოპერაციები ლოგიკურ აზროვნებაში ჯერ კიდევ სახელმძღვანელო როლს არ ასრულებენ, არამედ მხოლოდ „ცნების ფუნქციურ ეკვივალენტს" წარმოადგენენ (დ. უზნაძე). როგორც კი „ასაკობრივი გარემო" შეიცვლება და სასკოლო გარემო ბ-ვს დასრულებული ცნებით აზროვნებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- მოსთხოვს, ეს უნარები, რ-�ელიც წინათ სხვისი დახმარებით ფუქციობ-
ლნენ, ახლა დამოუკიდებლად იწყებენ მოქმედებას. ნამდვილი აზროვ -
ნება ბ-ვს სასკოლო ასაკიდან უვითარდება.

„პირველ სასკოლო ასაკში" (7 – 12 წ. წ.) ბ-ვის წინაშე დას-
მული ამოცანა ინტელექტუალური ინტერესის მოქმედებას იწვევს და
აზროვნების განვითარების ფაქტორად იქცევა. ამ პერიოდიდან დაწყე-
ბული ბ-ვი ესწრაფვის ჩასწვდეს საგანთა შორის არსებულ მიმართე-
ბას, ახდენს საგანთა არსებითი ნიშნების გამოყოფას (აბსტ-ას, ანა-
ლიზს, სინთეზს, განზოგადებას). მაგრამ ჯეველივე ამას ის კონკრეტულ მასალა-
ზე აკეთებს და ნამდვილი განყენებული მიმართების წვდომას და მიზ -
ეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარებას, ე. ი. ლოგიკურ–ცნებით აზ-
როვნებას, ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს. ამას ის „მეორე სასკოლო ასა-
კის" საფეხურზე 12 – 17 წ. წ. აღწევს.

„მეორე სასკოლო ასაკის" ბოლოსთვის აზროვნების ყველა ელე -
მენტი თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს: აღქმა უკვე ნებისე -
ული, აქტიური აღქმის სახისაა, მეხსიერებას აღქმის მასალის ლოგი -
კური გადამუშავების ძალა შესწევს, ლოგიკურ–ცნებითი აზროვნების
მთელი ფს–კური „აპარატურა" – აბსტრ., ანალიზი, განზოგადება, სინ-
თეზი – აგრეთვე მაღალ დონეზე დგას. თვით მოზარდის პიროვნება შემე-
ცნებითი აქტივობით ხასიათდება. იგი პრობლემის დასმისა და გადაწ -
ყვეტისაკენ არის მიმართული და ახერხებს ამოცანით აზროვნების დე -
ტერმინაციას. ამრიგად, 17 წლის ბოლოსათვის აზროვნება თავისი გან-
ვითარების მწვერვალს აღწევს და ზრდადამთავრებული ად-ნის აზროვ-
ნების სახეს იღებს.

აზროვნების ფორმები – იხ. ლოგიკურ-ვერბალური ანუ ცნებითი
აზროვნება.

ათლეტური ტიპი (ბერძ. athlētēs – ღონიერი) იხ. სხეულის აგე-
ბულების ტიპები; კონსტიტუცია.

აკალკულია (ლათ. a უარყ. ნაწილ. calculatio – გაანგარიშება) – რიც-
ხვებზე მოქმედების, ანგარიშის უნარის დარღვევა. დაკავშირებულია
ტვინის გარკვეული ნაწილის განუვითარებლობასთან ან დაზიანებასთან.
ხშირად ადგილი აქვს აფაზიის შემთხვევაში.

აკვიატებული მდგომარეობა – როცა რაიმე აზრი, მოგონება, ში-
ში, სწრაფვა ან მოქმედება საკუთარი ნებისა და სურვილისაგან დამო-
უკიდებლად და განსაკუთრებული ' ძალით აკვიატება ავად-ს. ამ მოვ-
ლენის უაზრობა და მისი ავად-ური ხასიათი ავად-ს სავსებით გაცნო -
ბიერებული აქვს. იგი კრიტიკულადაა განწყობილი ა. ბ-ის მიმართ,
ცდილობს მის დაძლევას, მაგრამ საკუთარი ძალებით ამ მდგომარეობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან განთავისუფლება არ შეუძლია.

ა. მ. ორ ძირითად ფორმად იყოფა: ა) **აფექტურად ნეიტრალური შინაარსის** ა. მ-ნი: თვლა (იხ. არითმომანია), დავიწყებული ტერმინის, ან ფორმულების ა კ ვ ი ა ტ ე ბ უ ლ ი რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ა, აკვიატებული „გრძნობა" (ავად. გამუდმებით ფიქრობს იმაზე, თუ რატომაა დედამიწა მრგვალი და რა იქნებოდა, რომ ის ცილინდრული ყოფილიყო), სიტყვების ა კ ვ ი ა ტ ე ბ უ ლ ი მ ა რ ც ვ ლ ა და სხვა. ბ) **სუფექტურად დატვირთული** შინაარსის ა. მ-ნი: აკვიატებული ეჭვი და ყოყმანი—ავად. ღელავს იმის გამო, შეასრულა თუ არა ესა თუ ის მოქმედება (გამორთო თუ არა წასვლის წინ სინათლე, სწორად მოიქცა თუ არა ამა თუ იმ სიტუაციაში, სწორად შეასრულა თუ არა ესა თუ ის დავალება და სხვა). **აკვიატებული** მ ო გ ო ნ ე ბ ა - წარსულში მომხდარი უსიამოვნო შემთხვევის გამუდმებული მოგონება, **აკვიატებული** წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა — ავად. ვერ იშორებს რაიმე აბსურდულ და თანაც მეტად მძიმე შინაარსის წარმოდგენებს, თვალსაჩინოდ წარმოიდგენს, თუ როგორ იტანჯება სამარეში მისი ახლობელი, რ-იც თითქოს ცოცხლად დაასაფლავეს. ა კ ვ ი ა ტ ე ბ უ ლ ი ს წ რ ა ფ ვ ა — დაუძლეველი ლტოლვა მეტად საშიში ქცევის განხორციელებისაკენ (ვისიმე მოკვლისაკენ, ვინმესთვის თვალების დათხრისაკენ); ა კ ვ ი ა ტ ე ბ უ ლ ი შ ი შ ე ბ ი (ფობიები), რ-ებიც თავისი შინაარსით უაღრესად მრავალფეროვანია. ავად. ღელავს თავისი ჯანმრთელობის გამო, ეშინია არ დაავადდეს (ნოზოფობია), ეშინია სიკვდილის (თანატოფობია) და სხვა. აკვიატებულ შიშებს ხშირად თან ახლავს ე. წ. რ ი ტ უ ა ლ ე ბ ი, რ-იც ხორციელდება რაიმე უბედურების თავიდან აცილების მიზნით. ა. მ-თა ნეიროზები ხშირია ფსიქასთენიური წრის ფსიქოპათებთან.

აკვიატებული წარმოდგენა — ანუ პერსეევერაციული წარმოდგენა —წარმოდგენა რ-იც სუბ-ის განზრახვის გარეშე ჩნდება, ცნობიერებას ეუფლება და დიდხანს არ შორდება. მაგ., რაიმე სიტყვა, წინადადება ან მელოდია აეკვიატება კაცს, სულ თავში უტრიალებს და მიუხედავად სურვილისა, ვერ იშორებს; ქრება აგრეთვე თავისთავად, შეუმჩნეველად, განზრახვის გარეშე. თანახმად **ე. კრეჩმერისა**, ა. წ. პიროვნების კონსტიტუციურ-ტიპოლოგიური ნიშანია. ფსიქოპათოლოგიაში იგი მიჩნეულია ფს-კური დაავადების ერთ-ერთ ნიშნად.

აკინეზია (ბერძ. a — უარყ. ნაწ., kinesis — მოძრაობა) — მოძრაობის უნარის დაკარგვა, ზოგიერთი ნერვული დაავადების კატატონიური სიმპტომი.

აკომოდაცია (ლათ. accomodātio — შეგუება) — თვალის შეგუება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანთან მისი ნათლად დანახვის მიზნით. ხორციელდება თვალის ბროლის ლინზის გასქელება-გათხელებით საგნის სიახლოვე-სიშორის კვალობაზე. საგნის დაახლოვებისას ბროლი სქელდება, ამოიზნიქება, დაშორებისას თხელდება, რაც იწვევს სინათლის სხივების ისეთ გარდატეხას, რ-იც უზრუნველყოფს მათ ფოკუსირებას თვალის ბადურაზე. ახლად დაბადებულს ა. არა აქვს, იგი ვითარდება მესამე-მეოთხე თვეში.

აკროფობია (ბერძ. akros – სიმაღლე, მწვერვალი, phobos–შიში –სიმაღლის შიში) – მაღალ ადგილებზე (შენობებზე, ხეებზე, მთებზე) ასვლის შიში. ად-ანს ეშინია სიმაღლიდან გადმოხედვისა. გვაგონებს აგორაფობიას (იხ).

აკუსტიკური აგნოზია – იხ. აგნოზია.

აკუსტიკური ანუ სმენითი მეხსიერების ტიპი – ად-ნის მეხსიერების ერთ-ერთი ტიპი (იხ. დასწავლა, მისი სენსორული ფაქტორი).

ალალია (ბერძ. a –უარყ. ნაწ. და lalia – მეტყველება)–ბგერების სწორად წარმოთქმის უუნარობა. ჩვეულებრივ გამოწვეულია თავის ტვინის ქერქის (ბროკას და ვერნიკეს ცენტრის) დაზიანებით ბ-ვის დაბადებისას, ან შემდეგ ტვინის დაავადებით, ან ტრავმით. თავს იჩენს ბ-ვის მეტყველების განვითარების პერიოდში, რითაც ის განსხვავდება აფაზიისაგან. ა-ით დაავადებული ბ-ვი საჭიროებს საგანგებო ლოგოპედურ მკურნალობას.

ალგეზია (ბერძ. algos – ტკივილი) ტკივილისადმი მგრძნობელობა, მის გასაზომად შემოღებულია საგანგებო ხელსაწყო „ალგეზიმეტრი". (იხ. ტკივილის შეგრძნება; ანალგეზია).

ალგეზიმეტრი – ტკივილის შეგრძნების შემოწმების ხელსაწყო, შეიცავს საგანგებო ნემსს, რ-იც აწვება კანს მეტ-ნაკლები ინტენსიურობით.

ალგოლაგნია (ბერძ. lagneia – ავხორცობა) – ფიზ. ტანჯვასთან დაკავშირებული სქესობრივი ავხორცობა. მის აქტიურ ფორმად სადიზმი (იხ.) ითვლება, პასიურ ფორმად-მაზოხიზმი (იხ).

ალექსია (ბერძ. a-უარყ. ნაწ., ლათ lexis –სიტყვა) –კითხვის უნარის დაკარგვა. გამოწვეულია თავის ტვინის ზოგიერთი ადგილის დაზიანებით. ავად. ვერ ცნობს ასოებს, სიტყვას ვერ ადგენს (სიტყვებისადმი სიბრმავე) და ტექსტს ვერ კითხულობს. წარმოადგენს ოპტიკური აგნოზიის ერთ-ერთ სახეს. (იხ. აგნოზია).

ალტრუიზმი (ლათ. alter –სხვა) –ხასიათის თვისება, რ-ის მიხედვით სუბ. სხვასთან დამოკიდებულებაში, სხვისი ინტერესის თვალსაზრისზე დგება და უპირატესობას მას აკუთვნებს. საწინ. ეგოიზმი (იხ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფა-ტესტი (Armi – Alpha Intelligenz test) – ზოგადი გონიერების (Intelligenz) შემოწმების ტესტი შედგენილი და გამოყენებული ამერიკაში ჯარისკაცების გონებრივი განვითარების დონის შესამოწმებლად პირველი მსოფლიო ომის დროს. ტესტი შემუშავებულია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთათვის (იხ. ბეტა ტესტი).

ამბივალენტობა გრძნობის (ლათ. ambō –ორივე, valentia – ძალა). ცნება შემოტანილია ფსიქიატრ ე.ბლოილერის მიერ ფს–გიაში და ფსიქიატრიაში. ნიშნავს ერთსა და იმავე მთლიან ემოციურ მდგომარეობაში ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული გრძნობების თანაარსებობას. მაგ., ამბივალენტურია გრძნობა, თუ ერთი და იგივე საგანი, რ-იც ძალიან გიყვარს, ამავე დროს გძულს, გეზიზღება კიდეც. ზრუნვა, ნატვრა, ერთგულება, მორჩილება და ბევრი სხვა ემოცია ერთსა და იმავე დროს შეიძლება სასიამოვნოც იყოს და უსიამოვნოც; თუმცა, გრძნობის ეს ორმაგობა ერთ მდგომარეობაში განიცდება, მაგრამ ურთიერთობა მათ შორის ისეთია, რომ, როცა ერთი რ-იმე მათგანი წინწამოწეული და აქტიურია, მეორე იმავე დროს დაჩრდილულია, ან არაცნობიერად განდევნილი და შენიღბულია. ცნება ა./გ. განსაკუთრებით გამოყენებულია ფსიქოანალიზში. ზ. ფროიდის მოძღვრება არაცნობიერი ფსიქიკური ცხოვრების შესახებ გრძნობის ამბივალენტობის პრინციპზეა აგებული. ზ. ფროიდის აზრით, ამბივალენტურია ბ-ვის გრძნობები მშობლების მიმართ. ა. ბ-ის განსაკუთრებით დამახ. ნევროტიკისა და პრიმიტიული ად-ნის განცდებისათვის (იხ. გრძნობა).

ამბლიოპია (ბერძ. amblys – ბლაგვი, ops, opos - მხედველობა) -მხედველობის სისუსტე, მხედველობის სიმახვილის დაქვეითება, მხედველობის ველის შევიწროება. ორგანული ცვლილებები არ შეიმჩნევა.

ამბულატორიული ავტომატიზმი – ბინდისებური ცნობიერების თავისებური სახე. ამ დგომარეობაში, რეალურ გარემოს მოწყვეტილი ად-ნი ასრულებს საკმაოდ, რთულ, გარეგნულად მოწესრიგებულ, მაგრამ სრულიად უმიზნო ქცევას, რის შესახებ შემდეგ არაფერი ახსოვს. ა. ა-ის ფენომენია მაგ., ფუგა: ავადა. უეცრად სადღაც გარბის. გაქცევა ჩვეულებრივ ხანმოკლეა და ავადა. სწრაფად მოდის გონს. სხვა შემთხვევაში ავად. საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ხეტიალობს, საათობით მოგზაურობს სხვადასხვა ტრანსპორტით და შეტევის დასრულების შემდეგ ვერ გარკვეულა, თუ რატომ მოხვდა ქალაქის ამ უბანში. ა. ა-ის სახედ ითვლება ე. წ. სომნამბულიზმიც. ავად. ღამით ღრმა ძილის მდგომარეობაში დგება ლოგინიდან, იმეორებს ჩვეულ ავტომატურ ჩვევებს (იცვამს, დადის, ალაგებს და სხვა). შემდეგ ისევ წვება ლოგინში. ა. ა-ის დროს არ აღინიშნება ბინდისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბური ცნობიერებისთვის დამახასიათებელი ჰალუცინაციები, ილუზიები, და აფექტები. გვხვდება უპირატესად ეპილეფსიის შემთხვევაში.

ამენცია (ლათ. amēntia – ცნობიერების შეცვლა) – მწვავე ფსიკური მდგომარეობა ბოდვისა და ჰალუცინაციების მოვლენებით. თან ახლავს სხვადასხვა სულიერ აშლილობას. ავადმყოფს დარღვეული აქვს გარემოს მთლიანი აღქმა. ვერ იგებს, რა ხდება მის ირგვლივ, მომატებულადაა აგზნებული, გაუგებრად მეტყველებს.

ამიმია (ბერძ. a უარყ. ნაწ., mimeomai – ვბაძავ) –პირი–სახის გამომხატველი მოძრაობის (გამომეტყველების) ნაწილობრივი ან სრული დაკარგვა. არც ერთი სულიერი მოძრაობა (ემოცია) პირისახეზე არ აღინიშნება. სახე გაშეშებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ა. პირისახის კუნთების დამბლისა და ც.ნ.ს.ის სხვადასხვა დაავადების შედეგია. ადგილი აქვს ზოგიერთი ფს-კური დაავადების შემთხვევაშიც.

ამნეზია (ბერძ. Amnesia, a –უარყ. ნაწ. mnēsis – გახსენება, მოგონება) – მეხსიერების პათოლოგიის ერთ–ერთი სახე, რ-იც გამოიხატება განცდილი შინაარსების რეტენციისა და რეპროდუქციის უნარის დაკარგვაში. არსებობს შემდეგი სახის ამნეზიები: **ანტეროგრადული** – უშუალოდ ტრავმის შემდეგ მომხდარი მოვლენების დავიწყება, **რეტროგრადული** – იმ მოვლენების დავიწყება, რ-ებიც უშუალოდ უსწრებ-დნენ წინ ტრავმას ან გულყრას. ეს ა-ები გვხვდება ძირითადად თავის ქალას ტრავმისა და ეპილეფსიური გულყრის შემდეგ. **სისტემატური** –იმ ფაქტებისა და მოვლენების დავიწყება, რ-ებიც ფს-კურ ტრავმასთანაა დაკავშირებული, რ-თა მოგონება მძიმე და მტკივნეული იქნება სუბ-სთვის. განსაკუთრებით დამახ. ისტერიისათვის. **პერიოდული ა.** ანუ „ალტერნატიული ცნობიერება" – ავად-ის მეხსიერებიდან სავსებით იკარგება აქამდე შეძენილი ცოდნა და შთაბეჭდილებები. იგი იწყებს ახალ, მეორე ცხოვრებას: იძენს ახალ ცოდნას, ახალ შთაბეჭდილებებს, თითქოს „ახალ პიროვნებად" გადაიქცევა. დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ ადრინდელი ცნობიერება აღდგება, მაგრამ „ახალი პიროვნების" შესახებ სუბ-ს აღარაფერი არ ახსოვს. ეს ციკლი პერიოდულად მეორდება. ცნობიერების ერთ მდგომარეობაში სუბ-ს არავითარი მოგონება არა აქვს ცნობიერების მეორე მდგომარეობაში განცდილის შესახებ. ად-ში თითქოს ორი პიროვნება ურთიერთს ენაცვლება იმ-გვარად, რომ ერთმა მეორის შესახებ არაფერი იცის.

პერიოდული ა. დამახ. ისტერიისათვის. **ფიქსაციური ა.** – დამახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვრების უნარის დაკარგვა; სუბ-ს არაფერი არ ახსოვს ყოველდღიურად მიმდინარე მოვლენების შესახებ. დამახ. კორსაკოვის სინდრომისათვის. პროგრესიული ა. –დამახ. დამახსოვრების უნარის დაკარგვა და მეხსიერების მარაგის თანდათანობითი გაღარიბება თანამიმდევრული კანონზომიერებით. პირველ რიგში იკარგება ახლახან განცდილი შთაბეჭდილებები, დავიწყებულია უკანასკნელ წლებში მომხდარი მოვლენები. უფრო ადრე შეძენილი მარაგი მეხსიერებისა საკმაოდ დიდხანსაა შენახული; მეხსიერების დაკარგვა უკუწმართულებით ვითარდება–ახლიდან ძველისაკენ. გვხვდება მოხუცებულობის ჭკუასუსტობის შემთხვევაში.

ამოკი – მაღაიურ ენაზე ნიშნავს სიშმაგეს, სულიერ დაავადებას; ავად. ერთბაშად კარგავს ცნობიერებას, იპყრობს მკვლელობის ბრმა სურვილი, აგზნებულია, აგრესიულია, გარბის, ცდილობს მიაყენოს ჭრილობები რ-რც სხვას, ისე–თავის თავს. გამოფხიზლების შემდეგ თავისი ქცევა არ ახსოვს.

ამუზია – (ბერძ.) – მუსიკისადმი სიყრუე, ტონების ცნობის უნარის პათოლოგიური დარღვევა. სუბ-ს ესმის ცალკეული ტონები, მაგრამ არ შეუძლია მათი ერთობლიობაში წვდომა. თავს იჩენს ორი სახით: 1. სენსორული ა. –სუბ-ს ესმის ტონები, ვერ ამჩნევს მათ თანამიმდევრობას. 2. მოტორული ა. –სუბ. ამჩნევს ტონების თანამიმდევრობას, მაგრამ არ შეუძლია მათი რეპროდუქცია საკუთარი ხმით ან ინსტრუმენტზე. წარმოადგენს აგნოზიის ერთ-ერთ სახეს. (იხ. აგნოზია).

ანალგეზია (ბერძ. analgesia – უგრძნობლობა) – მტკივნეული გაღიზიანების მიმართ უგრძნობლობა. შეიძლება წარმოიქმნას ნარკოზის ზეგავლენით ან ზურგის ტვინის ზოგიერთი დაავადების შედეგად. ვითარდება ისტერიისა და ჰიპნოზის დროსაც. ასეთ შემთხვევაში გაღიზიანებისას ტკივილის განცდა არ ჩნდება, ხოლო შეხების გრძნობა შენარჩუნებულია. მაგ., ჭრილობა შეიგრძნობა რ-რც შეხება ან ზედაწოლა და არა რ-რც ტკივილი.

ანალიზატორი – ტერ. ა. მეცნიერებაში შემოიტანა ფიზიოლოგმა ი. პავლოვმა. აღნიშნავს ფიზიოლ–ში რთულ ნერვულ მექანიზმს ად-ში და უმაღლესი საფეხურის ცხოველებში. მისი ფუნქციაა: ორგანიზმზე მოქმედ შინაგან და გარეგან გამღიზიანებელთა დაშლა შემადგენელ ელემენტებად. ორგანიზმს მრავალი ა. აქვს. თითოეული ა. სამი ნაწილისაგან შედგება: 1. პერიფერიული ანუ გამღიზიანებლის მიმღები აპარატი (რეცეპტორი, იხ.). 2. გამტარი ნაწილი ანუ მგრძნობიარე (აფერენტული) ნეირონი, რ-აც აგზნება მიაქვს თავის ტვინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. თავის ტვინის ქერქული ცენტრი, რ-შიც ბოლოდება აგზნების გამტარი ნეირონი. ქერქულ ცენტრში წარმოშობილი აგზნება საფუძვლად ედება| გამღიზიანებლის აღქმას.

ანალიზი (ბერძ. **analysis**-დაშლა) — ყოველი მეცნ-ული კვლევის აუცილებელი მეთოდი. ა. ერთიანს და მთლიანს ყოფს შემადგენელ ნაწილებად, შლის რთულ შემადგენლობას კომპონენტებად, ცნობიერების შინაარსს — ელემენტებად. ა. ხორციელდება ლოგიკური აბსტრ-ის გზით.

1. რთული მოვლენის ელემენტებად დაშლა გულისხმობს — ელემენტებს შორის მსგავსების, განსხვავების და იგივეობის დამყარებას. 2. მოვლენის დაშლა ნაწილებად გულისხმობს მიზეზ—შედეგობრივი კავშირის დადგენას. 3. რთული ვითარების შემადგენელ ნაწილებად დაშლა-ლოგიკური| მიმართების გათვალისწინებას. ა-ს საწინ. ცნებაა სინთეზი (იხ.). აზროვნების ცოცხალ პროცესში ა. და სინთეზი ურთიერთთან დაკავშირებული პროცესებია. ფს-გიაში უფრო თავისებური და სხვანაირია, ვიდრე ფიზ-ურ ან ქიმიურ მეცნიერებებში. ქიმიური ა-ის დროს გამოყოფილი ელემენტი თავისთავად არსებული ცალკე ელემენტია. მაგ., წყლის ელემენტებად დაშლა იძლევა ჟანგბადსა და წყალბადს, ახლა უკვე რ-რც მთლიანად გამოყოფილ დამოუკიდებელ ელემენტებს, რ-აც ცალკე ჯურჭელშიც კი ვათავსებთ. ფს-გიური ა-ის შედეგად გამოყოფილ ელემენტს კი დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია, მისი დადასტურება შეიძლება მხოლოდ იმ საგნის აღქმაში, რ-შიც ის ელემენტად შედის. შეგრძნება, რ-რც ელემენტარული ფს-კური ფაქტი, აღქმის ანალიზის შედეგად მიიღება და აღქმის გარეშე არ არსებობს. მაგ., ფერის შეგრძნება საგნობრივ შინაარსში გვეძლევა, მაგრამ არ არსებობს ნორმალურ პირობებში ისეთი შემთხვევა, რომ ფერი ოდესმე რომელიმე საგნის აღქმის გარეშე, ცალკე, რ-რც დამოუკიდებელი ფერი, განიცდებოდეს. შეგრძნება, რ-რც აღქმის ელემენტი „კონკრეტულ ცნობიერების შინაარსში თავის განცალკევებული სახით არას-დროს არ გვეძლევა“. (დ. უზნაძე). მაშასადამე, ა. ფს-გიაში ელემენტს ამჩნევს მხოლოდ მთლიანში, მისი გამოყოფა ფაქტიურად „ხელოვნურ-განყენებული აზროვნების პროდუქტია“ (დ. უზნაძე).

ანალიზური ფსიქოლოგია —ზოგადი მნიშვ. მიმდინარეობა ფს-გიაში, რ-ის კვლევის ძირითადი მეთოდი არის ანალიზი. კერძო მნიშვ. მიმდინარეობა ფს-გიაში რ-ის წარმომადგენელია კ. იუნგი, ვ. შმიდტ კოვარჩიკი, დ. ფ. სტაუტი, უპირ. ზ. ფროიდის ფსიქოანალიზს. არ არსებობს ერთიანი ანალიზურ ფსიქოლოგიური თეორია.

ანალოგია (ბერძ. **analogos** —შესატყვისობა) — მსგავსება, თანხმობა, ერთიანობა მიმართებებისა საგანთა, მოვლენათა და ცნებათა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის. ა. შეიძლება მონახულ იქნას მოვლენათა შორის ყველგან, მაგრამ შემეცნებითი მნიშვ-ის მქონეა მხოლოდ ა. **არსებით ნიშანთა მიხედ** - ვით. ა. რ-რც დასკვნის ფორმა გულისხმობს, რომ გარკვეული ნიშნების მიხედვით მსგავსი საგნები შეიძლება მსგავსნი იყვნენ სხვა, ჯერ კიდევ შეუმჩნეველი ნიშნების მიხედვითაც. ამ გაგებით ა. ფართოდაა გამოყენებული რ-რც ბუნებისმეტყველებაში (ბიოლოგიაში, ასტრონომიაში და სხვა), ისე სოციოლოგიასა და ფს-გიაში. (იხ. ანალოგიით დასკვნის თეორია).

ანალოგიით დასკვნის თეორია— ფს-გიური თეორია, რ-ის თანახმად ად-ნის განცდების და საერთოდ სხვისი სულიერი ცხოვრების წვდომა და გაგება შეიძლება მხოლოდ საკუთარ განცდებთან ანალოგიის საფუძველზე, მაგ, როცა მწუხარე ვარ—ვტირი; როდესაც ვხუდავ, რომ სხვა ტირის, მსგავსების საფუძველზე დავასკვნი, რომ ისიც მწუხარეა. შემეცნების ასეთ მეთოდს ფს-გიაში „ანალოგიით დასკვნის მეთოდი" ეწოდება.

ანალური ფაზა — (ლათ ānus — ყითი) — ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ტერ. ფს-გიაში გულისხმობს ბ-ვის სექსუალურ განვითარებაში ერთ—ერთ პერიოდს, სახელდობრ, ორალური ფაზის მომდევნო ფაზას, რ-იც გრძელდება 2 წლიდან 3 წლამდე. ბ-ვში ლიბიდოზურ. კმაყოფილებას ამ პერიოდში, ფროიდის აზრით, იწვევს დეფეკაციის რეფლექსით გარკვეული ადგილების გაღიზიანება და საჯმლის მონელების ნარჩენი მასისაგან განთავისუფლება. მისი აზრით, ამ აქტიდან ფიქსირდება აგრეთვე სისუფთავის ჩვევის მოთხოვნილება და ხასიათის პედანტური მიდრეკილება (იხ. ორალური ფაზა).

ანამნეზი (ბერძ. anamnēsis —მოგონება) —მედიც-ში ცნობები ავად-ის ცხოვრების შესახებ დაავადებამდე და ავად-ბის განვითარების სურათი. ა-ს ადგენს ექიმი. იგი საჭიროა დიაგნოზის დასადგენად.

ანართრია (ბერძ. arthron — ასო (სხეულის სახსარი) — აფაზიის თავისებური ფორმა, მარცვლებისა და სიტყვების არაგამოკვეთილად, დაუნაწევრებლად წარმოთქმა. დაწერილის და გაგონილის გაგება დაცულია, დარღვეულია საარტიკულაციო აპარატი (ენის, ტუჩების ხორხის კუნთების ფუნქციობა). იხ. აფაზია.

ანდრომანია (ბერძ. andros — მამაკაცი, mania — ვნება, გაშმაგება) —ქალის აწეული სექსუალური მისწრაფება მამაკაცისადმი. სინონიმია ნიმფომანია (იხ). ცნება შემოტანილია ე. ბლოილერის მიერ.

ანესთეზია (ბერძ. anaisthēsia — უგრძნობლობა) — სხეულის რ-იმე ნაწილის ან ორგანოს მგრძნობელობის შესუსტება ან დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვა. ჩვეულებრივად ა-ს მიმართავენ მედიცინაში ქირურგიული ოპერაციის დროს. ა. (უგრძნობლობა) ემოციაში გულისხმობს მგრძნობელობის დაკარგვას სხვისი მდგომარეობის მიმართ, თანაგრძნობის უნარის უქონლობას.

ანთროპოლოგია (ბერძ. anthrōpos – ადამიანი, logos –მოძღვრება) – ბუნებისმეტყველური მეცნ. ად-ნის რასების შესახებ, შეისწავლის მის ბიოლოგიურ რაობას, წარმოშობას, ევოლუციას. ის განიმარტება, რ-რც „ზოგადი შედარებითი მეცნიერება ადამიანის შესახებ".

ანთროპომეტრია (ბერძ. anthrōpos – ადამიანი და metreō – ვზომავ) – ად-ნის სხეულის და მისი ნაწილების გაზომვის მეთოდი. გამოიყენება ანთროპოლოგიაში და მედიც-ში.

ანთროპომორფიზმი (ბერძ. anthrōpos და morphē – ფორმა) – ადამიანური თვისებების მიწერა ბუნების მოვლენებისათვის, საგნების თვის; კერძოდ, ფს-გიაში ნიშნავს ად-ნის ფს-კური თვისებების (გრძნობის, აზრის, მისწრაფების) გადატანას ცხოველებზე. რ-რც ცხოველის ფსიქიკის და ქცევის შესწავლის მეცნ-ული მეთოდი იგი უვარგისია.

ანთროპოცენტრიზმი, ანთროპოცენტრული – მსოფლმხედველობა, შეხედულება, რ-ის თანახმად ადამიანია მსოფლიო შემოქმედების ცენტრი, მისი საბოლოო მიზანი და, ყველაფერი, რაც კი ხდება მსოფლიოში, ადამიანისკენ არის მიმართული.

ანიმალიზმი – (ლათ animal ცხოველი) – შეხედულება, რ-აც ცხოველური თვისებები გადააქვს ად-ნის ფს-კაზე. საპირ-ა ანთროპომორფიზმი (იხ).

ანიმიზმი (ლათ. anima – სული) – 1. ბუნების მოვლენების სულის მქონედ მიჩნევა; რწმენა, რომ ყოველ საგანს აქვს თავისი საკუთარი სული. ანიმისტური შეხედულება დამახ. პირველყოფილი და, საერთოდ, პრიმიტიული ხალხებისათვის, გვხვდება ზოგიერთ რელიგიურ მოძღვრებაშიც. 2. ე. ბ. ტაილორის შეხედულებით ა. კულტურულ-ანთროპოლოგიური ცნებაა და აღნიშნავს პირველყოფილი ად-ნის ანთროპომორფისტულ შეხედულებებს (იხ. ანთროპომორფიზმი). ვ. ჟ. პიაჟეს გამოკვლევების მიხედვით, ა. ბ-ვის ონტოგენეზურ განვითარებაში წარმოადგენს ერთ-ერთ გარდამავალ საფეხურს.

ანკეტური მეთოდი (ფრანგ. enquête – გამოკითხვის ფურცელი) – ად-ნთა გარკვეული ჯგუფის წერილობითი ან ზეპირი გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით. მიზნად ისახავს მასობრივი სტატისტიკური მასალის დაგროვებას რაიმე ფს-გიური ამოცანის გადასაწყვეტად. ფს-გიის ერთ-ერთი დამხმარე მეთოდია. გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთი საკითხის შესასწავლად, სხვადასხვა ასაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ვთა იდეალებისა და ინტერესების საკვლევად და სხვ. ა. მ-ით შედარებით ფართოდ სარგებლობენ ფს-გიური მეცნიერების პრაქტიკულ—გამოყენებით დარგში. პირველად გამოიყენეს ინგლისში და ამჟამად განსაკუთრებით გავრცელებულია ამერიკაში საზოგადოებრივ შეხედულებათა გამოკვლევის მიზნით (იხ. „საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა").

ანომალიური ბავშვი (ბერძ. anomalia —არაერთიანობა, არამსგავსება, არანორმალობა,) ბ-ვი, რ-აც აქვს ფს-კური ან ფიზ. დეფექტი.

ანომალია ორი სახისაა: **შეძენილი და თანდაყოლილი. თანდაყოლილი ანომალია** გამოწვეულია ან მემკვიდრეობითი ფაქტორებით ან ემბრიონზე უარყოფითი ქიმიური, მექანიკური და ტემპერატურული ზეგავლენით (ინტოქსიკაცია, ტრავმა, გაცივება). **შეძენილი ანომალია** ძირითადად გამოწვეულია ადრიან ბ-ობაში (დაბადებიდან პირველი 2—3 წელი) გადატანილი მძიმე დაავადებით (ენცეფალიტი, მენინგიტი, პოლიომიელიტი, წითელა, ქუნთრუშა და სხვ). ა. ბ. საჭიროებს საგანგებო სწავლა—აღზრდას სპეციალურ დაწესებულებაში.

ა. ბ-ვების ძირითადი ჯგუფები: 1. ბ-ვები სმენის დეფექტებით (ყრუ—მუნჯები, გვიან დაყრუებულნი, სუსტი სმენის ბ-ვები); 2. ბ-ვები მხედველობის დეფექტით (უსინათლონი, სუსტად მხედველნი); 3. ყრუ-მუნჯ—უსინათლონი; 4. გონებრივად ჩამორჩენილნი (დებილი, იმბეცილი, იდიოტი); 5. მეტყველების მძიმე დარღვევით (ალალია, აფაზია, დიზართრია, ენაბლუობა).

ა. ბ-ვის სწავლა—აღზრდა წარმოებს მათი გონებრივი და ფიზ. დეფექტის თავისებურებათა შესატყვისად, სპეციალურად ორგანიზებულ პირობებში. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა ა. ბ-ვმა (გონებრივად სუსტი ბ-ვის გარდა) მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, დაეუფლა მეცნ-ულ ცოდნას და გახდა საზოგადოებრივად სასარგებლო ადამიანი. მაგ., ყრუ-მუნჯ—ბრმა ამერიკელმა ელენ კელერმა (დ. 1880) დაამთავრა უნივერსიტეტი და მიიღო სამეცნიერო ხარისხი. ყრუ-მუნჯ-ბრმა ლაურა ბრიჯმენი (1829—1859, ამერიკა) დაეუფლა წერა-კითხვას და მიაღწია გონებრივი განვითარების მაღალ დონეს. ჩვენში ცნობილია ოღლა ივანეს ასული სკოროხოდოვა (დ. 1914), ადრეულ ბავშვობაში დაკარგა სმენა და მხედველობა და ჩქარა შემდეგ — მეტყველებასაც. სწავლობდა ხარკოვში, უსინათლო და ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-კლინიკაში. მიიღო უმაღლესი განათლება, დაიცვა პედ. მეცნ. ხარისხი, ეწევა მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას.

ანორექსია (ბერძ. an — უარყ. ნაწ., orexis — მადა) —ჯამის მადის უქონლობა, ითვლება ან ნევროზულ, ან ფსიქოსომატურ სიმპტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მად. რ-რც რეაქცია, დამახასიათებელია ბ-ვობის ასაკისათვის და პუბერტატული პერიოდისთვის.

ანოსმია (ბერძ: an—უარყ. ნაწ. osmē — სუნი) — სუნის შეგ-რძნების უქონლობა.

„ან სულ, ან არაფრის კანონი" — ფიზიოლ-ის კანონი, რ-იც შეიმჩნევა გაღიზიანებისა და აგზნების ურთიერთდამოკიდებულებაში. თანახმად ამ კანონისა, ქვეზღურბლული გამღიზიანებელი არ იწვევს ცოცხალ უჯრედში აგზნებას („არაფერი"), მაგრამ როდესაც გამღი-ზიანებელი ზღურბლურია ან ზეზღურბლური, მაშინ აგზნების სიძ-ლიერე მაქსიმალურია („სულ"); ე. ი. ცოცხალი უჯრედი გაღიზიანება-ს თუ უპასუხებს, მთელი თავისი ენერგიით უპასუხებს და არა ნაწილ-ბრივ.

„ან სულ, ან არაფრის კანონი" თითქოს წინააღმდეგობაშია ვებერ ფეხნერის კანონთან, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ გაღიზიანების ინტენსიურობის მატების კვალობაზე, გარკვეული წე-სით, მატულობს აგზნების ინტენსიურობაც და, მაშასადამე, სათანა-დო შეგრძნებაც. მაგრამ ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. საქმე ისაა, რომ ყოველი ნერვის ან კუნთის ღერო შედგება **მრავალი ბოკ-კოსაგან.** როდესაც გაღიზიანება ზღურბლურია ან ზეზღურბლური, მა-შინ ყველა ბოკკო კი არ აღიგზნება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი. „ან ან სულ, ან არაფრის კანონი" ვრცელდება ერთ ნერვულ ან კუნ-თურ ბოკკოებზე. თუ ბოკკო აღიგზნო, ის მთელი თავისი მარაგით აღიგზნება. როდესაც გაღიზიანება მატულობს, მაშინ ბოკკოების **მე-ტი რაოდენობა აღიგზნება.** ამიტომ საერთო ეფექტიც უფრო დიდია. ამით გასაგები ხდება ვებერ-ფეხნერის კანონიც, რ-იც გულისხმობს, რომ მოქმედი გაღიზიანების ინტენსიურობის ზრდის შედეგად, გარ-კვეული წესით მატულობს შეგრძნებაც.

ანტაგონისტური ფერები (ბერძ. antagōnistés — შეურიგებლად დაპირ-ლი) —ორი ისეთი სპექტრალური ფერი, რ-თა შერევა იძლევა რუხ ფერს, მაგ., წითელი—მწვანე, ყვითელი—ლურჯი. სხვანაირად მათ უწოდებენ. შემავსებელ (კომპლემენტურ), კონტრასტულ ფერებს (იხ. ფერთა შერევის კანონი).

ანტიპათია ბერძ. antipathein უარყოფითი ემოციური განწყობილება /სიძულვილი, ზიზღი/ ვინმეს ან რაიმეს მიმართ. საპირ. სიმპათია /იხ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიციპაცია (ლათ anticipatio განჭვრეტა) 1. წინასწარი გამოცნობა ანუ პროსპექტული ხედვა იმისა, რაც შემდგომ უნდა მოხდეს. 2. აზროვნების ფს-გიაში მიღებული იყო ცნება „ანტიციპაციური სქემა", რ-იც დასმული ამოცანის სახით ასრულებს აზროვნების პროცესში „დეტერმინაციის" როლს. ცნობიერების მდგომარეობა (bewusstsoinsloge) რ-იც აზროვნების პროცესში ჩნდება და როგორც ერთგვარი წინასწარი გადაწყვეტილება პრობლემისა განსაზღვრავს აზროვნების მიმართულებას (იხ. ვიურცბურგის სკოლა).

აპათია (ბერძ. apatheia – უგრძნობლობა) –ისეთი სულიერი მდგომარეობა ანუ განწყობილება, როცა ად-ნი მოდუნებულია, სრულებით გულგრილი, უემოციო, გარემოს ზემოქმედებაზე არ ამჟღავნებს არც სიამოვნების, არც უსიამოვნების გრძნობას, მოკლებულია გარემოსადმი ინტერესს. ა. შეიძლება წარმოიშვას გადაღლის შედეგად. ეს ნორმალურია და ჩქარა გაივლის; მაგრამ შეიძლება ა. იყოს ქარაქტეროლოგიური ნიშანი, ე. ი. ხასიათის, ტემპერამენტის გამოვლინება. ა. შეიძ-ლება იყოს აგრეთვე ფიზ. ან ფს-კური დაავადების ნიშანი, რ-იც საგანგებო მკურნალობას საჭიროებს.

აპერცეფცია (ლათ. ad - თან და perceptio – აღქმა) –ფს-გიაში ნიშნავს: ცნობიერების აქტიურ მოქმედებას, მოაწესრიგოს ახალი გრძნობადი შინაარსი, მოაქციოს ის ცნობიერების ნათელ ველში, განასხვაოს უკვე მანამდე ცნობილი ფს-კური შინაარსებისაგან, ან მიაკუთვნოს რომელიმე მათგანს. ამ გაგებით. ა. საფუძვლად უდევს აზროვნების პროცესებს.

ტერ. ა. პირველად შემოიტანა ფილოს-ში გ. ვ. ლაიბნიცმა. იგი განასხვავებდა „მცირე აღქმას" (petite perceptions), რ-რც არაცნობიერ აღქმას, აპერცეფციისაგან, რ-რც ! ცნობიერი აღქმისაგან ა-ად იგი თვლიდა ისეთ ფს-კურ პროცესს, რ-ის საშუალებითაც არაცნობიერი, ბნელი, ბუნდოვანი წარმოდგენა აღწევს ცნობიერებას და იქცევა ნათელ და გამოკვეთილ წარმოდგენად. ი. კანტმა ა-ის სხვა გაგება მისცა: იგი განასხვავებდა ორგვარ ა-ას – ფს-გიურს, ანუ ემპირიულს და ტრანსცენდენტალურს. ემპირიულ ა-დ იგი თვლიდა ცნობიერებას თავისი ცვალებადი შინაარსებით; ტრანსცენდენტალურ ა-დ კი წმინდა, კონსტანტურ, სინთეზურ და აქტიური „მე"-ს, რ-იც მოცემულ გრძნობად მრავალსახეობას ცნებაში აერთიანებს.

ფს-გიაში ა-ის ცნება შემოიტანა ი. ფ. ჰ ე რ ბ ა ტ მ ა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი აზრით, ა. არის ახალი გრძნობადი შინაარსების, აღქმების და წარმოდგენების გადამუშავება ცნობიერებაში ძველი წარმოდგენების საფუძველზე. ამ ძველ წარმოდგენებს ის უწოდებდა „გამააპერცეფცირებელ“ წარმოდგენებს, ანუ „აპერცეფციულ მასას“.

ვ. ვუნდტი აპერცეფციის ცნებას მჭიდროდ „უკავშირებდა“ ყურადღებას; მისი აზრით ა. ის ცალკეული ფს-კური აქტივობის უნარია, რ-იც ამა თუ იმ ფს-კურ შინაარსს სრულ გარკვეულობას ანიჭებს. მაშასადამე, ვ. ვუნდტის მიხედვით, ა. ეწოდება ყოველი ფს-კური შინაარსის ნათელ წვდომას, თანახმად ამისა ყველა სახის მაღალი შემეცნებითი ფორმა ა-იის პრინციპს ეყრდნობა; ივი მჭიდროდაა დაკავშირებული მდგომარეობასთან, რ-აც ყურადღება ეწოდება – ივი ყურადღებითა და ნებელობით აღბეჭდილი ფს-კური მოქმედებაა. ამრიგად, ა. აზროვნების პროცესის აქტიური მხარეა და საპირისპირო ცნებაა პერცეფ-ციისა. ეს უკანასკნელი ვ. ვუნდტის აზრით, შინაარსების ისეთი წვდომაა, რ-იც მოკლებულია ყურადღების თანმხლებ მდგომარეობას. ა-ის ამ ნაირნაირ გაგებათაგან მეცნიერებას შემორჩა უფრო მეტად და განსაზღვრული მნიშვ. ჰერბარტისებური კონცეფცია („აპერცეფციული მასა“), რ-იც განსაკუთრებით პედ-შია გავრცელებული.

აპერცეფციული ფსიქოლოგია –ეყრდნობა ვ. ვუნდტის ფს–გიურ მოძღვრებას, რ-ის თანახმად ფს-კური პროცესების მიმდინარეობას საფუძვლად უდევს აპერცეფცია. რ-რც ნებელობის აქტი. ამით ვ. ვუნდტმა ა. ფ. დაუპირისპირა ასოციაციურ ფს-გიას.

აპეტენციური ქცევა (გერმ. appetenzverhalten, ინგლ. apptitive behaviour, ლათ. appetentia – სურვილი, ღტოლვა, სწრაფვა) –ვიწრო მნიშვ. ეწოდება: მიზანშეწონილ ინსტინქტურ მოქმედებას, რ-იც რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საბოლოო მიზნისაკენ არის მიმართული.

აპოსტერიორი (ლათ. a posteriori შემდეგი, მომდევნო) – ფილოს. ტერმინი, ნიშნავს ცნებას, მსჯელობას, დებულებას, რ-ლიც ემპირიულად ცდისეული მონაცემების საფუძველზეა მიღებული. საპირის. აპრიორი (იხ).

აპრაქსია (ბერძ. apraxia, a –უარყ. ნაწილ., praxis – მოქმედება, –მოძრაობის ნებისმიერი შესრულების უნარის დაკარგვა; ცნობილია შემდეგი შემთხვევები: 1. ავად. საჭიროებისამებრ ენას თავისუფლად ამოძრავებს, თვალებს ხუჭავს–აღებს, ტანისამოსს იცვამს, ღიღებს იბნევა–იხსნის, კოვზით ჭამს და სხვა, მაგრამ იმავე მოძრაობებს სხვისი დავალებით ვერ ასრულებს. 2. იდეატორული ა.: ავად. კარგად ასრულებს რთული მოძრაობის შემადგენელ ნაწილობრივ აქტებს, მაგრამ თანა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდევრობას ვერ იცავს, ერთმანეთში ურევს მით და მოლიან ხოულ: მოქმედების ეერ ასრულებს, ასეთ ავად-ს დარღვეული აქვს მოქმედების ფორმული (ჰ. ლიბმანი). ამის სიფუძვლად უდევს სიგნალების ქვეშეული ანალიზისა და სინთეზის დარღვევა ტვინის სათანადო ნაწილების დაზიანების გამო. სათანადო პედ-ური ღონისძიებით შესაძლებელია დარღვეული მოქმედების აღდგენა და განვითარება.

აპრაქსია (ლათ. a priori -წინა, უადრესი) — ფილოს. ტერ. ნიშ - ნავს ცდისეწინარეს, ცდისაგან დამოუკიდებელ ცნების, მსჯელობას, დებულებას, რ-იც გამოყვანილია წმინდა ფონებისაგან და არაა მიღებული ემპირიიდან (ი. კანტი). სპორ. ანოსტერიორი (იხ).

არაგრძნობადი აღქმა (გერმ. Außersinnliche Wahrnehmung—ASW, ინგ. Extra sensory perception = ESP) პარაფსიქოლოგიური ფენომენების აღმნიშვნელი ტერმინი. პარაფსიქიის მიხედვით ა. ა. ნიშნავს სუბიექტის მიერ დროით და სივრცით დაშორებულ მოვლენათა და საგანთა აღქმას, გარესამყაროდან ინფორმაციის მიღების ანა გრძნობის ორგანოების გვით (რეცეპტორებით). არამედ— სპონტანურად ასეთია ყოველგვარი წინაგრძნობა, ნათელხედვა, მკითხაობა, „ორეულის ხილვა" (ს Zwillings Gesicht) და სხვა. ა. ა. გავრცელებულია განსაკუთრებით პარაფსიქიის სამ სფეროში: ტელეპათია, ტელესთეზია, პრეკოგნიცია. (იხ.). ცნება „ა. ა". (ი. რინენ ეიფოლდა ექსპერიმენტალური კვლევის საგნად აქცია. სა - და. ეკუთვნა ამ ცნებაში მის მიერ ნაგულისხმევი ფენომენი ექსპერ. — სტატისტიკური მეთოდით (ESP ჟარტების ტესტი, 1930, ამერიკა).

ა. ა. -ის არსებითი ნაკლი ისაა, რომ მის იკვლევა ყოველი აღწერისადმი ეფუძნებული პოზიტიური კრიტერიუმი. ამ ცნებისთვის

შეცნ-ული შინშვ-ის მიკერძო შეუძლებელია. ეკანასკნელ პერიოდში გაჩნდა მიღრეკილება დაერქვას მას სხვა სახელი, მაგ., ბიოინფორმაცია, ფსიქტრონიკა და სხვა.

აბსოლუტურ-ინო განცდა ანუ აბსოლუტურ-ინო შინაარსები — აზროვნების პროცესი არ ამოიწურება მხოლოდ თვალსაჩინო შინაარსებით: შეგრძნების, აღქმის და მაგი რეპროდუქციული სახეებით, ანუ წარმოდგენებით ექსპერ— ად დადასტურებულია, რომ აზროვნების პროცესში გარდა ამ თვალსაჩინო შინაარსებისა კიდევ განიცდება რაღაც ისეთი, რაც გრძნობად რეალობას მოკლებულია და ამიტომ ივარაუდებ-ლსაჩინო განცდაა. ექსპერ-ის პროცესში ა. ჯ-ის ცდა-ები ცდა-ნან ანუ აზრს უწოდებენ. ა. ჯ-ის აზრებობა. აზროვნების პროცესში, პირველად დადასტურდა და აღინიშნა „ეიფოლდის (ფსიქ. ეიფოლ სკოლის" ექსპერ-ულ გამოკვლევებში, რ-იც ფ. კიულპე ხელმძღვანელობდა, (იხ ეიფოლდის სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაპირდაპირი თვითდაკვირვების მეთოდი – თვითდაკვირვება, რ-აც ექსპერიმენტატორის დავალებით თავის თავზე აწარმოებს ცპ. რ-ის მონაცემებით სარგებლობს ფს-გი მკვლევარი. საპირ-ა პირდაპირი თვით-დაკვირვება, როდესაც ფს-გიურ დაკვირვებას თვითონ მკვლევარი თავის თავზე აწარმოებს (იხ. თვითდაკვირვება).

არაპირდაპირი მხედველობა – მხედველობა, რ-იც ხორციელდება თვალის ბადურის პერიფერიული ნაწილების საშუალებით, ამიტომ მას სხვანაირად პერიფერიული მხედველობა ეწოდება. საპირ. ცენტრალური ანუ პირდაპირი მხედველობა, რ-იც ხორციელდება ბადურის „ყვითელი ლაქისა" და მისი ცენტრალური ფოსოს საშუალებით.

არარეალიზებული განწყობა – ტერმინი დ. უზნაძის განწყობის თეორიაში. ნიშნავს განწყობას, რ-იც სუბ-ს შეუმუშავედა და გაუფიქ-სირდა, მაგრამ გარკვეული პირობების გამო სათანადო ქცევის სახით ვერ გამოვლინდა.

არასოდეს არნახულის ილუზია. (ფრანგ. illusion du jamais vu) იხ. უკვე ნახულის ილუზია.

არასპეკტრალური ფერები იხ. ფერთა შეგრძნება.

არაცნობიერი (გერმ. Unbewusstes) – ცნობიერების საპირ. ცნება. ჩვეულებრივი გაგებით ნიშნავს შეუგნებელ მოქმედებას, როცა სარა აქეს გათვალისწინებული თავისი მოქმედების მიზანი, განხორ-ციელების საშუალებები და მოსალოდნელი შედეგები.

რ-რც ფს-გიური ცნება, ა. გულისხმობს ისეთი ფს-კური მოვლე-ნების არსებობას რ-ებსაც ცნობიერება აკლია, სუბ-ის მიერ არ განიც-დება და, მაშასადამე, ცნობიერების გარეშე მიმდინარეობენ. მაგ., ამ მოძღვრების თანახმად, აღქმა, წარმოდგენა, მსჯელობა, დასკვნა, ემო-ცია, სურვილი, მისწრაფება და სხვა, არსებობენ არა მარტო რ-რც ცნობიერი მოვლენები, არამედ, ავრეთვე ა. სახითაც (გ. ფ. ფეხნერი ჰ. ჰელმჰოლცი, ი.ფ. ჰერბარტი, ედ. ჰარტმანი, ზ. ფროიდი და სხვე-ბი).

ფს-გიაში ა-ის ცნება შემოტანილ იქნა ცნობიერ მოვლენათა ახსნის მიზნით. რიგი ფს-გიური ფაქტების გაგება მოითხოვს ცნობიე-რების ველიდან გასვლას და სხვა ისეთი ფაქტორის მოძებნას, რ-იც შეიძლება ცნობიერებას მოკლებული იყოს, მაგრამ ფს-კურის ახსნის მოთხოვნას აკმაყოფილებდეს. ფს-გიაში ცნობილი თეორიები ა. ფს-კუ-რის არსებობის შესახებ არსებითად იდეალისტური ფილოს-დან მომდინ-არეობენ და ამიტომ პოზიტიურ-მეცნ-ულ ღირებულებას მოკლებული არიან.

ა. მეცნ-ული კვლევის საგნად ზ. ფროიდმა აქცია. ა-ის მეცნ-ულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად შემეცნების პრობლემა პირველად მან დააყენა. სპეციფიკა ფროიდის ა-ისა ის არის, რომ, მისი აზრით, ყოველი ცნობიერი განცდა შეიძლება ა. გახდეს და პირიქით.

ზ. ფროიდის კონცეფციით ა. ფსიქიკა ჩნდება სექსუალური შინაარსის წარმოდგენების ცნობიერებიდან განდევნის შედეგად. მაგრამ განდევნილი შინაარსი სუბ-სათვის უშედეგოდ არ იკარგება, იგი აგრძელებს არსებობას ახლა უკვე, რ-რც ა. და ზემოქმედებს სუბ-ის ფს-კაზე შემაწუხებლად და იწვევს მასში| ნევროზულ მდგომარეობას. ამ აზრით, ა. ფს-კური მოვლენების მარეგულირებელი ფაქტორია (იხ. ფსიქოანალიზი).

ა-ის ცნობიერ ფს-კურზე ზემოქმედების მეცნ-ული დასაბუთების ახალი ცდა მოცემულია ქართველი ფს-გის **დ. უზნაძის** განწყობის თეორიაში. ამ თეორიის თანახმად ა. განწყობა ეკვმიუტანელი სინამდვილეა, მაგრამ იგი არსებობს არა რ-რც ცალკეული კონკრეტული ფსიქიკური შინაარსი — ა. აღქმის, წარმოდგენის თუ აზროვნების სახით, როგორც ამას ფროიდი ფიქრობდა-არამედ რ-რც მთლიანი სუბ-ის „მზაობა" ანუ განწყობა გარკვეული |აქტივობისადმი. ზ. ფროიდის ე. წ. „კომპლექსები" რ-ებიც ფარულად ზემოქმედებენ სუბ-ზე და მუდამ კონფლიქტში დგანან სუბ-ის ცნობიერ ცხოვრებასთან, დ. უზნაძის თეორიით, სუბ-ის არარეალიზებული ფიქსირებული| განწყობებია. მაგრამ ასეთი არარეალიზებული განწყობები პიროვნებაში მოცემულია გამონა-|კლისის სახით. ჩვეულებრივ განწყობა არ იმყოფება სუბ-ის ცნობიერ ცხოვრებასთან კონფლიქტურ მიმართებაში, |არამედ საფუძვლად უდევს ფს-კის მთელ მუშაობას და არეგულირებს მის მიზანშეწონილ |დამოკიდებულებას გარემოსთან.

არითმომანია — „აკვიატებული მდგომარეობის" ერთ-ერთი სახე, სუბ. ითვლის ყოველ |საგანს, რ-აც კი აღიქვამს, არ შეუძლია დაძლიოს ეს მიდრეკილება, თუმცა მას ძალიან აწუხებს და უნდა თავიდან მოიცილოს. (იხ. აკვიატებული მდგომარეობა).

არისტოტელეს ილუზია — ილუზიის ერთ-ერთი სახე. თუ საჩვენებელ და შუა თითებს გადავაჯვარედინებთ და მათ შორის პატარა მრგვალ საგანს მოვაქცევთ და სწრაფად ვამოძრავებთ მას ამ ორ თითს შორის, მივიღებთ ილუზიურ შთაბეჭდილებას, თითქოს ორ საგანს ვეხებოდეთ. ეს ილუზია პირველად| შეამჩნია არისტოტელემ.

არტიფიციალიზმი (ლათ. **artij-fex**—ხელოვანი, ოსტატი, შემოქმედი) — შემოტანილია ბ-ვის ფს-გიაში **ჯ. პიაჟეს** მიერ, აღნიშნავს: ბ-ვის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ ტენდენციას განიხილოს ბუნების ყოველი მოვლენა, რ-რც ად-ნის მოქმედების პროდუქტი. მაგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მცენარე | იფურჩქნება“ იმიტომ, რომ დედა აიძულებს მას გაიფურჩქ - ნოს“. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბ-ვს წარმოდგენილი აქვს, რ-რც კეთების პროდუქტი.

არქაული ფსიქიკა (ბერძ. **archaios** პირველსაწყისი, ძველი) — ფს-კა, რ-ის არსებით ნიშანს ისეთი პრიმიტიული განცდები შეადგენს, რ-ბიც | დამახ. ად-ნის განვითარების დასაწყისი საფეხურებისათვის. გადმონაშთის სახით მას ვხვდებით მაღალ კულტურულ დონეზედაც. მაგ., ცრუ - მორწმუნეობა, სულების, მოჩვენებების, დემონების არსებობის რწმენა.

არქეტიპი (ბერძ. **archaios** —თავდაპირველი, **typos** - ხატი, ტიპი). კ. იუნგის მიხედვით: პირველსახე, თავდაპირველი წარმოდგენის ხატები, დასაბამის, საწყისის სახეები; იგულისხმება განცდის ის | სახეები და წარმოდგენები, რ-ებიც | წარმოიქმნენ | უხსოვარი დროის დასაწყისში, ად-ნთა იმ დროის წინაპრებში, როდესაც ახლად იდგამდა ფეხს პირ - ველყოფილი კულტურა, იღვიძებდა ცნობიერება, ცხოველებზე, ად-ნებზე, მოქმედ ძალებზე ისახებოდა პირველი წარმოდგენები. ეს წარმოდგენა-ხატები იმავე შინაარსით გადადიოდა თაობიდან თაობაში და „კოლექ-ტიური წარმოდგენის“ პროდუქტად იქცეოდა (იხ. „კოლექტიური წარ.- მოდგენა“). მზაობის ან | ინსტინქტის სახით ისინი მოქმედებენ ყოველი ხალხის და ყოველ | დროის ად-ნებში: ცხადდებიან სიზმარში ან | მთვლე-მარე მდგომარეობაში, გადადიან შემოქმედებაში, რ-რც მითიური მო-ტივები, ზღაპრების პერსონაჟები, ერწყმიან რელიგიურ შეხედულებებს და ამ სახით კვლავ და კვლავ ცხადდება და ცოცხლობს გარდასული და მივიწყებული ისტორიული ფენა და კულტურის პირველი საფეხური, და, მეორდება დაუსრულებლად ამ უხსოვარი ეპოქის ად-ნში წარმოქმნილი | სიღრმითი შინაარსი თავისი პირველყოფილი „არქეტიპული“ სახეებით.

ასაკი 1. ორგანიზმის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაჩენიდან არ-სებობის ნებისმიერ მომენტამდე. იზომება წლებით, თვეებით, | დღეებ-ით და სხვა. ამას ეწოდება „ქრონოლოგიური ა.“ განვითარების თვალ-საზრისით ა. გულისხმობს აგრეთვე პერიოდს, რ-იც შეიძლება ერთ ან რამდენიმე ქრონოლოგიურ ა-ს შეიცავდეს, მაგ., „სკოლის წინარე ა.“ (4—7 წ წ.), „პირველი სასკოლო ასაკი“, (7—12 წ წ.) და სხვა. ქრონ-ოლოგიურ | ა-ს უწოდებენ აგრეთვე „ბიოლოგიურ“ ა-ს (იხ. ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია). ფს-გიაში შემოღებულია ქრონოლოგი-ური ასაკისაგან განსხვავებით, „გონებრივი ასაკის“ ცნება, რ-იც ასა-ხავს გონებრივი განვითარების დონეს.

| **ასაკობრივი გარემო** — ცნება ა. გ. მეცნ-ში შემოტანილია დ. | უზ-ნაძის მიერ, ეხება შინაგანისა (მემკვიდრეობით მოცემულს) და გარე-მო პირობების ურთიერთობის საკითხს ბ-ვის განვითარების პროცესში.

ა. გ.-ს თანახმად ბ-ების შინაგანი ძალების, უნარების განვითარება დამოკიდებულია შესაფერის გარემოზე, რომ ყოველ ასაკს თავისი სპეციფიკური ა. გ. შეესატყვისება. მაგრამ „გარემოს“ ცნებაში ის გულისხმობს არა ყველა იმ გამღიზიანებელს, რ-იც ფიზ. გარემოშია მოცემული, არამედ მხოლოდ ისეთს, რ-იც შეესატყვისება ბ-ების შინაგან ძალებს და **წარმოადგენს განვითარების სტიმულსა და აუცილებელ პირობას.**

ა. გ. ყალიბდება სოც. წრის მიერ და სოც. კულტურის საგანგებო მზრუნველობის საგანს შეადგენს. „ბ-ების ძალთა განვითარება, ერთი მხრით, მასზე მოქმედ ა. გ-ზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრით, პირიქით, თვითონ ა. გ-ს შინაარსი ბ-ების ძალთა განვითარების შესაძლებლობებით განისაზღვრება“ (დ. უზნაძე).

ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია – ბ-ების ფს-გიაში ცნობილია ბ-ების განვითარების პერიოდებად დაყოფის რამდენიმე ცდა. ზოგი ავტორი (მაგ., შტრაცი) პერიოდიზაციის საფუძველად იღებს ფიზ. ორგანიზმის ზრდის ფაქტორებს და გამოყოფს ოთხ ძირითად პერიოდს: 1. ძუძუს ხანა –ერთ წლამდე; 2. ნეიტრალური, „უსქესო“ ბ-ვობის ხანა – 7 წლამდე; 3. მეორე ბ-ვობის ხანა – სქესობრივ მომწიფებამდე და 4. სქესობრივი მომწიფების, პუბერტატის ხანა. პ. ბლონსკი ა. გ-ის პერიოდიზაციას საფუძველად უდებს კბილების ამოსვლას და ცელას: 1. ბ-ების მუცლად ყოფნის პერიოდი; 2. უკბილო ბ-ვობის პერიოდი; – ერთ წლამდე; 3. სარძევე კბილების ხანა. –7 წლამდე; 4. მუდმივი კბილების ხანა. **შტერნი** ორ დიდ პერიოდს განასხვავებს: ბ-ვობის ხანას პუბერტატამდე და პუბერტატის ხანას. ცალმხრივ პრინციპზე, მხოლოდ ფიზ. ნიშანზე აგებული პერიოდიზაციები ვერ იძლევა ფს–კური განვითარების სრულ სურათს. საქმის ვითარებას უფრო ასახავს დ. უზნაძის მიერ დადგენილი კლასიფიკაცია, რ-იც ემყარება ბიოლოგიურ და სოც. ფაქტორთა ერთიანობის პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით მან გამოჰყო: 1. ბ-ების „დედის მუცლად ყოფნის“ ხანა – ჩასახვის მომენტიდან დაბადებამდე; 2. ახალდაბადებულობის, ხანა – დაბადებიდან ერთი–ორი თვე; 3. ძუძუს ბ-ვობის ხანა – მესამე თვიდან მეორე წლამდე; 4. სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი-2 წლიდან 4 წლამდე; 5. სკოლის წინარე ასაკი – 4 წ-დან –7 წლამდე; 6. პირველი სასკოლო ასაკი – 7 – 12 წლამდე. 7. მეორე სასკოლო ასაკი – 12–17 წ-ამდე.

ფს-გიაში მიღებულია აგრეთვე დაყოფა: 10-დან 12 წ-მდე პრეპუბერტატული პერიოდი, 12–17 წ-მდე პუბერტატული პერიოდი, და 18–22 წ-მდე ადოლესცენცი (ის). ამის შემდეგ იწყება მოწიფულობის (დავაკაცების) ხანა, როცა ყველა ფსიქო-ფიზ. ფუნქციის განვითარება ოპტიმალურ დონეზე იმყოფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწიფულობა გრძელდება დიდხანს, დაკავებული აქვს ად-ნის მთელი შემოქმედებითი პერიოდი, გაივლის სიჯარმაგის ხანას და თან-დათან გადადის თვისობრივ ახალ პერიოდში— სიბერეში, სადაც იწყება და მიმდინარეობს განვითარების საპირ. პროცესი — უკუგანვითარება, ინვოლუცია.

ბ-ვის ყოველი ასაკობრივი პერიოდი განვითარების თავისებურ ეტაპს წარმოადგენს, რ-რც მიღწეულთა რაოდენობრივი მაჩვენებლით, ისე დიფერენციულ თვისობრივი ნიშნების მიხედვით. განვითარების თითოეული პერიოდისათვის დამახ. ქცევის გარკვეული ფორმა, რ-იც დომინანტობს ამ პერიოდში სხვა ქცევაზე და გამოხატავს ბ-ვის თავისებურ დამოკიდებულებას გარემოსთან. ა.' გის ყოველი პერიოდი ფს-კურ მოვლენებზე დაკვირვება— ექსპერიმენტისა და პედ. დაკვირვების საფუძველზე დადგენილი მეც. ცნებაა, რ-იც ბ-ვის ასაკობრივ შესაძლებლობას ითვალისწინებს. ცნობილია, რომ ქართული ენა შეიცავს ბ-ვის განვითარების 'პერიოდების აღმნიშვნელ სიტყვებს. ასეთია: ჩვილი, ყრმა, მოზარდი, ყმაწვილი, ჭაბუკი, ახალგაზრდა, მოწიფული და სხვა. მაგრამ განვითარების მეცნ-ად დადგენილი პერიოდის აღსანიშნავად ეს სიტყვები გამოუსადეგარია, რადგან მათ ყოველდღიურ მეტყველებაში და მწერლობაში იყენებენ სულ სხვადასხვა პერიოდის აღსანიშნავად. ამიტომ ისინი არ ასახავენ განვითარების პერიოდებს, რ-რც 'ურთიერთისაგან გამოდიფერენცირებულ საფეხურებს.

ასაკობრივი თავისებურება იხ. ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია.

ასაკობრივი ფსიქოლოგია —ფსიქოლოგიაში ასაკი ორი მნიშვ. იხმარება. ვიწრო მნიშვ. იგი აღნიშნავს ბიოლოგიურ (ქრონოლოგიურ) ასაკს და ფართო მნიშვ. — განვითარების პერიოდს, რ-იც ერთ ან რამდენიმე ასეთ ბიოლოგიურ ასაკს შეიცავს (იხ. ასაკი).

ა. ფ. შეისწავლის თითოეული ასაკობრივი პერიოდისათვის დამახასიათებელ ფსიქო-ფიზ. თავისებურებას.

ასთენია — (ბერძ. **asthenéia, a** — უარყ. ნაწ. **sthenos** — ძალა-ულონობა) მედიც-ში — სისუსტე, ულონობა. ფს-გიაში — დაქვეითებული ფს-კური ტონუსი. (იხ. სხეულის აგებულების ტიპები; ასთენიური ტიპი).

ასთენიური ტიპი (ლეპტოზომური) — ად-ნის სხ;ეულის აგებულების ერთ-ერთი ტიპი (ე. კრეჩმერით), რომლისთვისაც დამახ. სიგამხდრე, კუნთოვანი სისტემის სუსტი განვითარება, ვიწრო გულ-მკერდი, გადაჭარბებულად გრძელი კიდურები; სახე ფერმკრთალი, პირსახე მკვეთრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხაზული, კვერცხის ფორმის. უკავშირდება შიზოთიმიკურ ტემპერა - მენტს. (იხ. სხეულის აგებულების ტიპები).

ასთენიური აფექტი—უარყოფითი გრძნობები: შიში, სირცხვილი, მწუხარება, სასოწარკვეთილება, სევდა-|დარდი—ა.| ა-ის გამოვლინებებია. ახას. ყველა შესატყვისი ფიზიოლ. პროცესის (სუნთქვა, მაჯისცემა, სისხლის მიმოქცევა და სხვა) დაქვეითება (იხ. აფექტი). საპირ. სთენიური აფექტი.

ასიმილაცია (ლათ. assimilatio — მიმსგავსება, შერწყმა) — 1. ფიზიოლ-ში ორგანიზმის მიერ გარემოდან მიღებული ნივთიერების გარ - დაქმნა, გადამუშავება და ორგანიზმში მისი შეყვანა. საწინ. „დისიმილაცია . დაშლა. 2. ფს-|გიაში — აღქმაში მიღებული ახალი შთაბეჭდილების მიმსგავსება, შერწყმა ძველ შთაბეჭდილებასთან (წარსულ გამოცდილებაში მოცემულ შინაარსთან). საგნებისა და მოვლენების აღ - ქმა ა-ის პროცესს ემყარება: როცა სხვის მეტყველებას ვუსმენთ ჩვენ გვესმის სიტყვის მხოლოდ ზოგიერთი ბგერა, მაგრამ აღვიქვამთ მთელ სიტყვას, |იმიტომ, რომ სიტყვის ძველმა შთაბეჭდილებამ ამ ბგერების ა. მოახდინა, როცა ვკითხულობთ ტექსტს, სიტყვის ყველა შემადგენელ ასოს კი არ აღვიქვამთ, არამედ მხოლოდ ზოგიერთს, მაგრამ ვკითხულობთ მთელ სიტყვას იმიტომ, რომ სიტყვის ძველმა |შთაბეჭდილებამ წ-|კითხული ბგერების ა. მოახდინა. კორექტურული შეცდომა ხშირად არ შეიმჩნევა და შეცდომით დაბეჭდილი სიტყვა მაინც სწორად იკითხება. ა-ის პროცესს ემყარება საგნის ცნობაც. ნაცნობს აღვიქვამთ ზოგი - ერთი ნიშნის მიხედვით; ღრუბლის ნაფლეთს აღვიქვამთ ზოგჯერ რ-რც ცხოველს, ზოგჯერ რ-რც ფანტასტიკურ მოვლენას. ყველა ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მოცემული ობიექტური შინაარსის მიმსგავსებას სუბ-ის წარსულ გამოცდილებაში მოცემულ შინაარსთან. შეიძლება ნაცნობ საგანში ზოგიერთი ნიშანი ახალი ან შეცვლილი იყოს, მაგრამ ამ სა - განს მაინც ნაცნობად აღვიქვამთ იმიტომ, რომ აღქმის ძველი შინაარ-სი იმსგავსებს ახალ ნიშნებს. ახალი შთაბეჭდილების ა. ძველ შთაბეჭ-დილებასთან ზოგჯერ შეიძლება მცდარიც იყოს. ეს ხდება მაშინ, რო-ცა გამოცდილებაში მოცემული ძველი შინაარსი იმსგავსებს სრულიად შეუფერებელ ჰეტეროგენულ შთაბეჭდილებას. ასეთ |შთაბეჭდილებაში ა. იქცევა ილუზიური აღქმის წყაროდ. ხის კუნძი მშიშარა ადამიანს შე-იძლება სიბნელეში მგლად ან ყაჩაღად მოეჩვენოს. არსებითად ასეთია შემთხვევები, როცა ორ ერთდროულად, ან თანამიმდევრულად მოქმედ გამღიზიანებელს შორის ინტენსიურობის ან სიდიდის მხრივ განსხვავ - ება |მცირეა, და როცა ეს განსხვავება რ-რც წესი, აღქმისას უფრო მცირე ხდება, ანდა სრულიად ისპობა და ტოლი სიდიდის ან ტოლი ინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტენსიურობის გამღიზიანებლად განიცდება. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი გამღიზიანებელი იმსგავსებს მეორეს, მაგ., დიდი გამღიზიანებელი პატარა გამღიზიანებელს ზრდის, თავის ტოლად აქცევს, ან შებრუნებით: პატარა გამღიზიანებელი იმსგავსებს დიდს. ამ ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ ა. განსხვავებულია აპერცეფციისაგან.

ასიმილაციური ილუზია — იხ. განწყობის ილუზიის სახეები.

ასოციაცია წარმოდგენათა (ლათ. associo — ვაერთებ, ვაკავშირებ) —ფს-ვიაში კანონი, წესი, რ-ის მიხედვით წარმოდგენები ერთმანეთს იწვევენ ცნობიერებაში. ა. გულისხმობს წარმოდგენათა შორის ისეთ კავშირს (დამოკიდებულებას), როცა ერთი წარმოდგენა იწვევს ან აღადგენს ცნობიერებაში მეორე წარმოდგენას. მაგ., ვხედავ, (აღვიქვამ) ფოტოგრაფიულ სურათს და მიჩნდება წარმოდგენა ამ ნაცნობი სახისა; მესმის ხმა და მაგონდება (წარმომიდგება) ნაცნობი, რ-იც ასეთი ხმით ლაპარაკობს. ყველა ასეთ შემთხვევაში წარმოდგენის რეპროდუქციას (აღდგენას) აღქმა იწვევს. მაგრამ არის მეორე შემთხვევაც, როცა ერთი წარმოდგენა მეორეს იწვევს. მაგ., წარმომიდგა ნაცნობის სახე და მაშინათვე წარმომიდგა მისი ბინა, ბინის წარმოდგენამ მომაგონა ის ნაცნობები, რ-თაც აქ ვხედებოდი, მომაგონა ის ქუჩა, სადაც ეს სახლი იმყოფებოდა და ა. შ. **წარმოდგენათა ასეთ ჯაჭვურ თანამშრომლობას წარმოდგენათა ასოციაცია ეწოდება.** იგი პასიური მეხსიერების ერთ-ერთი ფორმაა, რ-შიც სუბ. წარსულს მხოლოდ წარმოდგენის სახით განიცდის, ე. ი. ნაცნობ შინაარსს იგი კვლავ კი არ აღიქვამს, არამედ მის ხატს განიცდის. ა-ის ფიზიოლ. საფუძვლები დადგენილია ი. სეჩენოვისა და განსაკუთრებით ი. პავლოვის მოძღვრებაში პირობითი რეფლექსის შესახებ. წარმოდგენათა ასოციაციური დაკავშირება გაპირობებულია დროებითი ნერვული გზების გაკაფვით ჰემისფეროების სხვადასხვა პუნქტებს შორის (იხ. პირობითი რეფლექსი). წარმოდგენათა ა-ას გარკვეული მნიშვ. აქვს სწავლა-აღზრდის პროცესისათვის. ცოდნა-ჩვევის შეძენას საფუძვლად უდევს კავშირების დამყარება გარკვეულ წარმოდგენათა შორის. ახალი მასალის შეთვისება-დაუფლება შესაძლებელია მხოლოდ ძველ, უკვე შეძენილ ცოდნასთან, მისი დაკავშირებით.

ასოციაციის კანონები — წარმოდგენათა ასოციაციური დაკავშირება ოთხი ძირითადი კანონის მიხედვით ხდება (რ-თაც ჯერ კიდევ პლატონი და, განსაკუთრებით კი, არისტოტელე იცნობდა): მსგავსების, კონტრასტის, სივრცეში მეზობლობის და დროში მეზობლობის. 1. **მსგავსების კანონი:** ერთმანეთს უკავშირდება და აღდგება შინაარსის მხრივ მსგავსი წარმოდგენები, მაგ., ალ. მაკედონელის წარმოდგენა ნაპოლეონს გვაგონებს იმიტომ, რომ ეს წარმოდგენები შინაარსით მსგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსია (ორივე დიდი სარდაღი იყო); ვეფხის წარმოდგენა იწვევს ლომის წარმოდგენას და სხვა. 2. **კონტრასტის კანონი:** ურთიერთს უკავშირდება და აღდგება შინაარსის მხრივ საწინ. წარმოდგენები: მაგ, თეთრი-შავი, მაღალი-დაბალი, ცა-დედამიწა და სხვა. 3. **სივრცეში მეზობლობის** კანონი: ურთიერთს უკავშირდება და აღდგება ისეთი წარმოდგენები, რ-თა შინაარსი სივრცეში მეზობლად ყოფილა აღქმული, მაგ., მთვარე–ვარსკვლავი, საწერი მაგიდა–წიგნები, სახლი-ქუჩა. 4. **დროში მეზობლობა:** ურთიერთს უკავშირდება და აღდგება წარმოდგენები, რ-ნიც ერთდროულად ან, თანამიმდევრულად ყოფილან აღქმულნი, მაგ., ნაცნობის ხმა იწვევს მისი სახის წარმოდგენას (ერთდროული), ელვა იწვევს გრუხუნის წარმოდგენას, დღე-ღამისას, „ანი"–„ბანისას" (თანამიმდევრული). ახალ ხანაში ასოციაციის აღნიშნული კანონები ერთ ძირითად კანონზე – დროში მეზობლობაზე – იქნა დაყვანილი (იხ. ასოციაციის კანონთა რედუქცია).

ასოციაციის კანონთა რედუქცია – ასოციაციის კანონები (მსგავსება, კონტრასტი, მეზობლობა დროში, მეზობლობა სივრცეში) არსებითად ერთ კანონზე (დროში მეზობლობაზე) იქნა დაყვანილი: კონტრასტის ა. იგივეა, რაც მსგავსებისა, რადგან კონტრასტული შინაარსები რაღაც ნიშნის მიხედვით მსგავსნიც არიან (თეთრი და შავი ორივე ფერია); სივრცეში მეზობლობა იმავე დროს დროში მეზობლობაცაა (მთვარე და ვარსკვლავი ერთდროულად ან თანამიმდევრულად აღიქმება), მსგავსების კანონი კი დროში მეზობლობაზე დაიყვანება, რადგანაც მსგავსი ნიშნები ერთდროულად, ან თანამიმდევრულად აღიქმება. ამრიგად, ასოციაციონისტთა აზრით, დროში მეზობლობის კანონი მოიცავს წარმოდგენათა ასოციაციური დაკავშირების ყველა შემთხვევას.

წარმოდგენათა ასოციაციური დაკავშირების აღნიშნული ოთხი კანონი თუმცა დროში მეზობლობის ერთ კანონზე იქნა დაყვანილი, მაგრამ საბოლოოდ ვერც ეს კანონი ხსნის წარმოდგენათა ურთიერთთან დაკავშირების (ასოციაციის) ფაქტს.

დ. უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად, წარმოდგენათა ურთიერთთან დაკავშირებას განწყობა განსაზღვრავს: „როდესაც სუბიექტზე ესა თუ ის წარმოდგენა მოქმედებს, იგი მასში შესაფერის განწყობას იწვევს და რა წარმოდგენები გაუჩნდება მას ამის შემდეგ, ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რა მთლიანი განწყობა აქვს მას. ყველა ცალკეულ ფაქტორს – ე. წ. ასოციაციის კანონს – მსგავსებას თუ მეზობლობას – მხოლოდ იმდენად აქვს ფაქტორის ღირებულება, რამდენადაც მას გარკვეული განწყობა უდევს საფუძვლად". (დ. უზნაძე).

ასოციაციური ექსპერიმენტი – ორგვარია: წყვილური და ჯაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვური. რ-რც წყვილური, ისე – ჯაჭვური შეიძლება იყოს თავისუფალი და შეზღუდული. **წყვილური თავისუფალი:** ცდ-ს ეძლევა გარკვეული სიტყვა-გამღიზიანებელი მოსმენით ან წერილობით, რ-საც მან უნდა უპასუხოს, დაუფიქრებლად, თავში მოსული პირველი სიტყვით. ექსპერ-ატორი ზომავს რეაქციის დროს. **წყვილური შეზღუდული:** სიტყვა-გამ-ღიზიანებელს ცდ-მა უნდა უპასუხოს არა ნებისმიერი სიტყვით, არამედ ექსპერ-ატორთან წინასწარი შეთანხმების მიხედვით: მაგ. სიტყვაზე „სახლი" – უპასუხოს მხოლოდ ისეთი სიტყვით, რ-იც სახლის ნაწილს აღნიშნავს: კარი, ჭერი, ფანჯარა ან სხვა. **ჯაჭვური თავისუფალი** ექსპერ-ის შემთხვევაში ცდ-ს ეძლევა წინადადება მიცემული სიტყვის საპასუხოდ ჩამოთვალოს ყველა სიტყვა მიყოლებით, რ-იც კი თავში მოუვა. დრო წინასწარ განსაზღვრულია. **ჯაჭვური შეზღუდული** ექსპერ-ი ცდ-ს ეძლევა წინადადება ჩამოთვალოს მხოლოდ გარკვეული კატეგორი-ის სიტყვები, მაგ., მხოლოდ ცხოველები, ან ფრინველები, ან სხვა.

წყვილური თავისუფალი ა. ე. საშუალებას იძლევა გამოაშკარავ-დეს სუბიექტის ფარული (კომპლექსური) განცდები (კ. იუნგი). უკა-ნასკნელ შემთხვევაში საპასუხო სიტყვა პირდაპირ კავშირში არ დგას სიტყვა–გამღიზიანებლებთან და ატარებს ემოციურ ტონს, რეაქციის დრო კი ჩვეულებრივზე უფრო გრძელია. ცდ. აგვიანებს პასუხს და თა-ნაც ერთგვარ მოუსვენრობასაც ავლენს. წყვილური შეზღუდული და ჯაჭვური შეზღუდული ა. ე. სუბიექტს გარკვეული ამოცანის გადაწ-ყვეტას ავალებს და ამიტომ ინტელექტის და საერთოდ ფსიქიკური გან-ვითარების დონეს გვიჩვენებს. ჯაჭვური თავისუფალი ა. ე. არსებითად იმასვე ავლენს, რასაც წყვილური თავისუფალი– „განდევნილ განცდებს". ზ. ფროიდი მას იყენებდა ნევროზით დაავადებულთა მკურნალობის მიზ-ნით.

ასოციაციური მეხსიერება –პასიური მეხსიერების ერთ-ერთი ფორმა. შთაბეჭდილების დახსომება და აღდგენა ასოციაციის კანონებ-ის მიხედვით ხდება (იხ. დახსომება).

ასოციაციური ფსიქოლოგია (ასოციაციონიზმი)– ეწოდება იმ მიმართულებას ფს-გიაში, რ-იც წარმოდგენათა ასოციაციას განიხი-ლავს რ-რც ყოველგვარ ფს-კურ მოვლენათა დაკავშირების უზოგადეს პრინციპს. აზროვნება და ყველა მაღალი ფს-გიას პროცესი ა. ფ-ას. ასოციაციის კანონებიდან გამოჰყავს ამ კანონს იგი თვლის ზოგადი მნიშ-ის მქონედ ფს-კურ მოვლენათა სფეროში, რ-რიცაა მსოფლიო მი-ზიდულობის კანონი ფიზ. მოვლენათა სამკვიდროში. ისტორიულად ეს ვლინდებოდა ზოგჯერ, რ-რც ფიზიოლ. მიმართულება ფს-გიაში (ბიჰე-ვიორიზმი), ზოგჯერ რ-რც წმინდა ფს-გიური (ასოციაციონიზმის სა-ხით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოციაციონიზმს რ-რც მოძღვრებას საფუძველი ჩაეყარა ინგლისის ემპირისტულ ფილოს-ში. (ფ. ბეკონი, ჯ. ლოკი, დ. იუმი). ფს-გიური მიმართულების სახით განვითარდა განსაკუთრებით მე-18 მე-19 ს-ში (ი. პრისტლი, ე. ჰერტლი, ა. ბენი, ჰ. სპენსერი, თ. რიბო, ი. ჰერბარტი, ჰ. ებინგჰაუსი). იხ. ასოც. კანონები.

ასოციაციური შეკავება ანუ შეფერხება – უკვე შემუშავებული და განმტკიცებული ასოციაციის კავშირი უარყოფით (შემაკავებელ) გავლენას ახდენს ახალი ასოც. კავშირის შემუშავებაზე. ვთქვათ, დამყარებულია ასოციაცია a და b წარმოდგენათა შორის, ამის შემდეგ c წარმოდგენის დაკავშირება a წარმოდგენასთან ძნელდება, ვინაიდან პირველი კავშირი (a+b), რ-იც a-სთან მსგავს წევრს შეიცავს, აფერხებს ახალი ასოციაციის შემუშავებას. ამიტომ ახალი ასოციაციური კავშირის (a + c) დასამყარებლად საჭიროა ჩვეულებრივზე უფრო მეტი გამეორებათა რიცხვი. წერა-კითხვის სწავლების პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ფრანგული შრიფტის შესწავლას ხელს უშლის უკვე დასწავლილი რუსული შრიფტი, რადგან ორივე შეიცავს სხვადასხვა ბგერითი გამოხატულების ზოგიერთ საერთო ასოს, მაგ., რუსულში ასო п წარმოითქმის, რ-რც „პ", т რ-რც „ტ", и – რ-რც „ი". ფრანგულში შესატყვისად п წარმოითქმის რ-რც „ნ", т რ-რც „მ", и რ-რც „უ" და სხვა. ამიტომ ფრანგულად კითხვის სწავლისას ბ-ვი კარგახანს ურევს ერთმანეთში ამ ასოებს. ამით გასაგები ხდება ის ცნობილი გამოცდილება, რომ დასწავლილის გადაკეთება უფრო ძნელია და მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ახლის დასწავლა. გარდა აღწერილი ა. ! შ-ა ფს-გიურ მეცნიერებაში დადასტურებულია შეკავებები რეტროაქციული და რეპროდუქციული. შეკავების ეს სამივე სახე პირველად დაადასტურა ეგ. ე. მიულერმა, ოღონდ ასოციაციურ შეკავებას მან უწოდა „გენერაციული", რეპროდუქციულს– „ეფექტუალური" (სახელწოდებები „ასოციაციური" და „რეპროდუქციული" მიულერის შემდეგ დაარქვა ჰ. ებინგჰაუსმა). შეკავების აღნიშნული სახეები თავს იჩენს ჩვევის შემუშავების პროცესში და ინტერფერენციის სახელწოდებით არის ცნობილი.

ატავიზმი (ლათ. atavus – შორეული წინაპარი) –შორეული წინაპრისათვის დამახასიათებელი ფს-კური თუ სხეულებრივი ნიშნის გამოვლენა განვითარების მოცემულ საფეხურზე – ისეთი ნიშნისა ან თვისებისა, რ-იც შორეული წინაპრების კუთვნილება ყოფილა, განვითარების პროცესში დაკარგულა და უახლოეს გენერაციებში სავსებით აღკვეთილა. ახასიათებს იშვიათობა (ვლინდება ერთეული შემთხვევით), არ აქვს რაიმე სასიცოცხლო მნიშვ. პირიქით–მავნებელიცაა მაგ., ცნობილია შემთხვევა, რომ დაიბადა ად-ანი საკმაოდ მოგრძო კუდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი და ხშირი თმით დაფარული ტანით და სხვა. არ შეიძლება ა-ის გაიგივება რაიმე დეფექტთან, მაგ., ტუჩგაპობილობასთან, მიკროცეფალიასთან, მგლის ხახასთან და სხვა. ა. შეიმჩნევა ად-ნის ;ქცევაშიც, მაგ., როცა კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომი პიროვნება რაიმე ნივთს მიაწერს მაგიურ ძალას და ატარებს მას (ამულეტის, თილისმის, ჯადოს რწმენა). ზ. ფროიდი და კ. იუნგი სიზმარში გამოვლენილ მითიურ წარმოდგენებს ა-ის გამოვლენად თვლიდნენ.

ატავისტური ტენდენცია – არსებობს შეხედულება (სტენლი ჰოლი), რომ ად-ნი თავის განვითარების პროცესში გაივლის კაცობრიობის მიერ განვლილ ყველა კულტურულ საფეხურს, ახდენს თავისი გვარის ისტორიული წარსულის რეკაპიტულაციას. გულისხმობენ რომ ად-ნში მოქმედებენ გარკვეული ა. ტ-იები, რ-თა ნიადაგზე შესაძლებელი ხდება წინაპრებისკენ მიბრუნება, წარსულის განახლება. ეს თეორია ანტიისტორიულადაა მიჩნეული და უარყოფილია.

ატაქსია (ბერძ. **ataxia**, – უარყ. ნაწ. **taxis** – წესრიგი) მოძრაობათა კოორდინაციის პათოლოგიური დარღვევა; დაკარგულია მოძრაობათა თანამიმდევრული შესრულების უნარი. გამოყოფენ: არტიკულაციურს, ვესტიბულურს (ლაბირინთულს), დინამიკურს, ლოკომოტორულს, ისტერიულს, სტატიკო-ლოკომოტორულს და სტატიკურ ა-ს.

ა. გამოწვეულია თავის ტვინის სხვადასხვა ნაწილების, ზურგის ტვინის, ნათხემის და აგრეთვე ვესტიბულარური აპარატის დაზიანებით.

ატომისტიკური ფსიქოლოგია (ბერძ. **atomos** – განუყოფელი) მიმართულება ფს-გიაში, რ-იც ყოველ რთულ ფს-კურ მოვლენას განიხილავს რ-რც ელემენტარული ფს-კური პროცესების უბრალო ჯამს. ამის მიხედვით, ადამიანის მთელი ფს-კური ცხოვრება, მისი ცნობიერების მთლიანობა, ელემენტების მოზაიკური შეკავშირებიდან მიღებული წარმონაქმნია. ატომისტიკური იყო არსებითად მთელი მე-19 ს. ბუნებისმეტყველურად ორიენტირებული ახსნითი და ასოციაციური ფს-გია, რ-თაც ისტორიულად მთლიანობის ფსიქოლოგიის მიმდინარეობანი დაუპირისპირდა: გეშტალტფსიქოლოგია; სტრუქტურული ფს-გია და პერსონალისტური ფს-გია (იხ).

აურა (ლათ. **aura** – ჰაერის ნაკადი, ნიავის ქროლა) – მედიცეპილეფსიური გულყრის წინამდგომარეობა. ახასა. გარკვეული მოტორულ–ვეგეტატიური და ფს–კური ცვლილებები (მთქნარება, ზმორება, გულისრევა, თავბრუსხვევა, ჰალუცინაციები, ცუდ გუნებაზე ყოფნა).

აუტიზმი (ბერძ. **autos** – თვითონ) – ტერმინი ეკუთვნის ფსიქიატრ ე. ბლოილერს. აღნიშნავს პიროვნების არანორმალურ ფსიქიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობას: ად-ნი კარგავს რეალობის გრძნობას, ჩაკეტილია თავის თავში, ქმნის საკუთარ აფექტურ, ფანტასტიკურ სამყაროს, შეუვალია გარესინამდვილის ზეგავლენისთვის. გაურბის საზოგადოებას, მიდრეკილია განმარტოებისაკენ, შეპყრობილია ჰალუცინაციებით და ბოდვითი იდეებით. აუტისტური აზროვნება არადისციპლინირებული, იმპულსური და აფექტურია. დამახ. შიზოიდური ტიპის ად-სთვის, შიზოფრენიის სიმპტომია.

აუტისტური აზროვნება –იხ. აუტიზმი.

აუტოსუგესტია – თვითშთაგონება, როცა ად-ნი თვითონ შთაგონებს თავის თავს. (იხ. შთაგონება).

აფაზია –(ბერძ. aphasia, a–უარყ. ნაწ. phasis – გამოთქმა, მეტყველება) – მეტყველების დარღვევა. ორი სახისაა: ძოტორული და სენსორული. **მოტორული ა:** ავადმყოფს ესმის სხვისი მეტყველება, წვდება სიტყვების მნიშვ-ას, მაგრამ თვითონ მოკლებულია სიტყვების წარმოთქმის უნარს; შეიძლება იყოს სრული, როდესაც ავად. სავსებით მოკლებულია სიტყვების წარმოთქმის უნარს და ნაწილობრივი – როდესაც შენარჩუნებულია მხოლოდ ზოგიერთი ცალკე სიტყვებისა და მოკლე ფრაზის წარმოთქმის უნარი. **სენსორული ა:** სუბ-ს შეუძლია სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ არ ესმის წარმოთქმული სიტყვების მნიშვ. სენსორული ა. მოსმენილი სიტყვებისადმი სიყრუეა. არასამეტყველო ბგერების – ხმაურის, ტონების –აღქმა შენარჩუნებულია. ა., მოტორული და სენსორულიც, ცენტრალური წარმოშობის დაავადებაა. მოტორული ა. გამოწვეულია თავის ტვინის ქერქში მეტყველების მამოძრავებელი ცენტრის (ბროკას ცენტრის) დაზიანებით, მოთავსებულია შუბლის წილის ქვედა მესამე ხვეულში. სენსორული ა. გამოწვეულია მეტყველების მგრძნობიარე ცენტრის დაზიანებით, რ-იც მოთავსებულია თავის ტვინის ქერქის საფეთქლის ზედა ხვეულში (ვერნიკეს ცენტრი). სენსორული ა. შეიძლება იყოს ტოტალური, როცა ავად-ს დაკარგული აქვს საკუთარი მეტყველების გაგების უნარიც. ა. დაკავშირებულია ალექსიასთან, აგრაფიასთან; განსხვავდება აღალიისაგან; მისი ერთ-ერთი ფორმაა ანართრია (იხ.).

აფერენტული ნეირონი (ლათ. afferens, entis –მომტანი) მგრძნობიარე (სენსორული) ნეირონი, რ-აც აგზნება გადააქვს პერიფერიიდან (რეცეპტორებიდან) თავის ტვინის ქერქში.

აფექტი (ლათ. affectus – სულიერი მღელვარება,) – თავისებური ემოციური განცდა. ჩნდება ერთბაშად, აფეთქების მსგავსად, ხანმოკლეა, მიმდინარეობს მწვავედ, დიდი ინტენსიურობით, იწვევს სულიერ შერყევას, ად-ნი გამოდის ნორმალური მდგომარეობიდან, განსხვავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფება ვნებისაგან; რ-იც ქრონიკულია, თან სდევს გამოკვეთილი სხეულებ-
რივი გამოვლინებები (გამომხატველი მოძრაობები), შეცვლილია: მაჯის
ცემა, სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა, კუჭ-ნაწლავისა და ენდოკრინული
ჯირკვლების მოქმედება. გავლენას ახდენს ად-ნის მთელ ფს-კაზე, გა-
მორიცხავს ცნობიერებიდან იმას, რასაც აფექტის შინაარსთან კავში-
რი არა აქვს, ეუფლება ცნობიერებას და შესაფერისად განსაზღვრავს
წარმოდგენებისა და აზრების მიმდინარეობას. ფს-გიაში განასხვავებენ
აფექტების ორ ჯგუფს (კანტის კლასიფიკაცია): სთენიურს და ასთე -
ნიურს. სთენიური ა-ებია: რისხვა, სიყვარული, აღტაცება, სიხარული,
სიძულვილი; ასთენიური – შიში, სირცხვილი, მწუხარება, სასოწარკვეთი-
ლება, დარდი. სთენიური ა-სთვის დამახ. გაძლიერებული სხეულებრივი
ცვლილებები – ხშირი სუნთქვა, მომატებული სისხლის მიმოქცევა, გა -
ძლიერებული გულისცემა და სხვა; ასთენიურისათვის – ყველა ამ ფიზი-
ოლ. პროცესის შესუსტება, დაქვეითება. გულის და მაჯის ცემა ნელ -
დება, სისხლის მიმოქცევა სუსტდება, (რაც იწვევს პირისახის გაფერ-
მკრთალებას), თვალის გუგა ვიწროვდება ან ფართოვდება, ად-ნი კან-
კალებს მთელი სხეულით, კიდურები ეკვეთება.

ა. შეიძლება იყოს ნორმალური და პათოლოგიური. პათოლოგიური
ა.-ის დროს ად-ნის ცნობიერება უკიდურესად შევიწროვებულია, ზოგ-
ჯერ სრულ აღკვეთამდე. ასეთ შემთხვევაში სუბ. ანგარიშმიუცემლად
მოქმედებს, თავის თავს კონტროლს სრულიად ვერ უწევს, კარგავს
თავშეკავების უნარს და შეიძლება ბოროტმოქმედებაც კი ჩაიდინოს.
პათოლ. ა-ისთვის დამახ. ჩადენილი მოქმედების სრული ამნეზია, აფექ-
ტიდან გამოსვლის შემდეგ ად-ნს არ ახსოვს ა-ის მდგომარეობაში ჩა-
დენილი საქციელი.

აფინიტეტი (ლათ. affinitas – მოყვარეობა, ნათესაობა) ტერ. ა.
ფს-გიაში აღნიშნავს წარმოდგენათა შორის არსებულ მსგავსებას,
რ-იც საფუძვლად ედება მათ ასოციაციურ დაკავშირებას.

აფონია – (ბერძ. aphōnia, a –უარყ. ნაწ., phōnē – ბგერა) ხმა-
მაღლა მეტყველების უნარის დაკარგვა. ად-ნს შეუძლია მხოლოდ ჩუ-
მი ან ჩურჩულით ლაპარაკი. ა. შეიძლება გამოიწვიოს ხორხის დაავა-
დებამ (გაცივება, დამბლა, სიმსივნე), შეიძლება აგრეთვე თავი იჩი -
ნოს დაღლილობის შედეგად, აფექტური განცდების, აღელვების ან ის-
ტერიის შემთხვევაში (ფუნქციური აფონია).

აქრომაზია – იგივეა, რაც აქრომატოფსია.

აქრომატოფსია (ბერძ. achrōmatos – უფერული) – სპექტრალური
ფერებისადმი სრული სიბრმავე (იხ. ფერთა სიბრმავე).

აქრომატული ფერები (ბერძ. achrōmatos – უფერული) ეწოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორს, შავს და რუხის ყველა ნიუანსს, სხვანაირად უწოდებენ ნეიტრალურ ფერებს (იხ. ფერთა შეგრძნება).

აქსელერაცია (ლათ. acceleratio – დაჩქარება) –ფს-გიაში ნიშ - ნავს ფსიქო-ფიზიკური განვითარების დაჩქარებას, ბ-ვის ნაადრევ მომ-წიფებას. შეიმჩნევა უკანასკნელ 100–150 წ წ. საწინ. | რეტარდაცია. (იხ.).

აქტი (ლათ. actus – მოქმედება)-ფს-გიაში საგნობრივად მიმარ-თული (ინტენციონალური) ცნობიერი ფს-კური მოქმედება. ყოველი ფს-კური ა. მიმართულია რაღაც საგნისაკენ, რ-იც მასში ინტენცი - ონალურად იგულისხმება. მაგ., წარმოდგენაში შეიძლება გავარჩიოთ რაღაც საგანი (შინაარსი), რ-იც წარმოიდგინება და თვითონ წარმო-დგენა, რ-რც სუბ-ის მოქმედება, ანუ აქტი. იგივე ითქმის ყოველ სხვა ფს-კურ პროცესზე. მაგ., აღქმაში უთუოდ რაღაც აღიქმება, რაც თვითონ აღქმა არაა, მსჯელობაში რაღაც ვითარება შეწყვეტილია, ან უარყოფილია, რაც თვითონ მსჯელობისაგან განსხვავდება, სიყვარუ - ლის გრძნობაში – რაღაცაა შეყვარებული, სიძულვილში–შეძულებული და სხვა. ცნობიერების ნაკადში ა. გამოკვეთილი და გარკვეული კვა-ლიტეტის მქონე განცდაა. ასეთია – აღქმა, წარმოდგენა, ყურადღება, აზროვნება, გრძნობითი და ნებელობითი მოქმედება.

ფს-გიაში ა-ის ცნება დაამუშავა და თეორიად ჩამოაყალიბა ფ. ბრენტანომ.

აქტიურობა – ყოველი ცოცხალი არსების, ორგანიზმის თვისება იმოქმედოს თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, საპირ. პა-სიურობა.

აქტიური მეხსიერება –იხ. მეხსიერება.

აქტიური ფანტაზია – იხ. ფანტაზია.

აქტიური ყურადღება – იხ. ყურადღება.

აქტფსიქოლოგია (გერმ. Aktpsychologie) – მიმართულება ფს-გიაში, რ-ის მამამთავარია ფ. ბრენტანო. თანახმად ამ მიმართულებისა, ფს-კურისათვის, ფიზ-საგან განსხვავებით, დამახ. „აქტითი" ბუნება (იხ. აქტი). ამის შესატყვისად ფს-გიაც თავის კვლევაში ყოველ ფს-კურ მოვლენას უნდა განიხილავდეს, რ-რც „აქტითი" ბუნების მოვლე-ნას. წარმომადგენლები არიან: ა. მაინონგი, ა. ჰოფლერი, კ. შტუმფი და სხვ.

აქტუალური გენეზისი (გერმ. Aktualgenese) – გეშტალტ–ფსიგოლო-გიაში გამოყენებული ცნება(ფ. ზანდერი). ეწოდება არადიფერენცირე-ბული დიფუზური მდგომარეობიდან ხელსაყრელ პირობებში კარგი გეშ-ტალტის წარმოქმნას. მაგ., „როორშახის ლაქაზე" დაკვირვების შემ -

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხეევაში, პირველად ვერაფერს ვარჩევთ, მაგრამ დაკვირვების პროცესში თანდათანობით ნათლად გამოიკვეთება რაღაც გარკვეული საგნობრივი შინაარსი—გეშტალტი. ე. ი. პირველად არადიფერენცირებული, დიფუზური შინაარსიდან აღქმაში ჩნდება გარკვეული საგნის განცდა.

გეშტალტის წარმოქმნის ამ პროცესს გეშტალტისტები ,ა. გ-ს უწოდებდნენ.

აქტუალიზაცია — ყოველი დისპოზიციის, უნარის, მიდრეკილების გადასვლა პოტენციური მდგომარეობიდან ქმედით-მანიფესტურ მდგომარეობაში.

აქტუალობის თეორია —ასოციაციონიზმის საპირ. მიმდინარეობა ემპირიულ ფს-გიაში, მის მამამთავრად ვ. ვუნდტი ითვლება. ამ თეორიის თანახმად სული ვლინდება მხოლოდ მოქმედების სახით, ის მხოლოდ ფუნქციობაა, აქტივობაა და, არავითარ სუბსტანციას არ შეიცავს.

გარდა ამ მოქმედება-ფუნქციობისა სული კიდევ რაღაც ისეთს არ წარმოადგენს, რაც, თითქოს, სულიერი პროცესისაგან დამოუკიდებლად არსებობს და მას იწვევს. განცდის მთლიანობა და ერთიანობა, ამის მიხედვით, უნდა ვეძიოთ არა მოვლენათა მექანიკურ-ასოციაციურ დაკავშირებაში, არამედ „ცნობიერების შემოქმედებით სინთეზში" (იხ), მის აქტუალობაში, რომლის პრინციპი ნებელობაა. ამიტომ ვუნდტის აქტუალობის ფს-გია „ვოლუნტარისტული ფს-გიის" სახელწოდებითაც არის ცნობილი.

აქტუალური ნევროზი — ზ. ფროიდის მიერ შემოტ. ტერმინი, გულისხ. აქტუალურ-აფექტური განცდებით გამოწვეულ ნევროზებს, მაგ., შიშით, ეღდით და საზოგადოდ, უსიამოვნო აქტუალური განცდის უშუალო ზემოქმედებით. იწვევს ვეგეტატიურ და მოტორულ დარღვევებს. ასეთია ფროიდის აზრით, ნევრასთენია და აქტუალური შიშის ნევროზები. საპირ. ფსიქონევროზი (იხ).

აღზრდა — ფს-გიაში ად-ნის პიროვნების ფორმირების მიზანდასახული და გეგმაშეწონილი პროცესი. ა-ის ეს მიზანი — ად-ნის პიროვნების ფორმირება — ყოველთვის სოც-ურად განსაზღვრულ იდეალებს ეყრდნობა. ყოველი სოც. წყობილება ა-ას საკუთარი მიზნებით, ინტერესებით და მოთხოვნილებებით განსაზღვრავს. ამიტომ ა. ისტორიულად ყოველთვის სოციალურია და კლასობრივია.

ა. გულისხმობს ხანგრძლივ, სისტემატურ და გეგმაშეწონილ ზემოქმედებას მოზარდზე ღღიდან მისი დაბადებისა, ვიდრე მოწიფულობამდე. ა-მ უნდა გაითვალისწინოს და ანგარიში გაუწიოს განვითარე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იწვევს. მაგრამ ა-ში ამ ცალკეულ შეგრძნებებს (ფერს, ბგერას, გე-
მოს, სუნს) კი არ განვიცდით, არამედ ობიექტურად არსებულ მთლიან
საგანს, ხოლო შეგრძნებები კი ამ საგნის თვისებად განიცდება. ამ-
რიგად, ა-ში ორ მომენტს განასხვავებენ: საგანსა და შინაარსს. სა-
განია ის, რისკენაც ვართ მიმართული, ხოლო შინაარსია სენსორული
მასალა, გრძნობადი თვალსაჩინო შინაარსი (შეგრძნებები). ექსპერ-ულ-
ად დადასტურებულია, რომ საგანსა და შინაარს შორის გარკვეული
ურთიერთობა არსებობს: ა) შეიძლება ა-ის შინაარსი შეიცვალოს იმის
მიხედვით, თუ რა პირობებში (მანძილი, განათება და სხვ.) გვეძლევა
საგანი, ხოლო თვითონ ეს საგანი ყოველთვის უცვლელი რჩება. ბ) ა-ის
შინაარსი (შეგრძნებები) შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვითაც, თუ
რას იგულისხმებს სუბ. ა-ის საგნად (როცა თვალდახუჭულმა ცპ-მა მო-
სინჯული საგანი რეზინის შტამპად იგულისხმა, იგი მას რბილი მოე-
ჩვენა, ხოლო, როცა რეზინის შტამპიდან რკინის ეტონზე გადაინაცვ-
ლა — სირბილის თვისებები გაქრა და საგანი მას მაგარი მოეჩვენა (დ.
უზნაძის ცდები.).

2. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ უ რ ო ბ ა : — ა-ში საგნის ფერი, ფორმა
და სიდიდე უცვლელი (კონსტანტური) რჩება, მიუხედავად ფიზ-რი და
ფსიქიკ. პირობების ცვლებადობისა. განასხვავებენ ფერის, სიდიდისა და
ფორმის კონსტანტურობას. ა) **ფერის კონსტანტურობა:** თეთრი ქაღალ-
დის ფურცელი საღამო ჟამს უფრო ბნელად უნდა მოგვჩვენებოდა, ვიდ-
რე შაბი მელნის ლაქა შუადღის სინათლეზე. რადგან ქაღალდი საღამო
ჟამს უფრო ნაკლებ სინათლეს გზავნის თვალში, ვიდრე მელნის ლაქა
შუადღისას. მიუხედავად ამისა, თეთრი ქაღალდი საღამო ჟამს მაინც
თეთრად გამოიყურება და მელნის ლაქა დღის სინათლეზე, მაინც შავად. ბ) **სი-
დიდის კონსტანტურობა:** საგნის გამოხატულების სიდიდე თვალის ბადუ-
რაზე იცვლება მანძილის მიხედვით: საგნის შორ მანძილზე ჰვრეტისას
იგი პატარავდება, ახლოზე კი დიდდება. ამის მიხედვით, ერთი და იგი-
ვე საგანი ახლოს უფრო დიდად უნდა მოგვჩვენებოდა, ვიდრე შორს,
მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. ერთი და იგივე სამელნე ჩემს
წინ შაბიდაზე და, ეთქვათ, რამდენიმე მეტრის შორეზე ერთი და იმა-
ვე სიდიდის მქონედ აღიქმება. გ) **ფორმის კონსტანტურობა:** სუფრაზე
დაგებულ ყველა თეფშს ერთნაირი ფორმის მქონედ აღვიქვამთ (მრგვა-
ლად), მაშინ, როცა მათი გამოხატულების ფორმა თვალის ბადურაზე
სხვადასხვანაირია: წინამდებარე თეფში უფრო მრგვალია, გვერდებზე
მდებარე კი შეტნაკლებად ოვალურია.

3. კ ა ტ ე გ ო რ ი ა ლ ო ბ ა : ყოველ ა-ში გარკვეული კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეტული საგანია მოცემული, მაგრამ ის განიცდება არა რ-რც კერძო, ინდივიდუალური, მხოლოობითი საგანი, არამედ, რ-რც წარმომადგენელი საგანთა მთელი ჯგუფისა, ანუ კატეგორიისა, მაგ., საათს აღვიქვამთ არა მხოლოდ რ-რც აი ამ საათს, არამედ იმავე დროს რ-რც გარკვეული კატეგორიის საგანთა წარმომადგენელსაც.

ფს-გიურ მეც-ში ზოგი ავტორი (მ. შელერი, გ. ე. მიულერი, დ. უზნაძე) ა-ის ორ სახეს განასხვავებენ: 1. გარეგანს ანუ გრძნობად ა-ს და 2. შინაგან ა-ს; ა. ფორთოხლის, მაგიდის, წიგნის, სახლის და სხვა გარეგანი (გრძნობადი) ა-ის მაგალითებია. დამახ. ყოველი ასეთი ა-სათვის ისაა, რომ იგი გრძნობის ორგანოებზე | გარეგანი გამღიზიანებლის შედეგად ჩნდება; შინაგანი ა. კი საკუთარი განცდის **„ამჟამად ქონების განცდაა“**: სუბ. რომ სიამოვნებას განიცდის, მან | კიდეც იცის, რომ ამჟამად ეს განცდა აქვს.

ყოველი ა. რ-რც ობიექტური თუ სუბიექტური ვითარების ასახვა, შემეცნებითი ფს-კური პროცესების ჯგუფს მიეკუთვნება (იხ. ფს-კურ მოვლენათა კლასიფიკაცია).

აღქმის ონტოგენეზური განვითარება— უკვე |„ძუძუს | ბავშვობის ხანაში“ (დაბადებიდან 2 წლამდე) იწყება ბ-ვის სოლიფსურ — სუბიექტური მდგომარეობიდან გამოსვლა და ობიექტური სინამდვილის გაცნობიერება: იღვიძებს | პერცეპტული ინტერესი. ბ-ვი თავიდანვე იძლევა გაღიზიანებაზე რეაქციას, მაგრამ ეს რეაქცია არ გამოხატავს საგანს და მის ნამდვილ წვდომას არ ნიშნავს. ამ პერიოდში ბ-ვის აღქმა შინაარსეულად დიფუზიურია, დაუნაწევრებელი მთლიანობაა, რ-იც მისი მოთხოვნილების მთლიან სიტუაციას უკავშირდება. მაგ., სიტყვა „დედა“ ნიშნავს კვების სიტუაციით გამოწვეულ მთლიან მდგომარეობას, (ე. ი. მაჯამე, ხელში ამიყვანე და სხვა) და არა „დედას“, რ-რც ცალკე საგანს. აღქმა, ამ პერიოდში, წმინდა სუბიექტურ-ემოციური ხასიათისაა. ბ-ვის აღქმის განვითარებაში დიდ როლს ჭვრეტა და ტაცება ასრულებს. ჭვრეტის გზით ბ-ვი საგნისათვის დამახ. ნიშნებს (ფერი, ფორმა) გამოყოფს; ტაცება საშუალებას აძლევს მიიღოს საგნიდან ნაირ-ნაირი შეგრძნებები (გემოსი, სუნის, ტაქტილური).

მეორე წლიდან ბ-ვს აინტერესებს საგნის ოპტიკურ თვისებათა ურთიერთმიმართება, მაგ., ფერისა — ფორმასთან. ამ პერიოდში აღქმაში ინტელექტუალური მომენტი იჭრება და ის უკვე არ ატარებს წმინდა სუბ-ურ ემოციურ ხასიათს; მაგრამ იგი ჯერ მაინც არაა ისე დიფერენცირებული, როგორც ეს ზედა ასაკშია | დამახ.

2—3 წ. („სკოლის წინარე ასაკის **წინა პერიოდი**“): აღქმა ჯერ კიდევ შინაგანად დაუნაწევრებელი, დიფუზური და ძთლიანი ხასიათისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 – 7 წ წ. („სკოლის წინარე ასაკი"): აღქმა არსებით ცვლილებას განიცდის, მის შინაარსში სულ უფრო და უფრო მეტი დიფერენციაცია იჩენს თავს. საგნის აღქმას ამიერიდან საგნის ობიექტური ნიშნები განსაზღვრავს და არა ერთი რ-იმე ნიშნით მიღებული ძლიერი შთაბეჭდილება. ექსპერ-ად დადასტურებულია, რომ აღნიშნული ასაკის ბ-ვები ახერხებენ სხვადასხვა საგნებში ნიშნების ერთდროულ გამოყოფას და ამ ნიშნების მიხედვით მათ სწორ დაჯგუფებას ("დაჯგუფების ცდები", დ. უზნაძე; ნეკლიუდოვა).

7–12 წ. წ. („პირველი სასკოლო ასაკი"): აღქმა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადის, ის მეტი დიფერენცირების უნარს იძენს და დაკვირვების საფუძველზე ხორციელდება. ბ-ვი ამ ასაკში ობიექტური სამყაროს საგნობრივი შინაარსის წვდომას, შემეცნებას ესწრაფ-ვის. ეს შემეცნებითი აქტიურობა, ინტელექტუალური ინტერესი, რეცეპტორების ფუნქციობასაც საზღვრავს – მიმართავს მათ საგნობრივი სამყაროს აღქმისაკენ. ბ-ვი გამოყოფს საგნის დამახ. ნიშნებს და დამოუკიდებლად ახდენს მათ ანალიზს.

12 – 17 წ წ. („მეორე სასკოლო ასაკი"): აქტიური აღქმის პროცესი სრულდება, ის თავისი განვითარების უმაღლეს, აქტიური აღქმის დონეს აღწევს და ზრდადამთავრებული ად-ნის აღქმის სახეს იღებს. აღქმის საგანი ამ ბოლო პერიოდში შინაგანად დანაწევრებულია და გარე საგნებიდან კონტურულად გამოყოფილი. ამრიგად „აღქმა წმინდა სუბიექტური მდგომარეობით გამოწვეული დიფუზური შთაბეჭდილებით იწყება (პირველი წელი) და საგნის, რ-რც შინაგანად დანაწევრებული მთლიანის წვდომის სახით თავდება" (12 – 17 წ წ.).

აღწერა აღქმაში მოცემული საგნის ან მოვლენის ნიშან-თვისებათა სრული დახასიათება. მის ამოცანას შეადგენს მოცემული საგნის გაგება. ამისათვის კი საჭიროა სხვა საგნებიდან მისი განსხვავებულობის სიტყვიერი გამოხატვა, არსებით ნიშან-თვისებათა ზუსტი ჩამოყალიბება, ე. ი. საგნის სრული ხატის დადგენა. ა. ზუსტი უნდა იყოს, უნდა აღნიშნავდეს (ადასტურებდეს) მხოლოდ ისეთ თვისებებს, რ-ებიც საგნის აღქმაშია მოცემული და არა რაიმე მოსაზრებით ნაგულისხმევ-მოტანილი. ა. არის სიტყვიერად გამოთქმული აღქმა. მოვლენის სრული აღწერისათვის აუცილებელია გარკვეული ინტელექტუალური ოპერაციები 1. ანალიზი, 2. აბსტრ., 3. სინთეზი.

ანალიზი, რ-რც საგნის ნიშან-თვისებების აღნუსხვა, გულისხმობს ამ ნიშნების შემჩნევას, ე. ი. მთლიანი საგნის ცალკე ნიშნებად დაშლას. იმისათვის, რომ საგანი ნიშან-თვისებებად დავშალოთ და ცალ-ცალკე მათი გააზრება შევძლოთ, საჭიროა თითოეული მათგანის დანარჩენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან გამოყოფა ანუ **აბსტრაქცია**. მაგრამ, რადგან აღქმული საგანი მაინც განუყოფელ მთლიანს წარმოადგენს და არა ცალკე ნიშანთა აგრეგატს, ამიტომ საჭიროა მიღებულ ნიშან-თვისებათა აზრითი გაერთიანება ანუ **სინთეზი**, რიც ანალიზის სისწორეს ამოწმებს. ა., ისე, რ-რც ახსნა, ყოველი მეცნ. კვლევის ამოცანას წარმოადგენს. რაიმე მოვლენა გაგებული და ახსნილი რომ იქნას, პირველ რიგში, საჭიროა მისი ა., დადგენა იმისა, თუ რ-რია შესწავლილი საგანი. ფს-გიაშია. შეიძ-ლება ეხებოდეს რ-რც აღქმაში მოცემულ ობიექტურ საგანს, ისე – საერთოდ ყოველ ფს-კურ მოვლენას – განცდას. საპირ. ახსნა (იხ.).

აღწერითი ფსიქოლოგია – მიმდინარეობა ფს-გიაში, წარმომადგენლებია – **ფ. ბრენტანო**, ვ. დილთაი, ე. შპრანგერი. ა. ფს-გიას ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითად და მთავარ ამოცანად ფს-კურ მოვლენათა აღწერა, ანალიზი და მათი კლასიფიკაცია მიაჩნია. ა. ფს., რ-რც მიმართულება უპირისპირდება ახსნით ფს-გიას (იხ.). ა. ფს-გიის წარმომადგენელთა აზრით, ახსნით ანუ ბუნებისმეტყველურად ორიენტირებულ ფს-გიას, რ-იც ფს-კურ მოვლენათა წარმომშობი ფიზ. და ფიზიოლ.

პირობების ძიებით განისაზღვრება, ფს-კის თავისებურებათა წვდომა და გაგება არ შეუძლია. მათი აზრით, ფს-კური სინამდვილის გაგება მხოლოდ აღწერითი გზითაა შესაძლებელი. ფიზ. მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ახსნა შეიძლება, ფს-კურისა კი „მხოლოდ გაგებაა შესაძლებელი" (ვ. დილთაი.). ე. შპრანგერის აზრით, გაგება რთული ფს-კური მოვლენისა, რ-ის არსებით თვისებას მთლიანობა წარმოადგენს, ექსპლიკაციური (ახსნითი) კვლევისათვის მიუწვდომელია; „ექსპლიკაციური კვლევა არღვევს ფს-კური მოვლენის ბუნებრივ მთლიანობას, ხოლო მისი კვლავ აგება და სინთეზური მდგომარეობის აღდგენა არ შეუძლია".

ა. ფს-გიის დაპირისპირება ახსნით ფს-გიასთან მიმართებულია. ფს-კური სინამდვილის შესასწავლად, საჭიროა რ-რც მისი აღწერა, დესკრიფციულ – ფს-გიური კვლევა, ისე მისი ექსპლიკაციური კვლევაც. „დესკრიფცია და ექსპლიკაცია ფს-კის კვლევის მხოლოდ ორი განსხვავებული ამოცანაა, რ-ებიც ფს-კურის გაგების საკითხში ურთიერთს ავსებენ" (დ. უზნაძე).

აწმყოს განცდა იხ. ფსიქიკური პრეზენტობის დრო.

ახალდაბადებულობის ხანა – იწყება ფიზ. გამღიზიანებლების უშუალო ზემოქმედებით, რასაც ბავშვი მტკივნეული რეაქციით უპასუხებს (კივილი, შეკრთომა ხმაურზე, თვალების დახუჭვა ძლიერ სინათლეზე და სხვა). მაგრამ ბ-ვის-თვის ობიექტური გამღიზიანებელი ჯერ კიდევ არ არსებობს, რადგან იგი მასზე ადეკვატურ რეაქციას არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლევა. ეს ხანა გრძელდება სანამ ბ-ვი ამ სტერეოტიპულ რეაქციას თავს არ დააღწევს (პირველი 1–2 თვე). აღმზრდელი აცილებს ბ-ვს მტკივნეულ გამღიზიანებლებს, უქმნის შესაფერ „ასაკობრივ გარემოს" (იხ.). ამიტომ ამ ხანის გარემო სოც-ა და ფეტოფილურია (იხ). ფიზ. **სტატუსი** – თავის, ტანისა და ფეხების ურთიერთმიმართება არაპრო - პორციული. **ნერვული სისტემა** – თავის ტვინი მორფოლოგიურად ძირითადად გაფორმებულია; აქვს თითქმის ყველა ნაპრალი და ხვეული, წონა– მცირე (340–360 გრ.), მომწიფებულია ხერხემლის ტვინი. განუვითარებელია თავის ტვინთან შემაერთებელი პირამიდული გზები, რის გამოც ახალდაბადებული მოკლებულია ნებისმიერი მოქმედების შესაძ - ლებლობას. **ცხოვრების შინაარსი:** დამახ. ა. მეტწილად ძილის მდგომარეობა, დღე-ღამის განმავლობაში სძინავს თითქმის 21 ს. 30 წ., ძილის რიტმი ხანმოკლეა: ბ-ვი მაღე იღვიძებს და მალევე იძინებს, განუწყვეტლივ ორ საათზე მეტი არ სძინავს, ძილი ზედაპირულია. ახალდაბადებულის ცხოვრების შინაარსი ფეტუსის არადიფერენცირებულ სო - ლიფსურ მდგომარეობას უახლოვდება. შეიმჩნევა ორი სახის მოძრაო - ბები: **თავდაცვითი** – გამოწვეული, თავდაცვის ინსტინქტით და **სპონტანურ აქტიური** – გამოწვეული „ფუნქციური ტენდენციით" (იხ). **თავდა - ცვითი მოძრაობები** – ყველაზე უფრო დამახ. წოვა, იგი კვების ინსტინქტის გამოელენაა და რეაქციულ მოძრაობათა ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ შეიძლება იგი აგრეთვე ჯამის ორგანოთა „ფუნქციობის ტენდენციით" იყოს გამოწვეული, მაგ., მაძღარი ბ-ვი საკუთარ თითებს წოვს. რაიმე საგნის მიდება ტუჩზე წოვის რეაქციას იწვევს. რეაქციათა ჯგუფს ეკუთვნის რეფლექსები: ხელის თითების მოხრა ხელის გულის გაღიზიანებისას; ფეხის გულის გაღიზიანებისას ცერის ზეევით აწევა, თითებისა კი ქვევით (ბაბინსკის რეფლექსი), ძლიერ სინათლეზე თვა - ლების ხუჭვა, ზომიერზე – გახელა მიშტერება, მოძრავ სინათლეზე თვალის გაყოლება; სახეზე შეხებისას თავის განზე გაწევა, ტუჩების მოკუმვა. ყოველი ინტენსიური გამღიზიანებელი, შინაგანი თუ გარეგანი, მთელ სხეულს აღძრავს და შოკისა და კივილის რეაქციას იწვევს. **აქტიური მოძრაობები:** ხელ-ფეხის გაჯიმვა-მოხრა, სხეულის გაჯიმვა, გაზმორება, თვალების ზოგიერთი მოძრაობა; სხვადასხვა მოძრაობები დაბანის დროს, გრიმასები ტუჩებით და ქუთუთოებით (ვ. პრაიერი). აქტიურ მოძრაობებს გარკვეული ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვთ: ემსახურებიან ორგანოების წინასწარ მომწიფება-განვითარებას.

ახსნა – ანუ ექსპლიკაცია ნიშნავს იმ მიზეზებისა და პირობე - ბის ჩვენებას, რ-ებიც გასაგებს ხდის, თუ რატომაა მოცემული მოვლენა ისეთი, რა სახითაც იგი გვეძლევა. ა. იძლევა პასუხს კითხვაზე:

„რატომ“, საპირ-დ აღწერისა, რ-იც იძლევა პასუხს კითხვაზე: „რა“ და „როგორ“. ა-სთან გვაქვს საქმე: ა) როცა უცნობი, ახალი მოვლენა დაგვყავს უკვე ნაცნობზე, ანუ ახსნილზე, მაგ., საკმლის მონელების დაყენა წვის პროცესზე მის საკმარის ახსნასაც ნიშნავს; ბ) როცა მოვლენათა შორის ვამყარებთ აუცილებელ კავშირს, სადაც წინა - მაგალი მოვლენა გამომწვევი მიზეზია და მომდევნო კი მისი შედეგი. ა., რ-რც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩვენება მოვლენათა შორის, ყოველი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მთავარი ამოცანაა. მაგრამ მოვლენათა სწორი ახსნა მათი აღწერის გარეშე შეუძლებელია, ამი - ტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში აღწერასაც მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება (იხ. აღწერა).

ახსნითი (ექსპლიკაციური) ფსიქოლოგია — ბუნებისმეტყველურად ორიენტირებული ფს-გია., რ-აც, აღწერითი ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, ფს-კური სინამდვილის კვლევის ძირითად ამოცანად ახსნა მიაჩნია. ა. ფს-ას დილთაი კონსტრუქტიულსაც უწოდებდა. საპირ. აღწერითი ანუ დესკრიფციული ფსიქოლოგია.

აჰა-განცდა (გერმ. Aha-Erlebnis)—აზროვნების პროცესთან დაკავშირებული განცდა, რ-იც ჩნდება პრობლემის გადაწყვეტის შედეგად. თუ პრობლემის ამოხსნისაკენ მიმართული აზროვნება მუდამ ერთგვარი დაძაბულობის გრძნობასთანაა დაკავშირებული, მისი დასრულების პროცესი, ე. ი. პრობლემის ამოხსნა, გადაწყვეტა, პირიქით, შვების ემოციურ მდგომარეობას იწვევს. მეტყველებაში ეს მდგომარეობა „აჰა“ შორისდებულით აღინიშნება; ამოტომ იგი „აჰა — განცდის“ სახელითაა ცნობილი. პირველად დაადასტურა კ. ბიულერმა.

ბ

ბავშვის ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია — იხ. ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია.

ბავშვის გონებრივი განვითარების პერიოდები (სურათის აღწერის ტესტის მიხედვით) — ა. ბინემ და ვ. შტერნმა სურათის აღწერის ტესტით (იხ. ჩვენების ფსიქოლოგია) დაადგინეს ბ. გ. ბ. სამი პერიოდი: 1. საგანთა ჩამოთვლის, დასახელების (ა. ბინე) ანუ სუბსტანციის (ვ. შტერნი); 2. აღწერის (ბინე) ანუ მოქმედების, აქციის პერიოდი (შტერნი); 3. ინტერპრეტაციის (ბინე) ანუ რელაციის პერიოდი (შტერნი). სურათის აღწერის ტესტი: ბ-ვს აწვდიან რაიმე მარტივი შინაარსის სურათს და ეკითხებიან, თუ რა არის მასზე დახატული. 1. ჩამოთვლის ანუ სუბსტანციის პერიოდი: 3—5 წლის ნორმალური გონებრივი განვითარების ბ-ვი ჩამოთვლის სურათზე დახატულ საგნებს ცალ-ცალკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთთან დაუკავშირებლად. 2. მოქმედების, აღწერის ანუ აქციის პერ.: 7-9 წ წ. ბ-ვი აღწერს მოქმედებებს, ცდილობს ჩაწვდეს, თუ რა ხდება, ვინ რას აკეთებს; 3. ინტერპრეტაციის ანუ რეალაციის პერიოდი: 11 წელი და ზევით, ბ-ვი ამყარებს საგანთა შორის მიმართებებს, ამისათვის იყენებს მაღალ გონებრივ აქტებს: განყენებას, შედარებას, კავშირების დადგენას, ცდილობს ჩაწვდეს სურათის იდეას და არსებითად გააანალიზოს ის.

ბავშვის ფსიქოლოგია – ფსიქოლ. მეცნიერების დარგი, შეისწავლის ბ-ვის ფსიქიკურ განვითარებას დაბადებიდან მოწიფულობამდე, ე. ი. ვიდრე ბ-ვი ინსტინქტურ-იმპულსური არსებიდან თანდათან შეგნებული, მიზანშეწონილი ქცევის სუბ-ად იქცეოდეს; ბ. ფს-გიის კვლევის საკითხებია: ბ-ვის ინსტინქტური და ნებელობისეული მოქმედების აქტები, ინტელექტი, მეტყველება, სოც. ქცევის ფორმები, თამაში და სხვა. ბ-ვის ფს-გიის კვლევის მეთოდებია–გამოწვევითი ექსპერიმენტი, დღიურის წარმოების მეთოდი (დაკვირვება). ბ-ვის შემოქმედების პროდუქტების შესწავლის მეთოდი: კლინიკური საუბრის მეთ. ბუნებრივი ექსპერ. (იხ).

ბ-ვის ფს-გიას დიდი მნიშვ. აქვს პედ. პრაქტიკისათვის. ბ-ვის განვითარების კანონზომიერებათა ცოდნა იძლევა მეცნ-ულ საფუძველს სწავლა-აღზრდის სწორად წარმართვისათვის. ბ. ფ-ის ფუძემდებელნი არიან: ვ. პრაიერი, ვ. შტერნი, კ. ბიულერი, კ. კოფკა, ჟ. პიაჟე ე. მოიმანი და სხვები, საქართველოში ბ. ფ-გიას საფუძველი ჩაუყარა დ. უზნაძემ, ქართველ ბ-ვებზე საკუთარი დაკვირვების მონაცემების საფუძველზე მან დაწერა მონოგრაფიული გამოკვლევა „ბავშვის ფსიქოლოგია"

ბავშვის ფსიქოლოგიის მეთოდები იხ. ბავშვის ფსიქოლოგია.

ბავშვობა – ბ-ვის ფს-კური განვითარების ხანა დაბადებიდან მოწიფულობამდე. შეიცავს განვითარების რამდენიმე განსხვავებულ პერიოდს (იხ. ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია).

ბაზედოვიდური ტიპი (სხვანაირად „B" ტიპი) – „ეიდეტური ხატის" ერთ-ერთი ტიპი (იხ. ეიდეტური ხატი).

ბაზოფობია (ბერძ. basis – სიარული, phobos – შიში) – მარტო სიარულის შიში. აბაზიის დაავადების მიზეზად ბ. ითვლება.

ბათოფობია (ბერძ. bathos – სიღრმე, სიმაღლე) –დიდი სიმაღლის ან სიღრმის შიში, სიღრმეში ჩახედვა ან მაღალი საგნების დანახვა თავბრუსხვევას იწვევს. ადნს ეშინია, რომ მაღალი საგანი წაიქცევა და ქვეშ მოიყოლებს, ხოლო სიღრმის მოშიშს სიღრმე თავისაკენ იზიდავს. ამიტომ ბ-ით შეპყრობილი ცდილობს არ ჩაიხედოს სიღრმეში. ანალოგიურია აკროფობია (იხ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბგერის მეგრძნება — იხ. სმენის შეგრძნება.

ბერლინის სკოლა — გეშტალტფსიქოლოგიური მიმართულება. წარმომადგენლებია: მ. ვერტჰაიმერი, კ. კოფკა, ვ. კელერი, კ. ლევინი, ვ. მეტცგერი, კ. გოტშალდტი და სხვა. ამ სკოლის წარმომადგენელთა თანახმად განცდაში ელემენტებს მთლიანის გარეშე დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიათ. პირველადია მთლიანი. ელემენტები მხოლოდ მთლიანში შეიმჩნევა და ამ მთლიანის მიხედვით იცვლება(იხ. გეშტალტფსიქოლოგია).

ბეტა-ტესტი (Army—Beta Intelligenztests) — ზოგადი გონიერების შემოწმების ტესტი, შედგენილი და გამოყენებული იყო ამერიკაში, ჯარისკაცების გონებრივი განვითარების დონის შესამოწმებლად მათი გადარჩევის მიზნით პირველი მსოფლიო ომის დროს. ტესტი შემუშავებულია წერა-კითხვის უცოდინარებისათვის და არაინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთათვის. ამით განსხვავდება იგი ალფა ტესტისაგან (იხ. ალფა ტესტი).

ბინაურული სმენა (ლათ. bini — ორი და auris—ყური) — ბგერის აღქმა ორივე ყურით. განსაზღვრავს ბგერის დიფერენცირებულად აღქმას და მის მიმართულებას, ლოკალიზაციას სივრცეში. ყური რ-იც გამღიზიანებელთან უფრო ახლოსაა, ბგერას უფრო მეტი სიძლიერით აღიქვამს, ვიდრე მეორე ყური.

ბინდისებური ცნობიერება — ცნობიერების პათოლოგიური აშლა. ახას. გარემოში დეზორიენტაცია, ჭარბი ჰალუცინაციები, ილუზიები, ძლიერი აფექტები, უკიდურესი აგზნებადობა, შიში, აგრესიულობა. ვითარდება უეცრად და ასევე უეცრად იცვლება ნათელი ცნობიერებით.

ბ. ცის შესახებ ავად-ს არაფერი არ ახსოვს. გვხვდება უპირატესად ეპილეფსიისა და თავის ტვინის ორგანული დაავადების დროს.

ბინე-სიმონის სკალა ანუ მეტრული სკალა — ბ-ვის გონებრივი განვითარების გაზომვის მეთოდი. დაამუშავა ფრანგმა ფს-გმა ა. ბინემ ტ. სიმონთან თანამშრომლობით. მეთოდი შეიცავს ტესტების სერიას, თითოეული ასაკისათვის ხუთ-ხუთს, სამი წლის ასაკიდან 15 წლამდე. ნაგულისხმევია, რომ ყოველი ასაკისათვის დამახ. ინტელექტის განვითარების განსაზღვრული დონე. იმის მიხედვით, თუ რა ასაკის ტესტებს გადაწყვეტს ბ-ვი, ირკვევა მისი გონებრივი განვითარება. მაგ., თუ 7 წლის ბ-ვმა გადაჭრა მარტო თავის (7 წლის) ასაკის შესაფერისი ტესტები, მაშინ ის გონებრივი განვითარების მხრივაც 7 წლისად ჩაითვლება (ნორმა). თუ, გარდა ამისა, მან ზემო ასაკის (8 — 9 წ წ.) ტესტებიც გადაჭრა, მაშინ იგი გონებრივი განვითარების დონით უსწრებს თავის ბიოლოგიურ ანუ ქრონოლოგიურ ასაკს და გონებრივად დაწინაურებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ჩაითვლება. თუ თავის ასაკის ტესტებს ვერ წყვეტს, მაშინ იგი გონებრივად ჩამორჩენილია, დაქვეითებულია (სუბნორმა, დებილი ან იმბეცილი). გონებრივი განვითარების დონის შეფარდება ბიოლოგიურ ასაკთან იძლევა გონებრივი განვითარების კოეფიციენტს (იხ. გონებრივი კოეფიციენტი). ბინე-სიმონის სკალას საფრანგეთში იყენებდნენ გონებრივად ჩამორჩენილი ბ-ების შესარჩევად დამხმარე სკოლებისათვის. შემდეგ იგი ამ მიზნითვე გამოყენებულ იქნა სხვა ქვეყნებშიც, ოღონდ სათანადო რეაქციით. ცნობილია ე. მიოდესი და ე. პიორკოვსკის რედაქცია გერმანიაში, ლ. მ. ტერმენისა — ამერიკაში და სხვა.

ბინოკულარული მხედველობა (ლათ. bini—ორი, oculus—თვალი) — ორი თვალით მხედველობა. ბ. მ-ის შემთხვევაში თითოეული თვალის ბადურაზე ჩნდება საგნის გამოხატულება, ბ. მ. იძლევა საგნის ორ გამოხატულებას, მაგრამ ვხედავთ კი ერთ საგანს. ეს იმით აიხსნება, რომ ორივე ბადურაზე არსებობს იდენტური წერტილები. მათი ერთდროული გაღიზიანება იწვევს გამოხატულებათა შერწყმას და ორი საგნის ნაცვლად ერთს საგანს ვხედავთ. ბადურაზე აგრეთვე არსებობს „დისპარატული" წერტილებიც: მათი ერთდროული გაღიზიანება იწვევს ერთი საგნის გაორებულად ხედვას (ე. წ. ჰიუგენსის ილუზია). მაგრამ, როცა ახლო მდებარე დისპარატული წერტილები ღიზიანდება, მაშინ გაორების ნაცვლად, მივიღებთ საგნის რელიეფურ აღქმას. ბ. მ. შედარებით მონოკულარულთან (ერთი თვალით მხედველობა), უპირატესობები აქვს: 1. იგი ახდენს კორექციას, თუ ერთი თვალის მხედველობა შეცდა, 2. აფართოებს მხედველობის ველს, 3. აზუსტებს საგნის რელიეფურობის (სიღრმის) აღქმას და 4. აადვილებს მანძილის აღქმას საგანთა შორის.

ბიოგენეზური კანონი (ბერძ. bios — სიცოცხლე, genesis — წარმოშობა) — ემბრიონალური განვითარების კანონი, შემოიტანა ბიოლოგიაში ე. ჰეკელმა (1866). ამ კანონის თანახმად ინდივიდის ემბრიონალური განვითარება, ჩასახვის მომენტიდან ვიდრე დასრულებულ მდგომარეობამდე, იმეორებს შემოკლებით ყველა საფეხურს, რიც გაუვლია მის გვარს ფილოგენეზური განვითარების პროცესში, მაგ., განვითარების ადრიან ეტაპზე ძუძუმწოვარ ცხოველთა ჩანასახები გვანან ურთიერთს ფორმის მიხედვით.

ბ. კ. ბუნებისმეტყველებიდან გადმოტანილ იქნა ფს-გიაში (ი. მ. ბალდვინი, სტენლი-ჰოლი). ამის მიხედვით ად-ნის ფს-კის (ონტოგენეზური) განვითარება, იმეორებს შემოკლებით ყველა ამ საფეხურს, რიც კაცობრიობის განვითარებამ გაიარა დღემდე. მაგ., ადრიან ბავშვობას ადარებენ საკვები მასალის მიწიდან ამოთხრის პერიოდს; ბავშვო -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას 12 წლამდე ადარებენ მონადირეობის პერიოდს და უფროს ასაკს, კი–სამრეწ; ოო წარმოების პერიოდს. ბ.კ-ს გადმოტანას ფს-გიაში პედ. თვალსაზრისით, მიუღებელ დასკვნამდე მივყავართ. იგი ნიშნავს ბ-ვის სწავლა-აღზრდის და განვითარების განსაზღვრულობას მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორებით და უგულებელყოფს სოც. ფაქტორის მნიშვ. მაშინ, როცა ბ-ვის აღზრდა-განვითარებაში სოც. ფაქტორი ძირითადი და განმსაზღვრელია.

ბ. კ. ანალოგიებს ემყარება და მეცნიერულად დასაბუთებულ თეორიას არ წარმოადგენს. (იხ. რეკაპიტულაციის თეორია, ატავისტური ტენდენცია).

ბიოგრაფიული მეთოდი (ბერძ. bios– სიცოცხლე და graphō– ვწერ) –ად-ნის პიროვნების კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. შეისწავლის პიროვნების წარსულს, მისი ცხოვრების და შემოქმედების ფაქტებს, რ-ის ანალიზის საფუძველზე ადგენს პიროვნების ტიპს, ხასიათს და სხვა.

ბიოსფერო (ბერძ. bios– სიცოცხლე) ფს-გიაში ტერ. ბ. შემოტანილია დ. უზნაძის მიერ (1925). ნიშნავს: სუბიექტურისა და ობიექტურის „გაერთმთლიანებულ განწყობილებას" ანუ მდგომარეობას, რ-იც, რ-რც სუბიექტის ქცევის მიზანშეწონილობის პირობა, არაცოცხალ ბუნებაში არსად არ გვხვდება და მხოლოდ სიცოცხლისათვის არის სპეციფიკური. შემდგომ ავტორმა ამ „გაერთმთლიანებულ მდგომარეობას" „განწყობა" უწოდა.

ბიჰევიორიზმი (ინგლ. behaviour – ქცევა)– ფს-გიაში – მოძღვრება, რ-ის მიხედვით ფს-გიის საკვლევ საგანს წარმოადგენს არა ფსკური პროცესები, განცდები ანუ ე. წ. ცნობიერების მოვლენები, არამედ ის მოძრაობები, რეაქციები (R), რ-თაც ცოცხალი არსება (ორგანიზმი) გარეგანი გამღიზიანებლის ანუ სტიმულის (S) სპასუხად იძ-ლევა. ბ. ბუნებისმეტყველურად ორიენტირებული ფს-გიური მოძღვრეობა. ცოცხალ ორგანიზმის შესასწავლად მისთვის სავსებით საკმარისია ქცევის შესწავლა. ქცევის კვლევის ერთადერთ მეთოდად ობიექტური დაკვირვებაა აღიარებული. თანახმად ბ-სა ცოცხალი არსების თავისებურებანი მის განცდებში და სულიერ მოვლენებში კი არ ვლინდება, არამედ იმ გარეგან მოძრაობებში, რ-თა ობიექტური და მეცნ. დაკვირვება შესაძლებელია. ამიტომ ბ. უპირ. ინტროსპექტულ ფს-გიას ეს უკანასკნელი კი ფს-გიის საკვლევ საგნად მხოლოდ განცდებს, ფს-კურ მოვლენებს გულისხმობს და მათი შესწავლის ერთადერთ მეთოდად თვითდაკვირვება (ინტროსპექცია) მიაჩნია.

ბიჰევიორისტული ფს-გია სრულიად უარს ამბობს ფს-კის შესწავლაზე და ცოცხალი ორგანიზმის ქცევის შესწავლა და კვლევა შესაძლებლად მიაჩნია განცდების შეუსწავლელად. მაგრამ, ვინაიდან ქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცდების გარეშე მხოლოდ მოძრაობებია, რ-აც შეიძლება ფიზიოლ. სწავლობდეს, ' ამდენად, ბ-მს ფს-გია ფაქტობრივ ფიზიოლ-მდე დაჰყავს.

ბ. წარმოიშვა აშშ-ში, მისი პირველი წარმომადგენლებია ი. უოტსონი, მან 1913 წელს დაწერა ბ-მის საპროგრამო წერილი, და ე. თორნდაიკი. რუსეთში ბ-ის მონათესავე მიმართულებაა ვ. ბეხტერევ-ის „ობიექტური ფს-გია ანუ რეფლექსოლოგია".

ბ-ის ახალი მიმდინარეობანი, ე. წ. „ნეობიჰევიორიზმი" (ე. ტოლ-მანი, კ. ჰალი, ბ. სკინერი და სხვა), წარმოიშვა იმავე აშშ-ში 30-ან წლებში. უოტსონურად გაგებული სტიმულ-რეაქციის პრინციპი მას არ მიაჩნია საკმარისად ორგანიზმის ქცევის ასახსნელად. მისი შეხედულებით სტიმული არ არის უშუალოდ ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებული რეაქციასთან; სტიმულსა და რეაქციას შორის ნეობიჰ. გულისხმობს ქცევის განმსაზღვრელ „შუამდებარე ცვლადის" (intervening variables) არსებობას, ასეთია მაგ., ცნებები-მიზნის მოლოდინი, წარმოდგენა, ორიენტაცია, მოთხოვნილება და სხვა (ე. ტოლმანი). ბ-ის თანახმად ამ ცნებათა დეფინიცია შესაძლებელია ოპერაციონისტული მეთოდით, რაც ბ-ის ძირითად პრინციპს არ ეწინააღმდეგება. თუმცა ოპერა-ციონისტული განმარტებით შესაძლოა ისეთი ცნებების შემოტანა ფს-გია-ში, რ-ებიც უოტსონ-თორნდაიკის თვალსაზრისით სუბ-ურ ცნებებად იყო ცნობილი და ბიჰევიორისტული კონცეფციიდან განდევნილი. მაგ-რამ, ნეობიჰევიორისტები იმით ამართლებენ ამ ცნებათა შემოტანას, რომ მათი აზრით, ამ ცნებათა შინაარსს განცდადი ხასიათი არა აქვს, არამედ ისინი კონსტრუქტებია, მათი განმარტება ოპერაციულად შეი-ძლება.

ნეობიჰევიორიზმის „შუამდებარე ცვლადი" რ-იც აშუალებს სტი-მულის ზემოქმედებას რეაქციაზე, თვითონ ბიჰევიორისტული ფს-გიის კონტექსტში გაუგებარი ცნებაა და სიძნელე, რ-აც ქცევის ახსნაში ბიჰევიორისტული ფს-გია ეჯახება, ფაქტობრივად დაუძლეველი რჩება. თუ რა უნდა იყოს ქცევის განმსაზღვრელი „შუამდებარე ცვლადი" გა-საგები ხდება დ. უზნაძის „განწყობის თეორიის" საფუძველზე; ამ უკა-ნასკნელის თანახმად გარემო (სტიმული) პირდაპირ კი არ იწვევს ქცე-ვას (რეაქციას), არამედ ის (გარემო) უშუალოდ სუბ-ზე ზემოქმე-დებს და მასში იწვევს გარკვეული ქცევის განწყობას. ქცევის აქტებს ამ განწყობის მქონე სუბ. განსაზღვრავს, ე. ი. სუბ-ი „შუამდებარე" სტიმულსა და რეაქციას შორის. —„იმ აქტებს მიმართავს, რ-ის განწყო-ბა აქვს შემუშავებული" (დ. უზნაძე).

ბოდვა — 1. ფს-კური დაავადების ერთ-ერთი ძირითადი სიმპტო-მი, წარმოადგენს რეალური ვითარების შეუსატყვის, ყოველგვარ ობი-

ექტურ საფუძველს მოკლებული აზრების ერთობლიობას. ბოდვითი იდეები გამატონებულ ადგილს იკავებენ დაავადებული პიროვნების ცნობიერებაში. ავად. მტკიცედაა დარწმუნებული, რომ მისი ბოდვითი აზრები ჭეშმარიტია. იგი ვერ გრძნობს ამ აზრების დასაბუთების საჭიროებას, მისი დასაბუთება ყოველთვის ფორმალურია; დარწმუნებულობის ამ განცდას ვერ არღვევს ვერც ლოგიკური და ვერც ფაქტობრივი წინააღმდეგობა. სტრუქტურის მიხედვით ბ. შეიძლება იყოს სისტემატიზებული (მყარი, თანამიმდევრული, თავის თავში ლოგიკურად გამართული აზრების ერთობლიობა) და უსისტემო (არათანმიმდევრული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ცვალებადი აზრები). ემოციურ აფექტური ტონის მიხედვით განასხვავებენ დეპრესიულ ბ-ს (მაგ., თვითბრალდების, თვითდამცირების, დევნის ბოდვები) და ექსპანსიურ ბ. (მაგ., თვითგანდიდების, ეროტიკული, გამდიდრების ბ-ას). შემთხვევათა უდიდეს ნაწილში ბ. ფსიქოზის სხვა სიმპტომებთან თანაარსებობს.

2. ბ-თან სდევს ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობას, რ-იც დაკავშირებულია ინტოქსიკაციურ და ინფექციურ დაავადებასთან. ახასიათებს აკინეტიკა, მხედველობითი ჰალუცინაციები და სხვა.

ბრაილის შრიფტი — წერტილოვანი ამოზნექილი შრიფტი, შემუშავებული უსინათლოთა კითხვისათვის. ამ შრიფტის ყოველი ასო შედგება 6 წერტილისაგან, მათი კონფიგურაცია და კომბინაცია იძლევა 63 ნიშანს, რაც სრულებით საკმარისია აღფაბეტის ყველა ასოსა და სასვენი ნიშნების აღსანიშნავად. ბ. შ. შეიმუშავა ფრანგმა პედ-მა, თვითონ უსინათლო ლუი ბრაილმა (1829). მან განათლება მიიღო პარიზის უსინათლოთა ნაციონალურ ინსტიტუტში და აქვე მოღვაწეობდა პედ-ად. ბრაილის შრიფტმა ფართო გავრცელება პოვა მთელ მსოფლიოში.

ბრმა ლაქა — ადგილი თვალის ბადურაზე, სადაც მხედველობის ნერვი შემოდის; არ შეიცავს არც კოლბებს და არც ჩხირებს, ამიტომ ბ. ლ. მხედველობის გაღიზიანებისადმი უგძნობია. ბ. ლ. აღმოაჩინა ფრანგმა ფიზიკოსმა ე. მარიოტომ.

ბროკას ცენტრი — მეტყველების მამოძრავებელი ცენტრი, მოთავსებულია თავის ტვინის ქერქში, შუბლის წილის მესამე ქვედა ხვეულში; ფუნქციურად ასიმეტრიულია. მემარჯვენე ად-ნთან იგი მოთავსებულია მარცხენა ჰემისფეროში, ხოლო მემარცხენე ად-ნთან (ცაციას-თან) — მარჯვენა ჰემისფეროში. ბ. ცის დაზიანება იწვევს მეტყველების მოშლას, მოტორულ აფაზიას (იხ. აფაზია).

ბუნებრივი დაკვირვება — თავისთავად აღმოცენებული მოვლენის ობიექტური დაკვირვება ბუნებრივ პირობებში. დამკვირვებელი არ ერევა მოვლენის მიმდინარეობაში, არ იწვევს მოვლენას ხელოვნურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ცვლის მისი მიმდინარეობის პირობებს. იგი ზუსტად აღწერს აღმოცენებული პროცესის ყველა მომენტს ბუნებრივ მიმდინარეობაში. სა - პირის. ცნებაა ექსპერ. (იხ.)

ბუნებრივი ექსპერიმენტი — ბ-ვის განვითარების შესწავლის ერთ-ერთი მეთოდი. შემოტანილია ფს-გიაში რუსი მეცნიერის ა. ფ. ლაზურსკის მიერ. ბ. ე-ტს უპირავს საშუალო ადგილი ჩვეულებრივ დაკვირვებასა და ლაბორატორიულ ფს-გიურ ექსპერ-ტს შორის. ლაბორატორიული ექსპერ-საგან განსხვავებით მისთვის დამახ. ის, რომ ბ-ემა არ იცის, რომ მასზე ცდას აყენებენ. მკლევარ-ექსპერიმენტატორი წინასწარ ამუშავებს ცდის გეგმას (გაკვეთილი, თამაში, ტანვარჯიში, ექსკურსია და სხვა). ისე, რომ ნებისმიერად გამოიწვიოს ბ-ვში მისთვის საინტერესო ფს-კური პროცესი და ჩვეულებრივ ბუნებრივ პირობებში დააკვირდეს მას. ამით განსხვავდება იგი რ-რც ჩვეულებრივი დაკვირვებისაგან, ისე — ლაბორატორიული ექსპერ-საგან.

ბუნებისმეტყველური ექსპერიმენტი — ფს-კური ცხოვრების კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. მკლევარი ფს-გი განზრახ იწვევს ცპ-ში მისთვის საინტერესო გამომხატველ მოძრაობებს და აკვირდება მათ. ამ მოძრაობებს სიმპტომატური მნიშვ. აქვთ. მათ საფუძველზე ექსპერიმენტატორი დასკვნის სუბ-ტში მიმდინარე ფს-კური მოვლენების შესახებ. ბ. ე. რამდენიმე სახისაა. ვ. ვუნდტის კლასიფიკაციით ცნობილია: 1) გაღიზიანების ანუ შთაბეჭდილების მეთოდი. 2) გამომხატველ ანუ გამომსახველ მოძრაობათა მეთოდი და 3) რეაქციის მეთოდი. ბ. ე-ის მეთოდს სხვანაირად კაუზალურ ექსპერ-საც უწოდებენ.

ბუნებისმეტყველური ფსიქოლოგია — მიმართულება ფს-გიაში, რიც სულის (ფს-კის) მოვლენებს ბუნების მოვლენებად განიხილავს. ამ მიმართულების თანახმად ად-ნის ფს-კური ცხოვრების კვლევა ფს-კური ელემენტებისა და მათი ფიზიოლ. კორელატების ძიებით განისაზღვრება. მისი კვლევის მეთოდია დაკვირვება და ექსპერ. ბ. ფ-ის ძირითადი ამოცანაა ახსნა (იხ), ამიტომ მას სხვანაირად „ახსნით" ფს-გიას უწოდებენ.

ბურდონის ტესტი — ყურადღების შემოწმების ტესტი. ცპ-ს ეძლევა ცალ-ცალკე ანბანებისაგან (ასოებისაგან) შედგენილი უაზრო ტექსტი. ევალება: ტექსტიდან ამოშალოს გარკვეული ანბანები (ასოები) ერთი ან რამდენიმე. ყურადღების დონის მაჩვენებელია შეცდომათა რაოდენობა და დრო, რ-იც ცპ-მა მუშაობას მოანდომა.

გ

გაგება— (გერმ. Verstehn, Auffassung) — გონითი აქტი, ნიშნავს: მოცემული მოვლენის, საგნის, პრობლემის აზრისა და არსის (საზრისის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვდომას. მისი კავშირების, მიმართებების სტრუქტურულ მთლიანობაში გაცნობიერებას, მისი მნიშვ-ის დადგენას. თუ გაიგე, ეს ნიშნავს, რომ იცი, **რა გაქვს მოცემული** და რ-რია მისი ბუნება. გ. ნიშნავს გასარკვევი საგნის სრულ შემეცნებას. გ. მიიღწევა რ-რც უშუალო „ჩაწვდომის" (გერმ. **Einsicht**), ისე აღწერის ან ახსნის გზით (იხ.).

გაგებითი ფსიქოლოგია — იგივეა, რაც გონითი-მეცნიერული ფსგია.

გადანაცვლება ანუ გადაადგილება — (გერმ. **Verschiebung**) — ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ცნება ფს-გიაში, წარმოადგენს „დაცვითი მექანიზმის" ერთ-ერთ სახეს. 1. დიდ როლს ასრულებს „სიზმრის ლატენტური შინაარსის" გარდაქმნაში. ფროიდის აზრით, ჩვეულებრივი ლიბიდოზური წარმოდგენები (განდევნილი განცდათა შინაარსები) სიზმრის ცნობიერებისათვისაც მიუღებელია. სიზმარში მათი გამოყენება შესაძლებელი რომ გახდეს, საჭიროა მათი გარდაქმნა, მათი შინაარსის შეცვლა. ამ მიზნით ხდება სიზმრის ლატენტურ წარმოდგენათა ნიშნების „გადანაცვლება", „გადაადგილება" მეორეხარისხოვან ნიშანთა წინ წამოწევა, არსებითი ნიშნების დაჩრდილვა, არანიშანდობლივ თვისებათა მათთვის მიწერა და საბოლოოდ ისეთი შინაარსის წარმოდგენის დამყარება, რ-იც „ზე" — „მე" -სთვის იხ. (**Uler—Ich**) მისაღები იქნება და რ-საც „ცენზურა" სიზმრის ცნობიერებისათვის დასაშვებ შინაარსად მიიჩნევს. ამ ახალ არაცნობიერად შეცვლილ წარმოდგენას სიზმრის მიმდინარეობაში რეპრეზენტაციის (წარმომადგენლობის) უფლება ენიჭება და ამიერიდან ის ხელმძღვანელობს სიზმრის დინამიკას. (იხ. სიზმრის ლატენტური შინაარსი; შეკუმშვა). 2. ფსიქოანალიზის პროცესში ზოგჯერ ადგილი აქვს პაციენტის გრძნობების გადანაცვლებას მკურნალ ექიმზე, რაც ახალ ნევროზულ მდგომარეობას უქმნის ავად-ფს. მკურნალობის დასასრულს ექიმმა უსათუოდ უნდა გაუცნობიეროს ეს მდგომარეობა ავად-ფს და გაათავისუფლოს იგი მასზე გადატანილი გრძნობებისაგან.

გადატანა — აქვს რამდენიმე მნიშვნელობა — 1. სწავლის პროცესში მიღწეული წარმატების გ. სხვა მასალაზე. შენიშნულია, რომ წინაგავარჯიშება დადებითად მოქმედებს შემდეგი ამოცანის გადაჭრაზე, აუმჯობესებს და აადვილებს მის გაგებას, გადაჭრასა და ათვისებას (იხ. ტრანსპოზიცია) 2. აფექტური მნიშვ—ის წარმოდგენიდან აფექტის გადატანა იმაზე, რისთვისაც ის დამახ. არ არის, რასაც ის თავისი წარმოშობით არ ეკუთვნის (ე. კრეჩმერი).

გაკვირვება — ინტელექტუალური გრძნობა, ჩნდება ისეთი არაჩვეულებრივი მოვლენის დანახვის თუ აღქმის შედეგად, რ-იც სუბ-ის არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულ გამოცდილებაში არასოდეს ყოფილა მოცემული და მისი გაგება და ახსნა ამ გამოცდილების ფარგლებში სავსებით აღკვეთილია. გაკვირვებით იწყება პრობლემის დასმა და აღქმული მოვლენის შემეცნების ცდა. ამ გაგებით გ. ის ინტელექტუალური გრძნობაა, რ-აც ბერძენი ფილოს-სი პლატონი ფილოსოფოსობის დასაწყისად თვლიდა.

გამოკითხვის მეთოდი — იხ. ექსპლორაცია; ანკეტური მეთოდი.

გამომხატველი (ანუ გამომსახველი) მოძრაობები — აღნიშნავს ორგანიზმის იმ ცვლილებების გაძლიერება ან შესუსტებას, რ-ებიც ჩნდებიან განცდასთან, უმეტესად გრძნობებთან და ემოციებთან და -კავშ-რებით, ასეთია: მაჯისცემის, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის, სხეულის მოძრაობების, მიმიკის (სიცილი, ტირილი), პანტომიმიკის (ჟესტები, გაქცევა ან გაშეშება და სხვა).

ორგანიზმის ეს ცვლილებები გამოხატავს ჩვენს განცდებს, განსაკუთრებით გრძნობებსა და ემოციებს და ობიექტური დაკვირვების საგნად აქცევს, თითქოს მათ გარეგნულად დასანახს ხდის. ამიტომ ეწოდება მათ „გამომხატველი მოძრაობები". კავშირი განცდებსა და ამ სხეულებრივ ცვლილებებს შორის იმდენად მტკიცე და არსებითია, რომ ფს-გიაში მათ ემოციური განცდების სიმპტომად თვლიან და ამიტომ გრძნობა-ემოციის შესწავლის ერთ-ერთ მეთოდად იყენებენ (იხ. გამომხატველ მოძრაობათა მეთოდი).

ჩ. დარვინის აზრით ზოგიერთი გ. მ. იმ მოძრაობათა რუდიმენტს წარმოადგენს, რ-თაც პირველყოფილი ად-ნი ხიფათის დროს თავს იცავდა, მაგ., კბილების ღრჭენა, ხელების დამუშტვა თანამედროვე ად-ნთან წარმოადგენს იმ ქცევის ნაშთს, როცა ად-ნი მართლა მუშტითა და კბილებით იბრძოდა.

გრძნობა—ემოციისა და გ. მ-თა შორის კავშირი იმდენად არსებითი და მჭიდროა, რომ ზოგიერთ მკვლევარს ამ ფაქტმა საბაბი მისცა, გრძნობა-ემოციები მთლიანად სხეულებრივ შეგრძნებათა კომპლექსზე დაეყვანა (იხ. ჯემს-ლანგეს თეორია).

გ. მ. შეიძლება იყოს ცნობიერი, შეგნებულად გამოწვეული (მაგ., მსახიობის მიერ როლის შესრულებისას) და არაცნობიერი, ე. ი. ბუნებრივი.

გამომხატველი მოძრაობის (ანუ გამოსახულების) მეთოდი — ფსიქიური ექსპერ-ის ერთ-ერთი სახე. ფიზიოლოგიიდან გადმოტანა. ფს-გიაში **ე. ვუნდტმა.** მდგომარეობს იმ ფიზიოლოგიური ცვლილებების დაკვირვება-შესწავლაში, რ-ბიც ფს-კურ პროცესებს და განსაკუთრებით ემოციურ განცდებს გამოხატავენ, მაგ., სუნთქვა, მაჯისცემა, სისხლის მიმოქცევა, მიმიკა, ჟესტი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული მოძრაობების შესასწავლად სხვადასხვა ხელსაწყო-აპარატი არსებობს. ეს აპარატები ფს-გიაში გადმოტანილია ფიზიოლ-დან. ვინაიდან ყველა მოძრაობაზე უშუალო დაკვირვება ვერ ხერხდება, ამიტომ მათ შესასწავლად საგანგებო, ძლიერ მგრძნობიარე კონსტრუქ-ციის აპარატებს იყენებენ (ასეთია კარდიოგრაფი, პლეტისმოგრაფი, პნევმოგრაფი, ერგოგრაფი და სხვა). ტექნიკის თანამედროვე განვითა-რების საფეხურზე აღნიშნული აპარატები უფრო გაუმჯობესებული სა-ხითაა წარმოდგენილი.

გამოყენებითი ფსიქოლოგია (გერმ. Angewandte Psychologie) — გ-ფ-ის ცნება შემოღებულია ფს-გიაში ვ. **შტერნის** მიერ. გ. ფ-ის ამო-ცანაა ფს-გიური კანონების გამოყენება ად-ნის პრაქტიკულ მოქმედება-ში, ასეთია: მეურნეობა, მრეწველობა (იხ. რაციონალიზაცია); მედი-ცინა (იხ. სამედიცინო ფს-გია); სასამართლო პრაქტიკა (იხ. სასამარ-თლო ფს-გია, ჩვენების ფს-გია); პედაგოგიკა (იხ. პედ-ური ფს-გია); სამხედრო საქმე და სხვა. ფს-გიური მეცნიერება საფუძველად ედება პრაქტიკული მოქმედების სხვადასხვა სფეროს, „გამოყენებითი ფსიქოლო-გიის" ცალკეულ დარგებს, (იხ. „ფსიქოლოგია").

გამოცდილება — სუბიექტის მიერ წარსულში საკუთარი დაკვირ-ვებით თუ სწავლით შეძენილი ცოდნის, ჩვევის, შთაბეჭდილებების ერთობლიობა. მაგრამ გ. არ არის ამ ყველაფრის უბრალო ჯამი. გ-ისათვის არსებით-ად დამახ. ის, რომ იგი გავლენას ახდენს სუბ-ის ყოველ აწმყო მოქ-მედებაზე-წარსულში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, სუბ. უფ-რო ადვილად სწავლობს, ადვილად წყვეტს ახალ ამოცანას, ადვილად ეგუება ცხოვრების ახალ პირობებს. გ. შინაარსეულად ნაირნაირია. ყო-ველი სახის პროფესიული შრომის ნაყოფიერებას და წარმატებას თავი-სი საკუთარი გ. განსაზღვრავს.

გ., რ-რც წარსულის აწმყოზე გავლენა სუბ-ის „ფიქსირებული განწყობის" (დ. უზნაძე) საფუძველზე მუშავდება და ფუნქციობს.

გამოცდის ექსპერიმენტი — ფს-გიური ექსპერ-ის ერთ-ერთი სახე, რ-ის მიზანია დაადასტუროს, აქვს თუ არა ადგილი მოცემულ პირობებ-ში გარკვეული ფს-კური ფუნქციის მოქმედებას და რა ხარისხის. გ-ე-ტს დიაგნოსტიკური მნიშვ. აქვს, იგივეა, რაც „ტესტი" (იხ). გან-სხვავდება კვლევითი ექსპერ-საგან.

გამოწვევითი ექსპერიმენტი —(გერმ Auslösende Experim.) — **კარლ ბიულერის** მიერ შემოტანილი ტერმინი ბ-ვის ფს-გიაში. იკვლევს რეფ-ლექსებს, ინსტინქტებს, ე. წ. გამომხატველ მოძრაობებს, ე. ი. თანდა-ყოლილ, არაგანვითარებად თვისებებს. ამ რეაქციების შესწავლისათვის საკმარისია ცპ-ზე მათი გამომწვევი გამღიზიანებლის ზემოქმედება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთისა, რ-თანაც ეს რეაქციები ერთმნიშვნელოვნად არიან დაკავშირებული.

გამომწვევითი ხასიათი (გერმ. Aufforderungscharacter) — **კ. ლევინის** მიერ შემოტანილი ტერ. ფს-გიაში. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ ყოველი გარესიტუაცია. სტიმულის როლს ასრულებს, უნდა აიხსნას იმით, რომ სუბ-ის მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაცია (საგანი) აღჭურვილია ე. წ. **გ. ხ-თ** ანუ ძალით; რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაკმაყოფილების საგანი მოთხოვნილების მქონე სუბიექტს თავისკენ იზიდავს, სამოქმედოდ იწვევს, ააქტიურებს. მაგ., მშიერ ად-ნს პური იზიდავს, მისი დანახვა უორკეცებს ჯამის მოთხოვნილებას, მაგრამ მაძღარი კაცის მიმართ იმავე პურს არავითარი ძალა არა აქვს, ე. ი. რაც კი მოთხოვნილება დაკმაყოფილდება, საგანს **გ. ხ.** ეკარგება. ამრიგად, საგნის **გ. ხ.** სრულებით გარკვეულ მიმართულებაში იმყოფება ადნის მოთხოვნილებასთან — გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისი საგანი იზიდავს მოთხოვნილების მქონე ად-ნს იმიტომ, რომ იგი შეიცავს **გ. ხ-ს** ძალას, ხოლო იგივე საგანი, თუ ად-ნს მისი მოთხოვნილება არ აქვს, მისთვის ინდიფერენტული საგანია.

დ. უზნაძემ საგნის ეს **გ. ხ.** განწყობის ფაქტად აღიარა. მისი აზრით, მოთხოვნილების მქონე ად-ნს მოთხოვნილების შესატყვის საგნებთან შეხვედრისას „გარკვეული მოქმედების **განწყობა** უჩნდება; და ეს განწყობაა, რომ თავის ფს-გიურ გამოხატულებას **კ. ლევინის** მიერ აღწერილ **გ. ხ-ის** ფაქტში პოულობს: პური მშიერ ად-ში განსაკუთრებული ქცევის — პურის დაუფლებისა და შეჭმის განწყობას იწვევს და ამიტომაა, რომ იგი მიმზიდველობის ძალის მქონედ განიცდება" (დ. უზნაძე). დ. უზნაძის „განწყობის" ცნება გასაგებს ხდის კ. ლევინის მიერ საგნის „**გამომწვევი ხასიათის**" ფაქტს.

გამღიზიანებელი — ეწოდება იმ საგანს ან მოვლენას, რ-იც იწვევს ორგანიზმში შესატყვისი რეცეპტორის მოქმედებას. მაგ., გ. თვალისთვის სინათლის ტალღის რხევაა, სმენის ორგანოსთვის — ჰაერის ტალღების რხევა და სხვა. (იხ. ადეკვატური გამღიზიანებელი).

განაწილებული ანუ დისტრიბუციული ყურადღება — იხ. ყურადღება.

განდევნა (გერმ. Verdrängung) **ზ. ფროიდის** „არაცნობიერის" თეორიაში „დაცვითი მექანიზმის" ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ამ თეორიის თანახმად პიროვნების „იგი"-ს (გერმ. „Es") სფეროში (ინსტინქტები-ლტოლვებში) წარმოშობილი და ცნობიერებაში პრეზენტირებული „ლიბიდოზური" წარმოდგენები, რ-თაც „ზე-მე" თავისთვის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებლად თვლის, ცნობიერებიდან იდევნება ცნობიერების ერთ-ერთი ინ-სტანტანციის „ცენზურის" მიერ. ასეთია მეტწილად საზოგადოებრივი ნორმებით აკრძალული ლიბიდოზური სურვილები, ინცესტისადმი მიდ-რეკილება, „ოიდიპოსკომპლექსი" და საზოგადოდ ყოველი ანტისაზოგა-დოებრივი, ამორალურ საქციელთან დაკავშირებული უარყოფითი წარ-მოდგენა. გ-ილი შინაარსი იძირება ქვეცნობიერებაში და იქ განაგ-რძობს არსებობას „კომპლექსის" სახით. გ-ილი შინაარსი გავლენას ახ-დენს ცნობიერებაზე, განსაზღვრავს მის მოქმედებას, ზოგჯერ მიმარ-თულებასაც კი უცელის მის მიმდინარეობას. თვითონ პიროვნებამ კი არაფერი იცის არც ცნობიერებიდან წარმოდგენის გ-ნის შესახებ, არც /გ-ილი შინაარსის არაცნობიერად არსებობის და მოქმედების შესახებ. გ-ილი შინაარსი ენერგიას არ კარგავს, იგი მუდამ ისწრაფვის, კვლავ დაუბრუნდეს ცნობიერებას და განახორციელოს თავისი სურვილები, მაგ-რამ „ცენზურა" დგას ცნობიერების სადარაჯოზე და გ-ნილ შინაარსს არ აძლევს საშუალებას კვლავ შეაღწიოს ცნობიერებაში. ფროიდის თე-ორიის მიხედვით, ფსიქოანალიზური საშუალებებით უნდა ამოვიყვანოთ გ-ილი წარმოდგენა ქვეცნობიერებიდან და ცნობიერი გავხადოთ (იხ. კათარსისი). არაცნობიერი შინაარსის ამოყვანა ცნობიერებაში დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს მხოლოდ სიძნელეა და არა პრინციპული შეუძლებლობა, პრინციპულად, ფროიდის თეორიის თა-ნახმად, ყოველი ცნობიერი შინაარსი შეიძლება გახდეს არაცნობიერი და, პირიქით, არაცნობიერი შინაარსი კვლავ გახდეს ცნობიერი (იხ. დაცვითი მექანიზმები; ფსიქოანალიზი; არაცნობიერი).

განვითარება –ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური მონაცემების თან-დათანობით შეცვლა უფრო მაღლით, უფრო სრულქმნილით, სასიცოც-ხლო პირობებთან უკეთესად შეგუებულით. საწინ. ცნებაა – ინვოლუ-ცია, დეგრადაცია, რეგრესია. ორგანიზმის განვითარების კვლევა მეცნ-ში ორი სახით მიმდინარეობს: ონტოგენეზისა და ფილოგენეზის სა-ხით. ფს-გიას ორივე მიმართულებით მიჰყავს კვლევა-ძიება. მაგ., ბ-ვის ფს-გია, იგივე ასაკობრივი გ-ის ფს-გია ად-ნს განიხილავს ონტო-გენეზური გ-ის თვალსაზრისით, ე. ი. დღიდან დაბადებისა სრულ მო-წიფულობამდე (20–25 წლამდე). ხოლო ფილოგენეზური თვალსაზრი-სი განიხილავს ფს-კაში მომხდარ ცვლილებებს ადამიანის ისტორიის მანძილზე, გვარეულობის, ტომის ისტორიის ყველა საფეხურზე (პირ-ველყოფილი მდგომარეობა, ტომი, ტაბუ), ვიდრე დღემდე.

განვითარების უახლოესი ზონა (რუს. зона ближайшего разви-тия)–როგორც ცნება ფს-გიაში შემოტანილია რუსი ფს-გის ლ. ს. ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტსკის მიერ (1934). მისი აზრით, ბ-ვის განვითარებაში ორი პერიოდი შეიმჩნევა: 1. როდესაც გარკვეული ფს-კური ფუნქციები ჯერ კიდევ მომწიფებული არ არის, არამედ მხოლოდ მომწიფების პერიოდში იმყოფება და თავისი შესაძლებლობების სრული გაშლისკენ ისწრაფვის. ეს პერიოდი წინასწარი მოსამზადებელი ეტაპია იმისათვის, რაც შემდეგ დასრულებულ-სტრუქტურულ სახეს მიიღებს. სწორედ განვითარების ამ დონეს, რომელზეც ფს-კურ ფუნქციათა მომწიფების პროცესი მიმდინარეობს, „განვითარების უახლოესი ზონა" ეწოდება. 2. მომ - დევნო პერიოდში, განვითარების დონე თავის დასრულებულ, სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სახეს აღწევს. ეს არის განვითარებულ ფუნქციათა აქტუალური დონე.

გ. უ. ზ-ნის ეტაპზე მოცემულ ფს-კურ ფუნქციათა გამოყენება ბ-ვს საკუთარი ძალებით არ შეუძლია, მაგრამ სხვისი დახმარებით მათ აქტივიზაციას ის ახერხებს და შესაფერის ამოცანებსაც წყვეტს.

მეორე დონეზე – მომწიფებულ ფუნქციათა აქტუალურ დონეზე ბ-ვი თვითონ, სხვის დაუხმარებლად იყენებს ამ ფუნქციებს და დამოუკიდებლად წყვეტს შესატყვის ამოცანებს. მაგ., დ. უზნაძე ბ-ვის ცნებითი აზროვნების განვითარებაში ორ პერიოდს ადასტურებს. პირველ პერიოდში – სკოლის წინარე ასაკი – ბ-ვი მხოლოდ სხვისი დახ - მარებით ახერხებს საგნების ნიშნების გამოყოფას, მათ დაჯგუფებას, სახელდებას, ე. ი. ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების ოპერაციებს – ანალიზს, სინთეზს, განზოგადებას, დეფინიციას. განვითარების მეორე პერიოდში – სასკოლო ასაკში ბ-ვი ამ ოპერაციების შესრულებას დამოუკიდებლად, თავისი ძალებით ახერხებს. აქ მას ლოგიკურ–ვერბალური ცნებითი აზროვნება უკვე განვითარებული აქვს. პირველი პერიოდი– გ. უ. ზ-ნას წარმოადგენს, მეორე –განვითარების მომწიფებული, აქტუალური, ცნებითი აზროვნების დონეს.

ლ. ვიგოტსკის აზრით, სწავლება ყველაზე ნაყოფიერია, როცა ის გ. უ. ზ-ას ეყრდნობა. სწავლება, მისი აზრით, უკვე განვითარებულ ფუნქციებს კი არ უნდა ავარჯიშებდეს, არამედ წინ უნდა უსწრებდეს მათ მომწიფებას. განვითარება სწავლებას უნდა მიჰყავდეს. სასწავლო საგანი თავის მასალას გ. უ. ზ-ნას უნდა უმიზნებდეს, რადგან გ. უ. ზ-ნის ეს პერიოდი, მისი აზრით, სწავლისათვის ყველაზე „სენსიტი - ვური" პერიოდია, სასწავლო მასალის მიმართ.

განზოგადება –ის. ცნება

განზრახვა – იგივეა, რაც გადაწყვეტილება, , რასაც ნებისყოფის მქონე სუბ. იღებს იმ განსხვავებით, რომ მისი რეალიზაცია რამდენიმე ხნის შემდეგ ხდება. სხვანაირად– ისეთი სტაბილიზებული, გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილებაა, რ-იც მანამდე არსებობს სუბ-ში, სანამ მისი განხორ-ციელების შესაფერისი სიტუაცია დადგება (იხ. ნებისყოფა).

განმარტება – (დეფინაცია) – ლოგიკაში ცნების შინაარსის გახსნა. ამისათვის ძირითადი და მთავარია განსამარტავი ცნების ადგილის ჩვენება მონათესავე ცნებათა შორის, სხვა ცნებებთან მისი მიმართების დამყარება-ეს შესაძლებელი ხდება, ერთი მხრივ, განსამარტავი – მეორე მხრივ, მის სპეციალურ სახეობით ნიშანზე მითითებით (differentia specifica), მაგ., განმარტება– „ადამიანი მოაზროვნე ცხოველია" –ცნება „ადამიანის" სწორი განმარტებაა: ნაჩვენებია მისი უახლოესი გვაროვნობითი ცნება –ცხოველი და სპეციალური სახეობითი ნიშანი – მოაზროვნე. გარდა ამისა, სწორ გ-ას მოეთხოვება კიდევ სხვა წესების დაცვაც, მაგ., ის არც ძალიან ვიწრო უნდა იყოს და არც ძალიან ფართო, არ უნდა შეიცავდეს ტავტოლოგიას (idem per idem).

განმეორების ადგილის კანონი დასწავლაში – იხ. დასწავლის კანონები.

განტვირთვა (ლათ. abreaction) – ფსიქოანალიზში –რეაქტიული გ.: ექიმის მიერ ავად-ური სულიერი დაძაბულობის მოხსნა, აფექტებისა და „განდევნილი განცდების" ავად-ის ცნობიერებაში ამოყვანის (გაცნობიერების) გზით (ი. ბროიერი, ზ. ფროიდი). იხ. კათარსისი.

განყენებული აზროვნება – იხ. ლოგიკურ – ვერბალური აზროვნება.

განცდა – ფს-კური მდგომარეობის „შინაგანი შეტყობინება". ყოველ ფს-კურ, ანუ ე. წ. სულიერ პროცესში რ-იც სუბ–სათვის ცნობიერადაა მოცემული, პრეზენტირებულია რაღაც ისეთი შინაარსი, რ-იც თვითონ განცდას არ წარმოადგენს. ასეთი გ-აა: აღქმა (განსხვავებით იმისაგან, რაც აღიქმება), წარმოდგენა (განსხვავებით იმისაგან, რაც წარმოიდგინება) და ამის შესატყვისად, მეხსიერების პროცესები, აზროვნება, გრძნობები, ემოციები, სურვილი, მისწრაფება და სხვა. ყოველი გ. იმავე დროს თავის არსებობაში, განმცდელისათვის უ ს ა თ უ ო დ ც ნ ო ბ ი ე რ ი ა. არაცნობიერი გ. არ შეიძლება არსებობდეს; როცა ვინმე რამეს განიცდის მას არა მარტო აქვს ეს გ., არამედ მან კიდეც იცის, რომ მას ა ქ ვ ს ეს გარკვეული გ ა ნ ც დ ა. და მისი არსებობის ცოდნა ორ ცალკეულ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ერთ განუყოფელ მთელს (იხ. ცნობიერება). გ-ისთვის, რ-რც ფს-კურისათვის დამახ. ის, რომ განსხვავებით ფიზ. მოვლენათაგან იგი სივრცით კატეგორიებს მოკლებულია და მხოლოდ დროში მიმდინარე პროცესია. მაგ., არცერთი ემოციის (სიამოვნების ან უსიამოვნების), აზროვნების, გადაწყვეტილების ან რ-იმე სხვა გ-ის შესახებ არ შეიძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ითქვას, რომ იგი მოცულობით დიდია ან პატარა, მაღალია ან დაბალი, ზევითაა თუ ქვევით იმ დროს, როცა ფიზ. საგნისათვის ეს სივრცითი მიმართულებები არსებითად დამახ.

გ-ებს, რ-რც ცნობიერების ფსიქიკურ პროცესებს, შეისწავლის მეცნ. ფს-გია.

განწყობა – იხ. განწყობის თეორია.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი – დაბალ-ვიტალური თუ მაღალ-ფს-კური მოთხოვნილების იმპულსით გამოწვეული ყოველი ქცევა აუცილებლად განწყობის საფუძველზე წარმოიშობა და მისივე ზეგავლენით მიმდინარეობს. მაგრამ, რადგან თვით განწყობა ცნობიერებაში არ აისახება, იგი თ ვ ი თ დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ს ა ც უშუალოდ არასოდეს არ ეძლევა, მისი შესწავლა პირდაპირი დაკვირვების მეთოდით შეუძლებელია. სამაგიეროდ, განწყობის შესწავლა შესაძლებელია არაპირდაპირი მეთოდით, საგანგებოდ შექმნილ პირობებში თ ვ ი თ ქ ც ე ვ ა ზ ე, რ-რ ც გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ზ ე, დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს გ ზ ი თ.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევა ორ პერიოდად იყოფა: პირველია – განწყობის შექმნის პერიოდი – **საგანწყობო ცდა**, მეორეა საგანწყობო ცდაში შექმნილი განწყობის შემოწმების პერიოდი – **კრიტიკული ცდა.**

1. **განწყობის ცდა რაოდენობითი ხასიათის მასალაზე,** ა) **საგანწყობო ცდა** – ცპ-ს ერთ ხელში (ვთქვათ, მარცხენაში) ეძლევა უფრო დიდი მოცულობის ხის ბურთი, მარჯვენა ხელში--პატარა ბურთი (ან ტაქისტოსკოპით უჩვენებენ ერთი მეორის გვერდით დახატულ ორ წრეს –ერთ დიდს – მარცხნივ, მეორეს პატარას – მარჯვნივ). მოწოდებული საგნები ცპ-მა უნდა შეადაროს ერთმანეთს სიდიდის მხრივ და თქვას რომელ მხარეზეა უფრო დიდი საგანი. ეს ცდა მეორდება უცვლელად 10–15 ჯერ. ამ ცდის შედეგად ცპ-ს უმუშავდება არატოლი სიდიდეების (მარცხნივ დიდის, მარჯვნივ პატარას) აღქმის მზაობა. სიდიდეების ყოველ მომდევნო მიწოდებაზე ცპ. **მოელის** არატოლ საგნებს – მარცხენა მხარეზე დიდს, მარჯვენაზე–პატარას. ე. ი. ექმნება არატოლი საგნების გარკვეული მიმართულებით აღქმის განწყობა.

ბ) **კრიტიკული ცდა**– უშუალოდ იმის შემდეგ, რაც ცპ-ს საგანწყობო ცდაში შეუმუშავდა არატოლი სიდიდეების აღქმის მზაობა-განწყობა, აწვდიან მას შესადარებლად საგანწყობო ცდაში მარჯვნივ მოთავსებულ პატარა ბურთს (წრის) სიდიდის ორ ტ ო ლ ბურთს (წრეს). ცპ-მა სიდიდეების ყოველ მიწოდებაზე უნდა აღნიშნოს, რომელ მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზე აღიქვამს უფრო დიდ საგანს. ცპ ამ ტოლ საგნებს არატოლად აღიქვამს: ერთი მათგანი უფრო დიდად ეჩვენება. უჩნდება მათი **უტოლობის ილუზია.**

ჩვეულებრივ, როგორც წესი, ორ თანაბარ სიდიდეს ცპ. აღიქვამს რ-რც თანაბარს; მეტნაკლებობის ილუზია არ უჩნდება. ახლა, **საგანწყობო ცდების გავლენით კრიტიკულ ცდაში ტოლი საგნები** არ აღიქმება ტოლად. **საგანწყობო ცდების გავლენით** გამოშუშავდა **მათი უტოლობის** აღქმის მზაობა /**განწყობა**/; ამ მზაობის გავლენით ტოლი სიდიდეები არატოლად აღიქმება, ჩნდება მათი უტოლობის ილუზია. ილუზიის გაჩენა და მიმდინარეობა კანონზომიერ ხასიათს ატარებს და სწორედ ეს **კანონზომიერებაა განწყობის ბუნების წვდომის საშუალებას რომ იძლევა.** ილუზია განწყობის კვლევის მეთოდის როლს ასრულებს.

2. **განწყობის კვლევა რომელობითი ხასიათის მასალაზე.** საგანწყობო **ცდა:** ცპ-ს ტაქისტოსკოპით აწვდიან წასაკითხად ლათინური ასოებით დაწერილ ლათინურ სიტყვებს 10–15 ჯერ. ცპ-ს უმუშავდება ლათინურად კითხვის **განწყობა.** ამის შემდეგ იწყება **კრიტიკული ცდა:** ცპ-ს აწვდიან ლათინური ასოებით დაწერილ **რუსულ სიტყვებს.** ცპ. მათ **კითხულობს** ლათინურად და **ღებულობს უაზრო სიტყვებს.** მაგ., **რუსული** სიტყვა **monop** კრიტიკულ ცდაში იკითხება, რ-რც **„მონოპ“, norba** რ-რც „ნორბა“ (ზ. ხოჯავას მეთოდი). **საგანწყობო ცდებით** ფიქსირებულმა ლათინური ასოებით კითხვის **განწყობამ** (მზაობამ) **რუსული** სიტყვების კითხვა თავის **შესატყვისად გარდაქმნა:** ცპ. **რუსულ** სიტყვებს **ლათინურად** კითხულობს.

რომელობით და **რაოდენობით** მასალაზე **ჩატარებული ცდებით** დადასტურდა, **რომ** სანამ **ქცევა** დაიწყებოდეს (**კრიტიკული ცდა**), **მანამდე** მისი **შინაარსი** უკვე **წინასწარ** (**საგანწყობო ცდაში**) **გაირკვა** და **დაფიქსირდა** ქცევა, **რ-ც** **კრიტიკულ** ცდაში **სრულდება** **საგანწყობო** ცდაში **მზადდება.**

რ-რც **რაოდენობით,** ისე **რომელობით** **მასალაზე** **აღქმის** **შედეგად** **გამოვლენილი** **ილუზია,** **წინასწარ** **შექმნილი** **განწყობის,** **გაუცნობიერებელი** **მოქმედების** **გამოვლენაა,** **რ-შიც** **გათვალსაჩინოებულია** **მასში** **ასახული** **განწყობის** **ბუნება,** **მისი** **დინამიკა.** **ამიტომ** **ილუზორული** **აღქმის** **მეთოდი** **განწყობის** **კვლევის** **ძირითად** **მეთოდად** **იქნა** **მიჩნეული.** **ყველა** **ამ** **ცდის** **საფუძველზე** **დავასკვნით,** **რომ** **გაწყობა** **სუბ-ის** **ისეთი** **მდგომარეობაა,** **რ-შიც** **წინასწარ** **იქმნება** **ქცევისათვის** **საჭირო** **ძალების** **ობი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექტურ სიტუაციასთან კონსოლიდაცია, სამოქმედო შინაარსის ჩამოყა - ლიბება. ეს კი სუბ-ის ისეთი ფუნქციური მდგომარეობაა, საიდანაც ქცევა იწყება.

განწყობის თეორია — ცნება „განწყობის" შესატყვისი ცნებებია რუს. **Установка,** გერმ. **Einstellung,** ინგლის. **set,** ფრანგ. **attitude,** ბ. **თ.** შეიმუშავა და დამოუკიდებელ ფს-გიურ მიმდინარეობად დააფუძნა დ. უზნაძემ.

1. განწყობა სუბ-ის შინაგანი მდგომარეობაა; ჩნდება **ორგანიზმ-ის მოთხოვნილებისა** და მისი **დაკმაყოფილების გარეგანი პირობების** ამ **ორგანიზმზე მოქმედების** შედეგად. **წინასწარ,** სანამ **მოქმედება** დაიწ-**ყებოდეს, სუბ-ში წარმოიშობა ამ მოთხოვნილების შესატყვისი ქცე - ვის შესრულებისათვის საჭირო შინაგანი მდგომარეობა: მზაობის, მიდ - რეკილების ტენდენციის სახით.** ორგანიზმში წარმოქმნილ ამ მოელენას (გარკვეული მოქმედებისათვის სუბ-ის ფსიქო-ფიზ. ძალების მომართვა — მომზადებას) დ. უზნაძემ **გ ა ნ წ ყ ო ბ ა** უწოდა.

| განწყობაზე არის დამოკიდებული თუ რ-ელ მოქმედებას მიმართავს ორგანიზმი თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და რ-რ წარმართავს მას. განწყობაზე დაფუძნებული მოქმედება (ყოველი მოქ-მედება ყოველთვის განწყობაზეა დაფუძნებული!) **მიზეზობრივად გან - საზღვრული** (მოთხოვნილებით და გარემოთი) და **მიზნობრივად მიზან-შეწონილი** (მოთხოვნილების დაკმაყოფილებით) სასიცოცხლო აქციაა, ორ-განიზმის გარკვეული ქცევაა.

მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის ზეგავლენით ჯერ წარმოიშობა განწყობა და მერე ამ განწყობის საფუძველზე სრულდება ქცევა, იმ შინაარსით, რ-იც განწყობაში წინასწარ იყო ამ ქცევისათ - ვის ნავარაუდევი.

განწყობა მთელი ცოცხალი სამყაროსათვის არის დამახ., მაგ-რამ ად-ნთან იგი მაინც სულ | სხვაა, ვიდრე დაბალ ორგანიზმში და ცხოველ/ში. ად-ნთან იგი ვერბალურ (სოციალურ) დონეზე მიმდინარე-ობს და **წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს** (ფს-კას) უკავშირდება.

2. განწყობის წარმოშობის პირობები. განწყობის თეორიის მი-ხედვით **განწყობის** წარმოშობას და **მიმდინარეობას** ორი ძირითადი პი-**რობა** განსაზღვრავს: **მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა** და **ს ი ტ უ ა - ც ი ა.**

ა) მოთხოვნილება — ორგანიზმს თავისი არსებობის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობის პირობებში: არ-სებობისათვის აუცილებელი საასიმილაციო ნივთიერება, რ-ის დანაკლისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბ. მოთხოვნილების სახით განიცდის, გარეგანი ბუნების შემადგენელი ნაწილია. ეს ნივთიერება მან გარემოდან უნდა შეიძინოს, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. მაგრამ გარემო (ბუნება) მრავალფეროვანია და ორგანიზმმა რომ სწორედ იმ ნივთიერებას (საგანს) მიაგნოს, რ-იც მას აი ახლა ესაჭიროება, — აუცილებელია წინასწარ მას სწორედ ამ ნივთიერების **მოთხოვნილება** გაუჩნდეს. იმისდა მიხედვით, თუ რა პირობებში ეძლევა სუბ-ს ეს საგანი მისი ქცევა სხვადასხვანაირი იქნება, მაგრამ **ყოველთვის კონკრეტული ობიექტური სიტუაციის შესატყვისი.** პრობლემა სწორედ აქ ისმის: რ-რ მყარდება სუბ-ის მოქმედების (ქცევის) შესატყვისობა გარეპირობებთან, რა განსაზღვრავს ქცევის ამ მიზანშეწონილობას, რ-რ ახერხებს ორგანიზმი სწორედ მიზანშეწონილ ქცევას მიმართოს:

გ-ის თ-ის მიხედვით ქცევა არ იწყება მოუმზადებლად, რ-რც კი მოთხოვნილება გაჩნდება, რომ (abrupte!), რომ უცბად განხორციელდეს საჭიროა მოთხოვნილება ჯერ თავის შესატყვის სიტუაციას შეხვდეს, რ-იც მას ობიექტური ვითარების სახით ეძლევა (იხ. მოთხოვნილება)

ბ) **სიტუაცია.** ყოველი მოთხოვნილება, სპეციფიკურ ად-ნერიც კი გულისხმობს, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანიც არსებობს ობიექტურ გარემოს ნაწილის, ნივთიერების, სახით. მშიერისთვის ასეთ გარემოს პური ან სხვა სანოვაგე წარმოადგენს, **მწყურვალისთვის** —წყალი, შეცივებულისთვის — სითბო და ა. შ. დ. უზნაძის კონცეფციით, „სიტუაცია“ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის გარეგანი პირობების მარტო **ფიზიკურ** არსებობას კი არ გულისხმობს, არამედ ამ ფიზ. გარემოს **შესატყვისობას** არსებულ მოთხოვნილებასთან, მათი „თანაზიარ და შეძლებისდაგვარად შეთანხმებულ მოქმედებას“ (დ. უზნაძე). მოთხოვნილება **გარკვეულ ინდივიდუალურ ფორმას** შესატყვისი კონკრეტულ გარეგანი პირობების ზეგავლენით იძენს.

აქტუალური მოთხოვნილების და მისი დაკმაყოფილების შესატყვისი გარეგანი პირობების „თანაზიარ“ მოქმედებით სუბ-ში წარმოიშობა მდგომარეობა „განწყობა“ მზაობის სახით. მასში პოტენციურადაა მოცემული მოთხოვნილებისათვის საჭირო ქცევის შინაარსი. განწყობაშია ნავარაუდევი აგრეთვე ქცევის მიზანშეწონილობაც. განწყობა სინამდვილის (შინაარსის) პირველადი ასახვის არაცნობიერი მდგომარეობაა.

გ-ს ამოსავალი დებულება, როგორც მთლიანი სუბიექტის ცნება— დ. უზნაძის კონცეფციით გარემოსთან პირდაპირ ურთიერთობაში მთლიანი სუბიექტი იმყოფება. გარეგანი სინამდვილე ზეგავლენას პირველ რიგში, ამ მთლიან სუბ-ექტზე ახდენს და მასში პირდაპირ იწვევს სათანადო ცვლილებას. სუბ-ის ეს შუალობითი როლი დ. უზნაძემ ფს-გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ზოგად ამოსავალ დებულებად მიიჩნია. (იხ. „უშუალობის პოსტულატი"). ამ შეხედულების თანახმად, გარემო პირდაპირ კი არ იწვევს ქცევას, არამედ იგი უშუალოდ სუბ-ზე მოქმედებს, „მას ცვლის სიტუაციის შესატყვისად. მასში იწვევს გარკვეულ ქცევის განწყობას., ქცევის აქტებს უშუალოდ ამ განწყობის მქონე სუბ. განსაზღვრავს: იმ აქტებს და პროცესებს მიმართავს, იმ ქცევას ასრულებს, რ-ის განწყობაც სიტუაციის ზეგავლენით აქვს სუბ-ს შემუშავებული".

ქცევის განმსაზღვრელი მიზეზი სუბ-ის მოთხოვნილებითა და შესატყვისი სიტუაციით შექმნილი განწყობაა. სუბ-ის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ამ გზით შეიძლება.

განწყობის თვისებები — ა) **განწყობის ფიქსაცია** — განწყობა, რ-რც სუბ-ის მდგომარეობა, რ-რც მისი ძალების მოცემულ სიტუაციასთან კონსოლიდაცია, ცდების გამეორების შედეგად ფიქსირდება, უფრო მტკიცე ხდება, უფრო ღრმად იდგამს სუბ-ში ფესვებს. ეს იმაში იჩენს თავს, რომ განწყობის ჩაქრობის შემდეგ თუ კვლავ ანალოგიურმა სიტუაციამ იმოქმედა სუბ-ზე, იგივე განწყობა უფრო ადვილად აიგზნება, უფრო მცირე გამეორებაა საჭირო, რომ იგი მყარი და დიფერენცირებული გახდეს, ვიდრე პირველად, იგი აქტიური ხდება მსგავს სიტუაციაშიც. საგანწყობო ცდა სწორედ განწყობის ფიქსირების როლს ასრულებს.

ბ) **განწყობის ფაზური მიმდინარეობა** — ექსპერიმენტულ პირობებში კონტრასტული ილუზია დომინანტობს. შეგრძნების ზოგ მოდალობაში მაგ., ჰაპტურში კრიტიკული ცდის დასაწყისში და შემდეგაც ერთხანს მხოლოდ კონტრასტული ილუზია წარმოიშობა. (პირველი ფაზა), შემდეგ გამოერევა ასიმილაციური ილუზია, რ-აც კვლავ კონტრასტული ილუზია ცვლის (მეორე ფაზა), მაგრამ თანდათან ასიმილაციური ერევა /მესამე ფაზა/. დასასრულ მყარდება სინამდვილის ადეკვატური აღქმა /ტოლობის აღქმა/. ასიმილაციური ილუზია სინამდვილის ადეკვატურ აღქმას კრიტიკული ცდის რამდენიმე გამეორების შედეგად აღწევს, მაგრამ საბოლოოდ განმტკიცებული შეიძლება ის ჯერ არ იყოს და კვლავ გაერიოს ასიმილაციური ილუზია (მეორე ფაზა). ერთხანს სინამდვილის ადეკვატური აღქმა და ასიმილაციური ილუზია ცვლის ურთიერთს, მაგრამ ჩქარა მტკიცდება სინამდვილის ადეკვატური აღქმა (იხ. განწყობის ილუზიის სახეები).

გ) **განწყობის ირადიაცია და მისი ზოგად-პიროვნული ხასიათი.** —მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის ზემოქმედება ორგანიზმზე შეგრძნების გარკვეული ორგანოს საშუალებით ხორციელდება და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადო განწყობა უპირველესად ამ ორგანოს გზით წარმოიშობა. მაგრამ მისი გავრცელების არე ამ ლოკალური ადგილით არ შემოიფარგლება, მისი მოქმედება სხვა ორგანოებზეც ვრცელდება და სუბიექტის მთლიან მდგომარეობად იქცევა. ამ მოვლენას განწყობის ირადიაცია ეწოდება. მაგ., თუ განწყობა ცალ ხელზე ან თვალზე გამომუშავდა, იგი მეორე ხელზე და მეორე თვალზეც გავრცელდება. მეტიც, თუ განწყობა ერთი მოდალობის ორგანოზე გამომუშავდა, მაგ., ხელზე, იგი სხვა მოდალობის ორგანოზე გავრცელდება, მაგ., თვალზეც. ამრიგად, მტკიცდება, რომ განწყობა ლოკალური მდგომარეობა არ არის, იგი ორგანიზმის **ზოგად-პიროვნული აქტივობაა.**

დ) **განწყობის ჩაქრობის პროცესი** – ფიქსირებული განწყობა შეიძლება მოიხსნას, ჩაქრეს: 1. ბუნებრივად, დროის ფაქტორის ზეგავლენით, როცა შესატყვისი სიტუაცია დიდხანს არ მოქმედებს. 2. ექსპერ-ულ პირობებში: კრიტიკული ცდის მრავალჯერ გამეორების შედეგად.

ე) განწყობის სტაბილურობა – დროის ზეგავლენის მიმართ განწყობას გარკვეული სტაბილურობა ახასიათებს: სხვადასხვა გამღიზიანებლის ზემოქმედების მიუხედავად ერთხელ ფიქსირებული განწყობა არ იკარგება, იგი ხანგრძლივად ინარჩუნებს აქტივობის უნარს.

განწყობის ილუზიის სახეები – განწყობის კრიტიკულ ცდაში ორი სახის ილუზია ჩნდება: კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი და ა ს ი მ ი ლ ა ც ი უ რ ი. ა) კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი ი ლ უ ზ ი ა, რ-რც წესი, ჩნდება რაოდენობრივ მასალაზე საგანწყობო ცდების მომდევნო ცდაში, ე. ი. კრიტიკულ ცდებში. ეს ილუზია ტოლი სიდიდეების ისეთი მცდარი აღქმაა, როცა მიწოდებული ტოლ სიდიდეებიდან უფრო პატარად აღიქმება საგანი იმ მხარეზე, რომელზეც საგანწყობო ცდაში მუდამ უფრო დიდი ობიექტი თავსდებოდა და ცალ-თვითონ მას უფრო დიდად აღიქვამდა. ი ლ უ ზ ი ა ა ეს აღქმა იმიტომ, რომ სინამდვილეში საგანი ამ მხარეზე უფრო პატარა კი არ არის, არამედ მარჯვნივ მოთავსებულის ტოლია. კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი ა იმიტომ, რომ საგანწყობო ცდაში ფიქსირებული მდგომარეობის საწინააღმდეგოა-სადაც საგანწყობო ცდაში საგანი უფრო დიდად აღიქმებოდა იქ ახლა /კრიტიკულ ცდაში ტოლი საგანი უფრო პატარად აღიქმება. ბ) **ასიმილაციური ილუზია** – კრიტიკულ ცდაში მიწოდებული ტოლი სიდიდეებიდან უფრო დიდად აღიქმება საგანი იმ მხარეზე, რომელზედაც საგანწყობო ცდაში მუდამ დიდი საგანი თავსდებოდა, ე. ი. საგანწყობო ცდაში შექმნილი განწყობის შესატყვისად: ასიმილაციურად.

ასიმილაციური აღქმა, საერთოდ, სინამდვილის წვდომის ერთადერთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი გზაა. სინამდვილის აღქმა ახალი ვითარების ასიმილაციაა ძველ ნაცნობ წარმოდგენასთან, მათ შორის სრული იდენტობის დამყარებაა.

კონტრასტული ილუზია დამახ. რაოდენობრივი მასალის აღქმისათვის. განსაკუთრებით მაშინ, როცა განსხვავება საგანთა შორის დიდია. ასიმილაციური ილუზია დამახ. რომელობითი განწყობისთვის (მაგ., ლათინური შრიფტით კითხვის განწყობა).

როგორც კონტრასტული, ისე ასიმილაციური ილუზიური აღქმის შემთხვევაში სინამდვილის ადეკვატური წვდომა, დ. უზნაძის თეორიით, მიიღწევა „განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის" მიხედვით (იხ.).

განწყობის ინდივიდუალურ-დიფერენციული ხასიათი-ზოგადი თვისებების გვერდით (ფიქსაცია, ირადიაცია, ჩაქრობა, სტაბილურობა) განწყობას ინდივიდუალურ-დიფერენციული ხასიათი აქვს და ეს შესატყვისი ტიპოლოგიური ნიშნებით ვლინდება. ასეთი ნიშან-თვისებებია: **განწყობის აგზნებადობა**— ზოგი ადამიანისთვის ორიოდე საგანწყობო ცდაც საკმარისია განწყობის ფიქსაციისათვის, ზოგისთვის კი საგანწყობო ცდის მრავალი გამეორებაა საჭირო, რომ განწყობა დაფიქსირდეს; **განწყობის დინამიკურობა და სტატიკურობა** — დინამიკური ტიპისაა განწყობა, როცა სინამდვილის ადეკვატურ აღქმას აღწევს ყველა ფაზის გავლის შემდეგ. საწინ. **სტატიკური ტიპის განწყობა.** არის შემთხვევა, როცა სუბიექტი ვერ აღწევს ერთხელ ფიქსირებულ განწყობას და შეიძლება კრიტიკული ცდა უსასრულოდ გაგრძელდეს. ასეთი განწყობა სტატიკურია; **პლასტიკურობა და სიტლანქე** — პლასტიკური ეწოდება განწყობას, როცა ის თანდათან სუსტდება, იცვლება, რომელიმე ფაზაზე შეჩერდება და შემდეგ სტატიკურობას გამოავლენს, ან გაიკლის ყველა ფაზას და აღიკვეთება. ორსავე შემთხვევაში განწყობა პლასტიკურია. **ტლანქია** განწყობა, როცა რომელიმე ფაზაზე შეჩერებული პლასტიკური განწყობა ერთბაშად გადადის ადეკვატურ აღქმაზე. ან, როცა დინამიკური განწყობა, აგრეთვე, ერთბაშად ჩაქრება და მყარდება ადეკვატური აღქმის განწყობა. განწყობის ირადიაციაც დიფერენციული ხასიათისაა, მეტ-ნაკლები გავრცელებულობა ახასიათებს: ზოგ ადამიანში ერთ მოდალობაში შექმნილი განწყობა მთელ პიროვნებაზე ვრცელდება, ზოგში უფრო ვიწროდაა შემოფარგლული; **კონსტანტურობა და ვარიაბილურობა.** კონსტანტური ეწოდება განწყობას, რომელიც თავის ხასიათს არ იცვლის, მოქმედების ერთ სახეს ინარჩუნებს ბოლომდე. მაგ., დინამიკური განწყობა ყოველთვის მოქმედებს როგორც დინამიკური; **ვარიაბილური** განწყობის ტიპი ცვალებადია, ხან ერთ სახეს იღებს, ხან მეორეს. განწყობის **სტაბილურობაც** მეტ-ნაკლები სიმტკიცისაა. მაგ., როცა განწყობა უცვლელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სახით დიდხანს, ძლებს ის **კონსტანტურ - სტაბილურია**, როცა შეცვლილად ძლებს დიდხანს, მაშინ ის **ვარიაბილურ - სტაბილურია**. განწყობის სიმტკიცე სხვადასხვა ხარისხისაა, მაგ., ზოგი ად-ნისათვის ორიოდე კრიტიკული ცდა საკმარისია, რომ განწყობა ჩაქრეს და სინამდვილის ადეკვატურ აღქმას დაეთმოს ადგილი, ზოგთან კი იმავე ეფექტის მიღწევას მრავალი კრიტიკული ცდის ზემოქმედება სჭირდება.

განწყობა როგორც არაცნობიერი ფსიქიკური —განწყობა, რ-რც მზაობა მოქმედებისათვის სუბ-ის გამოცდილებას უშუალოდ არ ეძლევა, არც მისი შექმნაა პირდაპირ დაკვირვებისათვის მისაწვდომი, არც მისი შემდგომი მიმდინარეობა. განწყობა ცნობიერების ფაქტი არ არის, ცნობიერ ფს-კაში თვითონ არ ცხადდება. აზროვნების, ემოციის და ნებელობის მსგავსად იგი განცდაში არ აისახება და თვითდაკვირვებას უშუალოდ არ ეძლევა. პირდაპირი დაკვირვება ხდება არა განწყობის განცდაზე, არამედ სუბ-ის მოქმედებაში რეალიზებულ შინაარსზე, რ-იც განწყობის საფუძველზე წარმოიშობა. (იხ. განწყობის კვლევის მეთოდი). განწყობის თეორიით, **განწყობა არაცნობიერი ფსიქიკურია.**

არაცნობიერების ცნება ფს-გიის საკმაოდ ძველი ცნებაა და დამცველიც მას ბევრი ჰყავს, მაგრამ დ. უზნაძის განწყობას, რ-რც არაცნობიერი ფს-კურის ცნებას საერთო მათთან არაფერი აქვს. იგი პრინციპულად უპირისპირდება მეცნიერების მიერ მიღებული არაცნობიერი ცნების შინაარსს.

დ. უზნაძეს დაშვებული აქვს **ფს-კის განვითარების იდეა** და მისი ორი საფეხური. განწყობა ფს-კის განვითარების პირველი საფეხურია. **ცნობიერ მეორე საფეხურზე გადასვლა მას არ შეუძლია.**

მიუხედავად ამისა, განწყობის თეორიაში, არაცნობიერი ანტაგონისტური კი არ არის ცნობიერებისა, არამედ მასთან თანხმობაშია და მის მუშაობას ხელს უწყობს. განწყობა სიტუაციის ადეკვატური ამსახველია და ამდენად ქცევის მიზანშეწონილობას განაპირობებს.

განწყობის ფსიქოპათოლოგია — სხვადასხვა სულიერ დაავადებას ტიპოლოგიურად განსხვავებული განწყობა შეესატყვისება. **შიზოფრენიით** დაავადებულის განწყობა ტლანქია და სტატიკური და ფართოდ ირყევრებული. მიუხედავად ამისა, იგი ადვილად აგზნებადია და იმავე დროს უაღრესად კონსტანტური და სტაბილური. ეპილეფსიით დაავადებულის განწყობა „აგზნებადია, ტლანქია და სტატიკური. განწყობის ირადიაცია უაღრესად შემოფარგლულია, არათუ ერთი სენსორული არედან მეორეზე ვერ გადადის, იგი თვით ამ სენსორულ არესაც ვერ ფარავს... ლოკალურია, მაგრამ ისევე მტკიცედ კონსტანტური და სტაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურია, რ-რც შიზოფრენიის ირადირებული განწყობა". (დ. უზნაძე). ისტერიით დაავადებულის განწყობა ვარიაბილურ-ლაბილურია.

განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი – შესატყვისი ასიმილაციური განწყობის გარეშე სინამდვილის ადეკვატური აღქმა არ შეიძლება. თუ განწყობა ახალი სინამდვილის მიმართ შეუფერებელია და ვერ ახერხებს მის ადეკვატურ აღქმას, მაშინ ეს **განწყობა უნდა დაირღვეს: რ-რც მიზანშეუწონელი და** მის ნაცვლად წარმოიშვას ამ ახალი სინამდვილის **შესატყვისი** განწყობა, რ-იც შეძლებს მის ასიმილაციას. სწორედ **განწყობათა ასეთი** შეცვლა ხდება კონტრასტული აღქმისა და საერთოდ **შეუსატყვისი** ილუზიის პირობებში. შეუსატყვისი ილუზიის წარმომშობი **განწყობა** ირღვევა და მის ნაცვლად წარმოიშობა ასიმილაციური **განწყობა,** რ-აც შეუძლია თანდათანობით ადეკვატურად აღიქვას ახალი **სინამდვილე;** განწყობათა ასეთ შეცვლას დ. უზნაძემ „**განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი** უწოდა".

განწყობა წარდგენის **საფუძველზე** – აქტუალურად ზემოქმედი სიტუაციის პირობებში მოქმედებას საგნის უშუალო ზეგავლენით გამოწვეული განწყობა განსაზღვრავს. ვერბალურ-სიტყვიერ პლანში, სადაც ად-ნს, აგრეთვე, უხდება მოქმედება, განწყობას **წარმოსახვით - იდეური** სიტუაცია აჩენს. სათანადო ექსპ.: ცპ-ს ეუბნებიან **წარმოიდ - გინოს** მარცხენა ხელში დიდი ბურთი, მარჯვენაში – პატარა და შეადაროს ისინი ერთმანეთს სიდიდის მხრივ. ამ წესით ეს ცდა მეორდება **15-ჯერ** (საგანწყობო ცდა). ამის შემდეგ იწყება კრიტიკული ცდა: ცპ-ს ხელში აძლევენ წარმოდგენილი სიდიდის ორ ტოლ ბურთს და სთხოვენ შეადაროს ისინი ერთმანეთს სიდიდის მხრივ. გარაუდობენ, რომ თუ წინასწარ წარმოდგენის შედეგად საგანწყობო ცდაში ცპ-ს განწყობა შეექმნა, იგი კრიტიკულ ცდაში ილუზიის სახით გამოვლინდება. ასეთი წესით ჩატარებულ ცდაში ილუზია გამოვლინდა. დადასტურდა, რომ განწყობა იქმნება არა მარტო საგნის უშუალო ზემოქმედების შედეგად, არამედ წარმოსახვის საფუძველზეც.

ნათელი გახდა, რომ „სიტყვა" – განწყობის გამომწვევი სტიმულის როლს ასრულებს. განსხვავება ად-ნთა შორის აქაც დიდია: ზოგს მტკიცე და სტაბილური განწყობა უჩნდება, ზოგს მკრთალი, სუსტად ფიქსირებული, ზოგი კი სულ ვერ ახერხებს წარმოდგენის საფუძველზე განწყობის შემუშავებას, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათია.

1. **განწყობის მოქმედების ორი დონე** (ობიექტივაციის პრობლემა). მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის ერთიანი მოქმედება ქცევას ერთნაირად განსაზღვრავს, რ-რც ცხოველთან ისე ად-ნთან. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს: ა) ცხოველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა ვიტალურ–ბიოლოგიური მოთხოვნილება აქვს, ად-ნს კი მათ გარდა კიდევ კულტურული მოთხოვნილებაც, რ-რც სოციალურ-ისტორიული განვითარების პროდუქტი. ბ) ად-ნის მოქმედების გარემო-სიტუაცია სოციალურია და ამდენად ის გაცნობიერებული სიტუაციაა. ვერბალურ აზროვნებას და ადა-ნთა შორის ურთიერთობის მოთხოვნილებას ად-ნის მოქმედება ობიექტურ-იდეურ სფეროში გადააქვს. ამის შესატყვისად განწყობა ად-ნთან წარმოიქმნება აგრეთვე წ ა რ მ ო - დ გ ე ნ ი ს დონეზეც; წარმოდგენის მაღალ-ფს-კურ საფუძველზე. ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ცხოველს გადაკეტილი აქვს. ცხოველის სიტუაცია არსებითად მხოლოდ ფიზ. სიტუაციაა. გ) ად-ნს, რ-რც სოც. არსებას გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოთხოვნილება, იგი მოქმედებს აუცილებლობის ცნობიერების იძულებით, რ-იც სხვადასხვა მოთხოვნილების ურთიერთთან შეპირისპირების საფუძველზე წარმოიშობა წარმოსახვის მაღალ-ფს-კურ. დონეზე. ასეთი მოქმედება სპეციფიკურ ად-ნურია, იგი მიუღწეველია ცხოველისათვის.

2. იმპულსური მოქმედების პირველი დონე და ობიექტივაციის მეორე დონე. ად-ნის ცხოვრება ორ დონეზე მიმდინარე პროცესია. ერთია იმპულსური მოქმედების პირველი დონე. იგი საერთოა ად-ნისა და ცხოველისათვის. მეორე – სპეციფიკურ ად-ნური მოქმედების – ობიექტივაციის დონე.

ა) პირველ დონეზე მიმდინარე იმპულსური ქცევა წარმოიშობა რაიმე აქტუალური მოთხოვნილებისა (ვიტალურ-ბიოლოგიურის) და მისი დაკმაყოფილების კონკრეტული პირობებით შექმნილი განწყობის საფუძველზე. ვიტალურ-იმპულსური ქცევის შემთხვევაში სუბ. ქცევის პროცესშია უშუალოდ ჩართული. ქცევის ყოველი წინა აქტი თვითონაა ყოველი შემდეგი აქტის გამომწვევი მიზეზი, მოქმედება არსად წყდება, მას არაფერი ეღობება წინ, თავისი მიმდინარეობისათვის ყურადღების ფიქსაციას არ საჭიროებს, მოქმედება მიმდინარეობს ნებისყოფისა და აზროვნების ჩარევის გარეშე. იმპულსური მოქმედების პროცესში გარეგანი სამყაროდან მხოლოდ ის შინაარსი შემოდის, რ-იც მის შესატყვის განწყობაშია წინასწარ ნავარაუდევი. ამიტომ მოქმედებას პირველ იმპულსურ დონეზე, აგრეთვე „განწყობის" დონესაც უწოდებენ.

ბ) **ობიექტივაციის დონე** – ად-ნი არ არის ცხოველივით წმინდა იმპულსური არსება. თვით იმპულსური ქცევის მიმდინარეობაში ად-ნს შეიძლება სიძნელეები გადაეღობოს. ასეთ შემთხვევაში ად-ნი აჩერებს დაწყებულ იმპულსურ მოქმედებას და სვამს კითხვას: რამ წარმოშვა ეს სიძნელე? ამ საკითხს იგი საგანგებო განხილვის ობიექტად აქცევს და ცალკე შესასწავლად გამოყოფს, იწყება მისი შემეცნება. ად-ნი ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთში შემმეცნებელ სუბ-ად გადაიქცევა. აი ამ ფაქტს, მოქმედები - დან რომელიმე ერთი საკითხის გამოყოფას და შემეცნების ობიექტად მის დასახვას განწყობის ფს-გია ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა ს უწოდებს. ად-ნის გარემოსთან დამოკიდებულების სპეციფიკას სწორედ ობიექტივაცია შეადგენს.

ობიექტივაციის დონეზე მოქმედებით სუბ. თავს აღწევს იმპულსური მოთხოვნილების სიმწვავეს, თავიდან იცილებს საგანთა უშუალო ზეგავლენას და მოქმედებას იწყებს წარმოსახულ, იდეურ ბაზაზე შექმნილ განწყობის საფუძველზე. ლოგიკურ-ვერბალური მოქმედების ყველა მაღალი აქტი ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე აქტია.

გარდასვლის განცდა (გერ. Übergangserlebniss)— სიდიდით განსხვავებული ორი წრის შედარებისას პირველი დიდი წრის შემდეგ გვეჩვენება, რომ მეორე პატარა წრე თითქოს იკუმშება და თანდათანობით უახლოვდება თავის რეალურ სიდიდეს და, პირიქით, პირველად პატარა წრის დანახვის შემდეგ გვეჩვენება, რომ მომდევნო დიდი წრე თანდათან ფართოვდება და შემდეგ კვლავ თანდათანობით უბრუნდება თავის სიდიდეს. წრის თანდათანობითი შეკუმშვისა და გაფართოების ეს პროცესები იწოდება „გარდასვლის განცდად". იგი პირველად სიმძიმეების შედარების ცდებში, აღწერეს გ. მიულერმა და ფ. შუმანმა.

ზოგი ფს-გის შეხედულებით, საგანთა შორის მიმართების წვდომა შეიძლება ხდებოდეს, გ. გ-ის, საფუძველზე ინტელექტისა და ნებელობის მონაწილეობის გარეშე. კ. ბიულერმა და ი. ლინდვორსკიმ ამ ცნებით ახსნეს ვ. კელერის ცდების შედეგები ანთროპოიდებზე, მათი აზრით, მაიმუნის ქცევის ახსნა ვ. კელერის ცდებში არ საჭიროებს გონიერების ცნებას. ის შეიძლება აიხსნას გ. გით, რ-იც ცხოველს მისაღწევი მიზნისა და ამისათვის საჭირო გამოსაყენებელი საგნის აღქმის პროცესში უჩნდება.

გარემო — ფართო მნიშვ. გულისხმობს მთელ ფიზ. სამყაროს რ-შიც ცოცხალი ორგანიზმი არსებობს. კერძოდ ად-ნისათვის გ. ფართო მნიშვ. შეიცავს აგრეთვე სოც. პირობებსაც. ვიწრო მნიშვ. ცნება გ. შეიცავს ორგანიზმის არსებობისათვის მხოლოდ იმ საჭირო საგნებს, რ-ებიც ორგანიზმის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და არა ყველა გამღიზიანებლებს, რ-იც ფიზ. გარემოშია მოცემული. ამ მნიშვ. გ. ად-ნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სიტუაციას წარმოადგენს. მაგ., ერთი ორგანიზმისათვის გარემო-სიტუაცია სულ სხვაა, ვიდრე იმ ორგანიზმისათვის რაც სწყურია, და სულ სხვაა, იმ ორგანიზმისათვის რაც არც ერთი ეს მოთხოვნილება ამჟამად არა აქვს. ამგვარად, ყოველ მოთხოვნილებას თავის დაკმაყოფილების სპეციფიკური გარემო-სიტუაცია შეესატყვისება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გართობა — იხ. ქცევის ინტროგენური ფორმა.

გაღიზიანება — ორგანიზმის გარეთ ან მის შიგნით მიმდინარე ფიზ. ან ქიმიური პროცესი, რ-ლიც გამოწვეულია რეცეპტორებზე, ანუ გრძნობის ორგანოებზე რაიმე მოვლენის ზემოქმედების შედეგად. მაგ., ჰაერის ტალღისებური რხევა გავლენას ახდენს სმენის ორგანოზე, იწვევს რა მასში გარკვეული ბგერის შეგრძნებას. სინათლე, რ-იც თვალზე მოქმედებს, იწვევს სინათლის ანუ ფერის შეგრძნებას. საერთოდ ყოველი აგენტის (გამღიზიანებლის) ზემოქმედება, რ-იც კი რაიმე ორგანოზე გავლენას ახდენს, გარკვეულ შეგრძნებას იწვევს. ასეთი გ. არის ორგანიზმის საპასუხო მოქმედების, ანუ რეაქციის პირველადი საწყისი მომენტი. მაგრამ არსებობს ისეთი გამღიზიანებელიც, რ-ლიც ორგანიზმზე თუმცა ზემოქმედებს, ცოცხალ ორგანიზმში ცვლილებას იწვევს, მაგრამ შეგრძნებას არ ბადებს; ასეთია მაგ., რენტგენის სხივები.

გაღიზიანებადობა — ცოცხალი სხეულის ანუ ორგანიზმის მოქმედების უნარი უპასუხოს ყოველგვარ გარეგან თუ შინაგან გამღიზიანებელს ორგანიზმის სათანადო ცვლილებებით.

გაღიზიანების ზღურბლი — იხ. შეგრძნების ზღურბლი.

გაღიზიანების თუ შთაბეჭდილების მეთოდი ფს-გიური ექსპერიმენტის ერთ-ერთი სახე (შეიმუშავა ვ. ვუნდტმა). სახელდობრ: ცდ-ზე ამოქმედებენ გარკვეულ გამღიზიანებელს (მხედველობით, სმენით, შეხებითს, თუ სხვა რომელიმეს) და ავალებენ მას — მოგვცეს ჩვენება, თუ რა განიცადა მან გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად. მაგ., ესთეზიომეტრით აღიზიანებენ კანის ორ წერტილს და არკვევენ იმ მინიმალურ მანძილს ესთეზიომეტრის ორ წვეროს შორის, რ-იც ცდ-ს პირველად უქმნის კანის ზედაპირზე ოდნავ შესამჩნევი ორი მიკარების შეგრძნებას.

გაცრუებული მოლოდინის თეორია — სხვადასხვა მოდალობის ილუზიების ახსნის ერთ-ერთი თეორია. როცა არათანაბარი მოცულობის ორ საგანს (ვთქვათ, ბურთებს), მარცხენა ხელში დიდსა და მარჯვენაში პატარას, ვადარებთ ურთიერთს ერთდროულად რამდენჯერმე, და უშუალოდ ამის შემდეგ (კრიტიკულ ცდაში) ვადარებთ თანაბარი მოცულობის იმავე საგნებს (ბურთებს), ჩნდება მოცულობის კონტრასტული ილუზია: იმ ხელში, რ-შიც წინათ უფრო დიდი მოცულობის ბურთი გვეჭირა (მარცხენაში), ახლა, თანაბარი მოცულობის ბურთების შედარებისას საგანი უფრო პატარა მოგვეჩვენება, ვიდრე მისი ტოლი საგანი მეორე ხელში (მარჯვენაში).

გ. მ. თ. ცდილობს ახსნას სწორედ ეს ფს-კური ფენომენი—ილუზია. პრობლემა ისაა, თუ რატომ აღვიქვამთ უკანასკნელი შედარებისას (კრიტიკულ ცდაში) თანაბარი მოცულობის საგნებს არათანაბრად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლს-არატოლად. გ. მ. თ-ს მიხედვით საგნის ერთი და იმავე თანამიმდევრობით რამდენჯერმე მიწოდების შედეგად (მარჯვენაში პატარა, მარცხენაში დიდი) მუშავდება მ ო ლ ო დ ი ნ ი, რომ შემდეგაც სა-განთა თანამიმდევრობის ეს წესი დაცული იქნება: ცპ. მ ო ე ლ ი ს, რომ მარჯვენა ხელში მას კვლავ პატარა საგანს მისცემენ, ხოლო მარ-ცხენაში დიდს. მაგრამ, წინააღმდეგ ამ მოლოდინისა, როცა განსხვა-ვებული საგნების ნაცვლად ის ტოლ საგნებს მოსინჯავს, მოლოდინი უცრუ-ედება და ა მ ი ს გ ა მ ო ა ღ ქ მ ი ს სისწორე ირღვევა: იმ ხელში, რ-შიც ის უფრო დიდ საგანს მ ო ე ლ ო დ ა, საგანი უფრო პატარად მოეჩვენება, ვიდრე მისი ტოლი საგანი მეორე ხელში.

გ. მ. თ-ის ექსპერიმენტული კრიტიკა მეცნიერებაში მოცემულია დ. უზნაძის „პოსტჰიპნოზური შთაგონების" ცდებში. დ. უზნაძე აძ-ღვევდა ცპ-ებს ორ ბურთს შესადარებლად, ერთ ხელში (ვთქვათ, მარ-ჯვენაში) მოცულობით პატარა ბურთს, მეორეში-უფრო დიდს. ჰიპნო-ზური ძილის მდგომარეობაში ცპ-ს ადარებინებდა ურთიერთს ამ ბურ-თებს მრავალჯერ. მას შემდეგ, რაც ამ ცდას გაიმეორებდა 10–15 ჯერ, ცპ-ს ეძლეოდა დავალება დაევიწყებია ყველაფერი ეს (რაპორტი) და აღვიძებდა. ახლა, გამოღვიძებულ მდგომარეობაში, აწვდიდა ტოლი მოცუ-ლობის ბურთებს. მიუხედავად იმისა, რომ ცპ-ს ჰიპნოზური მდგომარეობი-დან არაფერი ახსოვდა, მიწოდებულ კრიტიკულ ტოლ ბურთებს იგი მაინც არატოლად აფასებდა. სახელდობრ, ცპ. ადასტურებდა „რომ ბურთი მარ-ცხნივ (ე. ი. ხელში, რ-შიც საგანწყობო ცდებში, ჰიპნოზური ძილ-ის დროს უფრო დიდი ბურთი ეძლეოდა) საგრძნობლად უფრო მცირე ჩან-და, ვიდრე ბურთი მარჯვენა ხელში" (დ. უზნაძე). ამრიგად დამტკიც-და, რომ მ ო ლ ო დ ი ნ ზ ე, რ-რც ილუზიის წარმომშობ საფუძველ-ზე, ღაპარაკი ზედმეტია.

გაწითლების შიში (ერითროფობია) —შიშის ერთ-ერთი სახე. სუბ-ს თან სდევს შიში, რომ სხვებთან ურთიერთობისას ის სახეზე წითლდება, და წითლდება კიდევაც ზოგჯერ სრულებით უმიზეზოდ, მარ-ტო ამის გაფიქრების შედეგად. მიიჩნევა ნევროზული მდგომარეობის სიმპტომად.

გემოს შეგრძნება (უწოდებენ აგრეთვე ქიმიურ გრძნობას, რად-განაც იწვევს გამღიზიანებლის ზემოქმედება რეცეპტორზე ქიმიური დაშლის სახით) — შეიცავს ძირითადად 4 რომელობის შეგრძნებას. ესენია: ტკბი-ლი, მწარე, მლაშე, მეავე. ნაცადია ამ ოთხ რომელობას დაემატოს კი-დევ ორი რომელობა — ალკალური და მეტალური. **გ. შ.** სუნის შეგრძნე-ბასთან შედარებით უფრო დიფერენცირებული მრავალსახიანობა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ ყოველ ენაში გემოს თითოეული რომელობა თავის საკუთარ სახელს ატარებს იმ დროს, როცა სუნის შეგრძნების სფეროში მრავალი სუნი იმ საგნის სახელით აღინიშნება, რ-იც ამ სუნს იძლევა. მაგ., ვარდის სუნი, ვაშლის სუნი.

გ. შ. მჭიდრო კავშირშია სუნის შეგრძნებასთან; ისიც რეცეპტორებზე მოქმედი გაღიზიანების (ქიმიური დაშლის) შედეგად ჩნდება.

გ. შ. აგრეთვე მჭიდროდაა დაკავშირებული შეხებისა და ტემპერატურის შეგრძნებებთან.

გ. შ-ში ადგილი აქვს გემოს ძირითადი რომელობების შერევის ფენომენს; მაგ., ტკბილისა და მლაშეს ურთიერთშერევა მათ სრულ ნეიტრალიზაციას იძლევა, მუავესა და ტკბილის შერევა კი გემოს ნეიტრალიზაციას არ იძლევა. **გ. შ-ში** ადგილი აქვს აგრეთვე კონტრასტის ფენომენს; მაგ., მარილიანი საჭმლის მიღების შემდეგ ოდნავ ტკბილიც კი უფრო ტკბილად გეეჩვენება და პირიქით.

გ. შ-ის ორგანოდ ძირითადად ენა ითვლება, კერძოდ მასზე განლაგებული მგრძნობიარე ნერვის დაბოლოებები — დვრილები, მაგრამ მთელი ენა კი არაა გემოსადმი მგრძნობიარე, არამედ მისი ზედა ნაწილი და ისიც მარტო წინა, უკანა და კიდური ნაწილები; ენის შუა ნაწილი თითქმის უგრძნობია გემოს მიმართ. გემოს მგრძნობიარე ელემენტები განლაგებულია აგრეთვე ხახის უკანა კედელზე, რბილ სასაზე, ნუშისებრ ჯირკვლებზე და ხორხსარქველზეც.

გენერაციული შეკავება — იხ. ასოციაციური შეკავება.

გენეტიზმი — იხ. ნატივიზმი და გენეტიზმი.

გენეტიკა (ბერძ. genetikos) — წარმოშობასთან დაკავშირებული — ბიოლოგიის ერთ-ერთი დარგი; შეისწავლის მემკვიდრეობის მოვლენებს, ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის კანონებს. გ-ის, რ-რც ცალკე მეცნიერების დარგის წარმოშობას საფუძველად დაედო **გ. მენდელის** გამოკვლევები მემკვიდრეობის კანონების შესახებ (იხ. **გ. მენდელის** კანონები).

გენეტიკური ფსიქოლოგია — ფს-გიის დარგი, შეისწავლის ფს-კის განვითარებას; ამისათვის განიხილავს ცხოველის ქცევის ფს-გიას, ადამიანის ფს-კურ განვითარებას პირველყოფილი, პრიმიტიული მდგომარეობიდან, ვიდრე დღემდე, ე. ი. შეისწავლის ფს-კის განვითარებას: 1) ფილოგენეზში, სიცოცხლის განვითარებას უმარტივესი ფორმებიდან უმაღლესამდე, ვიდრე ად-ნამდე და 2) ონტოგენეზში, ად-ნის დაბადებიდან სიცოცხლის დასასრულამდე.

გ. ფ. იყენებს: ცხოველთა ფს-გიის, ხალხთა ფს-გიის, ბ-ვის ფს-გიის და ზოგადი ფს-გიის მონაცემებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენი (ბერძ. genos — გვარი, წარმომავლობა) — მემკვიდრეობის ძირითადი ელემენტარული ერთეული. მოთავსებულია ქრომოსომებში. ტერ. „გენი" შემოღებულია ბიოლოგიაში 1909 წ. ვ. იონჰანსენის მიერ, გ. დამახ. მთელი ცოცხალი ბუნებისათვის; ის მემკვიდრეობის სპეციფიკური ინფორმაციის მატარებელია, რ-იც ორგანიზმის თვისებების და ნიშნების განვითარებას განსაზღვრავს.

გენიოსობა (ლათ. genius — გენიოსი) — გულისხმობს ად-ნის დიდ ბუნებრივ ნიჭიერებას, უმაღლეს ინტელექტუალურ-გონით უნარს და შემოქმედებით პოტენციას. დამახ. ახლის შექმნისაკენ მიმართული მის-წრაფება, ბუნებისა და ად-ნთა ცხოვრების კანონების აღმოჩენა და კატეგორიების განვითარებისათვის გზის გაკვლევა.

ად-ნი გ-ბას შეიძლება ავლენდეს მოვლენათა ცალკე დარგში, მაგ., ბუნებისმეტყველების დარგში, მათემატიკაში, მუსიკაში, პოეზიაში და სხვა.

გენიტალური ფაზა (ლათ. genitālis — დაბადების შესახებ) — ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიით ბ-ვის ნორმალური სქესობრივი განვითარების ოთხი ფაზიდან (ორალური, ანალური, ფალუსური და გენიტალური) უკანასკნელი ფაზა. გ. ფ. ემთხვევა პუბერტატულ პერიოდს (12—17 წ წ.). ფროიდის აზრით გ. ფ-ის ბოლოს მთავრდება სქესობრივი მომწიფება და სქესობრივი განვითარება იღებს იმ საბოლოო სახეს, რა სახითაც არის ის წარმოდგენილი ზრდადამთავრებულ ად-ში.

გენოტიპი — (ბერძ. genos — გვარი და typos — ანაბეჭდი) — ყველა იმ მემკვიდრეობითი ნიშნების ერთობლიობა, რ-ებიც მოცემულია მემკვიდრეობის მატარებელ სუბსტრატში (გენში). ყოველ ორგანიზმს ეს გენი მიღებული აქვს მშობლებისაგან (იხ. გენი). საწინ. ფენოტიპი (იხ).

გენუინური (ლათ.) — თანდაყოლილი, ნამდვილი, ბუნებრივი.

გეომეტრიულ-ოპტიკური ილუზია — შეცდომები მხედველობის აღქმაში; შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად, ძირითადია: 1. შექცევადი პერსპექტიული ფიგურების აღქმის ილუზია. მაგ., შრედერის კიბის ილუზია, 2. მყარი წარუვალი ილუზიები, მაგ., ცელნერის ილუზია, ჰერინგის ვარსკვლავისებური ილუზია, პოგენდორფის „ხაზის მიმართულების ილუზია", ზანდერის, მიულერ-ლაიერის ილუზია, კვადრატის აღქმის ილუზია.

გეშტალტთეორია — იხ. გეშტალტი, გეშტალტფსიქოლოგია.

გეშტალტი (გერმ. Gestalt — ფორმა, აღნაგობა) — მთლიანობა, რ-იც კი არ დაიყვანება თავის შემადგენელი ნაწილების უბრალო ჯამზე, არამედ იგი ამ ჯამზე მეტია. გ. განსაკუთრებულ მიმართებაში იმყოფება თავის ნაწილებთან. გ. შინაგანად დანაწევრებული მთლიანობაა. ხ. ერენფელსმა მას პირველად | გეშტალტკვალიტეტი უწოდა (ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრიული სკოლა, 1920). ასეთია მაგ., მელოდია: ის, რაც მთლიანობა მეტია მისი შემადგენელი ტონების ჯამზე, საგნის აღქმა მეტია მასში შემავალი ფორმისა, და ფერის შეგრძნებებზე ელემენტებთან (შეგრძნებებთან) შედარებით გ. პირველადი განცდაა და არა ელემენტებისაგან ნაწარმოები, ელემენტების შესახებ მხოლოდ მთლიანი განცდის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი. მთელის გარეშე ელემენტი არ არსებობს. ელემენტი მეორეული ნაწარმოებია. დ|გ-ის კანონითაა განსაზღვრული. გ. არ არის აბსოლუტურ გაღიზიანებაზე დამოკიდებული: შეიძლება ელემენტი შეიცვალოს, მაგრამ გ. არ დაირღვეს. მაგ., მელოდია იმავე მელოდიად რჩება სხვა ტონებში მისი გადატანის შემთხვევაშიც. გადატანის (ტრანსპოზიციის) თვისება და ელემენტების ჯამზე ზედმეტი დანართი |გ-ის ძირითადი ნიშნებია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ელემენტების ჯამზე ამ ზედმეტი დანართის წარმოშობის საკითხი: |ა. მაინონგის, ვ. ბენუსის, ს. ვიტაზეკის (ავსტრიული სკოლა) შეხედულებით ეს ზედმეტი დანართი „ზეგრძნობადი პროდუქციიდან", (Ausersinnlichen Produktionsvorgang) გამოიყვანება და სენსორულ შინაარსს დაერთვის. ვ. კელერის, კ. კოფკას იგი თვით სენსორული შინაარსიდან, მისი ბუნებიდან გამოიყვანდათ. გ-ის წარმოშობას გარკვეული ფაქტორები განსაზღვრავს |(იხ|გ-ის კანონი). ცნება| გ-ის საფუძველზე რამდენიმე ფსიქიური მიმართულება წარმოიშვა (იხ. გეშტალტფსიქოლოგია).

გეშტალტიზაციის კანონი დასწავლაში — იხ. დასწავლის კანონები.

გეშტალტის პრეგნანტობის კანონი ყოველი გეშტალტი, რ-რც ნაწილთა მთლიანობა, თავისი დასრულებისაკენ ისწრაფვის. შეიძლება გეშტალტს რ-მე ნაწილი აკლდეს, მაგრამ ამ ნაწილს თვითონ გეშტალტი ავსებს. მაგ., თავმოკვეთილი სამკუთხედი, თუმცა სამკუთხედი არ არის, მაგრამ, აღქმაში იგი ისწრაფვის დასრულებისაკენ და განიცდება, რ-რც სამკუთხედი. აი სწორედ ეს „სწრაფვა დასრულებისაკენ", სისრულისკენ იწოდება გეშტალტის „პრეგნანტობად". ან კიდევ, როდესაც ჩვენ ტექსტს ვკითხულობთ და სიტყვებში გამოტოვებულ ასოებს ვერ ვამჩნევთ და სიტყვას მაინც სწორად აღვიქვამთ, —ესეც იმავე გეშტალტის დასრულებისაკენ სწრაფვის შედეგია. **გ. ბ. კ. გეშტალტიზაციის ძირითადი** | **კანონია.**

გეშტალტფსიქოლოგია— მიმდინარეობა ფსიქიაში, დამაარსებლები არიან მ. ვერტჰაიმერი, ვ. კელერი, კ. |კოფკა. გ-ის განვითარება დაიწყო ვერტჰაიმერის გამოკვლევით სტრობოსკოპული მხედველობის შესახებ (1911), შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობდნენ ე. წ. ბერლინის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლის წარმომადგენლები (იხ. ბერლინის სკოლა). გ. უპირ. ე. წ. „ელემენტების ფს-გიას". ამ უკანასკნელის თანახმად ად-ნის ფს-კური ცხოვრება შეგრძნებებისაგან აიგება, გ-ის თანახმად კი ფს-კური ცხოვრება გეშტალტურ მთლიანობათა საფუძველზე მიმდინარეობს. გ-ის მიმართულების კვლევის მთავარ საგანს წარმოადგენს ფს-კური პროცესები, რ-რც შინაგანად დანაწევრებული მთლიანობები-გეშტალტები.

გ-ამ პირველმა მიუთითა, რომ ფს-კურ ელემენტებს ანუ ცალკეულ შეგრძნებებს დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნიათ, რომ ელემენტი მთლიანზე დამოკიდებული განცდაა და მთლიანის კანონით არის განსაზღვრული.

გ-ამ, რ-იც თავდაპირველად მხოლოდ აღქმის კვლევით განისაზღვრებოდა, შემდეგ გეშტალტის კვლევა აზროვნების პროცესებზე გაავრცელა. ამ მიმართულების თანახმად, წინადადებაში გამოთქმული აზრი მასში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობათა უბრალო ჯამი კი არ არის, არამედ ახალი აზრის წარმოქმნაა, გაგეშტალტება ანუ გადასტრუქტურებაა მოცემული ელემენტებისა.

გეშტალტთეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ვ. კელერის ცდებმა შიმპანზე-მაიმუნებზე. მან დაადგინა, რომ შიმპანზეს მოქმედება მიზანს აღწევს, თუ ეს მიზანი და მისი მიღწევის საშუალება ერთ გეშტალტურ ველში, ერთ მთლიან სიტუაციაში აღიქმება. მაგ., მშიერი მაიმუნი მაღლა დაკიდებული ბანანის მოპოვებას ახერხებს თუ იარაღი — ჯოხი, ან ყუთი, (რ-ზეც დადგომა შეიძლება) და ბანანი მაიწუნს ერთ ველში ეძლევა, მაშინ იგი ამოცანას „ჩაწვდომის" (Einsicht)-გზით ერთბაშად წყვეტს. ჩაწვდომის ფუნქციის დადგენა და ველის დინამიკური განსაზღვრა იყო ვ. კელერის ცდების მთავარი შედეგი. ჩაწვდომა მან დაუპირ. „ცდისა და შეცდომის" გაგებას ფს-გიაში. გეშტალტის ცნებამ შეცვალა ფს-გიაში სინამდვილის გაგება ელემენტების კანონზომიერებიდან.

ვ. კელერი ფიქრობდა, რომ გეშტალტიზაციის პრინციპი შეიძლება გავრცელდეს ფიზ. მოვლენებზეც, რომ მათი ფორმალური თავისებურებანი, რელაციები და სტრუქტურული მხარე ფს-კურის მსგავსია. (იხ. იზომორფიზმი).

გეშტალტის ფაქტორები — გეშტალტ-კვალიტეტების წარმოქმნას, ანუ აღქმის შინაარსების გაგეშტალტებას გარკვეული ფაქტორები განსაზღვრავს, მათ შორის ძირითადია:

1) სიახლოვის, მანძილის ანუ მეზობლობის ფაქტორი — აღქმაში გარკვეულ ფიგურას, ფორმას ანუ გეშტალტურ მთლიანობას ქმნის ის ნაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღები, რ-იც ურთიერთთან ახლოს მდებარეობენ ანუ მეზობლები არიან.

ამ რვა ხაზიდან ოთხ გარკვეულ ფიგურას ქმნიან ის წყვილი ხაზები, რ-იც ურთიერთთან ახლოს მდებარეობენ (ნახ. № 1).

ნახ. № 1

2) **მსგავსების ფაქტორი**–აღქმაში ერთ გეშტალტს ქმნიან ის ნაწილები ანუ ელემენტები, რ-იც ურთიერთის მსგავსნი არიან. ამ თხუთმეტი ელემენტიდან გეშტალტს ქმნის მსგავსი ნაწილები–წრეები ერთ გეშტალტს, წერტილები–მეორეს (ნახ. № 2)



ნახ. 2

3) **შინაგანი მიკუთვნილობის ანუ კარგი გეშტალტის ფაქტორი** –აღქმაში გარკვეულ გეშტალტს ქმნიან ის ნაწილები, რ-იც შინაგანად ერთმანეთს მიეკუთვნება; მაგ., მოცემული ხაზებიდან ერთიანდებიან არა ახლოს მდებარე ხაზები, არამედ შორს მდებარენი იმიტომ, რომ ისინი თავისი ბოლოებით ერთი-ერთს მიეკუთვნებიან (ნახ. № 3).

ნახ. № 3

4) **დახშულობის ფაქტორი** –აღქმაში ერთ გეშტალტში [illegible] ის ნაწილები, რ-ბიც დახშულ ფორმას ქმნიან, მაგ., მოცემულ ნახაზებში გეშტალტად ერთდებიან ის შორეული წყვილი ხაზები, რომლებიც დახშულ ფიგურას ქმნიან.



ნახ. № 4

5/ **მდებარეობის ფაქტორი** – აღქმაში ნაწილების [illegible] კიდებულია ამ ნაწილთა ურთიერთის მიმართ მდებარეობაზე. (ნახ. № 5). მოცემულია ორ-ორი თანაბარი სიგრძის ექვსკუთხედი.

ნახ. № 5

ნახაზ ა-ზე ექვსკუთხედებს მინიმალური შეხების არე აქვთ, ნახაზ ბ-ზე კი ისინი ისე არიან მოპირდაპირე წვერებით ურთიერთში შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრილნი, რომ მაინი ზედა და ქვედა გეერდები ურთიერთის გაგრძელებაც წარმოადგენენ და ხდება შემდეგი: პირველ შემთხვევაში (ა) ორი - ვე ექსკიზთხელ ნათლად ეხედავთ; მეორე შემთხვევაში (ბ) კი ორის ნაცვლად მხოლოდ ერთ გრძელ ექსკიზთხელ ვამჩნევთ. მაშასადამე, მდებარეობის ფაქტორს კონტიტის შექმნაც შეუძლია და დაშლაც.

6) გამოცდილების ფაქტორი – კონტიტის წარმოქმნაში მნიშვნელობა აქვს ადამის გამოცდილებას ანუ ჩვეულებას. მაგ., მოცემული ფიგურა (ნახ. № 6) ლაბირინთისთვის იქნება ასო V „ვ", ელინისტისთვის კი ორი ბერძნული ასოსიგმა და გამა.



ნახ. № 6

7) დასპეზიციის ანუ განწყობის ფაქტორი – აღქმაში მოცემული ნაწილების გაგებულებისათვის მნიშვნელობა აქვს სუბიექტის წინასწარ შექმნილ განწყობას, ნაწილები გეშტალტებად იმის მიხედვით თუ რისი მოლოდინი აქვს სუბიექტს. აღქმის შინაარსების გაგეშტალტების ფაქტორებრივი, რომელ აგრეთვე კანონს უწოდებენ, აქ მოცემული მაგალითებით არ ამოიწურება. ისინი მხოლოდ ძირითადია. მაგ., ჯ. ჯელსონს (1926) მოყვანილი აქვს გეშტალტის 114 ფაქტორი.

გნოსეოლოგია ანუ შემეცნების თეორია (ბერძ. gnosis – ცოდნა, logos – მოძღვრება) – ფილოსოფიის ნაწილი, შეისწავლის ობიექტური სინამდვილის შეცნობის პრინციპებს, პირობებსა და საზღვრებს. „რა წამს ვარსინამდვილის ზეგავლენა სუბიექტზე პრობლემად გადაიქცევა, რა წამს საკითხი დაისმის, თუ რა არის ბუნება გარესინამდვილისა, რა არია ის ლოგიკური საფეძველი, რის სიადგილეზე ამ გარესინამდვილის აღიარება ხდება, რა არია სუბიექტის განცდაზე მიპარული ამ გარესინამდვილეში ნაგულისხმევი ობიექტისადმი და სხვა ა. შ., იმ მომენტიდან ფილოსოფიის როლი თავდება და ადგილი შემეცნების თეორიას უნდა დაეთმოს" (დ. უზნაძე).

გონებრივი ასაკი (გერმ. Intelligenzalter) აღნიშნავს ბავშვის გონებრივი (ინტელექტუალური) განვითარების დონეს. მივვითითებს იმაზე, თუ რა დონეზე დგას ბავშვის ინტელექტუალური განვითარება თავის ბიოლოგიურ-ქრონოლოგიურ ასაკთან შედარებით (იხ. ასაკი) – დაწინაურებული, ჩამორჩება, თუ შეესაბამება თავის ასაკს. მაგ., [illegible] 7 წლის ბავშვი შეიძლება 6 წლის ასაკის ბავშვის გონებრივ [illegible] ... ამის გამო ... ეიტვის, ძალის ძისი გონებრივი ასაკი იქნება 6 წლის და იგი დაწინაურებულ (ბაღალი გონიერები.) ბავშვად ჩაითვლ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. მაგრამ თუ კი ეს 7 წლის ასაკის ბ-ვი თავისი გონებრივი განვი - თარებით 6 წლის ბ-ვის გონებრივ განვითარების დონეზე დგას, მაშინ მისი გონებრივი ასაკი 6 წელი იქნება და ის ჩამორჩენილ ბ-ვად ჩაითვლება. თუ ბიოლოგიური ასაკი და გონებრივი ასაკი ერთნაირია, მაშინ ბ-ვის გონებრივი განვითარება ნორმად ჩაითვლება.

არსებობს გ. ა-ის შემოწმების (გაზომვის) სტანდარტიზებული ტესტების სერია, რ-რც ინდივიდუალური ისე კოლექტიური. შემუშავებულია აგრეთვე გ. ა-კის მაჩვენებელი ფორმულა-გონებრივი კოეფიციენტი (10).

გონებრივი კოეფიციენტი (გერმ. Intelligenzquotient = 10) — შემოიღეს ა. ბინემ და ვ. შტერნმა. გამოხატავს ბ-ვის გონებრივი განვითარების დონეს რიცხობრივი მაჩვენებლით. გ. კ-ს გამოსაკვლევად სათანადო ტესტებით წინასწარ ვადგენთ გონებრივ ასაკს. მერე ვუფარდებთ მას ბიოლოგიურ (ქრონოლოგიურ) ასაკს. ვთქვათ, 8 წლის ბიოლოგიური ასაკის ბ-ვის გონებრივი ასაკი არის 8,6 წელი, მაშინ მისი გ. კ. იქნება 8,6:8,0 = 1,075 = 1,1. მრავალი გამოკვლევით დადგენილია გონებრივი განვითარების ზონების შესატყვისი გ. კ., მაგ., ნორმალური ბ-ის გ. კ. უდრის 1,0; დაწინაურებულის — 1,25; დებილის— 0,75; მათ შორის მოცემული კოეფიციენტები გამოხატავენ სხვადასხვა ხარისხის გონებრივი განვითარების დონეს.

გ. კ., რ-რც გონებრივი განვითარების მაჩვენებელი, ორგვარი მნიშვ.: ერთი მიგვითითებს, თუ რ-რი შესაძლებლობების ბ-ვთან გვაქვს საქმე ამჟამად, მეორე — პროგნოზის მნიშვ. რ-იც ცდილობს განვრიტოს ბ-ვის ნიჭის მონაცემები იმ თვალსაზრისით, თუ რას უნდა მოველოდეთ მომავალში მისგან.

გონებრივი განვითარების შემოწმება — შეიძლება სტანდარტიზებული ტესტების სერიით, მაგ., ბინე-სიმონის ტესტების მეთოდით (იხ. ბინე-სიმონის სკალა) შემდეგნაირად: ბინე-სიმონის ინდივიდუალური შემოწმების ტესტები ალტერნატიული გადაწყვეტის ტესტებია, ან წყვეტს ამოცანას, ან — ვერა. ერთი ასაკისათვის ხუთი ტესტია განკუთვნილი, ე. ი. ასაკის ერთი წელი 5 ტესტის დადებითი გადაწყვეტით იზომება. მაშასადამე, ერთი ტესტი უდრის 1: 5 = 0,2 გონებრივ ასაკს. მაგ., ვამოწმებთ 8 წლის ბ-ვის გონებრივ ასაკს. ვვარაუდობთ, რომ ის თავის ასაკის ყველა ტესტს გაცაწყვეტს და ვაწვდით 8 წლის ბ-ვის შესაფერის ტესტებს. ვთქვათ, მათგან მან 4 ტესტი გადაწყვიტა, მაშინ ვიხევთ უკან და ვაწვდით 7 წლის ასაკის ტესტებს; თუ აქ მან ხუთივე გადაწყვიტა მაშინ ავდივართ ზევით, ვაწვდით 9 წლის ტესტებს. ვთქვათ, გადაწყვიტა 2 ტესტი, ვაწვდით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10 წლის ტესტებს. გადაწყვიტა 2, მაგრამ 11 წლის ტესტებიდან — არც ერთი. ვაჯამებთ დადებითად გადაწყვეტილ ტესტთა რაოდენობას 4 + 2 + 2 = 8. თუ ერთი ტესტი 0,2 უდრის, 8 ტესტი ედრება 0,2 x 8 = 1,6 გონებრივ ასაკს. ამოსავალ ასაკად ვიღებთ 7 წელს (სადაც ბ-ემა ყველა ტესტი გადაჭრა), ეუმატებთ მას 1,6-ს დამიღებული 8,6 იქნება. შემოწმებული 8 წლის ბ-ის გონებრივი ასაკი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს 8 წლის ბ-ვი თავისი გონებრივი განვითარების დონით უდრის 8,6 წლის ბ-ეის გონებრივ განვითარებას. არსებობს გონებრივი განვითარების შემოწმების სხვა მეთოდებიც, მაგ., ვ. შტერნის, ვ. მიოდესას, ე. პიორკოვსკის და სხვა. საბჭოთა ფს-გიის აზრით ბ-ვის გონებრივი განვითარების შესახებ უკრო სწორ და სანდო მასალას იძლევა ბ-ვზე სისტემატური პედ. დაკვირვება ფსიქო-ნეეროლოგიურ შემოწმებასთან ერთად, ვიდრე სტანდარტული ტესტებით შემოწმება; ამიტომ იგი ზემოაღწერილი სტანდარტული ტესტების წინაშე უპირატესობას ბ-ვზე სისტემატიური პედ. დაკვირვებას ანიჭებს.

გონებრივი შრომა — იხ. ქცევის ექსტეროგენური ფორმა.

გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი — იხ. ოლიგოფრენია, გონებრივი ასაკი.

გონიერება ანუ ზოგადი გონიერება (Intelligenz) — ტერმინი შემოღებულია გონებრივი განვითარების დონის გაზომვის მიზნით ვ. შტერნის მიერ. ნიშნავს „ზოგად (გონიერებითი) გონით შეგუებას ცხოვრების ახალ ამოცანებთან და პირობებთან" (შტერნი). განასხვავებენ გ-ის ორ სახეს: თეორიულ გ-ას და პრაქტიკულ გ-ას. თეორიული გ. გულისხმობს ლოგიკურ-ვერბალურ (ცნებით) აზროვნებას. აზროვნების ეს სახე, ჩვეულებრივ, გამოიყენება პრობლემური სიტუაციის გადაჭრის მიზნით თეორიულ სფეროში (გნოსტიკური აზროვნება). პრაქტიკული გ. გულისხმობს აზროვნების პროცესების გამოყენებას ცხოვრების პრაქტიკული სფეროში, პრაქტიკული ამოცანის გადაჭრის მიზნით. ფს-გიაში მიღებულია გ-ის ექსპერ-ული გაზომვა, მისი დონის (გონებრივი ასაკის) დადგენის მიზნით სასკოლო ასაკის ბ-თან. (იხ. გონებრივი ასაკი, გონებრივი კოეფიციენტი).

გონითი მეცნიერული ფსიქოლოგია (გერმ. Geisteswissenschaftliche Psychologie) — მიმართულება ფს-გიაში, რ-იც ვ. დილთაის „აღწერითი" ანუ „გაგებითი ფს-გიის" საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა. ვ. დილთაის აზრით, ვინაიდან გონის მეცნიერებანი (მეურნეობის, ეკონომიკის, უფლების, ხელოვნების მოვლენათა შესახებ) წარმოქმნილი არიან ადამიანის სულიერი ცხოვრების ცოცხალი კავშირებიდან, ამიტომ მათი გაგება შესაძლებელი ხდება ისევ ამ კავშირების საფუძველ-

ზე. ასე უნდა ხდებოდეს ფს-გიაშიც: ად-ნის განვითარებულ სულიერ ცხოვრებაში მოცემული ნაწილებისა და კავშირების გაგება უნდა ხდებოდეს იმ სახით, რა სახითაც ისინი განიცდ|ბიან და არ არიან ჩვენს მიერ ნაგულისხმევი ან დასკვნილი ფს-ლოგია, რ-რც მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, თავის კვლევა-ძიებაში ძირითადად უნდა ემყარებოდეს ფს-კურის გ ა გ ე ბ ა ს, მისი კავშირების ა ზ რ ი ს ა და მნიშვ. წედომას. ამიტომ მას ისტორიულად „გაგებითი ფსიქოლოგია" ეწოდა. გ. მ. ფს-გიის წარმომადგენლები არიან ვ. დილთაის შემდეგ კ. იასპერსი და ე. შპრანგერი.

გრაფოლოგია (ბერძ. graphō–ვწერ და logos – მოძღვრება) – მოძღვრება ხელწერის ქარაქტეროლოგიური მნიშვ. შესახებ. თანახმად ამ მოძღვრებისა ხელწერა განიხილება, რ-რც ფს-კური თავისებურების „გამომხატველი მოძრაობა" (გარეგამოსახულება).

გრაცის სკოლა – იხ. ავსტრიული სკოლა.

გროსის თეორია თამაშისა – იხ. თამაშის თეორიები.

გრძნობა – ფს-კურ მოვლენათა (განცდათა) ერთ-ერთი ჯგუფი. თუ ყოველი შემეცნებითი ფს-კური პროცესისათვის (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება და სხვა) დამახ., ობიექტური ვითარების განცდა, ხოლო ნებელობისათვის საკუთარი „მე"-ს აქტივობის განცდა, გ|ისათვის პირიქით, დამახ. ის არის, რომ მასში სუბ,| განიცდის საკუთარ მდგომარეობას, დამოკიდებულებას ანუ პოზიციას ობიექტური ვითარების მიმართ: მაგ., საგანი რ-აც აღვიქვამ, შეიძლება ჩემთვის იყოს სასიამოვნო ან უსიამოვნო, შეიძლება მახარებდეს ან სევდას შგვრიდეს, მიყვარდეს ან მძულდეს და ა. შ. და აი სწორედ **გარეგანი ობიექტის მიმართ სუბ-ის ასეთი საკუთარი მთლიან-პიროვნული, სხვაზე დაუყოვნებელი სპეციფიკურ სუბ-ური ხასიათის დამოკიდებულების განცდას** გ. ეწოდება.

ფს-გია|გ-ის ორ ურთიერთისაგან განსხვავებულ ჯგუფს გამოყოფს: 1. გ-ს **ობიექტ. მნიშვ.** ანუ საკუთრივ|გ-ს. ჩნდება გარეგანი სინამდვილის შემეცნებასთან დაკავშირებით, აზროვნების თუ საგნის აღქმის პროცესში. ეს|გ-ები სუბ-ის სპეციფიკური სახის შინაგანი მდგომარეობაა, რ-შიც სიამოვნება-უსიამოვნების განცდასთან ერთად საგნის ის ნიშნებიცაა მოცემული, რ-ებიც სუბ-ზე საგნის ზემოქმედების შედეგად ჩნდება, რ-რც ამ საგნის დამახ. თვისებები; მაგ., სასიამოვნო ან უსიამოვნო გემო, საგნის სასიამოვნო ან უსიამოვნო სუნი, სასიამოვნო ფერი, ღამაზი ბუნება, პეიზაჟი, მოსაწონი ან გასაკიცხი მოქმედება ად-ნისა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „გ“ ფართო მნიშვ. ანუ ემოცია — წარმოადგენს სუბ-ის მიერ ობიექტური ვითარების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ანუ პოზიციის განცდას, მაგრამ ისეთ განცდას რ-იც „საკუთრივ გრძნობისაგან“ განსხვავებით სუბ. მთელ პიროვნებას მოიცავს და თავის მიმდინარეობის პროცესში ცნობიერების გაბატონებულ შინაარსად იქცევა. ასეთია მაგ., ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, როცა რაღაც ან ვიღაც გვიყვარს, ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი, როცა რაღაც ან ვიღაც გვძულს, შ ი შ ი, როცა რაღაც ობიექტური ვითარება გვაშინებს და სხვა. ერთი სიტყვით „გ“-ემოცია არაა და ობიექტური ვითარების მოცემულობასაც მუდამ წინაწარ გულისხმობს, მაგრამ რ-რც თავისებური ფს-კური ფაქტი იგი მაინც ამ ვითარებისადმი სუბ-ის პირადი მთლიან-პიროვნული დამოკიდებულების, პოზიციის სპეციფიკური განცდაა და არა მისი ეგზისტენციის წვდომა ანუ შემეცნება.

„გ“-ემოციის თვისობრივ-რომელობითი ნიშნებია — სუბიექტურობა, პოლარულობა, ამბივალენტობა (იხ. ამბივალენტობა „გ“-ის, „გ“-ის პოლარულობა, „გ“-ის სუბიექტურობა).

„გ“-ის გრადუალური (ხარისხობრივი) ნიშნებია-ინტენსიურობა, ექსტენსიურობა, სიღრმე, ხანიერობა (იხ. „გ“-ის ექსტენსიურობა, „გ“-ის ინტენსიურობა, „გ“-ის სიღრმე, „გ“-ის ხანიერობა).

ყოველი ემოცია რთული თუ მარტივი, ან სასიამოვნო განცდაა, ან უსიამოვნო. სიამოვნება-უსიამოვნება „გ“-ის ელემენტებად ანუ ელემენტარულ „გ“-ებად ითვლება. მე-19 ს-ის ფს-გიას „გ“-თა მთელი სამკვიდრო ამ ორ ელემენტზე დაჰყავდა (იხ. სინგულარიზმი). ამის საწინააღმდეგოდ მიმართულება იცავს მრავალ, თვისობრივად განსხვავებულ ელემენტარულ „გ“-თა არსებობას (იხ. პლურალიზმი). „გ“-ემოციისათვის არსებითად დამახ. სხეულებრივი გამოვლინებები, ე. წ. გამომხატველი ანუ გამოსახულებითი მოძრაობები. (იხ).

გრძნობათა კლასიფიკაცია: ა) „გ“-ები ვიწრო მნიშვ. ანუ საკუთრივ „გ“-ები“, თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: 1. გრძნობადი „გ“-ები, რ-ებიც აღიძვრის საგნის ფერის, ფორმის, სიმძიმისა და საზოგადოდ საგნის აღქმის შედეგად და 2. უმაღლესი „გ“-ები — ინტელექტუალური, ესთეტიკური, ეთიკური, სოციალური, რელიგიური. ესენი წარმოიქმნება სუბ-ის სათანადო გარემოსთან ურთიერთობის პროცესში.

ბ) „გ“-ები ფართო მნიშვ. ანუ „გ“-ემოციები; მათი კლასიფიკაციის ცდებიდან ცნობილია: 1. ემოციების დაჯგუფება მათი **წარმომშობი ინსტინქტების** საფუძველზე (ვ. მაკ დოუგალი), მაგ., შიშის ემოცია წარმოიშობა თავდაცვის „ინსტინქტის საფუძველზე, სექსუალური ემოცია — გამრავლების „ინსტინქტის საფუძველზე, ფლობის ემოცია სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრების ინსტიქტის საფუძველზე და სხვა.

2. დროის პრინციპის საფუძველზე (ვ. შტერნი) ა) აწმყოს ემოციები (გუნება, აფექტი და სხვა), ბ) მომავლისაკენ მიმართული ე-ემოციები (მოლოდინი, შიში, იმედი და სხვა) გ) წარსულისაკენ მიმართული ემოციები (პატრიოტიზმი, ერთგულება, დარდი, დამოკიდებულების გ).

3. კურტ შნაიდერის კლასიფიკაცია გამოყოფს ე-ემოციების სამ ჯგუფს: 1. მდგომარეობის აღმნიშვნელი ე-ები (სიხარული, დარწმუნებულობა, სიმშვიდე, დარდი, შიში, შური, წუხილი და სხვა), 2. თავის თავის მიმართ ემოციები (ძალა, თავმოწონება, თავისი უპირატესობის ე., სირცხვილი, სინანული, თავმდაბლობა და სხვა), 3. სხვის მიმართ ემოციები (სიყვარული, თანაგრძნობა, გულშემატკივრობა, სიძულვილი, უნდობლობა და სხვა).

გრძნობადი აღქმა — იხ. აღქმა.

გრძნობადი ანუ სენსორული ყურადღება — იხ. ყურადღება.

გრძნობადი (თვალსაჩინო) **შინაარსი** — შინაარსი, რ-იც შეგძნებების სახით ყოველ კონკრეტულ აღქმაში განიცდება, ასეთია: ფერი, ფორმა, ბგერა, გემო, სუნი, სიმაგრე-სირბილე, ტემპერატურა და სხვა. ვ. თ. შ. და მისი რეპროდუქციული სახეები აზროვნების ძირითადი ამოსავალი პირობაა.

გრძნობათა პოლუსების ასიმეტრიულობა— ცნობილია, რომ არა ყოველ სასიამოვნო გრძნობას უპირ. შესატყვისი საწინააღმდეგო უსიამოვნო გრძნობა, რაც იწვევს დადებით და უარყოფით გრძნობათა შორის რაოდენობრივ ასიმეტრიულობას: სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობათა ურთიერთ შეფარდება ასიმეტრიულია.

დადასტურდა, რომ ქართულ ენაში უარყოფითი (უსიამოვნო) გრძნობათა აღმნიშვნელი სიტყვები აღემატება დადებითს (სასიამოვნოს). მაგ., უარყოფითი ემოციის გამომხატველი სიტყვები შეადგენენ დაახლოებით 445 ლექსიკურ ერთეულს, დადებითი—100-ს. სიტყვიერ პლანში აღნიშნული გრძნობათა ეს ასიმეტრიულობა სასიგნალო—ბიოლოგიური მნიშვ.: უფრო მეტი სიტყვებით და, მაშასადამე, მეტი დიფერენცირებით აღინიშნება ის, რაც უფრო გვაწუხებს და უსიამოვნო გრძნობას იწვევს, ვიდრე ის, რაც გვახარებს და სასიამოვნოა.

გრძნობადი შეგრძნება —(გერმ. Gefühlsempfindung)— კარლ შტუმფის მიერ შემოტანილი ტერმ. ფს-გიაში იმ მიზნით, რომ ურთიერთისაგან გაემიჯნა საკუთრივ გრძნობა და ისეთი სხეულებრივ—ორგანული შეგრძნება, რ-იც გრძნობის ხასიათსაც ატარებს; ასეთებია მაგ., სლოკინი, ქავილი, ღიტინი, ტკივილი, სექსუალური განცდა და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრძნობის ექსტენსიურობა – გრძნობა ვრცელდება ცნობიერების სხვადასხვა შინაარსებზე. ზოგი გრძნობა მთელ ცნობიერებას ფარავს და მას თავისი ელფერით ღებავს, მაგ., გუნება, აფექტი. ზოგი გრძნობის გავრცელებულობა კი უფრო შეზღუდულია. გრძნობის განფენილობის არე ცნობიერებაში შეგრძნების ინტენსიურობაზე პირდაპირ დამოკიდებულებაში არ იმყოფება, მაგ., ცუდ გუნებაზე ყოფნა, რ-იც მთელ ცნობიერებაზეა გავრცელებული, შეიძლება რაიმე მცირე მიზეზმა გამოიწვიოს.

გრძნობის ინტენსიურობა – ყოველ გრძნობას გარკვეული ინტენსიურობა ახასიათებს. ის შეგრძნების ინტენსიურობაზეა დამოკიდებული. მაგრამ ერთმნიშვნელოვანი კავშირი მათ შორის არ არსებობს. გრძნობის ქვედა ზღურბლი შეგრძნების ინტენსიურობის ის დონეა, რ-იც პირველად იწვევს გრძნობას. შეგრძნების ზრდასთან ერთად სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობაც იზრდება, მაგრამ სიამოვნების და უსიამოვნების ზრდას სხვადასხვანაირი დინამიკა ახასიათებს. უსიამოვნების ზრდა თითქმის განუსაზღვრელია, მას ზედა ზღურბლი არ კი აქვს. სიამოვნების ზედა ზღურბლი კი აღვილად მისაღწევია: დგება მომენტი, როცა სიამოვნების ზრდა ჩერდება, შეგრძნების შემდგომი გაძლიერება სიამოვნების ზრდას ვერ იწვევს, არამედ, პირიქით, იწვევს მის შეცელას თვისობრივად: სიამოვნება გადადის უსიამოვნების განცდაში. არსებითად ასე ხდება ერთი და იმავე შეგრძნების ბევრჯერ გამეორების შემთხვევაშიც. უსიამოვნების გამომწვევი შეგრძნების ბევრჯერ გამეორებისას უსიამოვნების გრძნობა ყოველთვის ჩნდება, ხოლო სასიამოვნო შეგრძნების მრავალჯერ გამეორებისას სიამოვნების გრძნობა ქრება და მის ადგილას ჩნდება უსიამოვნო გრძნობა. მაგ., ვთქვათ, რაიმე სიმღერის მოსმენა ჩემში სიამოვნების გრძნობას იწვევს, მაგრამ თუ ის ბევრჯერ გამეორდა სიამოვნების ნაცვლად მიჩნდება უსიამოვნების განცდა და სურვილი შეწყდეს მისი განმეორება.

გრძნობის პოლარულობა – გრძნობები ურთიერთისადმი პოლარულად არის დაპირ. მაგ., უსიამოვნება სიამოვნების საპირ. პოლუსია, აგზნება – დამშვიდების საპირ. ამის მიხედვით უნდა გვევარაუდა, რომ ყოველ გრძნობას თავისი საპირ. პოლუსი აქვს და, რომ სიამოვნება-უსიამოვნება და საზოგადოდ დადებითი და უარყოფითი გრძნობები თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. არა ყოველ გრძნობას უპირ. მეორე პოლუსზე საწინ. გრძნობა, მაგ., სინდისის ქენჯნა ან სირცხვილის გრძნობა ძალიან მწვავე გრძნობებია, მაგრამ მათი საპირ. გრძნობის დასახელება ერთობ ჭირს. გ. პ. არ არის მათემატიკური ხასიათის, სადაც ერთ პოლუსს აუცილებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპირ. პოლუსი პოზიტიურად უპირ. გ. პ. პიროვნული ხასიათისაა, ამიტომაც არის ის ასიმეტრიული (იხ. გრძნობათა პოლუსების ასიმეტრიულობა).

გრძნობის სიღრმე – უკავშირდება პიროვნების ფენობრივ (ეგებულებას; ეხება იმას, თუ რამდენად ღრმადაა გრძნობა ჩანერგილი პიროვნების ფენებში, რამდენად ახლო დგას „სიცოცხლის გრძნობასთან" და პიროვნების „ენდოთიმურ საფუძველთან". იგი გრძნობის ექსტენსიურობის საწინ. ცნებაა (იხ. „სიცოცხლის გრძნობა", „ენდოთიმური საფუძველი").

გრძნობის სუბიექტურობა– გრძნობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ის, რომ გრძნობა სუბ-ის საკუთარი სპეციფიკური მდგომარეობის განცდაა. თუმცა „გრძნობად გრძნობებში" (იხ. გრძნობა) ობიექტურ-საგნობრივი მომენტიცაა მოცემული, მაგრამ ამ ობიექტურობას აქ თავისთავადი, თვითმყოფი მნიშვ. არა აქვს. სუბ. მაინც საკუთარი მდგომარეობისაკენაა მიმართული და არა საგნის შემეცნებისაკენ. გ. ს-ით აიხსნება ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ობიექტურმა ვითარებამ შეიძლება ერთნაირი გრძნობა არ გამოიწვიოს ერთსა და იმავე სუბ-ში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სუბიექტში ერთსა და იმავე დროს. ემოციის შემთხვევაში კი საგნობრივი მომენტი თითქოს არ ჩანს და გრძნობა წმინდა სუბიექტურ მდგომარეობად განიცდება.

გრძნობის ხნიერობა –გრძნობას ხანიერობა ახასიათებს: ზოგი გრძნობა მეტად შთამბეჭდავია, ხანგრძლივად მოქმედი, დიდხანს არ ქრება, ზოგი კიდევ სწრაფად გაიელის და კვალსაც კი არ დატოვებს.

გულყრა – უეცრად განვითარებული ხანმოკლე პათოლოგიური მდგომარეობა. ახასიათებს ცნობიერების აშლა ან სრული დაკარგვა, რასაც ახლავს კუნთების კრუნჩხვები, ან სხვა სახის უნებლიე მოძრაობანი. გულყრები სხვადასხვაგვარია; ე პ ი ლ ე ფ ს ი უ რ ი გ. –ორი სახისაა: ა) დიდი გულყრა (grand mal) – ცნობიერების უეცარი დაკარგვა და ტონური კრუნჩხვები, რ-ის დროს ავად. მოცელილივით ეცემა ძირს. ტონური კრუნჩხვები თანდათან გადადის რიტმულ-კლონურ კრუნჩხვებში. გ. მთლიანად 5–7 წუთს გრძელდება. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ავად-ს არაფერი ახსოვს გულყრის შესახებ. ბ) მცირე გულყრა (petit mal)– ცნობიერების უეცარი ხანმოკლე დაკარგვა, რ-აც ახლავს კრუნჩხვები და წაქცევა. მოგონება გ-ის შესახებ არ რჩება. გ) ისტერიული გულყრა– ეითარდება ფსიქიკური ტრამვის შედეგად. ახასიათებს ცნობიერების უეცარი აშლა, ავად. ნელნელა ეშვება ძირს. უნებლიე მოძრაობანი ვლინდება არა კრუნჩხვების, არამედ საკმაოდ მრავალფეროვანი, რთული გამომხატველი მოძრაობების სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება რამდენსამე საათს. გ-ის შესახებ ავად-ს რჩება წყვეტილი მოგონება. დ) ნაწილობრივი ანუ ბრაუე-ჯეკსონის გ. —გამოიხატება მხოლოდ გარკვეული ჯგუფის კუნთების (მაგ., ზემო, ან ქვემო კიდურის კუნთების, სახის მუსკულატურის) ტონურსა და კლონურ კრუნჩხვებში. შემთხვევათა ნაწილში შეიძლება მოხდეს კრუნჩხვების გავრცობა და - ნარჩენ კუნთებზეც. გეხვდება თავის ტვინის გარკვეული უბნების ლოკალური დაზიანების დროს.

გუნება— გარკვეული მთლიანი სულიერი განწყობილება —კარგი ან ცუდი, აპათიური ან აგზნებული. ვრცელდება ცნობიერების ყველა შინაარსზე, ის მთელ პიროვნებას მოიცავს. წარმოიშობა საერთო შთახეკდილებათა ერთობლიობის საფუძველზე. მისი გამომწვევი მიზეზი შეუმჩნეველიც კი შეიძლება იყოს, ე. ი. არც კი ვიცოდეთ რამ წარმოშვა იგი. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ გ. რაიმე კონკრეტულმა მიზეზმა აღძრას. მაგ., დღეს მივიღე მეგობრის ბარათი, გამიხარდა და კარგ გუნებაზე დავდექი. ორივე შემთხვევაში თვით გ. ზოგადი, | დიფუზური ხასიათის სულიერი განწყობილებაა, რ-იც რაიმე |საგნისაკენ მიმართული არ არის, საგნისადმი ინტენსია არ ახასიათებს. („გუნებაზე ყოფ - ნის განცდა, თავის იქით არაფერზე მიუთითებს" ო. ეეერტი). ზეგავლენას ახდენს ად-ნის ქცევაზე, განსაზღვრავს აფექტების ხასიათს. შეიძლება იყოს ხანგრძლივი, ქრონიკული, ან უფრო ხანმოკლე; მწვავე და სწრაფი მიმდინარეობა იშვიათად ახასიათებს, 'გზე დიდ გავლენას ახდენს ად-ნის ორგანული (სომატურ—ვიტალური) მდგომარეობა, მაგ., ავად. ად-ნი მეტწილ ცუდ გუნებაზეა. ამიტომ შეიძლება |გ-ას თერაპევტულ-დიაგნოსტიკური მნიშვნელობაც მიეცეს.

|დ

დავიწყება — დასწავლილის დავიწყება ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, რ-რც დამახსოვრება. წესისამებრ, რაც სუბ-ს უსწავლია, ზოგი რამ იქიდან ავიწყდება. |დ. დროის ფუნქციას წარმოადგენს: რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მეტი გვავიწყდება. |და იზრდება.

ჩვეულებრივ, როცა |დ-ის შესახებ მსჯელობენ, მხედველობაში აქვთ წარსულში ცნობიერად მიღებული განცდების და საერთოდ სწავლის შედეგად შეძენილი ცოდნა-ჩვევის ცნობიერებიდან გასვლა. დ. უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად, ყოველი შინაარსის დასწავლას, საფუძვლად განწყობა უდევს. დასწავლილის გახსენება მისი ქვემდებარე განწყობის კვლავ აქტუალიზაციის საფუძველზე ხდება. მაგ - რამ დ. ორსაეე ამ ფაქტს, ე ი. ცნობიერად შეძენილ შინაარსსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ცოდნა-ჩვევებს) და განწყობის საფუძველზე მიღებულს —ერთნაირად არ ეხება.

დ. უზნაძე ორი სახის |დ-ას განასხვავებს: 1) ცნობიერად შეძენილი შინაარსის (ცოდნა-ჩვევის) გასვლას მეხსიერებიდან, დაკარგვას, ხოლო მათი ქვემდებარე განწყობის შენარჩუნებას და 2) ისეთ |დ-ას, რ-იც ერთნაირად ეხება, რ-რც ცნობიერად შეძენილ ცოდნა-ჩვევას, ისე მის ქვემდებარე განწყობასაც. დ-ის ამ სახეს, როცა ორივეს, ე. ი. ცოდნისა და მისი ქვემდებარე განწყობის დაკარგვა ხდება, ადგილი აქვს პიროვნების ფს-კური დაავადების შემთხვევაში. ნორმალურ ფს-კაში მხოლოდ პირველი სახის |დ-ას აქვს ადგილი. როცა დასწავ-ლით შეძენილი ცოდნა-ჩვევა იკარგება, ხოლო მისი ქვემდებარე განწყობა შენარჩუნებულია. ასეთი დ-ისათვის რამდენიმე ნიშანია დამახ. მათში ძირითადია: 1) დამახსოვრებული შინაარსის გაბუნდოვნება, გაფერმკრთალება; 2) შინაარსის შემადგენელ ნაწილებს შორის კავშირების შესუსტება, დარღვევა, რის გამოც რ-იმე მათგანის რეპროდუქცია გაძნელებულია და საგანგებო ძალისხმეევას მოითხოვს; 3) რაც დრო გადის |დ-ული მასალის კვლავ დასწავლისათვის სუბ-ს სულ უფრო მეტი ეარჯი'ში სჭირდება.

დ. გარკვეული კანონების მიხედვით ხდება. პირველად იგი ექსპერიმენტულად გამოიკვლია ჰ. ებინგჰაუსმა და მისი მთავარი კანონიც მანვე დაადგინა. ამ კანონის მიხედვით, დასწავლილი მასალის |დ. დროის ფუნქციას წარმოადგენს: დროის ზრდის კვალობაზე დ. იზრდება. მაგრამ ეს ზრდა გარკვეული კანონზომიერებით ხდება: დ. უფრო სწრაფია დასწავლის მომენტიდან პირველ საათებში, შემდეგ დღეებში იგი სულ უფრო და უფრო ნელა კლებულობს და დგება ისეთი მომენტი, რ-ის შემდეგ იგი ერთ დონეზე რჩება. აქედან ნათელია, რომ აბსოლუტური დ. არ არსებობს, ერთხელ დასწავლილიდან რაღაც ნაწილს მეხსიერება სამუდამოდ ინარჩუნებს.

თუმცა დ. დროის ფუნქციაა, მაგრამ, რადგან ცარიელი დრო სუბ-თვის არ არსებობს და მის მეხსიერებას მრავალი სხვა მასალის დასწავლა—დამახსოვრება უხდება, ამიტომაც |დ-ას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს. ძირითადად ეს ფაქტორები შემდეგია: 1) ა. ალის კანონი ხანგრძლივი |დროისთვის განზრახული დამახსოვრება უფრო დიდხანს რჩება მეხსიერებაში, ვიდრე უფრო ხანმოკლე |დროისთვის განზრახული. 2) სწრაფად დასწავლილი ჩვეულებრივ სწრაფადვე გადის მეხსიერებიდან, იგი უფრო |გვავიწყდება, ვიდრე ის| მასალა, რაც ხანგრძლივად ესწავლობთ. 3) კონკრეტული, ანუ თვალსაჩინო და აზრიანი მასალა უფრო ხანგრძლივად გვამახსოვრდება, ვიდრე განყენებული ან უაზრო შინაარსის მასალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. უარყოფითიც შეიძლება იყოს და დადებითიც: უარყოფითია დ. მაშინ, როცა რისამე გახსენება გვჭირდება და ვერ ვიხსენებთ. შაგ. სახელები, ციფრები და სხვა. დადებითია იგი, რ-რც ძველისაგან განტვირთვა და ახალ-ახალი მასალის დახსომების უზრუნველყოფა— ყველაფერი, რაც გვისწავლია, მუდამ რომ გვახსოვდეს უკლებლივ, მაშინ ახლის დახსომება თუ შეუძლებელი არა, გაძნელებული უთუოდ იქნებოდა.

დაკვირვება — აქტიური აღქმა, — როცა სუბ. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით უდგება ობიექტის აღქმას, გამოყოფს ამ ობიექტის დამახ. ნიშნებს, ახდენს მის ანალიზს. დ. რ-რც აღქმა, იმით განსხვავდება პასიური აღქმისაგან (საკუთრივ პერცეფციისაგან), რომ მისთვის გამსაზღვრელია არა მარტო გამღიზიანებელი, არამედ, მასთან ერთად, საგნისკენ სუბ-ის შემეცნებითი მიმართებითაც. დ-ის შემთხვევაში აღქმის „აღმოცენებაც და შინაარსიც სუბ-ის განზრახვაზეა დამოკიდებული" (დ. უზნაძე). დ. რ-რც წინასწარ განზრახული აღქმა, მეცნ-ული კვლევის მეთოდს წარმოადგენს რ-რც ფს-გიაში, ისე —სხვა მეცნ-აშიც.

დაკმაყოფილება — ორგანიზმის გარემოსთან დარღვეული წონასწორობის აღდგენა. მოთხოვნილების დ. ყოველთვის სიამოვნების განცდასთან არის დაკავშირებული (იხ. მოთხოვნილება).

დალტონიზმი — წითელ-მწვანისადმი სიბრმავე: ადნი ვერ არჩევს სპექტრში წითელსა და მწვანე ფერს, მათ ადგილზე ხედავს სირუხის ნიუანსებს. აღმოაჩინა ინგლისელმა ქიმიკოსმა დ. დალტონმა, რიც თვითონ იყო ამ სენით დაავადებული (იხ. ფერთა სიბრმავე).

დამახსოვრება — იხ. დასწავლა.

დამხმარე სკოლა — სპეციალური სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულება, სკოლა, ბკუასუსტი (ოლიგოფრენი) ბ-ვებისათვის, რ-ებიც ნორმალურ სკოლაში დაბალ აკადემიურ წარმატებას თავს ვერ აღწევენ, თვითონ წინ ვერ მიდიან და კლასის წინსვლასაც აფერხებენ. დ-ის კონტიგენტს მეტ წილი იოლი თუ მძიმე ფორმის დებილება (იხ), მცირე ნაწილი — იმბეცილები (იხ). სასწავლო მასალა სპეციალურადაა შედგენილი მასობრივი დაწყებითი სკოლის პროგრამის საფუძველზე. მნიშვნელოვანი ადგილი ხელგარჯილობასა და შრომას აქვს დათმობილი. მეოთხე კლასიდან იწყება სპეციალურ-პროფესიული სწავლება. მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემა შეგუებულია აღსაზრდელის დეფექტის სპეციფიკასთან. კლასში ბ-ვთა რაოდენობა მცირეა (15—16), რაც აადვილებს ბ-ვისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. შემოღებულია საეჭვო გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, წარმოებს პირადი დეფექტის (ენა-ბლუობა, ენაბრგვილობა) კორექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სის მიზანია საგანგებო პედ. გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით ბ-ვთა ფს-კური და ფიზ. ნაკლის კომპენსირება და შრომითი პროფესიული ჩვევების მკონე საზოგადოებრივად სასარგებლო ად-ნის აღ-ზრდა.

დარწმუნებულობა- ერთგვარი ინტელექტუალური გრძნობა, რ-იც თან სდევს ცნობიერების ყველა შინაარსს. ნიშნავს: სუბ-ის რწმენას (დარწმუნებულობას), რომ აღქმის, წარმოდგენის, მოგონების, მსჯელობა-დასკვნის, თუ სხვა ფს-კური განცდის შინაარსი, რ-იც მას ამ-ჟამად აქვს, სავსებით **შეესაბამება მოგონებათა ობიექტურ ვითარებას**- მაგ., ად-ნის ამა თუ იმ მოგონებას წარსული ცხოვრებიდან ყოველთვის თან ახლავს რწმენა, რომ მოგონების შინაარსი, რ-იც მან ახლა აღ-დგინა, ნამდვილად ისეთი იყო მაშინაც, როდესაც მან იგი აღიქვა. ან კიდევ: რაიმე მსჯელობა-დასკვნის **პროცესს თან** |**მოჰყვება** გამოკვეთილი რწმენა, რომ აზრთა მიმდინარეობა, რ-აც სუბ. ახლა ავითარებს, სინამდვილეს წარმოადგენს. იგივე ითქმის ცნობიერების სხვა შინაარსის შესახებ. თვით აღქმის შინაარსიც კი არ არის თავისუფალი|დ-ის გრძნობისაგან. სუბ. ყოველთვის დარწმუნებულია, რომ სამყარო, რ-აც ის აღიქვამს, რეალური სამყაროა. ამ გრძნობის დაკარგვა ავად-ური მდგომარეობის განვითარებას ნიშნავს.

დ. ბევრ შემთხვევაში შეუმჩნეველი გრძნობაა. ის აშკარავდება და თვალსაჩინო ხდება, როცა ცნობიერების შინაარსის ჭეშმარიტების შესახებ ეჭვი აღიძვრის და ამ შინაარსის ნამდვილობის საკითხი დაისმის. ამის შესაბამისად |ფს-გიაში დ-ის ორი სახე უნდა გავარჩიოთ: 1. ლატენტურად არსებული დ-ის გრძნობა, რ-იც დაკავშირებულია უფრო დაბალ აქტებთან-მოგონების, აღქმის, წარმოდგენის პროცესებთან და 2. მკაფიოდ გამოკვეთილი, მაღალინტელექტუალურ და შემეცნებით აქტებთან დაკავშირებული. ამ სახით იგი ინტელექტუალურ ემოციათა ჯგუფს განეკუთვნება. პირველ შემთხვევაში, ცნობიერების შინაარსის ნამდვილობის საკითხი სუბ-ს არ უჩნდება. ამ შინაარსის რეალობის რწმენა (დარწმუნებულობა) თავისთავად უშუალოდაა მოცემული. მეორე შემთხვევაში ეჭვია აღძრული და ფს-კური პროცესი აზროვნება-მსჯელობის აქტებით მიდის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ძიება პასუხს მოითხოვს და პასუხის სისწორეში თვითონ სუბ. აშკარადაა დარწმუნებული.

თუ რ-რ უჩნდება სუბ-ს დ-ის განცდა, ეს საკითხი ფს-გიაში პრობლემად დგას. ცნობილია მისი გადაწყვეტის რამდენიმე თეორია (დ. იუმი, ვ. შტერნი, ვ. ბეტსი). მათ შორის საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი დ. უზნაძის განწყობის თეორიას. ამ თეორიით საესებით ნათელია რომ დ-ის საფუძველი განწყობაა, რამდენადაც თვით განწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ობიექტური ვითარების გადატანაა სუბ-ში, სუბ-ის მომართვაა ობიექტური ვითარების შესატყვისად. ცხადია, ამის გამო ამ ობიექტური სინამდვილის შესახებ დ. თვით განწყობის არსშია მოცემული.

დასამახსოვრებელი ერთეულის რიგში ადგილის კანონი— იხ. დასწავლის „კანონები".

დასკვნა — ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების ერთ-ერთი ფორმა: ორი მსჯელობიდან ახალი აზრის გამოტანა. ამ მსჯელობებს ლოგიკაში წანამძღვრები ეწოდება. დ. წანამძღვრებიდან გამომდინარე შედეგია. თუმცა დ-ში მოცემული შინაარსი წანამძღვრებშია ნაგულისხმევი, მაგრამ, მიუხედავად, ამისა, დ. მაინც, ახალი აზრის შემცველია. დ. აზრთა მიმდინარეობის სისტემაში მოყვანას ნიშნავს.

დასწავლა ანუ დამახსოვრება— აქტიური მეხსიერების ერთ-ერთი ფორმა. ად-ნთან იგი წარმოადგენს გარკვეული მასალის დასწავლას წინასწარ მიღებული განზრახვით. ამიტომ, დ-ში კანონები და ფაქტორები ად-თან იგივეა, რაც მისი აქტიური მეხსიერების და სწავლის ფაქტორები და კანონები. დ. გულისხმობს ახალი მასალის დაუფლებას, დამახსოვრებას გარკვეული ჩვეულ-ცოდნის სახით და მის შეყვანას არსებული ცოდნის მარაგში და საჭიროებისამებრ მის გამოყენებას. დასასწავლი მასალის, უფრო სწრაფი ათვისების შენახვისა, მისი ნებისმიერი აქტივიზაციის მიზნით, სუბ. იყენებს თავისებურ მეთოდიკურ ხერხებს: ყურადღებითაა მიმართული დასასწავლი მასალისადმი, შეაქვს მასში ცვლილებები (რიტმიზაცია, დაჯგუფება), შეგნებულად აკავშირებს მას ძველ, ნაცნობ მასალასთან.

დ-ის სისწრაფეს, ხანგრძლივობას და სიმტკიცეს გარკვეული ფაქტორები განსაზღვრავს. ასეთებია: **ნებელობა, ინტერესი, ინტელექტი, სენსორული და ფიზიოლოგიური ფაქტორები.**

1. ნებისყოფის ფაქტორი— ის ფაქტი, რომ სანამ სუბ. დასწავლას შეუდგებოდეს, წინასწარ აწესრიგებს დასასწავლ მასალას მისი იოლი ათვისების მიზნით, უკვე გულისხმობს **ნებელობის** ფაქტორის განმსაზღვრელ მნიშვნელობას დ-ის პროცესში. ექსპერ-ლად დადასტურებულია, რომ განზრახვის გარეშე, სუბ-ის მიერ დ-ის მიზნის გაცნობიერების გარეშე, რაიმეს დ. შეუძლებელია, როცა ცპ-ს მრავალჯერ აკითხებენ რაიმე ტექსტს, მაგრამ არ ეუბნებიან, რომ იგი მან დაისწავლოს და მერე აღადგინოს, მაშინ მას ამ მრავალჯერ წაკითხული-დან თითქმის არაფერი ამახსოვრდება; მაგრამ, თუ მას წინასწარ ავალებენ წაკითხული მასალა დაიხსომოს და აღადგინოს, მაშინ რამდენიმე განმეორებაა საკმარისი, რომ მასალა დაიმახსოვროს და აღადგინოს (პ. რადოსავლევიჩის ექსპერ.) ნებელობის ფაქტორი განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-ის სისწრაფეზე ახდენს გავლენას.

2. **ინტერესის** ფაქტორი დ-ისთვის აგრეთვე არსებითი მნიშვნელობისაა. ინტერესი დ-ის პროცესისათვის ენერგიის წყაროა. იგი სწავ-ლას თავისუფალი მოქმედების ხასიათს ანიჭებს. საინტერესო მასალას უფრო სწრაფად იმახსოვრებს სუბ. და ხანგრძლივად ინარჩუნებს, ვიდრე არასაინტერესო მასალას.

3. **ინტელექტუალური ფაქტორი** – ნებელობისა და ინტერესის გვერდით, დ-აში ინტელექტი დიდ როლს ასრულებს. როცა მეხსიერებაზე და დ-აზე ლაპარაკობენ, გარკვეული ცოდნის შეძენას გულისხმობენ. მაგრამ ცოდნა მაშინაა ნამდვილი, როცა გაგებულია დასამახსოვრებელი მასალის აზრი, ხოლო აზრის წვდომა შესაძლებელს ხდის და აადვილებს კიდეც რაიმე მასალის ათვისებას. **ამიტომაა, რომ** როცა რაიმე გინდა დაისწავლო, ცდილობ **კარგად** გაიგო იგი. თვით უაზრო მასალს დ-აშიც (ციფრები, სიტყვები, ცალკე წინადადებები) შეიმჩნევა ინტელექტის მონაწილეობა. ცდ. ცდილობს უაზრო მასალის ერთეულებს შორის გააბას კავშირი, დააჯგუფოს ისინი, მიამსგავსოს ნაცნობ მასალას, რათა გაიადვილოს დამახსოვრება. ყველაფერ ამას ინტელექტი აკეთებს.

4. **სენსორული ფაქტორი**– გულისხმობს შეგრძნების რომელი მოდალობით აღიქვამს სუბ. მასალას: მხედველობის, სმენის თუ მოტორულის. ზოგი სუბ. უფრო ადვილად და **მტკიცედ** მხედველობით მიღებულ მასალას იმახსოვრებს, ასეთ მეხსიერებას მხედველობითი ანუ **ოპტიკური** ტიპის მეხსიერება ეწოდება. ზოგი სმენით მიღებულ მასალას მხედველობით მიღებულზე უფრო ადვილად იმახსოვრებს. ასეთ მეხსიერებას სმენითი ანუ აკუსტიკური ტიპის მეხსიერება ეწოდება. ზოგი უფრო იმახსოვრებს საკუთარ მოძრაობასთან დაკავშირებულ მასალას. სუბ-ტის ასეთ მეხსიერებას **მოტორული** ტიპის მეხსიერებას უწოდებენ. გვხვდება აგრეთვე შერეული ტიპის მეხსიერება: **მხედველობით-სმენითი**, მხედველობით-მოტორული და სხვა (ეს მეხსიერების ანუ დ-ის ტიპოლოგიის საკითხია). გარდა აღნიშნული ტიპებისა, მეხსიერების თითოეული მოდალობის ფარგლებში, მეხსიერების სპეციალურ სახეებს განასხვავებენ იმის მიხედვით, თუ რომელი მასალის დახსომებისაკენ უფრო აქვს მას მიდრეკილება. მაგ., ცნობილია, რომ ზოგი სიტყვებს ან სახელებს იმახსოვრებს ადვილად, ზოგი–ციფრებს, ზოგი–სურათებს, ფიგურებს, ზოგი–ადგილმდებარეობას და სხვა.

5. **ფიზიოლოგიური ფაქტორი** –მიუთითებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობის მნიშვნელობაზე დამახსოვრების ნაყოფიერებისათვის. დაღლილობა, უძილობა, ავადმყოფობა, დახსომების, ე. ი. დ-ის ნაყოფიერებისათვის არახელსაყრელი პირობებია: დ-ის კოეფიციენტი ამ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევებში ჩვეულებრივზე უფრო დაბალია, მნიშვნელობა აქვს აგრეთ - ვე დღის დროს (დილა-საღამო), რადგან ორგანიზმი დღის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად გრძნობს თავს. მაგრამ ეს ყოველ ცალკე ორგანიზმზეა დამოკიდებული და რაიმე ზოგადი კანონზომიერების დაწესება შეუძლებელია.

დასწავლის კანონები – დ-ას (დამახსოვრებას) რ-რც ად-ის აქტივობის ერთ-ერთ სახეს სრულებით მოწესრიგებული და კანონზომიერი მიმდინარეობა ახასიათებს. მისი ფუნქციობა გარკვეულ კანონებს ემორჩილება, ასეთებია: გამეორების ადგილის კანონი, გეშტალტიზაციის კანონი, დასამახსოვრებელი ერთეულის ადგილის კანონი, იოსტის კანონი, მთლიანი სწავლის კანონი, ფუკოს კანონი, ჰიპერფიქსაციის კანონი.

1. გამეორების ადგილის კანონი დ-ში: მასალის გარკვეული მოცულობის დასასწავლად რამდენიმე გამეორებაა საჭირო, ვთქვათ 20 გამეორება. ამ ოცის რიგში ყოველ გამეორებას განსხვავებული წილი შეაქვს მასალის დასწავლაში. ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ, რაც უფრო ახლოა რიგში გამეორება დასწავლის დასაწყისთან, მით უფრო დიდი წვლილი შეაქვს მას დამახსოვრების საერთო შედეგში, ანუ მით უფრო დიდია მისი მნემური ღირებულება. პირველი გამეორება ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელოვანია, ხოლო უკანასკნელი (ჩვენს მაგალითში მეოცე გამეორება) ყველაზე ნაკლები. თუმცა კი დასწავლის სიმტკიცისთვის უკანასკნელი გამეორებაც აუცილებელია.

2. **გეშტალტიზაციის კანონი** დ-ში – უფრო ადვილად დასწავლის მიზნით, სწავლის პროცესში მნიშვ. აქვს მასალის დასტრუქტურებას, ელემენტების გაერთიანებას, მასალის გარდაქმნას შინაგანად დანაწევრებულ კომპლექსურ ერთეულებად; ამისათვის სუბ. წინასწარ აჯგუფებს მასალას რაიმე ნიშნის მიხედვით, აწესრიგებს, ორგანიზებს მას აზრიან ერთეულად, იყენებს უმთავრესად რიტმიზაციის ხერხს, გამოკვეთს გარკვეული თანამიმდევრობით მთლიან ერთეულებს. მაგ., ლექსი უფრო ადვილად დაისწავლება, ვიდრე პროზაული შინაარსის მასალა, რადგან მისი გეშტალტი რიტმის პრინციპითაა დასტრუქტურებული. რიტმიზაცია თვით უაზრო მასალის გაგეშტალტებაზედაც ახდენს გავლენას.

3. **დასამახსოვრებელი ერთეულის რიგში ადგილის კანონი** – ჰ. ებინგჰაუსის ცდებით (უაზრო მარცვლებზე) დადასტურდა, რომ დამახსოვრებას ხელს უწყობს ის ადგილი, რ-იც დასასწავლ წევრთა რიგში უკავია ამა თუ იმ ერთეულს: ყველაზე უფრო სწრაფად და ადვილად ცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმახსოვრებს რიგის პირველ და უკანასკნელ წევრებს, ვიდრე შუა ადგილზე მოთავსებულებს.

აღნიშნული კანონზომიერება ებინგჰაუსის შემდეგ ჩატარებული ცდებითაც დადასტურდა, ოღონდ შემდეგი განსხვავებით: როცა დასამახსოვრებელი მასალა ჰომოგენურია და შინაარსობრივადაც ერთიანი (უაზრო მარცვლები, ციფრები, ფიგურები), მაშინ, როგორც წესი, რიგში პირველი და ბოლო ადგილის უპირატესობა დამახსოვრებისათვის ყოველთვის ძალაში რჩება; ხოლო როცა მასალა აზრიანია და შინაარსობრივადაც განსხვავებული (სიტყვები, სურათები, წინადადებები), მაშინ საკუთრივ **ემოციურ-აფექტური შინაარსის** მქონე წევრების – სიტყვის, სურათის თუ წინადადების დამახსოვრების ეფექტი რიგის შუა ადგილზეც დიდია.

4. ა. იოსტის **კანონი** – ეხება **საკითხს**, აქვს თუ არა **ნაიმე** მნემური ღირებულება მასალის დახსომებისათვის საჭირო გამეორებებს შორის ჩართული ინტერვალების ხანგრძლივობას, ამ საკითხზე ა. იოსტის კანონის პასუხი შემდეგი ორი დებულების სახით შეიძლება გამოითქვას:

ა) „ვიზუალური მასალის" (მარცვლების რიგის, ციფრების, ცალ-ცალკე სიტყვების თუ ღერძის) ზეპირად დასამახსოვრებლად იმ შემთხვევაში უფრო ნაკლები გამეორებაა საჭირო, როცა გამეორებათა შორის ჩართული ინტერვალი **უფრო ხანგრძლივია**, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ეს „უკანასკნელი ხანმოკლეა" (დ. უზნაძე). სხვანაირად რომ ვთქვათ, მასალის დიდი ინტერვალებით გამეორება ადვილებს დ-ას.

ბ) როცა მასალის დამახსოვრებისათვის **საჭირო** გამეორებები (გამეორებით წაკითხვები **ზედიზედ თანმიყოლებით ანუ უინტერვალოდ** წარმოებს, ყოველ ასეთ შემთხვევაში გაცილებით უფრო ბევრი გამეორებაა საჭირო, ვიდრე მაშინაც კი, როცა ამ გამეორებებს შორის **ძალიან მცირე დროითი ინტერვალია** ჩართული. ერთი სიტყვით, „უინტერვალო გამეორება" განსხვავებით „ინტერვალებით გამეორებისაგან" **ზრდის** მასალის დახსომებისათვის საჭირო გამეორებათა რიცხვს და, მაშასადამე, აძნელებს დ-ას.

უკანასკნელი დებულება უდავოდ სწორია და რისამე მხრივ შესწორებას არ საჭიროებს; მაგრამ იგივე არ ითქმის პირველი დებულების შესახებ. აქ შემდეგი შენიშვნა უნდა გაკეთდეს.

დასამახსოვრებელი მასალის „ინტერვალებით გამეორება" სჯობნის მის „ზედიზედ თანმიყოლებით გამეორებებს", მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ, თითქოს, რაც უფრო გავზრდით (გავახანგრძლივებთ) გამეორებათა შორის ჩართულ ინტერვალს, სულ უფრო და უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთეს შედეგს მივიღებთ. არა, – ინტერვალის ზრდამ მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება| გააადვილოს მასალის დამახსოვრება, თორემ ძალზე ხანგრძლივი დროითი ინტერვალი, პირიქით, დავიწყების ფაქტორი შეიძლება იყოს და არა დახსომებისა. უნდა არსებობდეს დასწავლილი მასალის გამეორებათა შორის ჩართული ინტერვალის „ოპტიმალური ხანგრძლივობა" ანუ ისეთი „ოპტიმალური ინტერვალი", რ-იც თავისი მნემური მნიშვ-ით უფრო ხანმოკლე ინტერვალებს ჯობნის და უფრო ხანგრძლივებსაც.

მასალის დამახსოვრებისათვის | გამეორებათა „ოპტიმალური ინტერვალის" მნიშვ-ის საკითხი ა. იოსტს არ| შეუსწავლია და საერთოდ მის ცდებში იგი არც ჩანს. „ოპტიმალური ინტერვალის" ფაქტი პირველად ფრანგმა ფს-გმა ჰ. პიერონმა გამოიკვლია.

ცდებს, რ-ებიც მან ამ მიმართულებით ჩაატარა, უნდა გაერკვია, თუ რამდენი გამეორება იქნებოდა საჭირო 20 ციფრის დახსომებისათვის **ხანგრძლივობით განსხვავებულ ინტერვალთა პირობებში.**

პიერონის ცდების თანახმად შეიძლება ითქვას, რომ გამეორებათაშორის ჩართული **მზარდი ინტერვალებიდან ოპტიმალურად ნაყოფიერი** მხოლოდ ის ინტერვალია, რ-იც 10 წუთსა და 20 წუთს შუა მდებარეობს და რ-იც თავისი ნაყოფიერებით უფრო ხანმოკლე ინტერვალებ-საც ჯობნის (1,5 წუთ. 10 წუთ-მდე) და უფრო ხანგრძლივებსაც (20 წუთ. – 24 საათ-დე).

დ. უზნაძე კანონის შემდეგ ფორმულას იძლევა: „ყოველი მასალის დასამახსოვრებლად საჭირო გამეორებათა მინიმალური რაოდენობა დამოუკიდებელია ამ გამეორებათა შორის ჩართული ინტერვალების ოპტიმალურ ხანგრძლივობაზე".

5. მთლიანი დასწავლის კანონი–გამოცდილებით ვიცით, რომ რაიმე მასალის, მაგ., ლექსის ზეპირად დასწავლა ყველა ად-ნის მიერ ერთნაირი წესით არ ხდება. ა) არიან ად-ები, რ-ნიც ლექსის „ნაწილ-ნაწილად" დასწავლის ხერხს მიმართავენ: ყოფენ ლექსს ნაწილ-ნაწილად (სტროფებად) „და თითოეულ ნაწილს ცალკე სწავლობენ; ხოლო როცა ყველა ნაწილს ისწავლიან, შემდეგ იწყებენ ამ ნაწილების მნემურ გაერთიანებას. ახლა ლექსს კითხულობენ **მთლიანად და მრავალჯერ** გამეორებით მანამდე, სანამ ცალ-ცალკე დასწავლილ ნაწილებსა და მის თანამიმდევრობას უშეცდომოდ არ აღადგენენ. ბ) ისეთ ად-ნებსაც ვხვდებით, რ-ნიც ზეპირად დასასწავლ ლექსს თავიდანვე „მთლიანად კითხულობენ" მანამდე, სანამ ლექსი უშეცდომოდ არ იქნება| აღდგენილი („მასალის გლობალური ანუ მთლიანი |ნ-ის წესი).

თუ რომელია დასწავლის ამ ორი ხერხიდან უფრო რაციონალური ეს საკითხი ექსპერ-ულად უნდა გადაწყდეს. „ამჟამად დაგროვილი მასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიხედვით „მთლიანი ანუ გლობალური მეთოდით“ სწავლა (დასასწავლი ტექ-
სტის საშუალო მოცულობის პირობებში) მაინც უფრო რაციონალურად
არის ცნობილი, ვიდრე „ნაწილ-ნაწილ დასწავლის ხერხი“. ზოგი მა-
სალის ზეპირად დ-ისათვის ყველაზე უფრო ნაყოფიერად თვლის ასეთ
წესს, რ-იც აღწერილი ორი წესის ერთგვარ გაერთიანებას წარმოად-
გენს და რ-საც იგი „პროგრესულს“ უწოდებს; სახელდობრ: ცალ ნაწილ-
ნაწილად დაისწავლის მასალას, მაგრამ ასეთი წესით: ჯერ ლექსის
პირველ ნაწილს დაისწავლის, მერე – მეორეს და შემდეგ ორივეს ერ-
თად; შემდეგ დაისწავლის მესამე ნაწილს და სამივეს ერთად; შემდეგ
დაისწავლის მეოთხე ნაწილს და ოთხივეს ერთად და ასე ბოლომდე, სა-
ნამ მთელი ლექსი არ ეცოდინება ზეპირად. ე. მოიმანი ორივე მეთოდის
გაერთიანების იდეას იზიარებს. მისი აზრით პირველად საჭიროა მასა-
ლის მთლიანი გაცნობა, ე. ი. მასალის მთლიანი წაკითხვა გამეორებით,
მერე უნდა გამოიყოს ძნელი ადგილები და უნდა მოხდეს მათი ცალ-
ცალკე დასწავლა, ხოლო შემდეგ მთელი მასალის მთლიანი კითხვა უნდა გაგ-
რძელდეს სრულ დასწავლამდე.

6. ე. ფუკოს კანონი – გამოსახავს მასალის მოცულობის მიმარ-
თებას მის დასასწავლად საჭირო დროსთან, ანუ გამეორების საჭირო
რაოდენობასთან. მაგ., ვთქვათ რაიმე მასალის დასასწავლად 6 წუთია
საჭირო, მაგრამ ორჯერ გადიდებული ამ მასალის დასამახსოვრებლად
შესაფერისად ორჯერ გადიდებული დრო საკმარისი აღარაა. ფუკოს
კანონი სწორედ ამ საკითხზე იძლევა პასუხს, თუ რა კანონზომიერე-
ბით უნდა გაიზარდოს მასალის მოცულობის შემთხვევაში მის დასასწავ-
ლად საჭირო დრო. ფუკომ მასალის მოცულობასა და მის დასასწავლად
საჭირო დროის ურთიერთდამოკიდებულების ფორმულა წამოაყენა, რომ-
ლის თანახმად, რაიმე მასალის დასამახსოვრებლად საჭირო დრო ამ მა-
სალის რაოდენობის კვადრატის პროპორციულად იზრდება. შემდეგი შე-
მოწმებით დამტკიცდა (ჰ. პიერონი), რომ ფუკოს ამ კანონს დაახლო-
ებითი მნიშვ. აქვს და საქმის სრულ ვითარებას ვერ გამოხატავს. დადას-
ტურებულია, რომ არსებობს დასამახსოვრებელი მასალის მოცულობის
გარკვეული ოპტიმუმი (დ. უზნაძე), რ-იც უფრო ნაკლებ დროს
მოითხოვს დასამახსოვრებლად, ვიდრე მისგან განსხვავებული სხვა მო-
ცულობა.

7. ჰიპერფიქსაციის კანონი– პასუხს იძლევა საკითხებზე: მას
შემდეგ, რაც მასალა კარგადაა დასწავლილი აქვს თუ არა რაიმე მნე-
მური მნიშვ. ამ მასლის „დამატებით“ (ჯარგ) გამეორებებსაც“. სპეცია-
ლური ცდებით დადასტურებულია, რომ ჰიპერფიქსაციას დიდი მნიშვ.
აქვს მასალის დახსომების განმტკიცებისათვის: რაც იმას ნიშნავს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწავლილი მასალა უფრო ხანგრძლივად გვამახსოვრდება ჰიპერფიქსაციის ხერხის გამოყენებით, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ამ ხერხს არ მივმართავთ.

დასწავლის კვლევის მეთოდები — პირველად ფს-გიაში დასწავლა ექსპერიმენტულად გამოიკვლია ჰ. ებინგჰაუსმა ე. წ. უაზრო მარცვლების მეთოდით.

ებინგჰაუსის მიზანი იყო ექსპ-ლად შეესწავლა მეხსიერების მოქმედება, გაეზომა იგი და დაედგინა მისი ძირითადი კანონები, მაგრამ მეხსიერების ნამდვილი გაზომვისათვის წინასწარ უნდა გამონახულიყო საზომი ერთეული, რ-იც ყველა ცდ-თვის დაახლოებით თანაბრად ძნელი დასამახსოვრებელი იქნებოდა. ასეთად მან იცნო „უაზრო მარცვლების მეთოდი" და ამიტომ კვლევის მეთოდსაც „უაზრო მარცვლების მეთოდი" ეწოდა. ცდ-რს ეძლეოდა უაზრო მარცვლების რიგი, რ-თაგან თითოეული მარცვალი სამი ბგერისაგან შედგებოდა: ორი თანხმოვნისა და მათ შორის ხმოვნისაგან. მარცვლების რიგს მნემომეტრით აწვდიდნენ (აკითხებდნენ) ცდ-ებს და ავალებდნენ დაემახსოვრებინათ და მოთხოვნილებისამებრ აღედგინათ. იგი ზეპირად. ებინგჰაუსის გამოკვლევების შედეგად, დასწავლის ექსპერიმენტული კვლევის შემდეგი ხერხებია ცნობილი:

1) დასწავლის მეთოდი: ცდ-ს აკითხებენ უაზრო მარცვლების რიგს მანამდე, სანამ მას შეუცდომლად აღადგენს. გამეორებათა რიცხვი, რ-იც ცდ-მა მასალის დასწავლას მოანდომა, არის მისი მეხსიერების კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი ინტერინდივიდუალურად განსხვავებულია—ზოგს მეტი გამეორება სჭირდება, ზოგს ნაკლები.

2) ეკონომიის, ანუ შენარჩუნების (მომარაგების) მეთოდი. ვთქვათ, მასალის დასამახსოვრებლად ცდ-ს დაჭირდა 10 გამეორება, ხოლო, როცა ეს მასალა მას სრულიად დაავიწყდა და ის ხელმეორედ მიაწოდეს დასასწავლად, მას დაჭირდა უკვე 4 გამეორება. მაშასადამე, მისმა მეხსიერებამ პირველი დასწავლიდან რაღაც შეინარჩუნა, რადგან ახლა 4 გამეორება საკმარისი აღმოჩნდა. განსხვავება პირველი და მეორე დახსომებისათვის საჭირო გამეორებათა შორის (10—4 = 6) არის მომარაგების კოეფიციენტი. აქედან ჩანს, რომ აბსოლუტური დავიწყება არ არსებობს: რაც ერთხელ გვისწავლია, შესაძლებელია აღარც გვახსოვდეს, მაგრამ მისი ხელახალი დასწავლა ადვილი ხდება.

3) ცნობის მეთოდი: ცდ-ს აკითხებენ გარკვეული რაოდენობის მარცვლებს წინასწარი გაფრთხილებით, რომ შემდეგ ამ მარცვლებს ახალი მარცვლების რიგში უჩვენებენ და მან უნდა გამოიცნოს ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ახალი მარცვლების რიგში.

4) დამახსოვრებული წევრების მეთოდი: ცპ-ს ეძლევა დასამახსოვრებლად უაზრო მარცვლების რიგი ერთხელ ან რამდენიმეჯერმე და შემდეგ უნდა ჩამოთვალოს იგი. დამახსოვრებული რაოდენობა ითვლება მეხსიერების სისწორის კოეფიციენტად.

5) სწორი პასუხის მეთოდი: ნაწილ-ნაწილად მიწოდებული მარცვლების კითხვის შემდეგ ცპ-ს აწოდებენ წყვილეულს პირველ წევრს და მან უნდა გამოიცნოს წყვილეულის მეორე წევრი. სწორ პასუხთა რიცხვის შედარება მიწოდებული მარცვლების საერთო რიცხვთან გამოხატავს დამახსოვრების კოეფიციენტს.

დაქტილოგრაფია-(ბერძ. dactylos თითი და grapho - ეწერ) - თითით წერას ნიშნავს. გამოიყენება, რ-რც ურთიერთობის დამხმარე საშუალება ყრუ-მუნჯებთან. ბრმა ან ყრუ-მუნჯს რომ გადაეცეთ აზრი, მის ხელის გულზე, უშუალოდ თითით წერენ სიტყვებს ჩვეულებრივი ასოებით. ისინიც თავის აზრს ამავე წესით გვამცნობენ: ხელისგულზე, ან რაიმე საგნის ზედაპირზე, მაგ., წიგნის ზედაპირზე, ან მაგიდაზე ყრუ-მუნჯერბი თითით წერენ სიტყვებს ჩვეულებრივი ასოებით დ. უადვილებს ყრუ-მუნჯისა და ბრმების გარემოსთან ურთიერთობას, ის მარტივია, არ საჭიროებს რაიმე რთულ მოწყობილობას.

დაქტილოლოგია – (ბერძ.) ყრუ-მუნჯთა ლაპარაკი თითების საშუალებით. თითების გარკვეული კომბინაცია, მიმართულება და მდებარეობა ალფაბეტის გარკვეულ ასოს გამოხატავს. თითების ასეთი კომბინაციით ყველა ასოს გამოხატვა შეიძლება, რაც ყრუ-მუნჯის მეტყველებას უზრუნველყოფს. დაქტილური მეტყველება ყრუ-მუნჯის ზეპირი მეტყველების დაწყებითი საფეხურია, გამოიყენება პირველ ხანებში, სანამ ისინი ზეპირ, სიტყვიერ მეტყველებას შეისწავლიან; მიღებულია ყრუ-მუნჯ ბავშვთა საბავშვო ბაღსა და სკოლაში. იგი განსხვავდება ჟესტების ენისაგან.

დაღლილობა თავისებური ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა, განეკუთვნება ორგანულ შეგრძნებათა ჯგუფს, (იხ. ორგანული შეგრძნება). თავს იჩენს: ორგანიზმის მიღწევების დაქვეითებაში (მუშაობის სიზუსტის, სისწრაფის, ნაყოფიერების შესუსტებაში) გამოწვეულია ხანგრძლივი ფიზ. ან გონებრივი მუშაობით. აიხსნება სისხლში მომწამელელ ნივთიერებათა (კენოტოქსინის) დაგროვებით. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ორგანიზმის ენერგიის გადაჭარბებული ხარჯვა ნერვული სისტემის გამოფიტვას იწვევს და დაღლილობა გადაქანცვაში გადადის.

დაცვითი მექანიზმები – (გერმ. Abwehrmechanismen) –ძირითადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნება ზ. ფროიდის „არაცნობიერის თეორიაში". ამ თეორიის თანახმად, სუბ-ის „მე"-ს ფორმირება დ. მ-ზეა დამოკიდებული, ასეთებია: არასასურველი, („მე"-სთვის მიუღებელი) განცდის განდევნა; „ცენზურის" მუდმივი კონტროლი, რომ განდევნილი განცდები კვლავ არ შეიჭრას ცნობიერებაში; „ზე-მე"-ს ზოგადი მეთვალყურეობა „მე"-სთვის მისაღებ და მიუღებელ მოქმედებათა მოწესრიგების მიზნით. ფს-კური „მექანიზმი", რ-ის საშუალებითაც ხორციელდება „მე"-ს ეს ფორმირება, ე. ი. მიუღებელი განცდებისათვის ადგილისა და ფუნქციის მიჩენა, შემდეგია: 1. **განდევნა** მიღებული განცდის გაყვანა ცნობიერებიდან ქვეცნობიერებაში; 2. **სუბლიმაცია**— ლიბიდოზურ ლტოლვათა აქტივობის გადანაცვლება სხვა, უფრო მაღალი სახის მიზანზე და ამ ძალების რეალიზება ამ ახალი მიზნის განხორციელების პროცესში; 3. **სუბსტიტუცია** — ლტოლვის თავდაპირველი ობიექტის სხვა ობიექტით შეცვლა; 4. **კომპენსაცია**— საკუთარი არასრულფასოვნების დაფარვა, მაღალღირებული პოზიციის დაპყრობისაკენ სწრაფვით; 5. **რეგრესია** — განვითარების უფრო გვიან საფეხურზე აღმოცენებული განცდის შეცვლა განვითარების ადრეული საფეხურის განცდით; 6. **რაციონალიზაცია** — ლიბიდოზური ლტოლვისათვის კოგნიტურ-რაციონალური მოტივების მიწერა; 7. **კონვერსია**— განცდის გარდაქმნა და მისი გამოვლენა სხვეულებრივი ფაქტორებით (კომპონენტებით); 8. **პროექცია** — საკუთარი განცდების სხვა სუბიექტისათვის მიწერა; 9. **გადანაცვლება**; 10. **შეკუმშვა**; (იხ). დ.]ბ-ს საშუალებით სუბიექტის „მე"]ებრძვის „იგი"-ს (იხ).]განცდების (ლტოლვების, ლიბიდოზური გრძნობების) წინააღმდეგ;]ერ განდევნის მათ ქვეცნობიერში, მერე]ებრძვის მათ მისწრაფებას კვლავ ცნობიერ განცდებად იქცნენ. ზოგჯერ ამ ბრძოლაში სუბიექტს აკლდება დაცვითი ძალები, არ ჰყოფნის ენერგია, რაც ზ. ფროიდის აზრით იწვევს სუბ-ში ნევროზულ დაავადებას.

დაცვითი რეაქციები — თავდაცვის მიზნით გამოწვეული რეაქცია. ისინი როგორც ორგანიზმის ინსტინქტური, სასიცოცხლო რეაქცია, —ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ზოგად-დამახასიათებელი თვისებაა.

დ-]რის სახეები ორგანიზმის განვითარების საფეხურისა და ინდივიდუალური თავისებურების მიხედვით სხვადასხვანაირია მაგ., გაქცევა, დამალვა, თავის მოკვდარუნება, შეფერვა (მიმიკრია), დამორჩილება, ბრძოლამ შეტევა, დაპყრობა და სხვა. **დ-]რის** ფს-კურ გამოხატულებად (რეპრეზენტანტად) შიშის განცდა ითვლება.

დებილობა (დებილი) — (ლათ. debillitas სისუსტე) — თანდაყოლილი ან ნაადრევ ბავშვობაში (დაბადებიდან 1—2 წ.) შეძენილი სუსტგონებიანობა. გონებრივი სისუსტის იოლი ფორმა. (მასზე მძიმეა იმბეცილობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო მძიმე ფორმაა იდიოტობა. (ზ-ის გონებრივი განვითარება) (ა. ბინეს მიხედვით) 9 წლის ნორმალური ბავშვის გონებრივ განვითარებაზე ზევით ვერ ადის. (დ-ის დამახასიათებელი ნიშნები: ფიზ. განვითარება–ასაკის შესაფერისი; **მეტყველება** –თავიდანვე შეფერხებას განიცდის (ენის ადგმა გვიანდება, ხშირია ენაბლუობა, ენაბორძიკი, ენაბრგვილობა), ლექსიკა ღარიბი; **ინტელექტი** – აზროვნების მაღალი აქტები (ანალიზი, სინთეზი, აბსტრ. ცნებების დაუფლება) – დაქვეითებული; გაძნელებულია ახალი მასალის ათვისება, შეზღუდულია ათვისებულის გამოყენება (აპერცეფციული პროცესები). ასათვისებლად უფრო მისაწვდომია თვალსაჩინო მასალა. ბინეს გამოკვლევით (დ-ის „გონებრივი ასაკის კოეფიციენტი" უდრის **0,75**-ს. **ნებელობის სფერო** –სუსტადაა განვითარებული, დამახ: პასიურობა, შთამაგონებლობა, უნიციატივობა.

ჩვეულებრივი, ნორმალური ტიპის სკოლაში (ლ. ბ-ვის აკადემიური წარმატება დაბალია: სასკოლო მასალას ვერ ითვისებს, ის ყოველთვის ჩამორჩენილია. ამიტომ პედაგოგიურად მიზანშეწონდლად ითვლება დ. ბ-ვის მოთავსება სპეციალურ „დამხმარე სკოლაში", სადაც სასწავლო-აღმზრდელობითი მასალა და პედ. სისტემა (დ-ის შესაძლებლობის შესატყვისია. დ. განსხვავდება დემენციისაგან, რ-იც იწყება ონტოგენური განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე, ვიდრე დ. დემენციის შემთხვევაში, გონებრივი განვითარება და საერთოდ მთელი პიროვნება თანდათან მკვეთრ დაქვეითებას, რეგრესიას (განიცდის. დ-ბისათვის კი ეს დამახ. (არ არის. დ-ის წარმომშობი მიზეზები (შეიძლება იყოს ნაყოფისთვის „ დედის მუცლად ყოფნის" ხანაში მიყენებული ტრამვა ან სხვადასხვა ტოქსიკურ ნივთიერებათა მავნე ზეგავლენა (დედის ავადა. ან თვით ნაყოფის დაავადება). აგრეთვე ადრეულ ბავშვობაში (1-2 წწ) ინფექციური ან სხვა მძიმე დაავადება, რასაც შეიძლება მოჰყვეს დიდი ჰემისფეროების სათანადო ადგილების დაზიანება.

დედუქცია– (ლათ. deductio გამოყვანა) – შემეცნების ერთ-ერთი მეთოდი, როცა ზოგადი დებულებიდან გამოგვყავს კერძო ხასიათის მსჯელობა. მაგ., დედამიწის მიზიდულობის კანონი – ზოგადი დებულებაა, ყოველი საგნის მიწაზე დავარდნა ამ დებულების საფუძველზე ხდება გასაგები – მისგან გამოიყვანება. დებულება, რომ ყოველი სამკუთხედის კუთხეთა ჯამი უდრის **180** – ზოგადი დებულებაა, თუ რამდენ გრადუსს უდრის რომელიმე კონკრეტული სამკუთხედის თითოეული კუთხე, ეს შეგვიძლია მისგან გამოვიყვანოთ. ორსავე შემთხვევაში აზრი ზოგადი დებულებიდან კერძოსაკენ მოემართება. საპირის. ინდუქცია (იხ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეზინტეგრაცია (ფრანგ. des — თავსართი, ნიშნავს უარყოფას, დაშორებას, მოკლებას, ლათ. integes — მთლიანი, სრულყოფილი — მთლიანობის დაშლა, დარღვევა) — მთლიანობაში შემავალ ფუნქციათა (ელემენტთა) შორის შინაგანი კავშირის დარღვევა, მოშლა. ტერ. დ. გამოიყენება სულიერი დაავადების აღწერისათვის.

დეზორიენტაცია (des და—ლთ oriens — აღმოსავლეთი, მიმართულება აღმოსავლეთით) — დროსა და სივრცეში თავისი თავის ეინაობის ცნობიერების მოშლა, დარღვევა; მძიმე სულიერი დაავადების ნიშანია.

დელბეფის ილუზია — ოპტიკურ-გეომეტრიული ილუზიის ერთ-ერთი სახე. აღმოაჩინა ფრანგმა ფს-გმა ი. დელბეფმა (1893) — წრე, რ-იც ჩახაზულია ოდნავ მასზე უფრო დიდ წრეში (იხ. ნახ. № 7), უფრო დიდად გვეჩვენება, ვიდრე იმავე ზომის იზოლირებულად აღქმული წრე. აღწერილი ილუზია თავისი შინაარსით ტიპური ასიმილაციური ილუზიაა, რადგან აქ ფაქტობრივად ისე ხდება, რომ ობიექტურად დიდი წრე „ზრდის", იმსგავსებს ანუ ასიმილირებს მასში ჩახაზულ ოდნავ განსხვავებულ პატარა წრეს.

ნახ. № 7 2/2
ნახ. № 7

დემენცია (ლათ. mens — გონება, ჭკუა, dementia — გონებრივი სისუსტე) - ჭკუასუსტობა, ვითარდება არა ადრეულ ბ-ვობის ასაკში (დაბადებიდან 1—2 წელი), რ-რც მაგ., ოლიგოფრენია, არამედ უფრო მოგვიანებით. მეტად მდგრადია და არაუკუქცევადი. დამახ. აზროვნების ფუნქციების მკვეთრი მოშლილობა, ცუდი მეხსიერება, წინათ შეძენილი ცოდნის დაკარგვა, ახლის ათვისების უნარის შესუსტება, ნებისყოფისა და ემოციის დაქვეითება, ინტერესის სფეროს შეზღუდვა, არაადეკვატური ქცევა და სხვა. ცნობილია დ-ის რამდენიმე სახე, მთავარი მათგანია: ნაადრეული დ. (dementia precocs) მოხუცებულობის /d. senilis/; პარანოიდული დ. /d. paranoides/; მძიმე ფორმად ითვლება ე. წ. ბავშვური დ. /d. infantilis/. დ—ის გამომწვევი მიზეზი მრავალია: თავის ტვინის დიდი ჰემოსფეროების ტრავმა, დაავადება ენცეფალიტით, შიზოფრენიით, ეპილეფსიით და სხვა. ყოველი დ. ატარებს თავის გამომწვეელ მიზეზის ნიშნებს. მაგ., შიზოფრენიით გამოწვეულ დ—ს ახასიათებს შიზოფრენიის ქარაქტეროლოგიური ნიშნები, ეპილეფსიით გამოწვეულს — ეპილეფსიის ნიშნები და ა. შ. დ—ით დაავადებული ბ-ვის სწავლა-აღზრდა ნორმალური სკოლის პირობებში არაა რეკომენდებული, მათთვის მიზანშეწონილად ითვლება სპეციალური სასწავლო—საალმზრდელო დაწესებულება.

დეპერსონალიზაცია /ლათ. de დაქვეითება, დაშორება, მოსპობა, persona — პიროვნება/ — თვითშემეცნების აშლილობა. დარღვეულია პიროვ-

ნების კონსტიტუციური ნიშნების „მე"-ს თავის თავთან იდენტობის და ერთიანობის აღქმა. ად-ნი თავის თავს თავისად ვერ ცნობს, თავის აზრებს და გრძნობებს თავისად არ მიიჩნევს. თავის „მე"-ს სხვას მიაწერს. დ. თან სდევს სხვადასხვა ფს-კურ დაავადებას – შიზოფრენიას, პროგრესულ დამბლას და სხვა.

დეპრესია /ლათ. depressio – დათრგუნვა, დაჩაგვრა/–დაწეული სულიერი მდგომარეობა, ად-ნი მოდუნებულია, არ ამჟღავნებს სასიცოცხლო ძალებს, არაფერი აინტერესებს, არ იჩენს ინიციატივას, ყველა ფს-კურ და ფიზ. ძალას ემჩნევა შეკავების ტენდენცია. დ. შეიძლება სხვადასხვა ხარისხით გამოვლინდეს. უფრო იოლი და სწრაფმავალი ფორმაა სიტუაციური მიზეზით გამოწვეული დ. დ-ის განვითარებას ხელს უწყობს პიროვნების პათოლ- კონსტიტუციური მიდრეკილებები. როცა სიტუაციურ მომენტს დაერთვის პიროვნულ-პათოლ. ფაქტორი, მაშინ დ. მძიმე ფორმის დაავადებაში გადადის. ავადმყოფს სიცოცხლე ტანჯვად და ტვირთად ეჩვენება, პიროვნება მთლიანად იცვლება, ავლენს დეპერსონალიზაციის /იხ./ ნიშნებს, ყველაფერში თავის თავს ადანაშაულებს, თავის თავზე ცუდი აზრისაა, უნდა თავი მოიკლას და სხვა. დ-ის ასეთი მძიმე ფორმა აქტიურ მკურნალობას საჭიროებს.

დეპრივაცია /ინგლ. deprivation – დაკარგვა, წართმევა/ – თავისებური უარყოფითი სულიერი განწყობილება. წარმოიშობა ხანგრძლივი სოციალური იზოლაციის, საზოგადოებისაგან მოწყვეტის პირობებში, როდესაც ადამიანს წართმეული აქვს ის, რაც უნდა და ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას /მაგ., ხანგრძლივი ყოფნა საავადმყოფოში, ციხეში, საბავშვო სახლში/. განსაკუთრებით შეიმჩნევა ბ-ვებში, რომელიც მოწყვეტილნი არიან მშობლიურ მზრუნველობას, აკლიათ დედობრივი სიყვარული.

დერეალიზაცია/ ლათ. de – დაქვეითება და **realis** – ნამდვილი/–ობიექტური სამყაროს რეალობის განცდის მოშლილობა. სუბ-ს გარემო არა-რეალურად, შეცვლილად, უცხოდ და მისდამი მტრულად განწყობილად ეჩვენება. დარღვეულია საგნების სწორი აღქმა, დარღვეულია დროის აღქმაც. ავად-ს ეჩვენება, რომ დრო შეჩერდა, ან, რომ ის ძალიან ჩქარა გარბის. დ-ის სიმპტომებად შეიძლება ჩაითვალოს „უკვე ნახულის ილუზია" /**deja vu**/ და „არასოდეს არ ნახულის ილუზია" / **illusion du kjamais vu** /.

დ. თან სდევს სხვადასხვა ფს-კურ დაავადებას–შიზოფრენიას, ციკლოფრენიას და სხვა. ხშირად გვხვდება დეპერსონალიზაციასთან ერთად /იხ. დეპერსონალიზაცია/.

დესკრიფციული /აღწერითი/ ცნება /ლათ. **descriptio** – აღწერა / –აღწერას /იხ. აღწერა/ გზით დადგენილი /განმარტებული/ ცნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ამოცანას შეადგენს ასახოს მოვლენა /საგანი, განცდა/ ისე, რ–რც არის ის მის ნამდვილ, ბუნებრივ არსებობაში; გამოკვეთილად წარმოადგინოს მისი არსებითი მხარეები, ნიშნები, დაადგინოს მისი ხატი. ასეთმა ცნებამ უნდა გაგვაგებინოს , თუ როგორია შესასწავლი ობიექტი, რას წარმოადგენს ის. დ. ცნებით მუშაობს აღწერითი ფსიქოლოგია. საპირ. ახსნითი ცნება.

დესკრიფციული ფსიქოლოგია – იხ. აღწერითი ფს–გია.

დეტერმინიზმი /ლათ. determinatio – განსაზღვრულობა/ – ფილოს, მოძღვრება მოვლენათა მიზეზობრივი განსაზღვრულობის შესახებ. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ად–ნის ნებისყოფის კაუზალურ განსაზღვრულობას. დ–ს მიხედვით ნებელობის მოქმედება, ცნობიერად თუ არაცნობიერად შინაგანი თუ გარეგანი პირობების ზეგავლენით ყოველთვის განსაზღვრულია. ნებისყოფის მოქმედება თავისუფალი არ არის, საწინ. ინდეტერმინიზმი /იხ/.

დეტერმინაციის ტენდენცია –ტერ. დ. ტ. შემოტანილია ფს–გიაში ნ. ახის მიერ. აღნიშნავს სუბ-ის მიერ დასმული ამოცანის ანუ მიზნის განმსაზღვრელ მნიშვ. აზროვნებისა და ნებელობის პროცესთა მიმდინარეობაში. მაგ., როცა სუბ-ს რაიმე ამოცანა უჩნდება და აზროვნებას იწყებს, მას თავში ყველა ის წარმოდგენა კი არ მოსდის, რ–იც გამოცდილებით შეუძენია, არამედ მხოლოდ ისეთი, რ–იც დასმული პრობლემის /ამოცანის/ გადაწყვეტისთვის არის საჭირო. აზროვნებისთვის ამოცანის ასეთ მაორგანიზებელ როლს ნ. ახმა დ. ტ. უწოდა .

დ. ტ. უპირ. აზროვნების ასოციაციური პრინციპით ახსნას, რაც სავსებით მექანიკური პროცესია და ამოცანის, პრობლემის გადაწყვეტას არ გულისხმობს.

დ. ტ. ცნების ნაკლს ხედავენ ტელეოლოგიურ ხასიათში, რომ თითქოს აზროვნების პროცესი და, მაშასადამე, საერთოდ ად-ნის აქტიურობა მხოლოდ მიზნითაა განსაზღვრული, რომ იგი ტელეოლოგიური ახსნაა და ამიტომ მეცნ. მიუღებელია. მაგრამ აზროვნების პროცესის მოწესრიგებული ხასიათი თავისთავად უეჭველი ფაქტია, რ–იც ყოველგვარი ტელეოლოგიზმის გარეშე გასაგები და მეცნ. მისაღები ხდება. უზნაძის განწყობის ცნების საფუძველზე.

დეფექტი – /ლათ. dĕfectus – ნაკლ/ –თანდაყოლილი თუ შეძენილი ფს–კური ან ფიზ. ნაკლი, დანაკლისი, რომელიმე ფუნქციის ამოვარდნა, დაკარგვა. მაგ., ყრუ–მუნჯობა, უსინათლობა, ინტელექტის დაქვეითება; დებილობა ან სხვა გონებრივი უკმარობა. დ. განსხვავდება ჩვეულებრივი ავად-საგან. ავად–ბა შექცევადი პროცესია, რ–ისაგანაც ად–ნი შეიძლება განიკურნოს. დ. დამთავრებული შეუქცევადი მოვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაა, ამოვარდნილი ფუნქციის აღდგენა შეუძლებელია.

დეფექტოლოგია / ლათ. defectum და ბერძ. logos — მოძღვრება/— მეცნ. რ—იც შეისწავლის ბ—ვის ფიზ. და ფს—კურ ნაკლს /ანომალიას/. ასეთია მაგ., ყრუ—მუნჯობა, უსინათლობა, ენაბლუობა, ოლიგოფრენია და სხვა/. დ. იკვლევს დეფექტის მქონე ბ—ვის ფსიქო—ფიზიკური განვითარების თავისებურებებს და ამ მონაცემების საფუძველზე აგებს დეფექტურ ბ—ვთა სწავლა—აღზრდის პედ—ს. დეფექტის სპეციფიკის მიხედვით გამოიყოფა დ—ის შემდეგი დარგები: სურდოპედაგოგიკა /ყრუ და სმენასუსტი ბ—ვების პედაგოგიკა/; ტიფლოპედაგოგიკა /ბრმა და სუსტი მხედველობის მქონე ბ—ვთა პედაგ./; ლოგოპედია /მეტყველების ნაკლის მქონე ბ—ვის პედაგ. /; ოლიგოფრენთა პედაგ. /გონებასუსტ ბ—ვთა პედაგ./.

დეფინიცია /ლათ. definitio — განსაზღვრება/ — იგულისხმება ცნების განსაზღვრება. სწორი განსაზღვრება მოითხოვს: განსასაზღვრელი ცნების უახლოესი გვაროვნებითი ცნებისა /genus proximum — ისა/ და სპეციფიკური ნიშნის /differentia specifica/-ს გამონახვას.

დიათეზური პროპორცია /ბერძ. diathesis — მიდრეკილება ლათ. proportio — თანაფარდობა, თანაზომიერება/. ე. კრეჩმერის მიხედვით: სულიერი განწყობილების ორი საწინააღმდეგოდ დაპირისპირებული პოლუსის — აწეული სულიერი მდგომარეობის და დეპრესიული მდგომარეობის — ურთიერთშერევა გარკვეული პროპორციით. ამ პოლუსთა ასეთი პროპორციით ურთიერთშერევა განსაზღვრავს ციკლოთიმიკურისა და ციკლოიდური ტემპერამენტის ტიპებს. განსხვავდება ფსიქესთეზური პროპორციისაგან /იხ./.

დიდაქტიკა— ბერძ. didaktikos — დამრიგებლობითი: პედ—ის დარგი, შეისწავლის სასკოლო სწავლებისა და განათლების საკითხებს, თუ რა უნდა ვასწავლოთ და რა მეთოდებით უნდა ვასწავლოთ, ემყარება პედური ფს—გიის და ბ—ვის ფს—გიის მონაცემებს.

დიდი გულყრა /ფრანგ. grand mal/ ეპილეფსიური დაავადების ერთ-ერთი სახე /იხ. ეპილეფსია/.

დიზართრია — /ბერძ. dys — წინსართი, აღნიშნავს დარღვევას, მოშლას და ბერძ. artheos — ვანაწევრებ — ენაბლუობა, ანათრიის ოლი ფორმა/ იხ. ანართრია/.

დინამიკური სტერეოტიპი — პირობითი ნერვული კავშირების ანუ პირობითი რეფლექსების რიგის განმტკიცებული სისტემა, რაც განსაზღვრავს ორგანიზმის რეაქციების ინტენსიურობასა და თანამიმდევრობას /ი. პავლოვი/. დ. ს—ის შემუშავება ნიშნავს რ—რც მასში შემავალი ცალკეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობითი რეფლექსის განმტკიცებას, ისე ამ რეფლექსთა გაერთიანებას ერთ მთლიან ფუნქციურ სისტემაში, მაგ., როცა ცხოველს შემუშავებული აქვს პირობითი რეფლექსების გარკვეული რიგი, რ–იც მუდამ ერთი და იმავე თანამიმდევრობით ჩნდება, მაშინ ერთ-ერთი მისი წევრის აქტუალიზაცია მთელი სისტემის აღდგენას იწვევს.

დინამიკური უურადღება –იხ. ყურადღება.

დინამიკურობა და სტატიკურობა განწყობისა –იხ. განწყობის ინდივიდუალურ-დიფერენციული ხასიათი.

დინამომეტრი – კუნთების ძალის გაზომვის აპარატი, გვიჩვენებს კუნთის დაძაბვის სიძლიერეს სიმძიმის ერთეულებში /კილოგრამებში/.

დისკოლია – /ბერძ. dyscolia – ცუდ გუნებაზე ყოფნა/ – ცუდი, უსიამოვნო სულიერი განწყობილება, უარყოფითი განცდები, ამღვრეული გუნება. ი. ბანზენის ქარაქტეროლოგია ტკივილის ამტანობის თვალსაზრისით განასხვავებს ადამიანთა ორ ტიპს: „დისკოლურს" და „ევკოლურს". დისკოლური ტიპი, წინააღმდეგ ევკოლურისა, ვერ უძლებს მცირე ტკივილსაც კი /ფიზ. თუ სულიერს/. ევკოლური, პირიქით, გამძლეა ტკივილისადმი /იხ. | პოზიტიკ/.

დისკურსიული აზროვნება /ლათ. discursus – მსჯელობა/– ბიჯითი აზროვნება /შალვა ნუცუბიძე/, შემეცნების პროცესი, გონებრივი ოპერაციების /მსჯელობა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, აბსტრაქცია, სინთეზი/ საფუძველზე. დ.ა. მოითხოვს აზრთა მკაცრი ლოგიკური თანამიმდევრობის დაცვას. საპირ. ინტუიცია /იხ/.

დისპოზიცია – /ლათ. dispositio – განლაგება/ – ფს-გიაში |უპირ. უშუალო გამოცდილებაში მოცემულ ფსიქიკურ ფენომენებს და აქტებს. მაგ., წარმოდგენას, მეხსიერებით აღდგენილ რ-მე|შინაარსს, რ–იც ახლა მე მაქვს, გრძნობა ემოციას, რ–თაც ამჟამად განვიცდი და ყველაფერი ეს დროში მიმდინარე ფს–კური მოვლენებია. დ. კი, არც გამოცდილებაშია უშუალოდ მოცემული და არც დინამიკურ–აკუტური განცდაა. ის ფენომენებისა| და აქტების საფუძველია, უნარია, რ–იც მათ რეალიზაციას შესაძლებელს ხდის. მაგ., ადამიანს ყოველთვის|არ ახსოვს წარსული ფაქტები, მაგრამ მას ყოველ მომენტში შეუძლია ისინი გაიხსენოს. **გახსენების** ეს **შესაძლებლობა**, ეს უნარი,|მიდრეკილება, ტენდენცია, რ–იც ქრონიკული ხასიათისაა – მეხსიერების|დ-დ ითვლება. იგივე ითქმის აზროვნების, ნებელობის, ან გრძნობის დ–ის შესახებ. ყოველი აქტუალობა გულისხმობს პოტენციალობას /ვ. შტერნი/. დ. პოტენციურად მოცემული შესაძლებლობაა, ქრონიკული ტენდენციაა. დ. ფორმალურ–ჰიპოთეზური ცნებაა ფს–კურ მოვლენათა ახსნის მიზნით შემოტანილი ფს–გიაში. ამ აზრით იგი ექსპლიკაციური /ახსნითი/ ცნებაა ფს–გიაში. დ-ის ცნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ გამოიყენება განსაკუთრებით პერსონალისტიკაში /პიროვნების ფს-გიაში/. დღეს ლაპარაკია მთლიან-პიროვნულ ხასიათზე, თვისებებზე, მზაობებზე მოწოდებაზე. ყველა ესენი ქრონიკული ან ნახევრად ქრონიკული |დ-ებია.

დისტანციური რეცეპტორი — /ლათ. distantia — შანქილი/ — იხ. რეცეპტორი.

დისტრიბუციული ყურადღება— / ლათ. distribūtio — განაწილება, დაყოფა/ —იხ. ყურადღება.

დისფორია — /ბერძ. dysphoreo — მწუხარედ ყოფნა/ — დაწეული სულიერი მდგომარეობა: ადამიანი|ამღვრეულია, ყველაფერი აღიზიანებს, აგრესიულადაა განწყობილი. ხშირია ეპილეფსიის შემთხვევაში, დაკავშირებულია ც. ნ. ს. | დაავადებებთან. საწინ. ევფორია /იხ./.

დიფერენციული ფსიქოლოგია —/ლათ. differentia — სხვაობა/ ფს-გიის ერთ-ერთი დარგი. შეისწავლის: ადნის ფს-კის არა ზოგად თვისებებს, კანონებსა და წესებს, რაც ზოგადი ფს-გიის საგანია, არამედ იმ განსხვავებებს ად-ნის ფს-კაში, რ-ებიც სუბ-ის ინდივიდუალურ თვისებებს და ნიშნებს შეადგენენ. დ. ფ-ის მამამთავრად გერმანელი ფს-ლოგი ვ. შტერნი /1900/ ითვლება. მან ჩამოაყალიბა ამ დისციპლინის ძირითადი პრობლემები: 1. ფსიქოგრაფია — რა და რა თვისებები აქვს ამა თუ იმ განსაზღვრულ პიროვნებას; 2. ვარიაცია — ერთი და იმავე ნიშნის ცვალებადობა პიროვნებათა მიხედვით; 3. კორელაცია —რა და რა თვისებებია ურთიერთთან დაკავშირებული ერთსა და იმავე პიროვნებაში; 3. კომპარაცია — რა და რა ფს-კური ნიშნებით განსხვავდება ურთიერთისაგან ორი პიროვნება.

დიქრომატოფსია — /ბერძ. dichroos — ორფერი/-ნაწილობრივი სიბრმავე ფერებისადმი. იხ. ფერთა სიბრმავე.

დომინანტის თეორია — /ლათ. dominans — გაბატონებული/ — ფიზიოთეორია შემუშავებული და შემოღებული რუს ფიზიოლოგ ა. უხტომსკის მიერ. დ. თ-ის მიხედვით ც. ნ. ს-ზე მრავალი გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად, თავის ტვინში ერთდროულად აგზნებულ კერათა შორის ერთი, ყველაზე უფრო ინტენსიური გაღიზიანების კერა იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას — დომინანტობს, ის თავისკენ იზიდავს სხვა კერებში აღმოცენებულ უფრო სუსტ აგზნებას და მათ ხარჯზე თვითონ ძლიერდება. ი. პავლოვმა დ. თ. საფუძვლად დაუდო პირობითი რეფლექსების ახსნას.

დომინანტური ნიშანი — იხ. მენდელის კანონები.

დრესირება — / ფრანგ. შეჩვევა / — იხ. წვრთნა.

დროის აღქმა — მოვლენათა თანამიმდევრობის განცდა აღქმაში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემული საგნების სუბიექტზე ზემოქმედების ხანგრძლივობაზეა დაფუძნებული. ცნობილია, რომ, რ-კრც შინაგანი, ისე გარეგანი სამყაროს მოვლენათა ზემოქმედება სუბ-ზე გარკვეული ხანიერობით /ხანგრძლივობით/ ხასიათდება: აღმქმელმა ყოველთვის იცის, რომ საგანი ეძლევა მას აი ახლა, დროის ამ მონაკვეთში, რ-აც აწმყო ეწოდება. აღქმა ყოველთვის აწმყოში მიმდინარეობს. სწორედ ეს აწმყო, აღქმას წარმოდგენისაგან რომ განასხვავებს. აწმყოს, რ-რც განცდას, გარკვეული ხანგრძლივობა ახასიათებს. ფს-გიურად აწმყო დროის ის მონაკვეთია, რ-შიც საგანი ან მოვლენა ჩვენში ერთ მთლიან განცდად აისახება. მაგ., მესმის საათის რეკვა, რ-იც არ დამითვლია, მაგრამ ზუსტად ვიცი, თუ რამდენჯერ დარეკა, რადგან მაქვს მისი მთლიანი აღქმა. აწმყო სწორედ დროის ის მონაკვეთია, რ-იც საჭიროა, რომ რამდენიმე გაღიზიანება /ამ შემთხვევაში რამდენიმე დარეკვა/ ერთ მთლიან განცდაში აისახოს.

განასხვავებენ უმოკლეს აწმყოსა და მაქსიმალურ აწმყოს. **უმოკლესი აწმყო** – „ფსიქიკური პრეზენტობის დრო" /ვ. შტერნი/ –ანუ ობიექტური დროის ის მინიმალური ხანგრძლივობა, რომელიც აუცილებელია, რომ ორი რამდენიმე გამღიზიანებლის აღქმა ერთ მთლიან განცდაში აისახოს. **მაქსიმალური აწმყო** – ობიექტური დროის ის ხანგრძლივობა, რომელშიც თანაბარი ინტენსივობით და ინტერვალით მიწოდებულ გაღიზიანებებს /მაგ., მეტრონომის რხევას/ შეუძლია ერთ მთლიან აღქმად გაერთიანდნენ, მაგრამ ამის იქით, გაღიზიანების მომატებისას, მათი მთლიანი აღქმა უკვე არ შეიძლება.

აწმყოს გარდა დროის აღქმაში დასტურდება აგრეთვე **წარსულისა და მომავლის** განცდა. აწმყო მდინარეობაა, მოძრაობაა. ის, ერთი მხრივ, წარსულს ემიჯნება, მეორე მხრივ, – მომავალს. თვით აწმყო ყოველთვის გარდამავალ მდგომარეობაშია. ამიტომ განმტკიცებულია აზრი, რომ მათემატიკურ აწმყოს, ლოგიკური თვალსაზ. ხანგრძლივობა არა აქვს. ფს-გიურად კი, რ-რც ზემოთ დავინახეთ, აწმყოს ხანგრძლივობა აქვს. ამიტომ ფს-გიური აწმყო მათემატიკურ აწმყოს არ უდრის.

დროის განცდის განსაზღვრაში ყველა მოდალობები ღებულობს მონაწილეობას –სმენის, მხედველობის, შეხების, კინესთეტური და სხვა. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რიტმის ზემოქმედებას, რ-იც შემოდის ჩვენში, რ-რც აკუსტიკურის, ისე – მხედველობის გზით და რ-აც დროის განცდის ფორმირებაში დიდი წვლილი შეაქვს.

ხანიერობის შეფასება სუბ-ურობით ხასიათდება, მაგ., ობიექტური დროის ერთი და იგივე მონაკვეთი მოლოდინის შემთხვევაში მეტად გრძლად გვეჩვენება /„დრო არ თავდება"/, ხოლო რაიმე საინტერესო საქმის კეთების პროცესში – ძალიან მოკლედ /„დრო გარბის"/. მოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინის შემთხვევაში დრო ერთფეროვანი განცდითაა დაკავებული, საინ-ტერესო საქმის კეთებისას მრავალფეროვანი განცდით. უკანასკნელ შემთხვევას ფს-გიაში „სავსე დროის კანონს" უწოდებენ. ორივე აღ-წერილ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. „დროის განცდებით შეესე-ბადობის კანონთან".

დროის განცდის სუბ-ურობაზე ემოციური ფაქტორი დიდ გავლე-ნას ახდენს სუბ-ის მიერ სასიამოვნო ან უსიამოვნო შინაარსის განცდის სახით, ემოციური ფაქტორის ზეგავლენით გამოწვეული დროის შეფასების სუბ-ურობას „დროის აღქმის ემოციით განსაზღვრულობის კანონს" უწოდებენ. არსებობს დროის აღქმის წარმოშობის ორი თეორია: ნა-ტივიზმი /იხ/

დრომომანია /ბერძ./ — დაუძლეველი ლტოლვა მოგზაურობისადმი. სუბ. ტოვებს ყველაფერს და იწყებს უმიზნო ხეტიალს, იცვლის ადგილ-სამყოფელს, გადადის ქალაქიდან ქალაქში; ასე გრძელდება ერთხანს /დღეები ან კვირა/, შემდეგ ის ძალავ უბრუნდება ჩვეულებრივ საქმი-ანობას და აგრძელებს ნორმალურ ცხოვრებას. სინონიმია პოროომანია. /იხ./

დუალიზმი /ლათ. dualis — ორნაირი/ — მოძღვრება იდეალისტურ ფილოს-ში, რ-იც სამყაროს ორი საწყისის გამოვლენად თვლის, მატერია-ლურისა და იდეალურისა /ობიერებისა და ცნობიერებისა/. ფს-გიაში - ფს-კურისა და ფიზ-ს /ფიზიოლ-ს/ ურთიერთობის საკითხში, დ. აღია-რებს ფს-კურ მოვლენათა მიმდინარეობას დამოუკიდებლად ფიზ.-ფიზიოლ. პროცესებისაგან.

დღის სიზმარი /გერმ. Tagtraum/ — ფანტაზიის თავისებური ფორ-მა: დღისით, ღვიძილის დროს, დაწეული სიფხიზლის პირობებში, სუბ. ეთი-შება სინამდვილეს და იწყებს თავის ცნობიერებაში თვალსაჩინო-ხატოვა-ნი სურათების აგებას—ფანტაზირებას. ის ამას აკეთებს არა დასვენების, ან ძილის წინაპერიოდში, არამედ სისტემატურად, თითქმის მთელი დღე, რ-რც დასვენების დროს, ისე — მუშაობის პროცესში. ფანტაზიის მიმდი-ნარეობა სიზმრის მსგავსია, მის შინაარსს შეადგენს ის, რაც სუბ-ს ყვე-ლაფერზე უფრო აწუხებს: სასურველი, მაგრამ მიუღწეველი მიზანი, არა-რეალიზებული სურვილები და მოთხოვნილებები. სუბ. ოცნებაში აგებს მთელ სცენებს, ეპიზოდებს, მოგონილი ამბების სერიებს. დ. ს-ის მსგავ-სი ფანტაზირებისადმი მიდრეკილება, გამონაკლისის სახით, ზოგჯერ, შე-იძლება ყოველ ნორმალურ ადამიანსაც გაუჩნდეს, მაგრამ სისტემატური სახით იგი დამახ. „შიგნით მიმართული", აუტისტური ტიპის ინტროვე-რტული ად-ნისთვის; დამახ. აგრეთვე ახალგაზრდობის ასაკისთვის. დ. ს-ს კომპენსატორულ ფუნქციას მიაწერენ, ხოლო ფსიქოთერაპევტს ის საშუალებას აძლევს, ფანტაზიის შინაარსის ანალიზის საფუძველზე მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგნოს დაავადების მიზეზს /ზ. ფროიდი/ იხ. ოცნება.

დღიურის წარმოების მეთოდი – ბ-ვის ფს-კური განვითარების კვლევის ძირითადი მეთოდი, განსაკუთრებით ადრიანი ბ-ვობის პერიოდში /დაბადებიდან 1–2 წელ/: აწარმოებენ ყოველდღიურ სისტემატურ დაკვირვებას ბ-ვზე. ფოტოგრაფიული სიზუსტით აღრიცხავენ მის ცხოვრების მოვლენებს ყოველმხრივ, მის ქცევაში მომხდარ ყოველ ცვლილებას. ამ მეთოდით მოპოვებული მასალის დამუშავება ბ-ვის განვითარების სრულ სურათს იძლევა.

ე

ეგზალტაცია /ლათ exaltátio/ – ამაღლებული, აწეული სულიერი მდგომარეობა, დიდი ემოციური აგზნებულობა, უკიდურესი აღფრთოვანება, ექსტაზის მდგომარეობა. /იხ. ექსტაზი/.

ეგზოგენური /ბერძ. exō – გარეშე, გარეთ და genos – გვარი, წარმოშობა/ – ცოცხალ ორგანიზმში, გარე პირობებით ან ფაქტორებით წარმოქმნილი რაიმე მოვლენა. | საწინ. ენდოგენური.

ეგო /ლათ. ego – მე/-საკუთარი პიროვნება, ტერმინი. გავრცელებულია განსაკ. ამერ. სოც. ფს-გიაში.

ეგოიზმი /ფრანგ. égoisme, – ლათ. ego-დან/ – ფს-გიაში – ადამიანის ხასიათის თვისება, რ-იც თავისი თავისკენ მიმართული სიყვარულის გრძნობისა და საკუთარი სარგებლიანობის საფუძველზეა აღმოცენებული. აშკარად გამოვლენილი ეგოიზმის თვისების მქონე ადამიანს ეგოისტი ეწოდება. მას ახასიათებს თავისი თავის გადამეტებული პატივისცემა, პატივმოყვარეობა, მის ზრუნვის საგანს ყოველთვის და პირველ რიგში, საკუთარი პიროვნების კეთილდღეობა შეადგენს. იგი ცდილობს უპირველესად თავისი მოთხოვნილებები და სურვილები დაკმაყოფილოს, ყველაფერში უპირატესობას საკუთარ პიროვნებას აკუთვნებს, წინა პლანზე თავის ინდივიდუალობას აყენებს; სხვა ადამიანი, საზოგადოება, ერი, სახელმწიფო არ წარმოადგენენ მისთვის საკუთარ ინდივიდუალობაზე მაღლა მდგომ ღირებულებებს. მათ ღირებულება აქვთ იმდენად, რამდენადაც ისინი მისი პირადი ზრახვების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებებია; მათთვის მსხვერპლის გაღების მიზნით ის ნაბიჯს არ გადადგამს. ეგოისტი ადამიანის რწმენას გამოხატავს ქართული ანდაზა: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“. საპირ. ცნებაა აღტრუიზმი /იხ./.

ეგოცენტრიზმი /ლათ. Ego და centrum – ცენტრი/ – საკუთარი პიროვნების დაყენება სამყაროს ცენტრში. ეგოცენტრული პიროვნება თავის მსჯელობებში და შეხედულებებში, გარემოსთან დამოკიდებულების საკითხებში თავისი საკუთარი მოთხოვნილებიდან და ინტერესებიდან გამოდის, ეგოისტი სუბიექტი ყოველთვის ეგოცენტრულია, მაგრამ

ეგოცენტრიზმი ყოველთვის არ გულისხმობს ეგოიზმს, იგი უფრო მსოფლმხედველობრივი ცნებაა.

ბ-ვის ფს-გიაში: კონცეფცია ბ-ვის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის შესახებ ეკუთვნის ფრანგ. ფს-გს ჟან პიაჟეს /დ. 1896 /. ამ კონცეფციის თანახმად, ბ-ვის აზროვნება 3–7 წლამდე ეგოცენტრულია, მისთვის უცხოა სხვის თვალსაზრისზე დგომა, მოვლენებს და საგნებს იგი მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისით განიხილავს და წვდება. მაგ., პიაჟეს თქმით: „ბ-ვმა იცის, რომ მას ძმები ჰყავს, მაგრამ ჰყავთ თუ არა მის ძმებსაც ძმა, ამას ვერ გეტყვით". ე. ი. აზროვნებაში მას სხვის თვალსაზრისზე დგომა არ შეუძლია. პიაჟეს აზრით, ბ-ვის ეგოცენტრული მსოფლმხედველობისათვის და აზროვნებისათვის დამახასიათებელია: სინკრეტიზმი, პარტიციპაცია, ნაცვლად ნამდვილი კაუზალობისა, ანიმიზმი და არტიფიციალიზმი /იხ/.

ეგოცენტრული მეტყველება– მეტყველების თავისებური ფორმა, დამახასიათებელია ბ-ვის მეტყველებისათვის 7 წლის ასაკამდე. ცნობილია, რომ ბ-ვის მეტყველება, რ-რც მეტყველება საერთოდ, სოციალური კონტაქტის დამყარებას ემსახურება. მაგრამ შემჩნეულია, რომ ბ-ვი არა მარტო მაშინ მეტყველებს, როცა სხვას უზიარებს თავის აზრს, არამედ მაშინაც, როდესაც მარტოა: თავის თავს ელაპარაკება. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს თამაშის პროცესში, თითქოს აქ ბ-ვის მეტყველება მისი მოქმედების „აკომპანემენტს" წარმოადგენს. ამ ფაქტს პირველად ჟან პიაჟემ მიაქცია ყურადღება და მას „ეგოცენტრული მეტყველება" უწოდა.

ევგენიკა – /ბერძ. eugeneia – კეთილშობილური წარმოშობა/ – მოძღვრება ად-ნის მემკვიდრეობის გაუმჯობესების შესახებ საგანგებო ბიოლოგიური საშუალებებით, სახელდობრ: მემკვიდრეობის ჰიგიენით და ნაკლოვანი /ანომალური/ შთამომავლობის თავიდან აცილებით.

ევკოლია /ბერძ. eukolia – კმაყოფილად ყოფნა/ – მხიარულ გუნებაზე, კარგ ხასიათზე ყოფნა, სასიამოვნო განცდების ჭონა.

ი. ბანზენის მიხედვით /1867/ ე-ლური ტიპის ადამიანი ტკივილის ამტანია, უძლებს დიდ ტკივილსაც კი, საწინ. დისკოლური ტიპი კი ტკივილს ვერ იტანს /იხ. დისკოლია/.

ევოლუცია /ლათ. evolutio – გაშლა, განვითარება/ –ფს-გიაში: ორგანიზმის ფსიქო-ფიზიკური განვითარება /იხ. განვითარება/.

ევფორია /ბერძ. euphoria. კარგ გუნებაზე ყოფნა/– აწეული ემოციური მდგომარეობა, ეარბობს კარგი გუნება-განწყობა: ად-ნი კმაყოფილია, მხიარული, ბევრს ლაპარაკობს, უზრუნველია. ახას. უმოქმედობა, პასიურობა. ე დაკავშირებულია თავის ტვინის ორგანულ დაზიანებასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

/ტვინის ტრავმა, არტერიოსკლეროზი, პროგრესული დამბლა, ტვინის სიმსივნე/.

ეთნიკური ფსიქოლოგია — იხ. ხალხთა ფსიქოლოგია.

ეთნოგრაფია /ბერძ. ethnos — ხალხი და graphō აღვწერ/ — მეცნიერება, რ-იც აღწერს ხალხთა განაწილებას დედამიწაზე, შეისწავლის მათ ცხოვრებას, სულიერ და ნივთიერ კულტურას.

ეთოლოგია /ბერძ. — ethos ჩვეულება, logos — მოძღვრება/ — 1. მოძღვრება ად-ნთა ჩვეულებების შესახებ. 2. მოძღვრება ად-ნის|სასიხათის თავისებურებების შესახებ /x. სტ. მილი/. 3.|ე. დღეს ეწოდება ცხოველთა ფს-გიას /ნ. ტინბერგენი, კ. ლორენცი/. იხ. ცხოველთა ფს-გია.

ეიდეტური ხატი /ბერძ. eidos — ხატი, სახე/ — წარმოდგენის თავისებური სახე. არიან ად-ნები, რ-თაც რაიმე საგნის ან სიტუაციის მოგონება ჩვეულებრივ წარმოდგენას კი არ აღუძრავს, არამედ იწვევს მათში ამ საგნის კვლავ აღქმისებურ ხილვას. ხ.ატს, ვითომ საგანი მათ წინაშე კვლავ რეალურად არსებობდეს.|ე. ხ-ს შინაარსის დასაზუსტებლად უნდა გამოვყოთ იგი მოსაზღვრე სამი ფენომენიდან: აღქმიდან, წარმოდგენიდან და მხედველობის თანამიმდევრული კვალიდან. 1.|ე. ხ-ს აღქმის სიცხადე ახასიათებს; სუბ. ხედავს სივრცეში თავის მოგონების საგანს ისე, როგორც ეს აღქმის შემთხვევაში ხდება და ეს უშუალო ხილვა ანიჭებს|მიღებულ ხატს აღქმისებურ გამოკვეთილობას და სიცხადეს. მაგრამ **აღქმა ის მაინც არ არის.** რადგან აღქმის ძირითად|ნიშანს — საგნის **ამჟამად** მოცემულობის განცდას აქ ადგილი არა აქვს, და ეს ფაქტი თვით სუბიექტის ცნობიერებაშიც არის ასახული: სუბ-მა იცის, რომ საგანი ნამდვილად მის წინაშე არ არის, თუმცა ხედავს მას. 2.|ე. ხ., ისე რ-რც წარმოდგენა, თუმცა კი მოგონებითაა გამოწვეული, მაგრამ **იგი არც წარ-|მოდგენაა,** რადგან იგი საგნის რეალური ხილვის სიცხადით განიცდება. საგნის ხატში სუბ. ამჩნევს ისეთ უმნიშვნელო დეტალებსაც კი, რ-თა მოტანა|წარმოდგენას არ შეუძლია,|მათი დადასტურება მხოლოდ უშუალო ხილვის პირობებში შეიძლება. წარმოდგენა კი, ჩვეულებრივ, ნანახის და განცდილის გაფერმკრთალებული და დაპატარავებული სახეა. 3. |ე. ხ. გვაგონებს მხედველობის თანამიმდევარ კვალს: ისიც, როგორც თანამიმდევარი კვალი, საგნის აღქმის შემდეგ კვლავ ჩნდება სივრცეში მხედველობის ველში, მაგრამ|ე. ხ. **მხედველობის კვალისაგან მაინც განსხვავდება:** ა/ იგი არასოდეს არ გადადის შემავსებელ ფერში, იგი ყოველთვის იმავე ფერისაა, რა ფერისაც იყო თავიდან აღქმის დროს; ბ/ თანამიმდევრული კვალი ემერტის კანონს ემორჩილება, ე. ი. კვალის სიდიდე პირდაპირპროპორციულია საპროექციო მანძილთან /იხ. ემერტის კანონი/. |ე. ხ. კი საპროექციო მანძილის გავლენას არ განიცდის. ამრიგად,|ე. ხ. არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღქმაა, არც წარმოდგენაა და არც მხედველობითი კვალი, თუმცა ყველა მათთან საერთო აქვს: იგი მათთან ახლო მდგომი „მეხსიერებისკენ" გარდამავალი ფენომენია.

რ-რც მეხსიერების მოვლენა, ე. ბ. განვითარებულ, ჩვეულებრივ მეხსიერებაზე უფრო დაბალ, პრიმიტიულ ფორმად ითვლება.

ე. ბ-ტის ნებისმიერი გამოწვევა არ შეიძლება. ზრდადამთავრებულ ადამიანებში იგი გამონაკლისის სახით გვხვდება. გავრცელებულია ბავშვობის ასაკში, რის გამო მას ასაკობრივ მოვლენადაც კი თვლიან. დადასტურებულია, რომ ე. ბ-ზე უარყოფითად მოქმედებს კალციუმი. კალციუმის ზემოქმედება სპობს ეიდეტურ მოვლენას. ამიტომ მისი გავრცელებულობა გეოგრაფიულ პირობებზედაცაა დამოკიდებული: სადაც სასმელი წყალი მდიდარია კალციუმით იქ ე. ბ-ს ადგილი არა აქვს. კალციუმის ნაკლებობა ორგანიზმში ე. ბ-ს გამომწვევი ფაქტორია.

ე. ბ პირველად ავსტრიელმა ექიმმა, ოფთალმოლოგმა, ე. ურბანჩიჩმა აღმოაჩინა /1907 /. ექსპერიმენტულად კი იგი იკვლია გერმანელმა ფსიქოლოგმა ე. იენშმა /1911 / და დაადასტურა ეიდეტიკოსთა ორი განსხვავებული ტიპი: ტეტანოიდური და ბაზედოვოიდური. „ტეტანოიდური" ტიპის ე. ბ. ტლანქია, უძრავი და იძულებით ხასიათს ატარებს, რამდენადაც მისი არც გამოწვევა და არც გაქრობა სუბიექტის ნებაზე დამოკიდებული არ არის. „ბაზედოვოიდური" ტიპის ხატი კი, პირიქით, უფრო მოძრავია, სუბიექტის ნებას ადვილად ემორჩილება: ასეთ ტიპის ეიდეტიკოსს შეუძლია ხატი ნებისმიერად გამოიწვიოს, შეცვალოს ან გააქროს.

ეკოლოგია /ბერძ. oikos — სახლი და logos მოძღვრება/ — ბიოლოგიის დარგი, შეისწავლის ორგანიზმის /მცენარის, ცხოველის/ დამოკიდებულებას გარემოსთან. ტერ. „ე" შემოტანილია ე. ჰეკელის მიერ /1866/.

ეკფორია /ბერძ. ekphora | გამოტანა / — მეხსიერების ფუნქცია: წინათ მიღებული შთაბეჭდილების კვლავ |აღდგენა, გახსენება, ენგრამის განახლება /იხ. ენგრამი/. გაღიზიანებას, რაც გახსენებას იწვევს, ეკფორული გაღიზიანება ეწოდება. რ. ზემონმა ეკფორიის კანონი დაადგინა, რის მიხედვით ენგრამთა კომპლექსში შემავალი რაიმე ცალკე გრძნობადი შთაბეჭდილების აგზნება მთელი კომპლექსის აგზნებას იწვევს.

ელან ვიტალი /ფრანგ. Élan vital — სასიცოცხლო სწრაფვა/ —ფილოს —ში ტერ. „ე. ვ." შემოღებულია ანრი ბერგსონის მიერ. მისი მეტაფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება აღნიშნავს „ზეცნობიერებიდან მომდინარე სასიცოცხლო სწრაფვას".

ელემენტარული გრძნობები — იხ. გრძნობა.

ელემენტის ფსიქოლოგია — მიმართულება ფსიქოლოგიაში. ცდილობს გამონახოს ისეთი ელემენტარული განცდა, რისგან ფსიქიკურ განცდათა სამი კლასი—აზროვნება, ნებელობა, გრძნობა აიგება. ის ვარაუდობს, რომ მიუხედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად განცდათა ამ კლასებს შორის არსებული სხვაობისა, მაინც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველა ისინი ერთი და იგივე „საშენი მასალისაგანაა" აგებული. ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულება არსებობს: 1. არიან ფსიქოლოგები /ჰ. მიუნსტერბერგი, თ. �en/, რ-თაც ადამიანის ფსიქის მთელი შინაარსი ერთადერთი ელემენტარული განცდიდან გამოჰყავთ; მათი აზრით, ასეთ ელემენტს **შეგრძნება** წარმოადგენს. განცდების სამივე კლასი /შემეცნება, გრძნობა, ნებელობა/ შეგრძნებების ამა თუ იმ კომბინაციით აიგება. 2. ზოგი ფს-გის აზრით, ორი ელემენტარული განცდა უნდა არსებობდეს—შეგრძნება და მარტივი გრძნობა, რ-თაგან ადნის მთელი სულიერი ცხოვრება აიგება /ვ. ვუნდტი/. 3. დაბოლოს, არსებობს ისეთი შეხედულებაც /ნ. ახი/, რ-ის თანახმადაც შეგრძნებასა და მარტივ გრძნობას კიდევ უნდა დაემატოს ნებელობის ელემენტარული პროცესი. ამრიგად, გამოდის რომ თითოეული ფს-კური კლასი საკუთარი სპეციფიკური ელემენტარული მასალისაგან აიგება.

ფაქტია, რომ ადნის ფს-კურ ფენომენთა სამკვიდრო სამ ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფს წარმოადგენს /აზროვნება, გრძნობა, ნებელობა/, ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ შეხედულებას, რომ თითქოს ყველა მათ ერთი ელემენტარული განცდა უდევს საფუძვლად.

ელექტრ/აკომპლექსი —იხ. ოიდიპოსკომპლექსი.

ემერტის კანონი — ეხება „მხედველობის თანამიმდევარი კვალის" სიდიდეს საპროექციო მანძილთან დაკავშირებით: რაც უფრო ახლოა ცა-თან კვალის საპროექციო ადგილი, მით უფრო მცირე სიდიდის მოჩანს იგი /კვალი/, რაც უფრო შორსაა — მით უფრო დიდია. ეს დაადასტურა ემერტმა და გამოხატა შემდეგი კანონით: „კვალის სიდიდე საპროექციო მანძილის პირდაპირპროპორციულია".

ემოცია /ფრანგ. émotion — ამოძრავება, შერყევა/ — ფს-კურ მოვლენათა ერთ-ერთი ძირითადი კლასი; გრძნობის სხვადასხვა ჯგუფის საერთო სახელწოდება. საკუთრივ ე. მაინც ძლიერი ინტენსიურობის მქონე გრძნობიერი განცდების /სიამოვნება—უსიამოვნების/ გამომხატველად ითვლება. ე-ურ მდგომარეობაში გრძნობითი განცდა სულიერი მღელვარეობის უფრო მაღალ დონეს აღწევს და უფრო მწვავე და სწრაფი მიმდინარეობით ხასიათდება, ვიდრე ჩვეულებრივი, ადეკვატური რეაქციის გრძნობა. ძალიან დიდი სიძლიერის ე. აფექტში გადადის და ამ სახელწოდებითაა ცნობილი /იხ. აფექტი/.

ძლიერი ე. იწვევს ფს-კურ ფუნქციათა მოქმედების შეცვლას /მეხსიერების ჩავარდნა, აზრების ერევ-დარევა/, რ-ის შედეგად პიროვნების რეაქციები ნაკლებ ადეკვატური და არამიზანშეწონილი ხდება. ასეთი სახის ე-ას თან სდევს ნეირო-ვეგეტატიური ფუნქციის ჰორმონალური მოქმედების მოშლა, რაც იწვევს სხეულებრივი მოძრაობების ორგანული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სეკრეტორული რეაქციების ღრმა ცვლილებებს /მიმიკა, პანტომიმიკა, გულისცემა, სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, ცრემლთადენა, ოფლიანობა და სხვა/ იხ. ჯემს-ლანგეს თეორია. ზოგი მკვლევარი ე-ას ყველა გრძნობაზე ავრცელებს, ყოველ გრძნობას შეუძლია ე-ის დონეს მიაღწიოს, თვით „ინტელექტუალურ გრძნობებსაც" კი, ზოგი კიდევ მას რამდენიმე გრძნობით საზღვრავს /იხ. გრძნობა/.

ემპირიზმი /ბერძ. empeiria – გამოცდილება/ – 1. ფილოს. მიმართულება, რ-ის თანახმად, სინამდვილის შემეცნების წყაროს მხოლოდ გამოცდილება, ემპირია წარმოადგენს, ე. ი. ის, რაც ად-ნს გარესამყაროს ზემოქმედების შედეგად შეგრძნებებისა და აღქმების სახით ეძლევა. აზროვნება, ე-ის შეხედულებით, მხოლოდ ამ შეგრძნებების და აღქმების საფუძველზე აიგება და მისი სისწორის კრიტერიუმსაც ეს ემპირია, გამოცდილება წარმოადგენს. თუ აზროვნების პროდუქტი ეთანხმება გრძნობად მონაცემებს, ეს ნიშნავს, რომ აზროვნება ჭეშმარიტებას ასახავს. საწინ. რაციონალიზმი.

2. ფს-გიაში – მიმართულება, რ-იც ფს-კის ფორმირებისა და განვითარების ერთადერთ ფაქტორად გამოცდილებას თვლის, საწინააღმდეგოდ „ნატივიზმისა", რ-აც ასეთ ფაქტორად თანდაყოლილობა მიაჩნია. /იხ. ნატივიზმი და გენეტიზმი/.

ემპირიული ფსიქოლოგია – მეც. ცნობიერების მოვლენების შესახებ, წარმოიშვა მე-18 – მე-19 ს-ში. თავის საკვლევ საგნად მიიჩნევდა არა სულს, რ-ის არსის ძიება მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის საქმედ ითვლებოდა, არამედ რეალურად მოცემულ მოვლენებს: ად-ნის განცდებს – წარმოდგენებს, აზრებს, გრძნობებს, სურვილებს და, საზოგადოდ, ცნობიერების ფაქტებს, რ-რც ემპირიულად არსებულ სინამდვილეს.

ვინაიდან ე. ფ-ის თანახმად ყოველი განცდა, ფს-კური მოვლენა მხოლოდ შინაგან გამოცდილებაში გვეძლევა, უშუალოდ შინაგანი დაკვირვებით ანუ ინტროსპექციით მიიწვდომება, ამიტომ იგი ისტორიულად „ინტროსპექტული ფს-გიის" სახელითაცაა ცნობილი. /იხ. ინტროსპექტული ფს-გია/.

ენა – ად-ნთა ურთიერთობის საშუალება, შესაძლებელს ხდის ად-ნთა შორის კავშირის დამყარებას, წარმოადგენს აზროვნების იარაღს, წარმოქმნილია საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველზე და რ-რც სოც. მოვლენა ად-ნის სპეციფიკურობას შეადგენს, განსაზღვრავს და გამოყოფს ად-ნს ყველა სხვა ცოცხალ არსებისაგან. ე. არის „დინამიკური სისტემა ნიშნებისა, რ-ლებიც იხმარება ადამიანთა ურთიერთობის, გაგებინების საშუალებად... ჩვეულებრივ მიუთითებენ ე-ის ორ სხვა ფუნქციაზე: ე. ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ი ა რ ა ღ ი ა, მას გარკვეული შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დ ო ც ე მ ა, ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა ეკისრებაო“ /არნ. ჩიქობავა/. ეს სამი ფუნქციაა ენისა: საკომუნიკაციო, ექსპრესიული, და სიგნი - ფიკაციური ენის აუცილებელი კომპონენტებია, რითაგან ერთი მეორეზეა დამოკიდებული.

ადნთა ურთიერთობა გაგებინებას გულისხმობს, რომ სიტყვის მიერ რაღაც შინაარსია მოტანილი და მისი გაზიარება უნდა მოხდეს. აზრის, შინაარსის შეტყობინების გარეშე „გაგებინება“ ვერ მოხერხდება, „გა - გებინების“ გარეშე კი ურთიერთობა უმიზნო ხდება. აზროვნების ფუნ - ქციას ვერ დავაშორებთ საკომუნიკაციო ფუნქციას და, პირიქით, ხოლო განვითარების თვალსაზრისით ამათგან წამყვანი კომუნიკაციის ~~ფუნქციაა~~ ე. წარმოიშვა საერთო შრომის პირობებში /იხ. მეტყველება/.

ენა მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას. ე. მთელი ხალ - ხის, ერის ქმნილებაა. „ხალხი, ერი ვერ დარჩება იმავე ხალხად, ერად, თუ დაკარგა თავისი ენა. ენა ხალხის მეობის ძირითადი ნიშანია. ენა მანამდე ითვლება ცოცხალ ენად, სანამ მას ხმარობენ ურთიერთობის საშუალებად. თუ მას ეს დანიშნულება მოეშალა, იგი მკვდარია. კლასიკური ლათინური, იულიუს კეისარისა და ციცერონის ენა, შესანიშნავად დამუშავებული ენა, მკვდარი აღმოჩნდა, როცა დაკარგა საკომუნიკაციო ფუნქცია. დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია ენას, როგორც აზროვნების იარაღს, თუ მას ურთი- ერთობის საშუალებად აღარ ხმარობენ: რა ენაზეც საუბრობენ, იმ ენაზე იწყებენ აზროვნებასაც. ექსპრესიული ფუნქცია დამოკიდებულია საკომუნიკაციოზე“ /არნ. ჩიქობავა/. ენის საკომუნიკაციო ფუნქცია ენის არსებობის პირობაა.

ენაბლუბა— ენამოშლილობის ერთ-ერთი სახე. ენით დაავადებულ ადამს უჭირს სიტყვის შეუფერხებლად წარმოთქმა: ლაპარაკის პროცესში სა- ნამ სიტყვის თქმას დაასრულებდეს, იმეორებს მას რამდენიმეჯერ ზედიზედ. ლაპარაკის შეფერხებას ხშირად თან სდევს პირისახის კუნთების კრუნ- ჩხვითი მოძრაობები. დაკავშირებულია ნევროზებთან ან ც. ნ. ს. ორგა - ნულ ცვლილებებთან. საჭიროებს სპეციალურ ლოგოპედურ გამასწორებელ ვარჯიშს.

ენგრამა /ბერძ./ — გაღიზიანებით გამოწვეული ცვლილება თავის ტვინში, ორგანულ-ფიზიოლ. კვალის, მეხსიერების საფუძველი სუბსტრა - ტის სახით. ტერ. ე. შემოღებულია რ. ზემონის მიერ მეხსიერების მოვლე- ნის ახსნის მიზნით. ენების ერთობლიობას რ. ზემონმა „მნემე“ უწოდა, რიც, მისივე აზრით, წარმოადგენს მთელი ორგანული ბუნების დამახა- სიათებელ „ბიოლოგიურ, არაცნობიერ მეხსიერებას“.

ენდოგენური /ბერძ. endon — შიგნით და genos — წარმოშობა/ — შინაგანი ფაქტორების ზეგავლენით წარმოქმნილი რაიმე მოელენა. მაგ.,

ორგანიზმის განვითარებისთვის შინაგანი სეკრეცია ე-რ ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო ჰაერი და კვება-ეგზოგენურს /იხ./.

ენდოთიმური | საფუძველი /ბერძ. endon – შიგნით/ – ფ. ლერშის მიერ შემოღებული ტერ. მისი ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, პიროვნების შინაგანი აგებულება ვერტიკალურ-ფენობრივი წყობისაა. ყველაზე ძველი ქვედა ნაწილი – ძირითადი | ენდოთიმური ფენაა, რ-აც მან ე. ს. /Endothymer grund / უწოდა. ყველაზე უახლეს ზედა ფენას გონება და ნებელობა ემყარება.

ე. ფენა, ფ. ლერშის შეხედულებით, ად-ნის სასიცოცხლო, ინტიმური შინაარსების საფუძველი და მატარებელია, იგი ინსტინქტების, „სიცოცხლის გრძნობ|ისა" და თვითგრძნობის წყაროა. სიცოცხლის ძირითადი განწყობილებები, ე. წ. „მიმართულობის" გრძნობები, მოლოდინი, იმედი, სიხარული, მწუხარება და საზოგადოდ მთელი გრძნობით-აფექტური სფერო და თვით სიცოცხლის დინამიკის გრძნობა ე. ს-ლიდან წარმოიშობა. „სულიერი ცხოვრება ე. ს-ლიდან იღებს თავის შემოქმედებით. დინამიკას და თავის თემატიკის შინაარსს" /ლერში/. რაც უფრო ახლოა ფს-კური მოვლენა ე. ს-თან, მით უფრო ახლო დგას იგი „სიცოცხლის გრძნობასთან" და მით უფრო მოკლებულია ცნობიერებას; რაც უფრო დაშორებულია ფს-კური მოვლენა ე. ს-ს და მიახლოებულია ზედაპიროვნულ კოგნიციურ სფეროს /იხ. პიროვნული ზედნაშენი/, მით უფრო მოკლებულია იგი თვით - გრ ძნობას /„სიცოცხლის გრძნობას"/ და მით უფრო ცნობიერია იგი. მართალია, ე. ს. დაპირის-ა ზედაპიროვნულ ფენასთან /გონება, ნებელობა/, მაგრამ ეს დაპირის. ლერშთან წინააღმდეგობაში არ გადადის, /როგორც მაგ., ლ. კლაგესთან, | რთანაც სიღრმის ფენები კონფლიქტურადაა დაპირისპირებული გონით ფენასთან/. ლერშთან ე. ს. და ზედა ცნობიერი, კოგნიციური სფერო ინტეგრირებულია ერთიან და მთლიან პიროვნებაში /იხ. „სიცოცხლის გრძნობები"/.

ენდომორფული ტიპი – იხ. სხეულის აგებულების ტიპები.

ენთუზიაზმი/ბერძ. enthusiasmos – აღფრთოვანება, გატაცება/– რაიმე იდეით, ან იდეალით გამოწვეული ამაღლებული სულიერი განწყობილება, თავდავიწყებითი გატაცება ამ იდეით; მთელი ძალების მობილიზება მისი განხორციელებისთვის, ენერგიის უკიდურესი დაძაბვა, თავდადებული მუშაობა.

ენტელექია /ბერძ. entelecheia – რაც თავის თავში შეიცავს მიზანს, რაც დასრულებულია, დამთავრებულია/ – არისტოტელეს ფილოსოფიის ძირითადი ტერ. არისტოტელე სულს სიცოცხლის პრინციპად და მოქმედების მიმმართველ ძალად თვლიდა და, როგორც ასეთს მას ორგანიზმის პირველ ე-ად მიიჩნევდა. ე-ში | გულისხმობდნენ პოტენციურად არსებული მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნის განხორციელებას, არსის შინაგანი სასიცოცხლო ძალის გამოვლენას.

ე-ის ცნებას იყენებ|დნენ სქოლასტიკაშიც. ახალ ფილოს-ში გ. ლაიბ-ნიცი მონადას ე-ად თვლიდა. ე-ის ცნებას იყენებდა ახალ დროში ჰ. დრი-ში /1867 – 1941/ „ფსიქოიდის" სახელწოდებით /იხ. ფსიქოიდი/.

ეპილეფსია ანუ ეპილეფსიური დაავადება /ბერძ. epilēpsia – უეცარი შეჩერება, გულყრა/ – მძიმე, ქრონიკული დაავადება. ახასიათებს პერიოდული გულყრები კრუნჩხვებითა და ცნობიერების დაკარგვით/ე. წ. დიდი გულყრა – grand mal / ან ცნობიერების ხანმოკლე დაკარგვა კრუნჩხვების გარეშე / ე. წ. მცირე გულყრა – petit mal / ან ავადმყოფური მდგომარეობანი, რ-თაც ეპილეფსიის ეკვივალენტებს უწოდებენ. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება: ცნობიერების ბინდისებური აშლა; გუნება-განწყობილების უმიზეზო შეტევისებური შეცვლა, რ-ის დროსაც ავად. სევდანარევი აგზნების მდგომარეობაშია /ე. წ. დისფორია/ და ამბულატორიული ავტომატიზმები. აღნიშნული მდგომარეობანი ან გულყრის შემცველის, მისი ეკვივალენტის სახით ვლინდებიან, ან წინ უსწრებენ, ან თან სდევენ გულყრას. ე-ის შემთხვევაში თანდათან ვითარდება ხასიათის სპეციფიკური ნიშნები /ეპილეფსიური ხასიათი/ და პიროვნების ტიპური ცვლილებები, რიც არაიშვიათად ჯკუასუსტობით მთავრდება. რიგ შემთხვევაში, დაავადების მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპებზე, აღინიშნება ფსიქოზური მოვლენები /ეპილეფსიური ფსიქოზი/.

ე-ის ეტიოლოგია არაა საბოლოოდ დადგენილი. ე-იური დაავადებისაგან, რ-აც „გენუინურ, კრიპტოგენურ, იდიოპათიურ" ეპილეფსიასაც უწოდებენ, განასხვავებენ ე. წ. ს ი მ პ ტ ო მ უ რ ანუ მ ე ო რ ა დ ე-ს. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება სხვადასხვაგვარი ეტიოლოგიის დაავადებანი, რომელთა მიმდინარეობაშიც თავს იჩენს ეპილეფსიური გულყრები /თავის ქალის ტრავმა, თავის ტვინის სიმსივნე, თავის ტვინის ინფექციური დაავადებანი, ქრონიკული აღკოჰოლიზმი და სხვა/.

ეპიფენომენი /ბერძ. epi-დან, შემდეგ და phainomenon – მოვლენა/ – თანმხლები მეორეული მოვლენა, მაგ., ბიჰევიორისტული ფს-გიის თანახმად ფს-ქიკა ფიზ.-ფიზიოლ-ი. მოვლენების მხოლოდ თანმხლები ფენომენია, რიც თავის მხრივ მოკლებულია დამოუკიდებელ ბიოლოგიურ მნიშვნელობას. ყოველი არაძირითადი არა თავის თავში დასრულებული მოვლენა, არამედ სხვა მოვლენის თანმხლები ფენომენი არის ამ მოვლენის ე.

ერგოგრაფი /ბერძ. ergon – მუშაობა/ – კუნთების მუშაობის გამზომი აპარატი, რ-საც დართული აქვს გარკვეული სიმძიმე; ცპ-ა თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის მოძრაობით ეს სიმძიმე უნდა ასწიოს და დაუშვას რიტმულად /მეტრონომის რხევის მიყოლებით/. თითის მოძრაობა გრძელდება კუნთის სრულ დაღლამდე. შედეგი იწერება კიმოგრაფზე. მუშაობა აღინიშნება კილოგრამებში. ცნობილია და გავრცელებულია ა. მოსოს ერგოგრაფი.

ერითროფობია /ბერძ. **ereuthein** – **გაწითლება** და **phobos** – შიში/ – გაწითლების შიში, ადნს ეშინია სხვასთან შეხვედრის ან საუბრის დროს რომ გაწითლდეს. გაწითლების შიში გარკვეული ნევროზის საფუძველზეა აღმოცენებული და აკვიატებული ხასიათისაა /იხ. აკვიატებული წარმოდგენა/.

ეროგენური ზონები /ბერძ. **Erōs** - იდან/ – სხეულის ნაწილები, რომელ აღიზიანება იწვევს სექსუალურ აგზნებას.

ეროსი /ბერძ. **Erōs** – სიყვარულის ღმერთი/ – ბერძნულ მითოლოგიაში: სიყვარულის, სქესობრივი სწრაფვის სიმბოლო. თანამედროვე გაგებით იხმარება ფართო მნიშვნელობითაც, გულისხმობს: მისწრაფებას, აღტაცებას ყოველი სულიერ-გონითი შემოქმედებისადმი, მეცნიერებისადმი, ხელოვნებისადმი და სხვა. ამ გაგებით იგი ნიშნავს სიცოცხლისაკენ სწრაფვას, სიცოცხლის სიყვარულს.

ეროტომანია /ბერძ. **Erōs** და **mania** – ენება, სიშმაგე/ – ავადმყოფურად გამწვავებული სქესობრივი გრძნობა, ვითარდება პარანოიდული მდგომარეობის თანმხლები სულიერი აშლილობის სახით. ავადმყოფს ჰგონია, რომ მასში შეყვარებულია ერთდროულად ერთი ან რამდენიმე პირი. ასახელებს ისეთებსაც, რომელ სრულებით არ იცნობენ.

Esse est percipi – ლათ. „არსებობს მხოლოდ ის, რაც აღქმაშია მოცემული" /გ. ბერკლი, 1687 - 1753/ – სპირიტუალიზმის და აგრეთვე სოლიფსიზმის მთავარი დებულება, რის მიხედვითაც გარესამყარო არსებობს მხოლოდ რაც იდეა ჩვენს წარმოდგენაში და აზროვნებაში, ე. ი. არსებობა უდრის აღქმას.

ესთეზიომეტრი /ბერძ. **aisthēsis** – მგრძნობელობა და **metreo** – ვზომავ/ –კანის მგრძნობელობის შესწავლის იარაღი. გამოიყენება: კანზე მოთავსებულ, შეხების ანუ დაწოლის შეგრძნების წერტილთა დასადგენად. ცნობილია: ა/ მ. ფრაის ე., წარმოადგენს ლითონის მილს, რომელშიც ცხენის ძუაა გაყრილი, მისი მოძრავი ბოლო თავისი წვერით კანის ზედაპირს აღიზიანებს და შეხების შეგრძნებას იწვევს; ბ/ ხ. სპირმენის ფარგალი, რის ფეხების გაშლაც შეიძლება და ურთიერთთან მიახლოებაც. ამ ე-ით იკვლევენ სივრცითი აღქმის ზღურბლს კანის მგრძნობელობის მოდალობაში. გ/ ვებერის ე., – იმავე პრინციპზეა აგებული.

ე. გამოიყენება ადამიანის დაღლილობის ხარისხის გამოსაკვლევადაც,

ვინაიდან დაღლილობის დროს კანის მგრძნობელობა კლებულობს.

ესთეტიკური გრძნობა — უმაღლესი გრძნობა, წარმოიშობა ისეთი საგნების ჯვრეტის საფუძველზე, რ-ნიც სილამაზის, მშვენიერების განცდას იწვევენ. მაგ., ასეთია ბუნების მშვენიერება, ან რაიმე მაღალმხატვრული პოეტური ან მუსიკალური ნაწარმოები, ფერწერის ან ქანდაკების ნიმუშები და სხვა. ე. ე. გ-ის სუბ-ურ მდგომარეობაში საგნის ობიექტური ვითარებაცაა ასახული, მასში ნაგულისხმევია ყოველთვის საგანში ჩაქსოვილი სახე მშვენიერებისა. ამის გამო ე. გ. დიფერენცირებული გრძნობაა /არ არის სულ მთლად შერწყმული განმცდელის მთლიან პიროვნებასთან/. მასში საგანი თავისი სპეციფიკით — მშვენიერებით-წინაა წამოწეული.

ესთეტიკური ტკბობა — იხ. ქცევის ინტროგენური ფორმა.

ეტიოლოგია /ბერძ. aitia — მიზეზი და logos — მოძღვრება/ — გულისხმობს მოვლენის წარმოშობის პირობებსა და მიზეზებს.მაგ., მედიცინაში რომელიმე დაავადების მიზეზის და წარმოშობის პირობების დადგენა მის ე-ის დადგენას ნიშნავს.

ექსპანსიური /ლათ. expansio, ფრანგ expansif —'გაფართოება, ვრცელ-ბა/. ' — ადვილად აგზნებადი ტემპერამენტის ად-ნი, რ-იც გარეგამაღიზიანებელს გადამეტებულად მწვავე საპასუხო რეაქციას აძლევს, თავის სურვილებს ვერ ფლობს, გრძნობებს ვერ ფარავს.

ექსპერიმენტი /ლათ. experimentum — ცდა/ — ბუნების სინამდვილეზე დაკვირვების ერთ-ერთი სახე. საწინ. „ბუნებრივი დაკვირვებისა". ე. არის დაკვირვება ისეთ მოვლენაზე, რ-იც თვით მკვლევარის მიერ ხელოვნურად შექმნილ პირობებში არის გამოწვეული. ე-ის მთელი უპირატესობა „ბუნებრივ დაკვირვებაზე" სწორედ აქედან მომდინარეობს, სახელდობრ: 1. მკვლევარს შეუძლია გამოიწვიოს დაკვირვებისათვის ნაცარაუდევი მოვლენა და დააკვირდეს იმდენხანს და იმდენჯერ, რამდენხანსაც და რამდენჯერაც ეს საჭიროა მისი მიზნისათვის. ასეთი დაკვირვება ამოწმებს, აკონტროლებს და აზუსტებს შესამეცნებელ ობიექტს. 2. ე-ული დაკვირვების საგანი „ბუნებრივ დაკვირვებას" არასოდეს არ ეძლევა. ამიტომ მისი სრული წვდომა მხოლოდ ე-ის საშუალებით შეიძლება. ყოველი ახალი ე. ახალი ფაქტის აღმოჩენაა. ე. განუწყვეტლივ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას სინამდვილეზე. (მაგ., „ბუნებრივი დაკვირვებიდან" ვიცით, რომ მზის სინათლე სითბოს წყაროა, მაგრამ, რომ ის რთული შედგენილობისაა და შვიდი ფერადი სხივისაგან შედგება, ეს ფაქტი „ბუნებრივ დაკვირვებაში" არასოდეს არ გვეძლევა და მის არსებობას ბუნებაში მხოლოდ ე-ით ეწვედებით. 3. მოვლენის განზრახ გამოწვევა და მისი პირობების ნებისმიერი ვარიაცია მისი მიმდინარეობის /დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამიკის /**კანონზომიერების** დადგენის საშუალებას იძლევა. ე- მა ბუნებისმეტყველებაში დაადასტურა, რომ ყოველი სხეული სითბოს ზეგავლენით ფართოვდება, რომ სხეულის გაფართოების სიდიდე გახურების ხარისხზეა დამოკიდებული და რომ მყარი სხეულებიდან ზოგი მეტად ფართოვდება /თითბერი /და ზოგი— ნაკლებად /მინა/, რომ სითხეები უფრო მეტად ფართოვდება, ვიდრე მაგარი სხეული, ხოლო გაზები —ორივეზე მეტად. აღნიშნული მოვლენები ე-თაა აღმოჩენილი.

ე. ფს-გიაში სრულებით ანალოგიურია ეისა ბუნებისმეტყველ- მაგ., ის ფაქტი, რომ მიღებული შთაბეჭდილებიდან ზოგი გვახსოვს და ზოგი გავიწყდება, ეს ყველამ საკუთარი გამოცდილებიდან იცის, მაგრამ დახსომებისა და დავიწყების პროცესებს გარკვეული კანონები რომ მართავს ეს უბრალო დაკვირვებაში არ ჩანს და ცოდნას ამის შესახებ მხოლოდ ე. იძლევა.

ყოველი ე. ფს-გიაში, რრც ე., ყველა იმ ნიშნის მატარებელია, რაც ზემოთ საბუნებისმეტყველ- ეის ანალიზმა გვიჩვენა. ე. ი. ფს-კური სინამდვილის კვლევის სფეროშიც ე. მკვლევარის მიერ განზრახ გამოწვეული მოვლენის დაკვირვებაა, ისეთი მოვლენისა, რიც „ბუნებრივ დაკვირვებაში" არასოდეს არ შეიმჩნევა და რის ყოველ მხრივ შესწავლის საშუალებას მისი მრავალჯერ გამეორება და ცვალებად პირობებში ე-ული დაკვირვება იძლევა.

ექსპერიმენტული თამაში — თავს იჩენს „ძუძუს ბავშვობის" ხანაში, დაბადებიდან მეექვსე თვეზე. ამ ასაკის ბ-ვი იწყებს საგნებზე მანიპულაციებს; ,ასეთებია: საგნის აღება-დაგდება, რახუნი, ქაღალდის დაფხრეწა, ყურის მოწევა, თმის მოჩეჩვა, სათამაშოების მტვრევა და სხვა. ასეთი თამაშის პროცესში ბ-შვი ეცნობა საგანთა თვისებებს, თითქოს ცდას ახდენს მათზე, ამიტომ ასეთ თამაშს ე. თ. ეწოდება. გრძელდება მეორე წლამდე.

ექსპერიმენტული პედაგოგიკა — იხ. პედაგოგიური ფსიქოლოგია.

Experimentum crucis /ლათ/ — გადამწყვეტი ექსპერიმენტი, ე. ი. ისეთი ექსპერ, რის საფუძველზე შეიძლება ექსპერიმენტული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა.

ექსპერიმენტული ფსიქოლოგია — იხ. ფსიქოლოგია; ,ექსპერიმენტი.

ექსპლიკაციური ფსიქოლოგია — იხ. ახსნითი ფსიქოლოგია.

ექსპლორაცია /ლათ. **explōrātio** — გამოკვლევა/— ფს-გიაში — გამოკითხვა, საუბარი. ფართოდ იყენებენ ფსიქოდიაგნოსტიკის მიზნით. ფს-გი მიმართავს ე-ს, როცა მას პიროვნების შესწავლის ამოცანა უდგას: უსვამს სუბს წინასწარ შემუშავებულ კითხვებს, რობიც მისი აზრით, ააშკარავებენ სუბის დაფარულ მხარეებს, ნიშნებს, თვისებებს, მიდრეკილებას, ინტერესს, ემოციას და სხვ. ე. ახლო დგას ფსიქოანალიზის მეთოდთან. ე-ს მიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთავენ აგრეთვე პროფესიული მიდრეკილების გამოვლენის და აღმზრდელობით-პედ. მიზნით.

ეის გამოყენებისას უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება, განსაკუთრებით ენას, მეტყველებას, იგი სავსებით გასაგები უნდა იყოს სუბ-სათვის.

ექსპლოზიური /**რეაქცია** /ფრანგ. explosion – აფეთქება/ – გაღიზიანების საპასუხოდ **წარმოშობილი** მწვავე აფექტური რეაქცია, ერთბაშადი, ფიცხელი აფეთქება. რ-რც მიდრეკილება, ერთსა და იმავე სუბ-ში მისი ხშირი გამეორება ახასიათებს ფსიქოპათებს, ალკოჰოლიკებს და, საზოგადოდ, ფს-კურად არაჯანსაღ ად-ებს.

ექსტაზი /ბერძ. ek – გან და stasis – მდგომარეობა, თავის თავის გარეთ ყოფნა/ — აგზნებული მდგომარეობა უმაღლესი ხარისხით, ესაზღვრება შეშლილობას. ე-ს მდგომარეობაში ად-ნი ნეტარებას განიცდის, უკიდურესად აღფრთოვანებულია, მოწყვეტილია სინამდვილეს, საკუთარი ფანტაზიის სახეებს სინამდვილედ მიიჩნევს; აქვს მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები. ხშირად რელიგიური განცდის საფუძველზე წარმოიშობა. რელიგიურ ე-ში მყოფთ სწამთ, რომ შეუერთდნენ უმაღლეს არსებას — ღმერთს. დამახ. სექსუალურ ემოციასთან მჭიდრო კავშირი. /საწინ. ინსტაზი/.

ექსტეროგენური ქცევის ფორმა — იხ. ქცევის ექსტეროგენური ფორმა.

ექსტერორეცეპტორი /ლათ. exter – გარეთ, receptor – მიმღები, აღქმა/ – გრძნობათა ორგანოების სახელწოდება, ასეთია: თვალი, ყური, ცხვირის ლორწოვანი გარსი, კანი.

ექსტრავერტული — იხ. ინტროვერტული, ექსტრავერტული.

ექსტროსპექციის მეთოდი /ლათ. exter –/გარეთ, specto – ხედვა/ — ფს-გიაში სხვათა დაკვირვების მეთოდი. იყენებენ სხვისი სულიერი ცხოვრების კვლევის მიზნით; ობიექტურ დაკვირვებას ახდენენ სხვისი სულიერი ცხოვრების „გამომხატველ მოძრაობებზე" და აქედან „ანალოგიით დასკვნის მეთოდის" საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ.

ექსცენტრული პიროვნება /ლათ. ex - გან, იდან, centrum – ცენტრი/ —ზედმეტად აგზნებული, უწონასწორო, ახირებული ხასიათის ად-ნი. რ-ის ქცევა ჩვეულებრივ ნორმის ფარგლებს სცილდება.

ექსჰიბიციონიზმი /ლათ. exhibitionismus – დანახვა/ — სექსუალური გაუკუღმართება /პერვერსია/; სექსუალური აგზნება და დაკმაყოფილება მიიღწევა საკუთარი გაშიშვლებული ტანის და განსაკუთრებით გენიტალური ორგანოების ყურებით, ან სხვისთვის ჩვენებით. ხშირად სულიერი დაავადების ნიშანია.

ექტომორფული ტიპი — იხ. სხეულის აგებულების ტიპები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვი — მეცნ-ში — თავისებური ფს-კური განცდა, ად-ნს უჩნდება აზ-რი /ექმნება შთაბეჭდილება/, რომ გარკვეული მოვლენა ისეთი არ არის რ-რიც ჩანს, რომ ამ მოვლენას აქვს დაფარული მხარე, სხვა განზომილება, როც შეიძლება საპირ-ც კი იყოს იმისა, რაც ჩანს. ასეთი ე. ყოველი მეცნიერული ძიების დასაწყისია. ამ აზრით ე. ინტელექტუალურ გრძნობათა ჯგუფს განეკუთვნება /იხ. გრძნობა/.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში ე. ნიშნავს აზრის შემუშავებას, რომ შექმნილ სიტუაციაში სხვა, ფარული და საწინააღმდეგო მომენტია შეჭრილი; მაგ., კაცს აღეძვრის აზრი, რომ მეგობარი, რ-აც ის მთლიანად ენდობა, მას ღალატობს. აი, ეს „აღძრული აზრი" არის ეჭვის დასაბამი. მაშინვე იწყება ამის დამადასტურებელი საბუთების ძიება, „აღძრული აზრი" სუბ-ს ხან სინამდვილედ ეჩვენება, ხან არა. ად-ნს ეცლება დარწმუნებულობის ნიადაგი. იწყება გაორება, იგი მერყეობს ორსავე შესაძლებლობას შორის; მას ეუფლება ძლიერი უარყოფითი ემოცია, რ-იც თანდათან მთელ პიროვნებას მოიცავს, იკარგება საღი განსჯის უნარი, მდგომარეობა აფექტში გადადის და ტრაგიკული ფინალისკენ მიიწევს /გავიხსენოთ ოტელოს შაგალითი/. ე. მიმდინარეობს დაურწმუნებლობის, გადაუწყვეტლობის, მერყეობის განცდების პირობებში. ეს ამბივალენტურ გრძნობათა ჯგუფს მიაკუთვნებენ.

ვალიდობა /ლათ. validus — ჯანსაღი, ძლიერი, ძალის მქონე/ — ფს-გიაში ნიშნავს ტესტის ვარგისობას, საიმედოობას ანუ რელიაბილიტობას: ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ტესტის ფსიქოდიაგნოსტიკურ ვარგისობას, მის შემეცნებით ღირებულებას; თუ რამდენად არის ტესტი თავისი დანიშნულების შესატყვისი, რამდენად სწორად და ზუსტად ავლენს ტესტი სუბიექტის თვისებას, უნარს, დისპოზიციურ თავისებურებას, რ-ის გასაზომად არის ის ნაგარაუდევი, შესწევს თუ არა დიაგნოზის ან პროგნოზირების ძალა; რამდენად აკმაყოფილებს ყოველი ტესტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, სტაბილურობას, რიცხობრივი გამოხატვის შესაძლებლობას, გასაზომი ნიშნის ხარისხობრივად დიფერენცირების, უნარს და სხვა, „მთლიანი პიროვნების" ან „ხასიათის პროექციული ტესტების" ვარგისობის შემოწმება უფრო რთულია და ძნელი, ვიდრე რაოდენობრივი შეფასების ტესტებისა, რ-თა მიღწევების რაოდენობრივი აღრიცხვა და რიცხობრივი გამოხატვა ადვილად ხერხდება /მაგ., ინტელიგენტობის შემოწმების ტესტები/. ტესტის ვარგისობის შემოწმების ხერხებია: ად-ნთა დიდ რიცხვზე მათი აპრობაცია, პარალელურ ტესტთა მეთოდი /ორი ტესტით მსგავს პიროვნებათა გამოცდის შედეგების ურთიერთთან კორელაცია/, ექსტრემული შემთხვევების შემოწმების ჩატარება.

ვარიაციის მოძღვრება — დიფერენციული ფს-გიის ნაწილი. შეისწავლის ად-ნის ერთი და იმავე ნიშნის ან თვისების ცვალებადობას სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ-ის დაკმაყოფილების შედეგად მიღებული განცდა ყოველთვის ამბივალენტური ხასიათისაა.

ვოლუნტარიზმი /ლათ. voluntas – ნებისყოფა/ – ფილოს-ში იდეალისტური მიმართულება, რ-ის თანახმად ნებისყოფა ერთგვარ სულიერ საწ-ყისს, დასაბამს წარმოადგენს, რ-იც საფუძვლად უდევს რ-რც ფიზ. ისე ფს-კურ მოვლენებს /ა. შოპენჰაუერი/.

ფს-გიაში ვ. გულისხმობს, რომ ფს-კური მოვლენათა მიმდინარეობაში ძირითადია და წამყვანი ნებელობის პროცესი; ის არ დაიყვანება წარმოდგენათა ასოციაციაზე. იგი თავისებური ფს-კური ფენომენია, რ-იც უდევს საფუძვლად და განსაზღვრავს ფს-კის მიმდინარეობას /ვ. ვუნტი/. ფს-გიური ვ. თავისი არსებით ფილოსოფიურ-იდეალისტური კონცეფციის გამოძახილია.

ზ

ზანდერის ილუზია – ოპტიკურ-გეომეტრიული ილუზიის ერთ-ერთი სახე. დაადგინა ფ. ზანდერმა: ერთი და იმავე სიგრძის დიაგონალი დიდ-პარალელოგრამში უფრო დიდად გვეჩვენება, ვიდრე პატარა პარალელოგრამში. /ინ. ხახ. 8/.

ნახ. № 8

„ზე–მე" /გერმ. Über -Ich/ – ფროიდის მიერ შემოტანილი ცნება ფსიქოანალიზში. ფროიდის შეხედულებით, ად-ნის ფს-კის ფენობრივ აგებულებაში „ზე-მე" - ს უკავია ცნობიერი „მე" - ს ყველაზე ზედა ფენა; იგი ეთიკურ–მორალური პრინციპების ერთობლიობაა, სუბ-ის ყველაზე მაღალზნეობრივი მოთხოვნილებების ცნობიერებაა. „ზე–მე" მიღებულია პიროვნების უმაღლეს ინსტანციად – სინდისად. იგი კარნახობს ცნობიერ „მე"-ს ამ მაღალი ინსტანციიდან და განსაზღვრავს, თუ რომელი თავისი სურვილი, განზრახვა თუ ქცევაა სუბ-სთვის მისაღები და რომელი – მიუღებელი. „ზე–მე" ყოველთვის თვითკრიტიკულადაა განწყობილი, მეთვალყურეობს „მე"-ს მოქმედებას, რომ მან თავი დაიცვას „არაცნობიერი" „იგი" – ფენის იმპულსებისაგან, არ დაუშვას დაბალი, არაცნობიერი შინაარსების /ლტოლვებისა და სურვილების/ რეალიზება. ფროიდის მიხედვით, „ზე–მე"-ს ჩასახვა და განვითარება ადრეულ ბავშვობის ასაკიდან იწყება.

ზოგადი გონიერება იხ. გონიერება.

ზოგადი ფსიქოლოგია 1. ზ. ფ. შეისწავლის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებას. 2. ადამიანის ზოგადი ფსიქოლოგია – ფს-გიის ფუძემდებელი დარგი. შეისწავლის: ზრდადამთავრებული, ნორმალური ადამიანის სულიერი ცხოვრების ფუნქციებს და მათი მოქმედების ზოგად კანონზომიერებებს /იხ. ფსიქოლოგია/.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი წარმოდგენა — შეიცავს საგნის ისეთ ზოგად ნიშნებს, რ-იც ამ საგნის სხვა ცვალებად ნიშანთა შორის მუდმივადაა განცდაში მოცემული. მაგ. წრეხაზის ზოგად წარმოდგენაში ყოველთვის დაცულია მისი თვალსაჩინო ნიშანი სიმრგვალე, ხოლო მისი სიდიდე და ფერი, რ-ებიც სხვადასხვა პირობებში შეიძლება განსხვავებული იყოს— ზ. წ-ში არ განიცდება. ზ. წ. ყოველთვის თვალსაჩინოდ მოცემული შინაარსის განცდაა, იმ დროს, როცა ცნება წარმოადგენს მხოლოდ აზრს საგნისათვის დამახასიათებელ ნიშანთა შორის არსებული მიმართების შესახებ. ამიტომ თავისი შინაარსით ცნება ყოველთვის აბსტრ-ია; ზ. წ-ის შინაარსი კი თვალსაჩინოა და მოკლებულია იმ გარკვეულობას, რ-იც ცნებას ახასიათებს, რ-რც აზრს საგნის ნიშნების შესახებ. ზ. წ-ის გაიგივება ცნებასთან, რ-გორც ეს მიღებული იყო ასოციაციურ ფ-გიაში, ფაქტობრივად უკანონოა.

აზროვნების განვითარების დაბალ საფეხურზე, — სკოლის წინარე ასაკში, აგრეთვე პრიმიტიულ ხალხთა თვალსაჩინო-ხატოვან აზროვნებაში, — ზ. წ. „ცნების ფუნქციურ ეკვივალენტს“ წარმოადგენს, აქ იგი ცნების მაგივრობას სწევს.

„ცნების ფუნქციური ეკვივალენტი“, აზროვნების განვითარებაში, წინუსწრებს ცნებით აზროვნებას /დ. უზნაძე/.

ზოოფსიქოლოგია /ბერძ. Zöon — ცხოველ/ — იხ. ცხოველთა ფსიქოლოგია.

თ

თავისუფალი ასოციაციის მეთოდი —იხ. ასოციაციური ექსპერიმენტი.

თამაში — ქცევის ერთ-ერთი ფორმა, სიამოვნების გრძნობასთანაა ყოველთვის დაკავშირებული. ცხოველთა სამყაროში თ. განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე წარმოიშობა. თ. არის „თავისებური, დამოუკიდებელი ქცევის ფორმა, რ-იც ად-ნის ბ-ვობის ხანას უდევს საფუძვლად“ /დ. უზნაძე/. თამაშობს ზრდადამთავრებული ად-ნიც, მაგრამ დამახ. ბ-ვობის ასაკისათვის; იგი ამ ასაკში ქცევის გაბატონებული ფორმაა; ბ-ვობის ხანა თ-ის ხანადაა ცნობილი. ამიტომ თ-ის პრობლემა, პირველ რიგში, ბ-ვის თ-ს გულისხმობს.

თ-ის სიუჟეტი გარესინამდვილის შინაარსებია, ბ-ვის ცნობიერებაში ფანტასტიკურად გარდაქმნილი და სახეშეცვლილი; მაგ. ჯოხი — ცხენია, ხის ნატეხი ან ქვის კენჭი—დედოფალა, ხის ჩხირები — მეომრები და ა. შ. თ-ში „ყველაფერი ყველაფრად შეიძლება გარდაიქმნას“ /დ. უზნაძე/. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს გარდაქმნილი სახეები ბ-ვს სინამდვილედ მიაჩნდეს, არა, მან კარგად იცის, რომ ჯოხი — ჯოხია და არა ცხენი; სინამდვილის ფანტასტიკური სახეები მხოლოდ თ-შია ასეთი ილუზორული. ბ-ვის თ. ძირითადად — ილუზიის თ-ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშის თეორიები — თამაშის მთავარი თეორიები: **ჰ. სპენსერი:** ბ-ვს უგროვდება ენერგიის მარაგი, ის განტვირთვას მოითხოვს, თ—ში ენერგიის ამ განტვირთვას ემსახურება. **კ. გროსი:** თამაში ცხოვრებისთვის საჭირო ძალებს წვრთნის, ამზადებს ად-ნს მომავალი სერიოზული ცხოვრებისთვის. **კ. ბიულერი:** თამაში ფუნქციური სიამოვნების წყაროა, ფუნქციის მოქმედება თავისთავად იწვევს სიამოვნების განცდას და ამიტომაა რომ ბ-ვი თამაშობს. **სტენლი ჰოლი:** სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე ბ-ვს უჩნდება ის ტენდენციები, რ-იც გაიარა კაცობრიობამ განვითარების გზაზე; თამაში იმეორებს კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარების განვლილ საფეხურებს. **ვ. შტერნი:** თამაში მარტო ბიოლოგიურ მიზანს არ ემსახურება, იგი მთელ ად-ნს ასახავს ყველა იმ ტენდენციით, რ-იც მას აქვს. ად-ნი ფენობრივი აგებულებისაა, მას აქვს რ-რც წარსულის, ისე მომავლის ფენა. ყოველი ფენა თავისი ტენდენციების გამოვლენისკენ ისწრაფვის და ეს ტენდენციები თამაშში პოულობენ თავის განსახიერებას. **ზ. ფროიდის** ვარაუდით თამაშს სექსუალური ტენდენციები განსაზღვრავენ. **დ. უზნაძის** თეორიით თამაში „ფუნქციური ტენდენციის" გამოვლინებაა. ამ თეორიის თანახმად კი ფუნქციობის აქტივობის იმპულსი თვით სამოქმედო ძალებშია თავიდან მოცემული ტენდენციების სახით, რ-ის მიხედვით, თუ ძალა არსებობს ის კიდეც უნდა აქტივობდეს, ფუნქციობდეს, როცა მას ამის შესატყვისი პირობები შეხვდება.. ასეთი აქტიობა ცოცხალი ორგანიზმის ბუნებრივი მდგომარეობაა. თამაში ერთი ასეთი პირობაა, სადაც აქტივობისაკენ მიმსწრაფი ძალები პოულობენ თავის რეალიზაციას. სამოქმედო ძალები კი ად-ნს მემკვიდრეობით ეძლევა. ამ ძალებიდან ზოგი ბ-ვის განვითარების მოცემულ საფეხურზე საჭიროა და ფუნქციობს, ზოგი კი ამ პერიოდში გამოყენებას მოკლებულია, მაგრამ ისინი მოქმედებისკენ სპონტანურად ისწრაფვიან, რადგან მათი მოქმედების იმპულსი მათშივეა თავიდან ჩადებული და ისინი/ თამაშში პოულობენ თავის რეალიზაციას. აქედან გასაგებია, თუ რატომ თამაშობს ბ-ვი ან ზრდადამთავრებული ად-ნი. ამის პირობას „**ფუნქციობის მოთხოვნილებით**" /ტენდენციით/ გამოწვეული აქტივობა შეადგენს. **დ. უზნაძის** თამაშის თეორია ადვილად ხსნის თამაშის პრობლემის ძირითად სიძნელეებს, სახელდობრ, თუ რატომ თამაშობს ზრდადამთავრებული ად-ნი, რ-საც გაუნაღდებელი ენერგიის მარაგი არ აწუხებს, რადგან ის მას არა აქვს, ან რატომ აღიძვრის თამაშში შესატყვისი სამოქმედო ძალები, ან რატომ არის ის ყოველთვის ფუნქციურ სიამოვნებასთან დაკავშირებული.

თანაგავარჯიშება — იხ. ტრანსპოზიცია.

თანატოსკომპლექსი /ბერძ. thanatos — სიკვდილი; ბერძ. მითოლოგიაში: სიკვდილის ქაღლმერთ ნიკტის შვილი, ძილის ღმერთის, ჰიპნოზის ტყუპის ცალი/ —რთული კონფლიქტური განცდა: სიკვდილისაკენ ლტოლვა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწრაფვა – რ-საც სიცოცხლისადმი სწრაფვა უპირისპირდება.

თანატომანია – სიკვდილის შიში გადასული მანიაში.

თანატოტროპიზმი – აჩემება ზოგი ად-ნის მიერ, რომ ის გარკვეული ავად-ობით მოკვდება /ასახელებს ავად-ს/.

თანატოფობია – სიკვდილის შიში.

თანდაყოლილი თვისება – რაიმე ნიშნის /ფს-ცურის ან ფიზ./ მოცემულობა დაბადებიდანვე. მემკვიდრეობითი თვისებები ყველა თანდაყოლილია, თუმცა შეიძლება თ. თ. /ნიშანი/ ცოცხალი არსების დაბადებიდანვე არ გამოვლინდეს. არც ყოველი თანდაყოლილი ნიშანი არის მემკვიდრეობითი. ზოგჯერ ახალდაბადებულს თან დაჰყვება არამემკვიდრეობითი ნიშანიც, მაგ., კოპლობა, ან სიყრუე, ამის მიზეზია სომატურ აპარატში ემბრიონალური განვითარების პერიოდში მომხდარი ცვლილება, ან რაიმე ფიზ. დაზიანება დაბადებასთან დაკავშირებით.

თანდაყოლილობა გულისხმობს რაიმე ნიშნის თანხლებას ახალდაბადებულის თვის დაბადებიდანვე. საპირ. „შეძენილი" ე. ი. ისეთი ნიშანი ან თვისება, რ-იც წარმოიშობა გამოცდილების საფუძველზე და მემკვიდრეობით არ გადადის.

თანამიმდევარი კვალი – იხ. მხედველობის თანამიმდევარი კვალი.

თატი – იხ. თემატური აპერცეფციის ტესტი.

თემატური აპერცეფციის ტესტი – /თატი/ – „პროექციული მეთოდის" ერთ-ერთი სახე. ფს-გიაში შემოტანილია ამერიკელი ფს-გის ჰ. მურეის /N. A. Murreay/ მიერ. წარმოადგენს პიროვნების კვლევის ტესტს. ცპ-ს ეძლევა სურათების სერია, ევალება შეადგინოს თითოეული სურათის სიუჟეტი, გაარკვიოს რა ხდება სურათზე, რ-რია ურთიერთობა სურათზე დახატულ ად-ნთა შორის, რას აკეთებენ და განიცდიან ისინი, ე. ი. ცპ-ს ეძლევა გარკვეული თემა, რ-ის შესახებაც მან უნდა ააგოს მოთხრობა. თ. ა. ტ. ვარაუდობს, რომ ამ მოთხრობაში სუბ. თავის შინაგან სამყაროს გამოაცენს: თავისი სურვილების, ინტერესების, დაფარული განცდების პროექციას მოახდენს. მიღებული მასალის ფს-გიურმა ანალიზმა უნდა გამომაჟღავნოს სუბ-ის მიერ პროექცირებული განცდები, მისი პიროვნული თვისებები. /იხ. პროექციული მეთოდი, რორშაზის ტესტი/.

თვალსაჩინო /ხატოვანი / აზროვნება – აზროვნების ერთ-ერთი სახე; გვხვდება ად-ნის რ-რც ონტოგენეზური განვითარების, ისე ფილოგენეზური განვითარების დაბალ საფეხურზე.

თ. ა. განსხვავდება პრაქტიკული აზროვნებისაგან; პრაქტიკული აზროვნება განვითარების უფრო დაბალ საფეხურს წარმოადგენს და ჯენეტიკურად წინ უსწრებს თ. ა. იგი მოქმედებაშია ჩართული, მაგრამ წინ არ უსწრებს მოქმედებას და მოქმედებით ხორციელდება. თ. ხ. ა. კი მეტყველებასთანაა დაკავშირებული, ამიტომ წინ უსწრებს მოქმედებას და წარმოდგენებით ანუ თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩინო ხატებით ხორციელდება /დ. უზნაძე/. თ. ხ. ა. განსხვავდება აგრეთვე ლოგიკურ–ვერბალური ანუ ცნებითი აზროვნებისაგან. ლოგიკურ–ვერბალური აზროვნებაც მეტყველებასთანაა დაკავშირებული, წინ უსწრებს მოქმედებას, მაგრამ თ. ხ. ა-ისაგან იმით განსხვავდება, რომ სიტყვებში ცნებები ანუ აბსტრ-ული, არათვალსაჩინო შინაარსებია მოცემული /იხ. ლოგიკურ–ვერბალური აზროვნება/. თ. ხ. ა-ის თავისებურება ნათლადაა გამოხატული პრიმიტიული ად-ნის მეტყველებაში: ეს უკანასკნელი ზოგადის აღმნიშვნელ სიტყვებს არ შეიცავს; ყოველი სიტყვა კონკრეტული საგნის, მოვლენის და მოქმედების ხატს აღნიშ-ნავს, მაგ., ზოგი პრიმიტივის მეტყველებაში საზოგადოდ თოვლის აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობს: თოვლი, რ-იც მოდის, ერთი სიტყვით აღინიშნება, რ-იც მიწაზე დევს – სხვა სახელით და, რ-იც დნება კიდევ სხვა სახელით. ამრიგად პრიმიტიული ად-ნის სიტყვაში ზოგადი კი არ იაზრება, არამედ კონკრეტული თვალსაჩინო ხატი. თ. ხ. ა-ში ერთგვარ განზოგადებას მაინც აქვს ადგილი, მაგრამ არა ნამდვილი ლოგიკური აბსტრაისა და განზოგადების საფუძველზე, მაგრამ მაინც ერთგვარი თვალსაჩინო „ფიგურაციის“ სახით, როცა სიტყვაში აისახება საგნის არა ცალკეული ნიშანი ანუ თვისება სხვა ნიშნებისგან გამოყოფით, არამედ სხვა საგნის ის ხატი, რ-თანაც ეს ნიშანია დაკავშირებული. ზოგი პრიმიტიული ტომის ენაში ნიშან „შავს“ თავისი საკუთარი სახელი არ გააჩნია და მას ჩვეულებრივ იმ საგნის სახელი ჰქვია, რ-იც პრიმიტივის ცნობიერებაში მხოლოდ სიშავის ნიშნითაა წარმოდგენილი; ასე მაგ., პომერანიის მცხოვრებნი თვისება „შავს“ ყვავის სახელს „ოტკოტს“ უწოდებენ და „წითელს“ სისხლის სახელით „გაბით“ აღნიშნავენ /დ. უზნაძე/. ასეთ თ. ხ. ა-ს, სადაც საგანი არ არის გაანალიზებული მისი ცალკეული ნიშნების მიხედვით, ე. ი. სადაც ნიშნები საგნისაგან ა. ბ. **ს ტ რ ა ქ ი რ ე ბ უ ლ ი** არაა, სხვანაირად „სინკრეტულ აზროვნებასაც“ უწოდებენ. /იხ./.

თვითდაკვირვება /ინტროსპექცია/ – საკუთარ განცდაზე დაკვირვება. ფს-კურ მოვლენათა კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. ფ-ის მეთოდი ორნაირია – 1. **პირდაპირი დაკვირვება**, როცა მკვლევარი ფს-ლოგი საკუთარ განცდებზე ახდენს დაკვირვებას და 2. **არაპირდაპირი დაკვირვება**, როცა მკვლევარი ფს-გი სხვების თ-ის მასალით სარგებლობს. თ-ის მეთოდს თან ახლავს შემდეგი სიძნელეს:

1. მკვლევარი ფს-გი რომ „სხვათა თვითდაკვირვების“ ჩვენებებითაც სარგებლობს, ეს ჩვენებები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სანდო, თუ სხვა სუბ-ებს ეხერხებათ საკუთარი განცდების ზუსტი ფს-გიური სრული სიტყვიერი აღწერა, და ამასთანავე, – თუ თვითონ ფს-გსაც შესწევს უნარი ადეკვატურად წვდეს ამ სხვათა სიტყვიერ აღწერას. თ-ის მეთოდის ნაკლად ნაგულისხმებია ის, რომ განცდის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესის ადეკვატური სიტყვიერი აღწერა, მისი სრული ვერბალიზაცია საერთოდ ძნელია, და მკვლევარ ფს-გსაც არ აქვს საშუალება „სხვათა აღწერებში“ სწორედ ის იგულისხმოს, რაც ნამდვილად განცდისათვის უნდა იყოს დამახ.

2. თ. თავისთავად ძალზე რთული პროცესია და ამიტომ იგი ხელს უშლის ისეთი განცდების შესწავლას, რ-რიცაა რთული ფს-კური მოვლენები – აზროვნება, ნებელობის პროცესები, ემოციები და აფექტები /შიში, მწუხარება, რისხვა და სხვა/; თ. სახეს უცვლის, არღვევს ამ განცდების ბუნებრივ მიმდინარეობას და ზოგ მათგანს კი სრულია - დაც სპობს, მაგ., როცა მწუხარებას განვიცდით, ჩვენ იმ ობიექტური ვითარებისაკენ ვართ მიმართული, რ-იც ჩვენში მწუხარებას იწვევს, და უკანასკნელი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტად ვაფიქსირებთ მწუხა - რების გაძლიერებას მიზეზს. მაგრამ თუ ამ დროს ყურადღებას სამწუხა - რო ვითარებიდან თვითონ მწუხარების განცდაზე გადავიტანთ, შევამჩნევთ, რომ ჩვენი მწუხარება შენელდა, შესუსტდა – და ზოგ შემთხვევაში თუ გონებრივ-შემეცნებითი ანალიზი გავაგრძელეთ, იგი კიდეც ისპობა.

აღნიშნული სიძნელეების დაძლევა – საგსებით ან ნაწილობრივ შესა - ძლებელი ხდება: ა/სუბ-ის მიერ საკუთარი განცდების ზუსტი და ყო - ველმხრივ ამომწურავი „სიტყვიერი აღწერა“ და მკვლევარ ფს-გის მხრივაც ამ აღწერის ადეკვატურად გაგება ადვილი რომ არაა, ეს უდა - ვოდ სწორია, მაგრამ დაუძლეველ სიძნელეს იგი მაინც არ წარმოად - გენს. საქმე ისაა, რომ „სხვათა /მრავალი ცკ-თა/ თ-ის სიტყვიერ ჩვე - ნებებს“ მკვლევარი ფს-გი უკრიტიკოდ არ|იღებს; იგი მათ მკაცრი ვე - რიფიკაციის მბრძმედში ატარებს, აანალიზებს თითოეულ ჩვენებას, სა - ჭიროებისამებრ დამატებით ცდებსაც ატარებს, ეძებს ამ მრავალ ჩვე - ნებებს შორის ისეთებს, რ-ებშიც შესასწავლი განცდის ერთნაირ ნი - შან-თვისებებზეა სიტყვიერად მითითებული და, ამასთანავე, დანარ - ჩენ ჩვენებებთან შედარებით, დომინანტურიცაა. ერთი სიტყვით, თვით - დაკვირვების ჩვენებები ანუ განცდათა სიტყვიერი აღწერის ზედმიწევ - ნითი კრიტიკული ანალიზი და მათ შორის „ტიპური|ჩვენებების“ მიგნება შესაძლებლად ხდის მცდარი ჩვენებების აცილებას.

ბ/ რაც შეეხება თვითდაკვირვების მეორე ნაკლს, რომ იგი ხელს უშლის განცდის შესწავლას, თანამედროვე მეცნიერული ფს-გია არც ამ დებულებას იზიარებს და გარკვეულ ფარგლებში თ-ს მაინც ღირებულ მე - თოდად თვლის. შეხედულება, რ-იც ფს-გიაში მითითებული ნაკლის შესა - ხებ არსებობს, საერთოდ ასეთია: თ-ას შეუძლია უარყოფითად იმოქმე - დოს შესასწავლ განცდაზე / შეასუსტოს, შეცვალოს ან სრულიად აღ - კვეთოს იგი/, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, თუ სუბ-ის მი - ერ თავის განცდაზე დაკვირვებისას ერთდროულად ამ განცდის გამომ - წვევი გამღიზიანებელიც აქტიურად მოქმედებს, ისეთ შემთხვევაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სუბ-ს ყურადღება მოქმედი გამღიზიანებლიდან თვითონ განცდაზე გადააქვს, უკანასკნელი უთუოდ უნდა შეიცვალოს, დაირღვევა და, მაშასადამე, თ-ბის ცნობებიც არასანდო უნდა აღმოჩნდეს.

მაგრამ ირკვევა, რომ თ-ის სხვა გზაც არსებობს, რ-აც აღნიშნულ ნაკლს /თ-ის უარყოფით გავლენას შესასწავლ განცდაზე/ თავიდან იცილებს.

თანამედროვე ფს-გიაში საყოველთაოდ ცნობილია და ექსპერ-ადაც დამტკიცებულია, რომ განცდა, რ-აც რა თქმა უნდა, გარე, გამღიზიანებელი იწვევს, უკანასკნელის აღკვეთისთანავე კი არ ისპობა, არამედ ერთგვარი „**უშუალო მოგონების**" სახით იგი კარგახანს ამ გამღიზიანებლის შემდეგაც განაგრძობს არსებობას; და ამასთანავე, დადასტურებულია ისიც, რომ ყოველი განცდა, რ-იც „უშუალო მოგონებაში" გვეძღევა, ფაქტობრივად ისეთივე ცხადი, გამოკვეთილი და უბარეზოა, რ-რიც იგი გამღიზიანებელთან თანხლების პირობებში შეიძლებოდა ყოფილიყო; და აი, სწორედ განცდის ამ „**უშუალო მოგონების**" ფაქტში ხედავენ იმ „ხერხს", რ-იც საშუალებას იძლევა განცდაზე თ. დაუბრკოლებრივ ეაწარმოოთ. სახელდობრ თუ ობიექტური გამღიზიანებლის აქტური მოქმედების პირობებში განცდაზე დაკვირვება შეუძლებელია, რადგანაც გამღიზიანებელ თავისკენ იპყრობს სუბ-ის ყურადღებას, „უშუალო მოგონებაში" მოცემულ განცდაზე დაკვირვებისათვის ეს დაბრკოლება აღარ არსებობს. აქ სუბ-ს მხოლოდ განცდა ეძღევა /უგამღიზიანებლოდ!/ და მას უკვე ხელს აღარაფერი არ უშლის, ამ განცდას— თუმცა კი მოგონებაში მოცემულს, მაგრამ მაინც წინანდებურად ცხადსა და გამოკვეთილს, — ზედმიწევნით დააკვირდეს, ყველა მის ნიშან-თვისებას წვდეს და დაწერილებით აღწეროს იგი. ერთი სიტყვით, განცდის უშუალო მოგონების წყალობით თ. თავიდან იცილებს იმ ძირითად სიძნელეს, რ-აც იგი უთუოდ ვერ დაძლევდა, რომ თვითონ განცდის „უშუალო მოგონების", სახით არსებობა ფაქტი არ ყოფილიყო.

განცდის „უშუალო მოგონების" საფუძველზე წარმოებულ თ-ას „**უკუხედვითი**" ანუ „**რეტროსპექტული** თ-ის **მეთოდს**" უწოდებენ და ასეთია იგი ყველგან, სადაც კი ამა თუ იმ განცდის შესწავლის საკითხება ჩნდება. რა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერულ ფს-გიაში ად-ნის ფს-კის შესასწავლად სხვა მეთოდებსაც იყენებენ /ე. წ. ობიექტურ მეთოდებს/, მაგრამ კერძოდ თ. „**პირველი მისადგომია**" ფს-კურ სინამდვილეში შესაღწევად და ამ სინამდვილის ყოველი სხვა /ობიექტური/ მეთოდით კელევა მხოლოდ მასთან თანამშრომლობით შეიძლება იყოს ნაყოფიერი.

თვითდაკვირვება, როგორც ფსიქოლოგიის მეთოდი —ფს-გიის ძირითად მეთოდად აღრე თ-ის მეთოდი ითვლებოდა. ამ კონცეფციამ თავიდანვე განსაზღვრა ფს-გიის საგნის, როგორც მეცნ-ის გაგება, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირიქით, ფს-გიის საგნად ცნობიერების პროცესების აღიარებამ განსაზღვრა ფს-გიის კვლევის ძირითადი მეთოდის სპეციფიკა. თუ ფს-გია ჩვენი ცნობიერების პროცესების მიმდინარეობას შეისწავლის, ამის საუკეთესო მეთოდად ამ პროცესებზე დაკვირვება უნდა ჩაითვალოს ან აქტუალურად — მათ მიმდინარეობაში, ან კიდევ რეპროდუქციულად, იმის შემდეგ, რაც მათი აქტუალობა დამთავრდა.

თუ ყველა ფს-კური პროცესი ამა თუ იმ სახის ცნობიერების მოელენად მივიჩნიეთ და შემეცნების და ნებელობის პროცესად დავსახეთ, მაშინ თ-ის მეთოდის ძირითადი მნიშვ-ის დებულება ფს-გიაში, მარ-თლაცდა უდავოდ უნდა იქნეს მიღებული. ამ თვალსაზრისმა საკმაოდ დიდხანს განაპირობა ფს-გიის ბედი. პირველი ცდა გაენთავისუფლებინა ფს-გია ამ კონცეფციის გაბატონებული გავლენისაგან, ეკეთვნის ბიპეევიორიზმს, რ-მაც თ-ის მეთოდთან ერთად, უარყო თვით ჩვენი ფს-კის მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობის იდეაც.

ჩვენი მეცნიერების მიღწევათა კრიტიკულმა ანალიზმა ნათელი გახადა, რომ შეიძლება გავიდეთ ცნობიერი ფს-კური პროცესების საზღვრებიდან და დავუშვათ არსებობა ცნობიერებისწინარე ფაქტებისა /досознательных фактов/, რ-ბიც დიდ როლს ასრულებენ ად-ნის სიცოცხლეში. სულიერი ცხოვრების ამ ცნობიერებისწინარე სფეროს ჩვენ განწყობის სფეროდ მივიჩნევთ. იგი ავლენს მკვლევარის წინაშე სუბ-ის ქცევის განმსაზღვრელ კანონზომიერებათა რიგს. ფს-კურ მოვლენათა ასეთი გაგება უკარგავს თ-ას უპირატეს მდგომარეობას ფს-გიაში და ეს უკანასკნელიც იმ მეცნიერებათა წრეს ერთვის, რ-იც თავის მიღწევათა ობიექტურ დასაბუთებას ესწრაფვის. თ-ას რჩება იმ პროცესების კვლევა, რ-ბმაც უკვე განიცადეს ობიექტივაციის ზეგავლენა. (დ-უზნაძე, მისი არქივიდან).

თვითმომსახურება, როგორც ქცევის ფორმა — იხ. ქცევის ესტეროგენური ფორმები.

თვითშთაგონება — იხ. შთაგონება.

თვისება /ატრიბუტი, კვალიტეტი/ — ის, რაც მოელენისთვის /საგნისთვის/ „თვისია", მას ეკუთვნის, მისი ნიშანია, რ-ის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია.არ არსებობს უთვისებო საგანი ან მოვლენა; საგნის არსებობა მის თ-ებში ვლინდება. ყოველი საგანი თ-თა ისეთი ერთობლიობაა, რ-საგან რომელიმე ცალკე თ-ის გამოყოფა მხოლოდ აბსტრ-ის გზით არის შესაძლებელი; საგნის გარეშე ცალკე განხილული თ. მხოლოდ აბსტრ-ის პროდუქტია. თ-ს ცალკე, უსაგნოდ არსებობა არ შეუძლია.

ფს-გიაში ად-ნის ზოგი თ. შეიძლება მისთვის დამახ. იყოს საზოგადოდ, რ-რც ად-ნისთვის, ე. წ. ზოგადადამიანური თ. /მეტყველება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა და სხვა/. ზოგიც მხოლოდ გარკვეული ინდივიდის კუთვნილება შეიძ-ლება იყოს, მაგ., შურიანობა, სიკეთე, გულუხვობა და სხვა. ხასიათ-ის და ტემპერამენტის თ-ები, რ-რც წესი ყველა ინდივიდუალური თ-ებია.

ი

„იგი" /ლათ. id, გერ. es/ - ფროიდის მიერ შემოტანილი ცნება ფს-გიაში, ეწოდება სუბ-ის ფს-კურ „სიღრმით ფენებში" ყველაზე ძველ, დაბალ, არაცნობიერ ფენას. „იგი" - ფენა გაუცნობიერებელი ლტოლვებ-ის და სურვილების სამყოფიდ. „იგი" ფენაში ჩაძირულია „განდევნილი განცდები". ისინი კომპლექსის სახით ზემოქმედებენ ცნობიერებაზე და განსაზღვრავენ მის მოქმედებას და მიმდინარეობას. „იგი" ფენა, ფროიდის თეორიით, მძაფრ კონფლიქტურ მიმართებაში იმყოფება სხვა ცნობიერ ფენებთან - „მე" და „ზე-მესთან". /იხ. კომპლექსი, განდევნილი განცდა/.

იდეა - /ბერძ. idea - გამოსახულება, წარმოდგენა, ცნება/ - ფს-გიაში „ი-ს წარმოდგენად თვლიან. ლაპარაკობენ ი-თა ასოციაციაზე, თანდაყოლილ ი-ებზე /ძველი ფს-გია/, ბოდვით ი-ებზე, „ი-თა ქარიშხალზე" /ფსიქიატრია, ფსიქოპათოლოგია/. ამ შემთხვევაში ი-ის ქვეშ წარმოდგენას გულისხმობენ. მაგრამ წარმოდგენასა და ი-ს შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. წარმოდგენა უფრო ვიწროა და ინდივიდუალური შინაარსისაა, ი-ს კი მეტი ზოგადობა ახასიათებს. ეს არსებითად მეტყველებასთანაა დაკავშირებული, ვერბალურ სტიმულაციას ემორჩილება. დ. უზნაძის აზრით, განწყობის ასპექტით, წარმოდგენასა და ი-ს შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. „წარმოდგენა, ჩვეულებრივ, იმავე პირობებში აღმოცენდება, რ-რც აღქმა. იგი აქტუალური განწყობ-ის პროდუქტია. ი-ის შესახებ ეს არ ითქმის. თავისი აღმოცენებისათვის იგი ობიექტივაციას გულისხმობს. იმისათვის, რომ სუბ-ს ი. გაუჩნდეს, წინასწარ ობიექტივაციის აქტია საჭირო... წარმოდგენა და ი. ორი თვალსაჩინო განსხვავებული ფს-გიური კატეგორიაა" /დ. უზნაძე/.

მეცნ-ში ი. იხმარება ძირითადი პრინციპის, დებულების, სახელმძღვანელო აზრის მნიშვ. მხატვრულ ლიტერატურაში - ნაწარმოების დედააზრის, ავტორის ჩანაფიქრის გაგებით.

იდეათა ასოციაცია - ასოციაციურ ფს-გიაში იგივეა, რაც წარმოდგენათა ასოციაცია /იხ. ასოციაცია წარმოდგენათა/.

იდეათა ქარიშხალი - დამახ. ურთიერთდაკავშირებული სახეების, იდეების სწრაფი მიმდინარეობა, აჩქარებული ასოციაციები, შეუჩერებელი მეტყველება. ჩნდება სუბ-ის ძლიერი აგზნების, ეგზალტაციის მდგომარეობაში. თან სდევს მანიაკურ ფსიქოზს.

იდეალი - წარმოშობილია სიტყვა „იდეა"-დან. - გულისხმობს: იმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსის სრულქმნილ სახეს, რ-ის განხორციელებისკენაც არის ადამიანის მისწრაფება მიმართული: |მისაბაძი ნიმუში, რ-იც ყველაზე სასურველად და უკეთესად ასახავს იდეას, მრწამს, მისწრაფების მიზანს. ყოველ მოქმედ ერთეულს აქვს თავისი|ი. მაგ., მეცნ-ის ი-ად ითვლება ეეშმარიტება, ეთიკისა–ზნეობრივი სრულქმნა, სიკეთე; ესთეტიკისა – მშვენიერების ასახვა. |ი" დასახული აქვთ ავრეთვე ზეინდივიდუალურ ინსტიტუტებსაც, მაგ., საზოგადოებას, კლასს, სახელმწიფოს, კაცობრიობას; შეიძლება ვილაპარაკოთ ავრეთვე ეპოქის|ი-ზეც და სხვა. ყოველ ად-ნს თავისი |ი. აქვს, სხვისგან განსხვავებული, რ-იც მისი მოქმედების მიზანს განსაზღვრავს და მისი სიცოცხლის აზრს შეადგენს.

იდეალიზმი – ფილოს-ში მიმდინარეობა, რ-იც წინააღმდეგ მატერიალიზმისა, პირველად მოცემულად და ერთადერთ რეალობად იდეას, ცნობიერებას, გონს, სულს, ფს-კას მიიჩნევს, ხოლო მატერიალურ სამყაროს, ბუნებას მეორეულ მოვლენად თვლის. მისი შეხედულებით ერთადერთი სინამდვილეა ობიექტურად არსებული „აბსოლუტური იდეა", ცნობიერება, გონი, სული /ობიექტური იდეალიზმი გ. ჰეგელი/.

იდეალური – იდეალის შესაბამისი, უნაკლო, სანიმუშო /იხ. იდეალი/.

იდეატორული აპრაქსია იხ. აპრაქსია.

იდენტურ გამლიზიანებელთა შეფერხება – იხ. რანშბურგის ფენომენი.

იდეომოტორული ანუ იდეორეალური კანონი – იგივე „კარპენტერის ეფექტი" /იხ/. ამ კანონის მიხედვით: „რ-იმე მოვლენის აღქმა, ან წარმოდგენა – იწვევს მისი შესრულების იმპულსს". ასეთია, უმრავლეს შემთხვევაში, აღქმული ან წარმოდგენილი მოძრაობები, რ-აც სუბიექტურებს იმავე სახით, რა სახითაც აღიქვა ისინი. მაგ., დამთქნარება, სიცილი, ტირილი, ცეკვა, ლაპარაკის მანერა და სხვ. მრავალი საყოფაცხოვრებო ჩვევა. მათი გამეორება სრულდება, ჩვეულებრივ, ცნობიერების გარეშე, ნებისყოფის ჩაურევლად. ეს კანონი მოიცავს: შთაგონების, ჰიპნოზის, იმიტაციის /მიბაძვის/ მოვლენებს. შეიმჩნევა, უფრო ხშირად, ბ-ვობის ასაკში, მნიშვნელობა აქვს სოც. ფს-გიაში, სადაც შთაგონება და მიბაძვა სოც. მოვლენათა განმსაზღვრელია.

იდიო /ბერძ. idios/– თავისი, თავისებური.

იდიოლალია /ბერძ./ ანუ ავტონომიური მეტყველება. –ბ-ვის მიერ შექმნილი საკუთარი მეტყველება. შეიმჩნევა ადრიან ბ-ვობის ასაკში /2–4 წ/, მალე ქრება და ბ-ვი იწყებს მის გარემოს შესატყვისს ენაზე ლაპარაკს. მაგ., ვ. შტერნის ქალიშვილი ჰილდა, სიტყვათა ბგერით შემადგენლობას ცვლიდა, ამახინჯებდა, მაგრამ მნიშვ-ს უტოვებდა. იგივე ფაქტი აღწერილი აქვს ო. იესპერსენს ტუუპებზე, |ი. სკუპინს და კ. შტუმფს საკუთარ შვილებზე. იესპერსენმა მას უწოდა „მცირე მეტყველება".

ეს ფენომენი შეიმჩნევა აგრეთვე სუსტგონებიანებთან.

იდიოპათური /ბერძ. idios – თავისებური pathos – ტანჯვა/ – იგულისხმება: პირველადი, სხვა ავადმყოფობაზე დაუყვანადი. დაავადება.

იდიოსინკრაზია /ბერძ. idios synkrasis – თავისებური შერევა/ – ალერგიის ერთ-ერთი სახე. ორგანიზმის თანდაყოლილი ზემგრძნობელობა გარკვეული გამღიზიანებლის მიმართ. ასეთი გამღიზიანებელი შეიძლება იყოს რაიმე საკვები, სუნი, საგანი და სხვა. მაგ., ზოგი ადამიანი ვერ იტანს მარწყვს ან ხენდროს, თუ ჯამა, – გამოაყრის ტანზე და ქავილი აუტყდება, – მას აქვს ი. მარწყვისადმი და ხენდროსადმი.

იდიოტია /ბერძ. idiotes – უვიცი, სულელი/ – თანდაყოლილი, ან ადრეულ ბ-ობის ასაკში შეძენილი ღრმა სუსტგონიანობა. გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ნაყოფის ან თვით დედის რაიმე დაავადება ნაყოფის განვითარების /ემბრიონულ / პერიოდში, ტვინის დაზიანება დაბადებასთან დაკავშირებით, ან თავის ტვინის დაავადება/ მენინგიტი, ენცეფალიტი/ დაბადებიდან პირველ ორ თვეში; აგრეთვე მძიმე მემკვიდრეობა /მაგ., სიფილისი და სხვა/. ი. არის მძიმე ფორმის გონებრივი განუვითარებლობა, ა. ბინეს მიხედვით: ი. ორი ან სამი წლის ბ-ვის გონებრივი განვითარების დონეს არ აღემატება. ი-ის დამახასიათებელი ნიშნებია: გონებრივი სიჩლუნგე, დროის, სივრცის, რიცხვის ცნებების უქონლობა, მოკლებულია ელემენტარული აზროვნების უნარს; მოტორიკა – შეზღუდული, უჭირს სიარული, თავის მოვლა არ შეუძლია, მეტყველება სრულებით განუვითარებელი. ინტერესი ორგანული მოთხოვნილებების ზევით არ ადის, შეგრძნება – შეზღუდული, ხშირად გაუკუღმართებული. წერა-კითხვის სწავლა არ შეუძლია, მარტივი პირობითი რეფლექსის განმტკიცება ჭირს. სტერეოტიპულად იმეორებს ერთსა და იმავე უაზრო მოქმედებას /თითის წოვა, ენის გამოყოფა, რაიმე წამოძახილის დაყენება/. ფიზ. აგებულება: დისპლასტიკური, მანკიანი, თავის ქალა ხშირად დეფორმირებული; დამოუკიდებელი ცხოვრება არ შეუძლია, საჭიროებს გამუდმებულ სოც. უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

იდიოტიპი – იგივეა, რაც გენოტიპი /იხ/.

იზოგენური /ბერძ. isos – თანაბარი, ერთგვარი და genesis – წარმოშობა/ – მსგავსის გაჩენა, მაგ., მემკვიდრეობაში გენოტიპურად მსგავსი შთამომავლობის წარმოშობა.

იზომორფიზმი /ბერძ. isos – ტოლი, ერთნაირი, morphē – ფორმა/ – გეშტალტთა ერთიანობა. ფს-გიაში ტვინის ფიზიოლოგიური პროცესებისა და შესატყვისი ფს-კური განცდის გეშტალტური ერთგვაროობა, ორივე მოვლენათა წყობის ურთნერობა. ეს აზრი, რ-რც ჰიპოთეზა, გეშტალტფსიქოლოგიაში ვ. კელერმა წამოაყენა „იზომორფიზმის" სახელწოდებით. მისი აზრით, „განცდის კონკრეტული წყობა ზუსტი გამეორებაა შესატყვისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიოლოგიური პროცესის წყობისა ტვინშიო". ეს იმას ნიშნავს, რომ განცდა და მისი ფიზიოლოგიური კორელატი – ორივე ერთნაირი აღნაგობისაა. უფრო მარტივად გაგებული ეს აზრი, რომ ყოველ ფს-კურ მოვლენას თავისი ნეიროფიზიოლოგიური პროცესი შეესატყვისება, ფს-გიაში გეშტალტფსიქოლოგიამდეც იყო ცნობილი /გ. ე. მიულერი, ე. მახი, გ. ფეხნერი და სხვანი/.

ილუზია /ლათ. illusio – დაცინვა, მოტყუება/ – გარეგამღიზიანებელი სინამდვილის დამახინჯებულად აღქმა, მცდარი აღქმა. გაგნსხვავებით ჰალუცინაციისაგან ი-ის გამომწვევი საგანი ყოველთვის ობიექტურადაა მოცემული.

სინამდვილის ილუზორული აღქმის მიზეზი სხვადასხვაგვარია:

1. ფიზ. ი-ას /წყალში ჩაშვებული სწორი ჯოხი გადატეხილად ან მოღუნულად გვეჩვენება/ აჩენს ფიზ. მოვლენათა/სხივების გადატეხა ჰაერში და წყალში/ მხედველობის ორგანოზე ზემოქმედება. 2. ფიზიოლ. ი-ას /მხედველობის ნეგატიური კვალი/ აჩენს მხედველობის ორგანოს გარკვეული თავისებურება /იხ. მხედველობის თანამიმდევარი კვალი/. 3. ფს-გიური ი-ის გამომწვევ მიზეზად ფს-კური ფაქტორია მიჩნეული. ფს-გიური ი-ის მრავალი სხვადასხვა სახეა ცნობილი: ა/ მხედველობითი ი. საგანთა ვრცეულობითი თვისებების აღქმასთან დაკავშირებული. ასეთია მაგ., ყველა „გეომეტრიულ-ოპტიკური ი. იხ. /შრედერის კიბის ი; ცელნერის ი; ჰერინგის ვარსკვლავისებური ი.; პოგენდორფის, ზანდერის, მიულერ-ლაიერის ი; სიდიდის კონტრასტული ი-ები და სხ./; ბ/ ი-ები დაკავშირებული მოძრაობის აღქმასთან, ასეთია მაგ., ტაუ-ფენომენი; ფი-ფენომენი; სტრობოსკოპული მოვლენა; ფაქტიურად უმოძრაო საგნების მოძრავად აღქმა და სხვა. /იხ. მოძრაობის ი-ები/. გ/დროის აღქმის ილუზიები: /მოლოდინის შემთხვევაში ხდება დროის გადაფასება, გვეჩვენება, რომ დრო ძალიან ნელა მიდის. შთაბეჭდილებათა სიმრავლე დროის ხანგრძლივობას ამოკლებს, შთაბეჭდილებათა სიღარიბე, პირიქით, დროის შეფასებას ახანგრძლივებს/ „სავსე დროის კანონს" ემორჩილება. /მხიარულად დროს გატარება ხანგრძლივობის განცდას ამოკლებს; მოწყენილობა, სევდიანობა, პირიქით, დროის განცდას ახანგრძლივებს/. დროის განცდა სუბ-ურობით ხასიათდება და სწორედ ეს სუბ-ურობაა დროის აღქმაში ი-ის წყარო /იხ. დროის აღქმა/.

გარდა მხედველობის შეგრძნებისა, ი-ები შეგრძნების სხვა მოდალობებშიც ჩნდება, მაგ., სიდიდის კონტრასტული ი. შეგრძნების ყველა მოდალობას ახას. ი. შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე მცდარი მოგონების /მეხსიერების/ საფუძველზეც. ასეთია მაგ., კარგად ცნობილი „უკვე ნახულის ილუზია" და „არასდროს არ ნახულის ილუზია" /იხ./

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწყობის ილუზია – /დაამუშავა და რ–რც მეცნ. კვლევის მეთოდი ფს-გიაში შემოიტანა დ. უზნაძემ/ ორი სახისაა: ასიმილაციური და კონტრასტული.

კონტრასტული ი. ექსპერ–ულ პირობებში: სიდიდეების ურთიერთშედარების მიზნით ცპ-ს ტაქისტოსკოპურად ორი წრის ნახაზი ეძლევა – მარჯვენა მხარეზეა დიდი წრე, ხოლო მარცხენა მხარეზე უფრო პატარა წრე. ამ თანამიმდევრობით წრეების განმეორებითი ჩვენება 10–15 - ჯერ /საგანწყობო ცდები/ ცპ-ს უქმნის მარჯვნივ დიდი წრის და მარცხნივ პატარა წრის დანახვის განწყობას. განწყობის ამ ფონზე ცპ-ს შესადარებლად აწოდებენ ორივე მხარეზე /რ-რც მარჯვნივ, ისე – მარცხნივ/ ერთნაირი სიდიდის წრეებს /კრიტიკული ცდები/. მარჯვნივ, სადაც სუბიექტს საგანწყობო ცდებში დიდი წრე ეძლეოდა, ცპ. ახლაც დიდს მოელის, მაგრამ წინააღმდეგ მოლოდინისა აქ ის წრეს უფრო პატარად დაინახავს. ვიდრე მის ტოლ წრეს მარცხენა მხარეზე. ცპ-ს გაუჩნდა კონტრასტული ი., ე. ი. დაინახა არსებულ განწყობაში ნავარაუდევი დიდი წრის კონტრასტი – პატარა წრე. კონტრასტული ი-ის გაჩენა, რ-რც ყოველი ი-ისა, საერთოდ, ხდება სუბიექტის ცნობიერი აქტივობის გარეშე. კონტრასტის ფენომენი ერთხანს მეორდება უცვლელად და სინამდვილის ადეკვატურ აღქმას /წრეების ტოლობის დადასტურებას/. ზოგჯერ თანდათან, ასიმილაციური ილუზიის მონაცვლეობით, ზოგჯერ კი პირდაპირ, უშუალოდ აღწევს.

დ. უზნაძის თეორიით კონტრასტული ი. ჩნდება, როცა არსებული განწყობა /ჩვენს შემთხვევაში საგანწყობო ცდებით შექმნილი „დიდი –პატარას" განწყობა/ ვერ ახერხებს ახალი სიდიდეების აღქმას, თავისთან ასიმილირებას, მაშინ ის /განწყობა/ ირღვევა და ადგილს უთმობს საწინ. განწყობას, რ–ლიც საწინ. ანუ კონტრასტულ ი-ას აჩენს. კონტრასტული ი. არსებითად ასიმილაციური ი-ის როლს ასრულებს, რადგან ასიმილაციის გზის გარდა სინამდვილის აღქმის სხვა გზა არც არსებობს.

ასიმილაციური ი.: საგანწყობო ცდაში ცპ-ს ეძლევა მარჯვნივ ოდნავ დიდი წრე, ვიდრე მარცხნივ. კრიტიკულ ცდაში მიწოდებულ ტოლ სიდიდეებს ის აღიქვამს განწყობის შესატყვისად: მარჯვენა მხარეზე წრე ოდნავ უფრო დიდად მოეჩვენება, ვიდრე მარცხენა მხარეზე, ე. ი. მარჯვენა მხარეზე, სადაც საგანწყობო ცდებში ოდნავ უფრო დიდი წრე ეძლეოდა, იქ ახლა /კრიტიკულ ცდაში/ ტოლ სიდიდეს ილუზორულად კვლავ ოდნავ დიდად დაინახავს, რაც თანდათან ადეკვატურ აღქმაში გადაივა.

როგორც კონტრასტული, ისე ასიმილაციური ი-ის შემთხვევაში, ი. ჩნდება გარკვეული **განწყობის** საფუძველზე, რ-იც წინასწარ ექმნება სუბ-ს საგანწყობო ცდებით; ამიტომ ეწოდება ამ ილუზიებს **განწყობის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილუზიები. ეს-აა ეს მოვლენა იმიტომ, რომ კრიტიკულ ცდაში ფაქტიურად ტოლ ობიექტები არატოლად, ე. ი. მცდარად აღიქმება.

განწყობის ე. ჩნდება, როცა პირობა /განწყობა/, რ-ის საფუძველზეც უნდა წარმოიშვას აღქმა, ოღონდ ახლო მის ადგილას განმტკიცებული ახალი პირობა აღქმის არსებული მზაობის /განწყობის/ მდგომარეობას არ უდგება, არ ეგუება.

განწყობის ბ-ას ახას.: ა/**დინამიკურობა** /გარკვეულ პირობებში წარმოიშობა, თავის მიმდინარეობაში ფაზურად იცვლება და ამის შემდეგ გადადის ადეკვატური აღქმის ფაზაში, ჩნდება შეგრძნების ყველა მოდალობაში/. ბ/**ზოგადობა** /არ ატარებს ლოგიკურ ხასიათს, არამედ ერთ მოდალობაში გაჩენილი ი. ერცელდება ყველა მოდალობის აღქმაზე, ის მთლიან-პიროვნული მოვლენაა/.

განწყობის ი. სუბ-ის იმ მდგომარეობის გამოხატულებაა, რ-იც განწყობის ეფექტს – ქცევის – **მიმდინარეობას** განსაზღვრავს, ამიტომაა შეესაძლებელი საზოგადოდ პიროვნების კვლევის მეთოდად მისი გამოყენება, რაც ფაქტიურად დ.უზნაძემ გააკეთა.

ილუზიის თამაში – შეიმჩნევა „ფიზ. თამაშის“ გვერდით ორი წლის ბ-ვის ასაკში, იგი თავის მწვერვალს ხუთი წლის ასაკში აღწევს, 6 წლიდან მკვეთრად ეცემა, მაგრამ სულ არ ისპობა და შეიძლება შეგვხვდეს სასკოლო ასაკშიც. ი. თ. გარკვეული სიუჟეტის მატარებელია. მასში ბ-ვი თითქოს ასცენიურებს გარკვეულ მოქმედებას, სადაც როლების შემსრულებელი თვითონ არის. თამაშობს „ცხენობანას“, „სტუმრობანას“, „შვილობანას“, აძინებს დედოფალას და სხვა. ყველა ესენი ი. თ-ებია; მათი დამახასიათებელია აღმზრდელობითი ტენდენცია, ე. ი. მოძრაობებს აქ თვითღირებული მნიშვნელობა კი არ ენიჭება, არამედ გამოხატავენ იმ აზრს, რაც მათში იგულისხმება. ი. თ. გარკვეული აზრის მატარებელია, აზრდებული ქცევაა. როდესაც ბ-ვი ჯოხზე ზის და ცხენობანას თამაშობს, მან იცის, რომ, არც ჯოხია ნამდვილი ცხენი და არც მისი მოძრაობებია ნამდვილი ცხენოსნობა. აქ მოქმედება მხოლოდ იმას გამოხატავს, რ-აც მისი ფანტაზია გულისხმობს. ამიტომაც თამაშის ამ სახეობას, „ფანტაზიის“ თამაშსაც უწოდებენ. ფანტაზიას საფუძვლად უდევს ბ-ვის ემოციურობა და სუბ-ურობა. ამის გამო, მეორე წლიდან ბ-ვის წარმოდგენები არა მარტო რეპროდუქციულია, არამედ პროდუქციულიც: ამივრიდან ცნობიერება შესაძლებელს ხდის პროდუქციული ფანტაზიის ამოქმედებას; ბ-ვს უვითარდება შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი, რაც მნიშვ-ის ანუ ა ზ რ ი ს ცნობიერების გაღვიძებასთან არის დაკავშირებული. ი. თ. ის აზრს არსებითად ბ-ვის ფანტაზიის ეს თავისებურება განსაზღვრავს. /იხ. თამაში/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმანენტური /ლათ. immanens – შინაგანად ნიშანდობლივი/– ზოგ. მნიშვ.–საგნის ან მოვლენის ბუნებიდან გამომდინარე, მოვლენის არსში ნაგულისხმევი. ფს-გიაში: ფს-კურ მოვლენათა განსაზღვრულობა შინაგანი ფაქტორებით, შინაგანად გაპირობებული ფს-კური მოვლენა, მაგ., შინაგანი აღქმა.

იმაჟინური /ლათ. imago – სახე, ხატი, მოჩვენება, წარმოდგენა/ – წარმოსახული, არანამდვილი. ფსიქოანალიზის თეორიაში: ქვეცნობიერში ჩაძირული სხვა ადამიანის სახე, რ-იც ზეგავლენას ახდენს სუბ-ის ქცევაზე.

იმბეცილობა /ლათ. imbecillus-სუსტი, უძლური/ – თანდაყოლილი ან ბ-ვის ადრეულ ასაკში შეძენილი სუსტგონიანობა. ი-ის გამომწვევი მიზეზები, ისე რ-რც სუსტგონიანობის სხვა სახეებისაც შეიძლება იყოს: 1. ნაყოფის ან დედის დაავადება ნაყოფის განვითარების ემბრიონულ პერიოდში; 2. ორგანული ტრავმა დაბადებასთან დაკავშირებით და 3. თავის ტვინის მძიმე დაავადებანი /მენინგო-ენციფალიტი და სხვა/. ი. დებილობაზე უფრო ღრმა ეკუასუსტობაა, მაგრამ იდიოტობაზე უფრო იოლია. ი-ლის აზროვნების ფუნქციები სავსებით დაქვეითებულია, ცნებით აზროვნებას მოკლებულია, წარმოდგენები კონკრეტული საგნების ხატით განისაზღვრება, გონებრივი განვითარება 3–4 წლის ბ-ვის გონებ. განვით-ბის დონეს ვერ სცილდება. მეტყველება – ჩამორჩენილია. ი-ლ ბ-ვს ნორმალურ, მასობრივ სკოლაში სწავლა არ შეუძლია, წერა-კითხვა, ანგარიშის ელემენტარული ცოდნის შეძენა – დიდ სიძნელეებს შეიცავს, სასკოლო დისციპლინას ვერ ეგუება, ახასიათებს დეზორგანიზებული ქცევა, იმპულსურია, ფიზ. აგებულება – დისპლასტიკური, არაპროპორციული, მოტორიკა ცუდად განვითარებული. თავის მოვლა /დაბანა, ჩაცმა და სხვ./ უჭირს. ი-ლი ბ-ვი საჭიროებს საგანგებო ზედამხედველობას სპეციალურ საალმზრდელო დაწესებულებაში, სადაც მას შრომის ელემენტარულ ჩვევებს შეუმუშავებენ.

იმიტაცია /ლათ. imitatio – მიბაძვა/ – ნიშნავს იმოქმედო ისე, რ-რც მოქმედებს სხვა, წაბაძო, მას დაემსგავსო. იხ. იდეომოტორული კანონი, მიბაძვა/.

იმპულსი /ლათ. impulsus – ბიძგი/ – ენერგიის სამოქმედოდ აღძვრა, ძალების ერთბაშად აგზნება შინაგანი ბიძგის ზეგავლენით.

იმპულსური მოქმედების პირველი დონე – იხ. განწყობა წარმოდგენის საფუძველზე.

იმპულსური ტიპი – სუბ. რ–აც ახასიოლად აგზნებადი ტემპერამენტი და უშუალო აფექტური მოქმედებისათვის მაღალი მზაობა. მისი მოქმედება ჩვეულებრივ, ემოციურ–აფექტურია, აღმოცენდება აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე და ცნობიერების კონტროლისა და ნებელობის აქტების გარეშე მიმდინარეობს.

იმპულსური ქცევა — დ. უზნაძის თეორიით, ქცევის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც აქტუალური მოთხოვნილების და კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე შექმნილი განწყობის ზეგავლენით წარმოიშობა და ხორციელდება. მაგ., როცა ად-ნს რაიმე აქტუალური მოთხოვნილება აქვს, მაგ., წყალი სწყურია, მასში ამ მოთხოვნილების იმპულსი აღიძვრის; ხოლო ის აქტუალური კონკრეტული სიტუაცია, რასაც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეეძლება, მას გარკვეული ქცევის, მოქმედების განწყობილებას უქმნის. თუ წყალი იქვე მაგიდაზეა, ის ხელს გასწვდეს, წყალს ჭიქაში დაისხამს და დალევს, თუ წყალი მეორე ოთახში ეგულება, წავა და აღნიშნულ მოქმედებას იქ შეასრულებს, ან თუ იქვეა ვინმე ახლობელი, სთხოვს წყალი მოუტანოს. ყველა ეს ქცევა ი. ქ-ია, რაც აქტუალური მოთხოვნილების და კონკრეტულად მოცემული სიტუაციის ურთიერთობით შექმნილი განწყობა განსაზღვრავს. საწინ. ნებისმიერი ქცევისა, ი. ქ-ის შემთხვევაში სუბ. არ დგას სიძნელის შემცველი ამოცანის წინაშე, იგი არ მიმართავს მოტივთა შეპირისპირებას, გადაწყვეტილების მიღების აქტს, ობიექტივაციას. ქცევა მარტივად შეუფერხებლად მიმდინარეობს, საკუთარი „მე"-ს აქტივობის განცდა არ ჩნდება. ი. ქ-ს სახეებია: მოხმარება, სხვათა მომსახურება და თვითმომსახურება /იხ. ქცევის ფორმები; ქცევის ექსტროგენური ფორმა/.

ინადეკვატური გამღიზიანებელი /ლათ. in უარყ. ნაწ. adaequatus -შესატყვისი, გათანაბრებული/ — მგრძნობელობის რიმე ორგანოს გაღიზიანება მისთვის შეუფერებელი, არასპეციფიკური გამღიზიანებლით. მაგ., თვალისთვის ან ყურისთვის ი. გ. იქნება დაწოლა, ქიმიური ნივთიერებით ზემოქმედება, ან გაღიზიანება ელექტროდენით. ცნობილია, რომ ი. გ. ნაწილობრივ მაინც იწვევს გრძნობის ორგანოს შესატყვის რეაქციას. მაგ. თვალზე დარტყმა მაინც სინათლის რეაქციას მოგვცემს და სხვ. /იხ. შეგრძნების ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის კანონი, ადეკვატური გამღიზიანებელი/.

ინდეტერმინიზმი /ლათ. in- და determinare — განსაზღვრება/ — ფილოს-ში მოძღვრება ნებისყოფის თავისუფალი მოქმედების შესახებ. ი. ამტკიცებს, რომ ად-ნის მოქმედება არ არის მიზეზობრივად განსაზღვრული, მისი მოქმედება არ არის მის გარეშე არსებულ რაიმე სხვა პირობას დაქვემდებარებული, ად-ნის ქცევა არ არის შებოჭილი არც მისი ხასიათით, არც მოტივთა შორის ბრძოლით ან რაიმე გარე სიტუაციით. ნებისყოფა თავისუფალი თავის მოქმედებაში. ამის მთავარ არგუმენტად ი. იყენებს მოქმედების თავისუფალი არჩევანის განცდას, ე. ი. როცა ად-ნი მოქმედებს, მაშინ კიდეც იცის, რომ ეს მოქმედება მის მიერ არის განსაზღვრული, მას **აქვს საკუთარი აქტივობის ცნობიერება.**

საწინ. მიმართულება — დეტერმინიზმი გულისხმობს, რომ, რაც ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელენა, ისე ნებისყოფის მოქმედებაც, მიზეზობრივი მიმართებითაა განსაზღვრული, ამის სასარგებლოდ უმთავრესად ის ფაქტი მეტყველებს, რომ ნებელობის მოქმედებას წინ უძღვის მოტივთა შორის ბრძოლა, არჩევანის მიღებას მოტივი განსაზღვრავს. ამიტომ ლაპარაკი ნებისყოფის თავისუფალი მოქმედების შესახებ, დეტერმინიზმს უსაფუძვლოდ მიაჩნია.

არაერთი ფს-გიური ექსპერ. |გამოკვლევა მიეძღვნა ნებელობის პრობლემას /ა. ლინდგორსკი, 1925, ნ. ახი, 1935/. ნებისყოფის თავისუფალი მოქმედების საკითხის გადაჭრა ნაცადი აქვს აგრეთვე დ. უზნაძეს, მისი აზრით, სწორია დეტერმინიზმის მტკიცება, რომ, როცა ადამიანი რამდენიმე შესაძლებლობას შორის ამ გარკვეულ მოქმედებას ირჩევს, ამას თავისი მიზეზი აქვს, რომ მას გარკვეული მოტივი, მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ა განსაზღვრავს. მაგრამ არც ი-ის სამუთი ნებისყოფის თავისუფალი მოქმედებისა — საკუთარი აქტივობის განცდა — არის საფუძველს მოკლებული. ამ საწინააღმდეგო დებულებათა შერიგებას დ. უზნაძის განწყობის თეორია შემდეგნაირად ახერხებს: როცა ადამიანი აქტუალური სიტუაციის ზეგავლენას აიცდენს და იმპულსურ მოთხოვნილებას გაექცევა, იგი ნებისყოფას მიმართავს და წარმოსახული სიტუაციის პირობებში ქმნის თავის თავში განსაზღვრულ გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს, რ-ის საფუძველზეც წარმართავს შემდეგ თავის მოქმედებას. ეს განწყობა სუბ-ის დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია და სწორედ ეს ქმნის სუბ-ის აქტივობის და, მაშასადამე, ნებელობის თავისუფალი მოქმედების განცდას. მოქმედების ამ მონაკვეთში ნებელობის თავისუფლება დასაბუთებულია. მაგრამ ის ფაქტი, რომ ნებელობის მოქმედებას მაინც განსაზღვრული ფაქტორი გ ა ნ წ ყ ო ბ ა უძღვის წინ — ეს მის დეტერმინისტულ ხასიათზე მიუთითებს. რადგან ნებისეული მოქმედების საფუძვლად მდებარე განწყობა თვითონ მთლიანად დეტერმინირებულია მოთხოვნილებით და|წარმოსახული სიტუაციით. „ნებელობა თავისუფალია, რამდენადაც ის აქტუალური სიტუაციის გავლენას არ ემორჩილება, რამდენადაც აქედან მომდინარე იძულებას არ განიცდის. იგი თავისუფალია, რამდენადაც მასზე მოქმედი სიტუაცია წარმოსახვითია, მაშასადამე, სუბ-ის მიერაა გაცნობიერებული. მაგრამ იგი დეტერმინირებულია, არაა თავისუფალი, რამდენადაც, თუმცა წარმოსახულით, მაგრამ მაინც სიტუაციითაა პირობადებული" /დ. უზნაძე/ | საწინ. დეტერმინიზმი.

ინდივიდუალიზაცია სწავლების— სწავლების პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობის გათვალისწინება და სასწავლო მასალის შინაარსისა და სწავლების მეთოდიკის შეგუება მოსწავლის თავისებურებასთან და ინდივიდუალურ შესაძლებლობასთან.

ინდივიდუალიზმი /ლათ. individuum — განუყოფელი/ — პირადის, ინდივიდუალური პრინციპის საზოგადოებრივზე ზევით დაყენება, პიროვნების თავისებურების წინ წამოწევა, განსაკუთრებით ქცევაში, შეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულებებში, ესთეტიკაში, ფილოს–ში – მსოფლმხედველობა, რ-ლის მიხედვით ნამდვილი არსებობა ინდივიდუალურ ფორმაში| ყოფნას მიეწერება.

ინდივიდუალური ფსიქოლოგია. – იგივე დიფერენციული ფს-გია, რ-იც შეისწავლის ფს-კის ინდივიდუალურ თვისებებს /ვ. შტერნი/.

ინდივიდუალფსიქოლოგია – ი. ადლერის მიერ შემუშავებული სახელწოდება. სიღრმითი ფს-გიისა და ფსიქოანალიზის იმ მიმართულებისათვის, რ-იც შექმნა მან თვითონ იმის შემდეგ, რაც ზ. ფროიდს გაემიჯნა /1910/. ი-ის შეხედულებით ად-ნის სიცოცხლის მიზანი |წარმოიშობა ინდივიდის „მე"-ს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ურთიერთობის პროცესში. ყოველი სუბ. სოციალური ურთიერთობის საფუძველზე იმუშავებს თავისი სიცოცხლის გეგმას /**Lebensplan**/ და იღწვის იმისათვის, რომ დაიმკვიდროს საზოგადოებაში კუთვნილი ადგილი. მაგრამ ამ მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში მას ხშირად აკლდება საჭირო ძალები და უჩნდება საკუთარი პიროვნების უკმარობის განცდა. ასეთ შემთხვევაში ად-ნის განვითარებისა და მოქმედების მიმმართველ პრინციპად ი-მ საკუთარი პიროვნების არასრულფასოვნობის დასაფარავად /საკომპენსაციად/ მიმართული ძალების არაცნობიერი სწრაფვა აღიარა. მართალია, ზოგჯერ ასეთი სწრაფვა დიდი მიღწევების| საწინდარი ხდება, მაგრამ ხშირად ეს ძალები ვერ აღწევენ მიზანს, პიროვნება ვერ იმკვიდრებს ცხოვრებაში მისთვის სასურველ ადგილს. ამის ნიადაგზე ი-ის შეხედულებით სუბ-ში წარმოიშობა შინაგანი კონფლიქტი, რ-იც ნევროზული რეაქციის სათავე და საფუძველი ხდება.

ი-ის შეხედულებით საკუთარი პიროვნების არასრულფასოვნობის განცდა ბ-ვობის პერიოდიდანაც მუშავდება. ამას ხელს უწყობს ბ-ვის მიერ თავის სისუსტის, უმწეობის, დიდებისგან დამოკიდებულების განცდა. მისი შეხედულებით სწორად დაყენებული აღმზრდელობითი სისტემა უნდა ცდილობდეს|ჩაუნერგოს ბ-ვს (შთაგონებით, გამხნევებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვით) საკუთარი პიროვნების რწმენა, შეუქმნას მას თავისი ძალების შესახებ| რეალური წარმოდგენა.

ინდივიდუაცია – ფს-გიაში: საკუთარი თავის გამოკერძოება, გამოყოფა, საკუთარი ინდივიდუალობის დადგენის პროცესი, „მე"-ს სწრაფვა| საკუთარი პიროვნების გამოკვეთისაკენ, გაინდივიდუალობისაკენ. ი. გულისხმობს ად-ნის განვითარებას ინდივიდუალურ ფორმაში, რაც სუბიექტის საკუთარ, მთლიან და დამოუკიდებელ ყოფნას, ინდივიდუუმად ქცევას ნიშნავს.

ინდივიდუუმი: ინდივიდი – /ლათ. **individuum** – განუყოფელი/–მთლიანი, დაუშლელი, განუმეორებელი, სხვა ყველაფრისაგან გამოყოფილი, თავის თავში დახშული, შინაგანად დასაფეხურებული ორგანიზმი. ცნება ი. ძირითადად და არსებითად ად-ნის, რ-რც|კერძო არსების აღმნიშვნელია. დ. უზ-

ნაძის განმარტებით, ი. მოთხოვნილებისა და ქცევის სუბიექტია. ი-ის განუმეორებლობა, მისი თავისებურება, რითაც ის ყველა სხვა ი-საგან გამოირჩევა, ინდივიდუალობას შეადგენს. გარემოსამყაროსთან მიმართებაში, თავის დამოკიდებულებაში საზოგადოებასთან და საზოგადოდ სხვასთან, ი-ს პიროვნება ეწოდება.

ინდოლენცია /ლათ. indolentia– უმტკივნეულობა/, ტკივილისადმი უგრძნობლობა, გადატანით –გულგრილობა, უგრძნობლობა.

ინდუსტრიული ფსიქოლოგია – /ლათ. industria – მოქმედება/ –გამოყენებითი ფს-გიის ერთ–ერთი დარგი. შეისწავლის ად-ანს, რ–რც ფს–გიურ ფაქტორს ინდუსტრიული წარმოების პროცესში. ემსახურება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას და რაციონალიზაციას /იხ. რაციონალიზაცია/. ინდუსტრიული ტექნიკის განვითარება და მისი გამოყენება დამოკიდებულია ად-ნის, რ–რც წარმოების ფაქტორის ცოდნაზე, მის პროფესიულ თავისებურებებზე, ად-ნსა და მანქანას შორის შესატყვისობის გათვალისწინებაზე. ეს და, საზოგადოდ, ად-ნის მანქანასთან შრომითი დამოკიდებულების საკითხები. ი. ფ-ის კვლევის საგანს შეადგენს.

ინდუქტორი /ლათ. inductor – ალმძვრელი/ – პარაფს–გიაში: საგანი, რ-იც პარაფს–გთა რწმენით, შეიცავს პარაფსიქიკურ მოვლენათა წვდომის ძალას. ასეთი საგნის მფლობელი ამ საგნისაგან იღებს პარანორმალურ ინფორმაციას. ი. უკაფავს მას ნათელხედვის გზას, ასრულებს მედიუმის როლს. /იხ. პარაფსიქოლოგია, პარანორმალური/.

ინდუქცია /ლათ. inductio –შეყვანა, მიყვანა/ – ლოგიკ-ში კერძო შემთხვევიდან ზოგადის, კანონზომიერების გამოყვანა. მეცნ-ში ემპირიული კვლევის მთავარი მეთოდი. გამოცდილებაში დაკვირვებით და ექსპერ-ით მიღებული მასალის საფუძველზე ისეთი ზოგადი დებულების /წესის, კანონზომიერების/ გამოყვანა, რ-იც თვითონ გამოცდილებაში უშუალოდ არ გვეძლევა. ი-ის მეთოდით დადგენილი კანონზომიერება არა აბსოლუტური არამედ შედარებითი ხასიათისაა. ი. თავისი დასკვნებისათვის ეყრდნობა ფაქტებს, ადარებს მათ ურთიერთს წონის, ზომის და სხვა ემპირიული ნიშნების მიხედვით, ფართოდ იყენებს სტატისტიკას და ექსპერ-ს.

ინდუქციური დაავადება – ფსიქოპათოლოგიაში ნიშნავს შთაგონების ზემოქმედებით გამოწვეულ დაავადებას.

ინერვაცია /ლათ. / ფიზიოლ-ში –ცენტრალური იმპულსის გატარება სათანადო გზებით ეფექტორისაკენ; ორგანოების და სხეულის ნაწილების უზრუნველყოფა ნეირონით, რომლის საშუალებითაც ხორციელდება მათი კავშირი ც. ნ. ს-თან.

ინერტული ტიპი /ლათ. iners, inertia – უმოქმედო/ –რუსი ფიზიოლოგის **ი. პავლოვის** მიხედვით, ნერვული სისტემის მოქმედების თავისებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიპი; ანას. ნერვული პროცესის /აგზნებიდან შეკავებაზე გადასვლა ან პირიქით/ გაძნელებული მიმდინარეობა. ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში ი. ტ-ს უწოდებენ უსიცოცხლო, დუნე, მოუქნელ ად-ნს.

ინვარიანტული /ლათ. in-უარყ. ნაწ. variatio – ნაირობა, ცვალება/ –რაიმე მოელენის ნიშნის ან თვისების უცვლელობა, კონსტანტურობა, (მაგ. აღქმის კონსტანტურობა და სხვა./

ინვოლუცია /ლათ. involutio. – უკუგანვითარება/–ფილოს-სი გ. ლაიბნიცი ი-ას უწოდებდა სიკვდილს. ფს-გი ი. ჰერბარტი ი-ით აღნიშნავ - და წარმოდგენათა ისეთ რეპროდუქციას, რ-იც გამოწვეული იყო რიგში უკანასკნელი /ბოლო/ წარმოდგენით. მედიც-ში ნიშნავს მთლიანი ორგანიზმის ისე რ-რც მისი ცალკეული ორგანოების, უკუგანვითარებას ასაკ - თან /ხანდაზმულობასთან/ დაკავშირებით. პათოფს-გიაში ი. გულისხმობს ფს-კურ პროცესთა აგრეთვე უკუგანვითარებას, რ-იც არაიშვიათად ფსიქოზში გადადის /ინვოლუციური ფსიქოზი/. საწინ. ევოლუცია, განვითარება.

ინსპირაცია /ლათ. inspiratio – ჩასუნთქვა, შთაგონება/– ხელოვნებაში ი-ით აღნიშნავენ შემოქმედებით აღმაფრენას, შთაგონებას, იდეის უცბად „გაბრწყინებას" და ცნობიერებაში ელვისებურ შეჭრას. ციცერონს მიაწერენ გამოთქმას : Nulus poeta sine afflatu divino /არ არსებობს პოეტი შთაგონების გარეშე/. ქართველი ფს-გის დ. უზნაძის აზრით, ნაწარმოების იდეის დაბადების პროცესში ხელოვანი „არაჩვეულებრივ აგზნებას გრძნობს, იდეებისა და გრძნობების არაჩვეულებრივ სიმდიდრეს და სიცხოველეს განიცდის, და ამ მომენტში თითქოს სრულიად სპონტანურად, მისი ნებისყოფის და ინტელექტის ჩარევის გარეშე, სრულიად არაცნობიერად, მომავალი მხატვრული ნაწარმოების იდეა ისახება".

დ. უზნაძის აზრით ი-ის მომენტში დაბადებული იდეა წინამოსამზადებელი საფეხურის – განწყობის– მუშაობის ნაყოფია.

რელიგიური გაგებით ი. ნიშნავს ზებუნებრივ ურთიერთობას ღმერთსა და ად-ნს შორის დამყარებულს ად-ში ღვთაებრივი სულის შთაბერვის გზით.

ი. თავისი შინაარსით ახლოს დგას ინტუიციასთან. /იხ. ინტუიცია/.

ინსტაზი /ლათ. in– უარყ. ნაწ. და ბერძ. stasis – შესვლა/–სამყაროდან გამოთიშვა, გასვლა და თავის თავში ჩაძირვა, ნირვანულ მდგომარეობაში გადასვლა/.

ინსტინქტი /ლათ. instinctus – წაქეზება/ – ბიოლ-ში გარემო პირობებთან დამოკიდებულებაში მიზანშეწონილი ქცევისადმი თანდაყოლილი მიდრეკილება. ი-ური ქცევა ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ხორციელდება. ი-ური ქცევის მიზანშეწონილობა ინტელექტის მონაწილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობას არ გულისხმობს, რადგან მასში არც ქცევის მიზანია წარმოდგენილი და არც მისი განხორციელების საშუალებებია გათვალისწინებული. მაგ., არსებობს ერთგვარი ხოჯო, რ-იც ჯუპრში გადასვლის წინ თავის გარშემო განსაზღვრული ზომის პარკს აკეთებს, უფრო დიდს, ვიდრე მისი სხეულია, თითქოს ის ცნობიერადაა გაანგარიშებული იმ რქებისთვის, რ-იც მას გამოუვა მას შემდეგ, რაც მისგან პეპელა გამოიჩეკება. ფუტკარი აგებს ფიჯას ისეთი მათემატიკური სიზუსტით, რომ უმცირეს ფართობზე მაქსიმალური ოდენობის თაფლი მოთავსდეს; ჭიებით დაავადებული ძაღლი ეძებს და პოულობს ბალახს, რ-იც მას განკურნავს. ყველა ეს ი-ური ქცევა ბორციელდება შედეგის ცნობიერი გათვალისწინების გარეშე, თუმცა მათი მიზანშეწონილობა სრულიად უდავოა. ი-ური ქცევის მიზანშეწონილობა არაცნობიერი და ბრმა რომაა, ნათლად ჩანს იქიდან, რომ ზოგიერთ სიტუაციაში იგი საესებით არამიზანშეწონილ ქცევად იქცევა მაგ., იგივე ფუტკარი ფიჯის უჯრედებს ხურავს მაშინაც, როცა მათი ძირი გახვრეტილია და შიგ თაფლი აღარაა, ან კიდევ, ბალიაში დამწყვდეული ცოყვი, დროის გარკვეულ პერიოდში, ასრულებს იმ მოძრაობებს, რ-თაც ის იყენებს ბუნებრივ პირობებში საკვების მომარაგების მიზნით, თუმცა ბალიის სიტუაციაში ეს ქცევა საესებით მიზანშეუწონელია.

ი. პავლოვის აზრით ი-ური ქცევა იგივეა, რაც უპირობო რეფლექსი ცხოველის ქცევაში, მარტივი და რთული უპირობო რეფლექსები საფუძვლად უდევს ორგანიზმს ინდივიდუალურ ცხოვრებაში შეძენილ პირობით რეფლექტორულ კავშირებს, /იხ. პირობითი რეფლექსი/. განსხვავდება რეფლექსისგან იმით, რომ იგი არ წარმოადგენს ცალკე ორგანოს რეაქციის გამღიზიანებელზე, არამედ რეფლექსთა სისტემას, რ-რც მთელი ორგანიზმის რეაქციას. წმინდა სახით მხოლოდ ცხოველისათვის არის დამახ. ად-ნში იგი რამდენადმე სახეცვლილია: ნაკლებ სტერეოტიპულია და შეზღუდულია ცნობიერებით. ი-ური ქცევის განმსაზღვრელია ძირითადად ცხოველის ვიტალური მოთხოვნილებებით გამოწვეული შინაგანი მდგომარეობა.

ი-ები, თავისი ბიოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად იყოფა, მაგ., კვების, თვითდაცვის, სქესობრივი, მშობლიური ზრუნვის და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი-ები, რ-ებიც თავს იჩენენ ერთი და იმავე სახეობის ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებაში /ფუტკრების შეთანხმებული ქცევა ბუდის შენებისას, ან ჯოგური ი. ხერხემლიან ცხოველებში და სხვ./.

არსებობს თეორია /ჰ. სპენსერი, ვ. ჯემსი/, რ-ის მიხედვითაც ყოველი ი-ური ქცევა წარმოადგენს რეფლექსების ჯაჭვს, რ-შიც ცხოველის ყოველი მოძრაობა, მომდევნო მოძრაობას გამომწვევი გამღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიანებელია და ასე გრძელდება მანამდე, სანამ ქცევის მიზანი მიღწეული არ იქნება. ჯაჯვური რეფლექსის ეს თეორიაც ვერ ხდის ბოლომდე გასაგებად | მიზანშეწონილობის ფაქტს, იმას, თუ რ-რ გაჩნდა პირველად ის გზა, რ-იც მოცემულ სენსორულ შთაბეჭდილებებს ცხოველში მიზანშეწონილ მოძრაობას უკავშირებს. ჩ. დარვინის შეხედულების თანახმად, ეს კავშირი ბუნებრივი შერჩევის ნიადაგზე უნ - და იყოს მოპოვებული, ე-ი. იმ უთვალავი მოძრაობიდან, რ-საც ცხოველი მიმართავდა, გაიკაფა მხოლოდ იმ მოძრაობათა შესატყვისი გზები, რ-ებიც ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იყო. შემდეგ თაობებს კი ისინი მემკვიდრეობით გადაეცათ; ; ; ასე განმტკიცდნენ გარკვეული გზები. ლამარკიზმის მიხედვით ეს გზები გაითელა ცხოველის მიერ ცნობიერად, შერჩეული მოძრაობების გზით, რ-ებიც შემდეგ ახალ თაობებს მემკვიდრეობით გადაეცა. მაგრამ გ. მენდელის თეორიით დამტკიცდა, რომ ორგანიზმის მიერ პირად ცხოვრებაში შეძენილი თვისებები მემკვიდრეობით არ გადაეცემა. ეს თეორიები ძირითადად მექანისტურია და ამდენად ი-ის | მიზანშეწონილობას ვერ ხსნიან. შემჩნეულია, რომ ერთი და იგივე სენსორულ შთაბეჭდილებას სხვადასხვა მოძრაობა უკავშირდება, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სიტუაცია. მაგრამ, საიდან მოდის სიტუაციის ცვლილებასთან ერთად მოძრაობების ეს ცვლილება? გეშტალტ-თეორია სხვანაირად ხსნის ი-ის მიზანშეწონილობას. კ. კოფკა ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელი, ი-ურ მოძრაობათა თავისებურებას მათ მთლიანობაში ეკრეტს. მისი აზრით, ი-ური ქცევა ცალკე მოძრაობათა ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთ მთლიან სისტემას, რ-შიც ბოლო მოძრაობა იმდენად ეკუთვნის ამ მთლიანს, რამდენადაც მისი საწყისი მოძრაობა. „ქცევაში რეაქცია შეგუებულია გამღიზიანებელთან და არა მარტო გამოწვეულია მის მიერ. და სწორედ თვით რეაქციაა შეგუებული და არა მარტო მისი შედეგი" /კოფკა/. სხვანაირად რომ ვთქვათ, ი-ურ მოძრაობათა დამახასიათებელ თავისებურებად მათი მიზნისკენ მიმართულება უნდა ჩაითვალოს.

დ. უზნაძის აზრით, | გეშტალტთეორიამ პირველმა მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ი-ური ქცევა არ არის შემთხვევით დაკავშირებულ მოძრაობათა ჯამი, არამედ მოძრაობები არიან ურთიერთთან არსებითად დაკავშირებული. მაგრამ ამ თეორიაში არ არის ნაჩვენები, თუ რა საფუძველი უდევს მოძრაობათა ამ მთლიანობას. უზნაძის თეორიის თანახმად, ი-ურ მოძრაობათა მთლიანობის |საფუძველს ქმნის ორგანიზმის ის სპეციფიკური მდგომარეობა, რ-იც მას, რ-რც **გარკვეული მოთხოვნილების მქონე სუბ-ს, სიტუაციის ზემოქმედების შედეგად უჩნდება.** უზნაძე ამ მდგომარეობას **გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს** უწოდებს, რ-რც მოთხოვნილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭონე ორგანიზმის წინასწარ მზაობას გარკვეული ქცევის განხორციელებისათვის.

ინსტრუმენტალიზმი –იხ. პრაგმატიზმი.

ინსტრუქცია /ლათ. instructio – დარიგება/ – ფს-გიაში – დარიგება იმის შესახებ, თუ რა ევალება ცპ-ს ფს-გიურ ექსპერ-ის დროს. ი–ას ადგენს ექსპერ–ატორი ,ცდის დაწყებამდე. მასში ჩამოყალიბებულია ექსპერ-ში გადასაჭრელი ამოცანის პირობა ე. ი. რ–რ მოიქცეს ცპ. რას მიაქციოს ყურადღება.'ი. უნდა იყოს შედგენილი მარტივად, გასაგებად, მოკლედ, დაეალებათა ზუსტი ჩამოთვლით, არ უნდა შეიცავდეს მზა პასუხებს და შთაგონების მომენტებს. ყველა ცპ-ს ერთნაირად უნდა გადაეცეს.

ინტეგრაცია. /**ინტეგრირება**/ ლათ. integratio – აღდგენა/ – ფს-კურ მოელენათა გაერთიანება უფრო მაღალ სტრუქტურულ რომელობად, შედარებით დამოუკიდებელ ფს-კურ მოელენათა შერწყმა ურთიერთთან ერთ მთლიანობაში, რ-იც ფუნქციობს, რ–რც დამოუკიდებელი მთლიანი ერთეული, რ-ის ნაწილები შერწყმის შედეგად არ იკარგებიან, არამედ შედიან მთლიანში თავისი სპეციფიკური ფუნქციით, ახდენენ ურთიერთზე ზეგავლენას და თვითონაც მთლიანის ზეგავლენას განიცდიან. ასეთია მაგ., უმაღლესი სტრუქტურული მთლიანობა – „პიროვნება", რ–იც ფსიქო–ფიზ–რად დიფერენცირებული ელემენტებისაგან არის ინტეგრირებული, ერთ მთლიანობად გაერთიანებული. ცოცხალი არსების მთელი ონტოგენეზური განვითარება ასეთი ი-ის პროცესისაგან შედგება: ფუნქციები იზრდება, მწიფდება, დიფერენცირდება, ერთდება, ურთიერთს ერწყმის და ერთ მიზამწეწონილ , კოორდინირებულ ერთეულად ყალიბდება. ამის პროტოტიპად შეიძლება ნერვული სისტემის აგებულება მივიჩნიოთ, რ-ის ცალკე ნერვული უჯრედებისაგან შედგენილი სისტემებიდან მთავარ, ცენტრალურ ნერვულ სისტემად არის ჩამოყალიბებული, რ-იც მოქმედება სავსებით კოორდინირებულია თავის ნაწილებთან ისე, რ-რც ამ ნაწილების მოქმედებაა შეთანხმებული ურთიერთთან და მთლიანთან.

რაც უფრო ძლიერადაა ინტეგრირებული რაიმე სისტემა, მაგ., პიროვნება, მით უფრო ინდივიდუალური სახით არის ის გამოკვეთილი. დაბალი ხარისხის ,ი. ავად-ზე, დეფექტებზე მიუთითებს. ,ა. ,ყანე ისტერიას მაგ., განიხილავდა, რ-რც ცუდი ი-ის შედეგს. სულიერად დაავადებული სუბ. არ წარმოადგენს ინტეგრირებულ პიროვნებას, ის „გახლეჩილი" და დეზინტეგრირებულია.

ინტელექტი /ლათ. intellectus – წარმოდგენა, გაგება, აზრი/ – აზროვნების საფუძველი , შემეცნებითი ფს-კური პროცესების დისპოზიცია /იხ. აზროვნება/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტელექტუალიზმი – შეხედულება ფსიქიკაში გულისხმობს, რომ ადნის ფსიქიკურ ფუნქციათა შორის ინტელექტს /გონებას, აზროვნებას/ წამყვანი და განმსაზღვრელი როლი ენიჭება, რომ მასზე არის დამოკიდებული ადამიანის ძთელი სულიერი ცხოვრების მიმდინარეობა, რომ გრძნობა და ნებელობა ინტელექტს დაქვემდებარებული ფუნქციებია, მაგ., ფსიქ. ჰერბერტს /1776–1841/, ადამიანის მთელი სულიერი ცხოვრება წარმოდგენათა ასოციაციაზე დაჰყავდა, ე. ი. გონების, ინტელექტის ერთ-ერთ ფორმაზე. ეთიკაში, ი. ზნეობის არსს უმთავრესად გონების საფუძველზე აგებს და მის ახსნა-გაგებაში უპირატესობას გონებას აკუთვნებს. პედაგოგიკაში – ი. გონებრივ აღზრდას ძირითად პრობლემად თვლის და მას წამყვან მნიშვ. ანიჭებს.

ინტელექტუალური გრძნობები – უმაღლესი გრძნობების ერთ-ერთი სახე. მაგ., გაკვირვება, ეჭვი, დარწმუნებულობა, ინტერესი, ცნობისმოყვარეობა და სხვა გონების მუშაობასთან დაკავშირებული გრძნობები. „გრძნობადი გრძნობებისაგან" განსხვავებით მათ „უმაღლესი" გრძნობები ეწოდება იმიტომ, რომ „გრძნობადი გრძნობების" მსგავსად ისინი ფერის, გემოს, სმენის და სხვა ასეთების პასიური აღქმით კი არაა განსაზღვრული, არამედ **ინტელექტის აქტიური მოქმედებით**. განსხვავებით გრძნობა-ემოციებისაგან ი. გ-ში გრძნობა, რ-რც სუბ-ური მდგომარეობა, წინა პლანზე არ დგას და წმინდა სუბ-ურ მდგომარეობად არ განიცდება. ი. გ. აღმოცენდება აზროვნების პროცესთან დაკავშირებით, მათში რაიმე ობიექტური ვითარების ძიებით გამოწვეული ინტელექტუალური აქტივობა დომინანტობს გრძნობაზე. სწორედ ეს ობიექტური ვითარების შემეცნებისაკენ სწრაფვა განსაზღვრავს აქ გრძნობებს და ამიტომაც ეწოდება მათ „ინტელექტუალური".

ინტელიგენტობა /გერმ. intelligenz/ –ფსიქიკაში – გონიერება, მოსაზრება, „ახალ სიტუაციისადმი შეგუების უნარი" /ვ. შტერნი/.

ინტელიგენტობის კოეფიციენტი – იგულისხმება გონებრივი განვითარების კოეფიციენტი /იხ. გონებრივი ასაკი; გონებრივი ასაკის კოეფიციენტი/.

ინტელიგიბელური /ბერძ./ – ფილოს-ში მხოლოდ გონებით, აზრით მისაწვდომი, ზეგრძნობიერი, იდეალი. ასეთია იდეები პლატონისებური გაგებით /იხ. იდეა/. ი. **კანტის** მიხედვით: ი-ია მხოლოდ აზრით და არა გრძნობადი აქტებით წარმოდგენილი და გაგებული შინაარსი. იქსამყარო ვრცეულობას მოკლებული იდეური სამყაროა. ი. **კანტი** აღნიშნავდა აგრეთვე ადნის „ხასიათის" ი-ობას: ემპირიული „ხასიათისაგან" იგი განასხვავებდა ი-რ „ხასიათს". ამის მიხედვით ემპირიული „ხასიათი" ობიექტურად მოცემული და კაუზატურად განსაზღვრული ნებისეული მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქმედებაა, ხოლო ი., მხოლოდ გონებით მისაწვდომი, თავისუფალი „ხასიათის“ წმინდა არსი.

ინტენცია /ლათ intentio – მიმართულება, ტენდენცია, განზრახვა, მისწრაფება/ – ფს-კური ფენომენის, განცდის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. სქოლასტიკური ფილოს-ის ეს ცნება თანამედროვე ფს-გიაში შემოიტანა ფრანც ბრენტანომ. მისი მოძღვრების თანახმად ყოველი ფს-კური ფენომენის არსებითი ნიშანია საგნისადმი მიმართულობა, ყოველი ფს-კური ფუნქცია რაიმე საგნისკენაა მიმართული, საგანს გულისხმობს: წარმოდგენაში რაღაც წარმოიდგინება, მსჯელობაში რაღაც შეიწყნარება ან უკუიგდება, სიყვარულს, ისე ვით სიძულვილს, თავისი ობიექტი აქვს. ფს-კურის ამ მიმართულობას თავისი ობიექტისადმი ანუ აღსანიშნისადმი ი. ეწოდება. ფ. ბრენტანოს შეხედულებით ამ ნიშნით – ინტენციონალობით – განსხვავდება ფს-კური სინამდვილე ფიზ-საგან, ყოველი ფს-კური ფუნქცია აღსანიშნ საგანთან ინტენციონალურ დამოკიდებულებაში იმყოფება. ბრენტანოს ეს შეხედულება გაიზიარეს ა. მაინონგმა, ე. ჰუსერლმა, ს. ვიტაზეკმა, კ. შტუმფმა, მ. შელერმა, მ. ჰაიდეგერმა და სხვებმა. იგი მტკიცედ დამკვიდრდა ფს-გიაში.

ინტერესი /ლათ. interes – მნიშვნელობა აქვს/ – სუბ-ის აქტიური მიმართულება საგნისადმი. რ-რც ფს-კური ფენომენი ი. „ინტელექტუალური გრძნობაა“. ინტელექტუალურია იმიტომ, რომ ჩნდება მხოლოდ შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ მოქმედებასთან დაკავშირებით, ხოლო გრძნობაა იმიტომ, რომ ი. შესაცნობ საგანთან სუბის დამოკიდებულების განცდაა. სუბ-ურად ი. გარკვეული საგნის შემეცნებისაკენ მიმართული, ემოციურად შეფერილი მისწრაფებაა. ი. თეორიულ მოთხოვნილებას განსაზღვრავს: აძლევს მას გარკვეულ მიმართულებას; თეორიული მოთხოვნილება შინაარსეულად განსხვავებული ი-ის სახით ვლინდება: მაგ., ი. მათემატიკისადმი, მუსიკისადმი, ისტორიისადმი და სხვა. ამიტომ ად-ნის გარემოსთან დამოკიდებულებაში, ი. ქცევის განმსაზღვრელი მოტივია, რ-აც მოქმედება მიკ-ყავს.

უინტერესო ქცევა იძულებითი ხასიათისაა, ხოლო ი-ის თანხლება ქცევას უკარგავს იძულებით ხასიათს და იგი სუბ-ტის თავისუფალ, საკუთარ მოქმედებად განიცდება. ამიტომაა, რომ ი. სწავლის ძირითად ფაქტორად ითვლება. პედ. ცდილობს სასწავლო მასალა ისე მიაწოდოს ბავშვს, რომ იგი საინტერესო იყოს მისთვის. ი. ნაყოფიერი მუშაობის, კერძოდ სწავლის, მთავარი პირობაა.

ინტერორეცეპტორი – იხ. რეცეპტორი.

ინტერფერენცია /ლათ. inter – შორის, ურთიერთ და ferens – გადამტანი/ – ფს-გიაში – ერთი ფს-კური ფენომენის შემაფერხებელი

ზეგავლენა მეორე ფს-კურ მოვლენაზე, მაგ., ჩვევის გამომუშავების შემთხვევაში, ძველი, მისი მსგავსი ჩვევა ხელს უშლის ახალი ჩვევის გამომუშავებას. /იხ. ასოციაციური შეკავება/.

ინტოლერანტობა /ლათ. in-უარყ. ნაწ. და tolerans – მომთმენი, შემწყნარებელი/ – შეუწყნარებლობა, მოუთმენლობა – სხვისი შეხედულებისა და რწმენის მიმართ შეურიგებელი დამოკიდებულება საწინააღმდეგო ტოლერანტობა.

ინტროგენური ქცევის ფორმა –იხ. ქცევის ფორმები.

ინტროექცია /ლათ. intro-jectio/ – სხვისი შეხედულების, აზრის ან მოტივის თავისად გარდაქმნა, თავის თავში გადმოტანა, შთაგრძნობა. სუბის მიერ რაიმე მოვლენის თავის ინტერესთა სფეროში შეყვანა. ზ. ფროიდის თეორიით ი. „განდევნის" საწინააღმდეგო ცნებაა, განდევნილი შინაარსის ცნობიერებაში კვლავ შეყვანა. საპირ. პროექცია /იხ/.

ინტროვერტული, ექსტრავერტული /ლათ. introversion – შიგნით მიმართული, extraversion – გარეთ მიმართული/ – კარლ გუსტავ იუნგის მიერ შეტანილი ცნებებია ფს-გიაში.

კ. იუნგის აზრით, ყოველი ად-ნი შინაგანად ტიპურად თავისებურია, ის ან ი. ტიპია, ან ე. ყოველი მათგანი თავისებურ ფს-კურ წყობას გულისხმობს, რიც მდგომარეობს მზაობაში, მიდრეკილებაში იმოქმედოს ან საკუთარი შინაგანი სამყაროს კარნახით /ი./ ან გარემოსამყაროს ზეგავლენით /ე./

ი. ტიპი მიმართულია შიგნით თავის თავისკენ, თავის აზროვნების, გრძნობისა და მოქმედების იმპულსს და ენერგიას საკუთარი შინაგანი სამყაროდან იღებს. მის ქცევას, პირველ რიგში, საკუთარი პიროვნება განსაზღვრავს, გარემოს ზემოქმედებას გაურბის, ახალი სიტუაციის წინაშე უკან იხევს, საკუთარ თავშია ჩაკეტილი, გულჩათხრობილია.

ე. ტიპი მიმართულია გარესამყაროსაკენ. მისი აზრების, გრძნობების და მოქმედების განმსაზღვრელი, პირველ რიგში, გარეგანი ფაქტორია. იგი თავის მოქმედებას და რეაქციებს გარესამყაროს უთანხმებს, არ არის თავის „მე-"ს ანალიზში ჩაძირული, სხვასთან ურთიერთობას ეძებს, ადვილად ამყარებს მათთან კონტაქტს, ახალ სიტუაციაში თავს ყოველთვის ფლობს.

ტერმინები ი. და ე., რ-რც ად-ნთა ტიპის აღმნიშვნელი ცნებები, ფართოდაა გავრცელებული ფს-გიურ და აგრეთვე მოსაზღვრე დარგების ლიტერატურაში. გამოკითხვის ანკეტური მეთოდით და რორშახის ტესტით ჩატარდა გამოკვლევები ამ ცნებათა ვერიფიკაციის მიზნით, განსაკუთრებით ფართოდ ამერიკაში ჯ. აიზენკის ხელმძღვანელობით. კერძოდ, იმის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასადგენად, თუ რამდენად გამართლებულია ამ ცნებების მიხედვით დიფერენციაცია ად-ნთა შორის და რა თვისებებთან კორელირდება ყოველი მათგანი განსაკუთრებით.

ინტროსპექციის მეთოდი /ლათ. intro – შიგნით და spectum, spectare ხედვა/ –შინაგანი დაკვირვება. იგივეა, რაც თვითდაკვირვება. XVIII – XIX სს. ითვლებოდა ფს-გიის კვლევის ძირითად მეთოდად.

ინტროსპექტული ფსიქოლოგია – მიმდინარეობა ფს-გიაში, რ-აც ფს-კურ მოვლენათა კვლევის ერთადერთ მეთოდად ინტროსპექციის მეთოდი ჰქონდა აღიარებული. თანამედროვე ფს-გია უარყოფს. ი. ფს-ს ამ დებულებას და ინტროსპექციას, რ-რც ფს-კურ მოვლენათა კვლევის მეთოდს, სხვა ობიექტურ მეთოდთა გვერდით ერთ–ერთ ადგილს აკუთვნებს.

ინტროიეფცია /ლათ. – შიგნით მიღება/ ცნება ინდივიდ. ფს-გიაში და პერსონალისტიკაში შემოიტანა **ვ. შტერნმა.** მისი კონცეფციით პიროვნების არსებობის პირველი მოდუსი – **causa finalis** – თავის თავისკენ მიმართული მიზანთა სისტემით არის განსაზღვრული, რაც ვ. შტერნის აზ-რით, იმას ნიშნავს, რომ პიროვნება ყოველთვის, მხოლოდ თავის საკუთარ მიზანთა სისტემას ემსახურება. არაპირადისეული შინაარსი, არა საკუთარი საქმე მის პირად მიზანთა სისტემას სცილდება, მეტიც, მას ეწინააღმდეგება, მასთან ჰეტეროგენურ მიმართებაში იმყოფება. ამიტომ პიროვნებას არ შეუძლია არაპირადისეული მიზნის და ნორმების განხორციელება ისე, რომ თავისი საკუთარი „მე"–ობა არ დაკარგოს. მაგრამ ფაქტია, რომ პიროვნება ჩართულია მის გარეშე არსებულ მაღალ ღირებულებათა მიზნების მომსახურებაში /სხვა ადამიანი, ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო, კაცობრიობა/ და მათ მიზანს ახორციელებს. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ ეს უცხო არაპირადისეული მიზანი პირადისეულად გარდაიქმნება და საკუთარ მიზანთა სისტემას შეუერთდება. აი, ეს აქტი – არაპირადისეული მიზნის პირადისეულად გარდაქმნა – არის ი. მაგ., ცხადდება ომი. ყოველი მოქალაქე ეშურება ჩადგეს მეომართა რიგში და დაიცვას თავისი სამშობლო საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი. ამ შემთხვევაში არა კერძო ინდივიდუმის მიზანმა, პირადი მიზნის ძალა შეიძინა, ის ყოველი მოქალაქის პირად საქმედ იქცა. პირად მიზანთა სისტემაში ჩაერთო. სწორედ პიროვნებისათვის ამ უცხო მიზნის პირად მიზანთა სისტემაში ჩართვა და საკუთარი ქცევის შინაარსად მისი გარდაქმნა **ვ. შტერნს** კონცეფციით, არის ი. ი. ერთგვარი **შთაგრძნობაა** არაპირადისეულ მიზანში და მისი საკუთარ მიზანთა სფეროში გადმოტანაა.

ინტუიცია /ლათ. intuitio – ჰვრეტა/ – ფილოს-ში საგნის არსის უშუალო წვდომა. ფს-გიაში–შემეცნება არა ლოგიკური თანამიმდევრობის გზით, არა გონებრივი ოპერაციებით, ცნებითი აზროვნებით, არამედ მოვლენაში შთაგრძნობით, მიგნებით, უშუალო გაგებით დისკურსიული შემეცნება ლოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური ოპერაციების გარკვეული წესით განსაზღვრული თანამიმდევრობაა და ამ-
დენად იგი დროში გაშლილი პროცესია. ი. კი ერთხელობრივი აქტია, ამო-
ცანის ერთბაშადი ამოხსნა. ინტუიციური შემეცნება „ერთი ამოსუნთქვით"
ხდება: ეშმარიტება უშუალოდ ცხადდება და ჩვენი ხედვის წინაშე დგება.
ი. განსხვავდება აგრეთვე გამოცდილებით მიღებული ცოდნისაგან, რ-ც დაგრ-
ვილ დაკვირვებათა განზოგადების საფუძველზე წარმოიშობა. ი. ახლოს დგას ინ-
სპირაციასთან, ხილვასთან; მხატვრული შემოქმედება მდიდარია ადამიან-
თა განცდებში უშუალო ჩაწვდომით. სხვისი ჩანაფიქრების, სურვილების,
არაცნობიერი ლტოლვების ი-ის საფუძველზე ამოხსნით. ი-ას გულისხმობენ
მაშინაც, როცა ად-ნმა რაიმე ამოცანის ამოხსნას დიდი დრო და ენერგია
უშედეგოდ შეალია და მერე, სრულებით მოულოდნელად, როდესაც იგი ამ
ამოცანაზე უკვე არ ფიქრობდა, ამოცანის კვანძი თავის თავად გაიხსნა და
პასუხი მზა ფორმულით წარსდგა მის წინაშე.

ი-ის, რ-ც შემეცნების წყაროს შეფასებაში ორი ურთიერთსაწინა-
აღმდეგო აზრი არსებობს. ერთი – არალირებულად თვლის მას, რ-ც არა-
რაციონალურ პრინციპზე დაფუძნებულს, რაღაც მისტიკურს, მეორე–დიდად
აფასებს, ძალიან ღირებულად მიიჩნევს /მაგ., ანრი ბერგსონი/.

ინფანტილიზმი /ლათ. infans – ბავშვი/ – ორგანიზმის განვითარე-
ბის შერჩება ბ–ვობის საფეხურზე; ხმა ბ – ვური რჩება, ფს-კუ-
რი განვითარება, რ-ც აზროვნების, ისე ემოციის მხრივ ჩამორჩება. ი.
ღური ბ-ვი უდარდელია, ცელქი, უპასუხისმგებლო, მოუწესრიგებელი. აღ-
ზრდაში საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას.

ი. შეიძლება თანდაყოლილი ან მეძენილი იყოს. დაკავშირებულია ძი-
ნაგანი სეკრეციის ჯირკვლების /ჰიპოფიზის, ფარისებრი ჯირკვლის, სა-
სქესო ჯირკვლების/ მოშლილობასთან.

ინცესტი /ლათ. incestus – სისხლის აღრევა, მორალური და სარწ -
მუნოებრივი სიბილწე/ – უახლოეს ნათესავურ კავშირში მყოფ ადამიან-
თა შორის სისხლის აღრევა /მშობლებისა –შვილებთან, დებისა–ძმებთან/.
ზ. ფროიდის თეორიით: ი-სადმი ლტოლვა ბ-ვობის ადრეულ ასაკში შეიმ-
ჩნევა. აღზრდის მიმდინარეობაში ეს ლტოლვა იდევნება ცნობიერებიდან
ქვეცნობიერებაში და იქ განაგრძობს არსებობას, ღრმა კომპლექსის სა-
ხით. ფსიქოანალიზის მეთოდით ი-ური ლტოლვა შეიძლება აღმოჩენილ
იქნას ყოველი ად–ნის ადრეულ ბ-ვობის ასაკში. ფროიდის თეორიით, ი-
ური სურვილი მიმართულია ბ-ვის საწინააღმდეგო სქესის მშობლისადმი
/ქალისა–მამასადმი, ვაჟისა – დედისადმი/. ი-ურ ლტოლვას თან სდევს
საკუთარი სქესის მშობლის სიძულვილი და მისი სიკვდილის სურვილი.
ფროიდის აზრით, კაცობრიობამ ეს კონფლიქტი განიცადა „ოიდიპოსის "

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგედიის სახით. ი-ური ლტოლვა და მისი განდევნა ცნობიერებიდან ქვეცნობიერებაში, პირველი კონფლიქტია ად-ნის ინდივიდუალურ ცხოვრებაში. პრიმიტიულ ად-ნთა ტოტემური ცხოვრების პერიოდში. ი. უკვე მკაცრად იყო აკრძალული. მასზე ტაბუ იყო დადებული. /იხ. ოიდიპოს - კომპლექსი, ფსიქოანალიზი ტაბუ/.

ა. ოსტის კანონი —დასწავლის კანონები. (იხ.)

იპოქონდრია — /ბერძ. hypochondria / — ავად-ფური მდგომარეობა: ად-ნი შეპყრობილია შიშით, რომ ის ავადაა ან გახდება ავად. თავს მუდამ ცუდად გრძნობს, მცირე ავად-ს აზვიადებს, მუდამ „კარგი" ექიმის ძიებაშია. ი. ხშირად ნევროზის ხასიათს ატარებს. ხელშემწყობი პირობებია: ავად-ის რ-რც ფს-კური კონსტიტუცია ისე ეგზოგენური ფაქტორებიც, გადატანილი ინფექციური დაავადებანი: გადაჭანცვა, ცუდი კვება და სხვა ი. ზოგჯერ ფსიქოზის სიმპტომიც შეიძლება იყოს.

ირადიაცია აგზნების /ლათ. irradiatio — შუქის გამოცემა/ — ნერვული პროცესის ძლიერი აგზნების გავრცელება მოცემული რეფლექსის რკალის გარეთ, სხვა ნერვულ ცენტრებზე. აგზნების გადაცემა ხდება ნერვული უჯრედების წანაზარდების /აქსონებისა და დენდრიტების/ განტოტებით და შუამდებარე ნეირონების ჯაჭვებით, რ-ებიც ერთმანეთთან აერთიანებენ სხვადასხვა ნერვულ ცენტრებს. საწინ. კონცენტრაცია —აგზნების ირადიაციის შეზღუდვა და შეკავება ხდება რეფლექსურ ცენტრებში შემავალი, შემაკავებელი ნეირონებისა დ სინაპსების გზით.

ი. პავლოვის მიხედვით, პირობითი რეფლექსების გენერალიზაციას აგზნების ირადიაცია განსაზღვრავს, ხოლო მის დიფერენციაციას — აგზნების კონცენტრაცია.

ირადიაციის და ზოგად—პიროვნული ხასიათი განწყობისა — იხ. განწყობის თვისებები.

ირაციონალური /ლათ. irrationalis — უგუნური. შეუგნებელი/ — გონებით გაუგებარი და მიუწვდომელი, ლოგიკის კანონებით ამოუხსნელი, გონების საწინააღმდეგო.

ირიტაბილობა /ლათ. irritabilis — აგზნებადი/ — იგივეა, რაც აგზნებადობა.

ირონია — /ბერძ. eirōneia — დაცინვა/ —ინტელექტუალური გრძნობის ერთ-ერთი სახე, გამოხატავს ვინმეს ან რაიმეს ნაკლის გაკიცხვას ან მხიცინებას დაცინვის კილოთი. ი. გამოითქმის დაფარული სერიოზულობით ჰიპერბოლის ან საწინ-ს მტკიცების სახით. მთქმელმა იცის, რომ ი. აზვიადებს მდგომარეობას, მაგრამ ამით ის უკეთ აღწევს თავის მიზანს, ქმნის კონტრასტულ ან კომიკურ სიტუაციას, რ-ის ფონზე უფრო ნათლად გამოიკვეთება სინამდვილის ის ნაკლი, რ-ის მხილებისკენაც არის ი. მიმართული. ი. წარმოიშვება ერთგვარი განწყობილების /სურვილის/ საფუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველზე ინტელექტისა და გრძნობების თანამონაწილეობით, თან ახლავს **საკუთარი პიროვნების უპირატესობის გრძნობა**, გამოირჩევა მეხვეულსიტ-ყვაობით, მიგნებული თქმით. ი. გვაგონებს იუმორს, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს. ი. სერიოზული და მაღალი ღირებულების მიმართ ზნეობრივად დაუშვებელია. მისი საგანი დაბალისა და არა სერიოზულის| მხილებაა. იუმორი შეიძლება ყოველნაირ საგანს შეეხოს. მასში კეთილი სურვილებია ჩაქსოვილი და ხუმრობის იერს ატარებს, ი-ში კი დაცინვა და დამცირება ისმის. ი. მაღალი იდეალების მწვერვალიდან კიცხავს და ანადგურებს დაბალს და უმნიშვნელოს. ამით იმსახურებდა ი. რომანტიკოსთა სიმპათიას, ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ი-ას: „მან ყველაფერი უნდა განიხილოს, ყოველივე პირობითობის ზევით დადგეს, თვით საკუთარი შემოქმედების, სათნოების და გენიალობის ზევით /ფ. შლეგელი/.

ი-ულ განწყობილებას ან საკუთარი უპირატესობის გრძნობა უდევს საფუძვლად, ან საკუთარი არასრულფასოვნების დაფარვის გრძნობა.| ი-ამ მრავალნაირი სახე შეიძლება მიიღოს, მეგობრული ხუმრობიდან ვიდრე სარკაზმამდე. თუ ის წვრილმანი ღვარძლიანობის დონეზე დაეშვა, მაშინ ის ცინიზმში გადადის. კეთილშობილური და უვნებელი ი-ის მაგალითად სოკრატისებური ი. ითვლება. ცნობილია, რომ სოკრატე მოწინააღმდეგის პოზიციიდან ავითარებდა მსჯელობას და მოწინააღმდეგეს აბსურდული დასკვნის წინაშე აყენებდა. ი-ის ლიტერატურულ ფორმად სატირა ან პამფლეტი ჩაითვლება /მაგ., ასეთია ი. ჯაჯავაძის „კაცია ადამიანი?

ისტერია /ბერძ. hystera– საშვილოსნო/ –ტერმინი ასახავს ძველი დროის ექიმთა შეხედულებას ამ ავადმყოფობაზე, რომ ის დასაბამს იღებს სქესობრივი სფეროდან – ქალის საშვილოსნოდან. უფრო ხშირად ავადდებიან ქალები.

ნერვოზის ერთ–ერთი სახე, დამახ. ნიშნებია: ისტერიული გულყრები, შეიძლება |განვითარდეს მოძრაობათა ფუნქციის მოშლა, ზემო და ქვემო კიდურების დამბლა და პარეზი, დარღვევები მგრძნობელობის სფეროში / მგრძნობელობის დაწევა, ან სხვადასხვა ლოკალური ადგილების მტკივნეული შეგრძნება/. შეიძლება განვითარდეს აგრეთვე დროებითი სიყრუე, სიბრმავე, მეტყველების დარღვევა და სხვ.

ისტერიული ავადმყოფის ფს-გიური სტატუსის არსებითი ნიშნებია ნებისყოფის სისუსტე, ცნობიერების სივიწროვე /პ. ჯანე/, მომატებული შთამგონებლობა /ი. შარკო/ განწყობის ღაბილურობა /დ. უზნაძე/, ემოციური მერყეობა, გუნებაგანწყობის ხშირი | ცვლა,| ჯერეულობა მომატებული გაღიზიანებადობა, თვითშთაგონება, ეგოცენტრიზმი, ავადმყოფური ფანტაზირება, აგრავაცია, აფექტური ფეთქება. /ეს ნიშნები ქმნის იმის პირობას, რომ ჩვეულებრივი სასიცოცხლო სიტუაციის დაძლევაც კი ისტერიული ავადმყოფის ძალას აღემატება და ის „თავს აფარებს ავადმყოფობას*/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ნიშანთა შორის ხაზი უნდა გაესვას „განწყობის ლაბილურობას“. დ. უზნაძის მიხედვით: ისტერიული ავად-ის „განწყობა“ ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს „ტლანქი, სტატიკურ — ირადირებული“, მეორეში /იმავე ავადმყოფის/ განწყობა შეიძლება იყოს „ტლანქი სტატიკური“, მაგრამ „არაირადირებული“, მესამეში — „პლასტიკურ დინამიკური“ და ა. შ. განწყობის ლაბილურობა „ი-ის დიაგნოსტიკური მნიშვნელობის ჭარაქტეროლოგიური ნიშანია. ამით ის მკვეთრად გამოირჩევა სხვა ნევროზული დაავადებებისგან.

ი. უვითარდებათ ადამიანებს, რ-თაც თავის ტვინში ქერქქვეშა - პროცესები დომინანტობენ ქერქულზე.

ი-ის ეტიოლოგიაში დიდი მნიშვ-ის მქონეა არასწორი აღზრდა; ეგოცენტრიზმის განვითარება, საკუთარ უფლებებზე გაზვიადებული წარმოდგენის განმტკიცება, დარწმუნებულობა, რომ ის განსაკუთრებული პიროვნებაა, რ-საც მოვალეობა სხვის მიმართ არ ეკისრება.

ისტორიული მეხსიერება იხ. მოგონება.

იუმორი /ინგ. humour / — ინტელექტუალური გრძნობის ერთ-ერთი სახე. აღმოცენდება სასაცილო /კონტრასტული/ სიტუაციის ზემოქმედებით. იყენებენ რაიმე ნაკლის წარმოსაჩენად, მისი დატუქსვის მიზნით. იწვევს სიცილს, იგრძნობა მხიარული გუნებაგანწყობილება, კეთილი გრძნობები, არ შეიცავს არავითარ ღვარძლს /მაგ., დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“/, ამიტომ ი. შეიძლება შეეხებოდეს უახლოეს და საყვარელ ადამიანს და თვით საკუთარ თავსაც კი. სერიოზული ი. სინამდვილის რაიმე ნაკლოვანების სამხილებლად გამოიყენება. ქართულად მას „ხუმრობას“ უწოდებენ. ხშირად ი-ს ტრაგიკული იერი დაჰკრავს. ი-ით გამოწვეულ სიცილში ზოგჯერ ტირილიც ისმის. ი. „ხმამაღლა სიცილია ფარულ ცრემლებქვეშ“ /ნ. ვ. გოგოლი / . ი-ს, ისე რ-რც ირონიას, მსოფლმხედველობითი პრინციპი უდევს საფუძვლად, იგი თუმცა გრძნობაა, მაგრამ ინტელექტუალურ აქტივობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ამიტომ იგი ინტელექტუალურ გრძნობათა ჯგუფს განეკუთვნება. /იხ. ინტელექტუალური გრძნობები/.

იქსოთიმია /იხ. ვისკოზური ტემპერამენტი/ — ვისკოზური ტემპერამენტის თავისებურების აღმნიშვნელი ტერმინი.

იძულებითი მოძრაობები — ისეთი მოძრაობები, რ-თა შესრულებას სუბ. ეწინააღმდეგება, მაგრამ მისგან თავშეკავება არ შეუძლია და იძულებულია მაინც შეასრულოს იგი. მაგ., ერთ ქალს დროდადრო უჩნდებოდა სტევნის ძლიერი სურვილი. ის ებრძოდა ამ თავის არამოტივირებულ სურვილს, მაგრამ სანამ არ დაისტვენდა, ვერ მოისვენებდა; ისე, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოსტჰიპნოზური შთაგონების შემთხვევაში სუბ-ს აღეძვრის იმ მოქმედების შესრულების სურვილი, რ-იც მას ჰიპნოზური ძილის დროს შთაგონეს. მას არ შეუძლია შთაგონებული ქცევისაგან თავი შეიკავოს და არ შეასრულოს იგი, თუმცა თვითონ არ იცის, თუ რატომ აკეთებს ამას. მეხსიერებაში შთაგონების ფაქტი შემონახული არ არის/იხ. პოსტჰიპნოზური ამნეზია/.

კ

კათარზისის მეთოდი /ბერძ. katharsis – განწმენდა/– ფსიქოთერაპიაში – ნევროზის მკურნალობის მეთოდი /ი. ბროიერი, ზ. ფროიდი/. მდგომარეობს შემდეგში: მკურნალი ექიმი მას შემდეგ, რაც დაადგენს ავად-ის გამომწვევ მიზეზს /განდევნილ განცდას, კომპლექსს/, უცნობიერებს ავად-ს ამ დაფარული განცდის შინაარს და არწმუნებს, რომ მისი დაავადების მიზეზი ეს წინანდელი განცდაა, რ-იც ამჟამად მის მიერ დავიწყებულია, მაგრამ ამ განცდის შინაარსი ქვეცნობიერში განაგრძობს არსებობას და იქიდან აწუხებს მას. ამ განცდის გახსენების და ცნობიერებაში მისი ამოყვანის შედეგად ავად. კვლავ განიცდის მას. ამ ხელახალი განცდის შედეგად ავად. განიტვირთება მისგან /იწმინდება/, მტკივნეული განცდა კარგავს თავის ძალას და ავად. განიკურნება. ამ კონცეფციის თანახმად კ. ნიშნავს არაცნობიერი ტრავმული განცდის კვლავ განცდას. ფროიდამდე კ-ის გამოსაწვევად ჰიპნოზის მეთოდი იყო მიღებული, ავად-ს ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში განაცდევინებდნენ არაცნობიერად ქცეულ ფს-კურ ტრავმას ჰიპნოტიზიორის ბრძანებით.

კალიკაკ – ვინმე მარტინკ–ის ოჯახისთვის შერქმეული ფიქციური გვარი /ფსევდონიმი/. მისი შთამომავლობა, არსებული მასალის მიხედვით, იკვლია ამერიკელმა ფს-გმა ჰენრი გოდარდმა /1912/. მარტინის ორი ცოლისაგან, რომელთაგან ერთი ჭკუასუსტი იყო და მეორე გონიერი, წარმოიშვა ორი მკვეთრად განსხვავებული შთამომავლობა: ერთი ჭკვიანი და ნიჭიერი ცოლის შთამომავლობა – 496 კაცი, ყველა გონიერი [illegible] და საზოგადოებრივად სრულფასოვანი პიროვნება; მეორე – ცოლისაგან – 480 შთამომავალი, ყველა მოხეტიალე და ჭკუასუსტი ად–ნი.

კამერტონი /გერმ./ – ხელსაწყო, რ-იც გამოსცემს გარკვეული სიმაღლის ტონს, იყენებენ მუსიკალური ტონის სიწმინდის შესამოწმებლად.

კანის ფსიქოგალვანური რეფლექსი –იხ. ფსიქოგალვანური რეფლექსი.

კანის შეგრძნება – იხ. შეხების შეგრძნება.

კაპაციტეტი /ლათ. capax – უნარი, თვისება/ – გაგების, წვდომის უნარი, მიღწევის შესაძლებლობა. მეხსიერებაში შინაარსების რეტენციის და შემონახვის /რ. ზემონი/ უნარი /იხ. რეტენცია/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპტივაცია /ლათ. captivus – ტყვეობა – ძილის მსგავსი ფაზა ჰიპნოზის დასაწყისში.

კარპენტერის ეფექტი – იდეომოტორული კანონი /იხ./ რ-ის მიხედ - ვით სუბ-ის მიერ სხვისი რაიმე მოძრაობის აღქმა ან წარმოდგენა იწ - ვევს მასში იმავე მოძრაობის შესრულების იმპულსს. პირველად აღმოაჩინა ვ. კარპენტერმა /1813– 1885/.

კასტრაციის კომპლექსი – ზ. ფროიდის მიხედვით: ვითარდება ადრეული ბავშვობის ასაკში. აღმოცენდება სასქესო ორგანოების დაკა- რგვის შიშის საფუძველზე. ეს შიში, როგორც ძლიერ უსიამოვნო განცდა იდევნება ცნობიერებიდან ქვეცნობიერებაში და ვლინდება შემდეგ, მო - წიფულობის ხანაში სქესობრივი იმპოტენციის სახით.

კატათიმია – /ბერძ/ საღი განსჯის, გაგებას და ქცევის შეცვლა ემოციური აგზნების ზეგავლენით /ძლიერი სურვილი, აფექტი, შიში და სხვა/. დამახ. ბ-ვისა და პრიმიტიული ად-ნის აზროვნებისათვის. სა- წინ. ცივილიზებულ ად-ნის კაუზალურ -კატეგორიალური აზროვნება. ზრდადამთავრებულმა ნორმალურმა ად-მა კ-მური ცვლილება შეიძლება განიცადოს სიზმარში, ან ოცნების შემთხვევაში. ცნება კ. შეიმუშავა ნ. მაიერმა.

კატალეფსია /ბერძ. katalepsis – ცვლოვანი რიგიდობა/ – კუნ - თების გაშეშება. აქტიური მოძრაობის უნარი პარალიზებულია. სხეულის მიერ ერთხელ მიღებული მდგომარეობა უცვლელი რჩება. წინ უსწრებს ეპილეფსიურ შეტევას. ახასიათებს ისტერიას, ითვლება შიზოფრენიული დაავადების ერთ–ერთ სიმპტომად. ხელოვნურად კ-ის გამოწვევა შეი - ძლება ჰიპნოზურ მდგომარეობაში ჰიპნოტიზიორის ბრძანების შედეგად, /კატალეფსიური ხიდი /.

კატაპლექსია /ბერძ/ – კუნთური ტონუსის ერთბაშად მოდუნება. ჩვეულებრივ ჩნდება ძლიერი აფექტის /შიში, სიხარული/ შედეგად. ორ- განიზმს ეუფლება სისუსტე, ვერ ანძრევს სხეულის ვერც ერთ ნაწილს, ცნობიერება შენარჩუნებულია. გრძელდება 2 –3 წუთი.

კაუზალური ექსპერიმენტი – იხ. ბუნებისმეტყველური ექსპერიმენტი.

კვადრატის აღქმის ილუზია – ოპტიკურ-გეომეტრიული ილუზიის ერთ-ერთი სახე: ორი თანასწორი სიდიდის კვადრატიდან უფრო დიდი გვეჩვენება ის, რ-იც კუთხის წვერზეა დაყენებული.

ნახ. № 9



ეროვნული ბიბლიოთეკა

კვაზიმოთხოვნილება /ლათ. quasi – ვითომ/ – კ. ლევინის მიერ შემოტანილი ცნება ფს-გიაში. მისი აზრით კ. /ვითომ-მოთხოვნილება/ ჩნდება სოც. და საზოგადოებრივი ურთიერთობის ზეგავლენით, რ-რც მეორეული /„არანამდვილი"/ მოთხოვნილება. კ., რ-რც მოთხოვნილება, რაიმე დაწაკლისის განცდის მდგომარეობაა, ისიც მიმართულია თვითრეგულაციის იმავე მიზნისკენ, რა მიზნისკენ არის მიმართული ნამდვილი, პირველადი, აქტუალურ-ბიოლოგიური მოთხოვნილება, ისიც ცდილობს შეავსოს ინდივიდუუმის სიცოცხლეში რაღაც დანაკლისი. მაგრამ წინააღმდეგ ბუნებრივი მოთხოვნილებისა, კ. დამატებითი, „არანამდვილი" მოთხოვნილებაა, ის აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე არ წარმოიქმნება და სამოქმედო ძალებს იძენს არა თვით მოთხოვნილების ბუნებიდან უშუალოდ, არამედ სუბიექტის ნებისყოფიდან. იგი შემდეგნაირად წარმოიშობა: გაუჩნდება თუ არა სუბიექტს რაიმეს გაკეთების განზრახვა და რ-რც კი გადაწყვეტს სისრულეში მის მოყვანას, მასში უმალ შეიქმნება **დაძაბული მდგომარეობა**, რ-იც განტვირთვისკენ მიისწრაფ-ვის; ამის შემდეგ კ. ისე მოქმედებს, როგორც აქტუალური, ნამდვილი მოთხოვნილება: კ-ის დაკმაყოფილებისათვის საგულისხმო ყოველ საგანი იძენს „გამოწვევით ხასიათს" /„Aufforderugscharacter"/ და იზიდავს მოთხოვნილების მქონე სუბიექტს სამოქმედოდ. მაგ., ვთქვათ, მე დღეს განვიზრახე ქალაქგარეთ მცხოვრები მეგობრის სანახავად წასვლა, მაგრამ, რადგან დღეისთვის სხვა საქმეებიც მაქვს, ამიტომ ერთხანს ვფიქრობ, წავიდე, თუ დავრჩე და სხვა საქმეები ვაკეთო. დაბოლოს, გადაწყდა წავიდე ქალაქგარეთ, რ-რც კი მივიღე ეს გადაწყვეტილება, ის საგნები გამოეყვნენ გარემოს, დადგნენ ჩემი მხედველობის ველში და მიმიზიდეს სამოქმედოდ, რ-თაც ამ მგზავრობისათვის აქვთ მნიშვ.: წიგნი, რ-იც მეგობარმა მათხოვა და ახლა უნდა დავუბრუნო, ამანათი, რ-იც მისთვის არის გამზადებული, სამგზავროდ საჭირო თანხა. ვიღებ ამ საგნებს, ხელჩანთას და გავდივარ ოთახიდან, ვკეტავ კარებს და იმ მიმართულებით მივემართები, საიდანაც მისკენ გადის ტრანსპორტი. ჩემი მოქმედება მიზანშეწონილი პროცესია, რ-იც გამოიწვია არა აქტუალურმა მოთხოვნილებამ, არამედ მეგობრის ნახვის განზრახვამ და გადაწყვეტილებამ, ე. ი. „არა ნამდვილმა, პირველადმა აქტუალურმა მოთხოვნილებამ, არამედ მეორეულმა, „კვაზიმოთხოვნილებამ" /ვითომდა მოთხოვნილებამ.

დ. უზნაძის აზრით, კ-ით გამოწვეული ქცევა ჩვეულებრივი ნებისყოფის აქტის გარეგანი აღწერითი მხარეა. მასში ხაზგასმულია გადაწყვეტის კატეგორიული მნიშვნელობა ნებისეული მოქმედების პროცესში, მაგრამ ქცევის მიმდინარეობის მიზანშეწონილი ხასიათის ახსნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არ იძლევა და არც შეუძლია მოგვცეს. ამიტომ კ. ანუ ნებელობითი მოქმედება ვერაფერს მატებს, რ-რც მოთხოვნილების ფს-გიას, ისე — ქცევის ფს-გიას /იხ. ნებელობა/.

კვერულანტი /ლათ. queri+ ჩივილი/ —ად-ნის ხასიათის ერთ-ერთი ტიპის სახელწოდება. კ. ყველაფრით უკმაყოფილო, მომჩივანი ! ად-ნია, რ-აც ჰგონია, რომ ყველა მას ჩაგრავს. იგი წ ვრილმან რაიმეზე ჩხუ - ბობს, ილანძღება, ღვარძლიანობს, დადის საჩივრებით, ამტკიცებს, რომ იბრძვის სამართლიანობისა და უფლების დასაცავად. სინამდვილეში კი მის საჩივრებს ობიექტური საფუძველი არა აქვს. აზრს მოკლებული მი- სი შეუგუებლობა გარემოსთან მისი პიროვნული თვისებით ახსნება — ის ღრმა ფსიქოპათიური პიროვნებაა, მაგრამ ფსიქოტურ მდგომარეობაში გა- დასული მაინც არ არის.

კვლევითი ექსპერიმენტი — ფს-გიაში: ი. ლინდვორსკის კლასიფიკა- ციით, ფს-გიური ექსპერ-ის ერთ—ერთი სახე, მისი მიზანია ფს—კური მოვლენის ხუნების აღწერა, სხვა ფს-კურ მოვლენებთან მიმართებისა და კავშირების დადგენა. განსხვავდება ფს-გიური ექსპერიმენტის მეორე სა- ხისაგან, ე. წ. გამოცდის ანუ შემოწმების ექსპერიმენტისაგან, რ-ის მი- ზანია ამა თუ იმ ფს-კური ფუნქციის განვითარების ხარისხის ანუ დო- ნის დადასტურება. მაგ. ასეთია ტესტი /ე. ი. გამოცდის ექსპერიმენტი/

კვლევის მეთოდი განწყობისა — იხ. განწყობის კვლევის მეთოდი.

კიდეების კონტრასტი — ოპტიკურ-სიმულტანური ფერითი კონტრას- ტის თავისებურება. ორი გვერდი—გვერდმდებარე ფერადი სიბრტყის სა- ზღვრებზე —მაგ., წითლისა და მწვანის, კონტრასტი უფრო ძლიერია, ვი- დრე კიდეებიდან დაშორებულ ადგილებზე. /იხ. ფერთა კონტრასტი/.

კიმოგრაფი /ბერძ. kyma — ტალღა, grapho — ვწერ /—/ ექსპერ. ფს- გიაში; ფიზიოლ—გიაში - მუშაობის მიმდინარეობის გრაფიკულად ჩამწე- რი აპარატი. მაგ., სისხლის მიმოქცევის, მაჯისცემის, გულისცემის, სუნ- თქვისა და სხვ.

კინესთეტური | შეგრძნება /ბერძ. kinéo —ვამოძრავებ და aisthesis — შეგრძნება — მოძრაობის შეგრძნება/ —ადამიანის სხეულის ცალკე ნაწი- ლების მდებარეობის, მოძრაობის, დაძაბულობის, სიმძიმის და კუნთური მოქმედების შეგრძნება. მაგ., თვალები რომ დავხუჭოთ, მაინც ყოველთვის შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი სხეულის თუ რომელ ორგანოს რა მდებარეობა უჭირავს სივრცეში — მოხრილია ის, გაშლილი, დაძაბუ - ლი, უწევს რაიმეს წინააღმდეგობას და რა ხარისხით, და სხვა. აი, ამ ცოდნას, ამ უშუალო განცდას კ. შ. ეწოდება. შეგრძნებათა ამ ჯგუფს „კინესთეტიკური" პირველად ა. ბასტიანმა უწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად–ნის მოძრაობათა აქტივობა, მოქმედებათა რეგულაცია და კონტროლი კ. შ–ბის საფუძველზე ხორციელდება. მათი ძირითადი რომელობებია: **წინააღმდეგობის ანუ** ძალისხმევის, სხეულის **მოძრაობის**, მდებარეობის და წონასწორობის /სტატიკური/ შეგრძნებები. ყოველ კ. შ-ას თავისი ორ - განო აქვს /მყესები, სახსრები, კუნთები/. სივრცეში სხეულის მდებარეობისა და ცალკეული კუნთის შეკუმშვის ხარისხის შესახებ ინფორმაცია ც. ნ. ს–ში მოდის ვეს'ტიბულარული აპარატის, კუნთების, სახსრების და მყესების რეცეპტორებიდან, ე. წ. პროპრიორეცეპტორებიდან.

კლასიფიკაცია – /ლათ. classificatio/ შესასწავლ მოვლენათა დაჯგუფება გარკვეული ნიშნის მიხედვით; ამ ნიშანს კ-ის საფუძველი ეწოდება. სწორი, მეცნიერული კ. უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. უნდა იყოს სრული, ე. ი. იტევდეს ,ამ მეცნიერების შესასწავლ ყველა მ ოვლენას; 2. კ-ის პრინციპი, რ-რც საფუძველი, ბოლომდე უნდა იყოს დაცული, არ უნდა იცვლებოდეს 3. თითოეული ჯგუფი ან კლასი უნდა გამორიცხავდეს დანარჩენს; 4. კ. უნდა იყოს თანამიმდევრული, უნახტომო. დასრულებული. კ. მეცნიერების საბოლოო მიზანია, იგი, მეცნიერების განვითარების კვალობაზე, თანდათან სრულიქმნება. კ-ს საჭიროებს ყოველ მეცნიერება, რომლის საგანი მოვლენათა მრავალსახეობას შეიცავს. ისე, როგორც სხვა მეცნიერებაში, ფს-გიაშიც საჭიროა ფს-კურ მოვლენათა კ. /იხ. ფსიქიკური მოვლენათა კლასიფიკაცია/.

კლეპტომანია /ბერძ. kleptô – ვიპარავ და mania – ვნება/ – ავადფური მიდრეკილება ქურდობისაკენ. ცდი აღზრდის ან ჭკუასუსტობის შედეგი - არ არის, არც ნივთის შეძენის სურვილითაა გამოწვეული /გატაცებულ ნივთს კ. ჩვეულებრივ არ იყენებს, გადააგდებს ან უკან დააბრუნებს/. კ. დაუძლეველი მისწრაფებაა ქურდობისაკენ როგორც მოქმედებისაკენ. წმინდა სახით იშვიათად გვხვდება. /იხ. მანია/

კლინიკური ფსიქოლოგია – იხ. სამედიცინო ფსიქოლოგია.

კლინიკური საუბრის მეთოდი – ფს-გიაში ბავშვის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი; დაამუშავა და ბავშვის ფს-გიაში შემოიტანა **ჟ. პიაჟემ**, რ-იც ამ მეთოდით იკვლევდა ბავშვის აზროვნებას და წარმოდგენას ეს იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული კითხვების დასმით და საუბრით გროვდება მასალა მკვლევარისთვის საინტერესო საკითხზე. საუბარი ბ-ვთან სტიქიური ხასიათს არ ატარებს: მკვლევარი წინასწარ ამუშავებს საუბრის გეგმას. უსვამს ბ–ვს იმ პრობლემის შესაფერის კითხვებს, რ-იც მის წინაშე დგას და ბ-ვის პასუხების შესატყვისად აგრძელებს საუბარს, ცდილობს ისე წარმართოს საუბარი, ისეთი კითხვები დაუსვას, რომ ძირითად საკვლევ პრობლემას არ დაშორდეს. კ. ს. მ–ს საშუალ ადგილი უჭირავს ექსპერ-სა და დაკვირვებას შორის. მისი გამოყენება შესაძლებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხდება ბ-ვის განვითარების იმ პერიოდიდან, როცა ბ-ვი მეტყველებას და-ეუფლება, /3-4 წ./. კ. ს. მ. გამოიყენება ბ-ვის წარმოდგენის, აზროვნების და მსოფლმხედველობის კვლევის მიზნით. ამ მეთოდით შეგროვებული მასალის დამუშავება-ანალიზს პიაჟე რიგ მოთხოვნებს უყენებს. მათგან მთავარია: 1. ერთი და იმავე ასაკის ბავშვთა ჩვევების ერთნაირობა; 2. ასაკის ზრდის კვალობაზე ბავშვის აზროვნების ევოლუციის ხაზის გამოვლენა; 3. შთაგონების თავიდან აცილება. კ. ს. მ-ს ფსიქიატ-ში იყენებენ ავად-ის შესწავლისა და დიაგნოზის დადგენის მიზნითაც.

კოგნიცია, კოგნიციური /ლათ. cōgitātio – აზროვნება, აზრი/ – აზროვნებასთან დაკავშირებული, შემეცნებისათვის განკუთვნილი, აზრობრივი. **საწინ. კონატიური.**

კონცეპტუალური თეორია – დ. უზნაძის თეორია ად-ნის განვითარების **ფაქტორების** შესახებ. მისი აზრით, არც ემპირიზმია სწორი, რ-იც გულისხმობს, **რომ** განვითარებაში ყველაფერი შეძენილია, არც ნატივიზმია სწორი, **რის** თანახმად მხოლოდ მემკვიდრეობა განსაზღვრავს განვითარებას და, **არც** ვ. შტერნის თეორია ამ ორი ფაქტორის – მემკვიდრეობისა და გარემოს – **კონვერგენციისა.** სამთავე შემთხვევაში შინაგანი და გარეგანი **ნაგულისხმევია** რ-რც ურთიერთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ფაქტორები, **და** გაუგებარია თუ რ-რ ხვდება მემკვიდრეობას – შინაგან ფაქ-ტორს-მისი შესატყვისი გარეგანი პირობა.

დ. უზნაძის კ. თ. გულისხმობს, რომ განვითარებას შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთიანობა განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ შინაგანში, მემკვიდრეობითში ის გარემოცაა ნაგულისხმევი, რომელშიც მას შეუძლია განვითარდეს. ცალკე არსებობა განვითარების არც ერთ ფაქტორს არ შეუძლია. „ყოველ ცოცხალ ორგანიზმში იმთავითვე მოცემულია, რ-რც მისი შინაგანი ძალა, ისე, ის გარეპირობაც, რ-აც ეს ძალა გულისხმობს, მაგრამ აქტუალურად არც ძალაა მოცემული და არც გარეპირობა, ერთიც და მეორეც პოტენციალობის სახით არსებობს“ /დ. უზნაძე/. ამ თეორიის მიხედვით, განვითარება უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა ყოველ შინაგანზე, მემკვიდრეობით მოცემულზე ვიმოქმედებთ მისთვის შესატყვისი გარემო პირობებით.

კოლექტიური ფსიქოლოგია –იხ. სოციალური ფსიქოლოგია.

კოლექტიური წარმოდგენა – ლ. ლევი – ბრიულის მიერ შემოტანილი ცნება; გულისხმობს კოლექტიური შემოქმედების საფუძველზე დადგენილ წარმოდგენას. დამახ. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი პრიმიტიული ად-ნის აზროვნებისათვის. კ. წ. ად-ნის ინდივიდ-ლურ ცხოვრებაში შეძენილი წარმოდგენა არ არის: იგი არაა ამჟამად ხილული საგნის ად-

ქმით მიღებული ხატი, რ-იც ჩვეულებრივ ყოველ ადამიანს უმუშავდება;

კ. წ. კოლექტიური შემოქმედებითაა შექმნილი და შთამომავლობისათვის გადმოცემულია იმ შინაარსით, რა შინაარსითაც ჩამოყალიბდა იგი თაობათა სოციალურ გამოცდილებაში.

კ. წ-ნის საგნობრივ შინაარსს თან ერთვის, ლევი-ბრიულის მიხედვით, ად-ნის ემოციურ-აფექტური და მოტორულ-ვოლიტიური განცდები; კ. წ-ით საგანი შეიცავს მისტიკურ ძალას, სულს, რ-იც ერევა ად-ნის მოქმედებაში /ხელს უწყობს ან აფერხებს/ და განსაზღვრავს მის ბედს. კ. წ-ში ასახული საგანი, პრიმიტიული ად-ნისათვის იმედისა და შიშის წყაროა. ცხოველთა და მცენარეთა სამყარო ასეთი სულებითაა დასახლებული. აგრეთვე მთელი არაორგანული, გარემოცვაც – მნათობები, ჰაერი ქარი, ელვა-ქუხილი, წყალი, მთა და ყველაფერი სხვაც, თვით ად-ნის ხელით გაკეთებული საგანიც კი –სულის საბუდარია. კ. წ-ის საფუძველზეა წარმოქმნილი მითები, თქმულებები, რელიგია, შექმნილია ღმერთები და დემონები, ჩამოყალიბებულია რიტუალები, ტოტემი და ტაბუ. კ. წ-ნის საფუძველზეა მოწესრიგებული პრიმიტიული ად-ნის ცხოვრების მთელი შინაარსი, მისი მაგიური აზროვნება და მოქმედება. /იხ. მაგიური აზროვნება, ტაბუ/.

კომპენსაცია /ლათ. compēnsātio – ანაზღაურება/ –ბიოლ-ში ცოცხალი არსების რ-იმე ფუნქციის ძლიერი განვითარება სხვა ფუნქციის დაკარგვის ან ამოვარდნის გამო. მაგ., უსინათლოს, იმის გამო, რომ იგი ვერ ხედავს, უფრო მეტად უვითარდება გარემოსთან დამოკიდებულება-ში. შეხებით-ტაქტილური შეგრძნება. მხედველობის არქონა ნაწილობრივ ანაზღაურებულია, „კომპენსირებულია" შეხებით-ტაქტილური მგრძნობელობით. ასეთივე კომპენსატორული მნიშვნელობა აქვს უსინათლობის შემთხვევაში ვიბრაციის შეგრძნებას.

ფსიქო-ფიზიოლ-ში თავის ტვინის დაზიანებული ადგილის ფუნქციის შესრულება მასთან ახლო მდებარე, მონათესავე ადგილის მიერ. პირველად ამ ფაქტზე მიუთითა ვ. ვუნდტმა.

ალფრედ ადლერის კონცეფციით /იხ. ინდივიდუალფსიქოლოგია/, პიროვნების საკუთარი ნაკლოვანების ანუ ნაკლები ღირებულების განცდა წარმოშობს ისეთ ქცევას, რ-იც ამ განცდის კ-ს მოახდენს, დაფარავს. მაგ., საკუთარი შინაგანი უძლურების განცდა ბადებს ძალაუფლების დაპყრობის, სხვისი დამორჩილების სურვილს და მისწრაფებას. ამით სუბ. არწმუნებს საკუთარ თავს, რომ ის ძლიერია და უნაკლო, ახდენს საკუთარი პიროვნების არასრულფასოვნების კ-ას.

კომპლემენტური ფერი /ლათ. complēmentum – დამატება/ – შემავსებელი ფერი. /იხ. ფერთა შერევის კანონი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსი /ლათ. complexus – შეკავშირება/ – ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ცნება ფსიქოანალიზში. მისი თეორიის მიხედვით წარმოადგენს „ზე–მე"-სთვის მიუღებელ უსიამოვნო აფექტით შეკავშირებულ წარმოდგენათა ერთობლიობას, რ-იც ცნობიერებასთან შეუთავსებლობისა და თავისი უსიამოვნო ხასიათის გამო იდევნება ცნობიერებიდან და არაცნობიერი ხდება. /იხ. განდევნილი განცდა/. სწორედ ერთ კ-ში შეკავშირებულ წარმოდგენათა სახით. კ. განაგრძობს არსებობას „იგი" ფენაში, რ-რც ერთი მთლიანი. აქედან ზემოქმედებს ცნობიერების შინაარსზე და გაწსაზღვრავს მის მიმდინარეობას. კ-ის ფარული, გაუცნობიერებელი ზემოქმედება, რ-აც სუბ. კონტროლს ვერ უწევს, ქმნის სუბ-ში არანორმალურ მდგომარეობას, რაც ნეიროზულ დაავადებათა მიზეზი ხდება /ისტერია ნეიროზები, აკვიატებული იდეები/. ფსიქოანალიზის ამოცანაა მიაგნოს წარმოდგენათა ამ კ-ს, ამოიყვანოს იგი ცნობიერების ველზე, გაუცნობიეროს ადამ-ს და გათავისუფლოს ის მისგან /იხ. კათარზისის/.

კომპლექსკვალიტეტი – წინაღ. გეშტალტთეორიისა – შინაგანად დაუნაწევრებელი მთლიანობა. ასეთია კრეუგერის მიხედვით ყოველი ემოცია. /იხ. გეშტალტი, გეშტალტფსიქოლოგია/.

კომპლიკაცია /ლათ. complicāre – დამთხვევა/ – ფსიქ-გიაში: ორი სხვადასხვა გრძნობითი სფეროს /მოდალობის/ წარმოდგენათა დაკავშირება. როგორც მეთოდი გამოიყენება „პიროვნული განტოლების" დადგენის მიზნით. ც. პ-ს ეძლევა ორი სხვადასხვა გამღიზიანებელი, მაგ., უნდა დააკვირდეს საათის ისრის მოძრაობას და, როცა გაიგონებს აკუსტიკურ სიგნალს, ზუსტად აღნიშნოს საათის ისრის ადგილმდებარეობა /რუპის კომპლიკაციური საათი/. ირკვევა, რომ ზოგი სუბიექტი ზარის ხმაზე ისრის ადგილმდებარეობას უფრო ადრე აღნიშნავს და ზოგი უფრო გვიან, ნამდვილ ვითარებასთან შედარებით. /იხ. პიროვნული განტოლება/.

კონატიური /ლათ. cōnātus– ლტოლვა/ ფს-კურ-აქტიურობა ინსტინქტური მიდრეკილებები, სწრაფვა /ვ. მაკ-დუგალი/. საწინ. კოგნიციური.

კონგენიტალური /ლათ. con –თან, genitalis – დაბადებისეული, შთამომაელობითი/ – მემკვიდრეობით მიღებული ან ორგანიზმის ემბრიონული განვითარების პერიოდში შეძენილი თვისების თანდაყოლილი.

კონდიციური რეფლექსი /ლათ. conditio –პირობა/ – იგივეა, რაც პირობითი რეფლექსი.

კონვარიაბილობა /ლათ. con – თან და variatio – ცვლილება/ – ფს-გიაში – რაიმე ნიშნის ცვალებადობა პ ი რ ო ბ ი ს ცვლილებასთან ერთად. მაგ., ცნების შინაარსი ბავშვობის ასაკში იცვლება ბავშვის განვითარების პერიოდის ცვლილებასთან ერთად, წარმოდგენათა მარაგი და სხვა ფსკური პროცესები იცვლება ასაკის ზრდასთან ერთად. მეხსიერების მიღწე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვები /დამახსოვრება/ იცვლება დაღლილობა-დასვენების პირობების ცვლილებასთან ერთად. კ-ის ცნება დიფერენციულ ფს-გიაში დაამუშავა ვ. შტერნმა. მისი აზრით, კ. უნდა განვასხვავოთ კორელაციისაგან, ვინაიდან შეიძლება რაიმე მოვლენათა შორის კორელაცია ერთი სახისა იყოს, ხოლო კ. სულ სხვა სახისა. უნდა აღინიშნოს, რომ კ-ასა და კორელაციას შორის განსხვავების დასაბუთება ვ. შტერნს მოცემული არა აქვს.

კონვერგენცია — /ლათ. con vergere — რაც ემთხვევა /რასმე, დამთხვევა/ ფს-გიაში — ვ. შტერნის „პერსონალისტიკის" ძირითადი პრინციპი, რ-ის მიხედვითაც შინაგანი და გარეგანი, ად-ნი და სამყარო, ფს-კური და ფიზიოლ-კოორდინირებული, კონვერგირებული მოქმედების ერთ სისტემას ქმნიან. ად-ნის განვითარება, ვ. შტერნის კ-ის თეორიით, არც ცალკე მე-მკვიდრეობითი ფაქტორით განისაზღვრება, არც მხოლოდ გარემოს მოქმედებით. განვითარება ორივე ფაქტორის, შინაგანისა და გარეგანის, შეხვედრაა, მათი კონვერგენცია.

კონვერსია /ლათ. conversio — გარდაქმნა, შეცვლა / — ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ტერ. იყენებენ ფსიქოანალიზში, ნიშნავს: 1. რაიმე მძიმე განცდის გარდაქმნას და სხეულებრივი სიმპტომებით გამოვლენას /კონვერსიული ნეიროზები, ისტერია/. 2. არარეალიზებული ძალების შემოქმედებით აქტივობაში გადასვლას, რეალიზებას. ენათმეცნიერებაში „ტრანსფორმაციას". (იხ. „სუბლიმაცია")

კონკრეტული წარმოდგენა /ლათ. concretus — სქელი, მაგარი/ თვალსაჩინო საგნის წარმოდგენა, მაგ., როცა რ-იმე კერძო საგანზე ვფიქრობთ, პირადად მისი თვალსაჩინო, კონკრეტული სახის წარმოდგენა გვაქვს. საპირისპიროდ — ზოგადი წარმოდგენა /იხ./.

კონსტანტურობა /ლათ. constans — მუდმივი, უცვლელი/ — უცვლელობა, სიმყარე, გარკვეული დროის განმავლობაში ერთსა და იმავე მდგომარეობაში დარჩენა. ფს—გიაში ცნობილია აღქმის კ. /აღქმაში საგნის ფერის, ფორმის და სიდიდის უცვლელობა/, განწყობის კ. /დ. უზნაძე/ განწყობის მოქმედების უცვლელობა დროის გარკვეულ პერიოდში. საპირისპიროდ — ლაბილურობა /იხ. განწყობის ინდივიდუალურ —დიფერენციული ხასიათი/.

კონსტანტურობა და ვარიაბილურობა განწყობის — იხ. განწყობის ინდივიდუალურ —დიფერენციული ხასიათი

კონსტელაციის თეორია — /ლათ. stella — ვარსკვლავი — ასტრონ. —თანავარსკვლავედი, მრავალ ვარსკვლავთა სისტემა/.

ფს-გიაში — ასოციაციური თეორია, რ—ის თანახმადაც აზროვნების პროცესს საფუძვლად უდევს გამოცდილებაში შემუშავებულ წარმოდგენათა სისტემა. ამ თეორიის თანახმად, აზროვნების პროცესი არსებითად გაგებულია, როგორც წარმოდგენათა შემუშავებული სისტემის /კონსტელაციის/ პროდუქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუცია /ლათ. constitutio– დადგინება –აგებულება./ – ფს-გია-ში – ად-ნის ფიზ. ორგანიზმის /სხეულის/ აგებულებისა და ფს-კურ თა-ვისებურებათა /თვისებათა, ნიშანთა/ ერთობლიობა; მემკვიდრეობით მი-ღებული ყველა ფსიქო-ფიზ. ნიშნების–გენოტიპის –და გარემოს ზეგავლე-ნით შეძენილ ყველა თვისებათა –ფენოტიპის –ერთიანობა. ორგანიზმის ფიზ. აგებულებაში შედის ანატომიურ–მორფოლოგიური, ფიზიოლ–სეკრე-ტორული და ბიოქიმიური სისტემები; ფს-კურ აგებულებაში შედის პირო-ვნების ტემპერამენტი, ხასიათი, ყველა ფს-კური ნიშან-თვისება და დის-პოზიციები. ყოველი ად-ნი საკუთრივ მისთვის დამახ. კ-ის ტიპს წარმოა-დგენს, რ-იც მთელი სიცოცხლის მანძილზე ძირითადად უცვლელი რჩება. კ. განსაზღვრავს შექმნილ სიტუაციაზე ად-ნის რეაგირების ფორმას, ივი მისი სასიცოცხლო უნარიანობის გამომხატველია. ად-ნის ორგანიზმის მიდრე-კილება გარკვეული დაავადებისადმი, ისე, როგორც წინააღმდეგობის გა-წევის უნარი და ბრძოლა ავად–ობასთან, რ-რც ვარაუდობენ, კ-ითაც არის განსაზღვრული. კ-ზეა დამოკიდებული აგრეთვე ად-ნის აქტივობა, ემოცი-ურ–გრძნობითი დამოკიდებულება გარემოსთან და ტემპერამენტის სახეები. ამდენად კ. ფუნქციური ანუ ახსნითი ცნებაა.

კ. ფიზიკურ-ფიზიოლოგიურად და ფს-კურად იმდენად რთულ, თავისე-ბურ და მრავალ ორგანოთა და სისტემათა შემადგენლობაა, რომ ყველა მა-თი წვლილი და ერთ მთლიანობაში გათვალისწინება დიდ სირთულეს შეი-ცავს. მაგრამ მაინც კ-ის დადგენის ცდები, სხეულის აგებულების საფუძველ-ზე არაერთია ცნობილი, მაგ., /1877/, ფ. ბენეკესი /1878/, კ. ზიგოსი /1908/, ე. კრეჩმერის /1921/, დავენპორტის /1923/, ვ. შელდონის /1940/, კ. კონრადის /1941/ და სხვათა.

ად-ნის კ-ის განვითარება არ არის მარტო ბიოლოგიური ფაქტორებით /მემკვიდრეობით მიღებული მონაცემებით/ განსაზღვრული; მის განვითარე-ბაში სოციალურ ფაქტორსაც ენიჭება განმსაზღვრელი მნიშვნელობა. მუ-დამ უნდა გვახსოვდეს, რომ კ. არის სუბ-ის, რ–რც მემკვიდრეობით მიღე-ბულ, ისე განვითარების პერიოდში შეძენილ ყველა ფსიქო–ფიზ. ნიშან–თვისებათა ერთობლიობა. /იხ. სხეულის აგებულების ტიპები/.

კონსტრუქციული თამაში /ლათ. constructio – აგება/ –ბ-ვის თა-მაშის ერთ–ერთი სახე: ბ-ვში განვითარების მეხუთე წელს ნივთიერი მა-სალის გარდაქმნის ინტერესი იღვიძებს. დ. უზნაძის დაკვირვებით, ამ-ის შესატყვისად იცვლება მისი თამაშის ფორმაც. თუ აქამდე მისი თამაშის ფორმა მხოლოდ ილუზიის თამაში იყო, ახლა სათანადო ადგილს კ. თ. იკა-ვებს /იხ. სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი, სკოლის წინარე ასაკი/.

კონსტრუქტიული ფსიქოლოგია – იხ. ახსნითი ფსიქოლოგია.

კონტამინაცია /ლათ. contaminatio – შეხება, შერევა, შერწყმა/ –

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფს-გიაში — სხვადასხვა სიტყვების ან წინადადებების ურთიერთში აღრევა, შერწყმა, შერევა. ად-ნის მეტყველებით მოქმედებაში სიტყვათა შერევას, რ-რც უცაბედ შეცდომას, ადგილი აქვს დაღლილობის შემთხვევაში. მისი სისტემატური გამოვლენა ავად-ური მდგომარეობის ნიშანია, დამახ-შიზოფრენიისათვის.

კონტაქტური რეცეპტორი — იხ. რეცეპტორი.

კონტიგუიტეტის კანონი /ლათ. contiguus — შეხება, მოსაზღვრეობა, მეზობლობა/ იგივეა, რაც ასოციაციის კანონები: დროში და სივრცეში მეზობლობა, რ-თა თანახმად წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდებიან და აღადგენენ.

კონტრასტი /ფრანგ. contraste — დაპირისპირება/ — ფს-გიაში: ორი ერთი და იმავე მოდალობის, მაგრამ ინტენსიურობით ან სიდიდით განსხვავებული გამღიზიანებლის არასწორი აღქმა, ე. ი. მათ შორის არსებული სხვაობის უფრო დიდ სხვაობად განცდა, ვიდრე ის ობიექტურად არის. მაგ., ორი წრე — პატარა და დიდი — უფრო განსხვავებულად გვეჩვენება /პატარა უფრო პატარად და დიდი უფრო დიდად/, ვიდრე ისინი არიან სინამდვილეში; ან, როცა თბილი ოთახიდან ცივ ოთახში გადავდივართ, ცივი-უფრო ცივად გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია. კ-ს ადგილი აქვს აგრეთვე ფერთა შეგრძნებებშიც (იხ. ფერთა კონტრასტი).

დადგენილია კ-ის შემდეგი კანონები: 1. გამღიზიანებელთა კონტრასტული ურთიერთზემოქმედება იზრდება მათ შორის არსებული განსხვავების მომატების კვალობაზე. 2. რამდენადაც ახლოა ურთიერთთან მხედველობის ველში ფერითი გამღიზიანებლები, იმდენად უფრო ძლიერია კ. 3. ურთიერთის მეზობლად მდებარე ფერების კიდეებზე კ. უფრო ძლიერია, ვიდრე დაშორებულ ადგილებზე /იხ. კიდეების კონტრასტი/.

კ. ორგვარია: თანამიმდევრული ანუ სუქსესიური და ერთდროული ანუ სიმულტანური. თანამიმდევრულია კ., როცა სუბ—ზე გამღიზიანებლები დროში თანამიმდევრულად მოქმედებენ, სიმულტანურია კ. მაშინ, როცა გამღიზიანებლები ერთდროულად მოქმედებენ. ტერ. კ. ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა დ. უზნაძის განწყობის თეორიაში. კ-ის საწინ. ფს-გიაში ასიმილაციაა, /იხ./.

კონტრასტის ასიმილაცია —ასოციასიის კანონები.

კონტრასტული და ასიმილაციური ილუზიის სახეები განწყობისა — იხ. განწყობის სახეები.

კონტრასტული ფერი— იგივეა, რაც ანტაგონისტური ფერი. /იხ. ფერთა შერევის კანონი/.

კონფაბულაცია /ლათ. confabulari, ყბედობა, ლაყბობა/ — მეხსიერების გაუკუღმართების —პარამნეზიის ერთ-ერთი სახე. დამახ-ა, გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონილი, ფანტასტიკური შინაარსის ამბების თხრობა. მეხსიერების სრული ჩავარდნის შედეგად წარსულის არასწორი რეპროდუქცია. შეთხზულ შინაარსს თვითონ მთქმელი სინამდვილედ მიიჩნევს.

კონფლიქტი /ლათ. conflictus – შეტაკება/ – ბრძოლა მოქმედების მოტივთა შორის. არსებითად დამახ-ა და სპეციფიკურია ად-ნისათვის /თუმცა, რაღაც კონფლიქტის მსგავსი ცხოველებთანაც შეიძლება მოინახოს/. აღსანიშნავია კ-ის ორი სახე– **გარეგანი და შინაგანი.** გარეგანია კ., როცა მოცემული ობიექტური სიტუაცია ად-ნს არ აძლევს საშუალებას დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება. მაშინ მისი დამოკიდებულება ამ სიტუაციასთან კ-ური ხდება, ე. ი. იგი ვერ ურიგდება სიტუაციას, რ-იც მის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და მისდამი საწინააღმდეგოდ განეწყობა. შინაგანი, სუბ–ური კ. წარმოიშობა თანაბრად ღირებულ სამოქმედო მოტივთა ბრძოლის საფუძველზე. სუბ. ვერ წყვეტს, თუ რ-ელ მოტივს მისცეს უპირატესობა და რ-ორ იმოქმედოს. ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობა თვით მოტივთა შორის არსებობს და არა მოტივსა და ობიექტურ სიტუაციას შორის. ორსავე შემთხვევაში თვით კ. რ-რც ფენომენი, ისეთი ფს-კური მდგომარეობაა, რ-იც უსიამოვნო ემოციებით არის აღბეჭდილი. ად-ის ცხოვრებაში კ., რ-რც ფს-კური მდგომარეობა ნორმალური მოვლენაა: ყოველ ად-ნს შეიძლება შეექმნას კონფლიქტური ობიექტური სიტუაცია ისე, რ-რც ყოველმა ად-ნმა შეიძლება ვერ შეძლოს გადაწყვეტილების გამოტანა სამოქმედო მოტივთა სიმრავლის პირობებში. მაგრამ ად-ნი, ჩვეულებრივ, გამოდის ამ მდგომარეობიდან; ამუშავებს შექმნილ პირობებთან შემარიგებელ მოდუსს და სძლევს კ–ს. ხოლო თუ სუბ. ვერ გამოვიდა ასეთი მდგომარეობიდან და კ. ქრონიკული გახდა, მაშინ შეიძლება მან პათოლოგიური ხასიათი მიიღოს და ნევროზის გამომწვევი მიზეზი გახდეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არიან კონფლიქტისადმი ბუნებრივად მიდრეკილი ად-ნები. ამ მხრივ განასხვავებენ ორ ტიპოლოგიურ ჯგუფს: პირველნი კ-ში მოდიან ისეთ პირობებთან, რ–ებთანაც მეორენი ნეიტრალურ ანუ ჰარმონიულ მდგომარეობას ამყარებენ. პირველს კ–ურ პიროვნებებს უწოდებენ, მეორეს–ჰარმონიულს /ვლ. ნორაკიძე/.

კონფლიქტური პიროვნება –იხ. კონფლიქტი.

კონფორმიზმი /ლათ. conformatio – ჩამოყალიბება/ – ინდივიდის შეგუებითი ქცევა საზოგადოებაში, მისი შერწყმა საზოგადოებრივ ერთეულთან, კოლექტივთან, რ–შიც ად–ნები ემსგავსებიან ურთიერთს თავისი ქცევით, მოქმედებენ საზოგადოებაში მიღებული ნორმების მიხედვით.

კონცენტრაცია /ლათ. concentratio – ერთგან თავმოყრა, დაჯგუფება/ –ფიზიოლ. თავის ტვინის აგზნების /ირადიაციის/ შეკავება, გარკვეულ ფარგლებში მისი გაუვრცელებლობა მოცემული რეფლექსური ცენტრის გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეთ. პავლოვის მოძღვრებით, აგზნების კ. პირობითი რეფლექსის დიფე - რენციაციას უდევს საფუძველად.

ფს-გიაში ნიშნავს ყურადღების შეჩერებას გარკვეულ საკითხზე, საგანზე, მისი გაცნობის ან შესწავლის მიზნით. ყურადღების ამ თვისებიდან, ე. ი. კ-ციიდან არის დამოკიდებული ერთი საგნის გამოყოფა სხვა საგნებისაგან და ცნობიერების ხედვის ნათელ ველში მისი დაყენება. ყურადღების კ-ის გარეშე არც აქტიური აღქმაა შესაძლებელი და არც აზროვნების ან ელიტიური აქტების წარმართვა. ყურადღების კ-ას გარკვეული წეს - ზომიერი მიმდინარეობა ახასიათებს. ყურადღების კ-ციის საკითხი მნიშვნელოვანი პედ- ური. პრობლემაა, მას აინტერესებს, თუ რა ხერხებს უნდა მიმართოს პედაგოგმა, რომ ბავშვის ყურადღების კ.გარკვეულ საკითხზე უზრუნველყოს /იხ. ყურადღება, ირადიაცია/.

კონცეპტი –ლათ. conceptus – ცნება.

კორელაცია /ლათ. correlatio – ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება/ – ორ ან მეტ ნიშანთა შორის მიმართება, კავშირი, დამოკიდებულება. ფს-გიაში ორი ან რამდენიმე ფს-კური მოვლენის ურთიერთკავშირი, მაგ., მათემატიკური ნიჭის კავშირი მუსიკალურ ნიჭთან, ან ზოგადი გონიერების კავშირი მეხსიერების უნართან, – გამორიცხავენ ესენი ერთმანეთს, თუ ურთიერთზე არიან დამოკიდებულნი, ე. ი. სადაც ერთი მათგანია, იგულისხმება თუ არა იქ მეორის მოქმედება. ვ. შტერნის აზრით, კ. ფს-გიაში ემყარება ფს-კურ ნიშანთა შესაძლებელ თანაარსებობას, ამ შესაძლებელი თანაარსებობის აღბათობის ხარისხს. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში კ-ს აინტერესებს, გულისხმობს თუ არა მათემატიკური ნიჭი მუსიკალური ნიჭის თანაარსებობას და რა ხარისხით, ცვლილებები ერთში იწვევს თუ არა შესატყვის რეზონანსს მეორეში? ზუსტ მეცნიერებებში /მაგ., ფიზიკაში/ ელემენტთა თანაარსებობა ყოველთვის ერთმნიშვნელოვანია: ის ან არის მოცემული, ან არ არის. ფს-გიაში მდგომარეობა სხვაგვარია: აქ „ელემენტები" შერწყმულია ერთ მთლიანობაში და წმინდა სახით მათ არსებობაზე ლაპარაკი მხოლოდ აბსტრ-ის შედეგად თუ შეიძლება! ამიტომ ფს-გიაში ფს-კურ მოვლენათა შორის ერთმნიშვნელოვანი კავშირი არ არსებობს. აქ პრობლემა ასე დგას: რა შესაძლებელი ხარისხითაა მოცემული ნიშანთა ან ფუნქციათა ურთიერთდამოკიდებულება? კ. სწორედ ურთიერთდამოკიდებულების იმ შესაძლებელ ხარისხს იკვლევს, რ-იც კ-ის კოეფიციენტით გამოიხატება. არსებობს კ-ის კოეფიციენტის გამოანგარიშების გარკვეული სტატისტიკური მეთოდი /კ-ის კოეფიციენტის ფორმულა დაამუშავეს ტ. პირსონმა, და ჩ. სპირმენმა. კ-ის კოეფიციენტი ვარიაბილობის 0-დან /კ. არ არის/ 1-მდე /არის სრული დადებითი კორელაცია/, მეორე მხრივ: 0-დან /კ. არ არის/ – 1 – მდე. / ე. ი. კორელაცია უარყო -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფითია/. შტერნის აზრით, როცა კ-ის ორიეე ნიშანი ფს-კური ბუნებისაა, კ. წმინდა ფს-გიურია, თუ ერთი ნიშანი ფს-კურია და მეორე ობიექტური სამყაროდანაა აღებული, მაშინ კ. ფსიქოფიზიკურია, მაგ., თავის ქალას, ან ტვინის სიდიდე და ზოგადად-გონიერება; ფსიქობიოლოგიურია კ. ასაკსა და რაიმე ფს-კურ ფუნქციას შორის, /ვთქვათ, მეხსიერებასთან/. ფსიქოსოციალურია – მაგ., სოც. ეკონომიკურ პირობებსა და ბორტმოქმედებისადმი მიდრეკილებას შორის. კ-იის მეთოდი ფართოდ გამოიყენება დიფერენციულ ფს-გიაში.

კორესპონდირებული ორგანოები /ლათ. korrespondere – პასუხის გაცემა/ – სხეულის წყვილ ორგანოებს კ. ო. ეწოდება მაგ., მარჯვენა ხელის კ. ო. არის მარცხენა ხელი, მარჯვენა თვალისა-მარცხენა თვალი! და ა. შ.

კოჰერენცი /ლათ. coherentia– კავშირი/–1. „მე"-ს კონტაქტი, კავშირი გარესამყაროსთან. 2. ელემენტთა ურთიერთკავშირი. საწინ. ინკოჰერენცი /იხ. კოჰერენცფაქტორები/.

კოჰერენცფაქტორები – ცალკე ელემენტების ურთიერთისთვის მიკუთვნების, მათი ერთ მთლიანობაში გაერთიანების ფაქტორები. დადგენილია გ. ე. მიულერის /1850–1934/ მიერ. ასეთებია: 1. სიერციი მეზობლობა, 2. ერთიანობა, 3. მსგავსება, 4. ფორმათა სიმეტრია და განლაგება, 5. კონტურები.

კრანიოლოგია – /ბერძ. kranion–თავის ქალა და logos – მოძღვრება/. – იხ. ლოკალიზაცია ფსიქიკურ ფუნქციათა/.

კრეატივიტეტი /ლათ. creator – შემოქმედი/ –| შემოქმედების, ახლის შექმნის მაღალი უნარი; მოვლენათა შორის მიმართებათა შემჩნევის და მომავლის განჭვრეტის თვისება; გონიერების და აზროვნების ნიჭი. არსებობს კ-ის შემოწმების ტესტი. /ჩ. სპირმენი, ბოლო წლებში კ-ტის ტესტზე მუშაობდნენ ს. ტეილორი, ჯ. გუილფორდი/.

კრეტინიზმი /ფრანგ. crétin – გონებასუსტი/ –მძიმე ფორმის გონებრივი და ფიზ. განუვითარებლობა. დაკავშირებულია ენდოკრინული სისტემის მოშლილობასთან, კერძოდ ფარისებრი ჯირკვლის ატროფიასთან. ავადფობა ადრეული ბობიდან იწყება. შეიძლება ბ-ვის „დედის მუცლად ყოფნის" პერიოდიდანაც კი. კ-ნის გონებრივი განვითარება იმზეცილის დონეზე ზევით არ ადის, ხშირად იდიოტის საფეხურამდე ეშვება. ფიზ. ზრდა შეჩერებულია, კ-ნები, ჩვეულებრივ, ჩია ტანისანი არიან, აგებულებით მახინჯები, არაპროპორციული მოკლე კიდურებით, თავის ქალა განუვითარებელია, სმენა, მეტყველება დეფექტური, დანაწევრებული, მეტყველება მოშლილი აქვთ. ხშირია ყრუ-მუნჯობა. სწავლა დამხმარე სკოლაშიც კი არ შეუძლიათ.

კრიმინალური ფსიქოლოგია /ლათ. criminalis – დანაშაულებრივი/ ფს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის დარგი, შეისწავლის ბოროტმოქმედის ფსიქიკას; არკვევს დანაშაულის ჩადენის მოტივებს, იკვლევს ბოროტმოქმედის პიროვნების ფორმირებას: თუ რა მიზეზები განაპირობებს მის ჩამოყალიბებას, შინაგანი /ენდოგენური/ და გარეგანი /ეგზოგენური/ ფაქტორების როლს ამ ფორმირებაში. განსაკუთრებული მნიშვ. ენიჭება მემკვიდრეობას, იმას თუ რამდენად დამძიმებულია ბორტმოქმედების მემკვიდრეობა, აღინიშნება თუ არა მასში დაავადებანი – ფსიქოზები, ნარკომანია, აღკოპოლიზმი, პროსტიტუცია და სხვა; რა-რია სოციალური წრე, მისი მორალური ზეგავლენა, ოჯახის ზნე-ჩვეულებები, შფოთი, გაყრა და სხვა.

კრიპტესთეზია /ბერძ. kryptos – დაფარული, esthesis – აღქმა/ – თითქმის არააღქმადი, შეუმჩნეველი, მეტად სუსტი შთაბეჭდილების აღქმა, არაგრძნობადი აღქმა, დაფარულის გამომეღავნება გაუგებარი გზით. /იხ. არაგრძნობადი აღქმა/.

კრიპტოგრაფია ანუ **კრიპტოსკოპია** /ბერძ. kryptos – დაფარული და graphe – ვწერ/ – გაუაზრებელი, უურადღების გარეშე მიმდინარე, ავტომატური წერა. სუბ. არ ფიქრობს იმაზე, რასაც წერს, არც იცის რას წერს ამ ნაჯღაბ-ნაწერში. ფსიქოანალიტიკოსების აზრით, შეიძლება ჩაერიოს ცნობიერებიდან დაფარული, ქვეცნობიერი ანუ არაცნობიერი შინაარსის აღმნიშვნელი წარმოდგენა, რომლის ამოკითხვა და გამოაშკარავება ამ „ნაწერის" ანალიზმა უნდა ცხადყოს.

კრიპტოლალია – ავტომატური ლაპარაკი /იხ. იდიოლალია/.

კრიპტომნეზია /ბერძ. mneme – მეხსიერება/ – მეხსიერების აღრეა: 1. ავად. ვერ არჩევს აწმყოში მიმდინარე მოვლენებს წარსულში მომხდარისაგან, აწმყოს ფაქტები წარსულის ფაქტებთანა აქვს არეული, წაკითხულს ან გაგონილს საკუთარ თავგადასავლად თვლის. 2. დაფარულის მოგონებები: ექსტაზის, ჰიპნოზის, ან ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენის მდგომარეობაში განცდილის მოგონებები.

კრიტიკული ცდა – იხ. განწყობის კვლევის მეთოდი.

ლ

ლაბილურობა – /ლათ. labilis / დაუდგრომლობა, მერყეობა ადვილი გადანაცვლება, სხვა მდგომარეობაში იოლი გადასვლა. საწინ. სტაბილურობა.

ლაბირინთის მეთოდი /ბერძ. labyrinthos ლაბირინთი/ – ზოოფსიქ. – სწავლის უნარის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი ცხოველებთან. ამ მეთოდით კვლევის აპარატი წარმოადგენს ყუთს, რ-იც შეიცავს დახლართულ და ურთიერთისაგან გამოყოფილ მრგვალ გზას, რომელიც გარდა ერთისა ყველა ჩიხით მთავრდება. მხოლოდ ამ ერთი გზით შეიძლება მიაღწიო ადგილს, სადაც ცხოველისათვის საკვებია მოთავსებული. ყუთს ერთი შესასვლელი აქვს. კვლევის ამოცანაა: დაადგინოს, შესძლებს თუ არა ცხოველი საკვებისკენ მიმავალი გზის მონახვას და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუფიქსირდება თუ არა იგი მას საბოლოოდ გარკვეული ჩვევითი მოქმე-
დების სახით. ცდები პირველად დაყენებული იყო| ალბინოს ვირთაგვებზე
ამერიკელ მკვლევარ ვ. ს. სმოლის მიერ, რ-მაც გამოიგონა აღწერილი აპა-
რატი /1899/. ცდების მიმდინარეობა: ვირთაგვას უშვებენ ყუთში, ერთად
|ერთი შესასვლელი ადგილიდან და აკვირდებიან მის ქცევას, თუ რა გზე-
ბით გარბის იგი საკვებისაკენ. ირკვევა, რომ თავიდან ცხოველი სწორი გზით ვერ
მიდის და მრავალჯერ ჩიხში ეჭცევა|/ცდა/ და უკან ბრუნდება. იგი კვლავ
იწყებს ახალი გზით საკვებისაკენ სვლას და ასე გრძელდება მანამ, სანამ
იგი საკვებს შემთხვევით მიაგნებდეს. მაგრამ ასეთი ცდის რამდენჯერმე
განმეორების შემდეგ ცხოველი სულ ნაკლებ შეცდომებს უშვებს და ბო-
ლოს აღწევს ისეთ მდგომარეობას, რომ ყუთში შესვლისთანავე სწორი
გზით გარბის საკვებისაკენ, ე. ი. მას **შეუმუშავდა სწორი მოქმედების
ჩვევა** — ცხოველმა **დ ა ი ს წ ა ვ ლ ა** სიტუაციის შესაფერისი მოქმე-
დება. ასეთი ჩვევის შემუშავების ფიზიოლ. მექანიზმი იგივეა, რაც პი-
რობითი რეფლექსის მექანიზმი. ეს მეთოდი პოპულარული გახდა და სხვა-
დასხვა ვარიაციით გამოყენებულ იქნა ბიჰევიორისტულ ფს-გიაში /ი. უო-
ტსონი, ა. თორნდაიკი, ბ. სკინერი და სხვები/.

ლაიფციგის სკოლა — 1. ვ. ვუნდტისა და მისი სკოლის მიერ წარ-
მოდგენილი ფს-გია. 2. „მთლიანობის" ფს-გიური მიმართულება ფ. კრიუ-
გერის მეთაურობით, წარმომადგენლებია: ო. კლემი, ჰ. ფოლკელტი, ფ.
ზანდერი ა. ველეკი.

ლაღოპათია /ბერძ. pathos — ტანჯვა/— მეტყველების დარღვევა.

ლატენტური დრო /ლათ. latens — ფარული, უჩინარი/ — ფს-გია-
ში: დროის ის მონაკვეთი, რ-იც გაივლის გაღიზიანების მიცემის მო-
მენტიდან სათანადო რეაქციის დაწყებამდე.

მეხსიერებაში: დროის მონაკვეთი, რ-იც გადის მიღებული შთაბეჭ-
დილების დამახსოვრებიდან მის აღდგენამდე, გახსენებამდე. ზ. ფროი-
დი ლ. პერიოდს უწოდებს დროის მონაკვეთს ბ—ეის განვითარებაში ექ-
ვსი წლიდან ათ წლამდე, როდესაც სექსუალური განვითარება შედარე-
ბით შეკავებულია.

ლევიტაცია /ლათ. levitas — სიმჩატე/ — პარაფსიქოლოგიური ცნება.
ნიშნავს ვითომდა რაღაც ოკულტური ძალებით დედამიწის მიზიდულობის
ძალის დაძლევას და საგნის ზემოთ, ჰაერში აფრენას. იგივეა, რაც ტელეკი-
ნეზია ანუ ფსიქოკინეზია/იხ/ დამახასიათებლად თვლიან ფაკირებისა და
მედიუმებისათვის /იხ. პარაფსიქოლოგია/.

ლეთარგია /ბერძ. lēthargia — lēthē — დავიწყება და ergia — უმო-
ქმედობა/ —ძილის მსგავსი მდგომარეობა, რ-იც რამდენსამე დღეს გრძელ-
დება, — საღათას ძილი, სასიცოცხლო ძალების მოქმედება სავსებით დაქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითებულია, გარე გაღიზიანებაზე რეაქცია არ მეღავნდება.

ულტოზომური ტიპი –იგივე, რაც ასთენიკური ტიპი.

ლიბიდო /ლათ. libido – ენებიანი სურვილი, ნდომა/ – სექსუალური ლტოლვა, სურვილი, ძირითადი ცნებაა ზ. ფროიდის ფსიქოანალიზში. ფროიდის აზრით, სექსუალური ლტოლვა, ლ., წარმართავს ად-ის სულიერ ცხოვრებას, მის რ-რც ცნობიერ, ისე –არაცნობიერ მოქმედებას. მისი აზრით, ლ. თავს იჩენს არა მარტო სქესობრივი მოწიფულობის ხანაში, არამედ ადრეული ბობის ასაკშიც და გარკვეულ ქცევაში ვლინდება, რ-ცაა მაგ., ძუძუს წოვა, პირში თითის დება, და ეროგენულ ზონებზე მოქმედება.

ფროიდის თეორიაში-ს დომინანტური ხასიათის შესახებ ად-ნის ცხოვრებაში, გაგებულ იქნა, რ–რც პანსექსუალიზმი, რ-ის თანახმად თითქოს ლ., სქესი საფუძვლად უდევს ად-ნის ყოველ ქცევას და მისი დაუკმაყოფილება სხვადასხვა ნეიროზების მიზეზი ხდება. ფროიდის ეს შეხედულება ფართოდ იქნა გაკრიტიკებული თვით მისი | მოწაფეების – კარლ გ. იუნგისა და ა. ადლერის მიერ. მის ამ შეხედულებას არ დაეთანხმა მისი ქალიშვილიც, ა ფროიდი. ნაცვლად ლ–ს ცნებისა იუნგმა წამოაყენა შემცველი ცნება ფს-კური ენერგიისა, რ-იც, მისი აზრით, საფუძვლად უდევს მთელ ფს-კურ ცხოვრებას. ფს-კურ ენერგიაში იგი გულისხმობს სასიცოცხლო ენერგიას, ძალას, მისწრაფებას. ფროიდის მეორე მოწაფემ ა. ადლერმაც უარყო ლ., როგორც ფს-კურის პრინციპი და მის ადგილას შემოიტანა „ძალაუფლებისაკენ სწრაფვის" იდეა.

ლოგიკურ-ვერბალური ანუ ცნებითი აზროვნება – აზროვნების ერთ–ერთი სახე. განსხვავებით პრაქტიკული და თვალსაჩინო აზროვნებისაგან, იგი აზრის ანუ არათვალსაჩინო შინაარსის /ცნების/ საშუალებით ხორციელდება. ლ. ვ. ა. თავისი შინაარსით განყენებულია, აბსტრ-ა, განყენებული აზროვნების გზითაა მიღებული. ამ ნიშნით განსხვავდება იგი ე. წ. თვალსაჩინო–ხატოვანი აზროვნებისაგან. ლოგიკური აზროვნება არსებითადაა დაკავშირებული მეტყველებასთან, ამიტომ მას დამატებით „ვერბალურ" აზროვნებასაც უწოდებენ. ამ სახით იგი სინამდვილის არაუშუალოდ მოცემულ მხარეებს ასახავს და იმ ზოგადს გვითვალისწინებს, რ-იც ობიექტური, საგნობრივი სინამდვილისათვის არის დამახ. ლოგიკური აზროვნების ფორმებია: ცნება, მსჯელობა, დასკვნა /იხ/.

ლოგოპათია /ბერძ. logos – სიტყვა, pathos – ტანჯვა, ავად–ფობა/ –რ-რც ზეპირი, ისე წერილი მეტყველების ყველა ფორმის დარღვევის საერთო სახელწოდება.

ლოგოპედია – /ბერძ. logos და paideia – აღზრდა/, – პედაგოგიკის სპეციალური დარგი, დაკავშირებულია მედიცინასთან. შეისწავლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყველების დარღვევის ფორმებს /ენაბლუობა, აფაზიები და სხვა/ მათი აღმზრდელობითი მკურნალობის მიზნით, რაც ნიშნავს, დარღვეული მეტყველების კორექციას, გამოსწორებას და მეტყველების განვითარების სწორ გზაზე დაყენებას ბ-ვის ადრეული ასაკიდან.

ლოგორეა /ბერძ. rhqa – დენადი / – შეუჩერებელი უკონტროლო ლაპარაკი, ადგილი აქვს მანიაკური დაავადების შემთხვევაში.

ლოგოთერაპია – ფსიქოთერაპიის ერთ–ერთი მეთოდი, [illegible] ვენელ ფსიქიატრ და ნევროლოგ ვ. ფრანკლს.

ლოგოფობია – /ბერძ/. ლაპარაკის შიში, ჩვეულებრივია ენაბლუობის შემთხვევაში.

ლოკალიზაცია ფსიქიკურ ფუნქციათა – მოძღვრება თავის ტვინის ქერქში ყოველი ცალკეული ფს-კური ფუნქციის შესატყვისი ადგილების ანუ ცენტრების არსებობის შესახებ. ფს-კურ ფუნქციათა ტვინში ლოკალიზაციის პრობლემა თავიდანვე აინტერესებდა კაცობრიობას, მაგრამ მისი მეცნიერულად კვლევა მე-19 საუკუნიდან იწყება. პირველად 1808 წ. ფ. გალმა წამოაყენა თეორია, რ-ის თანახმადაც ად-ნის სულიერი ცხოვრება თითქოს 27 ნიჭიერებას შეიცავს და თითოეული მათგანი მოთავსებულია თავის ტვინის გარკვეულ ადგილში, მაგ., მათემატიკური ნიჭი, მუსიკალური ნიჭი, გონებამახვილობა, სიმამაცე, ვაუკაცობა, იუმორი და სხვა. ფ. გალის აზრით, ნიჭიერების შესატყვისი ცენტრები ტვინში მკვეთრად არიან ურთიერთისაგან გამოყოფილნი და, რაც უფრო განვითარებულია რ-იმე ნიჭიერება, მით უფრო განვითარებული უნდა იყოს მისი შესატყვისი ადგილი ტვინში, ეს ცენტრები თავის ქალას მოყვანილობაშიც შეიმჩნევა: ნიჭიერების შესატყვისი ადგილები თავის ქალაზე მეტ-ნაკლებად არიან ამობურცული ისე, რომ თავის ქალას მოყვანილობის მიხედ-ვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რა ნიჭიერების მატარებელია ად-ნი, ამიტომ, გალი ფიქრობდა, რომ ად-ნთა ნიჭიერების საკვლევად თავის ქალას შემსწავლელი ცალკე მეცნიერებაა საჭირო, რ-აც „ფრენოლოგიას" უწოდებდა. შემდეგ მას დაერქვა „კრანიოლოგია".

გალის ამ შეხედულებას დაუპირისპირდა თავის ტვინის მთლიანობისა და ერთიანობის კონცეფცია, რ-ის მიხედვითაც ტვინი ერთ მთლიან ორგანოს წარმოადგენს და ცალკეული ფუნქციის ცენტრი არ არსებობს. ამ შეხედულების წარმომადგენელია მ. ფლურანსი. ფლურანსის შეხედულებამ, რ-იც ექსპერ. დაკვირვებებს ეყრდნობოდა, ერთხანს გაიმარჯვა და გალის შეხედულება დაჩრდილა. მაგრამ შემდეგ ისეთი ახალი ფაქტი დადასტურდა, რომ ფს-კურ ფუნქციათა ლოკალიზაციის იდეა კვლავ აღდგა. ფრანგმა ანატომმა პ. ბროკამ /1824– 1880/ მეტყველების მამო-ძრავებელი ცენტრი აღმოაჩინა /იხ. ბროკას ცენტრი, 1861 /, რ-ის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიანება იწვევს მეტყველების | დარღვევას – მოტორულ აფაზიას; იმავე პერიოდში | ფსიქიატრმა კ. ვერნიკემ /1848 –1905/ აღმოაჩინა სენსორული ცენტრი /იხ. ვერნიკეს ცენტრი/, რ-ის დაზიანება იწვევს სენსორულ აფაზიას. შემდეგ ფიზიოლოგებმა აღმოაჩინეს მოძრაობის ცენტრის არსებობა ტვინში. გარდა ამისა, დადასტურდა სენსორულ | ცენტრების არსებობა, რ-თა ელექტროგაღიზიანება იწვევს ამა თუ იმ გრძნობ - ად შთაბეჭდილებას და სხვა. შემდეგი გამოკვლევებით /კ. ლეშლი ი. ფოხტი და სხვ. /დადასტურდა, რომ ფს-კურ ფუნქციათა ლოკალიზაცია, ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. ერთი ფუნქციისათვის მხოლოდ ერთი ცენტრის არსებობა – მცდარი დებულებაა. მეცნ-ის განვითარების დღევანდელ საფეხურზე საკითხი შემდეგნაირად წყდება: 1. ყოველი ფს-კური ფუნქცია, განსაკუთრებით რთული, /მაღალ–ინტელექტუალური/ დაკავშირებულია არა მარტო რიმე ერთი გარკვეული ქერქული ცენტრის მოქმედებასთან, არამედ სხვა, მისი მეზობელი არეების მოქმედებასთანაც; 2. რ-იმე ერთი გარკვეული ცენტრის ამოკვეთა ან დაზიანება მისი შესაბამისი ფუნქციის დაკარგვას იწვევს, მაგრამ დროებით და არა სამუდამოდ. დაზიანების პირველ ხანებში, მართალია, ფუნქცია იკარგება, მაგრამ შემდეგ იგი კვლავ იწყებს მოქმედებას, იმიტომ, რომ დაზიანებული ცენტრის ფუნქციობას თავის თავზე იღებენ სხვა, მეზობლად მყოფი, დაუზიანებელი ცენტრები. ამრიგად, მოხდა ორი უკიდურესი, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების სინთეზი: ყოველ ფს-კურ ფუნქციას აქვს თავისი ცენტრი, მაგრამ მისი მოქმედება არ არის მკაცრად განსაზღვრული ამ ცენტრით; მისი ფუნქციობისთვის მნიშვნელობა აქვს სხვა დაუზიანებელ ქერქულ არეებსაც.

ლოკალური ნიშანი – ყოველ შეხებით შეგრძნებას თან ახლავს განცდა, თუ კანის ზედაპირის რ-ლი ადგილია | გალიზიანებული; ე. ი. ყოველი შეხების შეგრძნება ატარებს თავის სპეციფიკურ | ლოკალურ ნიშანს. რიფაც ის კანის სხვა ადგილის შეხებითი გალიზიანების შეგრძნებისაგან გაწსხვავდება. ჰ. ლოტცემ, შეხების შეგრძნების ამ თავისებურებას „ლოგიკური" ანუ ადგილობრივი ნიშანი უწოდა.

ლტოლვა / გერ. Trieb – რაიმესადმი გაუცნობიერებელი | ინსტინქტური სახის მიზიდულობა, მიდრეკილება, სურვილი. ჰ. რორახერის მიხედვით ლ-ას | შემდეგი ნიშნები ახასიათებს: 1. განცდა, რ-შიც მიზნის წარმოდგენა მოცემული არ არის; 2. მისი წარმოშობა აეტოგენურია, ე. ი. ჩნდება ცნობიერების მონაწილეობის გარეშე; 3. მუდამ დაკავშირებულია ემოციასთან, რადგან ყოველი ლ-ის დაკმაყოფილება სიამოვნებას იწვევს დაუკმაყოფილებლობა– უსიამოვნებას; 4. ლ-ის ზეგავლენით ცნობიერების მოქმედება და როლი მცირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განასხვავებენ სხვადასხვაგვარ ლ-ას, მაგ., დაბალ-ვიტალურს: კვებ-ის, გამრავლების, მშობლიური ზრუნვის; სოციალურს: ლ-ას კონტაქტ-სადმი, კოლექტივისადმი, ძალაუფლებისადმი, კულტურისადმი, ლ-ას მი-აკუთვნებენ აგრეთვე „ფუნქციობის ტენდენციას". ზოგი მკვლევარი კი ძირითადად მხოლოდ ერთი ლ-ის არსებობას ცნობს. მაგ., ასეთია ზ. ფროიდთან ლიბიდო /იხ./, ადლერთან ლ-ვა ძალაუფლებისადმი, თანამედროვე ფს-გიურ მეცნ-ში არ არის მკვეთრად გამიჯნული ლ. მასთან ახლო მდგომი მოვლენებისაგან, რ-იც არის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა და ინსტინქტ მაგ., ე. მაკ-დოუგალი | ინსტინქტის მიხედვით განასხვავებს 18 სხვადასხვა ლ-ას, მაგრამ მათში ბევრი ისეთია, რ-თა დაყვანაც ინსტინქტზე სადაეოა, არ ხერხდება, მაგ., ლ. კოლექტივისადმი, კულტურისადმი, ინტერესები, რ-ებიც ად-ნის გარემოსთან დამოკიდებულებაში, მის ქცევას საფუძვლად ედება, ასევე გაურკვეველია განსხვავება ლ-სა და მოთხოვნილებას შორის. უნდა ვიფიქროთ, რომ მოთხოვნილება უფრო ჩამოყალიბებული ცნებაა. ად-ნთან იგი ნიშნავს რაიმე დანაკლისის შევსების საჭიროებას ანუ არსებობისათვის რაიმე საჭიროების ცნობიერ განცდას, რ-იც წარმოიდგინება, რ-რც მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანი, ისე მისი მოპოვების საშუალებები. ლ. კი, ამ ნიშანს მოკლებულია. ლ-ში გარკვეული მიზანი წარმოდგენილი არ არის. ლ. წინ უსწრებს ყოველ მოთხოვნილებას. მოთხოვნილების გაჩენა ად-ნის ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ხდება, ამდენად ლ-ვაა იგი, მაგრამ მისი შემდგომი განვითარება, საგნის, მისი | მოპოვების საშუალებათა და მიზნის გაცნობიერება მას არსებითად განასხვავებს ლ-ვისაგან.

სიტყვა ლ. ძველ ქართულში ნიშნავდა გაქცევას, რაიმესაგან მოშორებას. ამ გაგებით იგი დღესაც იხმარება /შდრ. ლტოლვილები/.

ამრიგად ახალ ქართულში სიტყვა ლ-ვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობა გამოიკვეთა: ერთის მიხედვით იგი აღნიშნავს რაიმესადმი მიზიდულობას, მეორეს მიხედვით რაიმესაგან გაქცევას. ამ ორი მნიშვნელობიდან თუ რომელი იგულისხმება ყოველ კერძო შემთხვევაში ამას განსაზღვრავს აზრის ის კონტექსტი, რ-შიაც გვეძლევა სიტყვა ლ.

ლუნატიზმი /ლათ. Luna მთვარე/ — იგივეა, რაც სამთვარიო.

მ

მაგია /ბერძ. mageia, ლათ. magia — ჯადოსნობა, მისნობა/ — ხალხთა ფს-გიაში —არქაული ცნება, გულისხმობს: პირველყოფილ კულტურის საფეხურზე ზებუნებრივი ძალების /კეთილის ან ბოროტის/ სურვილების და განზრახვის გამოცნობას მკითხაობის, მისნობის გზით და ამ ცოდნის გამოყენებას ადამიანის სასარგებლოდ /თეთრი მაგია/, ან საზიანოდ /შავი მაგია/.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ-ს საფუძველად უდევს ზებუნებრივი ძალების /ღმერთების, დემონების, „მანა“ ძალების/ არსებობის რწმენა, რ-იც ვითომდა, ერევიან ადნის ცხოვრებაში და განსაზღვრავენ მის ბედს /იხ. „მანა, მანტიკა/. მ. ფართოდ იყო გავრცელებული პრიმიტიული კულტურის საფეხურზე. გადმონაშთის სახით გვხვდება დღესაც მკითხაობის, შელოცვების, ცრუმორწმუნეობის სახით.

მაგიური აზროვნება – განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი პრიმიტიული ად-ნის დამახასიათებელი აზროვნების ფორმა /ლ. ლევი-ბრიული/. შეიმჩნევა აგრეთვე ბ-ვობის ასაკში, ზრდადამთავრებულ ცივილიზებულ ადნებთან თავს იჩენს ძველ შეხედულებათა გადმონაშთის სახით /ცრუმორწმუნეობა, შელოცვები, მკითხაობა/. ვლინდება ხშირად სიზმრის შინაარსში, გვხვდება ფს-კურ დაავადებათა შემთხვევაშიც /შიზოფრენია/.

ლ. ლევი-ბრიულის მიხედვით, მ. ა. „პრალოგიკური“ აზროვნებაა, რ-იც ლოგიკის ძირითად კანონებს უგულებელყოფს. მ. ა. ცნებითი აზროვნება არ არის, არამედ „კოლექტიური წარმოდგენის“ საფუძველზე აგებული აზროვნებაა /იხ. „კოლექტიური წარმოდგენა/.

მ. ა. წარმოდგენებისა და აღქმის საგნობრივ შინაარსში გულისხმობს მისტიკურ-მაგიურ ძალას, სულს, რ-იც ერევა ად-ნის მოქმედებაში და განსაზღვრავს ცხოვრების მსვლელობას.

მ-ია ა., როცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოვლენათა შორის კოლექტიური წარმოდგენის საფუძველზე ისეა აგებული, რომ რა არის მიზეზი და რა შედეგი – გაუგებარია, როცა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი სრულებით უგულებელყოფილია და ად-ნს შესაძლებლად მიაჩნია ,ერთსა და იმავე დროს საგანი, და თვითონაც, აქაც იყოს და სხვაგანაც, ისეთიც იყოს რ-რიც არის და სხვანაირიც. ასეთი აზროვნება კი მისტიკურია. მიზეზობრივი დამოკიდებულების შეგნება პრიმიტიულ ადამიანს განვითარებული აქვს; მაგ., ლ. ლევი-ბრიულის მიხედვით, როცა მონადირე ნადირობიდან სახლში ხელმოცარული ბრუნდება, ცდილობს დაადგინოს, თუ რატომ გაუფუჭდა ნადირობა და დასკვნის: ალბათ ცოლმა სახლში დაარღვია ნადირობის წესი და შეეპარა აკრძალული საჭმელი, რ-იც სანადიროდ წასულის ცოლმა არ უნდა შეეჭამოს; ან გვალვის მიზეზად ის თვლის ახლად ჩამოსული მისიონერების თავსაბურავს და სხვა... ამრიგად პრიმიტიული ად-ნის აზროვნება მოვლენათა მიზეზს კი ეძებს, მაგრამ მისი დადგენა ხდება „პარტიციპაციის პრინციპის ანუ კანონის“ მიხედვით. პარტიციპაციის პრინციპის მიხედვით მოვლენები ურთიერთის მიზეზი ხდება თუ ისინი დროში ან სივრცეში თანაარსებობენ, ე. ი. ერთიმეორის გვერდით მდებარეობენ. თანაარსებობა ურთიერთთან კავშირსაც ნიშნავს და ერთიმეორესთან წილის ქონასაც. ამიტომ პრიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივისათვის თანაარსებობა საკმაო საფუძველია მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებისა. ერთი საგანი მეორესთან მისტიკურადაა დაკავშირებული. მ. აის წინამძღვარი და მასტრუქტურებელი ფაქტორი ლ. ლევი-ბრიულის მიხედვით კოლექტიური წარმოდგენაა, რ-შიც გარდა ობიექტურად მანიფესტირებული შინაარსებისა იგულისხმება კიდევ დაფარული მაგიურ-მისტიკური სული, მოქმედი და აქტიური. მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას საგანთა თანაარსებობა /პარტიციპაცია/ განსაზღვრავს.

მაზოხიზმი — სექსუალური გაუკუღმართების /პერვერსიის/ ერთ-ერთი სახე. სექსუალური დაკმაყოფილება მიიღწევა მხოლოდ ტკივილის, წამების, წვალების პირობებში, რ-იც ამ ანომალიით შეპყრობილ სუბ-ს /მაზოხისტს/ უნდა მიაყენოს მეორე მხარემ. წინააღმდეგ სადისტისა, რ-იც სხვას, პარტნიორს აყენებს ტკივილს, მ. თვითონ უნდა განიცდიდეს ტანჯვას, წამებას, მას უნდა მიაყენონ ტკივილი. ტერ. მ. წარ-მოიშვა მწერალ ზახერ-მაზოხის სახელიდან / 1836-1895 /, რ-იც თვითონ იყო ამ სენით შეპყრობილი. გადატანით: მ-ში გულისხმობენ, რომ სიამოვნება და კმაყოფილება მიიღწევა ცხოვრებაში წამებისა და წვალების გზით. ფროიდიზმი მ-მში ხედავს „ოიდიპოსის" სიტუაციის ერთგვარ ანალოგიას. /იხ. სადიზმი/.

მაკროფსია — საგნის გადიდებულად აღქმა. /იხ. მეტამორფოფ-სია/.

მაკროცეფალია — /ბერძ. makros — დიდი, kephalē — თავი / — დიდთავიანობა, თავის ქალა მოცულობით ნორმალურზე უფრო დიდია, რ-რც თავის ქალა, ისე თავის ტვინიც პროპორციულადაა გადიდებული. ჩვეულებრივ გონებრივ განვითარებაში რაიმე დეფექტი არ შეიმჩნევა, ოლიგოფრენია იშვიათ შემთხვევაში ვლინდება.

მანა — პოლინეზიურად — საიდუმლო, საგანგებო, სასიცოცხლო ძალის სახელწოდება, რ-აც, პრიმიტიული კულტურის ად-ნთა შეხედულებით, ფლობს ზოგი პიროვნება /მანა-პიროვნება/. მათი აზრით, იგი არის აგრეთვე ცხოველებში, მცენარეებში და თვით უსულო საგნებშიც კი. მანა-ძალა, მათი რწმენით, საგანგებო სასიცოცხლო ზემოქმედების უნარის მქონეა. როცა ად-ნი ამ ძალას კარგავს, იგი ხდება უძალო, უუნარო, უმოქმედო, უბედური. ად-ნებში და საგნებში დაფარული და სხვებზე დიდი ზემოქმედების მქონე მანა-ძალას, პოლინეზიელები, აგრეთვე სხვა პრიმიტიული ხალხები, ღმერთის მნიშვნელობას მიაწერენ. ინდიელები მ-ას უწოდებენ სხვადასხვანაირად „ორენდას", „ვაკონდას", „მანიტუს", სხვა პრიმიტიული ხალხები, „ტონდა-ს", „ნაზინა"-ს და სხვა /ლ. ლევი-ბრიული/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანია — რომელიმე ქცევისაკენ გადაულახავი, დაუძლეველი მიდრეკილება: შესაფერის პირობებში სუბ-ს არ შეუძლია არ ჩაიდინოს, არ შეასრულოს, დაძლიოს ერთი გარკვეული სურვილი, რ-იც ლტოლვის შინაარსისაა და სხვა ძალებს /გონებას, ნებელობას/ იმორჩილებს. ასეთია მაგ., კლეპტომანია, პირომანია, დიფსომანია, ნიმფომანია, დრომომანია და სხვა. მ. საერთოდ სულიერი დაავადების ნიშანია.

მანიაკი — ად-ნი, რ-იც შეპყრობილია რ—იმე მანიით. /იხ. მანია/.

მანიაკურ—დეპრესიული ფსიქოზი ანუ ციკლოფრენია— ფს-კური დაავადება, რ-საც ახასიათებს პერიოდული მიმდინარეობა. კლინიკურ სურათში აღინიშნება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობის /ფაზის/ მონაცვლეობა, ე. წ. მანიაკური და დეპრესიული ფაზა. მანიაკურ ფაზას ახასიათებს აწეული, euფორული გუნება—განწყობილება, აჩქარებული აზროვნება და აჩქარებული მოქმედებანი. დეპრესიული ფაზისათვის დამახასიათებელია მძიმე გუნება—განწყობილება, აზროვნების ტემპისა და მოქმედების შენელება. ტიპურ შემთხვევაში ყოველი ფაზა 5—6 თვე გრძელდება. ფაზებს შორის შუალედებში, რ-ებიც სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, ავად. ფს-კურად საესებით ჯანმრთელია /ე. წ. ნათელი პერიოდი/. ციკლოფრენიას არა აქვს პროგრესდიეტული მიმდინარეობა. პიროვნება, მისი ფს-კური უნარი და შესაძლებლობანი ამ დაავადების დროს არაეითარ პათოლოგიურ ცელილებას არ განიცდის.

მანიზმი — წინაპრების კულტი. ადრეულ, პრიმიტიულ პერიოდში კულტად მიღებული იყო რ—იმე ცხოველი, შემდეგ კი ასეთად ცნობილ იქნა წინაპარი ად-ნის კულტი.

მანტიკა /ბერძ. mantike — წინასწარმეტყველება/ — დაფარულის გამოცნობა, მომაელის წინასწარი განჭვრეტა, წედომა, მისნობა. ძველ დროში ფართოდ იყო გავრცელებული. მაშინდელი რწმენით, ყოველ ადნს როდი შეეძლო დაუფლებოდა ამ ხელობას, არამედ მხოლოდ რჩეულს. ამაში განსაკუთრებით დახელოვნებულნი იყვნენ კულტის რიტუალის შესრულების დროს, ვითომ უკავშირდებოდნენ ღმერთებს და სხვადასხვა საიდუმლო ნიშნის მიხედვით /ცის კამარის მოღრუბლვა, კვამლის მიმართულება, ან ღამით ვარსკვლავთა ადგილმდებარეობა და სხვა/ შეეძლოთ გაეგოთ ღმერთების სურვილი და ნება და ეწინასწარმეტყველათ ღმერთების გადაწყვეტილება ად-ნის ბედის შესახებ. ახლაც, თანამედროვე ჩამორჩენილი კულტურის ად-ნებ, სწამთ მკითხაობა, მისნობა, შელოცვები, ჯადოსნობა.

მარტივი გრძნობები — იგივე, „რაც გრძნობადი გრძნობები"; წარმოიშობა საგნის აღქმის პროცესში, გამოხატავს სუბ-ის დამოკიდებულებას /სასიამოვნოს ან უსიამოვნოს/ აღქმის შინაარსთან. /იხ. გრძნობა/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასელონის ტესტი — სამი სიტყვის ტესტი, ამოწმებს მოსაზრებისა და კომბინაციის უნარს. ცპ-ს აძლევენ ურთიერთთან დაუკავშირებელ სამ სიტყვას /მაგ., ზამთარი, მწყემსი, თვითმფრინავი/ და მოითხოვენ : მიწოდებული სამი სიტყვიდან ცპ-მა აზრიანი წინადადება შეადგინოს.

მასის ფსიქოლოგია — სოც. ფს-გიის დარგი; შეისწავლის მრავალ ადნ ერთდროულად ერთად თავმოყრის პირობებში: 1. მასში მონაწილე ცალკე ადამიანის ქცევის ფორმებს, 2. თვით შეკრებილობას, რ-რც მთლიანს და 3. მასში წარმოშობილ მოვლენებს ფს-გიური თვალსაზრისით. ასეთი მასობრივი შეკრება შეიძლება იყოს რევოლუცია, მანიფესტაცია, დემონსტრაცია, გაფიცვა, საბალხო დღესასწაული და სხვა.

მასკულინიზმი /ლათ. masculinus— მამრობითი სქესი/ — მამაკაცის ნიშნების განვითარება ქალში: ტანის მამაკაცური აგებულება, სარძევე ჯირკვლების განუვითარებლობა, წვერ-ულვაშის წამოზრდა და სხვა. შეეშინენ ჰომოსექსუალიზმისადმი მიდრეკილება. სინონიმია ვარილიზმი, /იხ./.

მატერიალიზაცია—პარაფსიქოლოგიაში: სურათის, ხატის, /ხელის, თითების, თავის/ გასხეულება, ხილულად ქცევა, რაღაც ჩვენთვის უცნობი მასალისაგან, რ—აც პარაფსიქოლოგები ტელეპლაზმას უწოდებენ. განსხეულება პარაფს. აზრით არაცნობიერად წარმოიქმნება.

მატერიალიზმი /ლათ. māteriālis — ნივთიერი/ — ფილს—ური მოძღვრება, ამტკიცებს, რომ სინამდვილის, საგნის, ყოველივე არსებულის—ყოფიერების საწყისი, არსი და საფუძველი არის მატერია. მატერია პირველადია, ხოლო ფს—კა, ცნობიერება უმაღლესად ორგანიზებული მატერიის პროდუქტია, იგი, რ—რც მატერიის გამოვლინება მეორეული მოვლენაა. ს—ის შეხედულებით მატერიალური სამყარო არსებობს სუბ—ისაგან დამოუკიდებლად, იგი შეცნობადია, მისი შემეცნების მეთოდი დიალექტიკაა. საწინ. იდეალიზმი, /იხ./.

მაქსიმალური აწმყო — იხ. დროის აღქმა.

მგრძნობელობა — ცოცხალი ქსოვილის /ორგანიზმის/ უნარი გარეგამღიზიანებლის ზემოქმედებას უპასუხოს გარკვეული რეაქციით — აგზნებით. /იხ. შეგრძნების აბსოლუტური ზღურბლი/.

მგრძნობელობის ზღურბლი — იხ. შეგრძნების ზღურბლი.

„მე" — ეგო. საკუთარი თავის განცდა, როცა ად-ნი რასმე აღიქვამს, აზროვნებს თუ მოქმედებს, თითოეულ ამ განცდაში ის საკუთარ „მე"—საც განიცდის, ე. ი. განიცდის იმას, რომ ეს განცდები საკუთრივ მისი განცდებია. ამ საკუთარი „მე"-ს განცდას ფს-გია სხვანაირად „მე"—ს ცნობიერებას ანუ „თვითცნობიერებას" უწოდებს. „მე"—ს ცნობიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება წარსულში და აწმყოში მიღებულ განცდათა ერთობლიობის საფუ-
ძველზე ჩნდება. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ დროის მიმდინა-
რეობაში „მე" თავის თავთან ყოველთვის იდენტური რჩება, ე. ი. ყოველ
ად-ნს ყოველთვის აქვს უშუალო განცდა იმისა, რომ ერთი და იგივე „მე" – ა
მატარებელი იმ განცდებისა, რ-იც მას წარსულში მიუღია და იმ განცდებისაც, რ-იც მას აწმყოში უჩნდება. ამ გაგებით „მე"-ს ცნობიერება გულისხმობს სუბ-ის გამოყოფას სამყაროდან.

გენეტიკურად „მე"-ს გამოყოფა სამყაროდან მაშინ ჩნდება, როდესაც ბ-ვი თავის სხეულს განასხვავებს გარემოსაგან. დადასტურებულია, რომ „მე"-ს ცნობიერება ბ-ეში მეორე წლის ბოლოს იჩენს თავსა. ამ პერიოდში ბ-ეის მეტყველებაში ჩნდება „მე" – სთან დაკავშირებული ნაცვალსახელები: მე, ჩემი, სხვისი, ის. სიმპტომატურია ისიც, რომ ბ-ეს სწორედ ამ პერიოდში უჩნდება ისეთი ემოციური განცდა, რ-იც „მე"– ს ცნობიერების არსებობას გულისხმობს, ასეთებია თავმოყვარეობა და მორცხვობის გრძნობა /დ. უზნაძე/.

მეგალომანია /ბერძ. megas – დიდი/ – განდიდების მანია, საკუთარი პიროვნების ძალიან დიდად შეფასება.

მეგალოფსია იგივეა, რაც მაკროფსია.

მედიუმი – /ლათ. medium – შუა, შუაგული – 1. საშუალება, 2. ჰიპნოზში: პაციენტი, რ-საც აძინებენ, ე. პარაფს-გიაში: შუამავალი სულებსა და ად-ნთა შორის. პარაფს-ოგების აზრით, მედიუმად ყოფნა ყოველ ად-ნს არ შეუძლია, ასეთი ადამიანი ,განსაკუთრებული თვისებით არის დაჯილდოებული, ახას. მაღალი შთამგონებლობა, დიდი აგზნებადობა, ნათელხედვა, სხვისი აზრების კითხვის და გრძნობების წვდომის უნარი. საგნებისა და მოვლენების არაპირდაპირი აღქმა, ე. ი. აღქმა არა გრძნობითი ორგანოების საშუალებით, ტელეპათიის უნარი.

პარაფს–გიური მოვლენებისა და სპირიტიზმის მეცნიერული დასაბუთება დღემდე შეუძლებელი ხდება. /იხ. პარაფს-გია, ტელეპათია, სპირიტიზმი/.

მეზობლობის ასოციაცია – იხ. ასოციაციის კანონები.

მეზომორფული ტიპი – იხ. სხეულის აგებულების ტიპები.

მელანქოლია /ბერძ. melas – შავი და chole – ნაღველი/ – ძველი მედიცინა მ–ას უკავშირებდა ორგანიზმის მოწამვლას ნაღველით, ორგანიზმში მისი გადასვლის შედეგად. მ–ას ახასიათებს: მძიმე სულიერი განწყობილება, უარყოფითი ემოციები, ღრმა სევდიანობა, ნაღვლიანობა, პასიურობა, ინტერესის დაკარგვა ყველაფრისადმი.

მელანქოლიკი – მელანქოლიისადმი მიდრეკილი ად-ნი /იხ. მელანქოლიკური ტემპერამენტი/.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელანქოლიკური ტემპერამენტი — ჰიპოკრატეს კლასიფიკაციით ოთხი ტემპერამენტიდან ერთ-ერთი მ. ტ-ის ად-ნს ახას. დეპრესია, პესიმიზმი, ცხოვრებაზე გულგატეხილობა, სულ მუდამ უხალისოდ ყოფნა, თავის თავის მიმართ უარყოფითი განცდები და სხვა. ე. შტერნის კლასიფიკაციით მ. ტ-ს ახას. სუსტი აგზნებადობა. ი. პავლოვის მიერ დადგენილი ნ. სისტემის ოთხ ტიპიდან მ. ტ-ის შესატყვისია „სუსტი ტიპი". /იხ. ტემპერამენტი/.

მემკვიდრეობა — მშობლების ფიზ. ან ფს-კური ნიშნების და თვისებების გადაცემა შთამომავლობისათვის. მ-ბის ძირითად და ელემენტარულ ერთეულად „გენი" ითვლება. იგი მ-ის სპეციფიკური ინფორმაციის მატარებელია, მისი სუბსტრატია. სწორედ ამ გენს გადააქვს შთამომავლობაში ფიზიკური ნიშნები. გენი იმეორებს წინაპრების სიცოცხლის ფორმას, იგი სიცოცხლის შენახვისა და გაგრძელების გარანტია და პირობაა. მ-ის კანონები იკვლია და დაადგინა გ. მენდელმა. მემკვიდრეობის მოვლენებს შეისწავლის ბიოლოგიის დარგი გენეტიკა /იხ. მენდელის კანონები/.

მენდელის კანონები — გ. მენდელის /1822—1884/ მიერ აღმოჩენილი კანონები, გამრავლების პროცესში ორგანიზმის ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ. ცნობილია სამი კანონი: 1. დომინანტობის; 2. დათიშვის; 3. გენების დამოუკიდებლად განაწილების კანონი.

გ. მენდელი თავის ცდებში აჯვარებდა ორი ჯიშის მცენარე ბარდას, რ-თაგან ერთს მარცვლები გლუვზედაპირიანი ჰქონდა, მეორეს კი — დანაოჭებული. მათი შეჯვარების შედეგად მიღებული მცენარის /ჰიბრიდის/ მარცვლების პირველი თაობა ერთ-ერთი მშობლის მარცვლებს, სახელდობრ გლუვ მარცვლებს იმეორებდა, მეორე ნიშანი კი — ნაოჭიანობა — დაიკარგა, არ გამოვლინდა. ამ მოვლენას მენდელმა **დომინანტობის** კანონი უწოდა. აღნიშნული კანონის მიხედვით ორი საწინააღმდეგო ნიშნიდან პირველ თაობაში თავს იჩენს ერთ-ერთი მშობლის ნიშანი /პირველი კანონი/. შემდეგ ცდაში მენდელი აჯვარებდა ამ პირველ თაობაში მიღებული ბარდის გლუვი ზედაპირის მარცვლების ორ წარმომადგენელს ურთიერთთან. ამ შეჯვარების შედეგად დადასტურდა ნიშნების დათიშვა: თაობის ერთ ნაწილს აღმოაჩნდა დომინანტური ნიშანი, ე. ი. თესლის სიგლუვე, ხოლო მეორე ნაწილს აღმოაჩნდა ნაოჭიანი მარცვალი, ე. ი. მეორე თაობაში თავი იჩინა იმ ნიშანმა, რ-იც პირველ თაობაში დაიკარგა. ნიშანს, რ-იც პირველ თაობაში არ გამოვლინდა და თავი მეორე თაობაში იჩინა, გ. მენდელმა უწოდა **რეცესიული** ნიშანი. ამრიგად, მეორე თაობაში ხდება მემკვიდრეობითი ნიშნების დათიშვა — /მენდელის მეორე კანონი/. ეს დათიშვა, გ. მენდელის ცდების მიხედვით, გარკვეული წესით ხდება: მიღებული თაობიდან დომინანტური ნიშნის მატარებელია ჰიბრიდების 3/4, ხოლო რე -

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცესიული ნიშნების — 1 /4 ; მიმართება გამოიხატება პროპორციით 3: 1 . დადასტურდა ისიც, რომ რეცესიული ნიშნების მატარებელი ჰიბრიდების ურთიერთთან შეჯვარება იძლევა მხოლოდ რეცესიული ნიშნების მატარებელ თაობას, დომინანტური ნიშნის მატარებელი ჰიბრიდების შეჯვარება კი იძლევა შთამომავლობას დათიშვის კანონის მიხედვით, ე. ი. ჰიბრიდების სამი ნაწილი იქნება დომინანტური, ერთი ნაწილი კი — რეცესიული.

გ. მენდელი ატარებდა ცდებს ავრეთვე მრავალი წყვილი ნიშნის მატარებელი ჰიბრიდების შეჯვარებით. აღმოჩნდა, რომ თითოეული წყვილი ნიშან-თვისების დათიშვა ხდება დამოუკიდებლად დანარჩენ ნიშან-თვისებათა წყვილეულისაგან. ამ მოვლენას მენდელმა უწოდა. „გენების დამოუკიდებლად განაწილების კანონი" ანუ გენების თავისუფალი რეკომბინაციის კანონი" /მესამე კანონი/.

მენტალური /ლათ. mens, mentis — აზრი/ — აზროვნების, გონების აღმნიშვნელი ტერმინი. სიტყვა „ინტელექტუალურის" შესატყვისია.

მენტალიტეტია /ლათ. mentis და motrum — ზომა, საზომი/ — გონებრივი განვითარების გაზომვა, გონიერების დონის შემოწმება სხვადასხვა ტესტების მეთოდით /იხ. გონებრივი განვითარების შემოწმება/.

მეორე სასკოლო ასაკი / 12—17 წ. წ./ უწოდებენ ავრეთვე გარდამავალ ასაკს, რადგან ასაკი გარდამავალი საფეხურია ბ-ვობის ხანასა და მოწიფულობას შორის. ამ პერიოდისათვის დამახ. დიდი ბიოლოგიური და ფს-ბიური ძვრები. **ბიოლოგიური განვითარება:** მიმდინარეობს ინტენსიური სქესობრივი მომწიფება, რაც თავისებურ დაღს ასვამს მოზარდის მთელ ფსიქო-ფიზ. განვითარებას. **ფიზიოლოგიური განვითარება:** წონა და სიმაღლე მნიშვნელოვნად მატულობს. ლონიერდება კუნთოვანი და მკვრივდება ძვლოვანი სისტემა, მიმდინარეობს ტვინის ფუნქციური განვითარება. ძლიერ განვითარებას განიცდის სასქესო ჯირკვლები, რაც დიდ გავლენას ახდენს შინაგან სასიცოცხლო ორგანოებზე და ტვინის მოქმედებაზე. მკვეთრი განსხვავება მყარდება ვაჟებისა და ქალების ფიზ. ჰაბიტუსთა შორის. **ფსიქიკური განვითარება:** დამახასიათებელია განყენებული, ლოგიკურ-ვერბალური, ცნებითი აზროვნების განვითარება, რ-ის ძირითად ფაქტორს სასკოლო სწავლა წარმოადგენს. „პირველ სასკოლო ასაკში" დაწყებული დაკვირვების ანუ ნებისმიერი აქტიური აღქმის პროცესი აქ აღწევს თავის განვითარების უმაღლეს დონეს. იგივე ითქმის მ მეხსიერების შესახებაც, რ-იც აქ ნამდვილ ნებისეულ, ლოგიკურ მეხსიერებად იქცევა. დასამახსოვრებელ მასალას მოზარდი ლოგიკურად ამუშავებს, აზრიან ნაწილებად ყოფს, სისტემა შეაქვს მასში და მხოლოდ ასეთი ინტელექტუალური გადამუშავების გზით იმახსოვრებს მას. ინტენსიურ და მწვავე ფორმებში მიმდინარეობს მოზარდის პიროვნებისა და ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფთის ფორმირება. იწყება საკუთარი მე-ს დადგენა, თვითშეფასება, ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბება, ღირებულებებისა და მიზნების გათვალისწინება. თავს იჩენს ხასიათის გარკვეული თვისებები: პრინციპულობა, ენერგიულობა, ინიციატივა მოქმედებებში, მისწრაფება თავისუფლებისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ. მაგრამ ხშირად ხდება ისედაც, რომ ეს უკანასკნელი თვისებები გადადის ჯიუტობაში და თავაშვებულობაში, რაც თვით მოზარდს დადებით თვისებად მიაჩნია. ჯიუტობას ურევს ზნეობრივად ღირებულ ნებისყოფაში. ეს იწვევს ავტორიტეტის უარყოფას, ბადებს კონფლიქტს მშობლებთან, სკოლასთან და საერთოდ გარემოსთან. მოზარდი ამ პერიოდში ძალზე აგზნებადია, ნეგატიურად განწყობილი. შრომა, კოლექტივის ზეგავლენა და აღმზრდელის პიროვნება ძირითადი პირობაა ხასიათის ამ უარყოფით თვისებებთან ბრძოლაში. /იხ. ყინიანობის პერიოდი/.

მეორე სასიგნალო სისტემა — გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის მიერ შემუშავებული ტერ. აღნიშნავს ორგანიზმის გარემოსთან დამოკიდებულებას მოწესრიგებულ სისტემაში „სიტყვის", რ-რც გამღიზიანებლის სასიგნალო მნიშვ-ს. მუშავდება /ვითარდება/ პირველი სასიგნალო სისტემის საფუძველზე, მისი შემდგომი და უფრო მაღალი საფეხურია. განვითარების ისტორიულ გზაზე იგი მხოლოდ ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს, ცხოველი კი მას საესებით მოკლებულია. მ. ს. ს-ში საგანი — ანალიზის, სინთეზის და გამოყენების შედეგად გადამუშავებული და სიტყვიერ ფორმაში ასახული სასიგნალო სისტემაა. მასში სიტყვა უკვე თვითონაა სიგნალის მნიშვნეოლობისა. სიტყვის, რ-რც გამღიზიანებლის საფუძველზე „პირობითი რეფლექსები" წარმოიშობა. მ. ს. ს-ში, ი. პავლოვის თქმით, მეტყველება „სიგნალთა სიგნალია". საგნისაგან განყენებული და განზოგადებული სიტყვა, ცნებითი აზროვნების შესაძლებლობას ქმნის და აზროვნების იარაღად იქცევა. მ. ს. ს., რ-რც მეტყველების სისტემა, სოც. ურთიერთობის წიაღში წარმოშობა და სოციალური ზეგავლენით ვითარდება, იგი სოც. დეტერმინაციას ექვემდებარება და საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. /იხ. პირობითი რეფლექსი/.

მერკელის კანონი — ი. მერკელმა /ანატომი, 1845—1919/ — ვებერ-ფეხნერის კანონში შეიტანა შემდეგი კორექცია: გაღიზიანებათა შორის დიდი სხვაობის შემთხვევაში მათ შორის არსებულ აბსოლუტურ განსხვავებას შეგრძნებაშიც სათანადო განსხვავება შეესატყვისება, ანუ სხვანაირად, შეგრძნების ინტენსივობის განსხვავების ხარისხი გამღიზიანებლის ინტენსივობის პირდაპირპროპორციულია და არა, რ-რც გ. ფეხნერთან, — ლოგარითმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმერიზმი — ნერვულ დაავადებათა მაგნეტიზმით მკურნალობის მეთოდი შექმნილი ფრანც ანტონ მესმერის მიერ /1734 — 1815/. მკურნალობის ამ მეთოდს მესმერი უწოდებს ცხოველურ, ანიმალურ, მკურნავ და სიცოცხლის მაგნეტიზმს. თვითონ მესმერი თავის თეორიას პრაქტიკულად იყენებდა ნერვულ დაავადებათა მკურნალობის მიზნით. ის ხელებს ადებდა ან უსვამდა ავად-ს თანაზომიერად, რაც ავად-ში ძილისებურ მდგომარეობას იწვევდა და საბოლოო ანგარიშში ავადა იკურნებოდა. მ-ს განმარტებით, ხელის დადებას მაგნეტური ძალა გადააქვს ერთი ადნიდან მეორეში და იწვევს მასში ძილს. დ. ბრედმა /1841/ გააკრიტიკა მ-ის ეს მოძღვრება. მისი აზრით, აღწერილი ძილისებური მდგომარეობის ასახსნელად მაგნეტიზმის ძალა მოსატანი არ არის და, რომ ძილის მოვლენა ჩვეულებრივი შთაგონებით და ჰიპნოზით აიხსნება. ზოგი მეცნიერის აზრით, მ. ჰიპნოზის განვითარების წინა პერიოდად შეიძლება ჩითვალოს. დასაწყისში მ. ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა ბევრი მეცნიერი მაშინაც მას კრიტიკულად უყურებდა. მესმერის მიერ „მაგნეტიზმად" წოდებული ძალის პრობლემა დღეს „ბიოენერგეტიკის" პრობლემას უკავშირდება.

მეტაგნომი — პარაფსიქოლოგიის ტერმინი, შემოტანილია ჰ. დრიშის მიერ, ოკულტურ მოვლენებში შუამავალი ადამიანის აღსანიშნავად. იგივეა, რაც შედიუმი.

მეტამორფოზია /ბერძ. metamorphoo — გარდაქმნა/ — მხედველობითი აგნოზიის ერთ-ერთი სახე: —დარღვეულია საგანთა კონტურების აღქმა, რის შედეგადაც საგნები უფრო დიდად გვეჩვენება /მაკროფსია/, ან უფრო დაპატარავებულად /მიკროფსია/.

მეტაფიზიკური ფსიქოლოგია —ძველი მიმართულება ფს-გიაში, რ-ის მიხედვითაც ფს-გიის საკვლევ! საგნად მიჩნეული იყო სული, რ-რც ად-ნის სულიერი მოვლენების სუბსტრატი, სუბსტანცია. ამ თვალსაზრისის გამო იგი ნამდვილ მეცნიერულ ფს-გიას არ წარმოადგენდა.

მეტაფსიქიკა, მეტაფსიქოლოგია /ბერძ. meta — შემდეგ, იქით, იმ მხარეს, შუაში/ — ეხება ნორმალური ემპირიული ფს-კის იქით არსებულ მოვლენებს, რ-რც ტრანსცენდენტური ფს-კურის სამკვიდროსა. იგივეა, რაც პარაფსიქოლოგია.

მეტრიული სკალა — იხ. ბინე—სიმონის სკალა.

მეტყველება — ბგერის საშუალებით თავისი მოთხოვნილების გამოხატვის უნარი, ად-ნთან ეს უნარი დანაწევრებული მ-ის სახითაა სრულქმნილი და მარტო ად-ნის სპეციფიკას წარმოადგენს. ფს-კასთან, მაშასადამე, ცნობიერებასთან, მ. მჭიდროდაა დაკავშირებული და აზროვნების გამოსახვას ემსახურება. მ-ის გარეშე აზროვნება შეუძლებელია; აზროვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მ-ის აქტით არის გაობიექტივებული და ამდენად ის /მ/ გასაგნობრივებული - ცაა.

| მ-ის | ერთეული სიტყვაა. სიტყვა საგნის განზოგადებული შინაარსის, აზრის, ცნების, იდეის ამსახველია. სიტყვა ად-ნის მსოფლშეგრძნების შექმნის საფუძველია. მაგ., ფს-გიჯში ცნობილია, რომ ბრმად დაბადებულნი მაშინ იწყებენ სამყაროს რეალურ აღქმას, როცა მათ ცნობიერებაში შეაღწევს აზრი, ცოდნა, რომ ყოველი საგანი **სახელდებულია** და ამ მომენტიდან იწყება მათ მიერ ყოველი საგნის სახელის შესწავლა /ელენ კელერის მაგალითი/. ანალოგიური ფაქტი შენიშნულია ბ-ვის განვითარებაში, „გარკვეულ ასაკში /3–5 წლამდე/ ბ-ვი იგებს, რომ ყოველ | საგანს თავისი საკუთარი სახელი აქვს და ამის გაგების შედეგად იწყება „ამას რა ჰქვია"-ს შეუწყვეტელი კითხვების პერიოდი: ბ-ვი — სამყაროს ეცნობა.

სიტყვა საგნობრივ შინაარსს ასახავს, რაც მას აზროვნების იარაღად ხდის. „მეტყველებისა და აზროვნების გაშლა | შესაძლებელია მხოლოდ იმ საგნის მოცემულობის პირობებში, რ-აც ეს აზროვნება და მეტყველება ეხება" /დ. უზნაძე/. სიტყვა ყოველთვის გარკვეულ | მიმართებაშია აღსანიშნთან, ინტენციურ დამოკიდებულებაშია საგანთან. საგანი სრულ ობიექტურ მნიშვნელობას სიტყვის ფორმაში აღწევს. სიტყვა აობიექტივებს აღქმის შინაარსს და სამყაროზე წარმოდგენას უქმნის სუბ-ს.

სიტყვის შინაარსის განვითარება, ფს-გიური თვალსაზრისით, | კონკრეტულიდან ზოგადისაკენ მიემართება; თუ თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნების ამსახველი სიტყვა საგნის სიტუაციურ ხატს შეიცავს /კულტურის დაბალი საფეხური, ბ–ვის აზროვნება/, | ცნებითი აზროვნების შემთხვევაში /კულტურის მაღალი დონე/ სიტყვაში საგნის **არსებითი** ნიშნები და მიმართებები განყენებულად და განზოგადებულადაა წარმოდგენილი. სიტყვა აზრს აობიექტივებს და ად-ნისთვის მისაწვდომს, ე. ი. გასაგებს ხდის. მაგრამ სიტყვა მაინც მ-ის მხოლოდ ელემენტია. მ. სიტყვათა გაერთიანებაა ერთ აზრიან სტრუქტურულ წინადადებაში. მ. შეიძლება იყოს აღმნიშვნელობითი, | სიგნიფიკაციური, /მიუთითოს, ამცნოს/. შეიძლება იყოს ზემოქმედებითი /ამშვიდებს, აღაგზნებს, არწმუნებს/, ფს-კაზე ზეგავლენას ახდენს/.

გარდა აზროვნების გამოხატვისა მ-ას საკომუნიკაციო ფუნქციაც ევალება. ის, ენასთან ერთად, ად-ნთა შორის ურთიერთობას განაპირობებს. კომუნიკაციის ფუნქცია ისეთივე არსებითია მ-ისთვის, რ-რც აზროვნებასთან კავშირის ფუნქცია.

ვარაუდობენ, რომ მ, ისე რ-რც ენა, წარმოიშვა შრომითი პროცესის პირობებში, მშრომელთა კოლექტივის წევრთა შორის ურთიერთობის სა -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიროების საფუძველზე, კერძოდ შრომის იარაღის წარმოშობისა და გამოყენების პროცესში. მ., ისე, რ-რც ენა, სოც. წარმოშობისაა და მათი /ენა და მ-ის/ ურთიერთიდან დაშორება ენათმეცნიერთა უმრავლესობის მხარდაჭერით არ სარგებლობს. დ. უზნაძის აზრით „ენაში არაფერია ისეთი, რაც არასოდეს თქმულა და გაგონილა... ენა მთლიანად მ—ში იბადება და ყველა ნიშანი, რ—თაც ის ხასიათდება მ-იდან აქვს მას მიღებული". მისივე /უზნაძის/ აზრით ენის სტრუქტურაში ყოველთვის მასზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების სტრუქტურაა ჩაქსოვილი."

თავის ფუნქციის მიხედვით ენა და მ. საერთო მიზანს ად-ნთა მოთხოვნილებას — აზროვნების პროცესის გაშლას და ად-ნთა შორის ურთიერთობის დამყარებას ემსახურება. მ. ენის რეალიზაციის პროცესია, იგი სუბ-ის აქტივობაზეა დაფუძნებული. მ. შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი, მონოლოგის ან დიალოგის სახის. მ-ში მეტყველის ინდივიდუალობაცაა წარმოჩენილი, მისი შემოქმედებითი უნარი და ინტელექტუალური შესაძლებლობანი.

| **მეტყველების ონტოგენეზური განვითარება** — მეტყველების განვითარების დასაწყისი სტადია „ძუძუს ბავშვობის" ხანაში /ორ წლამდე/ იჩენს თავს და სამეტყველო ორგანოების გავარჯიშებაში მდგომარეობს. როცა, ამ პერიოდის ბ-ვს არაფერი აწუხებს/შიმშილი, ტკივილი, სისველე/ ის იწყებს ტიტინს, ე. ი. იმეორებს რომელსამე ბგერას გაბმულად და სწორედ ეს ტიტინი არის საფუძველი, საიდანაც ვითარდება ნამდვილი მეტყველება. ამ სტადიის ბოლოს ბ-ვი აღწევს „ერთსიტყვიანი" წინადადების წარმოთქმას, რ-იც საკუთარი აფექტურ-ემოციური მდგომარეობის გამოხატვას ემსახურება.

2 — 3 წ. წ. ასაკში /„სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი"/ იწყება ნამდვილი მეტყველება. სიტყვები იძენენ გამოხატვის ფუნქციას და სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელნი ხდებიან, /სიგნიფიკაციის ფუნქცია/. ბ-ვი პირველად ხედება, რომ ბგერათა კომპლექსი რაღაც საგანს აღნიშნავს, რომ ყოველ საგანს თავისი სახელი აქვს. ბ-ვი იძენს სიტყვათა საკმაო მარაგს და მეტყველება სოც. კონტაქტის საშუალად იქცევა.

ბ-ვის მეტყველების განვითარებაში სამი მომენტი აღინიშნება: 1. სიტყვათა მარაგის სწრაფი | ზრდა, ორი წლის ბავშვს საშუალოდ სამასი სიტყვის ხმარება შეუძლია. სიტყვათა მარაგს ჯერ მხოლოდ არსებითი სახელები ქმნიან, მეორე წლის ბოლოს იგი 53%-ს უდრის, 23% ზმნებია, 24% სხვა კატეგორიის სიტყვებია. 2. იწყება სიტყვათა | ფლექსიის ცვალება და სინტაქსური კავშირების გამოყენება /ბრუნვა და | უღლილება/. 3. დამოუკიდებელი წინადადებების ხმარება — ბ-ვი წინადადებებს ურთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს უქვემდებარებს /მთავარი – დამოკიდებული/ და ამით გვიჩვენებს, რომ მას ესმის არა მარტო აზრთა ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულება, არამედ ისიც, თუ რ–ია მთავარი და რ–ლი –დამოკიდებული. ერთი სიტყვით, გრამატიკული ელემენტების განვითარება, არსებითად, აღნიშნულ პერიოდში იწყება და აქვე მთავრდება.

მ-ის განვითარების ტემპი ბ-ვის სოც. გარემოზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით, ეს გავლენა სიტყვათა მარაგის ზრდაში შეიმჩნევა.

7 – 12 წლის ასაკში /პირველი სასკოლო ასაკი/ მდიდრდება ბ-ვის ლექსიკა, ის თავისუფლად ფლობს სიტყვათა დიდ მარაგს, რ-რც ზეპირი, ისე წერილობითი გამოთქმისათვის.

მეტყველების ცენტრი – იხ. ბროკას ცენტრი, ვერნიკეს ცენტრი.

მეხსიერება – „ორგანული მატერიის თვისების მნემეს" /ე. ჰერინგი/ – მაღალ-ფს-კური ფორმა. ფს-კის თვისება, რ-ის არსებითი ნიშნებია: მიღებული ინფორმაციის /შთაბეჭდილების/ შემონახვა, შემდეგ მისი გახსენება /რეპროდუქცია/ და კვლავ ცნობა /ი. ფრეგესი/, თ. რიბო მ-ს სამ ნიშანს მიაწერს: შთაბეჭდილების შემონახვას, კვლავ მის გაწახლებას და დროში მის ლოკალიზაციას.

მ-სთან გვაქვს საქმე ყოველთვის, როცა ჩვენ „წარსულის გავლენას ფს-კურად განვიცდით" /დ. უზნაძე/. შეიძლება ითქვას, რომ მ. იწყება მაშინ, როცა რაიმე ფაქტს წარსულის განცდად მივიჩნევთ, წარსულს მივაკუთვნებთ.

იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება მიღებული შთაბეჭდილების შემონახვა და აწმყოში მისი აღდგენა – სუბ-ის მონაწილეობით, განზრახვით, თუ მის გარეშე –განასხვავებენ ორი სახის მეხსიერებას: პასიურს და აქტიურს.

1. **პასიური მეხსიერება**: შთაბეჭდილების მიღება/აღქმა/, შემონახვა და აღდგენა სუბ-ის განზრახვის გარეშე ხდება. სუბ. არ ცდილობს დაიხსომოს ნანახი და განცდილი, მისი აქტიური როლი ამ პროცესში გამორიცხულია. **პასიური** მ-ის ფორმებია: 1. უშუალო მ. 2. ეიდეტური ხატი, 3. პერსეევერაცია, 4. ცნობა, 5. წარმოდგენათა ასოციაცია.

უშუალო მეხსიერება –პასიური მ-ის უმარტივესი ფორმა, შთაბეჭდილების აღდგენა /რეპროდუქცია/ აღქმისთანავე ხდება, განმეორებისა და ლატენტური პერიოდის გარეშე. ხოლო აღდგენის შემდეგ ეს აღქმული შინაარსი ცნობიერებიდან გადის, ამის გამო მას ხანმოკლე მ-საც უწოდებენ. საპირ. დასწავლის საფუძველზე აღმოცენებული შუალობითი ანუ ხანგრძლივი მ. **ეიდეტური** ხატი: პასიური მ-ის თავისებური ფორმა; როდესაც სუბ. რაიმე გამღიზიანებელს, ვთქვათ აღქმულ სურათს, წარმოდგენაში ისე განიცდის, თითქოს სურათი მის წინაშე კვლავ განაგრძობდეს არსებობას /იხ. ეიდეტური ხატი/. **პერსეევერაცია**:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასიური მეხსიერების ისეთი ფორმა, როცა რაიმე წარმოდგენა **სუბ**-ს განზრახვის გარეშე უჩნდება, აეკვიატება და კარგა ხანს გასაგრძობს არსებობას; პერსეველაციული წარმოდგენის არც გაჩენა და არც გასვლა ცნობიერებიდან თვითონ სუბ-ტს არ ეკითხება, მის ნებაზე არ არის დამოკიდებული. **ცნობა:** წარსულში აღქმული შინაარსის აწმყოში განმეორებული აღქმა, რ-აც თან ახლავს ე. წ. „ნაცნობობის განცდა" /ვ. ვუნდტი, ჰ. ჰეფდინგი/. **ასოციაციური მეხსიერება:** ზემოგანხილული პასიური მ-ის ფორმებისაგან განსხვავებით, უფრო დასრულებულ „დამოუკიდებელ მ-ის" ფორმას წარმოადგენს /დ. უზნაძე / იმიტომ, რომ მასში წარსული განიცდება რ-რც წარმოდგენა, რ-რც ხატი და, განსხვავებით „ცნობისაგან", აღქმასთან არ არის დაკავშირებული. /იხ. ასოციაცია წარმოდგენათა/.

2. **აქტიური მეხსიერება:** განსხვავდება პასიური მ-ისაგან იმით, რომ შთაბეჭდილების მიღება და შემონახვა სუბ-ის ნებისყოფაზეა დამოკიდებული. ე. ი. სრულდება სუბ-ის წინასწარი განზრახვის მიხედვით; სუბიექტს მიზნად აქვს დასახული გარკვეული მასალა დაიხსომოს, ამისათვის ის საგანგებო ხერხებსაც კი მიმართავს /რიტმიზაცია, დაჯგუფება და სხვ./.

აქტიური მ. სპეციფიკური ადამიანური მ-ა, ცხოველისათვის იგი სავსებით უცხოა. ცხოველსაც ახასიათებს ზოგი ფორმა პასიური მ-ისა, მაგრამ სრულიად უცხოა მისთვის აქტიური მ. აქტიური მ-ის ფორმებია **სწავლა და მოგონება** /დასწავლა/. სწავლა რთული პროცესია: იგი მარტო მეხსიერებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ „დამოუკიდებელი ქცევის ფორმაა" /დ. უზნაძე/ და, გარდა მ-ისა, **სხვა ფაქტორების** მონაწილეობასაც გულისხმობს. მაგრამ სწავლით ქცევაში წამყვანი მაინც მ-აა, ურომლისოდ სწავლა ად-ნთან შეუძლებელი იქნებოდა. სწავლა გარკვეული მასალის დასწავლაში მდგომარეობს, ამიტომ დასწავლის კანონები მეხსიერების კანონებია / იხ. დასწავლის კანონები/. ყოველი მასალის დასწავლას გარკვეული ფაქტორები განსაზღვრავს. ასეთებადაა ცნობილი ნებელობა, ინტერესი, ინტელექტუალური ფაქტორი, სენსორული ფაქტორი და ფიზიოლოგიური ფაქტორი /იხ. დასწავლა./

აქტიური მ-ის მეორე ფორმას **მოგონება** წარმოადგენს. მოგონებაში სუბ. წარსულში მიღებულ შთაბეჭდილებას წარმოდგენის სახით განიცდის და მას თავისი წარსული დროის გარკვეულ მონაკვეთში ათავსებს ჩ-რც საკუთარი თავგადასავლის ისტორიას. მაგ., მაგონდება ის შემთხვევა, როდესაც სკოლაში პირველად მიმიყვანეს, ვისთან დამსვეს კლასში და ვინ იყო პირველი მასწავლებელი. მოტანილი მაგალითის მიხედვით მოგონებისათვის ორი ნიშანია დამახასიათებელი: ტემპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალიზაცია ანუ დროის ინდექსი და **„მე"-ს ინდექსი.** ყოველი მოგონება დათარიღებული წარმოდგენაა, რადგან ამ წარმოდგენის შინაარსი **სუბ-ის** წარსულის **გარკვეული** დროის **მონაკვეთ**შია **მოთავსებული;** ეს იქნება **დროის ინდექსი.**

ჩვენს მაგალითში რაღაც ობიექტურ ვითარებას /სკოლაში პირველად ჩემს მიყეანას/ განვიცდი, რ-იც ჩემი თავგადასავლის ისტორიის ერთ–ერთი მომენტია, რადგან მასში ჩემი **„მე"**–ს **პირადი** წარსულია განცდილი. მოგონების ამ თვისებას **„მე"-ს ინდექსი** ეწოდება.

ყოველი მოგონება სუბ-ის თავგადასავლის ისტორიას წარმოადგენს და ამიტომაც მას სხვანაირად **ისტორიულ** მეხსიერებასაც უწოდებენ.

მ. პრიმიტიული სახით ცხოველსაც ახასიათებს, მაგრამ წარსულის მოგონება წარმოდგენის სახით, რ-რც საკუთარი წარსულისა, მისთვის სავსებით უცხოა; ისტორიული მ. სპეციფიკურ ადამიანური მ-აა.

მ. არაა უცვლელი, მასზე გავლენას ახდენს და მის შინაარსს ცვლის რ-რც დროის ფაქტორი, ისე – თვითონ სუბ-ის აწმყო. /იხ. ჩვენების ფსიქოლოგია/.

მეხსიერების ონტოგენეზური განვითარება – მეხსიერება „ცნობის" სახით თავს იჩენს დაბადებიდან მესამე თვეში /„ძუძუს ბავშვობის ხანა"/ – განმეორებული გამღიზიანებელი წინა გამღიზიანებელთან შედარებით განსხვავებულ რეაქციას იწვევს. საგანს ბავშვი ადვილად აღიქვამს და კმაყოფილების გრძნობას გამოხატავს; მეხსიერების ლატენტური დროის ხანგრძლივობა თანდათან მატულობს, ორი თვის ბ-ვში იგი 7 წამს არ აღემატება, 8 თვეში 92 წამს აღწევს. ამ ასაკის ბ-ვს /„ძუძუს ასაკი", ერთ წლამდე/ აღქმული საგნის წარმოდგენა|აქვს მაგრამ ეს წარმოდგენა, ჯერ კიდევ პრიმიტიულია, აღქმასთან დაკავშირებით ჩნდება და მოგონებას არ წარმოადგენს.

2–3 წლის ასაკში /სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი/ ბ-ვს უკვე უჩნდება წარსულის და მომავლის განცდები – ის არა მარტო აღიქვამს საგნებს, არამედ იგონებს, წარმოიდგენს მათ და სათანადო პირობებში მათი აღქმის მოლოდინი აქვს. მიღებული შთაბეჭდილებებიდან მას ყველაზე უფრო ამახსოვრდება მოვლენები, რ-ებიც ხშირად მეორდება, თუმცა ერთხელ მომხდარი შთაბეჭდილებაც ამახსოვრდება, თუ ის ძლიერი ემოციური ტონისაა. მოლოდინის ხანგრძლივობა /ლატენტური დრო/, აღნიშნულ პერიოდში, 20 – 30 წუთამდე აღწევს.

4–6 წ. წ. ასაკში /სკოლის წინარე ასაკი/ მეხსიერების ზრდა მიიწევს წინ. დამახსოვრებული მასალის მოცულობა ფართოვდება, მკვიდრდება აქტიური მეხსიერების ფორმა; შთაბეჭდილების პასიური რეპროდუქციის გვერდით ბ-ეს აქტიური დამახსოვრების და მოგონება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის უნარი უვითარდება. ეს პროცესი იმდენად შორს მიდის, რომ აღნიშნული პერიოდის ბოლოს ბ-ვი ახერხებს მასალის ხანგრძლივად დამახსოვრებას და მის აქტიურად აღდგენას. ბ-ვის მეხსიერებით განსაკუთრებით დაინტერესებულია „ჩვენების ფსიქოლოგია".

7 – 12 წ. წ. ასაკი /პირველი სასკოლო ასაკი/ მეხსიერების მძლავრი განვითარების პერიოდია. სწავლის ნაყოფიერება მოწაფის უშუალო და შუალობით ანუ ხანგრძლივ მეხსიერებაზეა დამოკიდებული. ამ პერიოდის პირველ წლებში სწავლაში დიდია უშუალო მეხსიერების როლი. კითხვა-პასუხი, გამოთქმულის ზუსტი გამეორება, კარნახით წერა – უშუალო მეხსიერებას ეყრდნობა. მაგრამ სასკოლო მუშაობაში მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ხანგრძლივ მეხსიერებას ენიჭება. გაკვეთილების დასწავლა, ცოდნის დაგროვება და მისი თავისუფალი, ნებისმიერი რეპროდუქცია მთლიანად ხანგრძლივ მეხსიერებაზეა დამოკიდებული, თუ წინა პერიოდში /4– 7 წ. წ. / მეხსიერების ფორმები ძირითადად პასიური ხასიათისაა, აქ, სასკოლო სწავლების სიტუაციაში, ისინი აქტიური, ნებისეული მეხსიერების ფორმებად იქცევა: ბავშვი სწავლობს გაკვეთილს და ახდენს მის რეპროდუქციას ნებისმიერად. დასწავლის პროცესში ის თვითონ ირჩევს დახსომების ხერხებს, ახდენს დასასწავლი მასალის ორგანიზებას, შეაქვს მასში სისტემა და ამ გზით ახერხებს დახსომებას.

მეხსიერების აღნიშნული ფორმები გაპირობებულია ბ-ვის ნებისყოფით და ინტელექტუალური აქტივობით. აღნიშნულ ასაკობრივ პერიოდში შენიშნულია აგრეთვე მეხსიერების „ეიდეტური ფენომენი" /43%/. მაგრამ სქესობრივ მომწიფებასთან ერთად ის ისპობა.

შემდეგი და ბოლო ეტაპი მეხსიერების განვითარებისა 12–17 წლებია /მეორე სასკოლო ასაკი/. მეხსიერება აქ თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს, წინა ეტაპზე დაწყებული პროცესები– დასამახსოვრებელი მასალის ინტელექტუალიზება და მასალის ნებისეული ორგანიზება – საბოლოოდ მტკიცდება. მოზარდს უკვე ლოგიკურად გადამუშავებული და მიზნობრივად გაცნობიერებული მასალა შეაქვს თავისი ცოდნის სისტემაში.

ფსიქოლოგიის პათოლოგია – ორი სახისაა; კვანტიტატიური /რაოდენობრივი/ და კვალიტატური /რომელობითი/. კვანტიტატიურია: ჰიპერმნეზია, ჰიპომნეზია, ამნეზია; კვალიტატიურია პარამნეზიები: ა/ გახსენების ილუზიები /არასოდეს არნახულის ილუზია და ე. წ. უკვე ნახულის ილუზია/, ბ/კონფაბულაცია და გ/ კრიპტომნეზია.

მეხსიერების ტიპები იხ. დასწავლა.

შთავარი ანუ ძირითადი ფერები იხ. ფერის შეგრძნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარეული — სამთვარეოთი დაავადებული ადამიანი. იხ. სამთვარეო.

მთლიანად დასწავლის კანონი — იხ. დასწავლის კანონები.

მთლიანი სუბიექტის ცნება, როგორც განწყობის ამოსავალი დებულება — იხ. განწყობის თეორია.

მიბაძვა — ად-ნის თვისება გარკვეულ პირობებში თავისი მოქმედებით დაემსგავსოს სხვის მოქმედებას —ისე მოიქცეს, რ-რც სხვა იქცევა. მ-ის, დამსგავსების ეს თვისება შეიძლება სავსებით გაუცნობიერებელი იყოს, ან მეტ-ნაკლებად იყოს გაცნობიერებული. სავსებით გაუცნობიერებელი, ე. ი. უნებლიე /პასიური/ მ. ახას. ბ-ვს „პირველყოფილ" ადამიანს, სულიერად დაავადებულს. ასეთი მიბაძვის ნიშნებს არც მაღალი საფეხურის ცხოველია მოკლებული. სავსებით გაუცნობიერებელი მ. „მიზიდულობის" ხასიათისაა. მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულ მიბაძვაში შესატყვისად მონაწილეობენ შემეცნებითი, რაციონალური მომენტები. აზროვნება, ნებელობა.

|მ-ის სახეები მრავალია, მაგ., პასიური მიბაძვა: დამთქნარება, სიცილი, ასეთ მ-ზე იტყვიან „გადამდებია"; იმიტაციის სახის მ.: თამაში, ცეკვა, ლაპარაკის |მანერა, მიმიკური მოძრაობები და საერთოდ გამომხატველი მოძრაობები. მ-ის ობიექტი შეიძლება გახდეს ზნეჩვეულება, მიღწევები თეორიულ ან პრაქტიკულ სფეროში. /გამოჩენილი ადამიანები, ხელოვნება/. არისტოტელე ამბობდა: „ხელოვნება ბუნების მიბაძვაა", განსაკუთრებით დიდია მ-ის პედაგოგიური|მნიშვნელობა ადრეული ბავშვობის ასაკში. გარკვეული მნიშვნელობით იგი სწავლების ერთგვარ ფორმას წარმოადგენს. მაგ., ენის, მეტყველების ათვისება მ-ის საფუძველზე ვითარდება. კოლექტივის, სოციალური ცხოვრების რიგი მოვლენები მ-ის საფუძველზე ხდება გასაგები, მაგ., პანიკა, მოდა, რეკლამა და სხვ. რ-თაც ეპიდემიური, გადამდები ხასიათი აქვთ. მ-ის მთავარ წყაროდ შთაგონება ითვლება. სრული, ე. ი. |ზუსტი, მონური მ. სხვისი მოქმედების განმეორებაა, მასში ყოველი პირადი წაშლილია /იხ. იდეომოტორული კანონი/.

მიდრეკილება — გულისხმობს ინტერესს, მისწრაფებას გარკვეული მოვლენებისადმი; სუბ. განიცდის მიზიდულობას /უჩნდება განწყობილება/ რაიმე მოქმედებისადმი. ისწრაფვის სიცოცხლის სარბიელად სწორედ მოვლენათა ის სფერო აირჩიოს, რისადმიც გრძნობს მ-ას, ე. ი. მიზიდულობას. არსებობს შეხედულება, რომ მ. ნიჭის, ტალანტის გამოვლინებაა. მაგ., მუსიკოსი მუსიკისადმია მიდრეკილი იმიტომ, რომ ის მუსიკის ნიჭითაა დაჯილდოებული. ამ აზრით მ. დისპოზიციურ-ქრონიკულ მოვლენად იაზრება და ამდენად პროფესიის შერჩევის სიმპტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მად შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, განსაკუთრებით ყოველდღიურ სიტყვახმარებაში, მ-ში გულისხმობენ არა შინაგანად განსაზღვრულ დისპოზიციურ მიმართულებას, არამედ შეძენილ და ჩვევად ქცეულ რაიმე თვისებას, მაგ., მ. აღკოჰოლისადმი, აზარტული თამაშისადმი, მოგზაურობისადმი და სხვა.

მიზანდრია /ბერძ. **miseo** – სიძულვილი, **anér** – მამაკაცი/–ავადური სიძულვილი მამაკაცისადმი.

მიზანთროპია /ბერძ. **miseo** და **anthrōpos** – ადამიანი/– ადამიანისადმი სიძულვილი, კაცთმოძულეობა.

მიზანი – ფს-გიაში იმ სასურველი შედეგის წარმოდგენა, რ-იც შესაფერისი ქცევის განხორციელებას უნდა მოჰყვეს. მ. ჩვენი ქცევის შედეგის ანტიციპირებული **წარმოდგენაა**. იგი გულისხმობს, გარდა სასურველი შედეგის **წარმოდგენისა, აგრეთვე**, საკუთრივ იმ **საშუალებების წარმოდგენასაც**, რ-ებითაც ეს ქცევა უნდა განხორციელდეს. მიზნები, რ-ებიც სუბ-ს უჩნდება, მომდინარეობს მისი მოთხოვნილებიდან, მიზიდულობიდან, ინტერესიდან. ამდენად მიზნის დასახვა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული.

ქცევას, რ-იც შესაძლებლად ხდის წინასწარ წარმოდგენილი შედეგის განხორციელებას, **მიზანშეწონილი** ქცევა ეწოდება.

მიზნის ჰეტეროგონიის კანონი– ერთ-ერთი კანონი „ფსიქიკური განვითარების" იმ სამი კანონიდან, რ-იც ვ. ვუნდტმა წამოაყენა. ეს კანონებია: 1. სულიერი ზრდის კანონი, 2. ერთი წინააღმდეგობიდან მეორეში გადასვლის კანონი, 3. მიზნის ჰეტეროგონიის კანონი.

ვუნდტის აზრით, ფს-კურ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთზეგავლენის შედეგად, გარკვეული „შემოქმედებითი სინთეზის" საფუძველზე, წარმოიშობა ახალი ფს-კური შინაარსი, რ-იც უკავშირდება და უკუზეგავლენას ახდენს იმ ელემენტებზე, რ-თა ურთიერთობის პროცესში თვითონ ის წარმოიშვა, ფს-კური შინაარსის წარმოქმნას იწვევს და ასე თანდათანობით იცვლება და ვითარდება ფს-კურ ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულებით წარმოქმნილი ფს-კური პროდუქტი. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა ფს-კურ ელემენტთა ურთიერთობის პროცესში წარმოიშობა მიზნის წარმოდგენა და ერთი მიზანი იწვევს სხვა მიზანს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი ქართული ანდაზა: „კვიცსაც გაეხედნიო და მამიდასაც ენახავო". მთავარი მიზანი კვიცის გახედნაა, მაგრამ ეს მიზანი წარმოშობს მეორე მიზანს– მამიდის ნახვის მიზანს, რ-საც კვიცის გახედნასთან არავითარი კავშირი არა აქვს და, შეიძლება ითქვას, მასთან ჰეტეროგენურ დამოკიდებულებაშიც კი დგას. ერთი სიტყვით,

ვუნდტის აზრით, „მიზნის ჰეტეროგონიის პრინციპს“ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი და იგივე მოქმედება, ძირითადი მიზნის გარდა კიდევ სხვა მიზანს წარმოშობს და მასაც ემსახურება.

მიზოგამია /ბერძ. **miseo** – ზიზღი, **gamos** – ქორწინება/ – ზიზღი, უარყოფითი დამოკიდებულება ოლქმრობისადმი.

მიზოგინია /ბერძ. **gynē** – ქალი/ – უარყოფითი დამოკიდებულება, ზიზღი ქალისადმი.

მიზოპედია /ბერძ. **pais** – ბ-ვი/– უარყოფითი გრძნობა, ანტიპათია ბ-ვისადმი.

მიზოფობია /ბერძ. **phobos** – შიში/ გაჯუჯაინების და საზოგადოდ შეხების შიში.

მითი /ბერძ. **mythos** – თქმულება, გადმოცემა, ხორობა/ – ობიექტური სამყაროს ხატოვან–ფანტასტიკური ასახვა, გაგება; პირველყოფილი, პრიმიტიული ად-ნის სოციალურ–გონითი წარმონაქმნი, რ-შიც გამოხატულია მისი წარმოდგენა სამყაროს წარმოშობაზე, რ-რც ღმერთების შემოქმედებაზე და ად-ნის კავშირზე ამ ღმერთებთან და სამყაროსთან. ამ მნიშვ. მითი წარმოადგენს სამყაროს არა აბსტრ–ცნებით ასახვას, არამედ პრიმიტიულ მეტაფიზიკას.

კაცობრობის ისტორიულ - კულტურული განვითარების პროცესში მითიდან გამოიყოფა: რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება. მ-ის არსს და წარმოშობას იკვლევს სოციოლოგია, კულტურის ისტორია ეთნოლოგია. ვ. ვუნდტის თვალსაზრისით კი მითის კვლევა „ხალხთა ფს-გიის“ საგანს წარმოადგენს.

მითომანია – /ბერძ. / ფანტაზიორობისადმი, სიცრუისადმი ავად-ური მიდრეკილება. ად-ნი თხზავს სიმართლეს მოკლებულ, კონფაბულაციური ხასიათის უცნაურ ამბებს და მას სინამდვილედ ასაღებს. /იხ. კონფაბულაცია, ფსევდოლოგია/.

მიკროფსია /ბერძ. / – საგნის დაპატარავებულად აღქმა /იხ. მეტამორფოფსია/.

მიკროცეფალია – /ბერძ. **mikros** – პატარა, **kephalos** თავი/ – ნორმაზე პატარა თავი, თავის ქალას განუვითარებლობა /როცა სხეულის სხვა ნაწილები ნორმალურადაა განვითარებული/, იტევს 250 – 900 გრ. ტვინის მასას /ნორმალურად განვითარებული ადამიანის თავის ქალა იტევს დაახლოებით 1500-მდე გრ. ტვინის მასას/. მიკროცეფალი ად-ნის გონებრივი განვითარება, როგორც წესი, დაბალ დონეზეა შეჩერებული, – დებილები, იმბეცილები ან იდიოტები არიან. მიკროცეფალებს დამოუკიდებელი არსებობა, თავის მოვლა არ შეუძლიათ, ჩვეულებრივ ადრე იღუპებიან.

მიმიკა /ბერძ. **mimikos**/ – პირისახის მოძრაობათა ერთობლიობა, რ-იც გამოსახავს ად-ნის შინაგან, სულიერ–ემოციურ მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ., სიხარულის ემოციის შემთხვევაში: ღიმილი, სიცილი, თვალების ციმციმი, გაბრწყინებული სახე; უსიამოვნო ემოციის დროს: ტირილი –ცრემლთა დენა, დაღვრემილი სახე. მრისხანებისას: გაფითრება ან გაწითლება, თვალების გადმოკარკვლა, ტუჩების მოკუმვა, შუბლის კუნთების დაძაბვა. შიშის დროს: გაფითრება, სახის კუნთების მოდუნება დაფეთებული თვალები და სხვა. განსხვავდება პანტომიმიკისაგან, რ-იც წარმოადგენს მთელი სხეულის მოძრაობათა ერთობლიობას, და ფიზიოგნომიკისაგან.

მინიმალურ ცვლილებათა მეთოდი ანუ ოდნავ შესამჩნევ განსხვავებათა მეთოდი– ერთ-ერთი მეთოდი ფსიქოფიზიკაში, იყენებენ „შეგრძნების აბსოლუტური ზღურბლის" და შეგრძნების „განსხვავების ზღურბლის" დასადგენად /ე. ვუნდტი/.

„აბსოლუტური ზღურბლის" დასადგენად ცპ-ს პირველად ისეთი ინტენსიურობის გამღიზიანებელს აწვდიან, რ-იც შეგრძნებას ვერ იწვევს; შემდეგ თანდათან ზრდიან ამ ინტენსიურობას მცირე ოდენობის დამატებით და ჩერდებიან იქ, სადაც ცპ-ს **პირველად უჩნდება ოდნავ შესამჩნევი შეგრძნება.** ამის შემდეგ გაღიზიანების ამოსავალ წერტილად ოდნავ შესამჩნევ გაღიზიანებაზე უფრო ინტენსიური გაღიზიანებიდან იწყებენ და ჩამოდიან ქვრს, თანდათან უკლებენ მის ინტენსიურობას მცირე ოდენობით და ჩერდებიან იქ, სადაც ცპ. აღნიშნავს, რომ **გაღიზიანებას ის უკვე ვეღარ ამჩნევს.** ამის შემდეგ აერთებენ ამ უკანასკნელ ოდენობას პირველთან, მინიმალური დამატებით მიღებული, ოდნავ შესამჩნევი გაღიზიანების ოდენობასთან – და გამოაკლავენ მათი საშუალო არითმეტიკული, **რ-იც წარმოადგენს შეგრძნების აბსოლუტური ზღურბლის მაჩვენებელს.**

„შეგრძნების განსხვავების ზღურბლი": ამის დასადგენად იღებენ გამღიზიანებელს, რ-იც გარკვეულ შეგრძნებას იძლევა, და ადიდებენ ამ გამღიზიანებელს მანამდე, სანამ სუბიექტს არ გაუჩნდება პირველ შეგრძნებაზე მეტი /მისგან განსხვავებული/ ინტენსიურობის შეგრძნება; ნიშნავენ ამ დონეს. შემდეგ იღებენ ამ დონეზე კიდევ უფრო მეტი ინტენსივობის გამღიზიანებელს და თანდათან ამცირებენ მინიმალური ოდენობით იმ დონემდე, სადაც განსხვავების შეგრძნება იკარგება, შეუმჩნეველი გახდება. ნიშნავენ ამ დონეს. საშუალო არითმეტიკული პირველ დონესა /ე. ი., როცა პირველად გაუჩნდა განსხვავების შეგრძნება/ და უკანასკნელ დონეს შორის /ე. ი., როცა სუბ-მა დაკარგა განსხვავების შეგრძნება/ იქნება გაღიზიანების შეგრძნების „განსხვავების ზღურბლი".

მისტიკა /ბერძ. mystika – საიდუმლო/ –ანტიმეცნიერული მოძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრება, რ-იც უარყოფს ობიექტურ რეალობას და ცხოვრების მიზნად მიიჩნევს ინდივიდის შერწყმას ღვთაებასთან, მსოფლიო სულთან ანუ იმასთან, რაც საგნებისა და მოვლენების უშუალო საფუძველს წარმოად-გენს. მ-ური აზროვნება ცდილობს მიწვდეს ზეგრძნობიერს, ღვთაებრივს არა გრძნობების ან ინტელექტის საშუალებით, არამედ თავისებური შინაგანი ხედვით. მ-კის გარეგამოსახვის ფორმებად იფილება ექსტაზი და ინსტაზი. მ-ისთვის დამახასიათებელია გარკვეული საიდუმლო რიტუალების, წესების შესრულება, რაც ყოველგვარი რელიგიის თანმხლებია. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ბუდისტური ან ისლამური, ისე ქრისტიანული მ-ის შესახებ. გადატ. ყოველ გაუგებარს, ბუნდოვანს, გაურკვეველს, რაც თითქოს გონების საშუალებით არ მიიწვდომება, ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში აღნიშნავენ სიტყვა „მისტიკით".

მისწრაფება — განცდა, რ-იც განეკუთვნება ნებელობის მოვლენათა ჯგუფს, ნიშნავს სურ-ის მიმართულობას დასახული მიზნისაკენ. ყოველ მისწრაფებაში ნათლადაა წარმოდგენილი, რ-რც მიზანი, ისე მისი განხორციელების საშუალება.

მიულერ-ლაიერის ილუზია — გეომეტრიულ-ოპტიკური ილუზია, მოცემულ ნახაზებში (იხ. ნახაზი № 11) a და b მონაკვეთები

ნახ. № 11



სიგრძით ტოლია, მაგრამ b მონაკვეთი გვეჩვენება უფრო მოკლედ, ვიდრე a მონაკვეთი, იმიტომ, რომ a-ს აქვს გარეთ გაშვერილი წანაზარდები და ამის გამო ხაზი უფრო გრძლად გვეჩვენება, b-ს წანაზარდები კი შიგნითაა მიმართული, რაც ხაზის სიდიდეს ამცირებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიგრძის ხაზი /a და b/ დიდ ფიგურაში დიდად ჩანს და პატარაში—პატარად. ე. ი. ფიგურის სიდიდე გავლენას ახდენს თავის შემადგენელ ნაწილებზე.

მნემე /ბერძ. mnēme — მეხსიერება/ — ორგანული მატერიის საერთო თვისება /ე. ჰერინგი/: ერთხელ მომხდარი მოვლენის შემონახვა, აწმყოში მისი გადმოტანა და გამეორება. ორგანული სამყაროს ამ ზოგად თვისებას რ. ზემონმა მ ნ ე მ ე უწოდა; ორგანიზმის სიცოცხლის ერთ უწყვეტ მთლიანობად ჩამოყალიბება, რ. ზემონის აზრით, ამ ზოგად მნემური მოქმედების საფუძველზე ხდება.

მ-ს განვითარებული ფს-კური ფორმა ად-ის მეხსიერებაა. საკუთრივ მ. გაღიზიანების შედეგად ცნ. ს-ში მომხდარი ცვლილებებით განსაზღვრება. ყოველი გაღიზიანება სათანადო ცვლილებებს იწვევს ცნ. ს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, რ-ის შედეგად რჩება ფიზიოლ. კვალი ენგრამი /რ. ზემონი/. ენგრამის არსებობის ხანგრძლივობა სხვადასხვაა, ზოგი ენგრამი შეიძლება ორგანიზმს მთელ სიცოცხლეში გაჰყვეს, ზოგი კიდევ დროთა ვითარებაში ქრება, ისპობა, ზემონის მიხედვით, **ენგრამთა ერთობლიობა მ-ს** წარმოადგენს.

მ. სუბ-ის განცდაში არ აისახება, ის ცნობიერების ფაქტი არაა: მისი არსებობის შესახებ სუბ-მა არაფერი იცის. მ. თავისი წმინდა სახით მხოლოდ დაბალი ორგანიზმისათვის არის დამახ. როცა ცა. ნ. ს-ში პირველადელი გაღიზიანებით აღბეჭდილი ბიოლოგიურ-ფიზიოლ. კვალის /ენგრამის/ კვლავ აგზნება ხდება, ის თავდაპირველი აგზნების შესატყვის შინაარსს აღადგენს, განაახლებს. რ. ზემონმა ამ მოვლენას | ეკფორია უწოდა. /იხ. ეკფორია/.

მნემომეტრი — მეხსიერების საკვლევი აპარატი, შეიმუშავა გ. ე. მიულერმა /შემდეგში გაუმჯობესა ვ. რანშბურგმა/, წარმოადგენს ყუთს პატარა ფანჯრით, რ-შიც ცპ-ს აწვდიან დასასწავლ მასალას თანაბარი სისწრაფით /აზრიან ან უაზრო მარცვლებს, ციფრებს, სიტყვებს, სურათებს და სხვა/. იმის მიხედვით, თუ რამდენ ერთეულს იხსომებს ცპ. მიწოდებული მასალიდან, იზომება მეხსიერების განვითარების დონე.

მნემოტექნიკა, მნემონიკა — ფს-გიაში, მოძღვრება იმ ტექნიკური ხერხების შესახებ, რ-თა გამოყენება დახსომების და მეხსიერების საერთო გაუმჯობესებას იწვევს. მდგომარეობს მეხსიერების სპეციალურ გავარჯიშებაში გარკვეული მეთოდით. სავარჯიშო მასალა შეიძლება იყოს უაზრო, მაგ., ციფრები, უაზრო სიტყვები, მარცვლები, ან —აზრიანი, მაგ., ლექსები, ტექსტი და სხვა. იგულისხმება, რომ სპეციალურ მასალაზე ვარჯიში აუმჯობესებს, ავითარებს ზოგად მეხსიერებასაც, ხდება მისი თანაგავარჯიშება. მ-ის ფს-გიურ-მეცნიერულ დამუშავებაში დიდი წვლილი **ე. მოიმანს** მიუძღვის. /1862 — 1915/.

მობეზრება ანუ მოყირჭება — თავისებური უსიამოვნო გრძნობა, ემოცია, რ-იც ად—ნს უჩნდება გარკვეული მოქმედების მრავალჯერ გამეორების შედეგად: მაგ., როდესაც სუბ. რაიმე მოქმედებას მრავალჯერ ასრულებს ან კიდევ ერთსა და იმავე გამღიზიანებელს — მხედველობითს, სმენითს და სხვ., მრავალჯერ აღიქვამს. მ-ის გრძნობა ექსპერ-ულად იკვლიეს **კ. ლევინმა, ა. კარსტენმა, დ. კაცმა.** ცპ-ს ავალებდნენ ქაღალდზე მონოტონურად გაევლოთ პატარა ხაზები, გარკვეული დროის შემდეგ მოქმედება ირღვეოდა, ხაზვა უარესდებოდა და ცპ-ები უარს ამბობდნენ მოქმედების გაგრძელებაზე. ასეთ ფს-კურ მდგომარეობას, როდესაც მოქმედების გაგრძელება სუბ-ისათვის აუტანელი ხდება, მოქმედების მობეზრება ანუ მოყირჭება ეწოდება. ექსპერ-ულად დადასტურებულია, რომ მ-ის ანუ მ-ის ფენომენი ცხოველებთანაც შეიმჩნევა, მაგ., დგება დრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ერთსა და იმავე საკმელს ცხოველი უკვე აღარ ჭამს, მაგრამ თუ საკმელს შევუცვლით, ის ამ ახალი საკმლის ჭამას განაგრძობს. მ-ის მდგომარეობის დაძლევას ად-ნი ახერხებს ნებისყოფის საშუალებით, თუ მოქმედება, რ-აც ის ასრულებს მისთვის მაღალი ღირებულებისაა. მაგ., პიანისტი ერთსა და იმავე გამას საათობით განუწყვეტლივ იმეორებს. ამ-ას იგი იმის შეგნებით ახერხებს, რომ მისი პროფესიული სრულყოფისათვის ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მოდიფიკაცია — /ლათ. **modificatio** — გამოზომვა/ — ბიოლოგ. ორგანიზმის მიერ პირადი ცხოვრების გზაზე გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით შეძენილი თავისებურება. ორგანიზმში მომხდარი ეს ცვლილება მის გენებს, მის ძირითად თვისებებს არ ეხება — გარეგნულია, ე. ი. მემკვიდრეობით არ გადადის. თუკი ორგანიზმს იმ პირობებისაგან გავათავისუფლებთ, რ-იც მის მ-ას იწვევენ, მაშინ მ. გაქრება და ორგანიზმი თავის პირველ, ბუნებრივ სახეს დაუბრუნდება.

საზ. მნიშვ: ყოველი არსებულის /მოვლენის, საგნის/ ისეთი შეცვლა, რ-იც მოვლენის არსს, მის შინაგან ბუნებას არ ცვლის.

დ. უზნაძის განწყობის თეორიაში სიტყვა „მოდიფიკაცია" სუბ-ში მომხდარი „**შინაგანი ცვლილების**" აზრითაა ნახმარი. ამ თეორიის მიხედვით: რაიმე მოთხოვნილების მქონე სუბ. მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციასთან ურთიერთობის პროცესში ამ სიტუაციის შესატყვისად **იცვლება**. „**მოდიფიცირდება**", **განიწყობა**, ამის შემდეგ მისი „მომავალი მოქმედება მოცემულ სიტუაციასთან შესატყვისად მოდიფიცირებული, შეცვლილი არსების მოქმედებას წარმოადგენს. მაშასადამე, როგორ იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ესა თუ ის ცოცხალი არსება" /დ. უზნაძე/, თუ რას და როგორ გააკეთებს, უკვე სუბ-ში ეს წინასწარ მომხდარი ცვლილება, მ. განსაზღვრავს.

მოთხოვნილება — ორგანიზმის მდგომარეობის გ ა ნ ც დ ა ს, შინაგანის ან გარეგანის დანაკლისის შევსების საჭიროებით გამოწვეულს მ. ეწოდება. თავის დაკმაყოფილებისკენ მიმართული მ. ერთგვარი დაძაბულობის სახით განიცდება, რაც მას გარკვეულ ემოციურ ტონს ანიჭებს. მ., რ-რც ორგანიზმის დაძაბულობის გ ა ნ ც დ ა „განტვირთვისკენ ისწრაფვის და თავისი დაკმაყოფილებისთვის გულისხმობს საგანს, რ-აც გძრკვეული „გამოწვევითი ხასიათი" ან ძალა აქვს /კ. ლევინი/.

ად-ნს, გარემოსთან დამოკიდებულებაში, მრავალი მ. უჩნდება; ამ მხრივ განასხვავებენ მ-ს დ ა ბ ა ლ ს, რ-იც გარდა ად-ნისა ცხოველისათვისაც არის დამახ. და მ ა ღ ა ლ ს, რ-იც სპეციფიკურია მხოლოდ ად-ნისთვის.

დაბალი მოთხოვნილებებია ბიოლოგიური ანუ ვიტალური /ჭამა-სმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სითბო, სქესი/, მაღალია – ინტელექტუალურ-შემეცნებითი /ცნობისმოყვარეობა, ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სხვა/. მაღალი და დაბალი მ-ების გარდა დ.უზნაძეს შ-ბთა კლასიფიკაციაში შემოაქვს ფუნქციობის მ-ის ცნება. /იხ. ფუნქციობის ტენდენცია/, რ-იც, თუმცა არსებითად ად-ნისათვისაა დამახ., მაგრამ იგი გარკვეული ქცევის სახით ზოგ ცხოველებშიც ნათლად შეიმჩნევა /მაგ., თამაშის სახით მაიმუნებში, კატებში, ძაღლებში და სხვა/.

ფს-გიაში ცნობილია აგრეთვე, მოთხოვნილებიდან განსხვავებით კვაზიმოთხოვნილების /ვითომდა მოთხოვნილების/ ცნება, რ-იც წარმოიშობა არა აქტუალური მ-ის საფუძველზე, არამედ თავის მოქმედების იმპულსს სუბ-ის გადაწყვეტილების აქტიდან იძენს /იხ. კვაზიმოთხოვნილება/.

ყოველი მ. ცოცხალი არსების მოქმედების წყაროა, აქტივობის ბიძგია. /იხ. განწყობის თეორია, აქედან: განწყობის წარმოშობის პირობები/. თვითონ აქტიურობა ანუ ქცევა მ-ის დაკმაყოფილების საშუალებაა და სუბ-ის დარღვეული წონასწორობის აღდგენის აუცილებელი პირობაა. ამ აზრით მ. დ. უზნაძემ განწყობის პირობად და საფუძვლად აღიარა.

მოლარული ქცევა, მოლეკულარული ქცევა– ტერმინები: „მოლარული", „მოლეკულარული" წარმოიშვა ქიმიის ცნებებიდან „მოლ" და „მოლეკულ"–იდან. ფს-გიაში შემოიტანეს ამერიკული ბიჰევიორიზმის წარმომადგენლებმა, ორი სახის ქცევის ურთიერთისაგან გარჩევის მიზნით.

მოლარული ეწოდება ისეთ რთულ ქცევას, რ-იც გარკვეული მიზნის-კენაა მიმართული, ად-ნთან მას ვონება განსაზღვრავს, თავისი ბუნებით რთულია და მრავალი ცალკე მოქმედებისაგან შედგება; მოლეკულარული ქცევა კი მარტივია, არ არის კოგნიტიურად განსაზღვრული და არც მიზნობრივადაა მიმართული, ის შეიძლება შედიოდეს სხვა სახის მოლარულ ქცევაში, რ-რც მისი ერთ-ერთი ელემენტი. მაგ., მოლარულია ცხოველის ნადირობა, რ-იც ცალკე მოქმედებათა ჯაჭვისაგან შედგება, ხოლო მოლეკულარულია ის მარტივი მოძრაობები, რ-ებიც ამ ქცევაში შედის, მაგ., კუნთების შეკუმშვა, გაშლა და სხვა ცალკეულ მოძრაობათა რეაქციები. მოლარული ქცევა მრავალი მოლეკულარული ქცევისაგან შედგება. /იხ. ქცევის ფორმები/.

მოლოდინი – ემოციური მდგომარეობა, განცდა, მიმართულია მომავლისაკენ. გულისხმობს გარკვეულ მოვლენას, რ-იც უნდა მოხდეს, ამიტომ მ. ყოველთვის მომავლის წარმოდგენაა და, იმის მიხედვით, ხორციელდება თუ არა იგი, სუბ. სიამოვნებას ან უსიამოვნებას განიცდის. მ. მჭიდრო კავშირშია სხვა განცდებთან; მაგ., იმედთან, რ-იც გულისხმობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სასურველი მოსალოდნელი მოხდება. თუ იმედი გამართლდა, თავს იჩენს სიამოვნების განცდა. თუ ეს სასურველი მოსალოდნელი მოვლენა არ მოხდა, მაშინ მ. გადადის უიმედობის, გულგატეხილობის, სასოწარკვეთილების განცდაში. თუ მოსალოდნელი საგანი სუბ-ისათვის არასასურველია, მაშინ სუბ-ს უჩნდება ერთგვარი შინ შის განცდა: „ვაითუ არა სასურველი მოვლენა მოხდეს". ამრიგად, მ-ის მდგომარეობის თანმხლები განცდებია: იმედი, კმაყოფილება, სიამოვნება, გულგატეხილობა, სასოწარკვეთილება, შიში და სხვა. რო დესაც მ. ხანგრძლივდება და სასურველი მოსალოდნელი მოვლენა არ ხდება, სუბ-ს უჩნდება მოუსვენრობის გრძნობა და კარგავს მოთმინებას. მ. გავლენას ახდენს სხვა ფს-კურ პროცესებზეც, მაგ., მ-ის პირობებში ობიექტურად ერთი და იმავე დროის მონაკვეთი უფრო ხანგრძლივად გვეჩვენება, ვიდრე მაშინ, როცა მას მ-ის გარეშე ვაფასებთ. /იხ. დროის აღქმა/. ზოგი ფს-გის აზრით /გ. მიულერი, ფ. შუმანი და სხვა/, მ. რ-რც სუბ-ის მიმართულობა მოსალოდნელი საგნის აღქმისაკენ, იგივეა, რაც განწყობა, მაგრამ ექსპერ-ულად მტკიცდება, რომ განწყობა მხოლოდ საფუძველია, რ-იც მ-ს აჩენს, მაგრამ თვითონ მ-ს არ წარმოადგენს. ეს კარგად მტკიცდება დ. უზნაძის ცდებით, „პოსტჰიპნოზური შთაგონების" შესახებ /იხ. გაცრუებული მოლოდინის თეორია/.

მომარაგების მეთოდი— იხ. დასწავლა.

მომდევნო ეფექტის კანონი — ჩვევის შემუშავების კანონი ცხოველებში. პირველად მასზე მიუთითა ამერიკელმა ფს-გმა ე. თორნდაიკმა. ცხოველი, რ-იც გალიაშია დამწყვდეული და გარეთ საკვებს ხედავს, მრავალ მოძრაობას მიმართავს, რომ გარეთ გამოვიდეს. ამ მოძრაობებიდან ერთ-ერთი შემთხვევით აღებს გალიის კარს და ცხოველი საკვებს ეუფლება /იხ. პრობლემური ყუთის მეთოდი/, ეს ცდა მრავალჯერ მეორდება და ცხოველი თანდათან ეჩვევა იმ ეფექტური მოძრაობის შესრულებას, რ-აც იგი მიზნისაკენ მიჰყვს. მრავალი ასეთი გამეორების შედეგად მცდარი მოძრაობები იკარგება და ცხოველს უმუშავდება მხოლოდ იმ მოძრაობის შესრულების ჩვევა, რ-იც მიზანს აღწევს. ამ ჩვევის შემუშავება ხდება ერთხელ მიღწეული დადებითი ეფექტის ცხოველის მოძრაობებზე **უკუზეგავლენის** შედეგად... ამ ფაქტს ცხოველთა სწავლაში ე. თორნდაიკმა მ. ე. კ. უწოდა. /იხ. ცდისა და შეცდომის მეთოდი/.

მომსახურება— იხ. ქცევის ფორმები.

მომწიფება — ცოცხალი არსების ფსიქო-ფიზ. ძალების განვითარება, მოქმედებისთვის მათი მზად ყოფნა. მ. გულისხმობს ყველა იმ ფსიქო-ფიზ. ძალის გაშლას და ფორმირებას, რ-იც სუბ-ს დაბადებიდანვე თანდაყოლილი აქვს, მაგრამ თავიდანვე საფუნქციოდ მზად არ არის. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციები რომ მომწიფდნენ და ორგანიზმის გარემოსთან | შეგუების სამსახურში ჩადგნენ, საჭიროა ორგანიზმის მიერ|განვითარების გარკვეული გზის გავლა გარემოს განუწყვეტელი ზემოქმედების პირობებში. ორგანიზმის განვითარების იმ დონეს, როცა მისი ფსიქო-ფიზიკა ძალები უკვე საკმაოდ მზად არის ფუნქციობისთვის ეწოდება „მოწიფულობის ხანა". ნორმალურ ად-ნთან ასეთად იფვლება 20 – 25 წელი /იხ. განვითარება, ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია/.

მონომანია – რ-იმე ერთი პათოლოგიური მიდრეკილება რაიმესადმი; მაგ., კლეპტომანია, პირომანია, დიფსომანია და სხვა.

მონოფობია – მარტო დარჩენის შიში.

მორგანის კანონი– ინგლისელი ზოოფსიქოლოგის კ. ლოიდ-მორგანის მიერ| წამოყენებული დებულება, რომ ცხოველის ქცევის ახსნა ადამიანისათვის დამახასიათებელი მაღალი ფს-კური|ფუნქციებით არ იქნება მართებული, თუ მისი ახსნა და გაგება უფრო დაბალი, ფს-კური |ფუნქციებით შეიძლება.

მოსაზღვრე მდგომარეობანი /ფსიქოპათოლოგიაში/ – ფს-კურ დაავადებათა გარკვეული კლასი. /ფსიქიატრიისაგან განსხვავებით, მედიცინის სხვა დარგში მოსაზღვრე მდგომარეობა დაავადებისწინა მდგომარეობას ნიშნავს/. მ. მ. მოიცავს დაავადებათა ჯგუფს, რ-იც ხასიათდება: შედარებით მსუბუქი ნერვულ-ფსიქიკური დარღვევებით, რ-ის დროსაც ფსიქოზის ფორმალური ნიშნები თითქმის არ| აღინიშნება. მ. მ-ებს მიეკუთვნება, ძირითადად, ნევროზები და ფსიქოპათიები. ფსიქიატრიის განშტოება, რ-აც საქმე აქვს მოსაზღვრე მდგომარეობასთან ზოგჯერ „მცირე ფსიქიატრიას" უწოდებენ.

მოტივი /ფრანგ. motif/ – ყოველი ნებისეული ქცევის განმსაზღვრელი საფუძველი. არანებისეული, იმპულსური ქცევის, რ-რც მაგ., წყურვილის დაკმაყოფილების შემთხვევაში საკმარისი ხდება მხოლოდ სათანადო მოთხოვნილების არსებობა. მოტივის საჭიროება კი მხოლოდ /სუბ-ის ისეთი მდგომარეობის დროს ჩნდება, როცა მის წინაშე საკითხი ისმის, თუ რამდენიმე მოთხოვნილებიდან, რ-იც მას ამჟამად აქვს, რ-ლი უნდა დაკმაყოფილდეს და რ-ლს ეთქვას უარი. ვთქვათ, თეატრში მიდის საინტერესო სპექტაკლი. მე მოთხოვნილება მაქვს წავიდე და ვნახო იგი, მაგრამ ამავე დროს შესასრულებელი მაქვს მნიშვნელოვანი სამუშაო. ვიწყებ ფიქრს, მსჯელობას: თეატრში წავიდე, თუ სამუშაო განეაგრძო. მსჯელობა ამ ორი შესაძლებელი ქცევის შესახებ მე მარწმუნებს, რომ სამუშაოს შესრულებას ჩემთვის მეტი **ღირებულება** და მნიშვ. აქვს, ვიდრე თეატრში წასვლას. ამ მოსაზრებით სახლში ვრჩები და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაოს განვაგრძობ. ის, რამაც ჩემში ამ ქცევის უპირატესობა განსაზღვრა, არის მ ო ტ ი ვ ი. ამრიგად, მ. ჩნდება მაშინ, როცა ჩვენს წინაშე საკითხი ისმის: მრავალი მოთხოვნილებიდან რ-ლი დაკმაყოფილდეს?. ამ თვალსაზრისით, მ. გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საფუძველია, ის აძლევს სანქციას მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ გაგებით, მ-ით მოქმედება, რ-იც, რა თქმა უნდა, მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, სპეციფიკურია მხოლოდ ად-ნისათვის, ცხოველისათვის კი იგი სრულიად უცხოა. ცხოველთან მოთხოვნილება უშუალოდ საზღვრავს ქცევას ამ ქცევის მოტივაციის გარეშე. მაშასადამე მ. ად-ნთან ჩნდება მოთხოვნილებათა სიმრავლის პირობებში. მაგრამ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით ძლიერი იმპულსური ქცევაც კი ად–ნთან, გარკვეულ პირობებში, მხოლოდ სათანადო მ–აციისა და ნებისეული გადაწყვეტილების შემდეგ ხორციელდება. მაგ., დაღლილი და ძალზე მოწყურებული მთამსვლელი, როცა წყაროს ხედავს მაშინვე კი არ ეწაფება მას, რადგან იცის, რომ ასეთ პირობებში წყლის დალევა ჯანმრთელობისთვის მავნებელია, არამედ ერთხანს აყოვნებს, ისვენებს და მხოლოდ შემდეგ იკმაყოფილებს წყურვილს. ამ შემთხვევაში თავის შეკავება წყლის დალევისაგან მ-ით განსაზღვრული ნებისეული ქცევაა, და ბიოლოგიური მოთხოვნილების – წყურვილის დაკმაყოფილება მხოლოდ ამის შემდეგ ხდება.

მოტილიტეტი /ლათ. motus – მოძრაობა, მოძრაობის უნარი/ – იგულისხმება სპონტანური მოძრაობები, ე. ი. ავტომატურ–მექანიკური და კოორდინირებული, მაგ., ნაწლავების მოტილიტეტობა.

მოტორიკა /ლათ. motor – ძრავა/ – ად-ნისთვის და საერთოდ ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახ. მოძრაობათა ერთობლიობა, რ–თაც ცოცხალი არსება, გარემოსთან დამოკიდებულებაში ავლენს და რ–თაც ის მის პირობებს ეგუება. ასეთებია: ჯდომა, სიარული, სირბილი, ხტომა, საკმლის მიღებასთან და მონელებასთან დაკავშირებული მოძრაობები, სპორტული მოძრაობები, სხეულის სხვადასხვა სახის მოძრაობები, საარტიკულაციო მოძრაობები, გამომხატველი /ჟესტი, მიმიკა/ და მრავალი სხვა. სიცოცხლის განვითარების დაბალ საფეხურზე დამახ. მ. ძირითადად თანდაყოლილია, ინსტინქტურია. ად-ნთან კი მ-ის უდიდესი ნაწილი შეძენილია სათანადო ვარჯიშისა და სწავლების საშუალებით.

ად-ნის მ-ში ჩართულია და მონაწილეობს ფსიქიკა, რ-რც მისი მარეგულირებელი ფაქტორი, რ-იც ფიზიოლ. საფუძველს ც. ნ. ს. წარმოადგენს. ფსიქიკით რეგულირებულ მ–ს, რაც განსაკუთრებით ად–ნისათვის არის დამახასიათებელი, ფსიქომოტორიკა ეწოდება.

მოტორული განწყობის თეორია –გ. მიულერისა და ფ. შუმანის მიერ შემუშავებული თეორია ე. წ. „სიმძიმის ილუზიის" ახსნის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა **სიმძიმით განსხვავებულ** ორ საგანს ურთიერთს ვადარებთ ორივე ხელით — ვთქვათ, მარჯვენა ხელში 300 გრამიან ბურთს და მარცხენაში 150 გრ. — და ამის შემდეგ კი ორივე ხელში ტოლი სიმძიმის 150 გრამიან ბურთებს ვიღებთ, წესისამებრ ხდება შემდეგი: **მარჯვენა** ხელში, რ—შიც ადრე /საგანწყობო ცდაში!/ მძიმე 300 გრამიანი ბურთი გვეძლეოდა, ახლა 150 გრამიანი ბურთი უფრო მსუბუქად გვეჩვენება, ვიდრე ობიექტურად იმავე სიმძიმის /150 გრ./ ბურთი **მარცხენა** ხელში; ე. ი. „ჩნდება სიმძიმის ილუზია". მარჯვენა მძიმე ბურთის აღქმის შემდეგ მსუბუქი ბურთი კიდევ უფრო მსუბუქად აღიქმება, ვიდრე იგი სინამდვილეშია.

გ. მიულერმა და ფ. შუმანმა ეს ფაქტი შემდეგნაირად ახსნეს: როდესაც სუბიექტი განსხვავებული სიმძიმის საგნებს სწევს ზევით მრავალჯერ შესადარებლად, იმ ხელში, რ-შიც მძიმე საგანი ჰქონდა, მას უმუშავდება კვლავ „მძიმეს განცდის მოტორული იმპულსი", და ამიტომაა, რომ ტოლი საგნების მიწოდებისას, როცა ამავე ხელში მას უფრო მსუბუქი ეძლევა, იგი მას იმავე იმპულსით სწევს ზევით, რა იმპულსიფაც მძიმე საგანს სწევდა. მაგრამ, ვინაიდან ეს იმპულსი მეტია, ვიდრე მოცემული საგნის ასაწევადაა საჭირო, ამიტომ საგანი უფრო „ადვილად სწყდება საყრდენს" და „ზევით მიფრენს". და აი სწორედ ეს, საყრდენიდან ილი „მოწყვეტა" და ზევით „აფრენა" ქმნის საგნის ნაკლები სიმძიმის ანუ „უფრო მსუბუქის" შთაბეჭდილებას, ვიდრე ის ნამდვილად არის.

დ. უზნაძემ ე. წ. „წნეხის ილუზიის" ცდებით დაამტკიცა, რომ ამ შემთხვევაში სიმძიმის „ზევით აფრენის" ან „საყრდენზე მიწებების" მოტორულ იმპულსებს ადგილი არა აქვს, მაგრამ სიმძიმის კონტრასტული ილუზია მაინც ჩნდება.

მოტორული მეხსიერების ტიპი — იხ. დასწავლა. სენსორული ფაქტორი/.

მოტორული რეაქცია — იხ. რეაქცია.

მოტორული ყურადღება — იხ. ყურადღება.

მოქმედების ანუ რეალიზაციის პერიოდი — იხ. ბავშვის გონებრივი განვითარების პერიოდები.

მოქმედების ორი დონე — იხ. განწყობა წარმოდგენის საფუძველზე.

მოძრაობის ილუზიები ანუ მოჩვენებითი მოძრაობები მრავალია. მოჩვენებითია მოძრაობა, როდესაც ობიექტურად უძრავი საგანი მოძრავად გვეჩვენება, მაგ., გაჩერებული მატარებელი, რ—შიც ვზიხართ, გვეჩვენება რომ მოძრაობს, თუკი მის გვერდით ვხედავთ მოძრავ მატარებელს. ან კიდევ, სტრობოსკოპული ხედვის დროს /იხ. სტრობოსკოპული მოვ -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა/ გვეჩვენება, რომ წრისებურად დახვეული უმოძრაო ხაზები მოძრაობს. როცა ხიდიდან მდინარეს ვაკვირდებით, გვეჩვენება,



სტრობოსკოპული ილუზია

ნახ. № 10

/რომ ხიდი მოძრაობს მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით. კინოფილმში უძრავ საგნებს აღვიქვამთ ილუზურად, როგორც მოძრავთ, თუკი ცალკეული კადრების ურთიერთმომდევნო ექსპოზიცია ხანმოკლეა. მ. ი-ებს განეკუთვნება აგრეთვე ტაუ-ფენომენი და ფი-ფენომენი /იხ./.

მოხმარება — იხ. ქცევის ფორმები.

მრავალმაგი მოქმედება — იხ. ყურადღება.

მრავალობათა ერთიანობა /ლათ. Unitas Multiplex/ — გ. შტერნის მიერ შემოტანილი ტერმინი პერსონალისტურ ფსიქოლოგიაში. აღნიშნავს პიროვნების მთლიანობის იდეას. პიროვნება არის თავის ნაწილთა ერთიანობა, ხოლო ნაწილები, რ-თაც შტერნი „მომენტებს" უწოდებს, პიროვნებისაგან სულმთლად იზოლირებული და ცალკე არსებული კი არ არის, არამედ პიროვნების მთლიანობაში ჩართული და, იმავე დროს, მისგან /მთლიანობისგან/ შედარებით გამოცალკავებული მომენტები.

მსგავსების ასოციაცია — ასოციაციის ერთ-ერთი კანონი, რ-ის მიხედვითაც ერთმანეთს უკავშირდება და აღადგენს შინაარსეულად მსგავსი წარმოდგენები /იხ. ასოციაციის კანონები/.

მსჯელობა — ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების ერთ-ერთი სახე, გულისხმობს ორ შემუშავებულ ცნებას შორის მიმართების დამყარებას, -დადებითს ან უარყოფითს. ყოველი მსჯელობა წარმოადგენს აზრს, რ-იც წინადადების სახით გამოითქმის. შედგება სამი ელემენტისაგან: 1. სუბ. — ე. ი. ვისზედაც რაღაც აზრი გამოითქმის, 2/ პრედიკატი — აზრი, რ-იც ამ სუბ-ის შესახებ გამოითქმის და 3/ კავშირი /copula/ დადებითი ან უარყოფითი, რ-იც ამ ცნებათა შორის მყარდება. მაგ., მსჯელობა წინადადებაში „ლიფონი ელექტრობის გამტარია" — სუბ-ია ლიფონი, პრედიკატია -ელექტრობის გამტარობა და მათ შორის კავშირს /copula-ს/ აღნიშნავს სიტყვა „არის", რ-იც ამ ორ ცნებას შორის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით მიმართებას გამოხატავს. მეორე მსჯელობა: „ხე არ არის ელექ-ტრობის გამტარი" აგრეთვე მსჯელობაა, მაგრამ კავშირი /copula/ უარ-ყოფით მიმართულებას გამოხატავს. ამრიგად, ყოველი მსჯელობა წარმო-ადგენს დადებით ან უარყოფით მიმართებას ორ ცნებას შორის. ის, რაც ლოგიკურად სწორად გამოთქმულ აზრს ფს-გიურად მსჯელობად აქცევს, არის სუბ-ის /მთქმელის/ დარწმუნებულობის გრძნობა, ე. ი. განცდა იმ-ისა, რომ, რაც მსჯელობაშია გამოთქმული — სინამდვილის შესატყვისია. მაგ., ლოგიკურად სწორი მსჯელობა „ლითონი ელექტრობის გამტარია" შეიძლება ვათქმევინოთ 3—4 წლის ბავშვს, მაგრამ მისთვის ეს, ფს-გიუ-რად მსჯელობა არ იქნება, რადგან მას არ ექნება ამ მსჯელობაში გამო-თქმული მიმართების სინამდვილესთან შესატყვისობის განცდა — დარწმუ-ნებულობა მის არსებობაში, მის ჯეშმარიტებაში.

მუტაცია /ლათ. mutatio — ცვლილება/ — ბოტანიკოს ჰ. ფრიზის მი-ერ დადგენილი /1901/ ტერმინი, გულისხმობს ცვლილებებს ცოცხალ ორ-განიზმში, რ-იც ხდება ან მემკვიდრეობის მატარებელი სუბსტრატის გენ-ის ქიმიურ შემადგენლობაში, ან თვითონ ქრომოსომაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებებით, რ-იც გადაეცემა მემკვიდრეობით შემდეგ თაობებს. მ. არ ხდება თანდათანობით, ევოლუციის სახით, არამედ იგი ერთბაშადი, ნა-ხტომებრივი ცვლილებაა, რის გამოც მუტანტი განსხვავდება მშობლები-საგან.

მუტიზმი — /ლათ. mūtus მუნჯი/ — ფს-კური დაავადება, დამახ. დუ-მილი, ავად. არ ლაპარაკობს, შეკითხვებზე პასუხს არ იძლევა. მეტყველე-ბის ნევროლოგიურ-ფიზიოლ. საფუძველი დაცულია, დამახ. ისტერიისათ-ვის და ფსიქოზის ზოგიერთი ფორმისათვის. შეიძლება ზოგჯერ განვითა-რდეს შიშის /ელდა/ ზეგავლენით, განსაკუთრებით, ბ-ეობის ასაკში.

მცდარი ცნობა /ფრანგ. Fausse reconnaissance/ - იხ. უკვე ნახულის ილუზია.

მცირე მეტყველება — იხ. იდიოლალია.

მხატვრული შემოქმედება— დ. უზნაძის თეორიით, ქცევის ისეთი ინტროგენური ფორმა, რ-იც მიმართულია განასახიეროს შემოქმედი სუბ-ის **შინაგანი ინტიმური განწყობილება**, მოახდინოს ამ განწყობილების ადეკვატური ობიექტივაცია. შრომისაგან განსხვავებით, მ. შ. მიზნად არ ისახავს სუბსტანციური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროდუ-ქტის შექმნას. მისი აზრი და არსი თვით შემოქმედების პროცესის თვით-ღირებულ ხასიათში მდგომარეობს, ე. ი. მ. შ. რ-რც პროცესი, რ-რც მოქმედება შემოქმედების იდეათა, ზრახვათა, გრძნობათა და განწყობი-ლებათა გამოძახილია. მ. შ-ის იმპულსი შემოქმედის შინაგანი განწყო-ბილების წიაღიდან წარმოიშობა, შემოქმედის განწყობილების ტენდენ-

ციები თავის რეალიზაციისკენ ისწრაფვის და შესაფერისი ფანტაზიის სახეებით ყალიბდება. მათი მიზანი, რ-რც ყოველი ტენდენციისა, თვით-აქტივობაა. აქტივობას კი თავისთავადი, დამოუკიდებელი ღირებულება აქვს. თვით ფუნქციობა შეიცავს ამ შემთხვევაში აზრს და მიზანს. დ. უზნაძემ ამას „ფუნქციური ტენდენციის" მოთხოვნილება უწოდა. მ. შ. ფუნქციური ტენდენციის საფუძველზე აღმოცენებული პროცესი, მართალია, იგი არ ქმნის სუბსტანციური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროდუქტს, მაგრამ ერთ-გვარი პროდუქტი, ხელოვნების ნაწარმოების სახით, მას უსათუოდ თან სდევს, რ-რც ხელოვანის ფანტაზიისა და მისი შინაგანი ინტიმური განწყობილების განსახიერება, მისი შინაგანი იდეის და ხედვის თვალნათლივი ასახვა — ობიექტივაცია, ხოლო, რ-რც ასეთი იგი **სინამდვილის ახალი ფორმის შექმნაა.** /იხ. ფუნქციური ტენდენცია/.

მ. შ. დ. უზნაძის თეორიით, სამ საფეხურს გაივლის: 1. მოსამზადებელს, 2. ინსპირაციისა და 3. იდეისთვის ხორცშესხმისა. **პირველ საფეხურზე** — ხელოვანს იდეა გამოკვეთილი არა აქვს. ის მხოლოდ ეძიებს მას. იდეა თანდათან შემუშავდება ნანახისა და განცდილის, ნაფიქრისა და ნააზრევის, რეფლექსიისა და ფანტაზია—ოცნების გზით და ყოველივე ამის შედეგად ყალიბდება გარკვეული განწყობა. **მეორე საფეხურზე** /ინსპირაციის საფეხური/, უკვე გარკვეული განწყობის საფუძველზე აღმოცენებული იდეა სპონტანურად იჭრება ცნობიერებაში და შემოქმედის წინაშე შემოქმედების გზას ხსნის. **შემოქმედმა უკვე იცის რა გააკეთოს. მესამე საფეხურზე** მიმდინარეობს იდეისთვის ხორცშესხმა, განწყობის რეალიზება გარკვეული პროდუქტის სახით, რ-იც ამ იდეის და განწყობის ადეკვატური განსახიერება იქნება. ამით, მ. შ. განსხვავდება ინტროგენური ქცევის სხვა ფორმებისაგან, რ-რც მაგ., თამაში და სპორტია. ზოგი მკვლევარის აზრით /შილერი, კარლ გროსი/ მ. შ. თამაშის ანალოგიურია და თამაშიდან გამოიყვანება. დ. უზნაძის აზრით, რ-რც თამაში, ისე მ. შ., მართალია, ქცევის ინტროგენური ფორმებია, მაგრამ თამაშის შემთხვევაში არავითარი პროდუქტის შექმნასთან საქმე არ გვაქვს და თამაშის შეწყვეტა ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება. მ. შ-ში კი შემოქმედების პროცესი უსათუოდ დასრულებისაკენ ისწრაფვის და გარკვეული ღირებულების მქონე პროდუქტს ქმნის. /იხ. „ქცევის ფორმები", „ინტროგენური ქცევის ფორმები"/.

მხედველობითი ანუ ოპტიკური მეხსიერების ტიპი— იხ. დასწავლა, მისი სენსორული ფაქტორი.

მხედველობის თანამიმდევარი კვალი — ოპტიკური გაღიზიანების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ფენომენი, მდგომარეობს შემდეგში: იმის მიხედვით, თუ რა ხანგრძლივობით მოქმედებს თვალზე ესა

თუ ის ფერითი გამღიზიანებელი, ადგილი აქვს ე. წ. მხედველობის პოზიტიურ ან ნეგატიურ კვალს. **პოზიტიური კვალი:** დახუჭული თვალები რომ უცბად გავახილოთ და ჭხედველობა განათებულ ფერად ნათურას შევაპყროთ და კვლავ სწრაფად დავხუჭოთ, დავინახავთ იმავე ნათურას იგივე ფერით, თუ წითელი იყო, წითლად დავინახავთ, თუ ყვითელი იყო—ყვითლად და ა. შ. ამ მოვლენას მხედველობის **პოზიტიური ანუ დადებითი კვალი ეწოდება** ამის გაჩენა დამოკიდებულია გაღიზიანების ხანმოკლე მოქმედებაზე. პოზიტიური ეწოდება იმიტომ, რომ იგი იმავე ფერისაა, რა ფერისაც იყო გამღიზიანებელი. **ნეგატიური კვალი:** ჩნდება მაშინ, როდესაც ფერითი გამღიზიანებელი ხანგრძლივად მოქმედებს თვალზე; მაგ., გამოვჭრათ პატარა წითელი კვადრატი, ეუყუროთ ვას 20 წამის განმავლობაში, შემდეგ თვალი მოვაღლოთ რუხ ქაღალდის ფურცელს — დავინახავთ იმავე კვადრატს ოღონდ, წითელს კი არა, არამედ წითლის შემავსებელ ფერისას, ე. ი. რ-რც მწვანეს /იხ. ფერთა შერევის კანონი/. თუ ყვითელ კვადრატს გამოვჭრით და იმავე ცდას მოვახდენთ, მაშინ მიღებული კვალი კვადრატისა ამ ყვითელის საწინააღმდეგო, შემავსებელი ფერის იქნება, ე. ი. ლურჯი. ამ მოვლენას **მხედველობის ნეგატიური** თანამიმდევარი კვალი ეწოდება.

ნეგატიური კვალი ყოველთვის ფერითი გამღიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედების პირობებში ჩნდება. მ. თ. კ. ემორჩილება ე. წ. ემერტის კანონს. /იხ/

მხედველობის ველი — ეწოდება სივრცის იმ ობიექტურ მონაკვეთს, რ-შიც ერთდროულად ვხედავთ ყველა მასში მოცემულ საგანს, თვალების ერთ წერტილში უძრავად მიპყრობის დროს.

მხედველობის შეგრძნება — იხ. ფერის შეგრძნება.

ნ

ნაადრევი მომწიფება /ლათ. Mātūritās praecocx, mātūritās სიმწიფე, praecocx ნაადრევი / იხ. აქსელერაცია.

ნათელხედვა —ოკულტური ფენომენი, პარაფსიქოლოგიის კვლევის საგანი. ნ—ში იგულისხმება დაფარული /უხილავი/ საგნების და მოვლენების აღქმა, მაგრამ არა შეგრძნების ორგანოების საშუალებით, რ—რც ეს ხდება ნორმალური აღქმის შემთხვევაში, არამედ ე. წ. არაგრძნობადი აღქმით. პარაფსიქოლოგიის შეხედულებით, ნათელმხილველი აღიქვამს ისეთ საგნებს და და მოვლენებს, რ—ებიც აღმქმელ სუბ—საგან დროითა და სივრცითაა დაშორებული. ი. რინეს შეხედულებით ნ. „ფსი" /იხ./ ფუნქციის გამოვლინებად ითვლება და ფიზ. ბუნებისა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაფსიქოლოგია განასხვავებს ნ-ის სამ შემთხვევას: წარსულის ნ-ს /იხ. რეტროკოგნიცია/, აწმყოს ნ-ს /იხ. ტელესთეზია/, მომავლის ნ-ს /იხ. პრეკოგნიცია/.

რ-რც პარაფსიქოლოგიის ფენომენი ნ. ფაქტად არ შეიძლება მივიჩნიოთ, ის არც მეცნ. კვლევის საგნად ჩაითვლება. იხ. პარაფსიქოლოგია.

ნანიზმი, ნანონიზმი /ბერძ. nannos — ჯუჯა/— სხეულის ზრდის ფაქტორების მოშლა, რ-ის შედეგადაც წყდება სხეულის განვითარება და საბოლოოდ ყალიბდება ჩია ტანის კაცი, ქონდრისკაცი, ჯუჯა.

ნანცის სკოლა — ჰ. ბერნჰაიმის მიერ დაარსებული სკოლა ქ. ნანცში, აქ ფართოდ იყო დაყენებული ჰიპნოზის კვლევა-შესწავლა. წინააღ. პარიზის სკოლისა, ბერნჰაიმი ჰიპნოზს უყურებდა, რ-რც შთაგონების ერთ-ერთ სახეს. /იხ. პარიზის სკოლა/.

ნარეგი ფერი — იხ. ფერთა შერევის კანონები.

ნარკოლეფსია — ძილის დაუძლეველი მოთხოვნილება, იწყება ერთბაშად, შეტევის სახით, ავად. იძინებს, რ-რც მუშაობის, ისე — სიარულის დროს. ძილი ხანმოკლეა, გრძელდება 1—10 წუთამდე, ზედაპირულია. შეტევა შეიძლება დღე-ღამეში რამდენჯერმე განმეორდეს.

ნარკომანია /ბერძ. narkē — გაშეშება, mania — სიგიჟე, ენება/—ავადური მიდრეკილება დამათრობელი /მაანესთეზირებელი/ საშუალებებისადმი, რ—რიცაა მორფიუმი, კოკაინი და სხვა.

ნარცისიზმი /ბერძ. Narkissos — სახელია მამაკაცის/—ტერმინი ნ. წარმოიშვა ძველი ბერძნული თქმულებიდან, რ-ის მიხედვითაც მდინარის ღმერთის კეფისოსის ვაჟს ნარცისს შეუყვარდა საკუთარი თავი მას შემდეგ, რაც ერთხელ ნახა თავისი სახის გამოსახულება მდინარის წყალში. ამის შემდეგ ის შეყვარებული თავის თავში იჯდა მუდამ ყამს მდინარის ნაპირას, თვალმოუშორებლად უყურებდა თავის სახეს და ტკბებოდა თავისი სილამაზით.

ზ. ფროიდის მოძღვრებაში ნ. გულისხმობს სექსუალურ განცდებს, ეროტიკულ განწყობილებას საკუთარი თავის მიმართ — ავტოეროტიზმს. თანახმად ამ შეხედულებისა ნ-ის განვითარება იწყება ადრეული ბავშვობის ასაკიდან ორალური და ანალური /იხ./ ფაზების პერიოდში. ზრდადამთავრებულ ასაკში, ფროიდიზმის შეხედულებით, ნ. ვითარდება მეტწილად სიყვარულში წარუმატებლობით, ან სიყვარულის ობიექტის დაკარგვის შედეგად.

ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში ნ. ეწოდება თავისი თავის შეყვარებას, როდესაც ვინმეს ყველაფერი თავისი მეტისმეტად მოსწონს, აღტაცებულია ყოველივე პირადისეულით. ნ-ის ელემენტები, რ—რც საკუთარი პიროვნების პატივისცემა, საკუთარი ღირსების დაცვა, შეიძლება ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ად-ნის განცდაში მოიძებნოს და ეს სავსებით ნორმალურად ჩაითვლება, მაგრამ გადამეტებული, რ-რც პიროვნების მახასიათებელი ნიშანი, დადებით თვისებად არ ითვლება.

ნატივიზმი და გენეტიზმი /ლათ. nātivus – თანდაყოლილი, ბერძ. genesis – წარმოშობა, განვითარება/ – ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია დროისა და სივრცის აღქმის წარმოშობის შესახებ. დროის აღქმა: ნ-ის თანახმად, დროის აღქმა თანდაყოლილია, გ-ის თანახმად გამოცდილების საფუძველზეა შეძენილი. ორივე თეორია მხოლოდ ნაწილობრივადაა სწორი. თანდაყოლილია მხოლოდ დროის ხანგრძლივობის განცდა, ვინაიდან ყოველ განცდას ხანგრძლივობა ახასიათებს, აქვს დასაწყისი და დასასრული. მაგრამ ობიექტური დროის მონაკვეთის შეფასებაში მნიშვნელობა აქვს სუბ-ის გამოცდილებას, ე. ი. იმ განცდების ნაირობას და რაოდენობას, რ-იც ამ დროით მონაკვეთს ავსებენ. მაგ., რომ ერთი და ივივე ობიექტური დროის მონაკვეთი ერთ სუბ-ს უფრო ხანგრძლივად ეჩვენება და მეორეს – ხანმოკლედ, ეს თითოეული მათგანის რ-რც განწყობაზე ისე გამოცდილებაზედაცაა დამოკიდებული /იხ. დროის აღქმა/.

სივრცის აღქმა: ნ-ის თანახმად სივრცის აღქმა თანდაყოლილია, მაგ. სივრცის აღქმის მხედველობითი მექანიზმი დაბადებიდანვე მზადაა საფუნქციოდ. გ-ს თანახმად, პირიქით, სივრცის აღქმა მთლიანად გამოცდილებითაა შეძენილი. ორივე თეორია მხოლოდ ნაწილობრივადაა სწორი. დაკვირვებებმა იმ ბრმად დაბადებულ სუბ-ზე, რ-თაც ჭირურგიული ოპერაციის შედეგად მხედველობა აღუდგათ, აჩვენა შემდეგი: ახლად თვალახელილი სუბიექტი განათებულ სივრცეს აღიქვამდა, მაშასადამე, ორგანზომილებიანი სივრცის აღქმა თანდაყოლილი ყოფილა, ამდენად ნ. სწორი აღმოჩნდა. მაგრამ სუბ-ს არ აღმოჩნდა საგნის სამგანზომილებიანობის აღქმა, იგი საგნის რელიეფობას /სხეულებრივობას/ ვერ აღიქვამდა, ვერ განასხვავებდა წრეს ბურთისაგან, ბურთსაც მრგვალ სიბრტყედ განიცდიდა და მისი სხეულებრივობის აღქმა არ შეეძლო. ამას იგი აღწევდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის ამ საგნებს მრავალჯერ სინჯავდა ხელით და მხედველობით შეგრძნებასთან ერთად გარკვეულ ტაქტილურ – კუნთურ შეგრძნებებს იღებდა. ამ გამოცდილების ნიადაგზე მას თანდათანობით განუვითარდა დასრულებული სამგანზომილებიანი სივრცის აღქმა. აქედან ცხადია, რომ გ-ც ნაწილობრივ სწორი ყოფილა.

ამრიგად, მარტივი ორგანზომილებიანი სივრცის აღქმა თანდაყოლილია, მაგრამ სამგანზომილებიანი სივრცის აღქმა–შეძენილი.

ნ-სტური თეორიის მომხრეები არიან ე. ჰერინგი, კ. შტუმფი, ე. ჯემსი; გენე–სტური ანუ ემპირისტული თეორიისა – ჰ. ჰელმჰოლცი, ვ. ვუნდტი და თ. ლიფსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობობის გრძნობა — იხ. მეხსიერება, ცნობა.

ნებისყოფა — ფს-კურ მოვლენათა ანუ განცდათა იმ ჯგუფის საერთო სახელწოდება, რ-თა მოქმედების პერიოდში სუბ. თავისი მე-ს აქტივობას განიცდის; ეს ჯგუფია ნდომა, მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვა, გადაწყვეტილების მიღება, განზრახვა. ნ. შეიძლება გაგებულ იქ-ნას რ-რც დისპოზიცია, მიდრეკილება, რ-იც აღნიშნულ განცდათა ჯგუფს წარმოშობს და განსაზღვრავს. თუმცა ნ-ის ამ დისპოზიციურ მნიშვნელობას ზოგი ფს-გი არ იზიარებს და ნ-ს სხვა დისპოზიციის გამოვლინებად თვლის /მაგ., ხასიათის გამოვლინებად/, მაგრამ შეიძლება უფრო მართებული იყოს ეარაუდი, რომ ნ. სხვა დისპოზიციის გამოვლინება კი არ არის, არამედ თვითონაა ნებელობითი განცდების ჯგუფის დისპოზიცია! თუ ნებელობითი განცდების არსებობა რეალობაა და ფს-კურ მოვლენათა კლასიფიკაციაში მას გონება-გრძნობის გვერდით დამოუკიდებელი ადგილი უკავია, მაშინ თვითონ ნ.ნებელობითი ჯგუფის განცდების დისპოზიციად უნდა ვიგულოთ. /იხ. ფსიქიკური ფუნქციათა კლასიფიკაცია/.

ადნის გარე სამყაროსთან ურთიერთობაში, ნებელობასთან გვაქვს საქმე. მაშინ, როცა მოქმედების შესრულება დამოკიდებულია სუბ-ის გადაწყვეტილებაზე, მაგ., მე ძლიერი სურვილი მაქვს თამბაქო მოვწიო, მაგრამ ვიცი, რომ თამბაქოს მოწევა ჩემი ორგანიზმისათვის მავნებელია, და ამ მოსაზრებით მოწევისაგან თავს ვიკავებ; ან, ვთქვათ, მაქვს სურვილი საღამოს თეატრში წავიდე, მაგრამ სამუშაო მაქვს, რ-იც ამ საღამოს უნდა შევასრულო. ორივე სურვილის მოტივების განხილვის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ შრომის შესრულება უფრო ღირებულია ჩემთვის, ამიტომ ვიღებ გადაწყვეტილებას შინ დავრჩე და შრომა გავაგრძელო. ეს აქტები ნ-ის აქტებია. ნ-ის ყოველი აქტისათვის დამახ. საკუთარი მე—სა და ქცევის ობიექტივაცია, მოტივთა დაპირ. რ-ის საფუძველზეც ხდება შეფასება, თუ მრავალ შესაძლო ქცევისაგან რია მე—სთვის უფრო ღირებული.

ნ. პროსპექტული აქტია. იგი იმ მოქმედებას კი არ ეხება, რ-იც ახლა უნდა შესრულდეს, არამედ იმას, რ-იც მომავალში უნდა მოხდეს. ნ. ყოველთვის „წინ იხედება"; ნებისმიერი ქცევა არსებითად განსხვავდება ყველა იმ იმპულსური ქცევისაგან, რ-იც აქტუალური მოთხოვნილებით არის გამოწვეული; ნ. ყოველთვის აქტუალური მოთხოვნილების საწინ. მიმართული მოქმედებაა /დ. უზნაძე/. ამ თვალსაზრისით იგი სპეციფიკურ-ად-ნურია და სრულიად უცხოა ცხოველთათვის.

ნ—ის პროცესს სამ ძირითად პერიოდად ყოფენ: 1. არჩევანისა და მოტივაციის პერიოდი, როცა სუბიექტი ითვალისწინებს მრავალ შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლ. ქცევას, არკვევს ამათგან რ-ლი ქცევის განხორციელებაა მისთვის უფრო მიზანშეწონილი. ეს „გარკვევა" არსებითად ჯერ კიდევ აზროვნების პროცესია და თვით ნ-ისა აქ არაფერი ჩანს.

მიზანშეწონილი ქცევის გამონახვა მოტივაციას ემყარება. სუბ. უპირის-ებს ურთიერთს მრავალ შესაძლ. ქცევას და აგნებს იმ მოტივს, რ-იც რ-იმე ერთ ქცევას აძლევს უპირატესობას. ამით მთავრდება ნ-ის წინასწარ მოსამზადებელი პერიოდი, რ-საც ავრეთვე მოტივაციის პერიოდსაც უწოდებენ. 2. გადაწყვეტილების პერიოდი, როცა სუბ. სათანადო მოტივაციის საფუძველზე ნახულობს იმ შესაძლებელ ქცევას, რ-იც მომავალში მან უნდა განახორციელოს. მას უჩნდება ის თავისებური განცდა, რ-აც „მე-მინდა" განცდას უწოდებენ. ახლა სუბ-მა არა მარტო ის იცის, თუ რ-ელი ქცევა უნდა შესრულდეს, არამედ იმის განცდაც აქვს, რომ ახლა სწორედ ეს გარკვეული ქცევა უნდა შესრულდეს და არა სხვა. 3. გადაწყვეტილების შესრულების პერიოდი, როცა სუბ. მიზანშეწონილად მიღებულ ქცევას ახორციელებს.

არსებითი და სპეციფიკური ნ-სათვის ამ სამი პერიოდიდან, მხოლოდ მეორეა, სადაც გადაწყვეტილება მიიღება იმის შესახებ, თუ რა ქცევა უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება მესამე პერიოდს, აქ ნ-ისეული ქცევის განხორციელება. იმპულსური ქცევისაგან არსებითად არ განსხვავდება; იგი შეიძლება ისევე „მექანიკურად" და დაუბრკოლებლად მიმდინარეობდეს, რ-რც ყოველი იმპულსური და ჩვეული ქცევა.

დ. უზნაძის კონცეფციის თვალსაზრისით ნ-ის პროცესის მეორე პერიოდი, რ-იც გადაწყვეტილების მიღებით ხორციელდება, ფაქტობრივად განწყობის შემუშავების აღმოცენებას ნიშნავს. სუბ-ს ახლა ამ ქცევის განხორციელება იმიტომ უნდა, რომ მას ამ გარკვეული ქცევისადმი მოსამზადებელ პერიოდში გამოუმუშავდა შესატყვისი განწყობა.

ნ. შეიძლება იყოს სუსტი ან ძლიერი, იმის მიხედვით, თუ რამდენად გამძლეა სუბ-ის მიერ გამაღლებული გადაწყვეტილება განახორციელოს გარკვეული მოქმედება. არის შემთხვევა, რომ სუბ-ს გადაწყვეტილებას ღებულობს, მაგრამ როდესაც დადგება მისი შესრულების დრო, შეიძლება დაბრკოლება წამოიჭრას, მაგ., სუბ-ს ახალი მოთხოვნილება გაუჩნდეს ან, შეიძლება, ქცევის განხორციელება ტექნიკურად ძნელად შესასრულებელი აღმოჩნდეს. როცა ასეთ პირობებში სუბ. უარს ამბობს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე — ეს იქნება ნ. სუსტი და, პირიქით, როცა სუბ. დაბრკოლების მიუხედავად, მაინც წინანდელ გადაწყვეტილებაზე რჩება და განზრახულ ქცევას ახორციელებს, მაშინ საქმე გვაქვს მტკიცე ანუ ძლიერ ნ-სთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცე ნ. განსხვავდება ჯიუტობისაგან. მტკიცე ნ-ის ად-ნმა საჭირო შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება შეცვალოს, თუ ეს შეცვლა გონივრულადაა მოტივირებული. ჯიუტ ქცევას სწორედ ეს თვისება – ახალი საჭირო ქცევისათვის გონივრული მოტივაცია აკლია. ამიტომ ჯიუტი ქცევა არსებითად ნ-ის სისუსტეს უფრო ნიშნავს, ვიდრე სიმტკიცეს /იხ. ჯიუტობა/.

ნებისყოფის თავისუფლება – იხ. ინდეტერმინიზმი.

ნებისყოფის პათოლოგია – სამი სახისაა: 1. აბულია /იხ./, 2. აპარაქსია /იხ./, 3. იძულებითი მოძრაობები /იხ./.

ნეგატივიზმი /ლათ. negatia – უარყოფა/ ფს-გიაში – დაუსაბუთებელი უარყოფითი დამოკიდებულება გარემოსადმი, გონივრულ მოტივებს მოკლებული წინააღმ-ბა ყველაფრისადმი, რაც სუბ-თან კონტაქტში მოდის. ნ. სულიერი დაავადების სიმპტომია. ავად. არ ლაპარაკობს, არ ჭამს, არ მოძრაობს. ცნობილია აგრეთვე ბ-ვების ნ., რ-იც ორი სახისაა: პასიური და აქტიური. პ ა ს ი უ რ ი ნ. გამოიხატება პასიურ ურჩობაში, ბ-ვი არ ასრულებს დავალებებს, არ იქცევა ისე, რ-რც სთხოვენ – ჯიუტობს. ა ქ ტ ი უ რ ი ნ-ის შემთხვევაში ბ-ვი პირიქით იქცევა, განზრახ აკეთებს ყოველივე იმას, რასაც უკრძალავენ. ნ. ხშირი მოვლენაა ფსიქოპათ ბ-ვებთან; რ-რც გარდამავალი პერიოდი დამახასიათებელია გარკვეულ ფაზაში, სახელდობრ ე. წ. პუბერტატულ პერიოდში, რ-აც აგრეთვე „ჟინიანობის ხანას" უწოდებენ.

ნეგატიური აბსტრაქცია – იხ. აბსტრაქცია.

ნეგატიური კვალი – იხ. მხედველობითი კვალი.

ნევროზი – ფსიქიკური დაავადება, რ-იც ვითარდება მწვავე ან ხანგრძლივად მოქმედი ტრავმული სიტუაციის გავლენით. ახას. ფუნქციური ხასიათის ნერვულ-ფს-კური დარღვევები, რ-თა მიმართ ავად. ყოველთვის ინარჩუნებს კრიტიკულ დამოკიდებულებას. ნ-ის მიმდინარეობა უპირატესად კეთილთვისებიანია; მისთვის დამახ. დარღვევები შეცვლილ ხასიათს ატარებს. ნ-ს ძირითადი სახეებია: ნევრასთენია, ისტერია, და აკვიატებული მდგომარეობანი. ნ. ე. წ. მოსაზღვრე ნერვულ-ფს-კური დარღვევების კლასს მიეკუთვნება. /იხ. „მოსაზღვრე მდგომარეობანი/.

ნეირონი /ბერძ. neuron – ნერვი, ანუ ნერვული უჯრედი/–ნერვული სისტემის ძირითადი ფუნქციური და მორფოლოგიური ერთეული. ნეირონში განასხვავებენ სხეულსა და მორჩებს – დენდრიტებს და აქსონებს. დენდრიტი უჯრედის მრავალრიცხოვნად დატოტვილი მორჩებია, რ-იც იმპულსებს აღიქვამენ და გადასცემენ ნერვული უჯრედის სხეულს. აქსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელი მორჩია, მას იმპულსები გადააქვს ერთი ნერვული უჯრედიდან სხვა უჯრედებისკენ. ნ–ს გარს არტყია ნეიროგლია, რ–ის უჯრედის საყრდენ ფუნქციას ასრულებს. იგი უზრუნველყოფს ნერვულ უჯრედთა ელექტრონულ იზოლაციას. გულისხმობენ, რომ ის აგრეთვე ხელს უწყობს ნერვულ უჯრედში ნივთიერებათა ცვლას.

გამოყოფენ ნ-ის სამ ტიპს: 1. მგრძნობიარეს – აფერენტულს, რეცეპტორულს; ცენტრისკენულს; 2. მამოძრავებელს – ეფერენტულს, ეფექტორულს, ცენტრიდანულს; 3. ასოციაციურს ანუ შემაუღლებელს.

ნეიტრალური ფერები – იხ. ფერის შეგრძნება.

ნეკერის კუბი – შექცევადი პერსპექტული ოპტიკური ილუზიის ერთ–ერთი სახე. იმისდა მიხედვით, თუ კუბის რომელი ადგილის ფიქსაციას ვახდენთ, ხან ერთი ნაწიბური გამოდის წინ და მეორე უკან იხევს ან – პირიქით.

ნერვული სისტემა – ორგანოთა სისტემა, რ–თა ძირითადი მორფოლოგიური და ფუნქციური ელემენტი არის ნეირონი. ნ. ს. ახორციელებს: 1/ ად–ნებისა და ცხოველების ორგანოთა ყველა სისტემის ფუნქციურ გაერთიანებას, რეგულირებას და მართვას. 2/ ორგანიზმსა და გარემოს შორის კავშირს /ურთიერთობას/.

ნ. ს. მოქმედებს რ–რც ერთიანი მექანიზმი. ის გავლენას ახდენს ორგანიზმის ყველა პროცესზე. მისი საკუთარი რეგულაცია კი, ამავე დროს, დამოკიდებულია სხვა ორგანოებზე, განსაკუთრებით შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციობაზე. ნ. ს. შედგება ცერებროსპინალური ანუ სომატური ნ. ს-საგან და ვეგეტატიური /ავტონომიური ნ. ს–საგან/. სომატურ ნ. ს–ში განასხვავებენ: 1/ ც. ნ. ს–ს და პერიფერიულ ნ. ს–ს.

ნ. ს–ის მოქმედების წამყვანი ფორმა არის რეფლექსი და ფს–კური მოქმედება. ნ. ს–ის ანატომო–ფიზიოლ. ერთეული – ნეირონი – არის ნერვული უჯრედი ყველა თავისი განტოტებებით და დაბოლოებათა აპარატით. განასხვავებენ ნეირონთა სამ ტიპს: 1/ რეცეპტორულს ანუ აფერერენტულს, მგრძნობიარეს, რ–იც იღებს გაღიზიანებას და ადმოცენებულ იმპულსს აგზავნის ცენტრისაკენ; 2/ ასოციაციურ /შეუღლებულს,– გადაჰყავს ცენტრის მიერ მიღებული იმპულსი გარეგან რეაქციაში. 3/ ეფერენტულს /მამოძრავებელი ნეირონი/, – ასრულებს ეფერენტულ ფუნქციას, ე. ი. მოძრაობით რეაქციას.

ნიკტალოპია – /ბერძ. nyx – ღამე/ – ღამის სიბნელეში კარგი მხედველობა, ხოლო დღისით, სინათლეში დაწეული მხედველობა; გამოწვეულია თვალის ბადურის მაღალი მგრძნობელობით, მაგ., ალბინოსებთან. საწინ: ჰემერალოპია. /იხ/.

ნიკტოფობია /ბერძ. ღამის ანუ სიბნელის შიში.

ნიმფომანია /ბერძ. nymphē – პატარძალი/ ქალის აწეული სექსუალობა, ჰიპერსექსუალობა. საწინ. ანდროფობია.

Nihil est in intellectu, quod non prius (ante) fuerit in sensu – /ლათ/ არაფერია გონებაში ისეთი, რაც წინასწარ აღქმაში არ იყოს მოცემული", სენსუალიზმის ძირითადი დებულება, მისი ფორმულირება ჯონ ლოკს ეკუთვნის. გ. ლაიბნიცმა ამ დებულებას დაუმატა nisi intellectus ipse /ლათ/ „– გარდა თვით გონებისა".

ნიჯი – /რუს. способность, გერმ. Begabung/ ფს-კური ფუნქციების, ძალების მაღალშემოქმედებითი უნარი, როდესაც ად-ნს უადვილდება რ-რც მოცემული შინაარსის გაგება, ათვისება, ცოდნის დაუფლება, ისე–შემოქმედებითი ენერგიის გაშლა, ახალი ფორმების შექმნა, ახალი მიღწევების დამყარება ცხოვრების გარკვეულ სფეროში. ნ-ერი ად–ნი მოვლენაში ამჩნევს იმ მხარეებს, რ-ის დანახვა-მიგნება საშუალო ნ-ის ად–ნისთვის ძნელად მისაწვდომია. ნ–ერი ად-ნი უფრო ღრმად იხედება მოვლენაში და უფრო ნათლად ხედავს მის ცალკეულ მხარეებს. ნ-ით აღბეჭდილ შემოქმედებას ახას. ორიგინალობა /სიახლე/, სახეების სრულქმნა, ბუნებრიობა, პროდუქტიულობა. ნ. ჯილდოა ბუნებით მომადლებული, მემკვიდრეობით გადმოცემული. მაგრამ ნ–მა რომ თავისი შესაძლებლობა გაშალოს და შემოქმედ ძალად იქცეს, საჭიროა შესაფერისი გარემო და სოც. პირობები /საზოგადოებრივ –კულტურული დონე/.

ნ-ით შეიძლება ყოველი ად–ნი მეტ–ნაკლებად იყოს დაჯილდოებული: ზოგს დიდი ნ. ჰქონდეს, ზოგს – მცირე. ნ-ის მაღალ ხარისხს ტალანტი ეწოდება, უმაღლეს ხარისხს–გენიოსობა. /იხ./.

განასხვავებენ ორი სახის ნ–ს: ზოგადს და სპეციალურს, ზოგადი ნ. გულისხმობს გონითი უნარის, აზროვნების, ინტელექტის მაღალ ხარისხს; მაღალი გონითი მონაცემების საფუძველზე ვითარდება ყოველი თეორიული მეცნ. და ფილოს. იგი აუცილებელი პირობაა აგრეთვე ყოველი სპეციალური სახის შემოქმედებისთვისაც, გონებრივი აქტიურობის გარეშე შემოქმედება უნაყოფოა. ამ აზრით, ინტელექტუალური აქტიურობა ყოველი შემოქმედების ზოგადი პირობაა, ამიტომაც მას ზოგადი ნ–ერება ეწოდება. /იხ. გონიერება/.

სპეციალური ნ. ვლინდება ერთ რ-იმე კერძო დარგში. მაგ., მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებაში, ტექნიკაში, მუსიკაში, ფერწერაში და საერთოდ, ხელოვნების სხვადასხვა დარგში. როცა ნ-ის მოქმედება რ-იმე ერთი დარგის ფარგლებითაა შეზღუდული, მაშინ იგი სპეციალურ ნ–ად ითვლება.

ნ. შესაფერის გარეპირობებში ადრე იჩენს თავს. ცნობილია, რომ მუსიკის ნიჯი ვ. **მოცარტმა** 3 წლის ასაკში გამოამჟღავნა, ხოლო 5 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ჩაიკოვსკი მოსმენილ მელოდიას აღადგენდა და როიალზე უკრავდა. ასე ნაადრევად ნ-ის გამოვლენა, რასაკვირველია, მისი ადრეული სიმპტომია, მაგრამ ყოველი ნ-ის აუცილებელი თანმხლები არ არის. შეიძლება ნ. პირველად უფრო მოგვიანებით გამოვლინდეს, მაგრამ მთელი სისავსით გაიშალოს და მაღალ დონეს მიაღწიოს /მაგ., მ. ლომონოსოვი/. თუ კი ნ-ის განვითარება შესაფერის სოციალურ და გარეპირობებსაა მოკლებული, მაშინ იგი ვერაფერს გააკეთებს. მაგ., თუ მათემატიკის ნ-ით დაჯილდოებულმა სუბ. არ ისწავლა, მაშინ მისი ნ. ჩაქრება. მაგრამ ზოგ დარგში სწავლა-გაგარჯიშებას თავიდან მოკლებული ნ. თავისი „ფუნქციური ტენდენციის". სპონტანურ სწრაფვაში შემოქმედების სიმაღლეს მაინც აღწევს; თუმცა გარკვეულ ფარგლებში ის მაინც პრიმიტიულ ფორმებს იმეორებს და მას ამიტომ „პრიმიტიულ შემოქმედს" უწოდებენ /მაგ., ასეთია ქართველი მხატვრის ნ. ფიროსმანიშვილის შემოქმედება/. ამიტომ ნ-ის ადრეულ გამოვლინებას და მისი განვითარებისთვის ზრუნვას დიდი პედ. საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ ფს-გიაში ცნობილია ინტელექტუალური ნ-ის, ანუ გონიერების /Intelligenz/ გაზომვის ტესტების სერია /იხ. ბინე-სიმონის სკალა, გონებრივი განვითარების შემოწმება/.

ნოეტური /ბერძ. nus – გონება/ –აზროვნებითი, აზროვნებას მიკუთვნებული, ის, რაც აზროვნებას ეხება.

ნოზოფობია /ბერძ. nosos – ავადმყოფობა, phobos – შიში/ ავად გახდომის შიში.

ნოკტამბულია, ნოკტამბულიზმი /ლათ. nox ღამე, ambulatio – სიარული, სეირნობა/ იხ. სამთვარიო.

ნონკონფორმიზმი /ლათ. non – არა, conformatio – ჩამოყალიბება/ – სოციოლოგიაში შეუგუებლობა, შეუთანხმებლობა საზოგადოებასთან ან მის წევრებთან, სხვანაირი ქცევა, სხვების არამსგავსი. საპირ. კონფორმიზმი, /იხ./.

ნორმა – /ლათ. norma – წესი, ნიმუში/ –1. ფს-გიაში, რაიმე ნიშანთვისების /ინტელექტის, ყურადღების, მეხსიერების და სხვა / განვითარების საშუალო დონე, რ–იც ინდივიდთა უმრავლესობას ახასიათებს. ანუ სტატისტიკურად – რაიმე ნიშნის განვითარების დონის საშუალო არიფმეტიკულია. საშუალო არითმეტიკული ნორმის დადგენის მხოლოდ მეთოდია. თვით ნ-ის შინაარსს, მის არსს ის არ ეხება, ვერ გამოსახავს. 2. ნ. გულისხმობს წესს, პრინციპს, რ-აც ად-ნის გარემოსთან დამოკიდებულებაში სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს. იგი საზომია იმისა, თუ რ-რ უნდა მოვიქცეთ სხვადასხვა სიტუაციაში.

ნოსტალგია – /ბერძ. nostos – სახლში დაბრუნება / – სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული სევდა, დარდი, სამშობლოს გარეთ ყოფნისას, სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობლოსადმი სიყვარულის გამწვავებული გრძნობა, რ—იც თრგუნავს ყველა სხვა გრძნობას და ზოგჯერ ავად—აშიც კი გადადის.

ო

ობიექტი /ლათ.objectum,საგანი, მოვლენა/ — ფს-გიაში იგულისხმება ყველაფერი ის, რაც თვითონ სუბ—ს არ მიეკუთვნება.

ობიექტივაცია — იხ. განწყობა წარმოსახვის საფუძველზე.

ობიექტური დაკვირვება — ობიექტურად /სუბ. გარეშე/ არსებულ მოვლენებზე უშუალო დაკვირვება. ყველ დაკვირვებას, რ-იც განცდის ანუ თვითდაკვირვების ელემენტებს არ შეიცავს, ო. დ. ეწოდება. ო. დ-სათვის უშუალოდ მოცემულია მხოლოდ ქცევა, რეფლექსი, ამიტომ ბიჰევიორიზმის და რეფლექსოლოგიის მიმდინარეობის თანახმად ფს-გიურ მეცნ-ში კვლევის ერთადერთი მეთოდს ო. დ. უნდა შეადგენდეს.

ობიექტური ფსიქოლოგია — თანამედროვე ფ-გიაში — იმ მეცნიერულ მიმართულებათა საერთო სახელწოდება, რ—თა თანახმად, ფს-გია, რ—რც მეცნიერება უნდა სწავლობდეს არა განცდებს, ფს-კურ ფენომენებს, არამედ ცოცხალი ორგანიზმის იმ რეაქციებს, ქცევებს, მოძრაობებს, რ-თაც იგი გარემოდან მოქმედ გამღიზიანებელთა საპასუხოდ იძლევა. ამ მიმართულებათა კვლევის ძირითადი ფორმულაა „სტიმულ—რეაქცია" /S — R/.

სახელწოდება ო. ფ. პირველად იხმარა ვ. ბეხტერევმა. მასში ის გულისხმობდა ისეთ ფს—გიას, რ—აც ინტროსპექტული ფს—გიის საპირ. ცოცხალი არსების მხოლოდ სტიმულები და რეაქციები უნდა ეკვლია და არა განცდები, ცნობიერების მოვლენები. შემდეგ, თვითონ ბეხტერევმა ო. ფ-ს უწოდა აგრეთვე „რეფლექსოლოგიაც". ო. ფ-ის განშტოებას წარმოადგენენ: ა/ ბიჰევიორიზმი, რ-იც წარმოიშვა ამერიკაში, /ე. თორნდაიკი, ი. უოტსონი და სხვ./ , ბ/ „რეაქტოლოგია" /კ.ნ. კორნილოვი/. ყველა ამ მიმართულებას საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრება: მეცნ. უნდა იკვლევდეს მხოლოდ იმას, რაც ობიექტურადაა მოცემული და რისი გაზომვაც ხერხდება, ფს-კა კი არაობიექტურადაამოცემული და ამიტომ მისი მეცნ. კვლევა შეუძლებელია. ის, რაც ცოცხალი არსებისათვის სპეციფიკურად დამახ. ეს მისი ქცევები და რეაქციებია, რ—თაც იგი გარე გამღიზიანებლის სტიმულების საპასუხოდ იძლევა. ამ-ტომ მეცნ. ფს-გიამ განცდების შესწავლაზე უარი უნდა თქვას და მხოლოდ ცოცხალი არსების ქცევები უნდა გამოიკვლიოს. ეს დებულება ძირშივე მცდარია, რადგან ო. ფ. განცდების არსებობას არ უარყოფს, ხოლო მათი მეცნ. კვლევა შეუძლებლად მიაჩნია. ეს ფს—კურის შემეცნების შეუძლებლობას ნიშნავს და უთუოდ ერთგვარ **აგნოსტიციზმს** წარმოად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენს; რადგან, თუ განცდა რეალობაა და სინამდვილეა, მაშინ კანონიერია ისიც, რომ მისი შემსწავლელი მეცნიერებაც არსებობდეს. გარდა ამისა ფს–კურის გარეშე, თვითონ ქცევა ცალკეულ მოძრაობათა კონგლომერატად იქცევა და მისი აზრი, მნიშვნელობა გაუგებარი რჩება. ო. ფ-ის ძირითადი ნაკლი ისიცაა, რომ ფს-კა და ქცევა ერთმანეთისაგან გათიშულია და ფაქტობრივად ერთიცა და მეორეც შეუცნობელი ხდება.

დ. უზნაძე შემდეგნაირად წყვეტს ამ საკითხს: ფს-კა თვითონ ქცევაშია მოცემული, ისინი განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენენ და ამიტომ ქცევის დაკვირვება იმავე ფს-კის დაკვირვებას ნიშნავს. „ფს–კური, რ–რც წმინდა სუბ–ური მოცემულობა როდი უნდა ჩავთვალოთ, არამედ, როგორც ობიექტურთან ერთიანობაში მყოფი სიწამდვილე, რიც სწორედ ამიტომ შესაძლებელია თვითონ იქნეს ობიექტური შესწავლის საგნად დასახული" /დ. უზნაძე/. ამრიგად ო. ფ. არ არის კანონიერი სახელწოდება, რადგან ფს-გია შაინც, საბოლოო ანგარიშში, მეცნიერებაა ფს-კის შესახებ, რ-იც მუდამ ქცევასთან ერთიანობაშია მოცემული.

ოდნავ შესამჩნევი განსხვავების მეთოდი იხ. მინიმალურ ცვლილებათა მეთოდი.

ოდიპოსკომპლექსი –ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ტერ. ფსიქოანალიზში. გულისხმობს შვილის სქესობრივ სურვილს საკუთარი მშობლის მიმართ /იხ. ინცესტი/, ვაჟისას – დედის მიმართ, ქალისას – მამის მიმართ, ხოლო ამის შესაფერისად სიძულვილსა და მტრობასაც კი თავისი სურვილის ობიექტის საწინააღმდეგო სქესის მშობლის მიმართ. ე. ი. ქალისა – დედის მიმართ, ვაჟისა – მამის მიმართ. ფროიდის კონცეფციით, სქესობრივი სურვილი საკუთარი მშობლის მიმართ იწყება ადრეული ბავშვობის ასაკში, ფალუსური ფაზის დასაწყისიდან /დაბადებიდან 3 წლის ბოლო/ და სტაბილურ მდგომარეობას გენიტალურ ფაზაში /პუბერტატული პერიოდი/ აღწევს. ამავე პერიოდში იწყება კონფლიქტი. ამ სურვილისადმი უარყოფითადაა განწყობილი სუბ-ის მთელი სოციალური გარემო თავისი ზნე–ჩვეულებებით და ქცევის ნორმებით; ამის შესაფერისად ამ სქესობრივი სურვილის წინააღმდეგ ამხედრდება სუბ-ის საკუთარი „ზე–მე" და „დაცვითი მექანიზმების" საშუალებით /იხ. განდევნა/ ამ ლიბიდოზური სურვილით გამოწვეულ წარმოდგენებს ცნობიერებიდან ერეკება. ყოველივე ამის შედეგად ინცესტური სურვილი იდევნება ცნობიერებიდან, ის ქვეცნობიერში იძირება და განაგრძობს აქ არსებობას, რ–რც „კომპლექსი" და აქედან ფარულად ზემოქმედებს სუბ-ის ცნობიერების მიმდინარეობაზე.

ეს არანორმალური მდგომარეობა ხშირად ნევროზის საბაბი ხდება და სუბ. ავადდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო–ს, როგორც გარკვეული ცნების სახელწოდებას, საფუძვლად დაედო ძველი ბერძნული თქმულება მეფე ოიდიპოსის შესახებ: მან მოკლა თავისი მამა თებელი მეფე, რ–აც არ იცნობდა და როცა კლავდა, არ იცოდა, რომ თავის მამას კლავდა. ამის შემდეგ იგი დაეპატრონა ტახტს და ცოლად შეირთო ქვრივი დედოფალი იოკასტე. მან არც ის იცოდა, რომ იოკასტე მისი დედა იყო. მათ ეყოლათ შვილები. აღსრულდა ოიდიპოსის დაბადებისას ღმერთების წინასწარმეტყველება. როცა შემდეგ სინამდვილე გამოაშკარავდა, ოიდიპოსმა უარყო მეფობა, თვალები დაითხარა და ქალაქს გაშორდა, ხოლო იოკასტემ თავი ჩამოიხრჩო.

ო–ის ანალოგიურია ე ლ ე ქ ტ რ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი; მასში ნაგულისხმებია ქალიშვილის ინცესტური სურვილი საკუთარი მამის მიმართ. ბერძნული თქმულებით ელექტრა იყო ტროის ომის მონაწილე აგამემნონის ქალიშვილი, ტერ. ელექტრაკომპლექსი ფროიდის შემდეგ შემოიტანეს მისმა მოწაფეებმა.

ოკულტიზმი /ლათ. occultus – მალული, ფარული/ – ანტიმეცნიერული მოძღვრება დაფარულ მოვლენათა შესახებ, რ–თა აღქმა, გაგება და ამოხსნა ჩვეულებრივი ბუნებისმეტყველური მეთოდებით და კანონებით არ შეიძლება. ო., რ–რც მოძღვრება წარმოდგენილია პარაფსიქოლოგიის დარგებით. ასეთია: სპირიტიზმი, ტელეპათია, ტელეკინეზი /იხ. ნათელხედვა/, მათი კვლევის საგანი ოკულტური ფენომენებია.

ო., როგორც მისნობა, ვითომდა სულებთან დაკავშირება და მაგია, ყოველი პრიმიტიული, დაბალი კულტურის დამახ. მისტიკური მსოფლშეგრძნების პირველყოფილ ად–ნს სჯეროდა, რომ არსებობს კეთილი და ბოროტი სულები, რომ ად–ნის ბედს ღმერთები განაგებენ და რომ მათთან დაკავშირება და ად-ნის შესახებ მათი გადაწყვეტილების გამოცნობა შესაძლებელია. იყვნენ ღმერთებთან კავშირის დამჭერი ად–ნებიც ღვთისმსახურნი, მოგვები, წინასწარმეტყველები, მკითხავები, მისნები.

თანამედროვე ო., არსებითად ამ ძველი მიმდინარეობის გაგრძელება და ნაირსახეობაა.

ოლიგოფრენია – /ბერძ. olygos – ცოტა, phren – ჭკუა/ – თანდაყოლილი, ან ადრეულ ასაკში /დაბადებიდან 1–2 წელი/ შეძენილი სუსტგონიანობის ყველა სახის და ხარისხის საერთო სახელწოდება. /მაგ. იდიოტია, იმბეცილობა, დებილობა/. ო–ის ფს-კური განუვითარებლობა ზოგადია – ეხება თითქმის ყველა ფს–კურ ფუნქციას, მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით აზროვნების ფუნქციებია დათრგუნვილ–დაქვეითებული.

სუსტგონებიანობასთან ერთად ადგილი აქვს აგრეთვე ფიზ. განუვითარებლობასაც /მაგ., გრძნობის და მოტორიკის ორგანოების, აგრეთვე თავის ქალის აგებულების დეფექტი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო-ის დიფერენციული სახეებია აგრეთვე: მიკროცეფალია, ჰიდროცეფალია, ლაგდონ-დაუნის დაავადება და სხვა. ო. განსხვავდება დემენ - ციისაგან იმით, რომ ო. ან თანდაყოლილია, ან წარმოიშობა ადრეული ბ-ვობის ასაკში.

ო-ს იწვევს ცნ. ს. დაზიანება, განსაკუთრებით ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის დაზიანება.

ონეიროიდული ანუ სიზმრისებური ცნობიერება /ბერძ. oneiros – ძილი, odyne ტკივილი, მოუსვენრობა/ – ფსიქოპათოლოგიაში: ცნობიერების აშლა, რ-აც ახასიათებს ფანტასტიკური ფანტასტიკური შინაარსის სტენიური წარმოდგენები. კავშირი სინამდვილესთან ან სულ გაწყვეტილია, ანდა სინამდვილე ამ ფანტასტიკური განცდების შესაბამისად აღიქმება და ამ განცდებშია ჩაქსოვილი. თვითონ ავად. ამ ფანტასტიკური სცენების მონაწილედ განცდის თავს. ო-ცს თან არ ახლავს ამნეზია; მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ავად-ფს დეტალურად ახსოვს მის მიერ განცდილი შინაარსები, გვხვდება შიზოფრენიისა და სხვადასხვა სომატური დაავადების პროცესში განვითარებული ფსიქოზების დროს.

ონტოგენეზი /ბერძ. on – არსებული, genesis –წარმოშობა/ – ე. ჰეკელის /1834–1919 /მიერ შემოტანილი ცნება /1912 /, რ-იც გულისხმობს ინდივიდუუმის ფსიქო-ფიზ. განვითარებას ჩასახვის მომენტიდან ვიდრე სრულ მოწიფულობამდე.

ხშირად ო-ს განმარტავენ, რ-რც ინდივიდის განვითარებას ჩასახვის მომენტიდან ვიდრე სიცოცხლის დასრულებამდე. ასეთი განმარტება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს და, შეიძლება, მხოლოდ პირობითად ჩავთვალოთ, რადგან განვითარება ამ ცნების აზრის მიხედვით, თავდება სიცოცხლის გარკვეულ პერიოდში, რის შემდეგაც იწყება განვითარების საწინ. მოვლენა – უკუგანვითარება, –ინვოლუცია, რ-იც სიკვდილში გადადის. საპირ. ფილოგენეზი.

ოპერაციონიზმი /ლათ. operatio – მუშაობა, მოქმედება/ – შეხედულება თანამედროვე ნატურფილოს-ში, რ-იც ემყარება ამერიკელი ფიზიკოსის სის პ. ვ. ბრიჯმენის / P. W. Bridgeman/ შემდეგ დებულებას /1927/: ჭეშმარიტია ბუნების შემეცნება მაშინ, როცა იგი გამზომი აპარატების გამოყენებას ეყრდნობა და ყოველ დამკვირვებელს, ყოველთვის მისი სის - წორის შემოწმების საშუალებას აძლევს. ო-ის შეხედულებით, ჭეშმარიტად არსებულია ის, რისი გრძნობადი აღქმაც და გაზომვაც ხერხდება. ამის თანახმად ცნების ყოველი დეფინიცია გულისხმობს არა საგნის არსის ძიებას, წვდომას, არამედ მისი ემპირიული არსებობის დადასტურებას გ ა ზ ო მ ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ. მაგ., ამ თვალსაზრისით, ცნება „ ინტელიგენტობა არის ის, რაც ინტელიგენტობის ტესტით იზომება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ.ბრიჯმენის ო–მა დიდი გავლენა იქონია ბიჰევიორისტულ ფს–ციზზე /ე. ბორინგი, ს. სტივენზი/ S. Stevens/, ბ. სკინერი, ე. ტოლმენი/. მაგ., სტივენზის აზრით ო–ის ძირითადი დამახ. ნიშნებია: შესასწავლი მოვლენის შესახებ ერთი საერთო შეხედულების გამომუშავება მკვლევართა მიერ, შესასწავლი მოვლენის განმეორებით გამოწვევა და გაზომვა. ე. ტოლმანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბიჰევიორისტულად გაგებულ „სტიმულსა და რეაქციას" შორის უშუალო კავშირი არ არსებობს, მისი აზრით, მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ ე. წ. „შუამდებარე ცვლადი" მოტივაციის სახით, რ-ის გაზომვა შესაძლებელი ხდება. /იხ. პრაგმატიზმი/.

ოპტიკური ილუზია – იხ. გეომეტრიულ–ოპტიკური ილუზია.

ოპტიკური ტიბის მეხსიერება – იხ. დასწავლა.

ოპტიმიზმი /ლათ. optimus – საუკეთესო/ – მსოფლმხედველობა, რ–ის შეხედულებით, რ–რც ყოველი არსებული, ისე მთლიანად სამყარო გონივრული ქმნილებაა, საუკეთესო ყველა შესაძლებლობათა შორისა. ოპტიმისტური მიმართულების თანახმად სამყარო სიამოვნების წყაროა, ო–ს სწამს, რომ ყოველ საქმეში საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს და ყველაფერი კარგად მთავრდება. მოვლენის ბნელ მხარეებს. ო., ან ვერ ხედავს, ან იმედი აქვს, რომ საბოლოოდ მაინც ნათელი გაიმარჯვებს ბნელზე; ადამიანში ყოველთვის კარგ მხარეებს ამჩნევს და ცუდს უგულებელყოფს. ო. სასიცოცხლო განწყობილების გრძნობაა, იმედით აღჭურვილი სიცოცხლის მოსიყვარულე და მისი დამკვიდრების მოსურნე.

ძველ დროში ოპტიმისტურ მსოფლმხედველობას იზიარებდა მრავალი ფილოსოფოსი, განსაკუთრებით, სტოელთა სკოლის წარმომადგენლები. მარკუს ავრელიუს ანტონიუსი /121 – 180/ ამბობდა „ო, სამყაროვ! ყველაფერი, რაც შენ გსურს, ის მეც მსურს"–ო; ახალ დროში ფილოს–ში ო–ს მიმდევრები არიან. გ. ლაიბნიცი, გ. ჰეგელი და სხვა. საპირ. იხ. პესიმიზმი.

ოპტიმისტი – ვინც ოპტიმიზმის შეხედულებებს იზიარებს, საზოგადოდ იმედიანად არის განწყობილი, ყოველთვის კარგს მოელის, თან ახლავს დარწმუნებულობა, რომ კეთილი იმარჯვებს ბოროტზე.

ორალური ფაზა – /ლათ. ora os – პირი/ – ზ. ფროიდის ფსიქოანალიზში ნიშნავს: სექსუალური განვითარების პირველ ფაზას. იწყება დაბადებიდან და გრძელდება დაახლოებით ერთ წელს /პირველი წლის ბოლომდე/. ამ პერიოდში /„ძუძუს პერიოდი"/, ფროიდის მიხედვით, გ–ვისთვის პირი წარმოადგენს ეროგენულ ზონას, მისი გაღიზიანება /ძუძუს წოვა, კბენა, თითების ლოკვა/, ფროიდის აზრით, იწვევს ლიბიდო-ზურ სიამოვნებას და დაკმაყოფილებას. ო. ფ. ესაზღვრება ანალურ ფაზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანული /ბერძ. organon – იარაღი/ – იხმარება: 1. რაიმე მოელნის მთლიანი ხასიათის აღსანიშნავად; 2. ნაწილის მთლიანთან განუყოფელი კავშირის აზრით; 3. სომატურად /ფიზიოლ./ განსაზღვრული მოქმედების აღსანიშნავად.

ორგანული შეგრძნებები – ასეთია: შიმშილი, წყურვილი, სქესობრივი შეგრძნებები, სასუნთქი ორგანოების მდგომარეობასთან დაკავშირებული შეგრძნებები, გულისრევის, თავბრუსხვევის, დაღლილობის და სხვ. ორგანული შეგრძნებების დაკმაყოფილება თვით იწვევს, თავის მხრივ, გარკვეულ ორგანულ შეგრძნებებს, მაგ. საჭმლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწვევს სიმაძღრის შეგრძნებას და სხვა.

ორ. შ-ს თავისი სპეციფიკური რეცეპტორები აქვთ, ისინი მოთავსებულია შინაგან სასიცოცხლო ორგანოებში / ინტერორეცეპტორები/. ორ. შ-ები დანარჩენი მოდალობის შეგრძნებებისაგან განსხვავდება თავისი სუბ-ტურობით, ისინი ობიექტურ ვითარებას, საგნის თვისებას კი არ ასახავენ, არამედ საკუთარი სხეულის მდგომარეობას. ამიტომ ისინი ყველაზე უფრო ახლო დგანან ემოციასთან და სუბ-ტურობით ხასიათდებიან, თუმცა სავსებით არც ემოციას წარმოადგენენ, რადგან ასე თუ ისე, მაინც ჩვენი სხეულის, ე. ი. რაღაც ობიექტური ვითარების განცდას იძლევიან. ორ. შ., ჩვეულებრივად ად-ნის გარემოსთან დამოკიდებულებაში, სასიცოცხლო სტიმულების სახით გამოდიან და ად-ნს გარკვეული ქცევის განხორციელებისაკენ მიმართავენ. /დ. უზნაძე/.

ორიენტაცია: /ლათ. oriens – ამომავალი მზე, აღმოსავლეთი, მიმართულება აღმოსავლეთით/ – ვიწრო მნიშვნელობით, ფს-კური უნარი, ზოგის აზრით, გრძნობა, რ-ის მოქმედების შედეგადაც სუბიექტმა ყოველ წუთს სრული სიზუსტით იცის, თუ სად არის თვითონ, რა დრო არის ახლა /ღამე-დღე, დილა – საღამო, ზამთარი – ზაფხული/ და თვითონ იგი ვინ არის, რაც ნიშნავს სივრცის, დროის და საკუთარი პიროვნების ვინაობის ცნობიერებას. ასეთი ცნობიერება არსებობის ერთი ძირითადი პირობათაგანია, რ-იც თან ახლავს ად-ნს და საკუთარი თავის, რ-რც პიროვნების, სათმედობის საწინდარია. ამ განცდის, ამ ცოდნის დარღვევა ფს-კის აშლის /სულიერი დაავადების/ სიმპტომად ითვლება.

ორ. სივრცეში განსაკუთრებით განვითარებული აქვთ ბრმებს. ამაში მათ ეხმარება უმაღლესად განვითარებული შეხებისა და ვიბრაციის შეგრძნებები. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ად-ნის ო-ში მონაწილეობს ფს-კური ფუნქციები: შეგრძნება, აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, გრძნობა და სხვ.

დროში და სივრცეში ორ. დამახ. ცხოველისათვისაც. ზოოლოგიაში იკვლევენ მწერების, ფრინველების, თევზების და სხვა ცხოველების ო-ის უნარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილია მაგ., რომ თავის სახლს დიდი მანძილით დაშორებული ფუტკარი /ჭიანჭველაც/ კარგად აგნებს გზას სახლისაკენ; ვარაუდობენ რომ დროში ო–ს ფუტკარი მზის მდებარეობის მიხედვით არკვევს/კ.ფიშერი/. ზოგი თევზი, ტოფობის პერიოდში ქვირითის დაყრის ადგილისაკენ რამდენიმე ათას კილომეტრს გაივლის და ზუსტი ო–ით მიიკვლევს გზას ამ ადგილისაკენ. ცნობილია, რომ გადამფრენი ფრინველები, რ–იც საზამთროდ თბილ ქვეყანაში მიემართებიან, გაზაფხულზე კვლავ უკან ბრუნდებიან და ეს გრძელი გზა მათ არასოდეს არ ეშლებათ. მაგრამ ცხოველის ო–ის უნარი არსებითად სხვაა, ვიდრე ად–ნისა, ინსტინქტის საფუძველზეა აღმოცენებული და ცნობიერების ელემენტებს სავსებით მოკლებულია.

ფართო მნიშვ. ად–ნის მიმართ სიტყვა ო–ს სპეციფიკური მნიშვნელობაც აქვს. მას იყენებენ იმის აღსანიშნავად, რომ რამეში ერკვევი, მაგ., სიტუაციაში, რომ შექმნილ მდგომარეობას აღღოს უღებ, გესმის მისი დაფარული აზრი და სწორი მიმართულებით მოქმედებ. ო., ამ შემთხვევაში, არსებულის უშუალო ცოდნას გულისხმობს. ეს იქიდანაც, ჩანს, რომ საფრთხის მოულოდნელი წამოჭრა, კრიტიკული სიტუაცია ხშირად უბნევს ად–ნს ო–ს. მან არ იცის რა ქნას, რა იღონოს, მისი რეაქციები ქაოსური ხდება. აქედან ცხადია, რომ ად–ნის ქცევის ერთ–ერთი ძირითადი პირობათაგანი სიტუაციაში ო–აა, იგი გარემოს და მასში საკუთარი ადგილის აღქმაა, ცოდნაა. ო–ის შეძენაში /აღებაში/ უშუალო წვდომის უნარის გარდა აზროვნების პროცესებიც /შედარება, რეალიცია, იდენტიფიკაცია და სხვ./ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

ოცნება – პასიური ფანტაზიის ერთ–ერთი სახე. მისთვის დამახ. სინამდვილისაგან განდგომა, ცნობიერების გამოთიშვა რეალურ მოვლენათა ზეგავლენისაგან, ილუზორულ წარმოდგენათა წინ წამოწევა, სანატრელი და სასურველი მოვლენებისათვის მიდევნება. ო. სიამოვნებას ჰგვრის მეოცნებეს. ზოგჯერ შეიძლება საშინელი მოვლენების შესახებაც ოცნებო, მაგრამ, რ–რც წესი ად–ნი იმაზე ოცნებობს, რაც მისთვის სასურველია და სინამდვილეში კი მიუღწეველია. ო. ფენომენოლოგიურად ახლო დგას სიზმართან, ეფემერულია, უკვალოდ წარმავალი. ო–ს სხვანაირად „ღის სიზმარს", „ღვიძილის სიზმარს" (გერმ. Tagtraum) უწოდებენ კიდეც. ო–ს იწყებს ად–ნი მაშინვე, რ–რც კი განმარტოვდება, ან დასვენებას განიზრახავს. იგი სპონტანურად, თავისთავად ეკვლინება სუბ–ს და მთლიანად ეუფლება მის აზრთა მიმდინარეობას. „ო–ის შემთხვევაში აზროვნების ჩვეულებრივი დაძაბულობა პასიურ მოდუნებას უთმობს ადგილს; ო–ის მიმდინარეობა ჩვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე ხდება. თუ აზროვნებაში ყოველი ცალკე აზრი ჩვენი შეგნებული ძიების პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქტად განიცდება, ო–ის შემთხვევაში წარმოდგენები ისე მიმდინა-
რეობენ, რომ ჩვენ მხოლოდ პასიური მეკვრეტელის როლიღა გვაქვს შერ
ჩენილი, აზროვნების შემთხვევაში ჩვენ ვმოქმედებთ; აქ, ოცნების შემ-
თხვევაში, ჩვენ, ვეკვრეტთ იმას, რაც თითქოს ჩვენი მონაწილეობის
გარეშე ხდება" /დ. უზნაძე/. ზოგჯერ ამჩნევ, რომ მუშაობის პროცეს-
ში მთავარი პრობლემისათვის თავი მიგინებებია და ოცნებისათვის მიგი-
�ia თავი; გარკვეული ძალდატანებაა საჭირო, რომ გამოერკვე და კვლავ
სამუშაოს დაუბრუნდე. ცოტად თუ ბევრად ყოველი ად–ნი ოცნებობს.
დიდი მნიშვ. აქვს ად–ნთა ტიპურ–დიფერენციულ განსხვავებულობას.

სენსიბილური ან თავის თავში ჩაკეტილი ად–ნი /ინტროვერტული
იხ./ უფრო მეოცნებეა, ვიდრე მისი საწინააღმდეგო ტიპი, ახალგაზრ-
დობა უფრო მიდრეკილია ო–ისადმი.

ო კომპენსატორული მნიშვნელობისაა, რისთვისაც რეალურ პირო-
ბებში ვერ მიუღწევია სუბ–ს, იმას ის ო–ში დაეძებს, ცხადში მიუღწე-
ველს ო–ში აღწევს. ო სინამდვილისაგან სურვილების სამყაროში გაქ-
ცევაა, ამიტომ ის რაციონალურს, ლოგიკურს, გონების სიცხადეს გა-
ურბის და გრძნობითი ტონით შეფერილ სურვილთა დინებას მიჰყვება.
ამით ის რეალურ პირობებში დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს ილუ-
ზორულად იკმაყოფილებს. /დ. უზნაძე/.

პ

პათოლოგიური – ავად-ური, ნორმისაგან გადახრილი, არანორმა-
ლური, მახინჯი.

პათოსი /ბერძ. **pathos**– ტანჯვა, გრძნობა, ვნება/– ვნებითი აგ-
ზნება, აფექტი /პ–ს ამ აზრით იყენებდა არისტოტელე/. ესთეტიკაში:
აღფრთოვანებას, ტრაგიკულის ამაღლებული გრძნობებით გამოხატვას პ–
ურ მოქმედებას უწოდებენ. ჩვეულებრივ სიტყვა–ხმარებაში: აღფრთო-
ვანებული სტილით აზრის გამოთქმა, აღელვებულად, გრძნობით, ამაღლებუ-
ლად, აგზნებით ლაპარაკი და წერა, პ-ის გამოვლენად ითვლება.

პათოფობია /ბერძ. **pathos**– ტანჯვა და **phobos**– შიში/ – ავად გა-
ხდომის შიში.

პათოფსიქოლოგია – ფს–გიის დარგი, შეისწავლის ფს–კური მოქმე-
დებისა და პიროვნების სტრუქტურის დაზიანებისა და რღვევის კანონ-
ზომიერებებს ფს-კის პათოლოგიის შემთხვევაში. პ–გიურ გამოკვლევებს
დიდი მნიშვ. აქვთ მთელი რიგი ზოგადფსიქოლოგიური პრობლემის შეს-
წავლისთვის. ასეთია, მაგ., ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემა; ფს–
კური აქტიურობის პროცესები; პიროვნების როლის პრობლემა; ბიოლოგიურისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოციალური ურთიერთობის პრობლემა პათოლოგ. ფსიქიკის განვითარებაში და სხვა. რიგ შემთხვევაში ფსიქო–პათოლოგიური ფენომენი ფს–გიისათვის წარმოადგენს ე. წ. ბუნებრივ ექსპერიმენტს ამა თუ იმ ნორმალური ფს–კური მოვლენის ფს–გიური ბუნების შესასწავლად. პ–გიური გამოკვლევები ფართოდ გამოიყენება ფსიქიატრიასა და ნევროლოგიაში დიაგნოსტიკური კრიტერიუმის სახით; ინტელექტუალური დონის დაქვეითების ხარისხის დასადგენად, მკურნალობის ეფექტურობის გასარკვევად და სხვა.

პანიკა /ბერძნული თქმულებით ღმერთი პანი თავზარდამცემი ყვირილით აშინებდა მსმენელს/ – ერთბაშადი, თავზარდამცემი შიში, მოიცავს, რ–რც ცალკე ინდივიდს, ისე მთელ ჯგუფს, მასას, მთელ ხალხს. დამახ.: ქაოსური, უწესრიგო, ანგარიშმიუცემელი გაქცევის რეაქცია; უგეგმო, შემთხვევითი, არამიზანშეწონილი ქცევა; ზოგჯერ მოძრაობათა სრული შეკავება. პ., რ–რც შიშის გრძნობა, მომდინარეობს ად–ნის ფს–კის ღრმა ფენებიდან; იგი ეპიდემიურ–გადამდებ ხასიათს ატარებს, ვრცელდება დიდ მასაზე შთაგონების /სუგესციის/ გზით /იხ. იდეომოტორული კანონი/. დამახ. აგრეთვე ცხოველებისათვისაც, მაგ., ზოგჯერ მთელ ჯოგს მოედება პ–კური შიში და ჯოგი უგზო–უკვლოდ გარბის.

პანტომიმიკა /ბერძ. pantomimos-ყველაფრის მიმბაძველი/ – მთელი სხეულის მოძრაობათა ერთობლიობა, გამოხატავს შინაგან, ემოციურ მდგომარეობას ხმის ინტონაციით, ჟესტებით, პირისახის და სხეულის ნაწილების სხვადასხვა მოძრაობით. /იხ. გამომხატველი მოძრაობები/.

პანფობია /ბერძ. pan – ყველაფერი და phobos – შიში/ – ყველაფრის შიში, ყოველი მოვლენისა და საგნის შიში, ზოგადი შიში.

პანფსიქიზმი /ბერძ./ –იდეალისტური კონცეფცია, რ-ს თანახმად, არა მარტო ცოცხალი არსება, არამედ ყოველი არაცოცხალი საგანიც გასულიერებულია, ანუ ფს–კის მატარებელია.

პარაეკფორია /ბერძ. para – წინსართი, ნიშნავს: გვერდით, იქეთ, მცდარს, ekphora – გამოტანა/– მცდარი მოგონება, მეხსიერების შეცდომა. იხ. ეკფორია.

პარაკინეზი /ბერძ. para და kinesis – მოძრაობა/ – 1. მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. 2. პარაფსიქოლოგიაში, ნიშნავს საგნების მოძრაობას ფიზ. ძალის გამოყენების გარეშე. /იხ. ტელეკინეზია, ლევიტაცია/.

პარალალია /ბერძ. para და lalein – ლაპარაკი / – მეტყველების დარღვევა: სიტყვების ან სიტყვის შემადგენელი ბგერების ურთიერთ–შეცვლა.

პარამნეზია /ბერძ. para და mnēsis – გახსენება, მოგონება/ – მეხსიერების შეცდომები. მცდარი ცნობა– წარსულში მიღებული შთაბეჭდილებების შეცვლილად მოგონება, არასწორად აღდგენა. მეხსიერების

ამ ცვლილების მიზეზია მეტწილად ტვინის ორგანული დაავადებანი, მაგრამ მეხსიერების შინაარსში ცვლილებები შეაქვს აგრეთვე თვით სუბ–ს თავისი ფანტაზიისა და სურვილების შესაბამისად და შემდეგ თვითონ სჯერა მისი სინამდვილე. იდენტობა წარსულ შთაბეჭდილებებთან. /იხ. უკვე ნახულის ილუზია, ფსევდოლოგია, კონფაბულაცია, კრიტომნეზია/.

პარანოია – /ბერძ paranoia – სიგიჟე/– მყარი ფს-კური დარღვევა, რ-საც ახასიათებს სისტემატიზებული ბოდვითი, ან ზეღირებული იდეები, აქტიური ბრძოლა ამ იდეების რეალიზაციისათვის. პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობები და პროფესიული ჩვევები სავსებით შენახულია. თანამედროვე ფსიქოლოგიაში პ–ის, რ-/რც დამოუკიდებელი დაავადების არსებობა სადავოა. ავტორთა დიდი ნაწილი პ-ს ქრონიკულ ფორმებს პიროვნების პათოქარაქტეროლოგიურ განვითარებად მიიჩნევს. გარდა ამისა, გამოყოფენ პარანოიალურ რეაქციებს, რ-ებიც ფსიქოგენური წარმოშობისაა და პარანოიალურ სინდრომს, რ-ც პროცესუალური ფს-კური დაავადების ამა თუ იმ ეტაპზე აღმოცენდება /მაგ. შიზოფრენია/.

პარასიმპათიკური ნერვული სისტემა – იხ. ვეგეტატიური ნერვული სისტ.

პარაფსიქოლოგია /ბერძ. / – მოძღვრება მეტაფსიქიკური, ოკულტური /ფარული/ პარანორმალური ფენომენების შესახებ. მისი დარგებია: ტელეპათია, ტელეკინეზია, ნათელხედვა, სპირიტიზმი. მე-19 საუკუნის ბოლოდან პ. ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია თავისი საგნის კვლევა მეცნიერულ დონეზე. ამ მიზნით მიმართავს ტესტებით კვლევის მეთოდს, იყენებს სტატისტიკას, მაგ., შედგენილი აქვს ე. წ. „ფსიქოკინეზის ტესტი", „პუნქტების ტესტი" და სხვა. პ. არ წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ მიმართულებას ფს-გიაში.

პარესთეზია /ბერძ. paraisthēsis - მცდარი შეგრძნება/ მგრძნობელობის დარღვევა. ისეთი მცდარი შეგრძნება, როცა სათანადო გარე გამღიზიანებლის არსებობა არ დასტურდება. ასეთია მაგ., ტანზე ჭიანჭველების ცოცვის შეგრძნება, გემოს და სიცივის მცდარი შეგრძნებები და სხვა.

პარიზის სკოლა– ფსიქიატრთა სკოლა პარიზში, რ-აც 1882 წლიდან ხელმძღვანელობდა ი. შარკო /1825–1893/. მან შექმნა ფსიქოპათოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა სკოლა. მკურნალობდა ისტერიულ დაავადებას ჰიპნოზით. კითხულობდა ლექციებს ისტერიაზე და ჰიპნოზზე. მისი მოწაფეები იყვნენ: ა. ბინე, პ. ჟანე, ზ. ფროიდი და სხვები. ფსიქიატრთა მეორე სკოლა საფრანგეთში იმავე პერიოდში იყო ნანცის სკოლა /იხ./.

პაროქსიზმი /ბერძ. paroxysmos – გაღიზიანება, გამახვილება, გამწვავება/– მედიცინაში –ავად-ფობის უკიდურესი გამწვავება, სიმპტომის მაქსიმალური გაზრდა, შეტევა. ფს-გიაში – გამწვავებული ემოციური მდგომარეობა, მაგ., რისხვა, სასოწარკვეთილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარტიციპაციის პრინციპი — იხ. მაგიური აზროვნება.

პასიური /შეგრძნებითი/ აღქმა — აღქმა, რაც სუბ-ის განზრახვა-ზე არ არის დამოკიდებული. მისი გან[illegible] [illegible]ერელია საგანი, ობიექტი, რ-ის აღქმა /პერცეფცია/ ხდება. საგანი აქ ეძალება სუბ-ს და აღქმა პასიურად ხდება, სუბ-ის წინასწარი განზრახვის გარეშე. საპირ. აქტიური აღქმა ანუ დაკვირვება. საპირ. აქტიური აღქმა ახუ დაკვირვება.

პასიური მეხსიერება — იხ. მეხსიერება.

პასიური ფანტაზია — იხ. ფანტაზია.

პასიური ყურადღება — იხ. ყურადღება.

პატივმოყვარეობა — თავისი თავისკენ მიმართული გრძნობა, საკუთარი პიროვნების ღირსების სათანადო აღიარების განცდა. პ-ის ზომიერი გრძნობა რ-იც გულისხმობს საკუთარი მიღწევების და შემოქმედების სათანადო დაფასებას — ნორმალურ გრძნობად ჩაითვლება და სუბ-ის ქარაქტეროლოგიურ ნიშან-თვისებას არ შეადგენს, ის ზოგად ად-ნური გრძნობაა. ამ შემთხვევაში ად-ნი თავის თავს სავსებით ფლობს, სხვებთან დამოკიდებულებაში ადაპტირებულ ქცევას ავლენს და მისი მოთხოვნილებები მის შესაძლებლობებთანაა შეფარდებული. მაგრამ ასეთი მოკრძალებული პ. ყველასათვის როდია დამახასიათებელი. ად-ნები მეტ-ნაკლებად არიან პ-ნი. ზედმეტად პატივმოყვარე ად-ნი ისწრაფვის პირველობისკენ, მაღალი შეფასებისკენ, რაც შეიძლება მისი დიდი მიღწევების სტიმული გახდეს და ამის დაკმაყოფილების ცდაში შეიძლება მან შემოქმედების დიდ სიმაღლეს მიაღწიოს, მაგრამ თუ პ. ინდივიდუალურად იმდენად დამახ. და წამყვანი ქარაქტეროლოგიური ნიშანია, რომ ად-ნი თავისი პიროვნების საყოველთაო და აბსოლუტურად ყველას მიერ აღიარებისადმი მისწრაფებითაა შეპყრობილი, მაშინ შეიძლება ეს სწრაფვა მანიაში გადაიზარდოს /იხ. მანია/, ავად-ური სახე მიიღოს. ასეთი პ-ის ადამიანმა შეიძლება თავისი მიზნის მისაღწევად ყველგვარი საშუალება მიზნით გაამართლოს და უღირსი საქციელიც კი ჩაიდინოს.

ფს-გიაში არსებობს ასეთი შეხედულებაც /ა. ადლერი, 1870–1931 /, რ-ის მიხედვითაც მომატებული პ. წარმოიშლება საკუთარი პიროვნების ნაკლებღირებულების განცდისაგან და მისი დაფარვის სურვილისაგან. თავისი ნაკლებღირებულების კომპენსაციის მიზნით სუბ. ცდილობს მიაღწიოს დიდ ძალაუფლებას, მოიხვეჭოს სახელი და ამით დაფაროს სხვისი და თავის წინაშე თავის შესაძლებლობათა უკმარობა / იხ. კომპენსაცია /.

პედაგოგიური ფსიქოლოგია — გამოყენებითი ფს-გიის ერთ-ერთი დარგი. მისი ძირითადი პრინციპების მიხედვით სწავლისა და აღზრდის მეცნ. დაყენება და ბ-ვებზე ზემოქმედების მეცნიერულად წარმართვა მხოლოდ ბ-ვის ფსიქო-ფიზ. განვითარების მეცნ. ცოდნაზე უნდა იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფუძნებული. ემყარება რა ბ-ვის ფს-გიის ცოდნას, იგი ექსპერ. შეისწავლის რ-რც სწავლის საკითხებს, ისე ყველაფერ იმას, რასაც ბ-ვის ასაკობრივი განვითარების პროცესში, თეორიული და | პრაქტიკულ-პედ. მნიშ. აქვს; ამიტომ მას, სხვანაირად, ექსპერ. პედ-ს უწოდებენ. პ. ფ-ის ინტერესთა სფეროში საკუთრივ პედაგ. პრაქტიკის საკითხების შესწავლა იმიტომ შედის, რომ პედ. პროცესს თავისი სპეციფიკურ-პრაქტიკული მხარეები აქვს და მათი გათვალისწინების გარეშე მეცნ-პედაგ. სისტემა ვერ აიგება. ამიტომ პ. ფ. მათზედაც ამახვილებს ყურადღებას.

პ. ფ. ჩაისახა მე-19 ს. მეორე ნახევარში. მთავარი წარმომადგენლები არიან ა. ფ. ლაზურსკი, ე. მოიმანი, ვ. ლაი, ე. შტერნი, ვ. შტერნი, ვ. პეტერსი, გ. კერშენშტეინერი, საქართველოში—დ. უზნაძე, რ-მაც 1912 წელს დაწერა „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი". ეს იყო ერთადერთი მეცნ. ფს-გიური და პედ-ური ნაშრომი იმ ხანებში საქართველოში. შემდეგ დ. უზნაძემ განავითარა და მაღალ დონეზე აიყვანა პ. ფს-გიის დარგი.

პედოფილია /ბერძ. pais — ბავშვი, philia — სიყვარული/ — ავადური, არანორმალური, სექსუალური სწრაფვა წინაპუბერტატული ასაკის /10—12 წ./ ბ-ვისადმი. ხშირია ჰკუასუსტებთან.

პერვერსია /ლათ. perversus — შებრუნებული, გაუკუღმართებული/ ყველა სახის გრძნობითი ანომალიების, განსაკუთრებით, სექსუალურ გრძნობათა გაუკუღმართების საერთო სახელწოდება. ასეთებია: ჰომოსექსუალობა, ნარცისიზმი, სატირიაზი, მაზოხიზმი, სადიზმი, ეროტომანია, პედოფილია და სხვა.

პერიოდული ამნეზია — იხ. ამნეზია.

პერსევერაცია /ლათ. persēvero —მედგრად დაცვა/ — იხ. აკვიატებული წარმოდგენა.

პერსონალიზმი — 1. იდეალისტურ-ფილოსოფიური მოძღვრება. პერსონას /პიროვნებას/ განიხილავს, რ—რც თავდაპირველ მოცემულობას, სუბსტანციას| და სამყაროს, რ-რც „პერსონათა იერარქიას". პ-ს შეხედულებით პერსონა /პიროვნება/ არ არის ცალკე ფს-კური და ცალკე ფიზ. ორგანიზაციათა ერთიანობა, არამედ თავიდანვე ფსიქო-ფიზ-რად ნეიტრალური, ერთიანი, მთლიანი, ცოცხალი და მიზნობრივად მოქმედი ორგანიზაციაა. /ვ. შტერნი/. უპირ. საგანს /Sache/.

გ. ლაიბნიცის აზრით, ყოველი ნამდვილი არსებობა /ჭეშმარიტება/ პერსონალისტურ ხასიათს ატარებს. 2. ეთიკაში პ. პერსონას /პიროვნებას/ ზნეობის უმაღლეს მიზნად აღიარებს / ი. კანტი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსონალისტური ფსიქოლოგია — მიმართულება ფსიქოლოგიაში, რ-ის შესწავლის საგანს ად-ნის პიროვნება წარმოადგენს. პ. ფ-ის, რ-რც მეცნ-ბის დამაარსებელია ფს-გი ვ. შტერნი, /1930/.

პერსონალური ტემპი — ად-ნის ტიპოლოგიის საკითხი, ითვალის-წინებს პიროვნების მოქმედების ტემპს, მოძრაობათა სიჩქარეს. პ. ტ. ად-ნის კონსტიტუციურ-ტიპოლოგიურ ნიშანს წარმოადგენს; ზოგი ად-ნი ჩქარა მოძრაობს, ზოგი-ნელა, ზოგი-საშუალო ტემპით; დაკავშირებულია ტემპერამენტთან. /იხ. პიროვნული განტოლება/.

პერსონიფიკაცია—ად-ნური, პიროვნული ნიშნების მიწერა იმისათვის, რაც პიროვნებას არ წარმოადგენს, მაგ., საგნისათვის, ან ცხოველისათვის. გაად-ნება, გრძნობა-გონება-ნებელობით დაჯილდოება იმისა, რაც ფს-კას, განცდის უნარს მოკლებულია, გვხვდება ზღაპრებში.

პერცეპტორი — აღქმის, პერცეფციის ორგანო /თვალი, ყური და სხვა/.

პერცეფცია /ლათ. perceptio მიღება, შეძენა, გაგება/ — „წარმოდგენის შემოსვლა შინაგანი | ხედვის ველში" /ვ. ვუნდტი/. პ. ივივე აღქმაა, მხოლოდ არა ნათელი და გარკვეული, არა აპერცეფცირებული, არამედ, რ-რც უბრალოდ მოცემული ხატი სადღაც ცნობიერების ველზე.

პერციპიენტი /ლათ. percipere— მიღება/ —ტელეპათიაში ინფორმაციის მიმღები პირი, აგენტი.

პესიმიზმი /ლათ. pessimus— ძალიან ცუდი/ —დაწეული სულიერი განწყობილების საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულება, რ-ის თანახმადაც სამყაარო წარმოდგენილია ყოველმხრივ ცუდ ყოფიერებად, არსებობა— უღირებულოდ, ად-ნი — ბუნებით ნაკლოვან არსებად, სიცოცხლე— ტანჯვად და წამებად, ბედნიერება კი—ილუზიად. პესიმისტები ცდილობდნენ აღერიცხათ მეტყველებაში არსებული უსიამოვნო და სასიამოვნო განცდათა აღმნიშვნელი სიტყვები და ამტკიცებდნენ, რომ უსიამოვნო განცდის აღმნიშვნელი სიტყვები აღემატება სასიამოვნო განცდის აღმნიშვნელს და ეს, მათი აზრით, იმით აიხსნება, რომ სიცოცხლეში ტანჯვა, უსიამოვნება ფაქტიურადაც ჭარბობს ბედნიერებას და სიამოვნებას. პესიმისტების აზრით, ყოფიერების ასეთი დისჰარმონიულობა გარდუვალია, შეუცვლელია. პ-ის მთავარ წარმომადგენლებად ა. შოპენჰაუერი /1788—1860/, | და ე. ჰარტმანი /1842—1906/ ითვლებიან.

პ. დაწეული /დეპრესიული/ სულიერი განწყობილების საფუძველზე წარმოშობილი სუბ-ური თვალსაზრისია და არ წარმოადგენს მეცნ-ულ-ფილოს-ურ კონცეფციას. საპირ. ოპტიმიზმი /იხ./.

პიკნიკური ტიპი —იხ. სხეულის აგებულების ტიპები.

პირდაპირი თვითდაკვირვების მეთოდი— იხ. არაპირდაპირი თვითდაკვირვების მეთოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდაპირი მხედველობა — იხ. არაპირდაპირი მხედველობა.

პირველი სასიგნალო სისტემა— იმ ფიზ. გამღიზიანებლების სისტემა /მხედველობის, სმენის, შეხებისა და სხვ./, რ-იც უპირობო გამღიზიანებლებთან ერთდროულად მოქმედების შემდეგ თვითონ იქცევიან ე. წ. „პირობითი რეფლექსების" გამომწვევ. შედეგად, მაგ., ასეთია ჰამასთან შეუღლებული ზარის ხმა, რ-იც ამ შეუღლების შედეგად უკვე თვითონ იქცევა ნერწყვის გამოყოფის სიგნალად მაშინაც, როცა ცხოველს საჭმელი არ ეძლევა. პ. ს. ს. მოცემულია რ-რც მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია-სიგნალი, საერთო ად-ნისა და ცხოველისათვის, მაგრამ ად-ნთან იგი თვისობრივად სხვაა, ვინაიდან ად-ანი სოც. პირობებშია ჩართული. პ. ს. ს-ის ბაზაზე წარმოიშობა ად-ნისთვის სპეციფიკური „მეორე სასიგნალო სისტემა". ტერ. პ. ს. ს. შემოტანილია მეცნიერებაში რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის მიერ.

პირველი სასკოლო ასაკი /7—12 წ.წ./ — დ. უზნაძის მიხედვით — **ფიზ. განვითარება:** დამახ. სიმაღლის ზრდის ნელი ტემპი, წონის მეტი ენერგიით ზრდა, კუნთოვანი და ძვლოვანი სისტემის გამაგრება. **ფსიქური განვითარება:** ამ პერიოდში ბ-ვის ქცევის დომინანტური ფორმა ს წ ა ვ ლ ა ა, რ-იც სასკოლო ასაკში მეცნიერული აზროვნების განვითარების, მაშასადამე, ცნებათა შემუშავების მთავარი პირობაა. ბ-ვი ამ დროს თვითონაც მზადაა სასკოლო სწავლისათვის. ის ცნობისმოყვარეა, ობიექტური სამყაროს საგნობრივი შინაარსის წვდომას ესწრაფვის, დაინტერესებულია ამ სინამდვილის ფენომენოლოგიური შინაარსით. ბ-ვის ეს შემეცნებითი აქტიურ-ინტელექტუალური ინტერესი საფუძვლად ედება ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების განვითარებას. შემეცნებითი აქტიურობა შესაფერისად განსაზღვრავს ყველა სხვა ფს-კური ფუნქციის განვითარებას. იწყება **დაკვირვების უნარის** განვითარება. ბ-ვი გამოყოფს ობიექტისათვის დამახ. ნიშნებს, ახდენს ანალიზს, რ-იც ახლა მას შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს. **მეხსიერება:** სწავლასთან არსებითადაა დაკავშირებული; სწავლის შედეგად იგი სტრუქტურულად სრულდება და შინაარსეულად მდიდრდება. გარდა სწავლისა ამ პერიოდში ბ-ვისათვის დამახ. ქცევის სხვა ფორმებიც: თამაში, სპორტი, გართობა, ესთეტიკური ტკბობა, მხატვრული შემოქმედება და სხვა.

თამაშსა და სპორტულ ქცევებს ის მნიშვ. აქვთ, რომ ისინი ხელს უწყობენ ბ-ვის მოტორიკისა და, საერთოდ, ფიზ. ორგანიზმის წვრთნა-განვითარებას. მაგრამ მათი მნიშვ. კიდევ უფრო შორსმწვდომია; ისინი ხელს უწყობენ ნებელობის განვითარებასაც.

აღნიშნულ ასაკში ბ-ვის დამახ. ქცევა **გართობაც** არის. გართობის შინაარსს თამაშისა და სპორტის გვერდით შეადგენს ლიტერატურული ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებების კითხვა, კინო, თეატრი, მუსიკა და სხვა. ბ-ვის დროის „ბიუჯეტში". მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

პ. ს. ასაკისათვის ნამდვილი ესთეტიკური ტკბობა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, დამახ. არ არის. ლიტერატურული ნაწარმოების კითხვას არა ესთეტიკური, არამედ, უფრო ხშირად, ინტელექტუალური ინტერესი განსაზღვრავს.

მხატვრული შემოქმედება: განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება შინაგანი განცდების გამოსახვის, მათი ობიექტივაციის ტენდენცია, პ. ს. ასაკის ბოლოს **მეტყველებითი შემოქმედება** თავს იჩენს წერილობით და ზეპირ თხზულებებში. აქ ბ-ვი ცდილობს ადეკვატურ სიტყვიერ ფორმაში გამოხატოს: რაიმე ფაქტისადმი თავისი დამოკიდებულება. **ძერწვა და ხატვა:** ბ-ვი ცდილობს ასახოს რეალური სამყარო ისე, რ-რც იგი ობიექტურად არის მოცემული. პ. ს. ა-ის ბოლოს ხატვასა და ძერწვას ბ-ები უკვე იშვიათად მიმართავენ, მხოლოდ საგანგებო ნიჭით დაჯილდოებულნი განაგრძობენ ქცევის ამ ფორმაში შემოქმედებითი აქტივობას.

პირობითი გამღიზიანებელი — ეწოდება ისეთ გამღიზიანებელს, რ-აც უპირობო რეფლექსთან /მაგ., კვების, ან ხელ-ფეხის მოხრის/ არავითარი კავშირი არ აქვს, მაგრამ თუ ასეთ გამღიზიანებელს /ზარის ხმას, სასტვენს, განათებას და სხვ./ უპირობო რეფლექსთან ერთად ვამოქმედებთ, მასთან შევაუღლებთ, მაშინ იგი თვითონ იქცევა ამ უპირობო რეფლექსის გამომწვევ სიგნალად. /იხ. პირობითი რეფლექსი, იხ. უპირობო რეფლექსი/.

პირობითი რეფლექსი —წარმოადგენს ისეთ რეაქციას, რ-აც ორგანიზმი პირადი ცხოვრების პროცესში იძენს. იგი დამახ. მოცემული სახეობის მხოლოდ იმ ინდივიდისათვის, რ-აც იგი შეუმუშავდა, პ. რ. შეძენილია და მემკვიდრეობით არ გადადის. ყოველი პ. რ. დროთა ვითარებაში, სათანადო პირობების უქონლობის გამო, შეიძლება ჩაქრეს, შეკავდეს, მოიხსნას, მაშინ, როცა ყოველი უპირობო რეფლექსი ცხოველისათვის მუდმივია. პ. რ. აღმოაჩინა და შეისწავლა რუსმა მეცნიერმა ი. პავლოვმა. პ. რ. მუშავდება უპირობო რეფლექსის ბაზაზე. მაგ. როცა ცხოველს საჭმელს ვაძლევთ, მაშინ საპასუხოდ მისი სანერწყვე ჯირკვალი ნერწყვს გამოყოფს; ამ შემთხვევაში საჭმელი უპირობო გამღიზიანებელია, ნერწყვის გამოყოფა კი უპირობო რეფლექსი. მაგრამ შეიძლება ცხოველს ხელოვნურად შევუქმნათ ისეთი პირობები, როცა ინდიფერენტული ე. ი. პირობითი გამღიზიანებლის საპასუხოდ ცხოველი იძლევა ნერწყვის გამოყოფის რეფლექსს. მაგ., ვაჭმევთ ცხოველს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დროს ვრეკავთ ზარს. ამ პროცესის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ, როცა ცხოველს მარტო ზარის ხმას ვასმენინებთ, მაგრამ საჭმელს არ ვაძლევთ, იგი მაინც იძლევა ნერწყვის გამოყოფის რეფლექსს. ეს იმას ნიშნავს, რომ პირობით გამღიზიანებელზე —ზარის ხმაზე — ცხოველს შეუმუშავდა ნერწყვის გამოყოფის რეფლექსი , რ—აც, ჩვეულებრივ, კვების უპირობო გამღიზიანებელი იწვევს. პირობითი გამღიზიანებელი — ზარის ხმა — ცვლის უპირობო გამღიზიანებელს /საკვებს/. ასეთ რეფლექსს ი. პავლოვმა პირობითი რეფლექსი უწოდა.

პ. რ-ის შემუშავებისათვის საჭიროა თავის ტვინის ქერქში **დროებითი კავშირის დამყარება** პირობითი გამღიზიანებლის მიმღებ ცენტრსა და უპირობო გამღიზიანებლის ცენტრს შორის. ამ კავშირს **„პირობითი რეფლექსის რკალი"** ეწოდება. პირობით და უპირობო გამღიზიანებელთა მიმღებ ცენტრებს შორის გაკაფულ კავშირს **„დროებითი კავშირი"** ეწოდება.

პიროვნება — /ლათ. person, გერმ. Person, Personlichkeit , ინგ. personality/ - მოქმედი ადამიანი, სუბ. რ-რც მთლიანი და ერთიანი ფსიქ-ფიზ. ორგანიზაცია თავისი სპეციფიკურ-ინდივიდუალური ფორმით, ნიშან-თვისებათა ერთობლიობით, დისპოზიციებით, განწყობებით, სიცოცხლის პოზიციით, სოც. მიმართებებით და შემოქმედებით აქტივობით. მოცემულ განმარტებაში პ. ორი სახითაა წარმოდგენილი: 1. რ-რც სპეციფიკურ-ინდივიდუალური ფორმის **მთლიან-სტატიკური ფსიქო-ფიზ.** ორგანიზაცია. 2. როგორც **დინამიკური** /მოქმედი/ **და სოც. მიმართულებებში ჩართული ფსიქო-ფიზ.** ორგანიზაცია.

პ-ის პრობლემა დღეს ორივე დასახელებული მიმართულებით დაისმის. 1. **პ-ის სპეციფიკურ—ინდივიდუალური სტატიკური ორგანიზაცია** გულისხმობს სუბიექტის იმ თავისებურ პიროვნულ სტრუქტურას, **რ-იც მხოლოდ მის პირად, ინდივიდუალურ კუთვნილებას შეადგენს და ყველა სხვა სუბ-საგან განასხვავებს.** ინდივიდუალური სტრუქტურა — პ-ის სტატიკური მდგომარეობა — სუბ-ის ნიშან-თვისებათა ერთობლიობას წარმოადგენს, რ-იც ძირითადად ერთი და იგივე რჩება მთელი სიცოცხლის მანძილზე. სტატიკურ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა ად-ნის ხ ა ს ი ა თ ა დ ითვლება და ამიტომ პ-ის ცნებას ხშირად ხასიათის ცნება ფარავს. ასეთ შემთხვევაში, ცნება პ. და ხასიათი იდენტური მნიშვნელობის მქონე ცნებებად მიიჩნევა /ლ. კლაგესი/. მაგრამ ეს დებულება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, რადგან პ-ის ცნება მეტს ნიშნავს, ვიდრე ხასიათის ცნება, იგი შეიცავს კიდევ დისპოზიცია-ტენდენციების ერთობლიობას. დ ი ს პ ო ზ ი ც ი ი ს ცნება, რ-რც პ-ის ყველა მიღწევათა საფუძველი /იხ. დისპოზიცია, ტენდენცია/ ემყარება ად-ნის ფენობრივი აგებულების იდეას, ად-ნის აგებას /მოდელირებას/

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღრმითი განზომილებით, ამ კონცეფციის მიხედვით ად-ნის ფს-კური ორგანიზაცია, ერთიმეორის გვერდით მდებარე ფს-კურ მოვლენათა ერთობლიობად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ- პ-ის ვერტიკალური განზომილების სხვადასხვა სფეროებში ჩართულ მოვლენათა სტრუქტურად. მაგ., ფ. ლერშის აზრით, პ-ების ქვედა, ვიტალურ ფენაში, ენდოთიმურ საფუძველში, /იხ/ იბადება სიცოცხლის გრძნობები, ლტოლვანი და აფექტები. სიცოცხლის ზედა ფენა, „პიროვნული ზედნაშენი" /იხ./ ცნობიერების და ნებელობის სფეროა. ფ. ლერშის კონცეფციით, ეს ფენები–ენდოთიმური საფუძველი და პიროვნული ზედნაშენი–ურთიერთისადმი კონფლიქტურად არ არის მიმართული, ისინი ერთიანი სტრუქტურული მთლიანობაა. ლ. კლაგესის შეხედულებით, პ-ის ქვედა ფენა „სული", ზედა ფენა „გონთან" კონფლიქტურადაა დაპირისპირებული. „არაცნობიერი ფსიქიკურის" თეორია /ზ. ფროიდი/ პ-ს აგრეთვე სიღრმითი განზომილების პლანში განიხილავს და ქვედა ფენაში არსებულ არაცნობიერ ფს-კურს ცნობიერ „მე"-სთან კონფლიქტურ მიმართებაში აყენებს.

გარდა „ხასიათისა" და ფენობრივი აგებულების იდეისა, თანამედროვე ფს-გია, პ-ის კვლევის მიზნით, იყენებს კიდევ ცნებებს: ტიპი, კონსტიტუცია, სტრუქტურა, ორგანიზაცია /იხ./.

დ. უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად, პ-ის სტატიკური ორგანიზაცია წარმოადგენს „განწყობის" არაცნობიერი ფს-კურის /იმპულსური დონის/ და ცნობიერი ფს-კურის /ობიექტივაციის დონის/ ერთიანობას. დ. უზნაძის განწყობა, რ-რც არაცნობიერი, არც შინაარსეულად და არც ფუნქციურად არ ემსგავსება ფროიდისეულად გაგებულ არაცნობიერს: იგი ცნობიერ დონესთან ჰარმონიულად შერწყმული, პ-ის გარემოსთან **მიზანშეწონილი** დამოკიდებულების განმსაზღვრელი საფუძველია.

2. **პ-ის დინამიკური ორგანიზაცია** – ხაზს უსვამს პ-ის ცვალებადობას განვითარების აზრით. პ-ის განვითარება ხანგრძლივი პროცესია, მოიცავს ზრდადამთავრებული ადამიანის სიცოცხლის მთელ შემოქმედებით პერიოდს. პ. ვითარდება რ-რც მოქმედი სუბ. გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, იგი მუდამ აფართოებს თავის გამოცდილებას, იძენს ახალ ცოდნა-ჩვევებს, ამუშავებს შეხედულებებს, ამყარებს სოც. გარემოსთან მრავალ კავშირს, ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობას – ობიექტივებს თავის სასიცოცხლო ენერგიას, ძალებს, „ფუნქციურ ტენდენციებს", რაც თავის მხრივ, ერთვის უკვე არსებულ პიროვნულ შინაარსს და ამდიდრებს პ-ის შინაგან სამყაროს. ყოველივე ამის შედეგად თვით პ., ერთი მხრივ, უფრო დიფერენცირებული, ხოლო მეორე მხრივ, უფრო ინტეგრირებული ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სიტყვა „პიროვნების“ |გენეზისისთვის: ქართული სიტყვა პ. ნაწარმოებია ფუძე-სიტყვა პ ი რ-იდან. სიტყვა პირ-ი კაცის, მოქმედი სუბ-ის აღმნიშვნელ სიტყვად დღესაც იხმარება. ამ გაგებით იგი გამოყენებული იყო ძველადაც, მაგ., „ვეფხისტყაოსანში“. საბა-სულ-ხან ორბელიანი განმარტავს სიტყვა „პირ“-ს, რ-რც ინდივიდუალურად თავისებურს, მთლიანს და სპეციფიკურ ადამიანურის მნიშვნელობით, ე. ი. - „პიროვნების“ მნიშვ-ით.

თანამედროვე ქართულში სიტყვა პირ-ფუძით პიროვნების აღმნიშვნელი 112 სიტყვაა აღრიცხული. მათ შინაარსში პ. წარმოდგენილია ემოციის, ზნეობის, ხასიათის და სოც. რეპუტაციის მნიშვნელობით.[1]

პიროვნული განტოლება — ად-ნები ურთიერთისაგან განსხვავდებიან რეაქციის სისწრაფით. არიან სწრაფი ან ნელი რეაქციის ად-ნები. რეაქციის სისწრაფე ყოველი ად-ნისათვის კონსტანტური ნიშანია. პირველად ეს ფაქტი გრინვიჩის ობსერვატორიის დირექტორმა ბესელმა შეამჩნია: მისი ასისტენტი, რ-იც ვარსკვლავთა მოძრაობას აკვირდებოდა, მერიდიანზე ვარსკვლავის გადასვლას ყოველთვის მოგვიანებით აღნიშნავდა, რის გამოც იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, რ-რც უვარგისი მომუშავე. შემდეგ გამოირკვა, რომ ყოველ ად-ნში რეაქციის სისწრაფე ინდივიდუალურად თავისებურია და კონსტანტური, რომ ყოველი ად-ნისათვის დამახასიათებელია რეაქციის პირადი, „პერსონალური ტემპი“. ამიტომ საჭირო გახდა ასტრონომიულ დაკვირვებებში თითოეული დამკვირვებლისათვის „პიროვნული განტოლების“ ფორმულის შემუშავება, რ-იც კორექციას შეიტანდა მის დაკვირვებებში. /იხ. კომპლიკაცია/.

პიროვნული ზედნაშენი /გერმ. Persönlicher Oberbau ფ. ლერშის მიხედვით, აზროვნების და ნებელობის სფერო; ნოეტური, კოგნიციური მოვლენების სფეროს აღმნიშვნელი ცნებაა. სიღრმითი ფს-გიის თვალსაზრისით პ. ზ. არის პიროვნების სიღრმით აგებულებაში ყველაზე ზედა ფენა, საპირ. „ენდოთიმური საფუძველი“ /იხ./.

პირომანია /ბერძ. pyr.-ცეცხლი/ ცეცხლის ყურების ან რაიმესთვის ცეცხლის წაკიდების /ხანძრის გაჩენის/ სურვილი, ზოგ ადამიანს პერიოდულად უჩნდება ეს სურვილი, ქცევას რაიმე პრაქტიკული მიზანი არა აქვს /შურისძიება, ბოროტმოქმედება/, არამედ სუბ. შეპყრობილია თვით მოქმედების, ფუნქციობის დაუძლეველი მისწრაფებით.

პიროფობია — ცეცხლისადმი ავადმყოფური შიში.

---

1. ნაბერულავას გამოკვლევა „პიროვნების თვისებები და ენა“, 1976.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლასტიკურობა განწყობის/ბერძ. plastikē /საპირისპიროა განწყობის სიტლანქე /იხ. განწყობის ინდივიდუალურ-დიფერენციული ხასიათი/.

|პლატო- ტელბოტის კანონი – ცნობილია, რომ მხედველობითი შეგრძნება გაღიზიანების შეწყვეტასთან ერთად არ წყდება. ის ცოტა ხნით უგამღიზიანებლოდ აგრძელებს არსებობას. თუ ასეთ უგამღიზიანებლო შეგრძნებას მიუსწრო ახალმა გაღიზიანებამ, ის შეგრძნების ამ არსებულ კვალს გააძლიერებს და შეიქმნება მხედველობის უწყვეტობის ილუზია. მხედველობის ეს თვისება უდევს საფუძველად მოძრაობის უწყვეტობის ოპტიკურ შთაბეჭდილებას კინომატოგრაფიაში. მხედველობის ამ თვისების საფუძველზეა აგებული, აგრეთვე, ტრიალა დისკოზე ფერთა სინათლის განაწილება. პ. ტ. კ. სწორედ ტრიალა დისკოზე ფერთა სინათლის განაწილებაً ეხება: მაგ., თუ ტრიალა დისკოს|ა თეთრ ფონზე ერთი შავი სექტორი მოვათავსეთ და დისკო ვატრიალეთ, დავინახავთ მთელ დისკოზე გავრცელებულ თეთრ და შავ ფერევის ნარევ რუხ ფერს. თუ დისკოზე რამდენიმე სხვადასხვა ფერის სექტორია, მაშინ ნარევ ფერთა ინტენსიურობა უდრის ყველა სექტორის ობიექტური სინათლის ინტენსიურობას, განფენილს მთელ დისკოზე.

პლეტისმოგრაფი – ხელსაწყო, რ-ის საშუალებითაც იკვლევენ სხეულის რ-იმე ნაწილის, /მაგ., ხელის/ მოცულობის ცვლილებას სისხლის მიმოქცევის ცვლილებასთან დაკავშირებით, რ-აც ადგილი აქვს ამა თუ იმ ფს-კური მდგომარეობის, კერძოდ, ემოციის შემთხვევაში.

პლურალიზმი – გრძნობებში /ლათ. pluralis – მრავალი, მრავლობითი რიცხვი/ – მიმდინარეობა გრძნობის ფს-გიაში, იცავს თვისებრივად განსხვავებულ მრავალ ელემენტარულ გრძნობათა არსებობას. პ-ის მიმ-დევართა აზრით, სინგულარიზმის საპირ-ოდ არსებობს მრავალი სახის სასიამოვნო და ასევე მრავალი სახის უსიამოვნო გრძნობა /ვ. ვუნდტი, დ. უზნაძე/. ყოველი მათგანი მეორეზე დაუყვანადი, დამოუკიდებელი განცდაა, ერთი გრძნობა არ არის მეორე, საწინააღმდეგო გრძნობის უარყოფა, მაგ., სიამოვნება არ არის უსიამოვნების უარყოფა, არამედ თავისი საკუთარი შინაარსის მქონე, პოზიტიური განცდაა. პ-ის შეხედულებით, მუსიკის მოსმენით აღძრული სიამოვნება არაფრით ჰგავს საკმლით მიღებულ სიამოვნებას /სინგულარიზმის მტკიცებით კი სიამოვნების გრძნობა ყველა ერთნაირია, რითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული/. ვუნდტის შეხედულებით, სიამოვნებისა და უსიამოვნების ელემენტარულ გრძნობათა გვერდით კიდევ არსებობს გრძნობის სხვა ელემენტარული კატეგორია, ასეთია მაგ., აგზნება– დამშვიდება, დაძაბვა – შვება. თანამედროვე ფს-გია ცნობს გრძნობის ორ ძირითად განზომილებას – სიამოვნება-უსიამოვნებას და აგზნება-დამშვიდებას. პ-ის საწინააღმდეგო მიმდინარეობაა სინგულარიზმი. /იხ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პნევმოგრაფი /ბერძ. pneuma – სუნთქვა/ – სუნთქვის ჩამწერი ხელსაწყო. იყენებენ ემოციური განცდით გამოწვეული სუნთქვის გასაზომად.

პოგენდორფის ილუზია – ორი ან რამდენიმე პარალელური ხაზით გადაკვეთილი პირდაპირი ხაზის გვერდები ურთიერთიდან განზე გადახრილად გვეჩვენება, და არა ერთი მეორის გაგრძელებად (იხ. ნახ. № 12)

ნახ. 12



პოგენდორფის ილუზია

პოზიტივიზმი /ლათ. positivus – დადებითი/–მიმართულება ფილოსოფიაში, რ-ის თანახმად, ყოველი მეცნ-რული კვლევა-ძიებისა და შემეცნების წარმატებული არის გამოცდილება, ე. ი. ის, რაც ად-ნს შეგრძნებითა და გამოცდილებით ეძლევა, ხოლო, რაც ფაქტი არაა და გრძნობადი სახით არ გვეძლევა, ის მეტაფიზიკურია და მეცნ-ის საგანი არ შეიძლება იყოს. პ-ის მამამთავრად ო. კონტი /1798–1857/ ითვლება. პ-მა მე-19 – მე-20 ს-ში ემპირიზმის სახით ძლიერი გავლენა მოახდინა ფს-გიის განვითარებაზე: პოზიტიური კონცეფციის გავლენით განვითარდა ფსიქოფიზიკა, ბიჰევიორიზმი, ობიექტური ფს-გია, და ემპირიული ფს-გია. /იხ/.

პოზიტიური აბსტრაქცია – იხ. აბსტრაქცია.

პოზიტიური კვალი – იხ. მხედველობითი კვალი.

პოზოდინიკი – ი. ბანზენის ქარაქტეროლოგიაში ნიშნავს ტკივილის ამტანიანობის თვისებას. ორი სახისაა: ერთს ახასიათებს ტკივილის ამტანობა, /ასეთია, მაგ., ევკოლური ტიპის ად-ნი, ის უძლებს დიდ სულიერ თუ ფიზ. ტკივილს/, მეორე სახე, პირიქით, ვერ უძლებს ტკივილს, ვერ იტანს ვერავითარ ტანჯვას /მაგ., დისკოლური ტიპის ად-ნი /იხ. ევკოლია, დისკოლია/.

პორიომანია /ბერძ. poreia – მოგზაურობა/ – მიდრეკილება მოგზაურობისადმი. ად-ნს უჩნდება დაუძლეველი მისწრაფება იმოგზაუროს, წავიდეს შორს, მოშორდეს აქაურობას. მოგზაურობა არ არის მიზანდასახული, იგი უმიზნოა, ხეტიალის სახისა, შეიმჩნევა ბ-ვობის ასაკშიც, განსაკუთრებით ფსიქოპათ ბ-ვებში. პ-ს ზოგჯერ ეპილეფსიის ეკვივალენტად მიიჩნევენ. /იხ. დრომომანია/.

პოსტჰიპნოზური ამნეზია – ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ პაციენტის მიერ დავიწყება ყოველივე იმისა, რაც ჰიპნოზში მოხდა. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შესახებ მითითებას პაციენტს აძლევს ჰიპნოტიზიორი ჰიპნოზიდან გამოღვიძების წინ: ის შთააგონებს მას, რომ დაივიწყოს ყველაფერი, რაც ნახა ან განიცადა ჰიპნოზში.

პოსტჰიპნოზური ფენომენი — იგივეა, რაც პოსტჰიპნოზური ამნეზია და პოსტჰიპნოზური შთაგონება.

პოსტჰიპნოზური შთაგონება —ჰიპნოზურ მდგომარეობაში მიღებული შთაგონება, რ-იც გრძელდება ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგაც. მაგ., ჰიპნოტიზიორი აძლევს მედიუმს დავალებას, რ-იც მან ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ უნდა შეასრულოს. მედიუმი ამ შთაგონების ქვეშ, უკვე ფხიზელ მდგომარეობაში ზუსტად ასრულებს ჰიპნოზში მიღებულ დავალებას, მაგრამ თვითონ არა აქვს გაცნობიერებული, თუ რატომ აკეთებს ამას. /იხ. ჰიპნოზი/.

პოტენცია /ლათ. **potentia** — ძალა/ — შემძლეობა, შესაძლებლობის მარაგი, ნიჭი, ფს-კური მოქმედების საფუძვლად არსებული თანდაყოლილი ჩანასახები რ-რც გამოუვლინებელი, ფარული შესაძლებლობა, ანუ გარკვეული მოქმედების შესრულების უნარი.

პრაგმატიზმი /ბერძ. **pragma** — მოქმედება/ — ფილოს. მიმდინარეობა, წარმოიშვა და განვითარდა ამერიკაში. ამ მიმართულების თანახმად მოქმედების მიზანშეწონილობა და სისწორე და მისი შესატყვისობა გამოცდილებასთან წარმოადგენს ჭეშმარიტების კრიტერიუმს. ად-ნის შემეცნება, აზროვნება, ცნობიერება განიხილება რ-რც გარემოსთან შეგუების საშუალება, იარაღი. აშშ -ში დღეს პ-ის ყველაზე გავრცელებული ფორმა ცნობილია ინსტრუმენტალიზმის სახელწოდებით /ჯ. დიუი/, რ-ის თანახმად ცნობიერება ქცევის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

პრალოგიკური აზროვნება — იხ. მაგიური აზროვნება.

პრაქტიკული აზროვნება —იხ. თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება.

პრეგენიტალური ფაზა — ზ. ფროიდის თეორიით: ბ-ვის სექსუალურ განვითარებაში გენიტალური ფაზის წინა ფაზა; იწყება დაბადებიდან და გრძელდება 3 წლის ბოლომდე, / მოიცავს ორალურ და ანალურ ფაზებს, იხ./.

პრეგნანტობის კანონი — იხ. გეშტალტის პრეგნანტობის კანონი.

პრეზენტობის დრო— იხ. ფსიქიკური პრეზენტობის დრო.

პრეკოგნიცია /ლათ. **prae** — წინ, **cognitio** — შემეცნება, ცოდნა/ — პარაფს-გიაში ნათელხედვის ერთ-ერთი სახე, მომავლის წინასწარი გამოცნობა, წინასწარმეტყველება. თუ რის საფუძველზე აღმოცენდება მომავლის ეს წინასწარი ცოდნა, სუბ-ს არა აქვს გაცნობიერებული. ის არ ეყრდნობა ზემოქმედებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას, არც წარსულის გამოცდილებას. პარაფს-გთა შეხედულებით, ასეთი ცოდნა სუბ-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალო ხედვით, შთაგონებით ეძლევა. სინონიმია ნათელხედვა.

პრემორბიდული პიროვნება — იგულისხმება პიროვნების ფსიქო-ფიზ. ჰაბიტუსი ფს-კური დაავადების წინა პერიოდში. მაგ., შიზოფრენიით დაავადებულის პრემორბიდი იქნება შიზოიდური პიროვნული წყობა, ციკლოფრენიით დაავადებულისა —ციკლოიდური წყობა.

პრეპუბერტატული პერიოდი /ლათ. prubertas — დავაუკაცება/ — ბ—ვის განვითარებაში „პუბერტატული პერიოდი"—ს /12—17 წწ./ წინა პერიოდი; პირველი სასკოლო ასაკის ბოლო ორი წელი, /10—12 წწ./. სქესობრივი მომწიფების დასაწყისი.

პრიმარული მოვლენები /ლათ. prima — პირველი/ — ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ტერმინი ფსიქოანალიზში, გულისხმობს: „იგი" ფენის შესატყვის მოვლენებს თავისი თავდაპირველი სახით, მაღალ კორტიკალურ წარმოდგენებში გადასვლამდე. ასეთია, მაგ. ლტოლვები: კვების თავდაცვის /შიში, გაქცევა, ბრძოლა, დამალვა. /, სექსუალური გრძნობები და სხვა. ფროიდის მიხედვით პ. მ-ები ზრდადამთავრებულ ად-ში ვლინდება მხოლოდ სიზმარში, რ-რც წესი, „ზე-მე"-სა და „მე"-ს რედუქციის სახით. ინტელექტუალური გრძნობებისაგან განსხვავებით პ. მ. დაკავშირებულია დაბალ გრძნობებთან, ლტოლვებთან. ახას. აფექტური განცდები /იხ. „შეკუმშვა", „გადანაცვლება", „პროექცია"/.

პ. მ-ს საფუძველზე სიზმრის ცნობიერება აღწევს აღქმის შინაარსებს შორის იდენტობის დამყარებას. განსხვავდება „სეკუნდარული მოვლენებისაგან". ეს უკანასკნელი „ზე-მე"-ს მიერ არის აღიარებული და მიღებული /იხ. სეკუნდარული მოვლენები/.

პრიმიტიული ადამიანი /ლათ. primitivus — თავდაპირველი, პირველყოფილი, უმარტივესი/ —ად-ნი, რ-ის ფს-კური წყობა, მსოფლმხედველობა, აზროვნება, ზნე-ჩვეულებები, ქცევა არაციივილიზებულია და ემსგავსება განვითარების პირველყოფილ საფეხურზე მდგომი ად-ნის ფს-კას.

სიღრმითი ფს-გიის თვალსაზრისით /ლ. კლაგესი, ზ. ფროიდი, ფ. ლერში, ა. ადლერი და სხვა/, რაც უფრო დაბალია მოქმედი ფს-კური ფენა პიროვნების ვერტიკალურ განზომილებაში, მით უფრო პირველყოფილ გამოვლინებასთანაა იგი დაკავშირებული /დაბალ, ვიტალურ გრძნობებთან, აფექტებთან, ლტოლვებთან, სიზმრებთან, ცრუმორწმუნეობასთან/. ამ ფენით მოქმედი ად-ნი პ. ად—ია. რაც უფრო მაღალია და ახალია მოქმედი ფს-კური ფენა, ფს-კის ვერტიკალურ განზომილებაში, მით უფრო მაღალი, თანამედროვე და ცივილიზებულია ად-ნი, იგი ინტელექტუალური არსებაა, ნებისყოფით და მაღალი ღირებულების იდეით მოქმედი, რ-იც არ ემორჩილება ინსტინქტის კარნახს. ამ თვალსაზრისით, ყოველ ად-ნში შეიძლება პრიმიტიული ად-ნიც ცოცხლობდეს და მაღალიც. თავისი აზ -

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნებით და მსოფლმხედველობით პ. ა. 4–7 წლის ასაკის ბ-ვის მსგავსია. ამიტომ, ზოგი ფს-გი, ბ-ვობის ამ პერიოდს მაგიურ პერიოდს უწოდებს /იხ. მაგიური აზროვნება/.

პრიმიტიული აზროვნება–აზროვნების დაბალი ფორმა, დამახ. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხებისთვის. ლოგიკურ-ვერბალური, ცნებითი აზროვნებისაგან განსხვავებით, პ. ა. თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნებაა. პ. ა-ბის წარმოდგენები „კოლექტიური წარმოდგენებია"; ასეთი აზროვნება პრალოგიკურია /ლ. ლევი-ბრიული/. შესაფერისად ამისა პ. ა-ბის გამომხატველი მეტყველებაც კონკრეტულ საგნებს ასახავს, ზოგადის აღნიშვნა არ შეუძლია. ასეთი აზროვნების საფუძველზე აგებული | მსოფლმხედველობა მაგიურ-მისტიკურია. /იხ. თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება, მაგიური აზროვნება/.

პრობანდი /ლათ. probatio – გასინჯვა, შემოწმება/ –სუბ., რ-ლის შემოწმებაც ხდება.

პრობლემა /ბერძ. problēma/ – ახალი, უცნობი გაურკვეველი საკითხი ან სიტუაცია, რ-ის გაგება და ამოხსნა აზროვნებისა და შემეცნებითი პროცესების აქტუალიზაციას იწვევს. პ-ის გადაჭრა, დ. უზნაძის კონცეფციით, სათანადო განწყობის ბაზაზე წარმოქმნილი და ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე შემეცნებითი პროცესების მოქმედების შედეგად ხდება. /იხ. ობიექტივაცია/.

პრობლემური ყუთის მეთოდი – ზოოფს-გიაში –ცხოველის სწავლების უნარის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. კვლევის აპარატი შემუშავებულია ამერ. ფს-გების ე. თორნდაიკისა და წ. სკინერის მიერ. ყუთი წარმოადგენს გალიას, რ-ის კარი რაზით იკეტება. ცდა შემდეგში მდგომარეობს– მშიერი ცხოველი, მაგ., ძაღლი, დამწყვდეულია გალიაში, გალიის გარეთ ცხოველი ხედავს საჭმელს. მშიერი ცხოველი კედლებს აწყდება, უნდა გამოვიდეს გალიიდან. ამისათვის მრავალ მოძრაობას მიმართავს, მაგრამ, ამათგან მხოლოდ ერთია გამოსადეგი: თუ ცხოველი თათს, ან დრუნჩს გამოჭკრავს კარს, ის გაიღება. პირველად ცხოველი ამ მოძრაობას შემთხვევით მიაგნებს. ამ ცდის მრავალჯერ გამეორების შედეგად ცხოველი უკვე აღარ „ცდება". გალიაში მოთავსებული, იგი მყისვე გარბის კარებისკენ, თათით ან დრუნჩით რაზას ძირს სწევს, კარები იღება და ცხოველი საჭმელს ეუფლება. ე. ი. ცხოველს შეუმუშავდება გარკვეული მოქმედების ჩვევა, რ-ის ფიზიოლ. მექანიზმი იგივეა, რაც ი. პავლოვის პირობითი რეფლექსისა. ანალოგიურია ცხოველის ქცევა, როცა ის გარეთაა, და გალიის კარი გარედანაა გადარაზული, ხოლო საჭმელი გალიის შიგნითაა მოთავსებული. არსებობს პრობლემური ყუთის მრავალი ვარიაცია. ყველა ისინი ემსახურება ჩვევის შემუშავების შესწავლას ცხოველთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესული დასწავლა— იხ. „მთლიანად დასწავლის კანონი".

პროდუქტიული ფანტაზია — იხ. ფანტაზია,

პროექცია /ლათ. **projectio** — წინ გადასროლა/ — 1. სუბ-ის მიერ-თავისი განცდების, ცნობიერების შინაარსების / შეგრძნების, აღქმის, აზრების, ემოციის/ გადატანა სხვა ად-ნზე, საგანზე ან ცხოველზე. მაგ., ცხოველს იგი აღიქვამს, რ-რც ბოროტს, კეთილს და სხვ. ამ შემთხვევაში სუბ. თავისი განცდების ობიექტივაციას, გარეთ გატანას ახდენს, თავის განცდებს ცხოველს მიაკუთვნებს. 2. ფროიდის ფსიქოანალიზში დაცვითი მექანიზმის ერთ-ერთი სახეა, ნიშნავს განდევნილი, არაცნობიერად ქცეული განცდის სხვა სუბ-ზე გადატანას, არასასურველი უსიამოვნო განცდის გამომწვევი მიზეზის სხვისთვის მიწერას ამის შედეგად თვითონ სუბ. თავისუფლდება შემაწუხებელი არაცნობიერი განცდებისაგან, მაგრამ მას არსებითად ეცვლება დამოკიდებულება იმ სუბ-ისადმი, რომელზედაც მან ეს განცდები გადაიტანა.

პროექციული მეთოდი — პიროვნების კვლევის მეთოდი ტესტური ექსპ-ით. ცპ-ს აწოდებენ ოპტიკური შინაარსის მასალას: სურათებს, ფერებს, ფიგურებს, ღაქებს და სთხოვენ ჩვენებას, თუ რას აგონებს მას ესა თუ ის მასალა. თვით მასალა, რ-აც ცპ-ს აწვდიან, სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ცპ-ს თავის ჩვენებებში თავისი განცდები — ემოციები, აფექტები, რისხვა, სიყვარული, სურვილები და სხვ. გადააქვს მიწოდებულ მასალაზე, ახდენს მათ პროექციას, რითაც ამეღავნებს თავის არაცნობიერ /დაფარულ/ ფს-კური პოზიციას. მიღებული მასალის ფს-გიურმა ანალიზმა უნდა გამოარკვიოს, აღმოაჩინოს ცპ-ის ეს დაფარული პიროვნული თავისებურებანი. პ. მ-ს დიაგნოსტიკური მნიშვ. აქვს. /იხ- თემატიკური აპერცეფციის ტესტი , რორშახის ტესტი/.

პროპრიორეცეპტორი — იხ. რეცეპტორი.

პროპრიუმი /ლათ. **proprius, um** — საკუთარი, პირადი/ —გ. ოლპორტის მიერ შემოტანილი ტერმინი, აღნიშნავს პიროვნების ცენტრალურ სფეროს — „მე"-ს, თავის თავს რ-რც შემმეცნებელს, რ-იც საკუთარ სახეს, რ-რც შემეცნების ობიექტს წარმოიდგენს. პ-ის ცნება შეიცავს საკუთარი სხეულის გრძნობას, საკუთარი იგივეობის, საკუთარი ღირსების, თავმოყვარეობის, საკუთარი თავის განცდას.

პტი-მალი /ფრანგ. **Petit mal** / — ეპილეფსიის „მცირე გულყრა", ცნობიერების გამოთიშვა ხდება მოკლე ხნით /ერთი—ორი წამით /, /იხ. აბსანსი/.

პუბერტატული პერიოდი /ლათ. **pubertas** — დავაუკაცება, მოწიფულობა/ — ად-ნის განვითარებაში სქესობრივი მომწიფების პერიოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 –17 წლები ვაუებისათვის და 11 –16 წლები ქალებისათვის. /იხ. მეორე სასკოლო ასაკი, ყინიანობის ხანა, ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაცია./.

პუერილიზმი /ლათ. puerilitās – ბ-ვობა, ყრმობა/ – ფსიქიატრიაში ცნობიერების დარღვევის ერთ-ერთი სახე, ხშირად დაკავშირებულია ისტერიულ ფსიქოზთან. უწოდებენ აგრეთვე ფს-კურ ინფანტილიზმს. დამახ. გონებრივი ჩამორჩენა, /ახლო დგას ფსევდოდემენციასთან/. ბ-ვური ქცევა, ბ-ვური მეტყველება /ტტინ, ენის მოკიდებით ლაპარაკი/, „დედოფლობანას" თამაში, ცელქობა, ხტუნაობა, ემოციური ლაბილობა– უმნიშვნელო მიზეზით აღტაცება ან ტირილი, გარეგნული მხარე– ჩაცმულობა, ვარცხნილობა – ბ-ვის შესაფერისი.

პურკინიეს ფენომენი – ცნობილია, რომ ფერთა ურთიერთმიმართება სპექტრში ობიექტურ განათებაზეა დამოკიდებული მაგ., დღის სინათლეზე ყველაზე ნათელი ფერი ყვითელია, შემდეგ წითელი და მერე ღურჯი. მაგრამ, თუ განათებამ იკლო ფერთა აღნიშნული მიმართება შეიცვლება. მაგ., დაბინდებისას, როცა განათება მცირეა ყველაზე ნათელ ფერად მწვანე გვეჩვენება, ღურჯი კი წითელზე ნათელ ფერად გამოიყურება. ამ მოვლენას ყურადღება პირველად ჩეხმა ფიზიოლოგმა ი. **პურკინიემ** მიაქცია, და ამიტომ თვით მოვლენას | პურკინიეს ფენომენი ეწოდება.

პურპოზიტიზმი /ინგლ./ – მიმართულება ამერიკულ ბიჰევიორიზმში. წარმომადგენელია ე. ტოლმანი, რ-ს თანახმად წინააღმდეგ ბიჰევიორიზმის თავდაპირველი მიმდინარეობისა ქცევას მიზნისკენ მისწრაფება, მიღწევის შედეგის მოლოდინიც განსაზღვრავს.

ჟ

ჟესტი /ფრანგ. geste, ლათ. gestus - სხეულის მოძრაობა/ – სხეულის ნაწილების მოძრაობით ემოციური მდგომარეობის გამოხატვა /იხ. გამოხატველი მოძრაობები/.

ჟესტური მეტყველება – მეტყველება ხელის მოძრაობით ყრუ-მუნჯებთან ან პრიმიტიულ ადამიანებთან. ვ. ვუნდტის ვარაუდით, პირველად კომუნიკაციის საშუალება ჟ. მ. იყო /მიმიკა და პანტომიმიკა/; მისგან თანდათან განვითარდა ბგერითი მეტყველება.

ყინიანობის ხანა /გერმ. Trotzalter/ – შარლოტა ბიულერის მიერ შემოტანილი ტერ. აღნიშნავს: ბ-ვის განვითარებაში პერიოდს, როცა ქცევის დამახ. თავისებურება – ჯიუტობაა. /იხ. ჯიუტობა/. ყ. ხ. თავდაპირველად თავს იჩენს სამი წლის ასაკში და მას „პირველი ყინიანობის ხანას" უწოდებენ. ბ-ვს უჩნდება გარკვეული სურვილი, მოითხოვს მის და -

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაყოფილებას, არაფერს არ უწევს ანგარიშს, ურჩობს, ტირის. ეს პერიოდი ხანმოკლეა, გრძელდება 4 წლამდე. ფს-გიაში აღნიშნავენ აგრეთვე „მეორე ჟინიანობის პერიოდს", როცა მოზარდი თავის „მე"-ს, თავისი პიროვნების გამოკვეთის მისწრაფებას ამყღავნებს, ავლენს უარყოფით დამოკიდებულებას სოც. გარემოსთან, ამხედრებულია თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ, უარყოფს ავტორიტეტს და თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის. „მეორე ჟინიანობის პერიოდი" თავს იჩენს სქესობრივი მომწიფების დაწყებასთან ერთად /11 –12 წწ./. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს წინაპუბერტატულ პერიოდში /12 – 14 წწ./, სწვდება აგრეთვე პუბერტატულ პერიოდსაც, ვიდრე სქესობრივი მომწიფების დამთავრებამდე. /14–17 წწ. ვაჟებისთვის, 13–16 წწ. ქალებისთვის/. აღნიშნული პერიოდის საზღვრები ტემპერამენტისა, კლიმატის, ინდივიდუალობისა და სოციალური პირობების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს, ქვევით დაიწიოს ან ზედა საზღვარს გადააცილოს.

მკვლევართა აზრით /შ. ბიულერი, ვ. შტერნი, დ. უზნაძე/, ჟინიანობის ორივე პერიოდი /პირველი ჟ. ხ. და მეორე ჟ. ხ./ დაკავშირებულია საკუთარი პიროვნების ფორმირებასთან, „მე"-ს ცნობიერების გაძლიერებულ აქტიურობასთან. სამი წლის ასაკში, ახლად ფეხადგმულ და თავისუფალ მოძრაობას დაუფლებულ ბავშვებში პირველად იღვიძებს „მე"-ს ცნობიერება და მასთან ერთად თავს იჩენს საკუთარი მოთხოვნილებები და მოთხოვნები, ხოლო მომწიფების ხანა ხასიათდება— „მე"-ს, საკუთარი პიროვნების, საკუთარი სახის ძიებით და დადგენით, გარემოსგან „მე"-ს გამოყოფით, ღირებულებათა ახლად შეფასებით და მათში საკუთარი ადგილის გამონახვით. „მე"-ს ცნობიერების ეს გაძლიერებული აქტიურობა უდევს საფუძვლად „მე"-ს წინააღმდეგობას იმასთან, ვინც ან რაც უპირ. და ზღუდავს მას /იხ. ნებელობა/.

რ

რანშბურგის აპარატი–მეხსიერების კვლევის აპარატი, შეიმუშავა ფსიქოლოგმა პ. რანშბურგმა. აპარატი წარმოადგენს ეკრანს პატარა ფანჯრით, რ-შიც რიგრიგობით ჩნდება სიტყვები, მარცვლები, ციფრები, რ-იც ცდ-მა უნდა წაიკითხოს, დაიმახსოვროს და მერე აღადგინოს. აპარატი მასალის რეგულირების საშუალებას იძლევა.

რანშბურგის ფენომენი — მეხსიერების მოვლენა, აღმოაჩინა პ. რანშბურგმა. მდგომარეობს შემდეგში: სუბიექტი უკეთ იმახსოვრებს ისეთ ჰეტეროგენურ რიგს, რ-იც მხოლოდ განსხვავებულ ელემენტებს შეიცავს /ასოებს, ციფრებს, სიტყვებს, ფერებს და სხვა/, ვიდრე ისეთს, რ-შიც ერთი და იგივე ელემენტი სხვადასხვა ადგილას მეორდება /ჰომოგენური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი/. როგორც წესი, უკანასკნელ შემთხვევაში სუბ-ს ამახსოვრდება განსხვავებული ელემენტები, ხოლო გამეორებული ელემენტებიდან ერთ — ერთს ტოვებს. მაგ., ასოთა ჰომოგენურ რიგში: ყ, წ, მ, ჩ, წ, ბ, მეორდება ასო წ; ამ რიგის აღდგენისას ცპ. ასო წ-ს ასახელებს მხოლოდ ერთ ხელ, ე. ი. ნაცვლად 6 ელემენტისა აღადგენს მხოლოდ ხუთს. ამ მოვლენას რანშბურგმა „იდენტურ გამღიზიანებელთა შეფერხება" უწოდა.

რაპორტი /ფრანგ. rapport — პატაკი/ — ფს-გიაში ჰიპნოტიზიორის კავშირი ჰიპნოტიზებულთან. ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფს გარესამყაროსთან ყოველგვარი კავშირი აქვს გაწყვეტილი. ესმის მხოლოდ ჰიპნოტიზიორის ნათქვამი და მის ბრძანებებს ასრულებს. ამ კავშირს რაპორტი ეწოდება /იხ. ჰიპნოზი/.

რაპტუსი /ლათ. raptus — მოტაცება, ძარცვა/ — ფსიქიატრ. უცბად, შეტევის სახით დაწყებული მოქმედება, აფექტური დაძაბულობის მწვავე მიმდინარეობა. ამ დაძაბულობისგან ერთბაშადი განტვირთვა.

რაციონალიზაცია /ლათ. ratio — გონება/ — 1. მოქმედების, განსაკუთრებით შრომითი ქცევის, /მეურნეობის, მრეწველობის/ მოწესრიგება გონების, მეცნ-ის მონაცემების საფუძველზე. შრომის რაციონალურ პრინციპზე აგება შრომის მეცნ-ული ორგანიზაციის ამოცანას წარმოადგენს, რ-ის მიზანია ენერგიის მინიმალური ხარჯვით შრომის მაქსიმალური ნაყოფიერების მიღწევა.

დღევანდელ ტექნიკური მეცნ-ის განვითარების დონეზე ტექნიკა არსებითადაა ჩართული ად-ნის ცხოვრებაში, მის შრომით პროცესებში. ტექ. მეცნ-ის ძირითადი ამოცანა: იმ მიზნის კენაა მიმართული, რომ შრომის პროცესის რაც შეიძლება მეტი ფუნქცია გადაეცეს მანქანას; ად-ნის მონაწილეობა შრომის პროცესში მანქანის მართვით განისაზღვროს და მანქანისა და ად-ნის მუშაობა ერთმანეთს შეუფარდდეს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში უშუალო და წამყვანი როლი რ-ს ეკისრება. ცხოვრებისა და მეცნ-ის აღნიშნული მიზანი და ამოცანა რ-ის ძირითადი პრინციპის — მინიმალური ენერგიის ხარჯვით მაქსიმალური პროდუქტის მიღების საფუძველზეა აღმოცენებული და მის რეალიზაციას ემსახურება. ტექნიკის მთელი დღევანდელი პროგრესი შრომის რ-ს გულისხმობს და აბორციელებს. 2. ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიით რ. სუბ-ის „დაცვით" ტენდენციას შეადგენს. ის /სუბ/ ისწრაფვის არაცნობიერი ფენომენების საფუძვლად ცნობიერი მოტივები ჩათვალოს, არაცნობიერი მოტივი ცნობიერ მოტივად იგულისხმოს, არაცნობიერი მოქმედება ცნობიერ მოქმედებად აღიაროს და ცნობიერება და გონება /ratio/ დაინახოს იქ, სადაც მხოლოდ არაცნობიერი სტიქია მეფობს. თვით ამ თეორიის აზრით, ეს, რა საკვირველია, სუბ-ის შეცდომაა. არსებითად არაცნობიერის მოქმედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის რაციონალური მომენტების საფუძველზე აღმოცენებული, ვაგ - რომ სუბის „ზე-მე"-ს. მის კოგნიციურ პრინციპს სურს, რომ ყოველი მოქმედება ცნობიერების მონაწილეობით ხორციელდებოდეს და ამიტომ რაციონალურ მომენტს იქაც გულისხმობს, სადაც მას ადგილი არა აქვს, ე. ი. არაცნობიერ მოქმედებაში. ფროიდი ამას „დაცვითი მექანიზმის" მოქმედების ერთ-ერთ სახედ თვლის.

რაციონალიზმი /ლათ. /+ იდეალისტური-ფილს. მიმართულება, რ-ის თანახმად სინამდვილის შემეცნების ერთადერთ წყაროს გონება წარმოადგენს და მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმი გონებაშივეა მოცემული. /საწინ. ემპირიზმი.

რეაქტოლოგია — „ობიექტური ფსიქოლოგიის" ერთ-ერთი მიმდინარეობა რუსეთში. წარმომადგენელია კ. ნ. კორნილოვი /1879–1957/.

რეაქცია /ლათ. re–უკუ და actio–მოქმედება/–ფიზიოლ-ასა და ფს-გიაში — ცოცხალი ორგანიზმის საპასუხო მოქმედება გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე. ყოველი რ. სამი მომენტისაგან შედგება: 1. გარეგამღიზიანებლის მოქმედება რეცეპტორზე; 2. ამ გაღიზიანების გატარება, გადამუშავება ტვინის სათანადო ცენტრებში; 3. ორგანიზმის საპასუხო მოქმედება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველი რ. შეიცავს სენსორულ, ცენტრალურ პროცესებს და მოტორულ აქტებს /მოქმედებებს /. უფრო ვიწრო მნიშვ. ფს-გიაში რ. ეწოდება გარეგამღიზიანებლის მიერ გამოწვეულ ყოველ მოქმედებას. განასხვავებენ მარტივ და რთულ რ-ს. მარტივია რ. როდესაც საპასუხო მოქმედება უშუალოდ თან სდევს გამღიზიანებლის აღქმას, ე. ი. როცა ცენტრალური პროცესი წარმოადგენს აგზნების მხოლოდ გატარებას ცენტრიდან ეფექტორისაკენ. რთულია რ. როცა გაღიზიანების აღქმასა და საპასუხო მოქმედებას შორის ადგილი აქვს აღქმული გაღიზიანების გადამუშავებას ცნ. ს-ში.

მარტივ რ-ს განეკუთვნება მოქმედება, რ-იც ყოველთვის ერთი და იმავე სახით სრულდება /მაგ., საორიენტაციო რეაქცია/, რთულს — როდესაც გამღიზიანებელზე საპასუხო მოქმედება მოითხოვს მრავალ გამღიზიანებელთა შორის ერთ-ერთის არჩევას. იმის მიხედვით, თუ რაზეა სუბ-ის ყურადღება მიმართული, რ-ის სენსორულ ნაწილზე თუ მის მოტორულ აქტებზე, განასხვავებენ სენსორულ და მოტორულ რ-ს. სენსორული რის დრო ვ. ვუნდტის გამოკვლევით, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მოტორულისა, რადგან სენსორული რ-ციის შემთხვევაში საჭირო ხდება გამღიზიანებლის გაცნობიერება /მოტანილი ინფორმაციის გადამუშავება/.

ფს-გიური რ-ის ერთ-ერთ სახელს წარმოადგენს ე. წ. ასოციაციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ცპ-ის ეძლევა სიტყვა-გამღიზიანებელი და ევალება მოსმენისთანავე უპასუხოს თავში მოსული პირველი სიტყვით, ან ისეთი სიტყვით, რ-იც გამღიზიანებელ სიტყვასთან გარკვეულ ლოგიკურ კავშირშია /იხ. ასო - ციაციური ექსპერიმენტი/.

|რ-ის დრო ანუ სისწრაფე ტიპოლოგიურად განსხვავებულია. ზოგი ად-ნი გამღიზიანებელზე სწრაფად იძლევა რ-ს, ზოგი კიდევ-დაგვიანებით. ამაზეა დამოკიდებული ე. წ. „პიროვნული განტოლება" /იხ./.

რეაქციის დრო - დრო, რ-იც გადის გაღიზიანების მიცემის მომენტსა და მასზე საპასუხო რეაქციის დაწყებას შორის.

რეაქციის მეთოდი — ფს-გიაში ექსპ-ის ერთ-ერთი სახე; შემოტანილია ფს-გიაში ფიზიოლ-დან. გ. ვუნდტის მიერ; გამოიყენება მარტივი აქტების შესასწავლად, ან საერთოდ, ყველა გარეგანი გაღიზიანების საპასუხო ფს-კური თუ მოტორული რეაქციების საკვლევად. რ. მ. შემდეგში მდგომარეობს: მიწოდებულ გაღიზიანებას ცპ-მა გარკვეული რეაქციით უნდა უპასუხოს, მაგ., მოსმენილ სიტყვას-თავში მოსული პირველი სიტყვით /ასოციაციური ექსპერიმენტი/, ან გაღიზიანებას, მაგ., ფერით, უპასუხოს მოძრაობით-ხელის აწევით. იზომება დრო, რ-იც გადის გაღიზიანების მიღებიდან პასუხის გაცემამდე /იხ. რეაქციის დრო/.

რეგრესია /ლათ. regressus უკუსელა, დაბრუნება/ — 1. ფსიქოანალიზში: „მე"-ს დაცვითი მექანიზმის ერთ-ერთი სახე. ნიშნავს ღიბიდოს განვითარებაში მიბრუნებას უკან, განვითარების ადრეულ პერიოდში ფიქსირებული გრძნობისაკენ, ობიექტისაკენ და მოქმედებისკენ. რ-ის გამომწვევი მიზეზია სიყვარულში სრული იმედგაცრუება, დამარცხება საქმეში, რაიმე დანაკლისის გადატანა. 2. ჩვეულებრივი გაგებით, რ. ნიშნავს დეგრადაციას, განვითარებაში უკანდახევას, ატავიზმს.

რეზიდიუმი /ლათ. residuus — დარჩენილი/ — იგივეა, რაც მეხსიერების კვალი ანუ ენგრამი.

რეკაპიტულაციის თეორია /ლათ. recapitulātio — შემოკლებითი გამეორება/— განვითარების პროცესში წინაპართა ნიშნების მოკლე გამეორება. /იხ. ბიოგენეზური კანონი, ატავიზმი/.

რეკლამა /ლათ. reclāmo — ვყვირი, გავიძახი/—ად-ზე ზემოქმედების საშუალება, რ-ის მიზანია სხვადასხვა ფს-გიური ხერხებით შთააგონოს, განაწყოს სუბ. გარკვეული მოქმედების შესრულებისადმი, მაგ., გარკვეულ პიროვნებას გაუკეთოს პოპულარიზაცია; გააღვიძოს საზოგადოებაში მოტივები და ინტერესები ად-ნის შემოქმედების ნიმუშისადმი: თეატრი, მხატვრობა, პოეზია, მუსიკა და სხვა. განსაკუთრებით დიდი მნიშვ. აქვს ად-ზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით წარმოება-მრეწველობაში, რათა მომხმარებელმა გარკვეული საგანი შეიძინოს. რ. ცდილობს საუკეთესოდ წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

,რმოუდგინოს მომხმარებელს ეს საგანი, მიაწოდოს მისი თვისებების შე - სახებ სრული ინფორმაცია, მოაწონოს ის და აღუძრას მისი შეძენის სურვილი. ამისათვის რ. მიმართავს საგნის სიტყვიერ დახასიათებასა, გაფორმებას გარკვეული განათების და ფერების საშუალებით, რაც უნებ- ლიედ იპყრობს ადამიანის ყურადღებას და აღუძრავს მისი შეძენის სურვილს.

რ. გამოყენებითი /პრაქტიკული/ ფსიქიკის ნაწილია. ფართოდაა გამო- ყენებული კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც კერძო მწარმოებელთა შორის კონკურენციაა გამეფებული, რაც იძულებულს ხდის თითოეულ მწარმოებ- ელს ფართოდ მიმართოს რ-ის ხერხს, რომ მიიზიდოს მყიდველი და ამით თავისი წარმოება უზრუნველყოს.

რელაცია /ლათ. relātio— მიმართება/ —ზოგ. მნიშვ. — მიმართე- ბა მოვლენათა შორის ფსიქიკაში ვ. ვუნდტის შეხედულებით, ყოველი რთუ- ლი ფსიქიური წარმონაქმნი წარმოადგენს მის ელემენტებს შორის არსე- ბული მიმართებების, დამოკიდებულების ანუ რელაციის პროდუქტს. ამის მიხედვით ელემენტები გარკვეულ მიმართებაში იმყოფება ურთი - ერთთან და ყოველი შემოქმედება ამ მიმართებებითაა მოტივირებული.

რელაციის პერიოდი— იხ. ბავშვის გონებრივი განვითარების პერ- იოდები.

რემინისცენცია /ლათ. reminiscī — მოგონება, გახსენება/ — ფსიქია- ში: მეხსიერების ფაქტი /პირველად ბალარდის მიერ აღნიშნული/, ეხება დავიწყების და გახსენების ერთ-ერთ სპეციალურ მოვლენას. იგი შემდეგ - ში მდგომარეობს: ერთხელ აღქმული რაიმე აზრიანი მასალის დამახსოვ- რება და მისი აღდგენა 1—2 დღის გასვლის შემდეგ უფრო გაუმჯობესე - ბულია, შინაარსეულად უფრო სრული, ნათელი და პლასტიკური, ვიდრე მი- სი დამახსოვრება და აღდგენა უშუალოდ აღქმის შემდეგ. მაშინვე. ცნო- ბილია, რომ დავიწყება დროის ფუნქციაა და დადგენილია კიდეც მისი კა- ნონი, რომლის თანახმად დასწავლილი მასალის დავიწყება ყველაზე ინ - ტენსიურია სწორედ პირველი ორი დღის განმავლობაში დასწავლის შემ- დეგ. ამ პერიოდში ჰ. ებინგჰაუსის დავიწყების კანონის მიხედვით მისი მრუდი ეცემა დაახლოებით ვერტიკალურად ძირს. რ-ის შემთხვევა- ში, პირიქით, მასალის აღდგენა სწორედ ამ აღნიშნულ დროში ადის ზე - ვით. გამოდის, რომ რ-ის ფაქტი და ებინგჰაუსის „დავიწყების კანონი" საპირ. მოვლენებია. შემდეგი გამოკვლევებით /ს. რუბინშტეინი/ დადას- ტურდა, რომ ებინგჰაუსის აღნიშნული კანონი და რ. ორი სხვადასხვა ფაქტია და მათი დაპირისპირება უკანონოა.

რუსი ფსიქოლოგის ს. რუბინშტეინის სპეციალური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ რ. დასამახსოვრებელი მასალის ხასიათით და მი- სადმი სუბ-ის დამოკიდებულებით განსაზღვრული. სახელდობრ, რ-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი აქვს აზრიანი მასალის დამახსოვრების შემთხვევაში, უაზრო მასალაზე იგი არ შეიმჩნევა. აგრეთვე, ემოციურ-აფექტური შინაარსი უფრო შთამბეჭდავია, მისი დამახსოვრება უფრო სრულია, აღდგენა კი უფრო ადვილი და ზუსტი. ს. რუბინშტეინის აზრით, რ-ის შემთხვევაში, მასალის აღქმის შემდეგ, პირველი ორი დღის განმავლობაში, მიმდინარეობს აღქმულის გონებრივი გადამუშავება, მისი სისტემატიზება, რაც, მისი ვარაუდით, განაპირობებს მასალის დამახსოვრების და აღდგენის დიდ ეფექტს. ებინგჰაუსის კანონი კი გამოხატავს ზეპირად დასწავლილი უაზრო მასალის დავიწყებას და გულისხმობს საკუთრივ მეხსიერების მუშაობას სხვა პიროვნული ფაქტორებისაგან იზოლირებულად, რ-ის შემთხვევაში კი მეხსიერების მუშაობაში ჩართულია სუბ-ის გონებრივი და ემოციური ფაქტორები. ამიტომ რ-ისა და ებინგჰაუსის „დავიწყების კანონის" ურთიერთდაპირისპირება უმართებულოა. ჩვეულებრივ მეტყველებაში რ. გულისხმობს რაიმე დავიწყებული შთაბეჭდილების შემონახვას და მერე მის გახსენებას.

რეპროდუქცია /ლათ. re-კვლავ, ხელახლა, produco – ვაწარმოებ, ვქმნი/– ფს-გიაში მეხსიერების მოქმედების ერთ-ერთი მომენტი. გულისხმობს წარსულში მიღებული შთაბეჭდილების აწმყოში აღდგენას, განახლებას.

რეპროდუქციული ფანტაზია – იხ. ფანტაზია.

რეპროდუქციული შეკავება /ებინგჰაუსი/ ანუ ეფექტუალური შეკავება /გ. ე. მიულერი/ –ასოციაციური შეკავების ერთ-ერთი სახე. მდგომარეობს შემდეგში: როცა ერთ ელემენტს, A-ს /დასწავლის გზით/ ასოციაციურად ვუკავშირებთ ორ ელემენტს: B-ს და C-ს ცალ-ცალკე, ასოციაციის განმტკიცების შემდეგ რ-იმე ამ კავშირთაგანის აღდგენას ვახერხებთ, მაგრამ უფრო დაგვიანებით, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ორის ნაცვლად ერთ კავშირს ვამუშავებთ: ან A–B-ს. ან A–C-ს.

რეტარდაცია /ლათ. retardāre – შენელება, შეკავება/ –ორგანიზმის ფსიქო–ფიზ. განვითარების შეფერხება, შენელება, გახანგრძლივება. გამოწვეულია ან გარკვეული ფიზიოლ. მიზეზებით, /ტვინის დაზიანება, ჯირკვლების ფუნქციის მოშლა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა/ ან არადამაკმაყოფილებელი სოც. პირობებით/საწინ. აქსელერაცია, /იხ./.

რეტენცია /ლათ. retentio – შეკავება, შემონახვა/ – მეხსიერების შინაარსის შემონახვა, რ-იც უზრუნველყოფს ამ შინაარსების კვლავ აღდგენას. ტერ. შემოტანილია რ. ზემონის მიერ.

რეტროაქტიური შეკავება / ლათ. retro – უკან, activus – მოქმედი/– უკუმოქმედება მეხსიერებაში. გ. ე. მიულერის მიერ დადგენილი კანონის მიხედვით, მეხსიერების მოქმედებაში აღინიშნება შემდეგი მოვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა: ორ შინაარსს შორის დამყარებული ასოციაციური კავშირი უარყოფით გავლენას ახდენს წინათ შემუშავებული კავშირის მოქმედებაზე, თუ ამ შინაარსებს შორის ადგილი აქვს გარკვეულ მსგავსებას. მაგ., თუ დასწავლის შედეგად დამყარდა კავშირი a და b შინაარსს შორის, ხოლო მანამდე a ასოციაციურად დაკავშირებული იყო c - სთან, მაშინ ამ უკანასკნელი კავშირის /a – c/ გახსენება იმის შემდეგ, რაც ახალი კავშირი /a – b/ დამყარდა, ძნელდება. ამრიგად, ახალი ასოციაციური კავშირების დადგენა უარყოფითად, შემაკავებლად, მოქმედებს ძველ ასოციაციურ კავშირებზე.

რეტროგრადული ამნეზია – იხ. ამნეზია.

რეტროკოგნიცია /ლათ. retro– უკან, cognitio – შემეცნება, ცნობა/ – ნათელხედვის ერთ-ერთი სახე: წარსულის პარანორმალური შემეცნება /იხ. ნათელხედვა/.

რეტროსპექცია /ლათ retro– უკან და specio –ხედვა/ – ზოგ. მნიშვ. იმ საგნის ან მოვლენის კვლავ განცდა, რ-იც წარსულში გვქონდა მოცემული; წარსულის ხელახლა განხილვა.

რეტროსპექციული თვითდაკვირვება – უკუხედვითი დაკვირვება, იხ. თვითდაკვირვება.

რეფლექსი /ლათ. reflexus – ასახვა–არეკვლა/ –ორგანიზმის კანონზომიერი, მიზანშეწონილი საპასუხო რეაქცია /მოქმედება/ გარეგან ან შინაგან გაღიზიანებაზე. რ. ხორციელდება რეცეპტორების (შეგრძნების ორგანოების) გაღიზიანების შედეგად ც. ნ. სის საშუალებით. რ. მიზანშეწონილია იმიტომ, რომ ამ მოქმედებით ორგანიზმი ეგუება იმ ცვლილებებს, რ-ებიც ან მასში, ან გარემოში ხდება. მაგ., გაღიზიანების ხასიათის მიხედვით კუნთი ან იკუმშება ან დუნდება, ჯირკვალი ან გამოყოფს სეკრეტს, ან წყვეტს სეკრეციას, სისხლ-ძარღვები ან ვიწროვდება, ან ფართოვდება და ა. შ. ბიოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით განასხვავებენ ცვების, თავდაცვის, სასქესო, ლოკომოციის რ-ს. იმის მიხედვით, თუ საიდან მოდის გაღიზიანება, განასხვავებენ ექსტეროცეპტულ, ინტეროცეპტულ, პროპრიოცეპტულ რეფლექსს /იხ. რეცეპტორი/. იმის მიხედვით, თუ ც. ნ. სის რა ნაწილთან არის დაკავშირებული რეფლექსი, გამოყოფენ სპინალურს /ზურგის ტვინის/, ბულბურს /მოგრძო ტვინის/, მეზენცეფალურს /შუა ტვინის/, დიენცეფალურს /შუამდებარე ტვინის/, კორტიკალურს /დიდი ტვინის ქერქის/ რ-ებს. ყველა რ-ს ყოფენ ორ მთავარ ჯგუფად: უპირობო, თანდაყოლილ რ-ებად და პირობით ანუ შეძენილ რ-ებად.

რეფლექსია /ლათ. reflexus – ასახვა/ –ფს-გიაში: ამჟამად მოცემული საკუთარი განცდისაკენ მიბრუნება, მისი გააზრების მიზნით, ცნობიერების მიმართვა თავისი თავისკენ საკუთარი ქცევის აზრის ცხადყოფის და შეფასების მიზნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეფლექსოლოგია –იხ. ობიექტური ფსიქოლოგია.

რეფლექსური ჯაჭვის თეორია – იხ. ინსტინქტი.

რეცეპტორი /ლათ. receptor – მიმღები/ –სპეციალიზებული წარმონაქმნები /მგრძნობიარე ნერვული ბოჭკოს დაბოლოება/, რ-ებიც იღებენ გაღიზიანებას და მის ენერგიას ნერვულ პროცესად გარდაქმნიან. იმისდა მიხედვით, თუ საიდან იღებენ რ-ები გაღიზიანებას, გამოიყოფა |ექსტერორეცეპტორები და ინტერორეცეპტორები. ექსტერორეცეპტორები. მოთავსებულია კანის ზედაპირზე და იღებს გაღიზიანებას გარემოდან, ინტერორეცეპტორები იყოფა ვისცერორეცეპტორებად, ვესტიბულურ და პროპრიორეცეპტორებად. ვისცერორეცეპტორი იძლევა სიგნალს შინაგანი ორგანოების მდგომარეობის შესახებ, ვესტიბულური და პროპრიორეცეპტორები იძლევიან ინფორმაციას სხეულისა და მისი ცალკე ნაწილების მოძრაობისა და სივრცითი ადგილმდებარეობის შესახებ. „ადეკვატური გამღიზიანებლის" ფიზ. ან ქიმიური თავისებურება განსაზღვრავს რეცეპტორული მოქმედების სპეციფიკას. ამ პრინციპის მიხედვით გამოიყოფა: ფოტორეცეპტორები, ფონორეცეპტორები, მექანორეცეპტორები, ქემორეცეპტორები, თერმორეცეპტორები, ბარორეცეპტორები და ტკივილის რეცეპტორები.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდება გამღიზიანებლის აღქმა – უშუალო შეხებით თუ მანძილის დაშორებით–რ-ები იყოფა კონტაქტურ და დისტანტურ რ-ბად. კონტაქტური რ-ებია: შეხების, ტემპერატურისა და გემოსი; | დისტანტური–მხედველობისა და სმენისა. რ. არის ანალიზატორის პერიფერიული ნაწილი /იხ. ანალიზატორი/.

რეცესიული ნიშანი /ლათ. recedo – უკან ვიხევ/ –გ. მენდელის მეორე კანონის მიხედვით მემკვიდრეობითი ნიშანი, რ-იც მხოლოდ მეორე თაობაში, გათიშვის შედეგად იჩენს თავს. პირველ თაობაში რეცესიულ ნიშანს ფარავს დომინანტური ნიშანი და გამოვლენის საშუალებას არ აძლევს /იხ. გ. მენდელის კანონები/.

რეცეფცია /ლათ. recipio – უკან მიღება/ –ზოგ. მნიშვ. მიღება, გადმოტანა. ვიწრო მნიშვ. გაღიზიანების მიღება შეგრძნების ორგანოს მიერ. ფს-გიაში გამღიზიანებლის აღქმა.

რთული ფერი– ფერთა შერევის შედეგად მიღებული ნარევი ფერი /იხ. ფერთა შერევის კანონები/.

რიგიდობა /ლათ, riginus – უძრაობა, გაშეშება, მოუქნელობა/– პიროვნების ტიპოლოგიურ-ფს-გიური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სუბ. თავის |ქცევებში იჩენს ინერტულობას, ვერ ეგუება შეცვლილ სიტუაციას, ახალ სიტუაციაში ისე მოქმედებს რორც ძველ სიტუაციაში მო-

ქმედებდა. ვერ იჩენს პლასტიკურობას, გადანაცვლების უნარს.

რ., რ-რც ად-ნის მოქმედების მოუქნელობა და განმტკიცებული ქცევ-ის აკვიატებულობა, ენათესავება მეხსიერების ფს-გიაში შემჩნეულ პერ-სეგერაციას /იხ. პერსეგერაცია/.

დ. უზნაძის „განწყობის ფს-გიის" კონცეფციით, რ. შეიძლება გავი-გოთ, რ-რც ფიქსირებული განწყობის თვისება. მაგ., ერთ გარკვეულ სი-ტუაციაში ფიქსირებული განწყობა ახალ სიტუაციაშიც ისე მოქმედებს, რ-რც იმ პირველ სიტუაციაში.

რისხვა—სტენიური აფექტი, უსიამოვნო განცდებით გამოწვეული რეა-ქცია. რაიმე უსამართლობით უკიდურესად აღშფოთებულ ად-ნს რ. ეუფ-ლება, ე. ი. იგი აგრესიული ხდება, თავს ესხმის მოწინააღმდეგეს და ის-წრაფვის მას ზიანი მიაყენოს. ვ. მაკ-დუგალის აზრით, რ. ბრძოლის ინ-სტინქტით გამოწვეული აფექტია. რ. შეიძლება ხასიათდასხვა სიძლიერისა იყ-ოს. პაროქსიზმის ხარისხს მიღწეულ რ-ს თან სდევს მკვეთრი სხეულებრი-ვი გამოვლინებები: ძლიერდება მოტორული მოძრაობები, იცვლება ორგა-ნიზმის ვეგეტატური სისტემის მუშაობა, აგრეთვე სისხლის შედგენილობა და მიმოქცევა, იცვლება ჰორმონალურ-სეკრეტორული სისტემის ფუნ-ქციობა; ძლიერდება გულის ცემა, მაჯისცემაც, სუნთქვა, სახე შეშლილად და დაღრეჯილად გამოიყურება, აზრები ანგარიშმიუცემლად რბიან, მსჯე-ლობის უნარი დაქვეითებულია. ადვილად აგზნებადი ად-ნი პატარა მიზე-ზითაც განრისხდება, ასეთ კაცს ფიცხს უწოდებენ.

რ. ბ-ვებ-შიც შეიმჩნევა, თვით „ძუძუს ბ-ვობის" ხანაშიც კი /დაუწ-ყნარებელი ტირილი, ყვირილი, მოძრაობათა სიმრავლე, გაწითლება/. აღ-ზრდის მიზანია თავშეკავების უნარის განვითარება რ-ისაგან თავდაცვის მიზნით. რ. არ არის უცხო ცხოველისათვისაც. განრისხებული ცხოველი მიიწევს მოწინააღმდეგის სრული განადგურებისაკენ. მაგ., ძაღლისათვის ძვლის წართმევას. რომ შეეცადოთ, ის ძლიერ „განრისხდება" და არ და-გინდობთ.

რორშახის ტესტი —შვეიცარიელი ფსიქიატრის ჰ. რორშახის /1884-1922/ მიერ შემუშავებული ტესტი /1920/ შედგება 10 სურათისაგან. თი-თოეული სურათი წარმოადგენს ნებისმიერი ფორმის მელნის ლაქას. მათ-გან ხუთი ერთი ფერისაა, მაგ., რუხისა, ხუთი დანარჩენი —სხვადასხვა ფერისა, მაგ., წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, იისფერი, ცა-ს ეძლევა დავალება დახედოს მიწოდებულ სურათს და უამბოს ექსპ-ტატორს, თუ რას ხედავს იგი ამ ლაქაში, რას აგონებს, რას შეუძლია მიამსგავსოს იგი. რ. ტ. წარმოადგენს პიროვნების კვლევის ე. წ. „პროექციული მეთ-ოდის" ერთ-ერთ სახეს. იგულისხმება, რომ რ. ტ. აღძრავს სუბ-ში ფან-ტაზიას, განწყობას, აფექტებს, დაფარულ განცდას. თავის ჩვენებებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცპ. ახდენს თავის პიროვნულ თავისებურებათა პროექციას. მიღებული მასალის ანალიზის საშუალებით ექსპ-ტატორი აგნებს ცპ-ის დაფარულ პიროვნულ თვისებებს. ამ მხრივ, რ. ტ. დიაგნოსტიკური მნიშვნელობისაა /იხ. თემატიკური აპერცეფციის ტესტი/.

რ. ტ-ის ანალოგიურ სურათებს, ე. ი. უფორმო ლაქებს, იყენებდნენ თავის შემოქმედებაში, რ-რც ფანტაზიის აღმძვრელ საშუალებას, ჯერ კიდევ ლეონარდო და ვინჩი, ბოტიჩელი, იუსტინიუს კერნერი /1857/; რ-რც პიროვნების კვლევის ტესტი, პირველად გამოიყენეს ა. ბინემ და ჰენრიმ, შემდეგ ამერიკელმა მკვლევარებმა ე. კირპატრიკმა, გ. უიპლიმ, ფ. ბარტლეტმა, ინგლისელმა ფს-გმა კ. პარსონმა /Parson/. ჰ. რორშახის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე რუსი ფს-გი თ. რიბაკოვი, რ-აც თავის შრომაში— „პიროვნების ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევის ატლასი" შეიტანა ლაქა, რ-რც პიროვნების შესწავლის ტესტი.

რორშახის დამსახურება ისაა, რომ მან ლაქის ტესტი, რ-რც პიროვნების კვლევის მეთოდი, მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა, კლასიკური სახე მისცა და მეცნიერებაში საყოველთაო აღიარება მოუპოვა.

როტაციის აპარატი — ხელსაწყო /კ. მარბე/, რ-ის საშუალებითაც შეისწავლიან ფერთა შერევის მოვლენებს. წარმოადგენს სწრაფად მოძრავ დისკოს, რომელზეც ფერები დაკრულია სექტორების სახით. დისკოს სწრაფი ბრუნვა იძლევა ფერთა შერევის მოვლენებს.

ს

საგანწყობა ცდა — იხ. განწყობის კვლევის მეთოდი.

სადიზმი — ფრანგი მწერლის მარკიზ დე სადის გვარის მიხედვით. ტერ. შემოღებულია რ. კრაფტ-ებინგის მიერ. წარმოადგენს პერვერსიის ერთ-ერთ სახეს: სექსუალური გრძნობების დაკმაყოფილება მიიღწევა მხოლოდ მეორე მხარისათვის /პარტნიორისთვის/ ფიზიკური ტკივილის, ტანჯვის მიყენების პირობებში. ამიტომ სადისტური ანომალიით შეპყრობილი სუბ. /სადისტი/ თავის პარტნიორს ფიზ. ტკივილს აყენებს. ენათესავება მაზოხიზმს. ორივე შემთხვევაში ავხორცობის დაკმაყოფილების აუცილებელ პირობად ფიზ. წამება წარმოადგენს. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს: სადისტი სხვას აყენებს ტანჯვას, მაზოხისტი ფიზ—რად თვითონ უნდა იტანჯებოდეს. პირველი ანომალია აქტიურ ფორმად ითვლება, მეორე—მაზოხიზმი—პასიურ ფორმად. ამიტომ ამ ორი ანომალიის იდენტურ მოვლენად მიჩნევა და ამ ცნებებს ურთიერთის სინონიმად აღიარება, ფსიქიატრ კურტ სურის აზრით, არ არის მართებული.

გადატანითი მნ-ით სტს უწოდებენ მოძალადეს, ვინც თავისი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედებით სხვას აყენებს ტანჯვას, არაფრად აგდებს სხვის უბედურებას, ოღონდ საკუთარ მიზანს მიაღწიოს და საკუთარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ზ. ფროიდი პირველად ფიქრობდა, რომ ს-ს საფუძველი ნაადრევ ბ-ვობაში ეყრება, ბ-ვის განვითარების ე. წ. „პრეგენიტალურ ფაზაში", მაშინ როცა, მისი აზრით, პირველად იღვიძებს „დაპყრობის" სურვილი. შემდეგ პერიოდში ფროიდი ს-ს „სიკვდილისადმი ლტოლვის" ტენდენციას უკავშირებდა.

საგზე დროის კანონი — იხ. დროის აღქმა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა — რუს. опрос общественного мнения გერმ. Meinungsforschung | ინგლ. Public opinion research — სოციოლ-გიის კვლევის საგანი. შეისწავლის ცხოვრების რაიმე საკირბოროტო საკითხის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივ აზრს, შეხედულებებს, აზრთა და შეხედულებათა თუ რ-ელ მიმდინარეობას მოსახლეობის რა რაოდენობა უჭერს მხარს. ს. ა. გ-ს საფუძვლად უდევს იდეა, დარწმუნებულობა, რომ სოც. დინამიკა გაბატონებული | მოთხოვნის მიმართულებით მიდის და მას განხორციელების ყველაზე მეტი შანსი აქვს. ს. ა. გ. მოვლენათა პროგნოზირების პრაქტიკულ მიზანს ემსახურება. | დიდად არ | არის გავრცელებული დასავლეთის ქვეყნებში /ამერიკა, დას. ევროპა/. მისი კვლევის ფარგლებში საკითხთა ორი დიდი წრე შედის: 1. ბაზარი, მისი კონიუნქტურა და ყველაფერი, რაც მას ეხება. ამას „ბაზრის გამოკვლევას" უწოდებენ; 2. სხვა საზოგადოებრივ მოვლენას, რ-იც ბაზრის საკითხში არ შედის უწოდებენ „საზოგადოებრივი შეხედულების გამოკითხვას". | თვით სიტყვა „შეხედულება" მრავალმნიშვნელოვანია, ის შეიძლება ეხებოდეს ფაქტებს, მოქმედებებს, მოვლენებს, რ-თაც საზოგადოებრივ შეხედულებასთან არაფერი საერთო არა აქვთ. იყენებენ აგრეთვე მეცნ-ში პრაქტიკული მიზნებისათვის, ამიტომ ს. ა. გ-ის სინონიმად გავრცელდა აგრეთვე გამოთქმა „დემოსკოპია" /ბერძ. dēmos — ხალხი/, ან კიდევ გერმ. Umfragsforschung — გამოკითხვითი გამოკვლევა, ინგლ. | survey research, ს. ა. გ დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოებრივ პირთა არჩევნებში /მაგ. პრეზიდენტის არჩევნებში/. ს. ა. გ-მ ფართო ხასიათი მიიღო 30-იანი წლებიდან. მას შემდეგ, რაც გ. გალუპმა / 1936, ამერიკა/ თვალსაჩინო გახადა, რომ გამოკითხვის სისწორე დამოკიდებულია არა გამოსაკითხავ პირთა დიდ რიცხვზე /რამდენიმე მილიონი/, არამედ პატარა რიცხვზე /ერთი ათასიდან ორ-სამ ათასამდე/, მაგრამ შერჩეულზე, საზოგადოების „მინიატურული მოდელის" მსგავსად შედგენილზე. გამოსაკითხავი ჯგუფი უნდა იყოს „რეპრეზენტატური", მისი წევრების წყობა უნდა შეესატყვისებოდეს საზოგადოების ფაქტობრივ სტრუქტურას, უნდა გამოხატავდეს მთელ პოპულაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევის მეთოდად მიღებულია ზუსტი მეთოდიკა და ტექნიკა: 1. გამოკითხვა ანკეტის /კითხვარის/ მეთოდით; 2. ზეპირი გამოკითხვა /იხ. ექსპლორაცია/; 3. ექსპრ. კითხვარის გართულება და გამარტივება და ინფორმაციის შედგენა მიზნის მიხედვით, უნდა იქნას დაცული ექსპ-ის მომოთხოვნები: შთაგონების აცილება, „უცოდინარობის წესი" და სხვა; 4. პროექციის ტესტი, 5. სტატისტიკა — მიღებული შედეგი ციფრებით უნდა შეფასდეს და აღირიცხოს.

ს. ა. გ-ის ინსტიტუტები არსებობს ამერიკაში, გერმანიაში და სხვაგან.

საინჟინრო ფსიქოლოგია — გამოყენებითი ფს-გიის ერთ-ერთი დარგი. წარმოიშვა მეოცე საუკუნეში, მანქანური წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. დღეს მანქანაზე მუშაობა არ წარმოადგენს მხოლოდ ფიზ., კუნთურ მუშაობას, რ-რც ეს წინათ იყო. თანამედროვე განვითარებული წარმოების პირობებში რთული აგებულების მანქანამ შეცვალა ად-ნის შრომა. მანქანის მართვა ად-ნისაგან მოითხოვს, პირველ რიგში, მაღალ ინტელექტს. ს. ფ-ის მიზანია შეისწავლოს ის ობიექტური კანონზომიერებანი ად-ნისა და მანქანის ურთიერთობაში, რ-ებიც უზრუნველყოფენ მანქანის მართვის ოპტიმალურ პირობებს და შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამიტომ ს. ფ. თავის კვლევა-ძიებას იქითკენ მიმართავს, რომ დაამყაროს შესატყვისობა შრომის ორ კომპონენტს: მანქანასა და მის მმართველ ოპერატორ ად-ნს შორის.

სამედიცინო ფსიქოლოგია — ფს-გიის ერთ-ერთი დარგი. შეისწავლის საკითხებს, რ-ებიც მნიშვნელოვანი და ღირებულია, რ-რც მედიცინის, ისე ფსიქოლოგიის მთელი რიგი პრაქტიკული და თეორიული ამოცანის გადაჭრისათვის. ს. ფ-ში რამდენიმე განშტოება გამოიყო: პათოფსიქოლოგია, ნეიროფს-გია, ეს წ. ფსიქოლოგიური გენეტიკა, რ-იც სხვადასხვა ნორმალური და პათოლოგიური ფს-კური მოვლენების მემკვიდრეობით ფაქტორებს იკვლევს და საკუთრივ ს. ფ., რ-იც შეისწავლის ფს-კური ფაქტორის როლს ამა თუ იმ ფსიქოგენური და სომატური დაავადების აღმოცენებასა და მიმდინარეობაში. საკუთრივ სამედიცინო ფს-გიის კვლევის სფეროში შემოდის აგრეთვე კლინიკური ფს-გიის /ფსიქოთერაპია, ფსიქოანალიზი/, ფსიქოფარმაკოლოგიისა და სამედიცინო დეონტოლოგიის საკითხები.

სამთვარიო /მთვარეულობა ანუ ლუნატიზმი — ლათ. lūna, მთვარე/ —სომნაბულიზმის ერთ-ერთი სახე: მძინარე ად-ნი დგება, იცვამს, დადის, აძვრება მაღალ ხეზე, სახლის სახურავზე, ასრულებს რთულ მოქმედებებს გაუღვიძებლად, შემდეგ კვლავ წვება და აგრძელებს ძილს. მეორე დღეს ამ მოქმედებიდან არაფერი ახსოვს. ს. თან სდევს ეპილეფსიური დაავადებას, სხვადასხვა ნევროზებს. ს-ს უწოდებენ აგრეთვე ნოკტამბულიზმს. /იხ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანგვინიკური ტემპერამენტი /ლათ. sanguis – სისხლი, ძალა/– ჰიპოკრატეს მიერ დადგენილი ტემპერამენტის ოთხი ტიპიდან ერთ-ერთი, რ–აც, ჰიპოკრატეს აზრით, წარმოშობს სისხლის სიჭარბე ორგანიზმში. სხვა| სითხეებთან /ლორწო, შავი ნაღველი, ყვითელი ნაღველი/ შედარებით, სისხლი უფრო მეტი რაოდენობითაა მოცემული ორგანიზმში. ს. ტ-ის ქარაქტეროლოგიური ნიშნებია: მიდრეკილება დადებითი ემოციისა-კენ, მხიარული სულიერი განწყობილება, კონტაქტურობა, ოპტიმიზმი, იმედიანობა, ყოველთვის კარგის მოლოდინი, გულკეთილობა, კაცთმოყვარეობა, ადვილი | აგზნება და ასევე ადვილი დამშვიდება. ე. კრეჩმერის მიერ დადგენილ ტიპებში, უფრო პიკნიკური კონსტიტუციის ტიპს შეესატყვისება. ი. პავლოვის კლასიფიკაციით კი – ძლიერი, ძვრადი, გაწონასწორებული ნ.| ს-ის ტიპს.

სანტიმენტალობა /ფრანგ. sentiment – გრძნობა/ – გრძნობით გამსჭვალვა, გრძნობის გაბატონება გონებასა და ნებაზე.

სანტიმენტალური 1. ეწოდება პიროვნებას, რ-იც გარემოსთან დამოკიდებულებაში გადამეტებულ გრძნობებს ავლენს, თავის ქცევებში უპირატესად გრძნობით ხელმძღვანელობს. 2. ს-ს უწოდებენ რაიმე ნაწარმოებს, თხზულებას, თუ მასში აღწერილ მოვლენათა შეფასება უმეტესად გრძნობის პოზიციიდან ხდება. მაგ., სანტიმენტალური რომანი, მოთხრობა ან ლექსი.

საორიენტაციო რეაქცია ანუ რეფლექსი – ორგანიზმის პირველადი მოძრაობითი რეაქცია რაიმე ახალი, უცნობი გამღიზიანებლის საპასუ-ხოდ. მაგ., მობრუნება გამღიზიანებლისაკენ მთელი ტანით ან თავით, თვალების გაფართოება, დაკვირვებული მზერა, სახის გაოცებული გამომეტყველება;| ცხოველებში – გარინდება ყურების აცქვეტა, დადარაჯებული პოზა და სხვა. ავრეთვე სისხლის მიმოქცევის, სუნთქვის და სხვა ვეგეტატიური ცვლილებები. ეს მოძრაობები სუბ-ის შინაგანი მომართვის გარეგანი გამოსახულებაა, რ-ის მიზანია გაარკვიოს, /ე. ი. ორიენტირება მოახდინოს/, თუ რა არის ის გამღიზიანებელი, რ-იც ახლა შემოიჭრა სიტუაციაში.

გამოჩენილმა რუსმა ფიზიოლოგმა ი. პავლოვმა ამ რეაქციას საორიენტაციო ანუ „რა არის" რეფლექსი უწოდა. მისი აზრით, ის თანდაყოლილი უპირობო რეფლექსია, რ-ის საფუძველზე შეიძლება პირობითი რეფლექსის განმტკიცება. ხოლო ად-ნში ის მოვლენათა ანალიზისა და შემეცნებითი ძიების საფუძველია.

სასამართლო ფსიქოლოგია – გამოყენებითი ფს-გიის ერთ-ერთი დარგი. მისი მთავარი დამაარსებელთაგანია ვ. შტერნი და კ. მარბე. ს. ფ. ფართოდ იყენებს სასამართლოს გამოცდილებას და კრიმინალური ფს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიის მონაცემებს. გარდა კრიმინალური დანაშაულისა, რ-აც ძირითადად კრიმ. ფს-გია იკვლევს, ს. ფ. შეისწავლის მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს: დანაშაულის, მოტივაციას, მოქმედ პირთა შეურაცხადობას, ჩვენებათა სისწორეს, ბ-ვის ჩვენებისადმი ნდობას და სხვა. ამისათვის ს. ფ. იყენებს ექსპ. ფს-გიურ მეთოდებს, ასოციაციის კვლევის მეთოდს, რეაქციის ტესტებს და ე. წ. „ჩვენების ფს-გიის" მონაცემებს.

საქმე— იხ. ქცევის ექსტეროგენური ფორმა.

სევდა— უსიამოვნო გრძნობით აღბეჭდილი მდგომარეობა. /დამახ. დაწეული სულიერი განწყობილება, ცუდ გუნებაზე ყოფნა, დაქვეითებული მიზანსწრაფვა, შეზღუდული სურვილები, მოწყენა, უხალისობა, უმოქმედობა. ს. შეიძლება იყოს უსაგნო, გაურკვეველი წარმოშობის. უსაგნო ს. შინაგანი ფაქტორებითაა განსაზღვრული/ სუბ-ტის პიროვნული თვისებებით, ტემპერამენტის თავისებურებებით, ორგანიზმის რაიმე ფიზიოლ. ფუნქციის დარღვევით/, ს. შეიძლება აგრეთვე გარკვეული გარეპირობებით იყოს გამოწვეული, მაგ: იმედის გაცრუებით, მეგობრის ღალატით, ახლობლის დაკარგვით და სხვა. ს-ით გამოწვეული სულიერი განწყობილება მერყეევია, ცვალებადი. შემჩნეულია, რომ სევდისმაგვარ წუხილს არც ცხოველთა სამყაროა სავსებით მოკლებული, მაგ., ძაღლის მოწყენა პატრონის დაკარგვის გამო, მის მიერ საჭმლის უარყოფა და სხვა.

სეკრეცია /ლათ. secretio — გამოყოფა/ — ორგანიზმის ჯირკვლების და სხვა ორგანოების მიერ პროდუქტების გამოყოფა, რ-თაგან ზოგი, მაგ., ოფლი და შარდი გამოიყოფა გარეთ, რ-რც ორგანიზმისათვის ზედმეტი ნივთიერება, ზოგი კი, რ-რც ნერწყვი და კუჭის წვენი, გამოიყოფა ორგანიზმში, რ-რც საჭმლის მონელებისათვის საჭირო პროდუქტი. ამათგან განსხვავდება ე. წ. შინაგანი სეკრეციის ანუ ენდოკრინული ჯირკვლების პროდუქცია, რ-იც უშუალოდ სისხლში გადადის და აწესრიგებს ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებს: ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმის ფსიქო-ფიზ. განვითარებას. თანამედროვე ფიზიოლ-სა და ფს-გიაში ენდოკრინული ჯირკვლების მოქმედებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სეკუნდარული მოვლენები /ლათ. secunda — მეორე/ — ტერ. შემოტანილია ზ. ფროიდის მიერ. გულისხმობს ისეთ ქცევას, აზროვნებას ან ემოციურ განცდებს, რ-იც აზროვნებით ნაკარნახევ და რეალობის შესატყვისად მოტივირებულ შინაარსებს შეიცავენ. საპირ. პრიმარული მოვლენები /იხ./.

სენსიბილობა /ლათ. sensus — მგრძნობელობა/ —ზოგ. მნიშვ. ორგანიზმის მგრძნობელობა გაღიზიანებისადმი. ფს-გიაში — შეგრძნების უნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიოლ-ში — აფერენტული ნეირონების გაღიზიანებადობის უნარი /იხ. აგზნებადობა/.

სენსიბილიზება — მგრძნობელობის მომატება — ნ. სის მაღალი მგრძნობელობის მდგომარეობაში გადასვლა (გაღიზიანების ზღურბლი ეცემა, გაღიზიანება ჩვეულებრივზე მეტი სიძლიერის რეაქციას იწვევს).

სენსიბილობის დარღვევები — ასეთია ყველა სახის ანესთეზია, ჰიპო- და ჰიპერესთეზია, ანალგეზია, ჰიპო- და ჰიპერალგეზია, ჰიპო — და ჰიპერგეზია /იხ./.

სენსიტივური ტიპი /ფრანგ. sensitive გრძნობადი/ — შეგრძნების უნარიანი/—აწეული მგრძნობელობის მქონე ად-ნი. ე. კრეჩმერის მიხედვით დამახ: გადაჭარბებული გრძნობადი ასთენიური რეაქციები, თავის თავში დაურწმუნებლობა, მცირე მიზეზის გამო დიდი ნაწყენობის გამომჟღავნება. ს-ტიპის სუბ. გულისხმობს, რომ მის გარშემო მომხდარ ყოველ უარყოფით მოვლენას მასთან აქვს დამოკიდებულება, რომ ის მის გამო მოხდა. ასეთი „დამოკიდებულების" განცდას იწვევს გარემოს სავსებით ნეიტრალური მოვლენებიც კი. ს. ტიპის არანორმალურად აწეული მგრძნობელობა და სათანადო რეაქციები ხშირად ჰიპერესთეზიის გამომწვევი საფუძველი ხდება.

სენსორიუმი — მგრძნობელობის სფერო, გრძნობის ორგანოების ერთობლიობა.

სენსორული აფაზია —იხ. აფაზია

სენსორული რეაქცია —იხ. რეაქცია.

სენსორული ყურადღება—იხ. ყურადღება.

სენსუალიზმი /ლათ. sensus — გრძნობა, შეგრძნება/ —ფილოს. შეხედულება, რ-ის მიხედვითაც ყოველი ჭეშმარიტი შემეცნება მხოლოდ გრძნობადი აღქმის გზით მიიღწევა. ეს ძველი ფილოს-დან /ეპიკურეელები და კირენიკელები/ და სქოლასტიკიდან /თომა აქვინელი/ მომდინარე დებულება ახალ ფილოს-ში განაახლა ჯონ ლოკმა. წარმომადგენლები არიან დ. იუმი, ე. კონდილიაკი და სხვები. ფს-გიაში ს. გულისხმობს, რომ ადამიანი დაბადებით „სუფთა დაფაა" /tabula rasa ჯონ ლოკი/; რომ სულის ყოველი შინაარსი, შინაგანი ან გარეგანი, გაღიზიანებით გამოწვეული შეგრძნებებისა და აღქმის საფუძველზე წარმოიშობა და სულიერი ცხოვრება მთლიანად ასეთი შინაარსებისაგან შედგება. საპირ. ინტელექტუალიზმი, რაციონალიზმი /იხ./.

სერვილიზმი /ლათ. servilis — მონური/ — მონური დამოკიდებულება, სრული მორჩილება, უსიტყვო დაქვემდებარება.

სიახლოვის ანუ მეზობლობის ფაქტორი— იხ. გეშტალტის ფაქტორები, ასოციაციის კანონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგნალი /ლათ. signum – ნიშანი/ – პირობითი ნიშანი; სინათლე /სასიგნალო შუქურები/, ბგერა /ზარის ხმა, საყვირის ხმა/, წარწერა /სდექ! სასიკვდილოა!/ სასიგნალო დროშები და სხვა.

ს. ამახვილებს ჩვენს ყურადღებას გარკვეული მიმართულებით, გვაფრთხილებს, რომ ავიცილოთ მოსალოდნელი საშიშროება, გვაწვდის რა-იმე ინფორმაციას, გვიწვევს სამოქმედოდ დაუყოვნებლივ. მაგ., როცა ზღვაში ავარიის შედეგად იძირება გემი, ეთერში იგზავნება გაჭირვების ს. ამ სიგნალზე გემები დაუყოვნებლივ გაემართებიან საშველად.

სიდიდის კონტრასტის ილუზია – ოპტიკურ-გეომეტრიული ილუზიის ერთ-ერთი სახე. ტიპურ მაგალითს წარმოადგენს ებინგჰაუზის ილუზია: ერთი და იმავე სიმიდის წრე, დიდ წრეებს შორის მოქცეული, უფრო პატარა გვეჩვენება, ვიდრე მაშინ, როცა იგი პატარა წრეების გარემოცვაშია მოქცეული.

სივრცეში მეზობლობის კანონი – იხ. ასოციაციის კანონები, გეშტალტის ფაქტორები.

სივრცის აღქმა – საგნობრივი შინაარსის აღქმის ფს-გიური ანალიზი, გარდა ცალკე შეგრძნებისა, კიდევ სხვა ფაქტებსაც გვიდასტურებს. მაგ., ფორთოხლის აღქმაში არა მარტო ფერს, გემოს, სუნს, სირბილეს, სიმქისეს ვამჩნევთ, არამედ იმასაც, რომ ამ საგანს სივრცეში გარკვეული ადგილი უჭირავს, გარკვეული ფორმა აქვს, განსაზღვრული სიდიდისაა, რომ მას განსაზღვრულ მანძილზე ვეკარეტთ– ჩვენგან მარცხნივ ან მარჯვნივ, ზევით ან ქვევით და სხვა. უბრალო დაკვირვებაც გვარწმუნებს, რომ ყოველ საგანს გარკვეულ სივრცით მიმართებაში აღვიქვამთ, და მაშასადამე, გარდა საგნის აღქმისა სივრცესაც განვიცდით. სხვანაირად ყოველი კონკრეტული საგნის აღქმასთან ერთად სივრცის აღქმაც არის მოცემული, სივრცის დასრულებული აღქმა, კონკრეტული საგნის აღქმისაგან განსხვავებით, ინტერსენსორული აღქმაა, ე. ი. თვითონ სივრცის აღქმისათვის არ არსებობს რ-იმე ერთი სპეციალური ორგანო. ისე, რ-რც მაგ., ფერისათვის – თვალი, ბგერისათვის ყური, ყნოსვისათვის ცხვირი და სხვ. სივრცის დასრულებული აღქმა სხვადასხვა ორგანოების თანამშრომლობის საფუძველზე მუშავდება, სახელდობრ, მხედველობის, შეხების, და კუნთური შეგრძნებების ერთიმეორისთან დაკავშირების შედეგად.

თუ როგორ იქმნება ს. ა., ამის შესახებ არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია – ნატივიზმი და გენეტიზმი /იხ./.

სიზმარი – ძილის /აუცილებელი/ თანამგზავრი. ძილის ცნობიერების დინამიკური გამოხატულება გარკვეული ფს-გიური სიუჟეტის სახით. შეიცავს სუბ-ის მიერ ნანახ, გაგონილ ან სხვა სახით აღქმული და გან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცდილი მოგონების შინაარსს გადამუშავებულს სიზმრის ცნობიერებაში. რ-რც წესი, ს. თავს იჩენს „სწრაფი ძილის ფაზაში“.

შემჩნეულია, რომ ს-ის მიმდინარეობა ელვისებურად ხანმოკლეა. ამის დასადასტურებლად ჩვეულებრივ მოჰყავთ Maury-ს შემდეგი შემთხვევა: მან ნახა ს., რომ საფრანგეთის რევოლუც. ტრიბუნალმა ის გაასამართლა და სიკვდილი მიუსაჯა. იგი აჰყავთ ეშაფოტზე, ადებინებენ თავს და კისერზე დანა ეცემა. ამ დროს ელვიძება და ხედავს, რომ კისერზე რაღაც სპგანი დასცემია /მოტანილია დ. უზნაძის სახელმძღვანელოდან/. რამე საგნის სიუჟეტი წლების მოგონებს! იტევს. აქედან დაასკვნიან, რომ დროის და ადგილის განცდა ს-ში მათ რეალურ განცდასთან ადეკვატური არ უნდა იყოს. განცდის თვალსაზრისით, ს-ს თან ახლავს დარწმუნებულობა მის რეალობაში, თუმცა იგი ფაქტობრივად რეალობას სავსებით მოწყვეტილია. ს-ში, ისე რრც ბ-ჯის „ილუზიის თამაშში“ ყველაფერი ყველაფრად შეიძ-ლება გარდაიქმნას. მაგ., უსულო საგანი — სულიერად, პატარა — დიდად, მახინჯი — ლამაზად და სხვა. მოგონებათა მიმდინარეობა ალოგიკურია, თვითნებური, საგნები დამახინჯებულია, მათ შეუძლიათ დაკარგონ თავიანთი თვისებები: ტკბილი შაქარი შეიძლება მწარედ მოგეჩვენოს და სხვა. ს-ში ფანტაზია სრულებით შეუზღუდველია, იგი ავტონომიურად, თავისუფალი ასოციაციის პრინციპით მუშაობს, ის ოცნების მსგავსია. კრიტიკის უნარი დაკარგულია, ყველაფერს, რასაც ხედავ, რეალობად მიიჩნევ. ლოგიკური აზროვნება და ნებელობითი აქტიურობა ს-ის ცნობიერებისათვის უცხოა. აქტიურად მხოლოდ გრძნობები განიცდება. ს-ში კაცი განიცდის შიშს, სიხარულს, იგი წუხს, იტანჯება და სხვა. ამის საბუთი ის გამომხატველი მოძრაობებია, რ-თა დადასტურება გაღვიძების შემდეგ ხდება. ასეთია მაგ., გულისა და მაჯის აჩქარებული ცემა, ოფლი, სიხარულის განცდა გაღვიძებისას, როცა აცნობიერებ, რომ ახლახან განცდილი კოშმარი ს. ყოფილა და არა სინამდვილე. მიუხედავად ყოველივე ამისა, ს. მაინც ერთ ძაფს მიჰყვება და მისი ყოველი მომენტი საერთო ქარგას თანამიმდევრულად ექსოვება, ერთი აზრის შემცველ მთლიან სიუჟეტად იქმნება.

აღქმის რომელობის თვალსაზრისით ყველაზე უხშირესია ს-ში მხედველობით მიღებული შეგრძნებები, მცირე ნაწილი სმენისა და სხვა სახ-ის მოდალობები მოდის. ს-ის მასალა წარმოდგენებისაგან შედგება. ს-ის სიჯარბე და შთამბეჭდავი ხასიათი დამახ. სიჯაბუკის ასაკისათვის და საზოგადოდ მეოცნებე და სენსიბილური ადნისათვის. ონტოგენეზური თვალსაზრისით, ს. ბ-ში 2—3 წლის ასაკში შეიმჩნევა: ძილში ტირილი, წამოძახილი / pavor nocturnus/. ვარაუდობენ, რომ ! რთული ორგანიზმის ცხოველებში ს. სავსებით აღკვეთილი არ უნდა იყოს, ამის მაჩვენებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ძალის ყეფა ძილში.

სიზმრის თეორიები — ძველ დროში ს-ს უყურებდნენ რ-რც ბედის წინასწარ მაუწყებელს, უკავშირებდნენ ციურ მნათობთა მოძრაობას და წინასწარმეტყველების საფუძვლად იყენებდნენ. სიზმრის ახსნა სიბრძნისა და ეარსკვლავთმრიცხველობის საქმედ ითვლებოდა. საბუნებისმეტყველო მეცნ-ბათა განვითარების ეპოქიდან /მე-19 ს./ ს. მეცნ-ერული განხილვის საგანი ხდება. ს-ს შეხედეს, რ-რც ბუნებრივ-ფიზიოლ. მოვლენას. იგი გაგებულია რ-რც რეაქცია, ან დღისით, ღვიძილში მიღებული ძლიერი შთაბეჭდილების დანაღექზე, ან თვით ძილის პერიოდში მიღებულ შინაგან ან გარეგან გაღი ზიანებაზე. მაგ., ს. მდინარეში დგახარ და თევზს იჭერ. ახსნა: საბანი გქონდა გადახდილი და ფეხებზე გციოდა.

ზ. ფროიდმა წამოაყენა ს-ის ახსნის ფს-გიური თეორია. მისი აზრით, ს-ს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ის ასახავს სუბ-ის დაუკმაყოფილებელ ლიბიდოზურ ლტოლვა-სურვილებს და ესწრაფის ს-ში მათ რეალიზაციას. ეს დაუკმაყოფილებელი არაცნობიერად ქცეული ლტოლვა-სურვილის შინაარსი, რ-ლის შესახებ სუბ-ტმა არაფერი იცის, არის ის ენერგეტიკული წყარო, რ-იც ს-ის დინამიკას არეგულირებს: |დაკმაყოფილების . სიმბოლურ პირობას უქმნის მას. /იხ. ს-ის ლატენტური შინაარსები/. ეს დაკმაყოფილება, მართალია, ილუზორულია, მაგრამ, რადგან სხვანაირი დაკმაყოფილების საშუალება არ არსებობს, ამიტომ ეს ილუზორული დაკმაყოფილება|რეალური დაკმაყოფილების ძალას იძენს. ფროიდის თეორიის თანახმად თუ ს-ში დაკმაყოფილება მიღწეულ იქნა—ძილი გრძელდება. თუ ვერ ან არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ ს. წყდება, ძილი ირღვევა და სუბ. იღვიძებს. ამ აზრ|ით ს. ძილის დაცვის მექანიზმს წარმოადგენს.

ფროიდის მოწაფეების აზრით /ა. ადლერი, კ. იუნგი/ ს. არაცნობიერი სიტუაციის თვითგამოსახვაა. კ. იუნგი ფიქრობს, რომ ს. არის|სუბ-ის მომავალი მიღწევების ანტიციპაცია, მათი წინასწარი კომბინაცია არაცნობიერში.

დ. უზნაძე თავის თეორიას „შუალობის პოსტულატზე" აგებს /იხ. „უშუალობის პოსტულატი"/. მისი აზრით ად-ნის ყოველი მოქმედება სიზმარში თუ|ღვიძილში მთლიანი პიროვნებ|ითაა გაშუალებული. სიზმრის სიუჟეტს ქმნის გარკვეული „ფიქსირებული განწყობით" მოდიფიცირებული მთლიანი სუბ. სიზმრის შინაარსი — „ფიქსირებული განწყობის" საფუძველზე წარმოიქმნება და მთლიანი სუბ-ტის მოქმედებით არის განსაზღვრული. სიზმარი „გაურეალიზებული ფიქსირებული განწყობის რეალიზაციას ემსახურება.

სიზმრის ლატენტური შინაარსები /გერმ. Latenté Traumgedanken/ — ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ტერ. ფსიქოანალიზში. ამ თეორიის მიხედვით, განდევნილი წარმოდგენები, არაცნობიერი შინაარსები /დაფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

|რული აზრები, სურვილები, შიშები/, რ-ებიც წარმოდგენის სახით, არა - ცნობიერად აგრძელებენ არსებობას, მუდამ ისწრაფვიან დაუბრუნდნენ ცნობიერებას. სწორედ ამათ უწოდებს ფროიდი „ს. ლ. შ-ს". ძილის პი - რობებში, როდესაც ცნობიერების კონტროლი მოდუნებულია ს. ლ. შ. იჭ- რება სიზმარში, მაგრამ თავისი თავდაპირველი შინაარსით, „პრიმარუ- ლი მოვლენები"-ს სახით, მათი ჩართვა, /მანიფესტირება/ სიზმარში, სი- ზმრის განცდისათვისაც მიუღებელია: სიზმრის ცნობიერება მათ წინ- ააღმდეგობას უწევს. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი ჩართვა სიზ- მრის შინაარსში, საჭიროა მათი დამუშავება, გარდაქმნა „ზე-მე" - სთ- ვის მისაღებ სახედ, ამას აკეთებს ე. წ. „დაცვითი მექანიზმის" ტექნიკა: შეკუმშვა, „გადანაცვლება", „სუბსტიტუცია", „პროექცია" და სხვა /იხ/.

სიკვდილისადმი ლტოლვა /გერმ. Todestrieb/- ზ. ფროიდის მოძღვ- რებაში: საპირისპიროა ცნებისა „სიცოცხლისადმი მისწრაფება". ფროი- დის აზრით, ს. ლ-ში იგულისხმება სიცოცხლის საწინააღმდეგოდ მიმარ- თული მისწრაფება, რ-იც ვლინდება აგრესიულობაში, ნგრევისადმი მიმა- რთულ სადისტურ ტენდენციებში და მოქმედებებში. ყოველი სიძულვილი მიმართული, რ-რც სხვისადმი, ისე-თავისი თავისადმი ს. ლ-ის გამოვ - ლინებაა. „სიცოცხლისადმი მისწრაფება" აშენებს სიცოცხლეს, ს. ლ. ან- გრევს, სპობს სიცოცხლეს.

სიმბოლიკა — ზოგ. მნიშვ. აზრის /ცნების, იდეის/ და გრძნობების სიმბოლოებით გამოხატვა. ფსიქოანალიზში — გარკვეული ლიბიდოზური წარმოდგენების შენაცვლება „დაცვითი მექანიზმებით" /იხ. სიმბოლო, დაცვითი მექანიზმები/.

სიმბოლო /ბერძ. symbolon პირობითი ნიშანი/ — რაიმე იდეის პი- რობით ამსახველი გრძნობადი შინაარსი: | მაგ., ქუდის მოხდა პირობით გამოხატავს მისალმებას; ფრინველი „მტრედი" პირობით გამოხატავს მშვიდობის იდეას. სწორედ ეს, ერთი მოვლენის შინაარსში მაგ., „მტრედში" მეორე მოვლენის იდეის პირობით გულისხმობა| ანი- ჭებს ამ შინაარსს /მტრედს/ უფლებას იყოს ნაგულისხმევი იდეის /მშვიდობის/ რეპრეზენტატი. ერთი მოვლენის შინაარსისთვის მეორე მოვლენის შინა- არსის პირობით მიკუთვნება ანიჭებს მას /პირველ შინაარსს/ სურ| ნიშ- ვნელობას. ამიტომაა შესაძლებელი სოდ გამოვიყენოთ ხელოვნურად კონ- სტრუირებული საგანიც კი. მაგ., დროშა ან ემბლემა, რ-რც სახელმწიფ- ოს ს., ან სამკერდე ნიშანი, რ-რც გმირობის იდეის გამომხატველი ს. თუ რატომ ხდება სახელდობრ ეს შინაარსი სწორედ ამ გარკვეული სიოს მა- ტარებელი, ამის საფუძველი მოვლენათა შორის მრავალნაირ აშკარა თუ ფარულ მიმართებებში უნდა ვეძებოთ.

ს., რ-რც იდეის გამომსახველი საშუალება, სპეციფიკურ ადნურია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოუმცა ზოგ ცხოველშიც შეიძლება მოინახოს ს-ს შორეული ელემენტი, მაგ., ფიქრობენ, რომ ფუტკრის „ცეკვა" ს-ურად გამოხატავს თაფლის მოგრო-ებით გამოწვეულ სიხარულს.

ს-ებით მდიდარია ად-ნის ინდივიდუალური თუ სოც. ცხოვრების ყველა სფერო, მისი სახეები აურაცხელია თვით ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი. „გამომხატველი მოძრაობები" — მიმიკა, პანტომიმიკა ს-ურად გამოსახავენ ად-ნის შინაგან მდგომარეობას. ფერებს ს-ური მნიშვ. მიეწერება, ყვავილებიც ს-ურად გამოხატავენ ად-ნის გრძნობებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ს-ს რელიგიაში. ეკლესია მთელი თავისი ატრიბუტებით ღმერთის იდეის ს-ურად ასახვას ემსახურება. ზიარება, ეკლესიის აზრით, ღვთაებასთან გაერთიანების ს-ა, ჯვარი —ქრისტეს ტანჯვის ს.

ხელოვნება ის დარგია, რ-იც ს-ური სახეებით უხვად სარგებლობს. მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში ცნობილია „სიმბოლიზმად წოდებული მთელი მიმართულება /მე-19 ს. ბოლო და მე-20 ს-ის დასაწყისი/. ფს-გიაში ფსიქოანალიტიკოსთა აზრით, ე. წ. „დაცვითი მექანიზმები" ს-რად იჩენენ თავს სუბ-ის მოქმედებებში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვ-ისაა „სიზმრის სიმბოლიკა" /ფროიდი/. მეცნ-ში ლოგიკა და მათემატიკა ს-ური ნიშნებით მუშაობენ.

ს-ს ასეთი გავრცელება უნდა აიხსნას იმით, რომ 1. ს. განყენებულ იდ-ეას ანიჭებს თვალსაჩინოებას, ხატოვნებას, რითაც მის გაგებას /წარმოდგენას/ აადვილებს, 2. ს. შეიცავს მოვლენის იდეას, აზრს, პრინციპს **განზოგადებულად. შემოკლებით და ფარულად:** რ-ის გაშლა-გავრცობა პერსპექტივაში შეზღუდული არ არის. ასეთია თხზულების სათაური, რ-იც უკვე ს-რად შეიცავს თხზულების მთავარ იდეას და მთელი თხზულება, მთელი მისი დინამიკა ამ სათაურის იდეის გახსნას ემსახურება.

სიმბოლური აზროვნება — ცნებების მაგივრად სიმბოლური ნიშნებით სარგებლობა, თვალსაჩინო, კონკრეტული სახეებით აზროვნება. დამახასიათებელია ბ-ვებისათვის გარკვეულ ასაკამდე და პრიმიტიული აზროვნების ად-ნებისათვის /იხ. სიმბოლო/.

სიმპათია /ბერძ. sympatheia — თანაგრძნობა/ — სხვისადმი მიმართული დადებითი გრძნობა, სხვისი მოწონების განცდა. სუბ. ისწრაფვის თავისი მოწონების ობიექტისაკენ, ის მას იზიდავს, გრძნობს მისდამი მიდრეკილებას, მასთან ურთიერთობა სიამოვნებს. ს-ის გრძნობა ჩნდება უნებლიედ, ანალიზისა და მოტივების გაცნობიერების გარეშე. „სიღრმითი ფს-გიის" მიმდევრები ს-ს თვლიან სუბ-ის „ენდოთიმური საფუძვლიდან" მომდინარე განცდად; ს. სოც. გრძნობათა ჯგუფს განეკუთვნება. /საპირ. ანტიპათია /იხ./.

სიმპტომი /ბერძ. symptōma — დამთხვევა, ნიშანი/ — რაიმე მოვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის დამახ. ნიშანი. ს-დან, ნიშნიდან ყოველთვის შეიძლება დავასკვნათ, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ფს-გიაში — რაიმეს მიღწევა, ქცევა-მოქმედება „სიმპტომატური" მნიშვნელობისაა, იგი გარკვეულ ფსიქიკურ მოვლენაზე, პიროვნულ თავისებურებაზე მიუთითებს. ყოველი მიღწევის, მოქმედების საფუძველი სუბ-ის ფს-კური თვისებებია, ტემპერამენტი, ხასიათი, ემოციურობა, აზროვნების თავისებურება, ამიტომ ყოველ ქცევა-მოქმედებაში, მიღწევებში ტიპოლოგიურ-პიროვნული ს-ები შეიძლება ამოვიკითხოთ. მედიც-ში ცნობილია, რომ გარკვეული ავად-ობა ორგანიზმში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს. ეს ცვლილებები ავად-ბის ს-ა, ნიშნებია. ავადობის დიაგნოზის დასმა მხოლოდ ს-ების საფუძველზეა შესაძლებელი, ამიტომ სიმპტომატოლოგია /მეცნიერება ს-ის შესახებ/ მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დისციპლინად ითვლება.

სიმულაცია /ლათ. simulātio — მიმსგავსება, თავის მოჩვენება/ — საკუთარი ჯანმრთელობის ცნობიერი მიმსგავსება ავად-ურ მდგომარეობასთან სხვისი მოტყუების მიზნით. როდესაც ვინმე სინამდვილეში ჯანმრთელადაა და რაიმე მიზნით ავად-ას იგონებს, თავს იავადმყოფებს, მაშინ ის სიმულიანტობს. ს-ას ეწოდება აგრეთვე აგრავაცია.

სიმპათიკური ნერვული სისტემა — იხ. ვეგეტატური ნერვული სისტემა.

სიმულტანური /ლათ. simul — ერთად, იმავე დროს/ — ორი მოვლენის დროში ერთად მიმდინარეობა, ორი სხვადასხვა გამღიზიანებლის ერთდროული ზემოქმედება, მაგ., პირობითი რეფლექსის გამომუშავებისექსპ-ში: ძირითად, უპირობო გამღიზიანებელ კვებასთან, სხვა გამღიზიანებლის, მაგ., სინათლის ან ბგერის შეუღლება მათი ერთდროული მოქმედების მიზნით. საპირ. . სუქცესიული /იხ./.

სინანული — უსიამოვნო გრძნობა, წუხილი იმის გამო, რომ ცხოვრების სარბიელზე რაიმე ფაქტი ან მოვლენა მოხდა არა იმგვარად, რ-რც სასურველი იყო. ს. ჩნდება უკვე განელილი მოვლენის შეფასების, ანალიზისა და მოვლენის სხვა შესაძლო ვარიანტის მასთან დაპირ-ბის საფუძველზე. ს-ის განცდაში აზროვნებისა და საერთოდ შემეცნებითი აქტების მონაწილეობის გამო იგი ინტელექტუალურ გრძნობათა ჯგუფს განეკუთვნება.

სინგულარიზმი გრძნობებში /ლათ. singulāris — გამოყოფილი, ცალკე აღებული/ — მიმდინარეობა გრძნობის ფს-გიაში, რ-ის მიხედვით არსებობს მხოლოდ ერთი ელემენტარული გრძნობა — სიამოვნება ან უსიამოვნება, ყველა სხვა გრძნობა ამ ორ ელემენტზე დაიყვანება. ს-ის წარმომადგენელთა აზრით, გრძნობის სხვადასხვა სახეები თვისობრივად ერთ განცდას — სიამოვნებას /უსიამოვნებას/ წარმოადგენს. მაგ., მუსიკალური სიმფონიის მოსმე -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით ან მხატვრობის შედეგის ჟვრეტით მიღებული სიამოვნება ისეთივე ხასიათის სიამოვნებაა, რ-რიც კარგი საჭმლის ჯამით განცდილი სიამოვნება. სხვანაირად ის მხოლოდ იმიტომ გვეჩვენება, რომ წარმოდგენები, რ-თაც ყოველი მათგანი უკავშირდება სხვადასხვანაირია და ეს გარემოება ქმნის მათი სხვანაირობის შთაბეჭდილებას. თვით ეს ორი| გრძნობა – სიამოვნება და უსიამოვნება –ორ თვისობრივად განსხვავებულ განცდად კი არ ეიიჩნევა, არამედ ერთმანეთის უარმყოფელ ერთი სახის განცდად. სიამოვნება არის ის, რომ ამჟამად მე უსიამოვნება არა მაქვს და –პირიქით, ამბობდნენ ს-ები /ა. შოპენჰაუერი/. ს-ის საწინააღმდეგო| მიმდინარეობაა ჰლურალიზმი /იხ./.

სინდისი – სპეციფიკური ად-ნური თვისება, რ-ის დანიშნულებას შეადგენს: ინდივიდის გარესამყაროსთან ურთიერთობაში «სოც. ღირებულებათა პატივისცემა, საკუთარი მოვალეობების და ვალდებულებების შეგრძნების პოზიციიდან თავისი ქცევის ეთიკურ-ზნეობრივი მნიშვნელობის გაანალიზება და მისი იმ პრინციპზე დაფუძნება, რ-საც სხვის ქცევას უყენებ /ი. კანტი/ და, რ-იც თანამედროვე კულტურის დონეზე სოც. ცხოვრების პრინციპად და ნორმად არის მიღებული და დაკანონებული.

პიროვნების სტრუქტურულ წყობაში ს. უმაღლეს ინსტანციად „ზე-მედ" ითვლება, რ-იც პიროვნებას ქცევის ნორმატივებს უწესებს და მის შესრულებას კონტროლს უწევს; მან ყოველთვის უშუალოდ იცის, თუ რომელი ქცევა მისაღები თუ აუცილებელი; ხოლო სოც. ცხოვრების ნორმებთან ქცევის შეუსაბამობის გაცნობიერება და მისი განცდა იწვევს სინანულისა და სირცხვილის გრძნობას და „სინდისის ქენჯნასაც კი", რ-იც მეტად შემაწუხებელი განცდაა.

ს. მხოლოდ ად-ნის კუთვნილებაა /ცხოველი მას მოკლებულია საკუთ-ბით/, იგი ად-ნს პიროვნებად და საზოგადოების წევრად-ჰოქალაქედ ხდის.

ს-ის მოქმედება გონების მაღალი აქტებით და უმაღლესი ცნობიერების ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე პროცესია, იმავე დროს იგი მწვავე ემოციური განცდაა, ამიტომ ს. ინტელექტუალურ გრძნობად მიიჩნევა.

ად-ნი რომ ს-ის კარნახს დაემორჩილოს და მისი პრინციპებით მითითებული ნორმები განახორციელოს, საკმარისი არ არის მარტო გრძნობა-გონების კარნახი, არამედ მათთან ერთად აუცილებელია| მოქმედებაში, ს-ის გადაწყვეტილების შესრულებაში ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს აქტიური ჩარევაც და ს-ის საწინააღმდეგოდ მიმართულ| ინსტინქტურ ლტოლვათა დათრგუნვა, რ-იც მუდამ თავისი რეალიზაციისაკენაა მიმართული და ყოველ შეზღუდვას ეწინააღმდეგება.

სინესთეზია /ბერძ. –თანაშეგრძნება/ –ერთი შეგრძნების ორგანოს გაღიზიანებით ორი სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებათა გამოწვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობს შემდეგში: რ-იმე ერთი შეგრძნების ორგანოს გაღიზიანება თავის შესატყვის შეგრძნებასთან ერთად იწვევს მეორე განსხვავებული ორგანოს შესატყვის სპეციფიკურ | შეგრძნებასაც, რ-ის შესატყვისი გაღიზიანება!ფაქტიურად არ მომხდარა. მაგ., ზოგ სუბ-ში სმენის ორგანოს გაღიზიანება ტონის შეგრძნებასთან ერთად აღძრავს მხედველობით შეგრძნებასაც. როცა ასეთ ადამიანს ესმის რაიმე მუსიკალური ნაწარმოები, მას, ბგერების შეგრძნებასთან ერთად, გარკვეული ფერების შეგრ - ძნებაც უჩნდება, თუმცა ამ მეორე მოდალობის |/ფერების/ შეგრძნების აქტუალურ გაღიზიანებას ადგილი არ ჰქონია. გამოდის, თითქოს, ბგერას ფერი ჰქონდეს. ს-ის ამ მოვლენას „ფერადი სმენა", / audition colorée / ანუ **ფოტიზმი** ეწოდება. ზოგჯერ პირიქით ხდება: მხედველობის გაღიზიანების შედეგად სუბ. ხედავს ფერს და მასთან ერთად ესმის ბგერაც, თუმცა სმენის ორგანოს გაღიზიანება არ მომხდარა. თითქოს ფერი ბგერას გამოსცემდეს. ს-ის ამ მოვლენას **ფონიზმი** ეწოდება. პირველთან ანალოგიით ამ უკანასკნელს შეიძლება „ყღერადი ფერი" ვუწოდოთ. მხედველობით შეგრძნებას შეუძლია გამოიწვიოს აგრეთვე სუნის ან გემოს თანაშეგრძნება, ან პირიქით, სუნის ან გემოს შეგრძნებამ შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის /ფერის/ შეგრძნება / olfaction colorée/. ამ სახით შეიძლება შეგ - რძნების ყველა ორგანო ურთიერთს დაუკავშირდეს. ს. მხოლოდ ზოგი ადნის დამახასიათებელი თვისებაა. ასეთ ად-ნს სინესთეტიკოსს უწოდებენ. | ს-ს გვაგონებს მოვლენა, როცა ერთი შეგრძნების ორგანოს გაღიზიანება იწვევს მეორე მოდალობის წარმოდგენას /და არა შეგრძნებას როგორც ეს ს-ის შემთხვევაში ხდება/. მაგ. ბგერა „უ" ზოგ ად-ში შავი ფერის წარმოდგენას უკავშირდება, ბგერა „ა" თეთრი ფერის წარმოდგენას და ა. შ. ეს მოვლენა ნამდვილ ს-ად არ ითვლება, თუმცა ზოგი მას ს-ად ფიქრობს.

| ს. „შეგრძნებათა ინტერმოდალური ერთიანობის" ერთ-ერთ ფაქტად ითვლება.

სინთეზი /ბერძ. synthesis → შეერთება/ —ფს-გიაში: გონებრივ-ინ - ტელექტუალური აქტი, რ-ის შედეგად ორი ან მეტი ელემენტი ან თვით ორი საწინააღმდეგო ნაწილი. ერთ მთლიან ერთეულად | ერთიანდება. იგი არის ცნების შემუშავების უკანასკნელი საფეხური, როცა საგნისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები სიტყვაში ერთდება სახელდების გზით. ს-ის აქტით მიღებული მთლიანობა მის შემადგენელ ნაწილთა უბრალო ჯამზე მეტია და ახალ რომელობას წარმოადგენს.

ვ. ვუნდტმა ფს-გიაში ახსნის მიზნით შემოიტანა „ცნობიერების შე - მოქმედებითი სინთეზის პრინციპი", რ-იც საფუძვლად დაუდო შეგრძნებით მიღებულ ელემენტთა აღქმაში გაერთიანებას; ამ პრინციპის თანახმად, გაერთიანებული, ე. ი. სინთეზირებული მთლიანი, ყოველთვის მეტია თავი-

სი ელემენტების ჯამზე. ის ახალი რომელობაა. ამის | სალუსტრაციოდ ვუნდტს მოჰყავს ბგერათა გაერთიანების შედეგად მიღებული მელოდიის აღქმის მაგალითი, რომ მელოდია არის ბგერათა უბრალო ჯამისაგან განსხვავებული ახალი სინთეზირებული მთლიანობა.

სინკრეტიზმი -/ბერძ. synkrētismos – გაერთიანება, შერწყმა/ – ძველი და საშუალო საუკუნეების ფილოს-ში ს-ს უწოდებდნენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებათა გაერთიანებას, შერწყმას. მაგ., მე-16 საუკ. სინკრეტისტებს უწოდებდნენ ფილოს-ებს, რ-ნიც ცდილობდნენ პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებათა შერიგებას. თანამედროვე ფს-გიაში ტერ. ს-ს აღქმისა და აზროვნების დაბალი, პრიმიტიული ფორმების აღსანიშნავად იყენებენ. /იხ. სინკრეტული აზროვნება/.

სინკრეტული აზროვნება – ფს-გიაში ეწოდება ისეთი დაბალი ფორმის აზროვნებას, |რ-ც |აგებულია არა მიზეზ-შედეგობრივი პრინციპის, არამედ საგანთა ერთიმეორის გვერდით არსებობის საფუძველზე, მაგრამ აღიქმება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მნიშვნელობით. ამ პრინციპის მიხედვით, ყველაფერი შეიძლება ყველაფერთან მიზეზობრივ კავშირში დაყენო. ს. ა. არ არის აბსტრ. ცნებითი აზროვნება, იგი საგნის გლობალური აღქმის, თვალსაჩინო ხატის საფუძველზე აგებული დიფუზური აზროვნებაა. ს. ა-ში საგნის აღქმა ერთი ნიშნის შიხედვით ხდება /ისიც შეიძლება არაარსებითი ნიშანი იყოს/, ამიტომ ს. ა-ის აღქმაში ან წარმოდგენაში მოცემული საგნის ხატი არ არის ანალიზისა და სინთეზის გზით ცალკე ნიშნებისაგან აგებული, შინაგანად დანაწევრებული მთლიანი საგანი. ს. ა. თავისი ბუნებითა და შინაარსით თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნებაა, რ-ც დამახასიათებელია პრიმიტიული ადამიანისათვის /ლ. ლევი-ბრიული/ და ბავშვისათვის გარკვეულ ასაკამდე, 3 – 7 წლამდე /ჟ. პიაჟე, ე. კლაპარედი/.

სინოფსია – სინესთეზიის ერთ-ერთი სახე: რ-ლიმე მოდალობის აგზნება იწვევს მხედველობის თანააგზნებას, თანახედვას. ყველაზე ხშირად ჩნდება ბგერის |შეგრძნებასთან დაკავშირებით, ე. წ. „ფერადი სმენა" / audition colorée/, იხ. სინესთეზია.

სინქრონული – ერთდროული.

სირცხვილი – თავის თავისკენ მიმართული უსიამოვნო გრძნობა, ზოგ შემთხვევაში უკიდურესად შემაწუხებელი, ჩნდება სოც. კონტაქტების პირობებში, მხოლოდ ად-ნისათვისაა დამახ. ცხოველთა სამყარო მას სავსებით მოკლებულია. სირცხვილის გრძნობას იწვევს საკუთარი საქციელის, რ-რც საზოგადოებრივად გაუმართლებელი ქცევის გაცნობიერება; მაგ., როდესაც ვინმეს აყენებ ზიანს, სოც. თვალსაზრისით იქცევი შეუწყნარებლად, უსამართლოდ, ანტისაზოგადოებრივად, ამის გაცნობიერება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი ღირსების პატივისმცემელ სუბ-ში იწვევს სინდისის ქენჯნას და ს-ის გრძნობას.

ად-ნური ღირსების დამამცირებელი ქცევის გაცნობიერება იწვევს ს-ის გრძნობას; სუბ. გაბიცდის საკუთარი პიროვნების ად-ნური საწყისების და ღირსების შელახვას, დაკნინებას, დამცირებას, ურჩევნია საზოგადოებაში არ გამოჩნდეს, „გაქრეს", „მიწა გაუსკდეს" და სხვა.

ს-ის გრძნობას ახასიათებს გარეგანი გამომსახველი ნიშნები: პირისახის გაწითლება, თვალების დახრა, თავის ჩაქინდვრა. განსხვავდება მორცხვობისაგან ; მორცხვობის ნაცვლად ცნება ს-ის გამოყენება უმართებულოა.

ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიური მნიშვ. ს-ის გრძნობა სოც. დაცვით რეაქციად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი სოც.-საზოგადოებრივ საფუძველზეა წარმოშობილი და განვითარებული.

სისტემატური ექსპერიმენტული თვითდაკვირვების მეთოდი —თვით დაკვირვების მეთოდის ისეთი სახეობა, როცა ექსპერ-ტატორი ცდ-ს აძლევს გადასაწყვეტად გარკვეულ ამოცანას /მაგ., ორ სიტყვა-ცნებას მოუნახოს მათი ზემდებარე ცნება, ან შეადგინოს მათგან აზრიანი წინადადება ან მოთხრობა/ და გადაწყვეტის შემდეგ, წინასწარ შედგენილი გეგმის /კითხვარის/ მიხედვით, აწარმოებს ცდ-ის სისტემატურ გამოკითხვას იმის შესახებ, თუ რა განცდები, წარმოდგენები და აზრები გაუჩნდა მას ცდის პროცესში და რა ხერხებს მიმართავ იმისათვის, რომ ამოცანის სწორი გადაწყვეტა მოენახა.

ს. ე. თ. ბ. შეიმუშავეს „ვიურცბურგის ფსიქოლ. სკოლაში" აზროვნებისა და ნებელობის რთული პროცესების შესწავლის მიზნით. გამოკვლევებით, რ-ებიც აღნიშნული ექსპერ. მეთოდით იყო ჩატარებული, დამტკიცდა, რომ წინააღმდეგ ასოციაციური ფს-გიის ა, აზროვნებისა და ნებელობის პროცესები, არც შინაარსეულად და არც მათი მიმდინარეობის დინამიკით არ დაიყვანება თვალსაჩინო გრძნობად წარმოდგენებზე და მათ შორის არსებული კავშირების მექანიკურ მოქმედებაზე /იხ. ვიურცბურგის ფს-გიური სკოლა, თვითდაკვირვება/.

სიტლანქე განწყობისა — საპირ. განწყობის პლასტიკურობა /იხ. განწყობის ინდივიდუალურ-დიფერენციული ხასიათი/.

სიტუაცია /ლათ. situs — მდებარეობა, მდგომარეობა/ —ფს-გიაში გულისხმობს გარემოს იმ ნაწილს, რ-შიც ჩაყენებულია ცოცხალი არსება. შეიცავს მისი არსებობის პირობებს და მოქმედების სარბიელს. ს. სუბ-ის მოქმედების ერთ-ერთი ფაქტორია, ის ობიექტურად მოცემული გარემოს ნაწილია, რაც ცოცხალი არსების აქტუალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს; ამიტომ ობიექტური გარემო ყოველთვის ერთია, ს. კი იმდენი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენი მოთხოვნილებაც ადონს უჩნდება. ამ შინაარსით იგი ყოველ ცოცხალ არსების ქცევის განმსაზღვრელია; სოც. ფს-გიაში იგი ნიშ-ნავს პირობებს, რ-შიც სოც. ჯგუფის, საზოგადოების მოქმედება მიმდინარეობს.

დ. უზნაძის განსაზღვრებით ს. არის სუბიექტის რაიმე მოთხოვნილებით გამოწვეული შინაგანი მდგომარეობის ერთიანობა მისი დაკმაყოფილებისთვის საჭირო გარეგან პირობებთან; მაგ., თუ კაცს წყალი სწყურია და წყალი შორსაა, ხოლო დრო მეტად განსაზღვრული აქვს, ის გაიქცევა და სირბილით გაიელს გზას წყარომდე და უკან. მისი ქცევა-სირბილი, როგორც მოქმედება, განპირობა განსაზღვრა ს ი ტ უ ა ც ი ა მ, რ-იც ამ შემთხვევაში არის წყურვილის მოთხოვნილებით გამოწვეული შინაგანი მდგომარეობის, წყლის სიშორის და დროის უქონლობის ერთიანობა, მათი ერთადერთ, კომპლექსურ სისტემაში შერწყმა. ს-ის ცნება ამ გაგებით დ. უზნაძემ „განწყობის თეორიის" ძირითად ცნებად გამოიყენა.

სიტუაციური ფსიქოზი — სიტუაციით, რაიმე გარეპირობებით გამოწვეული სულიერი დაავადება.

სიტუაციადმი სიბრმავე — იხ. ალექსია.

სიღრმის ფსიქოლოგია /გერმ. Tiefenpsychologie/—მიმართულება ფს-გიაში, შეისწავლის იმ ფს-კურ მოვლენებს, რ-ებიც ცნობიერებასთან მიმართებაში იმყოფებიან, ცნობიერებაზე ზეგავლენას ახდენენ, მაგრამ თვითონ ცნობიერების ფენომენებს არ წარმოადგენენ. ასეთად მიღებულია წინაცნობიერის, ქვეცნობიერისა და არაცნობიერად წოდებული მოვლენები ფს-გიაში. თვით სახელწოდება „სიღრმითი ფსიქოლოგია" წარმოიშვა ფს-კის ფენობრივი აგებულების იდეიდან, რ-ის მიხედვითაც ადონის განვითარების ადრეული საფეხურის წარმონაქმნებს პიროვნების წყობაში, უფრო ქვედა ფენა უკავია, ხოლო განვითარების შემდეგი პერიოდის წარმონაქმნებს—ცნობიერებასთან უფრო ახლო მდებარე ზედაფენები. ამ ფენათა სიღრმითი ურთიერთმიმართების სტრუქტურული წყობა პიროვნების მოდელს ქმნის. ტერმინი „სიღრმის ფსიქოლოგია" შემოიტანა ე. ბლოილერმა. დღეს ამ ტერმინით აღნიშნავენ იმ ფსიქოლოგიურ თეორიებს, რიც მიზნად ისახავენ ე. წ. არაცნობიერი ფსიქიკის შესწავლას. ს-ის ცნებამ ფართო გავრცელება პოვა თანამედროვე ფს-გიაში /ფსიქოანალიზი, პერსონალისტური ფს-გია, ანალიზური ფს-გია/. მისი კვლევის საკითხებია: 1. დინამიკა, სტრუქტურა და დამოკიდებულება ლტოლვა-აფექტსა, გრძნობებსა და ნებისყოფას შორის; 2. მოქმედებები, რ-მელთა მოტივაცია და ფუნქციური კომპონენტები თავიდან მოცემული არ ყოფილა, მათი გაანალიზება არ მომხდარა და ქცევა მათ გარეშე ხორციელდება; 3. დაცვითი მექანიზმები, მათი მოქმედება და მნიშვ. /სუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცია, გადატანა, კომპენსაცია, პროექცია და სხვა/. 4. სიზმარი, ოცნება, დავიწყება, უნებლიე შეცდომები, ხატოვან-სურათოვანი აზროვნება, არაცნობიერი ტენდენციები, დაძაბულობანი, რომლებიც პიროვნებაში არაცნობიერად ვითარდებიან, განცდასა და ქცევაზე ზეგავლენას ფარულად ახდენენ და ბოლოს რაღაც პატარა მიზეზით, უმნიშვნელო ბიძგის ზეგავლენით შეუძლიათ დიდი აფექტი გამოიწვიონ.

ს. ფროის ცნებას ფართოდ იყენებს განვითარების ფსიქიკა, რომელიც დიდ მნიშვნელობას მიაწერს ადრეული ბავშვობის განცდებს და ჩვევებს პიროვნების ფორმირებაში. ამ ცნებით სარგებლობენ აგრეთვე კულტურისა და სოც. ფსიქიკის დარგები.

სიცილი — ინტელექტუალური გრძნობების /იუმორი, ირონია და სხვ/ — „გამომხატველი მოძრაობა" /მიმიკა/, რაც ხშირად უკავშირდება სხეულის სხვადასხვა ორგანოების მოძრაობები: ხმის თავისებური მოდულაცია, თავის უკან გადაგდება, ხელების გაშლა და სხვა; ს. გადამდებია, იწვევს სხვაში წაბაძვის იმპულსს /იხ. იდეომოტორული კანონი/, სასიამოვნო გრძნობების გამომხატველია; წარმოიშობა არაწინასწარი განზრახვის, გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ უნებლიედ. რეფლექტორულად; თანდაყოლილი რეაქციის ფორმაა, /ბავშვი დაბადების პირველ დღეებშიც იღიმება, დ. უზნაძე/; სპეციფიკურ-ადამიანური მოვლენაა; ცხოველი მას სავსებით მოკლებულია. სიცილი უმთავრესად გამოწვეულია მოლოდინის შეუფერებლობით იმასთან, რაც ფაქტიურად ხდება; მოითხოვს სუბ-სავან სიტუაციის წვდომას, მასში გარკვეულ კონტრასტების დანახვას, მჭიდროდაა დაკავშირებული ტემპერამენტის ტიპთან. ს. შეიძლება იყოს ნორმალური, ფიზიოლ. /ლიტინით გამოწვეული/, პათოლოგიური /ფსიქოზური, ისტერიული/. ნორმალური ს. მრავალნაირია. სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავს ს-ის შემდეგ სახეებს; „ღიმილი, სიცილი მცირე ხმიანი, დაბალი, მაღალი, ხარხარი, თქართქარი /სიცილი მრავალთაგან შემკობით, ღინცილი/, არს სიცილი მიწყივ უწესო /ფრუტუნი/, ვის არ ენებოს სიცილის გამოჩენება და ერთს საცინელ საქმეზე წარცინოს და დაიდუმოს."

უნდა აღინიშნოს, რომ ს., რომელიც გამომხატველი მოძრაობა, ფსიქიკაში სათანადოდ გაანალიზებული არ არის. არაა მოცემული მისი მეცნ. კლასიფიკაცია, არც მისი ბიოლოგიური მნიშვნელობაა შესწავლილი. არ არის შეთანხმება იმაზედაც, თუ რა საფუძველზე წარმოიშობა ს. რატომაა, რომ ერთი და იგივე სიტუაციაზ ერთში იწვევს ს-ს, მეორეში — არა; სიტუაცია, რომელიც ვთქვათ, გუშინ სასაცილოდ ეჩვენებოდა ვინმეს, დღეს მასვე სრულიად ეღარ ეჩვენება სასაცილოდ, ზოგჯერ კაცს უმნიშვნელო რამ გააცინებს, ზოგჯერ კიდეე ობიექტურად დიდად სასაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო რამ მასში, სიცილს არ აღძრავს. ჩანს, მარტო სიტუაცია, მოვლენათა კონტრასტები, ს-ის წარმოშობისათვის არ ყოფილა საკმარისი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით გარესიტუაციით და შინაგანი მოთხოვნილების ერთიანობით შექმნილი განწყობა არის ის საფუძველი, რ-იც განსაზღვრავს ყოველ ფსიქიკურ მოვლენას და, რასაკვირველია, სიცილსაც. სუბ-ის განწყობა უდევს საფუძვლად იმას, რომ ერთნაირად სასაცილო სიტუაცია ზოგჯერ იწვევს სუბ-ში სიცილს, ზოგჯერ-არა; ერთში იწვევს, მეორეში-არა. თუ შინაგანად განწყობილი არა ხარ, უაღრესად კომიკური სიტუაციაც ვერ გამოიწვევს ს-ს. თუ გაქვს სათანადო განწყობა, მაშინ უმნიშვნელო კომიზმიც კი სასაცილოდ გეჩვენება. ს-ის აღნიშნული პრობლემების განწყობის საფუძველზე ექსპერიმენტული დასაბუთება განწყობის ფს-ვის მომავალი კვლევის საკითხია.

სიცოცხლის გრძნობები /გერმ. Lebensgefühl/ – არსებობის ძირითადი პირობებით განსაზღვრული **გრძნობები**, ასეთია: 1. ვიტალური მოთხოვნილებებით გამოწვეული გრძნობათა ჯგუფი – შიმშილი, წყურვილი, ტკივილი დაღლილობა, დასვენება, სხეულის ზოგადი მდგომარეობა /კარგი ან ცუდი/; 2. ასეთია სიცოცხლის ძირითადი განწყობილებანი: მხიარულება, დეპრესია, წუხილი, დარდი და ყოველგვარი აფექტი – შიში, რისხვა, ექსტაზი და სხვა. ფ. ლერშის აზრით, ს-ში ყველაზე მკაფიოდაა გამოკვეთილი საკუთრივ „სიცოცხლის" განცდა; ის იმ ვიტალურ მოთხოვნილებებით გამოწვეულ გრძნობებში და განწყობილებებში აისახება, რ-ებიც „ენდოთიმურ საფუძველში" ჩნდებიან.

სიცოცხლისადმი მისწრაფება /გერმ. Lebenstrieb/ – ტერ. ეკუთვნის ზ. ფროიდს. ლტოლვის ერთ-ერთი სახე, მიმართულია რ-რც საკუთარი, ისე –საზოგადოებრივი სიცოცხლის შენარჩუნებისკენ. არსებითად იგივეა, რაც ეროსი, საწინ. სიკვდილისადმი მისწრაფება /იხ./.

სიცოცხლის ფორმები /გერმ. Lebensformen/ – ე. შპრანგერის /1882 – 1963/ მიერ შემოტანილი ტერმინი. გულისხმობს ცხოვრების მიმდინარეობაში შექმნილ კულტურულ ღირებულებათა მთავარ კატეგორიებს, რ-ებიც სიცოცხლის კონკრეტულ ფორმებს გამოხატავენ; ასეთი ღირებულებებია: თეორიული, ეკონომიკური, ესთეტიკური, სოც-პოლიტიკური, ძალაუფლებისა და რელიგიური. მთავარ ღირებულებებს გამოეყოფა კიდევ სხვა, დაქვემდებარებული ღირებულებანი. ღირებულებათა რეალიზაცია სათანადო სტრუქტურული სახით მიმდინარეობს და ქმნის სიცოცხლის გარკვეულ ფორმებს, რ-ებიც ემყარებიან პიროვნების განცდების და ინტერესების ცოცხალ კავშირებს, ჩართულს ობიექტურ-ნორმატულ გონში /მორალი, ფილოსოფია, ზნე-ჩვეულებები და სიცოცხლის სხვა კულტურული ღირებულებანი/. აღნიშნული ღირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებები და სიცოცხლის ფორმები, რ-რც მოქმედების და მოღვაწეობის ასპარეზი| ტიპურად განსხვავებულ ადამიანთა შესატყვისია. ამიტომ ყოველი სუბ. თავისი მოღვაწეობის ასპარეზად ირჩევს საკუთარ ტიპოლოგიურ-პიროვნულ მონაცემებთან შესაფერის სიცოცხლის ფორმას. თანახმად ზემოჩამოთვლილი ღირებულებებისა და მათზე დაფუძნებულ სიცოცხლის ფორმებისა ეა შპრანგერი ად-ნთა|6 იდეალურ ტიპს გამოყოფს. ასეთებია: თ ე ო რ ი უ ლ ი ტიპი, იგი დაინტერესებულია თეორიულ-შემეცნებითი საკითხებით და თავისი კვლევის საგნად ჰეშმარიტების. ძიების პრობლემას ისახავს; 2. ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ტიპი—პრაქტიკულ-ეკონომიკური საკითხებითაა დაინტერესებული და ეკონომიკურ ღირებულებათა სფეროში ცდილობს თავისი ინტერესების რეალიზაციას; 3. ე ს-|თ ე ტ ი კ უ რ ი ტიპი — ყველაზე მაღლა ესთეტიკურ |ღირებულებებს აყენებს და ესთეტიკური ტკბობის მიზნის განხორციელებისკენ ისწრაფვის; 4. ს ო ც ი ა ლ უ რ ი ტიპი — თავის საკუთარს, პირადულს უკან აყენებს და საზოგადოებრივი მნიშვ-ბის მქონე|ღირებულებებს სამსახურში ხედავს თავის მიზანს; 5. ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ტიპი—ისწრაფვის თავის იდეალებს, აზრებს და მიზნებს დაუქვემდებაროს სხვისი მოქმედება, საკუთარი შეხედულებები სხვას მოახვიოს თავზე; 6. რ ე ლ ი გ ი უ რ ი ტიპი — თავისი არსებობის მიზანს ღვთის მსახურებაში ხედავს და, მისი ქცევა ამ იდეას არის დაქვემდებარებული.

შპრანგერის მიერ გამოყოფილი ადამიანთა ტიპები შინაგანად ინტიმურ კავშირში იმყოფებიან სიცოცხლის გარკვეულ ღირებულებებთან და სიცოცხლის იმ ფორმებთან, რ-იც ამ ღირებულებათა საფუძველზე ჩამოყალიბდა.

სკინერის უუთის მეთოდი — იხ. პრობლემური უუთის მეთოდი.

სკოლამდელი ასაკი — იგივეა, რაც „სკოლის წინარე ასაკი".

სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი /დ. უზნაძის გამოკვლევების მიხედვით/ — ბ-ვის ასაკი 2-დან|4 წლამდე. ძუძუს გადაჩვევა და ფეხის ადგმა, რ-იც ამ პერიოდში ხდება, არსებითად ცვლის ბ-ის გარემოს. სიარულის დაწყება მნიშვ-ნი ფაქტორია, რ-იც გარეგამღიზიანებლის სფეროს აფართოებს. **ფიზ. განვითარება:** სხეულს დამრგვალება ემჩნევა. შინაგანი სეკრეციის სისტემაში ჯერ კიდევ დიდ როლს თიმუსი ასრულებს, ხელს უწყობს კბილების ამოსვლას. ფუნქციობას იწყებენ ფარისებრი |ჯირკვალი |და ჰიპოფიზი. **ცენტრალური** |ნერვული სისტემის. ფორმირება საბოლოოდ| მთავრდება; სამი წლის ბ-ვის ტვინი ზრდადამთავრებული ად-ნის ტვინის 3/4 იწონის. **მოტორიკა:** ამ პერიოდის ბოლოსათვის უმუშავდება საკმაოდ მტკიცე მოტორული ჩვევები: კიბეზე ასვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსვლა, ხტომა და სხვა. **ორიენტაცია** სივრცეში: ძლიერ განვითარებას განიცდის ფეხის ადგმის მეოხებით. ოპტიკური და შეხებით-კინეს თეტური შთაბეჭდილებების გზით ბ-ვი ეცნობა არა მარტო ახალ საგნებს, არამედ სივრცით მიმართებებსაც: | დიდი — პატარა, ახლოს — შორს, მარჯვნივ — მარცხნივ და სხვა. **ორიენტაცია დროში:** ამ პერიოდში ბ-ვს უჩნდება წარსულისა და მომავლის განცდები, ის იგონებს და | წარმოიდგენს საგნებს. **საქმიანობა:** პირველად ამ პერიოდში იჩენს თავს; ასეთია მაგ., თვითმომსახურების ქცევები /ჩაცმა-დახურვა, ჭიქის მოძებნა და სხვა/, სხვათა დავალების შესრულება მოიტანე სკამი, გააღე კარი და სხვა/, თამაშის ორგანიზაცია /კლასობანას, სათამაშო წრის დახაზვა და სხვა/. **მეტყველება:** იწყება ნამდვილი მეტყველება, სიტყვები სიმბოლურ მნიშვნელობას იძენენ. ბ-ვი იგებს, რომ ყოველ საგანს აქვს თავისი სახელი, ის დაყინებით კითხულობს, თუ რა ჰქვია ამა თუ იმ საგანს.

ამასთან დაკავშირებით ბავშვის აზროვნება სწრაფი ტემპით მიიწევს წინ. სიტყვა ის საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს აღქმული შინაარსის ობიექტივაციის-ყალიბდება საგანთა სამყარო. **ილუზიის თამაში:** დამახასიათებელია სასკოლო ასაკამდეც, მაგრამ სწ. ა.-ში ბ-ვის ქცევის დომინანტურ ფორმად იქცევა. თუ წინა პერიოდში ბ-ვის თამაში „ექსპერიმენტულ" ხასიათს ატარებდა /იხ. ექსპერიმენტული თამაში/, აღნიშნულ პერიოდში იგი გარკვეული სიუჟეტის მატარებელია, ბ-ვი თამაშობს „ცხენობანას", მძღოლობანას, აძინებს დედოფალას და სხვა. მათთვის დამახასიათებელია მზრუნველობის ტენდენცია /უფლის დედოფალას: აძინებს, წამალს ასმევს და სხვა/. **აზროვნება:** დამახ. ეტ. „პრაქტიკული აზროვნება", როცა აზროვნება მოქმედების პროცესში ხორციელდება, მას /მოქმედებას/ წინ არ უსწრებს | და მეტყველებას არ საჭიროებს /იხ. თვალსაჩინო ხატოვანი აზროვნება/. აზროვნების ეს ფორმა დომინანტურია განვითარების ამ პერიოდში. იგი ვლინდება ფანტაზიის თამაშში, სოც. ქცევის სახით, თვითმომსახურების მარტივ ფორმებში /იხ. აზროვნების ონტოგენეზური | განვითარება/. **ნებისყოფა:** განსხვავებით „ძუძუს ბ-ბის ხანისაგან, როცა ბ-ვი მარტო სენსო-მოტორულ არსებას წარმოადგენს, სწ. ა. წ. პ-ში ბ-ვი უკვე ნებისყოფის ელემენტებსაც ავლენს. ახლა იგი თავისი მისწრაფების საგანს ზოგჯერ შეგნებულადაც ირჩევს და თავისი მოქმედების მიზნად ისახავს. ცხადია, ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ქცევის ხანგრძლივ წარმართვას ცნობიერად დასახული მიზნის მიხედვით, ხშირად იცელის მიზანს და სხვა ქცევაზე გადადის, მაგრამ წმინდა სენსო-მოტორულ არსებად ის უკვე არ ჩაითვლება. სწ. ა. | წ. პ. ნამდვილი ნებისყოფის მომწიფების დასაწყისი პერიოდად ითვლება. „მე"-ს **ცნობიერება:** იწყება ობიექტის წარმოდგენით და მისი გაცნობიერებით, რაც თავს იჩენს მეორე წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, ბ-ვი საგანს უპირისპირდება და საკუთარ „მეს“-საც აცნობიერ-ებს. ამ მომენტიდან მასში თვითცნობიერება იღვიძებს. ბ-ის მეტყველება მდიდრდება „მე“-სთან დაკავშირებული ნაცვალსახელებით /მე, ჩემი/. ბ-ის თვითცნობიერებისა და ნებელობის განვითარებასთან დაკავშირებით თავს იჩენს ენინანობა, ის იმდენად ძლიერია, რომ მას ბ-ის „პირველი ენინანობის ხანას“ უწოდებენ /იხ. ენინანობის ხანა/. **შემოქმედების ფორმები:** პირველად თავს იჩენს კონსტრუქტული თამაშის, პლასტიკური სახვის ანუ ძერწვის და ხატვის სახით. აღნიშნულ ასაკში შემოქმედების ამ სახეების მხოლოდ ჩანასახებს ვხვდებით. კონსტრუქტული თამაშის მარტივ ფორმას შენების თამაში წარმოადგენს, მაგრამ ნამდვილი შენება, რის მიზანი ახალი ფორმის შექმნაა, ამ ასაკისთვის ჯერ კიდევ უცხოა. ბ-ვი სილას ყრის, წყალს ასხამს ჭურჭელში და ცლის და ამ მასალებისაგან ახალი ფორმის შექმნისაკენ არ ისწრაფვის. ამიტომ მას ეწოდება „თავისუფალ ფორმათა თამაში“. არსებითად, ივიეე ითქმის პლასტიკური სახვის და ხატვის შესახებ. **პლასტიკურ სახვაში** — ცომი, ტალახი და პლასტელინი გამოყენებულია არა ახალი ფორმების შექმნის მიზნით, არამედ მათზე მანიპულაცია „თავისუფალი ფორმების“ თამაშს წარმოადგენს. ბ-ვი გლეჯს, ზელს და ალაგებს მათ ერთიმეორის გვერდით, მაგრამ გარკვეული ფორმის შექმნას არ ესწრაფვის. **ხატვა:** აღნიშნულ ასაკში ჯღაბნის სახით არის წარმოდგენილი, ის მხოლოდ წინა მოსამზადებელი საფეხურია.

სკოლის წინარე ასაკი /დ. უზნაძის გამოკვლევების მიხედვით/— ბ-ის ასაკი 4-დან 7 წლამდე. წინა პერიოდთან /2—3 წელი/ შედარებით ს. წ. ა-ში ასაკობრივი გარემო მნიშვნელოვნად იცვლება; ბ-ვზე პედაგოგიურად მოწესრიგებული პირობები იწყებენ ზემოქმედებას, რ-ებიც ბ-ვის შინაგან შესაძლებლობას შეესატყვისება და მისი განვითარების აუცილებელ პირობას ქმნიან. **ფიზ. განვითარება:** არსებითად იცვლება მთელი ფიზ. ჰაბიტუსი, /7 წლის ბოლოსთვის / თავისა და კიდურების პროპორციული მიმართება სხეულის სიმაღლესთან ზრდადამთავრებული ადნისას უახლოვდება, მკვრივდება ძვლოვანი სისტემა, იწყება კბილების ცვლა, გაძლიერებულია ფარისებრი ჯირკვლის, ჰიპოფიზის და თირკმელზედა ჯირკვლის მოქმედება. თავს იჩენს პირობითი რეფლექსების გამომუშავების უნარი. **მოტორიკა:** დამახასიათებელია მოტორიკის ინტენსიური განვითარება, რაც ამ სახით არც ერთ მომდევნო ასაკში არ გვხვდება. **მიზანდასახული ქცევის ფორმების განვითარება:** წინა პერიოდთან შედარებით /სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი/ აქ მდგომარეობა არსებითად იცვლება. ბ-ვი ცდილობს თავისი ნაძერწი, ნახატი, აშენებული დაამსგავსოს რეალურ საგანს. ივი მიზანს წინასწარვე ისახავს და ამის მიხედვით აფორმებს მასალას. 6—7 წლის ასაკში ივი ყველგან წინასწარ, სპო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნტანურად ასახელებს საგანს, რიც უნდა გააკეთოს. ხატვა: ამ პერიოდში სქემატურია, ამიტომ მას სქემის ხანას უწოდებენ. ნებელობისა და შრომის უნარის განვითარება: რაიმე საგნის, პროდუქტის შექმნის მიზანდასახული ქცევა, რიც ამ პერიოდის ბ-ს ახასიათებს, ცნობიერების გაღვიძების პირობაა; ამასთანავე ბ-ის მიერ უფროსებისაგან მიღებული დავალების შესრულების აუცილებლობა მას ვალდებულების გრძნობას უღვიძებს. ეს ორი პირობა – პროდუქტის შექმნა და მოვალეობის /ვალდებულების/ გაცნობიერება – ნებელობის განვითარების პირობად იქცევა, რაც თავის მხრივ, საფუძვლად ედება შრომის უნარის განვითარებას. სოც. ქცევა: ვითარდება კონსტრუქტიული თამაში, იგი ბ-ის ინდივიდუალურ ძალებს ავითარებს და იმავე დროს სოც. ქცევის ფაქტორადაც იქცევა: იგი უღვიძებს ბ-ს ძლიერ იმპულსს, რომ შექმნილი პროდუქტი უჩვენოს სხვას /უმცროსს ან უფროსს/, ე. ი. დაამყაროს მათთან კონტაქტი. ამასთანავე კონსტრუქტიული თამაში მოითხოვს ანგარიში გაეწიოს საშენი მასალის თავისებურებას, ეს კი ბ-ის ობიექტურობის ცნობიერებას ავითარებს, რაც საფუძვლად ედება სხვებთან კონტაქტის დამყარებას. ამიერიდან ვითარდება ჯგუფური თამაში. ბ-ის მონაწილეობა ჯგუფურ თამაშში ხუთი წლის ასაკში უკვე 5–10 წუთამდე აღწევს; 6–7 წლებში იგი 20 წუთსაც კი აკარებს ჯგუფური თამაში, რიც ნამდვილ სოციალობას გულისხმობს, ყოველი წევრისგან გარკვეული წესისადმი დაქვემდებარებას მოითხოვს. ვითარდება ვალდებულების გრძნობა. აღქმა: „სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდის" /2–3 წელი/ საპირისპიროდ ახალ საფეხურზე ადის. ბავი უკვე ახერხებს საგნის აღქმას ობიექტური ნიშნის მიხედვით, აღქმა აქ გამოკვეთილ საგანს გულისხმობს. მეხსიერება: ვითარდება აქტიური და ხანგრძლივი მეხსიერება /იხ. მეხსიერების ონტოგენეზური განვითარება/. აზროვნება: წინა პერიოდის „პრაქტიკული" აზროვნება არსებითად ივივე რჩება, მაგრამ ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების განვითარებაში თავს იჩენს ანალიზის, აბსტრაქტის, სინთეზის, განზოგადების უნარი. თუმცა ბ-ვს მათი დამოუკიდებლად, თავისუფლად გამოყენება ჯერ არ შეუძლია, სხვისი დახმარებაა საჭირო, რომ ბ-მა მათ მიმართოს, მაგრამ მაინც ივი ახალი ეტაპია, რიის საფუძველზე აზროვნების ახალი სტრუქტურიზაცია იწყება /იხ. აზროვნების ონტოგენეზური განვითარება/. თუმცა ბ-ვი ამ ასაკში ჯერ კიდევ „ცნების ფუნქციური ეკვივალენტით" სარგებლობს. /იხ. ფუნქციური ეკვივალენტი/.

სკოტოფობია · /ბერძ. skotos – სიბნელე და phobos – შიში/ – სიბნელის ავადმყოფური შიში.

სმენის შეგრძნება – ამ სახელით აღინიშნება ბგერის შეგრძნება, რ-საც ორგანიზმი ყურის საშუალებით იღებს. ადნ-ში ივი ორ მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ყგუფად იყოფა: 1. ტონის შეგრძნებები, 2. ხმაურის შეგრძნებები. ტონი მრავალია, მათგან მუსიკაში გამოყენებულია 7 ძირითადი /do, re, mi, fa, sol, la, si/ და 5 ნახევარტონი /ბემოლები და დიეზები/. ტონები—ორგანიზებული და მოწესრიგებული ბგერები განსხვავდება სიმაღლით ანუ რომელობით /მაღალი-დაბალი/, ინტენსიურობით /მეტ-ნაკლები სიძლიერე/, ტემბრით /თავისებურება, რასაც ტონს ინსტრუმენტი აძლევს/ და ეოკალობით /ყოველი ტონი გარკვეულ ხმოვან ბგერას ჰგავს, მაგ., ზოგი ტონი ᲟᲚᲔᲠᲡ უ-სავით, ზოგი ო-სავით, ზოგი ა-სავით, ზოგი ი-სავით, ზოგი ე-სავით/. ხმაურის შეგრძნებებიც ნაირნაირია, ტონებისაგან განსხვავებით, იგი მოუწესრიგებელი ბუნებისაა. ყური განასხვავებს ხმაურს ორ Ყგუფს: მყისთანადს ანუ ერთბაშად /ტკაცუნი, ტლაშუნი, სკდომა და სხვა/ და ხანგრძლივ ხმაურებს /სტვენა, ხრიალი, გრიალი, შიშინი, შრიალი, ღრიალი და სხვა/. იმისათვის, რომ ბგერის შეგრძნება გაჩნდეს, საჭიროა ორი პირობა: 1. ფიზ. გამღიზიანებელი; 2. ფიზიოლ. პროცესი. ფიზ. გამღიზიანებელია საგნის რხევითი მოძრაობა გარემოში, რაც ჰაერის ასეთივე რხევითი მოძრაობით სმენის ორგანოს — ყურს გადაეცემა. ფიზიოლ. პროცესია ის ნერვული აგზნება, რაც სასმენი ნერვის გზით ტვინის სათანადო ცენტრს /სმენის ცენტრს/ გადაეცემა.

ტონის შეგრძნებებს საფუძვლად უდევს რხევითი მოძრაობის პერიოდულობა /ერთნაირი სიხშირე დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში/, რის გამოც ბგერები მოწესრიგებულ ხასიათს ატარებენ. დიდი სიხშირის ტალღები მაღალი ტონის შეგრძნებებს იწვევენ, მცირე სიხშირისა კი—დაბალი ტონის შეგრძნებებს. ადამიანის ყური ისმენს ტონებს 16 რხევიდან დაწყებული 20000 რხევამდე წამში. ბგერის შეგრძნების ინტენსიურობა დამოკიდებულია ჰაერის ტალღისებური რხევის ამპლიტუდის სიდიდეზე. ტონის ტემბრი დამოკიდებულია ჰაერის ტალღისებური რხევის სირთულეზე ანუ ფორმაზე. ხმაურის შეგრძნებებსაც საფუძვლად უდევს ჰაერის რხევა, მაგრამ ტონებისაგან განსხვავებით, იგი აპერიოდულია და ამიტომაა, რომ ხმაური მოუწესრიგებელი ბუნებისაა.

როდესაც ორი განსხვავებული სიმაღლის ტონი ერთდროულად ᲟᲚᲔᲠᲡ ადგილი აქვს ე. წ. „ძგერას" და სუმაციურ და დიფერენციულ ტონებს. ამ ტონების გამოყოფა და შესწავლა რეზონატორების საშუალებით ხდება.

მხედველობის სფეროში სიტყვა ტონი ფერის თავისებურებას ნიშნავს /წითელი, ყვითელი, ლურᲯი და სხვა/.

სოდომია /ბიბლიური თქმულებით იყო ქალაქი სოდომი/ — იგულისხმება სექსუალური პერვერსია, სექსუალური დამოკიდებულება ცხოველებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიფსიზმი /ლათ. solus-ერთად-ერთი და ipse-თვითონ/ — ფილოსოფიაში: სუბიექტურ-იდეალისტური კონცეფცია, რ-ის მიხედვითაც ერთად-ერთ რეალობად „მე", ადამიანის ცნობიერება ითვლება. სხვა ყველაფერი — სამყარო, საგანი, ობიექტი — „მე"-ს წარმოდგენებია, ცნობიერების ანარეკლია, ობიექტური სინამდვილე არ არსებობს, ის მთლიანად „მე"-ს შემოქმედებაა. წარმომადგენლები არიან გ. ბერკლი, ვ. შუპე, და, საზოგადოდ, იმანენტური ფილოსოფიის მიმდევრები.

სომატოლოგია /ბერძ. sōma — სხეული/ — მოძღვრება სხეულისა და მისი თავისებურებების შესახებ.

სომატოგენური — სხეულით შეპირობებული მოვლენა, სხეულებრივ ფაქტორებზე დამოკიდებული. | საწინ. ფსიქოგენური.

სომატური — სხეულთან დაკავშირებული; სხეულებრივი; სხეულით განსაზღვრული.

სომატონიკური ტემპერამენტი /ბერძ. soma-სხეული და tō-nos — დაძაბვა/ — ტემპერამენტის ერთ-ერთი სახეა. ვ. შელდონის კლასიფიკაციით სხეულის აგებულების მეზომორფული ტიპის შესატყვისი ტემპერამენტი. ახლოს დგას ე. კრეჩმერის ვისკოზურ ტემპერამენტთან /იხ. სხეულის აგებულების ტიპები/. დამახ. აგრესიულობა, მისწრაფება მოქმედებისაკენ, დიდი აქტიურობა, ენერგიულობა, | გულგრილობა, ცუდი სოც. | კონტაქტი, ვრძნობათა სიღარიბე.

სომნამბულიზმი /ლათ. somnus — ძილი, ambulātio — სიარული, სეირნობა/ — იხ. სამთვალიერო, ჰიპნოზი.

სომნამბულური ცნობიერება — ცნობიერების პათოლოგიური აშლილობის ერთ-ერთი სახეა. სუბ-ის ცნობიერება მოწყვეტილია აქტუალურ გარემოს და მთლიანად ტრავმის შინაარსზეა კონცენტრირებული. ასეთ მდგომარეობაში ავადმ. ხშირად ისე განიცდის წარსულ ტრავმას, რ-რც აწმყოში მოცემულს. მისი ქცევა საკმაოდ დემონსტრაციულია: იგი გაითამაშებს სცენებს, რ-ებშიც ტრავმული სიტუაციაა ასახული. დამახ. ისტერიისათვის.

სომნოლენცი /ლათ. somnus — ძილი/ — 1. ავადმყოფური მდგომარეობა: ცნობიერების შევიწროება — დაბინდული ცნობიერება, 2. ჰიპნოზის პირველი საფეხური, ძილისმაგვარი მდგომარეობა, როცა ნამდვილი ძილი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, მაგრამ არც ფხიზელი მდგომარეობაა.

სოპორი /ლათ. ღრმა ძილი/ — მაქსიმალურად | დაწყვეტილ და | დაბინ- | დული ცნობიერება, არაფხიზელი მდგომარეობა, ცნობიერების შეცვლა.

სოციალური გრძნობა — სოც. — საზოგადოებრივი ერთეულისადმი /ოჯახი, კოლექტივი, კლასი, ერი, სახელმწიფო/ | ან საერთოდ, მეორე ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანისადმი მიმართული გრძნობა. მაგ., სიმპათია, მეგობრობა, სიყვარული და სხვა.

სოციალური ნევროზი — გარკვეული სოც. სიტუაციით გამოწვეული ნევროზი.

სოციალური ტიპი — ე. შპრანგერის მიერ აღწერილი ერთ-ერთი ტიპი ად-ნისა /იხ. სიცოცხლის ფორმები/.

სოციალური ფსიქოლოგია /ლათ. sociālis — საერთო, ამხანაგური/— ფს-გიის ერთ-ერთი დარგი; ად-ნის ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიას შორის მდებარე მეცნ. იკვლევს ად-ნის განცდების და ქცევის იმგვარ სახეობებს, რ-ებიც თავს იჩენენ მხოლოდ ად-ნთა ერთად ცხოვრების პირობებში, ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, ასეთია მაგ., ოჯახი, ჯგუფი, კოლექტივი, კლასი, ხალხი, ერი, სახელმწიფო, კაცობრიობა. შესატყვისი განცდები და ქცევებია: სიმპათია — ანტიპათია, სიყვარული-სიძულვილი, ძალაუფლებისადმი სწრაფვა, კონტაქტის ყოველგვარი სახე, განსაკუთრებით, მეტყველება, წაბაძვა, შთაგონება, შეგუება, აგრეთვე მითი, თქმულებები, რელიგია და სხვა.

სა. ფს-ა, რ-ც მეცნიერება, თავდაპირველად ზოგადი ფს-გიის წიაღში ჩაისახა /ვ. ვუნდტის "ხალხთა ფსიქოლოგია." და ლ.ლევი-ბრიულის „პირველყოფილი აზროვნება"/. ნაწილობრივ მას დასაბამი მისცა სოციოლოგიამ, რომელთანაც მას დღესაც საკითხების რიგი აკავშირებს /ე.დიურკჰაიმი/. ზოგი მეცნიერი სა. ფს-ს სოციოლოგიას მიაკუთვნებს, მაგ. ჰ.სპენსერი /„სოციოლოგიის პრინციპები"/.

სოციოგრამა /ლათ. societas — საზოგადოება, ბერძ. graphos — ვწერ/ სოც. ცხოვრების და საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ სოციომეტრიული მეთოდით მოპოვებული მასალის გრაფიკული გამოსახულება მოცემული მასალის უკეთ გათვალისწინების მიზნით.

სოციომეტრია /ლათ. societas — საზოგადოება და ბერძ. metron — ზომა/ — სოც. ფს-გიაში—ად-ნის სხვადასხვა ჯგუფს შორის და თითოეულ ჯგუფში ცალკე წევრთა ურთიერთდამოკიდებულების, ჯგუფის სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლისა და გაზომვის მეთოდი. დამუშავებულია ამერიკელი ფსიქიატრის ი. მორენოს მიერ /1892/.

სოციოპათი /ლათ. socialis — საზოგადოებრივი და ბერძ. pathos — ტანჯვა/ — ფსიქიატრიული ტერ. ს-ს უწოდებენ საზოგადოებრივად მიუღებელი ქცევის სუბ-ს, ასოციალურ პიროვნებას.

სპენსერის თეორია თამაშისა — იხ. თამაში.

სპექტორალური ფერები — იხ. ფერის შეგრძნება.

სპეციფიკური ენერგიის კანონი — იხ. შეგრძნების ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის კანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიტიზმი /ლათ. spiritus – სუნთქვა; სული/ – მიმართულება პარაფს-გიაში, რ-ის თანახმადაც ადნის სული უკვდავია და სიკვდილის შემდეგ - აც აგრძელებს არსებობას, მაგრამ ჩვენ ვერ|აღვიქვამთ მას. ს-ის შეხედულებით სიკვდილის შემდეგ რომ სული გამოვავლინოთ და დავუკავშირდეთ, საჭიროა საგანგებო პირობების შექმნა, რ-აც პარაფს-გიაში „სპირიტისტულ სეანსს" უწოდებენ. ამ სეანსზე ვითომდა მედიუმის შუამავლობით შესაძლებელია მკვდრის სულის გამოძახება და მასთან კავშირის დამყარება. ს. და, საზოგადოდ ოკულტიზმი, რ-ის მოვლენები საკუთარ მოკლებულია სათანადო ემპირიულ დასაბუთებას, მეცნ-ად მიუღებელ მიმდინარეობად ითვლება.

სპირიტუალიზმი /ლათ. spiritus – სული; სუნთქვა/ –ფილოს-ში მიმართულება, რ-ის თანახმად ყოველი ჭეშმარიტი არსებობა მხოლოდ სულის /გონის, იდეის/ გამოვლინება შეიძლება იყოს. ს. არსებითად იმას გულისხმობს, რასაც იდეალიზმი.

სპირიტუალისტური ფსიქოლოგია ან იდეალისტური ფს-გია – ფს-გიური მეცნიერების განვითარების პირველი ეტაპი, რ-იც ფს-გიის კვლევის საგნად მიიჩნევდა არა |გარესამყაროსთან მიმართებაში მყოფ ფს-კურ პროცესებს, არამედ მხოლოდ თვითდაკვირვებით, ინტროსპექციით მისაწვდომ და სუბ-რად მოცემულ მოვლენებს.სპ. ფს. მიერ, ფს-კა, ცნობიერება გაგებული იყო, რ-რც სულის გამოვლენა. თანამედროვე მეცნ-ული ფს-გია ცნობიერების ასეთი გაგების საპირ. პოზიციაზე დგას; მისთვის ცნობიერება არის ობიექტური სამყაროს ასახვა და არა სულის გამოვლენა და, ამდენად, ცნობიერების განმსაზღვრელი ობიექტური სამყაროა. ცნობიერება დასაბამიდან მოცემული პირველადი სინამდვილე კი არ არის, არამედ მატერიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოქმნილი |თვისებაა | მატერიისა.

სპონტანური მოქმედება /ლათ. spontaneus – თავისთავადი/ – საკუთარი მიდრეკილებიდან და ლტოლვიდან წარმოქმნილი მოქმედება, ე. ი. არა რაიმე გარეგანი ზემოქმედებით გამოწვეული მოქმედება, არამედ საკუთარი შინაგანი იმპულსით განსაზღვრული. მაგ., „ „სპონტანური მეტყველება", როცა ვინმე თავისთვის ლაპარაკობს. „სპონტანური მოძრაობები" /ჩვილი ბ-ვის/, საპირ. რეაქტიული მოძრაობები.

სპორტის ფსიქოლოგია /ინგლ. sport/– ფს-გიის დარგი, შეისწავლის იმ ფს-კურ უნარს და მონაცემებს, რ-ებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ სპორტულ ქცევას. /იხ. ქცევის ფორმები/.

სტაბილურობა განწყობისა /ლათ. stabilis – გამძლე,| უცვლელი /– იხ. განწყობის თვისებები.

სტატიკურობა განწყობისა /ბერძ. statikē – წონასწორობა / – გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობის დინამიკურობის საპირ. ცნება, იხ. განწყობის ინდივიდუალურ-დიფერენციული ხასიათი.

სტატიკური ყურადღება — იხ. ყურადღება.

სტატიკური შეგრძნება — იგივეა, რაც წონასწორობის შეგრძნება /იხ./.

სტენიური აფექტი — იხ. აფექტი.

სტერეოტიპული მოქმედება — მოქმედება, რ-იც ერთი და იმავე სახით მეორდება.

სტერეოსკოპი /ბერძ. stereos — სივრცითი და scopeō — ვუყურებ/— აპარატი, რ-ის საშუალებითაც შეიძლება ორგანზომილებიანი საგანი რელიეფურად, სამ განზომილებაში აღვიქვათ. ამისათვის საჭიროა ს-ში ჩაიდოს ერთი და იმავე საგნის ორი სურათი, რ-თაგან ერთი ისეთია, რ-რიცაა მისი ასახვა ერთი თვალის ბადურაზე (ვთქვათ, მარცხენა თვალის ბადურაზე), ხოლო მეორე კი ისეთი, რ-რიცაა იგი ასახული მეორე მარჯვენა თვალის ბადურაზე. ამ ორი სურათის შერწყმა ბინოკულარული ხედვისას ს-ში, იძლევა საგნის რელიეფის სამ განზომილებაში აღქმას.

სტიმულ-რეაქცია /S-R, იგივე „გაღიზიანება—რეაქცია" /-იმ ფსიგიური მიმართულების მეთოდიკური ფორმულა, რ-ის შეხედულებით ფსიგია ცნობიერების მოვლენებს კი არ უნდა იკვლევდეს, არამედ გარეგანი გაღიზიანების საპასუხოდ გამოწვეულ რეაქციებს, /მაგ., ასეთია ბიჰევიორისტული მიმართულება, რეფლექსოლოგია/. ამ მიმართულების შეხედულებით, ობიექტურად მხოლოდ გაღიზიანებით გამოწვეული რეაქციების დაკვირვება შეიძლება. ამიტომ ფს-გიის კვლევის ობიექტი მოძრაობები /რეაქციები/ უნდა იყოს. ს-რ-ს, რ-რც მეთოდს, იყენებს აგრეთვე ზოოფსგია.

სტრესი — შემოკლებით „C" /ინგლ. stress — დატვირთვა, წნევა, დაძაბვა/ — სამედიცინო ტერ., ავტორია ჰ. სელიე /კანადა, 1936/. ნიშნავს საზოგადოდ, ცხოველის და, კერძოდ, ადამიანის მ წ ა ვ ე ფსიქო-ფიზ. მდგომარეობას, გამოწვეულს ფიზ. ან ფს-კური „ზეზღურბლური" დატვირთვით. ასეთი დატვირთვა, წარმოიშობა გარკვეული პირობების ზემოქმედებით, რ-ის სირთულე და სიმძიმე სუბ-ის ძალთა საპასუხო ამტანობას აღემატება /ან სუბიექტის მიერ ასეთად განიცდება/; ირღვევა სუბ-ის გარემოსთან ადაპტირებული სასიცოცხლო წონასწორობა და მის არსებობას დაღუპვის საშიშროება ემუქრება. ამ სიტუაციის საპასუხოდ, ორგანიზმში წარმოიშობა არასპეციფიკური რეაქცია, რ-აც ს. ეწოდება. სის წარმომშობი ფაქტორები /სტრესორები/ მრავალია, მაგ., მძიმე ავადმყოფობა, მოწამლა, ხანძარში ან ავარიაში მოხვედრა, ყოველგვარი მძიმე ტრავმა, ხანგრძლივი უსიამოვნო აფექტური მდგომარეობა, ახლო ადნის დაკარგვა, შიში, და, საზოგადოდ, ქრონიკული უსიამოვნო ემოციებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გამომწვევი სიტუაცია.

სის საპასუხო დაცვითი რეაქცია მიმართულია იქითკენ, რომ გამოიყენოს ორგანიზმი ს-ული მდგომარეობიდან, ე. ი. აღადგინოს დარღვეული სასიცოცხლო სტატუსი და კვლავ შექმნას ორგანიზმის რეზისტენტურ-ადაპტირებული მდგომარეობა. /იხ. ჰომეოსტაზი/. ამ მიზნით ხდება სუბ-ის მთელი ძალების მობილიზება. ორგანიზმში წარმოიშობა ამ დაცვითი ძალების მასტიმულირებელი ცვლილებები, რომელიც სელიემ „გენერალური ადაპტაციური სინდრომი" უწოდა /შემოკლებით G. A. S. /.

ს-ული მდგომარეობით ორგანიზმში გამოწვეული ცვლილებები შემდეგია: ფიზიოლ. სფეროში—გულისა და სუნთქვის ორგანოების აჩქარებული მუშაობა, სისხლის არტერიული წნევის მომატება, გამოყოფითი ფუნქციების გაძლიერება. საგულისხმოა ჰორმონულ სისტემაში მომხდარი ძვრები, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ადრენო-კორტიკოტროპული /A. C. T. H/ და ჰიპოფიზის წინა წილის ჰორმონების დიდი რაოდენობით გამოყოფა და მათი გადასროლა სისხლში /სელიე, 1948; 1953/. აღნიშნულ ცვლილებებს იწვევს თავის ტვინის ჰემისფეროების ქერქის ძლიერი და ფართო ხასიათის აგზნება და, კერძოდ, ვეგეტატიური, სიმპათიკური და პარასიმპათიკური ნ. სის მომატებული ფუნქციობა.

ჰორმონული სისტემის აღნიშნული ცვლილებების განვითარებაში სელიემ სამი სტადია ანუ ფაზა დაადგინა: 1. სიგნალის ანუ „განგაშის" ფაზა. ადრენო-კორტიკალური და გლუკო-კორტიკალური ჰორმონების გაძლიერებული გამოყოფის დასაწყისი; 2. რეზისტენტობის ფაზა — ძალთა მასტიმულირებელი ჰორმონების ზეგავლენით ორგანიზმის ტოლერანტობის /გამძლეობის/ გაძლიერება; 3. გამოფიტვის ფაზა—ჰორმონების გამოყოფის შესუსტება, შედეგად ორგანიზმის ძალების დაცემა.

ცვლილებები ფსიქიკურ სფეროში: მწვავე სულიერი დაძაბულობა, მოუსვენრობა, შფოთი, წუხილი, აწეული გაღიზიანებადობა, ცუდის მოლოდინის განწყობა, ფრუსტრაციის მდგომარეობა, გამუდმებული შიში, ნევროზის მოვლენები და, უკიდურეს შემთხვევაში, სულიერი დაავადებაც კი. თუ სტრესის გამომწვევი ფაქტორები /სტრესორები/ არ მოიხსნა ან არ შემსუბუქდა და რეზისტენტობის ფაზამ ვერ გაიმარჯვა, ძალთა გადაძაბვა ორგანიზმს გამოფიტავს, გამძლეობა დაეცემა და სუბ. დაიღუპება.

ტერმინი ს. დღეს ფართოდაა გავრცელებული სამედიცინო, ფს-გიურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, აგრეთვე ყოველდღიურ მეტყველებაშიც.

სტრობოსკოპი /ბერძ. strobos — ბრუნვა/—მოძრავი დაფდაფი, რის ზედაპირზედაც აღნიშნულია ერთიმეორის მომდევნო მოძრაობის ფაზე-

ბი. ს-ის ტრიალის პროცესში ისინი ქმნიან უწყვეტი მოძრაობის ილუზიას. წინამორბედია კინოსი. ს. გამოიყენეს გეშტალტფსიქოლოგებმა „მოჩვენებითი მოძრაობის" შესასწავლად.

სტრობოსკოპული მოვლენა — უმოძრაო სურათების ხედვისას მოძრავი სურათების აღქმის ილუზია. /იხ. მოძრაობის ილუზიები/.

სტრუქტურა /ლათ. structura — წყობა, აგებულება/ — რაიმე მთლიანი მოვლენის აგებულება, აღნაგობა, რ-ლის შინაგანი წყობა განსაზღვრულია ელემენტთა მიმართებით მთლიანთან და ერთიმეორესთან. მაგ., ქიმიაში! მოლეკულის ელემენტთა შინაგან წყობას, მათ მიმართებას ერთმანეთთან და მთლიან მოლეკულასთან ს. ეწოდება. ს-ის ცნება ფართოდაა გავრცელებული მეცნ-ში. ფს-გიაში სულიერ მოვლენათა აგებულების და წყობის აღმნიშვნელ ცნებად ს. პირველად ვ. დილთაიმ იხმარა.

ფს-კური მოვლენა, განცდა ს-ული აღნაგობისაა, თუ მისი მომენტები, ნაწილები ან საფეხურები ერთ მთლიანობაში საერთო მიზნით არიან გაერთიანებულნი. ფს-კური მოვლენა, რ-რც სტრუქტურა, დანაწევრებული ანუ დასაფეხურებული მთლიანობაა. ინდივიდის მთელი სულიერი ცხოვრება ასეთი ს-ებისაგანაა აგებული; ყველაზე მაღალი ს-ული მთლიანობა თვით პიროვნებაა ყველა თავის დისპოზიციათა და ფუნქციათა ერთობლიობით.

სტრუქტურული ფსიქოლოგია მიმართულება ფს-გიაში, რ-იც სულიერ მოვლენებს განიხილავს რ-რც შინაგანად დანაწევრებულ მთლიანობას, რ-ის ნაწილები /ელემენტები/ ერთი საერთო მიზნით არიან გაერთიანებულნი. ს. ფს-ს ფს-კური მოვლენათა გაგების პრინციპად სტრუქტურის ცნება აქვს აღიარებული. რ-რც მიმდინარეობა ფს-გიაში ისტორიულად ვ. დილთაის „გაგებით ფს-გიიდან" ანუ „გონით მეცნიერული ფს-გიიდან" იღებს თავის დასაწყისს. საშნ. ფუნქციური ფს-გია /იხ./.

სტუპორი /ლათ. stupor — გაშეშება, გაქვავება/ — ფსიქო-მოტორული შეკავება. ავად. არ მოძრაობს, გაშეშებულია, გარემოსაგან გამოთიშულია, ად-ნებთან ურთიერთობა არ სურს. აზროვნების ფუნქციები დაქვეითებულია, ვითარდება მუტიზმი. ს. თან სდევს შიზოფრენიულ დაავადებას, დეპრესიულ მდგომარეობას, ისტერიას; შეიძლება წარმოიშვას რაიმე კატასტროფაში მოხვედრის შედეგად, აგრეთვე ზედმეტი გადაჭანცვის მიზეზით. გამოყოფენ ისტერიულ, კატატონიურ, ფსიქომოტორულ, ფსიქოგენურ და სხვა. ს. სამი სახისაა: 1. ცვლილებული — სხეულს ან მის რ-იმე ნაწილს შეგიძლიათ მისცეთ ნებისმიერი ფორმა. ავად. მას ერთხანს ინარჩუნებს უცვლელად; 2. ნეგატიური — ავად. ეწინააღმდეგება სხეულის მდებარეობის ყოველგვარ ცვლილებას; 3. სრული გაქვავება — ავად. დიდხანს ინარჩუნებს ერთხელ მიღებულ მდებარეობას სრულიად უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუბიექტი /ლათ. subjectum – ქვემდებარე, საფუძვლად მდებარე/ – ფსიგიაში: ადამიანის „მე", საკუთრივ პიროვნება, ინდივიდი, რომელიც წარმოდგენის უნარის მქონე, შემმეცნებელი და მოქმედი არსება. საპირისპირო ობიექტი /იხ./.

სუბლიმაცია /ლათ. sublimo – ამაღლებ, მაღლა ამყავს/ – ფსიქოანალიზში ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ტერმინი, ნიშნავს სუბლიმაციის ფსიქიკის ფენებში წარმოშობილი ძალების – ლიბიდოზური მისწრაფებების, კომპლექსების, განდევნილი განცდების სპეციფიკური აქტივობის მოხსნას და სხვა უფრო მაღალი მიზნის განხორციელების აქტივობაში მათ გადაყვანას, ამ ძალების სხვა მიმართულებით გადართვას და შემოქმედების მაღალი სახეების /მეცნ., ხელოვნება და სხვ./ სამსახურში მათ ჩაყენებას. ფსიქოანალიზის კონცეფციით, ძალების ასეთი გადანაცვლება ხდება სუბიის შეუცნობლად, ანგარიშმიუცემლად, **არაცნობიერად**. ძალების გადანაცვლების საჭიროებას იწვევს შინაგანი კონფლიქტური სიტუაციიდან თავის დაღწევის აუცილებლობა. კონფლიქტური სიტუაცია იქმნება ლიბიდოზურ სწრაფვათა დაბალი მიზნების დაპირისპირებით მაღალ იდეალებთან, საზოგადოებრივ შეხედულებათა ნორმებთან, იმასთან, რაც სოციალურად დაკანონებულია. ამ დაპირისპირებით წარმოშობილი კონფლიქტის შედეგად ლიბიდოზურ ლტოლვათა რეალიზაცია ფერხდება. არარეალიზებული ძალები კი აქტივობისკენ ისწრაფვიან, დაგროვებული ენერგია განტვირთვას მოითხოვს და ეს, სწორედ მაშინ ხდება ამ ენერგიის სხვა მიმართულებით გადაყვანა, საზოგადოებრივად მისაღები და უფრო მაღალი სახის შემოქმედებით აქტივობაში მათი გადართვა. სის შედეგად ხდება /დაუხარჯავი/ ენერგიის დახარჯვა და შინაგანი დაძაბულობისაგან განტვირთვა. ამ თვალსაზრისით, ს. „დაცვითი რეაქციის" მექანიზმს წარმოადგენს, წარმოქმნილს შინაგანი კონფლიქტური სიტუაციისაგან თავის დაღწევის მიზნით.

სუბსტანცია /ლათ. substantia – არსი/ – ფილოსოფიური ტერმინი, აღნიშნავს ცვალებად მოვლენათა და საგანთა უცვლელ, მყარ საფუძველს. ფსიგიაში: სულიერ მოვლენათა /ფსიკური მოვლენათა/ ასეთ მყარ საფუძვლად მეტაფიზიკურ-იდეალისტურ და რაციონალისტურ ფსიგიას სული მიაჩნდა. სული, მისი, აზრით, რომელიც დამოუკიდებელი არსის მქონე მთლიანი, მყარი ერთიანი საფუძველია სიცოცხლის ყველა მოვლენისა. სულის ასეთ გაგებას შეებრძოლა ემპირიული ფსიგია, რომელიც ფსიგიის საგნად სულიერი მოვლენები დასახა – ფსიკური აქტები და პროცესები – აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება და სხვა. ამით დაძლეულ იქნა ფსიგიაში სულის, ფსიკის რომელიც სუბსტანციის გამოვლინების გაგება.

ვ. ვუნდტმა /1832–1920/ დამოუკიდებელი მყარი „სული–სუბსტანციის" საწინააღმდეგოდ ფსიკურის პრინციპად **აქტუალობის** ცნება წამოაყენა. აქედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებული, მეცნ. ფს-გია მიისწრაფოდა აეგო ე. წ. „ფს-გია სულის გარეშე", ე. ი. „უსუბსტანციო" ფს-გია, რ-საც თავისი საგანი — ფს-კური მოვლენები — წარმოდგენილი ჰქონდა არა რაიმეს გამოვლინებად, რ-იც ცალკე არსებობს და მათ იწვევს, არამედ მხოლოდ რ-რც ფუნქციობა, აქტივობა, მოქმედება.

სუბსტანციის პერიოდი — იხ. ბ-ვის გონებრივი განვითარების პერიოდი.

სუბსტიტუცია /ლათ. substitutio — ერთის შეცვლა მეორე რაიმეთი/ — ზ. ფროიდის ფსიქოანალიზში დაცვითი მექანიზმის ერთ-ერთი სახე. ნიშნავს თავდაპირველად მოცემული ობიექტის შეცვლას სხვა ობიექტით, შემცველელით, სუროგატით. ასეთი შეცვლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს რ-რც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორი. გარეგანი, ე. ი. ობიექტური ფაქტორი წარმოშობა სასურველი ობიექტის დაკარგვით /ვინმე წაგართმევს, თვითონ გეტყვის უარს, მოკვდება/. სუბ-ური ფაქტორი შინაგანი მოტივია. მაგ., როცა საკუთარი მიზეზით გამოწვეულ პირად წარუმატებლობას რაიმე საქმეში სხვას გადააბრალებ, შენს ადგილას დამნაშავედ სხვას დააყენებ, მერე კი იმას რატომღაც შეიძულებ; ან, როცა ნამდვილ დამნაშავეს ვერაფერს გაუბედავ და აგრესიას სხვაზე გადატანა, სხვაზე იყრი აგრს — ერთ ობიექტს შეცვლ მეორეთი. ს-ის პროცესი არაცნობიერად მიმდინარეობს, სუბ-მა ამის შესახებ არაფერი იცის.

სუგესტივობა /ლათ. suggeero — დამატება; მიცემა, მიწოდება/ — იგივეა, რაც შთაგონება.

სული /ბერძ. psychē — ψυχή, ლათ. anima/. ს-ის ცნებას თავისი ისტორია აქვს. ფილოს-ური აზროვნების განვითარების ადრეულ პერიოდში, რელიგიურ შეხედულებათა ზეგავლენით, ს-ის ცნებაში გულისხმობდნენ სხეულისგან /მატერიისაგან/ დამოუკიდებელ, თვითმყოფად სინამდვილეს, სუბსტანციას, რ-იც სიცოცხლის პრინციპად იყო წარმოდგენილი /არისტოტელე, იხ. ენტელექია/. ს. ითვლებოდა უსხეულო მოვლენად, რ-იც საფუძვლად უდევს ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო პროცესს, რ-რც ბიოლოგიურს, ისე ფს-კურს, განცდას. ს-ის ასეთი გაგება, რ-იც ფაქტობრივად მე-17-18 საუკუნემდე გაბატონებულ შეხედულებად ითვლებოდა ფს-გიაში /მეტაფიზიკურ-იდეალისტური ფს-გია/, მეცნ-ად მიუღებელია. ს. რ-რც სუბსტანცია, არ შეიძლება მეცნ-ულ — ემპირიული კვლევის საგანი იყოს. ამიტომ თანამედროვე ფს-გიაში სიტყვა ს. რომ იხმარება, იგი სულ სხვას ნიშნავს. ს. სინონიმია ფს-კური პროცესებისა ანუ განცდებისა, რ-ელთა არსებობა დაკვირვებაში გვეძლევა და ამ სახით ემპირიულ სინამდვილეს წარმოადგენს.

თანამედროვე ფს-გია ს-ის მოვლენებს იკვლევს არა რ-რც სულიერი სუბსტანციის მოქმედებებს, არამედ მხოლოდ რ-რც ფს-კურ პროცესებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცდებს — შეგრძნებას, აღქმას, წარმოდგენას, ყურადღებას, მეხსიერების მოვლენებს, აზროვნებას, ემოცია-გრძნობებს და ნებელობას გარკვეულ სხეულებრივ პროცესებთან დაკავშირებით.

სულიერი დაავადებანი — ასეთებია ყველა სახის ფსიქოზები /იხ. ფსიქოზი, ფსიქიკურ დაავადებათა კლასიფიკაცია/.

სულიერი სიბრმავე — იხ. აგნოზია.

სუნის /ყნოსვის/ შეგრძნება — მჭიდრო კავშირშია გემოს შეგრძნებასთან. ორივეს — სუნის და გემოს შეგრძნებებს — ქიმიურ შეგრ - ძნებებს უწოდებენ, რადგან მათ იწვევს გამღიზიანებლის ზემოქმედება რეცეპტორებზე ქიმიური დაშლის სახით. ს. შ. ნაირნაირია, მათი კლასიფიკაცია დამაკმაყოფილებელი სახით დღემდეც არ არსებობს. ისტორიულად ცნობილია ლინეს კლასიფიკაცია, რ-იც ს-ის შეგრძნებებს შვიდ ძირითად ჯგუფად ჰყოფს: 1. არომატული, 2. ბალზამური, 3. ამბრის, 4. ხახვის, 5. თხის, 6. საზიზღარი და ნარკოტული /ოპიუმისა და ბალლინჯოსი/ და 7. გულის ამრევი, მაგ. დამპლის. ჰ. ცვარდემარკერმა ლინეს ამ შვიდ ძირითად სუნს დაუმატა ეთერული სუნი /ვაშლის, მსხლის, ანანასის/ და დამწვრის ს. /თუთუნის, დამწვარი ყავის და სხვა/. დღეს უფრო მიღებულია ჰ. ჰენინგის კლასიფიკაცია. იგი ფერის შეგრძნების ანალოგიის მიხედვით, ს. შ-ის სიმრავლეში ისეთ ძირითად და მთავარ სუნებს ეძებს, რ-თა შერევით ყველა სხვა დანარჩენი სუნები მიიღება. ასეთ სუნებად იგი ექვს სუნს თვლის: 1. ყვავილის, 2. დამპლის, 3. ხილის, 4. საკმაზის, 5. დამწვრის და 6. ფისის.

ს. შ-ის ცვლილება დამოკიდებულია გამღიზიანებლების ერთდროულ მოქმედებაზე და ხანგრძლივობაზე: ა/ როდესაც გამღიზიანებლები ინტენსივობის მხრივ დიდად განსხვავდებიან ურთიერთისაგან, მაშინ ძლიერი გამღიზიანებელი სავსებით ჩრდილავს სუსტს და ნარევი სუნის ნაცვლად გვრჩება ძლიერი გამღიზიანებლის სუნის შეგრძნება, ბ/ როდესაც სუნები ერთმანეთისაგან ინტენსიურობით საგრძნობლად არ განსხვავდებიან, მაშინ ისინი ურთიერთს ერევიან და ახალი ს-ის შეგრძნებას იძლევიან, მაგ., პარფიუმერიის მოვლენები, ოდეკოლონი; გ/ არსებობს ისეთი სუნები, რ-ლთა შერევა მათ ნეიტრალიზაციას იწვევს / კაუჩუკისა და სანთლის ს. ურთიერთს ანეიტრალებს, აგრეთვე რიცინიუმის ზეთი ანეიტრალებს ვანილის ს-ს/. ს-ის შ-ში ადგილი აქვს ადაპტაციის მოვლენებს, მაგ., თუთუნის მწეველი ოთახში თუთუნის ს-ს ვერ გრძნობს.

სურათის აღწერის ტესტი—იხ. ბავშვის გონებრივი განვითარების პერიოდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილი – ემოციური ტონით შეფერილი ნდომის მდგომარეობა, წარმოიშობა რაიმე მოთხოვნილების საფუძველზე, გულისხმობს კოველთვის საგანს, ობიექტს, მოვლენას, რ-ისკენაც ისწრაფვის სუბ. და რ-ის დაუფლება მის მიზანს შეადგენს, /მაგ. მიღწეული თეორიულ ან ცხოვრების პრაქტიკულ სფეროში, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა შექმნა, საზოგადოებრივ-სოც. და პირად-ინდივიდუალური იდეალების განხორციელება და სხვა/. ს. რომ ემოციური მდგომარეობაა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ადრეული ბ-ვობის ასაკში, როდესაც ბ-ვი მთლად ემოციურ არსებას წარმოადგენს, ს. მისი მოქმედების წამყვანი ფაქტორია და მისი ქცევის ერთადერთი მოტივი.

ზრდადამთავრებული ნორმალური ადამიანი კი თავის ს-ლებს აცნობიერებს, აზროვნების თვალით აფასებს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მათ განხორციელებაზე ზრუნვას. ამ აზრით, ს. ინტელექტუალურ გრძნობათა ჯგუფს განეკუთვნება და სუბ-ის ნებისეული მოქმედების საფუძველი ხდება. ს., როგორც მოთხოვნილებათა ემოციური ეკვივალენტი და მოქმედების საფუძველი, ად-ნის სიცოცხლის უნარიანობის მაჩვენებელი ნიშანია. ვისაც არაფერი სურს, ის სიცოცხლის უნარსა და მოქმედებას მოკლებულია ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში, ად-ნის ს-თა სამყარო ამოურწყველია, მაგრამ ს-თა განხორციელება ზღვარდებულია, რ-რც შინაგანი მოტივებით, ისე – გარეგანი პირობებით. შინაგანად ცნობიერად თუ არაცნობიერად, საკუთარ ს-ს ებრძვის სუბ-ის მორალურ-ეთიკური და საზოგადოებრივ-სოც. „მე". სუბიექტის ბრძოლას საკუთარი ს-ების წინააღმდეგ ასახავს არაცნობიერის ფს-გია /ზ. ფროიდი და მისი სკოლა/. ს-თან ბრძოლის საფუძველზეა აღმოცენებული მრავალნაირი სახის „ტაბუ" ან კიდევ რელიგიის მიერ დაწესებული აკრძალვები და კანონები. ს-ის შეზღუდვის გარეგანი პირობა ობიექტური სამყაროა, რ-იც ს-ლების განხორციელებას ხშირად უბრკოლებს გზას და ად-ნიც იძულებულია დათრგუნოს ისინი.

ამრიგად, ად-ნის სურვილთა ნაწილი, შინაგანი თუ გარეგანი მიზეზით, გაუნაღდებელი რჩება. ასეთ შემთხვევაში სუბ. ისწრაფვის გადაიტანოს თავისი ს-ების განცდა ოცნებაში და აქ განიცადოს მათი რეალიზება. რასაკვირველია, ეს იქნება ს-თა დაკმაყოფილების ეფემერულ-ილუზორული გზა, რ-აც ნამდვილი დაკმაყოფილების ძალა არ შესწევს /იხ. ოცნება/.

სურდოპედაგოგიკა /ლათ. surdus – ყრუ/ – პედაგოგიკური მეცნ-ის დარგი. შეისწავლის ყრუ-მუნჯ და სმენადაქვეითებულ ბ-ვთა აღზრდისა და სწავლების პრობლემებს, ამუშავებს მათი სწავლა-აღზრდის მეთოდებს. მათგან მთავარია ენის, მეტყველების სწავლება. ნაყოფიერად ითვლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რორც სწავლებითი ექსპერ., ისე სწავლებასთან დაკავშირებული ლაბორა-ტორიული ექსპერ.; მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სურდოტექნიკის განვითარებასა და გამოყენებას. ასეთებია: ბგერის გამაძლიერებელი აპარა-ტი; ხელსაწყოები, რომლებიც ბგერით ინფორმაციას სხვა სახის სიგნალებით გადასცემენ, მაგ., სინათლის შუქით, ან კანის ზედაპირის მექანიკური გა-ღიზიანებით და სხვა.

სუსტგონებიანობა | ფს – კური /გონებრივი და ნებისყოფითი/ ძალების დაქვეითება. ორი სახისაა: თანდაყოლილი და შეძენილი, /იხ. ოლიგოფრენია, დემენცია/.

| **სუქცესიური** /ლათ. successio – თანამიმდევრობა/ – ორი მოვლენის დროში ერთი მეორის შემდეგ მიმდინარეობა, ე. ი. ორი გამღიზიანებლიდან ჯერ ერთი ზემოქმედებს, მეორე – შეორე. მაგ., პირობითი რეფლექსის გა-მომუშავების ექსპერ.-ში ცხოველს პირველად ეძლევა ინდიფერენტული გამ-ღიზიანებელი, ვთქვათ ბგერა, ამის შემდეგ – უპირობო გამღიზიანებელი – კვება. ამ ორი გამღიზიანებლის ერთი მეორის შემდეგ მიმდინარეობას ეწოდება ს. მიმდინარეობა. საწინ-ა სიმულტანური.

სუქცესიური კონტრასტი – იხ. კონტრასტი.

სწავლა – ად-ნთან გაცნობიერებული, აქტიური, მიზანშეწონილი, მოქმედება, იგი მოვლენის აზრის წვდომას ნიშნავს, მისი შინაგანი ბუნე-ბის, მისი მექანიზმის გაგებას და ათვისებას. ს. ად-ნთან უსათუოდ ახა-ლი მასალის დაუფლებასა და მის ორგანიზებას გულისხმობს, ე. ი. უკვე განმტკიცებული ცოდნის სისტემაში ამ ახლად მოპოვებული მასალის შე-ყვანას, მის| გაგეშტალტებას და სტრუქტურიზაციას. მისი შესატყვისი სა-მოქმედო ძალების გააქტიურება „ფუნქციური ტენდენციით" გამოწვეუ-ლი იმპულსის ზეგავლენით ხდება. ახალი მასალის დაუფლება-დამახსოვ-რებას ინტელექტუალური, ნებელობითი, სენსორული და სხვა ფიზიოლ. ფაქ-ტორები განსაზღვრავენ.

„სწავლობს" ცხოველიც. მაღალი საფეხურის ცხოველთა „სწავლას" /დრესურას/, ოტო კელერი / O. Koehler, ⊕ 1899/ რამდენიმე სახედ ყოფს: 1. გადაჩვევა – გამღიზიანებელი, რომელიც ცხოველის რეაქციას იწვევდა, უპა-სუხოდ რჩება, თუ ამ გამღიზიანებელმა მოსალოდნელი ზემოქმედების ძა-ლა დაკარგა, იგი ნეიტრალურ გამღიზიანებლად იქცევა; 2. ასოციაციუ-რი სწავლა – ახალი მასალის ძველთან დაკავშირება; 3. ს. „ცდისა და შეცდომის" მეთოდით, – იმ მოქმედების განმტკიცება, რაც შემთხვევით დადებით შედეგს მიაღწია; 4. ს. მიბაძვით; 5. ს. ჩაწვდომით /უსიტყვო აზროვნება/. ს-ის ეს სახეები გვხვდება აგრეთვე პრიმიტიულ| ად-ნებში და |დაბალი ასაკის ბ-ევებში.

ს. ცხოველებთან ექსპერ-ლად შეისწავლა ამერ. ფს-გიურმა მიმართულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ ბიჰევიორიზმმა (იხ. „ცდა და შეცდომა"), მაგრამ ცხოველზე ამ მეთოდით მოპოვებული შედეგების გადაგვება ადამიანის აზრიან ქცევასთან და მისი გადატანა ადამიანის ს-ზე არაბიჰევიორისტულ ფს-გიას უმართებულოდ მიაჩნია, რადგან ს. ადამიან სულ სხვა პრინციპზეა აგებული, ვიდრე ცხოველთან. ადამიანთან იგი კოგნიციური ფუნქციებით არის გაშუალებული.

სწავლის თეორიები — ს. თ-ის მთავარ პრობლემას სწავლის როშელობითი განსაზღვრება შეადგენს, სახელდობრ, ის, თუ რა არის სწავლა.

ისტორიულად აღნიშნულ საკითხს პირველად ასოციაციური ფს-გია შეეხო. მან სწავლის საფუძვლად ფს-კური მოვლენების უზოგადესი პრინციპი ა ს ო ც ი ა ც ი ა წამოაყენა /იხ. ასოციაცია წარმოდგენათა/. ამ თეორიის თანახმად სწავლა ასოციაციური კავშირების დამყარებაა ახალ შთაბეჭდილებასა და უკვე არსებული ცოდნის შინაარსს შორის /იხ. ასოციაციური ფს-გია, ასოციაციის კანონები/.

შემდეგი ფს-გიური მიმდინარეობა, რ-მაც სწავლის პრინციპად ასოციაცია გამოიყენა, არის ბიჰევიორისტული მიმდინარეობა, რ-ის საფუძველზე სწავლის არაერთი თეორია წარმოიშვა.

სწავლას ბიჰევიორიზმი განიხილავს რ-რც „გაღიზიანება — რეაქციის" პირდაპირ კავშირს ყოველგვარი „შუამდებარე ცვლადის" გარეშე. ბიჰევიორიზმის ამ უკომპრომისო დებულებაში ახალი შეხედულება შემოიტანა. /ე. თორნდაიკი, კ. ჰალი, ე. გუთრიე, ე. ტოლმენი, ბ. სკინერი/. **თორნდაიკმა** შემოიტანა „მომდევნო ეფექტის" ცნება /იხ. მომდევნო ეფექტის კანონი/, ამ ცნების მიხედვით ქცევის განმტკიცება ცხოველებში, „ცდისა და შეცდომის" პირობებში, შემთხვევით მიგნებული დადებითი რეზულტატის ეფექტის **უკუზეგავლენის** შედეგად ხდება. /იხ. „ცდა და შეცდომა"/.

გუთრიე-ს მიერ წამოყენებული თეორია, ე. წ. კონტიგუიტეტის თეორია, ასოციაციის თეორიის პირდაპირი გაგრძელებაა. ამ თეორიის მიხედვით, ჩვევის განმტკიცება დამოკიდებულია არა თორნდაიკის „მომდევნო ეფექტზე", არამედ იმ ასოციაციურ კავშირებზე, რ-იც თავიდანვე მყარდება გაღიზიანებასა და რეაქციას შორის მათი სიმულტანური მოქმედების შედეგად, ყველაზე უფრო ძლიერად პირველი მოძრაობა უკავშირდება მოცემულ სიტუაციას, ამიტომ სიტუაციის გამეორების შემთხვევაში უნდა მ ო ვ ე ლ ო დ ე თ წინა გადაწყვეტის გამეორებას. **ჰალი** თავის თეორიას აგებს თორნდაიკის „ეფექტის კანონის" ცნებაზე. სწავლის ანუ ჩვევის შეძენა არის გაღიზიანება რეაქციის და მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ კავშირად შერწყმის შედეგი. **ტოლმენი** დაშორდა, როგორც გუთრიეს ისე ჰალს, მან თავის თეორიაში შემოიტანა „შუამდებარე ცვლადის" სახით მიზნისა და მოლოდინის ცნებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჰევიორიზმის ყველა ამ თეორიის ძირითადი საფუძველი, მიუხედავად მათ შორის არსებული სხვაობისა, სავსებით ერთი და იგივე რჩება; ყველა ისინი „უშუალობის თეორიის" პოზიციიდან ამოდიან /დ. უზნაძე/, და საზოგადოდ ქცევა და, კერძოდ, სწავლა „გაღიზიანება-რეაქციის" პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულებიდან გამოჰყავთ, სუბიექტის ჩართვის გარეშე. ტოლმენის „შუამდებარე ცვლადის" ცნებას არსებითი ცვლილება მათ თეორიებში არ შეაქვს და ისინი მაინც მექანიკურ თეორიებად რჩება. ცხადია, მიზნობრივად მიმართული და კოგნიციურ-ნებელობითი ფუნქციებით მოქმედი ქცევის განსაზღვრება მათ არ შეუძლიათ.

„უშუალობის პოზიცია" და სუბ-ის აქტიური როლის იგნორირება ვერც **გეშტალტფსიქოლოგიამ აიცდინა.** ამ თეორიის მიხედვით, სწავლა მიზნის იმპულსით გამოწვეული თავის ტვინის „ფართო ველის დინამიკური სტრუქტურიზაციის მოვლენაა". ეს იმას ნიშნავს, რომ **მიზანი** /ვთქვათ, საკვების მოპოვება/, **საშუალება** /საკვებამდე მისაწვდომი ია-რაღი/ **და გზა ამ საკვებისაკენ** ერთ მთლიანობაში სტრუქტურდება და ასე მთლიანად აღიქმება ცხოველის მიერ ერთ ოპტიკურ ველში, ხოლო ამ მთლიან აღქმაში, გეშტალტთეორიის აზრით, მოცემულია თვითონ პრობლემის გადაჭრაც: აღქმისთანავე ცხოველი ვითომ ხედავს, რა უნდა გაკეთოს, ის ერთბაშად წვდება საქმის ვითარებას და ამოცანას პირველივე მოძრაობით დადებითად წყვეტს /იხ. ჩაწვდომა/. მაგრამ სუბ-ის აქტიურობა აქაც გამორიცხულია, ის მხოლოდ პასიური შემსრულებელია. თუმცა გეშტალტთეორია თავიდანვე ებრძოდა რ-რც ასოციაციონიზმს, ისე-ბიჰევიორისტების „სტიმულ-რეაქციის" ფორმულას, მაგრამ, რ-რც ე. შტერნი ამტკიცებს, თვით გეშტალტფსიქოლოგია მათგან შორს არ წასულა, რადგან თავის თავში დახშული იზოლირებული მთლიანობები, სტრუქტურები იმავე ასოციაციური ფს-გიის „ელემენტებს" გვაგონებს.

დ. უზნაძის თეორია. დ. უზნაძის აზრით, „გეშტალტთეორიის" მიერ წარმოდგენილი „ქცევა", მაშასადამე, სწავლაც, ისე რ-რც ბიჰევიორისტების მიერაა გაგებული, წმინდა მექანიკური პროცესია; სტრუქტურული აღქმა და მასში „მომენტური ჩაწვდომა", „სტიმულ-რეაქციის" მსგავსად, სუბ-ის აქტივობის გარეშე მიმდინარეობს; გეშტალტფსიქოლოგია უშუალობის პოზიციაზე განაგრძობს დგომას და სუბ-ის აქტიურ როლს უგულებელყოფს. დ. უზნაძე სწავლას განიხილავს რ-რც სუბ-ის აქტივობით გაშუალებულ და მიზნობრივად მიმართულ ქცევას, რასაც სრულებით გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, რის გამოც იგი ქცევის არც ერთ სხვა ფორმაზე არ დაიყვანება და ქცევათა კლასიფიკაციაშიც არც ექსტეროგენურ და არც ინტროგენურ ქცევებში თავსდება. სწავლა დამოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდებელი ქცევის ფორმაა /იხ. ქცევის ფორმები/. თავისებურებანი, რომ გამო. უზნაძე სწავლას ქცევის დამოუკიდებელ ფორმად მიიჩნევს, შემდეგია: 1. **სწავლითი აქტივობის ზოგადობა**, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფრის სწავლა შეიძლება; 2. **მიზანდასახულობა**: სწავლა მიზნობრივად მიმართული აქტივობაა, მისი მთავარი **დანიშნულება** და მიზანი ბიოლოგიურად სასიცოცხლო ძალების გავარჯიშებასა, განვითარებასა და განმტკიცებაში მდგომარეობს; 3. **სამოქმედო ძალების შინაგანი იმპულსის ზეგავლენით გამოწვევა**: სწავლისათვის საჭირო ძალები „ფუნქციური ტენდენციის" ზეგავლენით აღიგზნება, მოქმედების ძალები თვითონ შეიცავენ აქტივობის ტენდენციას და თავისი რეალიზაციისკენ ისწრაფვიან; 4. სასწავლო მასალით სწავლის **დეტერმინაცია**: სწავლას სავარჯიშო მასალა გარედან ეძლევა, განსაკუთრებით, „**სწავლის ხანად**" წოდებულ პერიოდში. ამ თვალსაზრისით, სწავლა გარემოდან განიცდის ზეგავლენას, მაგრამ სამოქმედო იმპულსს იგი „ფუნქციური ტენდენციიდ"-წიაღიდან იღებს; 5. **ს. შეიძლება იყოს სხვა ქცევის თანმხლები ეფექტიც**: მაგ., თამაშის მიზანი გართობაა, მაგრამ ამ პროცესში მოთამაშე ბევრ ამავე დროს რაღაცას სწავლობს, ცოდნა-ჩვევას იძენს.

სწორი პასუხის მეთოდი — იხ. დასწავლის მეთოდები.

სწავლა — სუბიექტის მიმართულობა რაიმე მიზნის განხორციელებისაკენ, როც გრძნობითი ტონთაა შეფერილი. ხასიათდება: შინაგანი დაძაბულობით, ძალთა მობილიზაციით, დინამიკურობით, აზროვნებისა და ნებელობის გამოყენებით, რაც მას ინტელექტუალურ გრძნობათა ჯგუფს აკუთვნებს. მაგრამ ზოგი ფს-გი მაგ., ფ. ლერში ს-ს! „ენდოთიმური საფუძვლებიდან" მომდინარე ტოლვათა /Trieb/ ჯგუფს აკუთვნებს, რ-იც დაკავშირებულია „სიცოცხლის გრძნობასთან", „თვითგრძნობასთან" და მიმართულობის გრძნობასთან, მაგრამ ამ თვალსაზრისით ს. არაცნობიერი ინსტინქტური ბუნების ფენომენი გამოვა და არა ინტელექტუალური გრძნობა.

სხვათა დაკვირვების მეთოდი—სხვისი სულიერი ცხოვრება უშუალოდ კი არ გვეძლევა, არამედ შუალობით, გამომხატველი მოძრაობის სახით. ამიტომ სხვისი სულიერი ცხოვრების შემეცნების მიზნით მიმართავენ „გამომხატველ მოძრაობებზე" /მიმიკა, პანტომიმიკა/ დაკვირვებას და მათ დაწერილებით აღწერენ. გარდა დაკვირვებისა გამომხატველ მოძრაობებზე, მიმართავენ აგრეთვე გამოკითხვის მეთოდსაც, ე. წ. ექსპლორაციას და ამ მონაცემების საფუძველზე ცდილობენ ჩაწვდენ მეორე ადნის სულიერ ცხოვრებას. ად-ნზე ასეთ დაკვირვებას ს. დ. მ. ეწოდება. იგი ფს-გიური დაკვირვების მეორე სახეა /პირველია თვითდაკვირვება/.

სხეულის აგებულების ტიპები — სხეულის აგებულების ტიპური სახეების დადგენის მრავალი ცდიდან ყველაზე გავრცელებულად ე. კრეჩმერის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

/1921/ და ვ. შელდონის /1940/ ითვლება. კრეჩმერმა აღწერა ს. ა-ის სამი ძირითადი ტიპის ჰაბიტუსი, სხეულის მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით: 1. პიკნიკური, 2. ასთენიური /ლეპტოზომური/ და 3. ათლეტური. ყოველი მათგანის ფიზ. აგებულებას კრეჩმერმა შესაფერისად განსხვავებული ფს-კური წყობა, ხასიათი და ტემპერამენტი შეუფარდა. სხეულის ტიპის დიაგნოზი კრეჩმერს გამოაქვს სხეულის ორგანოების და მათი ურთიერთმიმართების გაზომვის მეტრული ინდექსით. 1. **პიკნიკური ტიპი** — ფიზ. აგებულება: ტანად საშუალო, სხეულის ნაკვთების მოხაზულობა — დამრგვალებული, კისერი მოკლე, გულ-მკერდი გაშლილი, კუნთოვანი, მუცელი წამოწეული და ჩამოშვებული, კიდურები მოკლე, მიდრეკილია სიმსუქნისაკენ. ფს-კური წყობა: კონტაქტური, მხიარული, გულღია, კაცთმოყვარე, ექსტრავერტული /იხ./. 2. **ასთენიური ტიპი** — ფიზ. აგებულება: ტანად მაღალი, ხმელი, სახე დაგრძელებული, კვერცხის ფორმის, ფერმკრთალი, ვიწრო და ჩავარდნილი გულ-მკერდი, ვიწრო მხარ-ბეჭი, მუცელი შეწეული, კუნთოვანი სისტემა ნაკლებად განვითარებული, წვრილი და გრძელი კიდურები. ფს-კური წყობა: თავშეკავებული, ეჭვიანი, მუდამ დაღვრემილი, საკუთარ. განცდებში ჩაძირული, ინტროვერტული. /იხ./. 3. **ათლეტური ტიპი** — ფიზიკური აგებულება: მხარ-ბეჭი და გულ-მკერდი გაშლილი, მაღალ კისერზე ძლიერი თავი, სახე და სხეული ძვლოვანი, მკვეთრად განვითარებული კუნთოვანი სისტემა. ფს-კური წყობა: ამტანი, მოუქნელი, ახასიათებს მძიმე წარმოშობის აფექტები, გაძნელებული რეაქციები.

ჯანმრთელ ად-ნებში, კრეჩმერის მიხედვით, პიკნიკურ ფიზ. აგებულებას შეესატყვისება ციკლოთიმიკური ტემპერამენტი და ხასიათი, ასთენიურ აგებულებას — შიზოთიმიკური ტემპერამენტი, ათლეტურს — იქსოთიმიკური /ვისკოზური/ ტემპ. და ხასიათი. ფს-კური დაავადების თვალსაზრისით, პიკნიკები ავადდებიან ციკლოფრენიით, ასთენიკები — შიზოფრენიით და ათლეტები — ეპილეფსიით.

ჯანმრთელ ად-ნთა და სულიერად დაავადებულთა მოსაზღვრე მდგომარეობას /ნევროზები და ფსიქოპათიები/ შეესატყვისება: პიკნიკურ სხ. აგებულებას — ციკლოიდური ფს-კური წყობა, ასთენიურ სხ. აგებულებას — შიზოიდური ფს-კური წყობა. /იხ. ციკლოიდი; შიზოიდი/.

3. შელდონმა აღწერა სხეულის აგებულების სამი ტიპი: 1. ენდომორფული, — კორელაციურ დამოკიდებულებაშია ვისცერონიკურ ტემპერამენტთან. შეესატყვისება სხეულის აგებულების „პიკნიკურ" /კრეჩმერი/ ტიპს.

2. ეკტომორფული, — კორელაციურ დამოკიდებულებაშია „სომატონიკურ" ტემპერამენტთან. შეესატყვისება სხეულის აგებულების ასთენიკურ ტიპს /კრეჩმერი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მეზომორფული, – კორელაციურ დამოკიდებულებაშია „სომატოტონიკურ“ ტემპერამენტთან. შეესატყვისება სხეულის აგებულების ათლეტურ ტიპს /კრეჩმერი/.

გარდა ამ სამი ძირითადი ტიპისა, შელდონმა გამოყო სხეულის აგებულების კიდევ მეორეული მომენტები. ასეთებია: სხეულის დისპლასტიკური ფორმა d–ინდექსი; სპეციფიკური სქესობრივი /geschlecht/–ინდექსი; ზედაპირული, კანის საფარის, /ტექსტორალური/ t– ინდექსი; ძირითადი კომპონენტებისა და მეორეული მომენტების ურთიერთთან კომბინაცია ქმნის სხეულის აგებულების სხვადასხვა შერეულ სახეებს და ტიპებს /იხ. ტემპერამენტი; კონსტიტუცია/.

ტ

ტაბუ /პოლინეზ.–აკრძალვა/ – წინაისტორიული, ტოტემურ- საზოგადოებრივი ცხოვრების წესი, რ-იც უკრძალავს თავის წევრებს ზოგიერთ საგანს შეეხოს ხელით, შეხედოს, წარმოსთქვას მისი სახელი. ასეთი საგანი შეიძლება იყოს ად-ნის პიროვნება, ცხოველი, ფრინველი, ან უსულო საგანი – ქვა,ხე და ყველაფერი ის, რაც ტოტემური საზოგადოების რწმენით უწმინდური მავნე ძალის მფლობელი და მატარებელია. სულიერ და უსულო საგანთა გარდა ტ. შეიძლება დაედოს რაიმე საქმეს, ქცევის ფორმას, ზნე-ჩვეულებას და, საზოგადოდ, ცხოვრებისა და სამყაროს ყოველგვარ მოვლენას, რასაც პრიმიტიული ად-ნის „მაგიური აზროვნება“, არაკეთილისმყოფლად მიიჩნევდა. ეს საგნები და მოვლენები ტაბუდადებული /ტაბუირებული/, ე. ი. აკრძალული საგნები და მოვლენებია. შეიძლებოდა ტ. გამოეცხადებინათ სიცოცხლის დამცველ, დადებით, მანა-ძალის შემცველი საგნისათვისაც, ასეთი ძალისადმი პატივისცემისა და მისი ღვთაებრიობის წინაშე მოწიწებისა და შიშის ნიშნად.

ტ-ს დარღვევა დიდ დანაშაულად ითვლებოდა გვარის წინაშე. დამნაშავეს თუ სიკვდილით დასჯა ასცდებოდა, „განწმენდის“ რიტუალის გავლა /მსხვერპლის შეწირვა/ მოუწევდა. ტაბუს დამრღვევი მხოლოდ „განწმენდის“ შემდეგ შეიძლებოდა კვლავ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო.

კ. ცვაიგერტი გამოყოფს ტ-ს სამ სახეს: 1. უარყოფითს – მის /ტაბუს საგნის/ შესახებ მხოლოდ ცუდი უნდა თქვა; 2. დადებითს – მხოლოდ კარგი უნდა თქვა; 3. გამორიცხულს – მასზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ტოტემიზმის ეგზოგამურ პერიოდში მკაცრად იყო რეგლამენტირებული ზოგი საზოგადოებრივი მოვლენა, მაგ., ქორწინების წესი. აკრძალულია ინცესტი, მასზე ტაბუა დადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ-ს საფუძველი — „კოლექტიური წარმოდგენებით" და „მაგიური აზროვნებით" შექმნილი შეფასებები და შეხედულებები /ლ. ლევი-ბრიული/ — მემკვიდრეობით გადაეცემოდა შთამომავლობას; ამიტომაც ტ-ს ურყევი და საერთო-სავალდებულო ხასიათი ჰქონდა.

ფს-გიაში ტ-ს ფსიქიკურ რეპრეზენტატად სურვილი და შიშის ამბივალენტური განცდაა მიჩნეული. სუბ-ტს სურს, მაგრამ მისი სურვილის საგანზე ტ-ა დადებული /ე. ი. აკრძალულია/ და ეშინია დაარღვიოს ეს მკაცრად რეგლამენტირებული საზოგადოებრივი წესი; ამას დიდი სასჯელი მოსდევს!

ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის თეორია არსებითად სურვილისა და მისი აკრძალვით, განდევნით გამოწვეულ კონფლიქტურ-ამბივალენტურ გრძნობებს ეყრდნობა.

ტ-ს ცნობილი მაგალითია ქართული „უხსენებელი"/გველის აღსანიშნავად/, აგრეთვე მეგრული „უჩაღართამი" იმავე მნიშვნელობისა, სიტყვასიტყვით „შავჩოხოსანი".

ტ-ს გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე მეგრული სიტყვა **„ვაშინერს"** — „არ ეგების" „არ იხსენიება".

ხალხური რწმენით, შორეულ ნათესაურ კავშირში მყოფთა შორისაც კი ქორწინება „ვაშინერს", ე. ი. არ შეიძლება... **ამიტომ** იგი არც უნდა მოხდეს. აბრეშუმის ჭიასთან ჭიანჭველას სახელი ახსენო „ვაშინერს", უნდა თქვა „ჰუხუამი" /კუზიანი/, წინააღმდეგ შემთხვევაში აბრეშუმის ჭიას ჭიანჭველა დაესვა თუ რაიმე „ვაშინერს", მაშინ არ კითხულობ „რატომ?", რადგანაც იცი, რომ „ვაშინერს" ახსნას არ საჭიროებს. /„ვაშინერსის" შინაარსში იგულისხმება „არ შეიძლებას" მოტივიც გამართლებაც, დასაბუთებაცა და, საერთოდ, მისი ბუნების საიდუმლო არსი, რ-აც რელიგიურ-მითოლოგიური ელფერი დაჰკრავს/.

ტალანტი /ბერძ. talanton — წონის ან ფულის ერთეული/ — თანდაყოლილი ნიჭის მაღალი ხარისხი რ-ლიმე თეორიულ ან სპეციალურ დარგში /მაგ., მეცნ-ში, მუსიკაში, ფერწერაში, პოეზიაში და სხვა/. ტ-ით აღბეჭდილი შემოქმედება გამოირჩევა სიახლით, შესრულების სიძლიერით, ბრწყინვალე მიგნება — აღმოჩენით. ტ-სა და გენიოსობას შორის განსხვავება გრადუალურია. გენიოსური მიღწევები შემოქმედების ზემო ზღვარზეა, ტ. კი მასზე დაბლა დგას.

ტაუ — ფენომენი — /TAU — Phänomen /ა. გელბის /1887 — 1936/ მიერ აღმოჩენილი /1915/ ფაქტი, რ-იც შემდეგ გეშტალტფსიქოლოგიაში იქნა ზედმიწევნით შესწავლილი. ეხება გამღიზიანებელთა შორის სივრცითი მიმართების დროის მიმართებასთან დამოკიდებულების საკითხს. მაგ., ეკ-ს ეკრანზე თანამიმდევრობით /სუქცესიურად/ ვუჩვენებთ სინათლის სამ გამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტელეკინეზია /ბერძ. tēle — შორს, kinesis — მოძრაობა/ — პარაფსიქიური ცნება, ნიშნავს შორს მდებარე საგნის მედიუმის მიერ ნებისმიერად ამოძრავებას ფიზ. ძალის გამოყენების გარეშე.

ტელეოლოგია /ბერძ. telos — მიზანი და logos — სიტყვა, მოძღვრება/ — ფილოს-ში მოძღვრება, რაც ბუნებაში არსებული მიზანშეწონილობის/ჰარმონიის/ ახსნა მიზნის წარმოდგენიდან გამოჭაის და ბუნების ფუნქციონირებაში ად-ნისაგან დამოუკიდებელი აზრიანი ბეთოკედეფეთა ობიექტურ ბუნებას ... ის მიხედვით მოელენათა მიზეზ-შედეგობრივი ახსნის ადგილს მიზნობრივი სწრაფვის იდეალისტური კონცეფცია იკავებს.

ფს-გიაში ტ-გიზმი ნიშნავს ად-ნის ქცევისა და მოქმედების ახსნას მიზნით მოტივირებული სისტემით. „იგულისხმება, რომ მიზნის წარმოდგენას თავისთავად აქვს უნარი სუბ-ის ქცევაზე ისე იმოქმედოს, რომ იგი თავისდა შესატყვისად აამოქმედოს" /დ. უზნაძე/. დ. უზნაძის „განწყობის" თეორიის თანახმად, მიზნის შესაფერისად მოქმედებას წარმართავს ამ შემთხვევისთვის შექმნილი „განწყობა" და არა მიზანში ნავარაუდევი ფაქტალური ძალა.

ტელეპათია /ბერძ. tēle — შორს, pathos განცდა/ — პარაფს-გიაში: ნიშნავს სხვისი აზრების კითხვას, სხვისი შეგრძნებების, გრძნობების, სურვილებისა და გუნება-განწყობილების უშუალო წვდომას, თვით სუბ-თან სიტყვიერი კონტაქტის გარეშე.

ტემპერამენტი /ლათ. temperamentum — თანაზომიერი ნარევი/ —ად-ნის ფუნქტურ-ემოციურ თავისებურებათა საფუძველი-დისპოზიცია და, საერთოდ, ფს-კის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორთაგანია. ამ აზრით, იგი ახსნითი ფს-გიური ცნებაა.

ტ-ის ცნება უძველესი ფს-გიური ცნებაა. უკვე I ს-ში /ძ. წ. ა./ ბერძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ /460—377/ აღწერა ტ-ის ოთხი სახე: სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატიკური და მელანქოლიკური. /ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება მათ დაერქვა ჰიპოკრატეს შემდეგ გალენის/129—199 ა. წ. ა./—მიერ.

ჰიპოკრატე ტ-ს მიზეზობრივ კავშირში აყენებს ფიზიოლოგიურ პროცესებთან, კერძოდ, ორგანიზმის ჰუმორალურ ფაქტორთან. მის შეხედულებით, ტ-ის ყოველ სახეს განსაზღვრავს ორგანიზმის სითხეთა — სისხლი, ლორწო, ყვითელი ნაღველი, შავი ნაღველი— სიჯარბე და ორგანიზმში მათი განაწილება. მაგ., დანარჩენ სითხეებთან შედარებით, სისხლის სიჯარბე ორგანიზმში წარმოშობს სანგვინიკურ ტ-ს; ლორწოს სიჯარბე— ფლეგმატურ ტ-ს; ყვითელი ნაღველის სიჯარბე ქოლერიკულ ტ-ს; შავი ნაღველის სიჯარბე მელანქონიკურ ტ-ს /იხ/.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტ-ის ყოველ სახეობას სასიამოვნო ან უსიამოვნო ემოციისადმი მიდრეკილება ახასიათებს. ჰიპოკრატეს მიერ დადგენილმა ტიპებმა დროის გამოცდას გაუძლო: ტ-ის ტიპოლოგიის კვლევა ისტორიულად ამ ოთხი ტიპის და მათი ვარიაციის ირგვლივ მიმდინარეობდა /პლატონი, არისტოტელე, გალენი, ი. კანტი, ე. ეუნდტი და აგრეთვე თანამედროვე ფს-გიური მიმდინარეობანი/.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დღეს ტ-ისა და ხასიათის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

თანამედროვე პერიოდში ტ-ის კლასიფიკაციის ცდებიდან უფრო გავრცელებულია ფსიქიატრ ე. კრეჩმერის კლასიფიკაცია, რ-იც ტ-ს ორგანიზმის მორფოლოგიურ აგებულებაზე დამოკიდებულ კომპონენტად თვლის. მან სხეულის აგებულების სამ ძირითად ტიპს ტ-ის სამი განსხვავებული ტიპი მიაკუთვნა: პიკნიკურს—ციკლოთიმიკური, ასთენიურს—შიზოთიმიკური, ათლეტურ ტიპს—ვისკოზური ტ. ფსიქოზებში კრეჩმერის მიერ დადგენილი ტიპების პროტოტიპებია: ციკლოფრენია—ციკლოთიმიკური ტ-ის პროტოტიპი; შიზოფრენია— შიზოთიმიკური ტ-ის პროტოტიპი; ეპილეფსია — ათლეტური ტ-ის პროტოტიპი. ე. კრეჩმერი ტ-ის კლასიფიკაციაში პათოლოგიური ჰაბიტუსიდან ამოდიოდა, რაც მის თეორიას ნაკლად ეთვლება.

ტ-ის კლასიფიკაციის ცდებიდან მნიშვნელოვანია რუს ფიზიოლოგ ი. პავლოვის კლასიფიკაცია, მან ტ-ს მოქმედების ძირითადი თვისებები დაუდო საფუძვლად. ეს თვისებებია ნ. ს-ის ძვრადობა /გამძლეობა/ წონასწორობა და აგზნებადობა. ამ თვისებათა ერთმანეთთან კომბინაციით პავლოვმა ნ. ნ. ს-ის ძლიერი, ძვრადი, გაწონასწორებული მოქმედების ტიპი— შეეფერება **სანგვინიკურ** ტ-ს 2. ნ. ს-ის ძლიერი, გაწონასწორებული, ინერტული მოქმედების ტიპი — შეესატყვისება **ფლეგმატურ** ტ—ს 3. ნ. ს-ის ძლიერი, უწონასწორო ტიპი — შეესატყვისება **ქოლერიკურ** ტ-ს. 4. სუსტი მოქმედების ნ. ს-ის ტიპი—შეესატყვისება **მ ე ლ ა ნ ქ ო ლ ი კ უ რ** ტ-ს. ცნობილია, რომ თავის ცდებს პავლოვი ძაღლებზე ატარებდა; ცხოველებზე მოპოვებული მონაცემების ადამიანზე გადატანა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს.

ტ-თან დაკავშირებით სხეულის აგებულების კლასიფიკაციის ერთ-ერთი ცდა ეკუთვნის ვ. შელდონს. მან სხეულის აგებულების სამი ტიპი დაადგინა: 1. ენდომორფული, შეესატყვისება ვისცეროტონიკურ ტ-ს; 2. ექტომორფული, შეესატყვისება ცერებროტონიკურ ტ-ს; 3. მეზომორფული, შეესატყვისება— სომატოტონიკურ ტ-ს. /იხ./.

აღნიშნულ კლასიფიკაციებში— ჰუმორალური /ანტიკური კლასიფ./, ანატომო-მორფოლოგიური /ე. კრეჩმერი/, ცნ. ს /ი. პავლოვი/ — ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო იდეაა გატარებული: ტ-ის|არსებითი კავშირის იდეა ორგანიზმის ფიზ. სისტემასთან. ამ დებულებას ტ-ის გაგებისთვის პრინციპული მნიშ - ვნელობა აქვს. /იხ. სხეულის აგებულების ტიპები/.

ტემპერატურის შეგრძნება — შეიცავს სითბოსა და სიცივის შეგ- რძნებებს. მათი მიმღები ორგანოები /რეცეპტორები/ კანშია მოთავსებუ- ლი, ამიტომ მათ მჭიდრო კავშირი აქვთ სხვა შეგრძნებებთან /შეხების, დაწოლის და სხვა/. დადასტურებულია, რომ ტ-ის მიმღები ორგანოებ- ის /წერტილების/ რიცხვი, ად-ნის კანის ზედაპირზე, განსხვავებულია: სიცივის წერტილები მთელი სხეულის ზედაპირზე სულ 250 000 ერთეუ- ლი აღირიცხება, სითბოსი კი—სულ 30 000 ერთეული. სიცივის წერტილე- ბი 0,17 მმ სიღრმეზეა კანში მოთავსებული, სითბოსი კი უფრო ღრმად — 0,3 მმ სიღრმეზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორგანიზმი უფრო მგრძნო- ბიარეა სიცივისადმი, ვიდრე—სითბოსადმი. დადასტურებულია აგრეთვე სი- ცივის პარადოქსული შეგრძნება: სიცივის წერტილები ანუ რეცეპტორები სითბოთი რომ გავაღიზიანოთ, მაინც სიცივის შეგრძნებას მივიღებთ /მ. ფარაი/. სითბოს პარადოქსული შეგრძნება, ე. ი. სითბოს წერტილების სი - ცივით გაღიზიანება, რომ მაინც სითბოს შეგრძნებას იძლეოდეს ჯერ არ არის დადასტურებული.

როცა ობიექტური გამღიზიანებლის ტემპერატურა ჩვენი სხეულის ტემ- პერატურას უდრის, მაშინ გარკვეული ინდიფერენტული შეგრძნება ჩნდე- ბა, რ-იც არც სითბოს შეგრძნებაა და არც სიცივისა. ამ ტემპერატურას „ფიზიოლოგიურ ნულეულ წერტილს" უწოდებენ. ტემპერატურული გამღიზი- ანებლის დროში მიმდინარეობის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულია ტემპე- რატურისადმი „ადაპტაცია", მაგ., როცა მდინარეში შევდივართ, პირვე- ლად წყალი ძალიან ცივი გვეჩვენება, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მისი სი- ცივე იკლებს, წყალი თითქოს უფრო თბება. ამ მოვლენას ადაპტაცია ეწო- დება.

ტენდენცია /ლათ. tendo — მივისწრაფი/ — მიდრეკილება მოქმედები- სადმი გარკვეული მიმართულებით; მისწრაფება მოვლენათა განვითარება დაექვემდებაროს წინასწარ ნავარაუდევ სასურველ ვითარებას; განწყო- ბილება რაიმეს შესრულებისადმი. შარლოტა ბიულერის შეხედულებით, პი- როვნების სიცოცხლეს ოთხი ძირითადი ტ. განსაზღვრავს: 1. მოთხოვნილე- ბა-დაკმაყოფილება; 2. შეგუებითი ქცევა; 3. შემოქმედებითი ძალების ექ- სპანსიურობა; 4. შინაგანი წონასწორობის დაცვა.

ტესტი /ინგლ. test — გამოცდა, შემოწმება/ —ფს—გიაში: გამოცდის ექსპერ-ის ერთ—ერთი სახე, წარმოადგენს გარკვეულ ამოცანას, რ-იც ცა- მა უნდა გადაწყვიტოს. ტ-ის მიზანია დაადასტუროს, აქვს თუ არა სუბ-ს ის ფს-კური | უნარი ან თვისება, რ-იც მოცემული ამოცანის გადასაწყვე -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად არის საჭირო. მაგ., აქვს თუ არა სუბ-ტს | თვალზომის სიმახვილე, აღქმის სისწრაფე, ყურადღების საჭირო მოცულობა, კომბინაციის, ანალიზის, სინთეზის უნარი და სხვა. ტ. რომ ვარგისი იყოს, ამისათვის ის რიგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. უნდა იყოს სტაბილური, ე. ი. ყოველი გამეორებისას ტ. ერთი და იგივე შედეგს უნდა იძლეოდეს, სრულ-ფასა და იმავე ტ-თან, ისე — |მასში; 2 |უნდა შეიძლებოდეს მისი საშუალებით უნარის გაზომვა და რიცხობრივად გამოსახვა; 3. უნდა იძლეოდეს უნარის ხარისხობრივად დიფერენციერების საშუალება, ე. ი. შეძლოს ინდივიდები ერთმანეთისაგან| განასხვავოს უნარის მიხედვით; 4. მკვლევარზე არ უნდა იყოს| დამოკიდებული, ე. ი. ყველა მკვლევარი ამ |ტ-ით ერთსა და ამავე შედეგს უნდა ღებულობდეს.

თავიდან ტ. გამოყენებული იყო, როგორც ინტელიგენტობის /გონებრივი განვითარების/ გაზომვის საშუალება. მისი პირველი ავტორები არიან ფ. გალტონი, ვ. შტერნი, ჰ. მიუნსტერბერგი. კერძოდ, ჰუგო მიუნსტერბერგის მიერ ტ. გამოყენებული იყო პროფესიული შერჩევისა და მეურნეობის ფს-გიაში.

ყოველ ტ-ს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: დიაგნოზური და პროგნოზული. პირველი-სვამს დიაგნოზს, თუ რა უნარი აქვს სუბ-ს ამჟამად, მეორე —წინასწარმეტყველებს, ეს უნარი მომავალში ექნება მას თუ არა. ტ |მრავალნაირია, მისი ერთი საყოველთაოდ მიღებული კლასიფ. არ არსებობს, რადგან არ არის მიგნებული ტ-ის გარკვეული ჯგუფისათვის მიკუთვნების პრინციპი. მაგ., ზოგადი გონიერების შემოწმების ტ. შეიძლება მიეკუთვნოს, როგორც განვითარების ტ-ების ჯგუფს, ისე - სპეციალური ნიჭიერების ტ-ების ჯგუფს, ან პროფესიული ვარგისობის ტ-ებს. ჩვეულებრივად მიღებულია ტ-ების შემდეგი დაჯგუფება: 1. განვითარების ტ-ები /ადრეული ბავშვობა და სასკოლო ასაკის პერიოდი/; 2. ზოგადი გონიერების ტ-ები, /მაგ., ბინე-სიმონის სკალა/; 3. სპეციალურ ნიჭიერებათა ტ-ები /ტექნიკური ნიჭი, მუსიკალური ნიჭი და სხვა/; 4. სპეციალური ფუნქციების ტ. /ვიზუალური მეხსიერება, ყურადღების თვისებები, სენსორული/ და სენსომოტორული ფუნქციები და სხვა/; 5. პიროვნების ხასიათის და ტემპერამენტის კვლევის ტ.; 6 |ცოდნა-ჩვევის ტ-ები; 7. პროფესიული ვარგისობისა და ორიენტაციის ტ-ები.

ტიპი /ბერძ. typos—ანაბეჭდი; .გამოსახულება, სახე/ —|ფს-გიაში; სუბ., რ-აც რაიმე თვისება გამოკვეთილად აქვს გამოსახული, ჩრდილავს სხვა თვისებებს და ქმნის პიროვნების ქარაქტეროლოგიურ სახეს. ტ-ში შეგროვილია მისთვის დამახასიათებელი თვისების ყველა ნიშანი და დაჩრდილულია ამ თვისებასთან კორელაციაში არმყოფი სხვა ნიშნები. ეს კი აძლიერებს ტიპურობის | გამომსახველობას და ნიმუშად ხდის მას თავის მსგავსთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოპულაციაში, რ-ის წარმომადგენლად ესა თუ ის ტ. ითვლება, შეიძ-ლება ყველა წევრი არ იყოს მისი |მსგავსი. ტ. ად-ნის ისეთი განზოგადე-ბული სახეა, რ-აც პოპულაციის უმრავლესობა ჰგავს. ამიტომ ტ-ის ცნება მეცნ-ის ისეთი დამხმარე კატეგორიაა, რ-იც ემპირიული სინამდვილის უხ-შირეს შემთხვევათა გაგებაში გვეხმარება.

ვინაიდან ტ-ში გამოყოფილი და ხაზგასმულია ტ-ურობის გამაძლიე-რებელი თვისებები, ხოლო უგულებელყოფილია სხვა დანარჩენი პიროვნუ-ლი ნიშნები, ამიტომ ტ. ნამდვილი, რეალური ად-ნის ხელოვნურად სქემა-ტიზებული სახეა; „იდეალური" ან „წმინდა" ტ. ხელოვნური კონსტრუქ-ციაა. ტ-ის ცნებას იყენებდნენ პლატონი, არისტოტელე, თეოფრასტე და სხვა.

მოძღვრება ად-ნთა ტიპური თავისებურებების შესახებ — ე. წ. ტიპო-ლოგია შეისწავლის და აჯგუფებს ად-ნებს ან ცალკე ფუნქციათა განსხვა-ვებულობის, ან მთლიან-პიროვნული განსხვავებულობის მიხედვით. 1. ცალ-კე ფუნქციათა ტიპოლოგია განვითარდა ფს-კურ ფუნქციათა /აღქმა, წარ-მოდგენა, მეხსიერება, ყურადღება, ფანტაზია, აზროვნება და სხვა/ ექსპ. შესწავლის საფუძველზე. მაგ., მეხსიერების ექსპ. კვლევამ დაადასტუ-რა, რომ ზოგი ად-ნი „მხედველობითი მეხსიერების" ტ-ა, ზოგი — „სმენი-თი მეხსიერების" ტიპი, ზოგი — „მოტორული", ზოგი კიდევ „შერეული მეხსიერების" ტიპი /იხ. |დასწავლა ანუ დამახსოვრება/. რეაქციის მიხედ-ვით გამოიყოფა სწრაფი რეაქციის და ნელი რეაქციის ტ-ები /იხ. პიროვ-ნული განტოლება/, ასევე სხვა ფუნქციის მიხედვითაც. ფუნქციების მიხედ-ვით დადგენილ ტიპებს, რ-რც ზუსტი ექსპ. მეთოდით შესწავლილთ, საერ-თო აღიარება აქვთ. მოპოვებული.

2. მთლიან-პიროვნული, სტრუქტურული განსხვავებულობის ტიპოლო-გიას სუბ-ის მთლიანი სტატუსი აქვს მხედველობაში. ამ მხრივ წარმოდ-გენილ კლასიფიკაციებს შორის უფრო ცნობილია ე. შპრანგერის, კ. ჟუნ-გის, ე. იენშის კლასიფიკაცია /იხ. სიცოცხლის ფორმები, ინტროვერტული და ექსტრავერტული ტიპები, ეიდეტური ხატი/. ფიზ. აგებულების მიხე-დვით ტიპოლოგიური |სახეების დადგენის მრავალი ცდიდან დიდადაა გავრ-ცელებული ე. კრეჩმერის /გერმანია/ და ვ. ჰ. შელდონის /ამერიკა/ მიერ დადგენილი „სხეულის აგებულების" ტიპები /იხ./.

მთლიან-პიროვნულ ტიპთა კლასიფიკაცია ც. |ნ. სის მოქმედების საფუძველზე ეკუთვნის რუს ფიზიოლოგ ი. პავლოვს /იხ. ტემპერამენტი/.

ანსებითად განსხვავებულ პოზიციაზეა აგებული პიროვნების ტიპურობ-ის კვლევა დ. უზნაძის /1886—1950/ განწყობის თეორიაში, რ-ის თანახმა-დაც, პიროვნებათა |ტიპური განსხვავებულობის განმსაზღვრელია ის ფაქ-ტორი, რ-იც საფუძვლად უდევს ად-ნის მოქმედებას საზოგადოდ, ე. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განწყობა" რ-რც პიროვნების მოდუსი, განწყობა, თავისი ზოგადი ნიშნებით /ფიქსაციაირადიაცია, სტაბილურობა, ჩაქრობა/ გამოყოფს ად-ნთა | ტიპურ სახეებს: ჰარმონიული პიროვნება, კონფლიქტური პირ., სტატიკური პირ., ლაბილური | პირ., | და სხვა. ე. ი. განწყობის ნიშნები /განწყობის მიმდინარეობის თავისებურებანი/ ად-ნთა შორის ტ-ური განსხვავებულობის დიფერენცირების უნარის მქონეა.

დ. უზნაძის განწყობის მეთოდით ხასიათის ტ-ში გამოყოფილია პიროვნების სამი ტიპი: 1. დინამიკური. განწყობის ჰარმონიული ხასიათის პიროვნება; 2. სტატიკური განწყობის კონფლიქტური ხასიათის პიროვნება; 3. ვარიაბილური განწყობის იმპულსური ხასიათის პიროვნება. ტიპები | კორელაციაშია თემატიკური აპერცეფციისა და რორშახის ტესტებით დადასტურებულ ტიპოლოგიასთან.

ტირილი – მწუხარების „გამომხატველი მოძრაობა". ტ. შეიძლება სხვა მიზეზმაც გამოიწვიოს, მაგ., სიხარულმა, | სიმპათიამ, , განრისხებამ, ფიზიკურმა ტკივილმა. მაგრამ, როგორც წესი, ტ. სულიერი ტანჯვის, მწუხარების, დეპრესიის ნიშანია. ტ. სპეციფიკურ ად-ნურ რეაქციად ითვლება. ბ-ვი დაბადებისას კი არ ტირის, არამედ ჭყივანა ხმით ყვირის, ტ-ს ბ-ვი მოგვიანებით იწყებს და ყოველთვის | არადამაკმაყოფილებელ სომატურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ აზრით, ტ. სასიგნალო მნიშვნელობისაა და მიზანშეწონილ რეაქციას წარმოადგენს. ბ-ვში ყოველი წარუმატებლობა, მარცხი, ფიზ. ტკივილი ტ-ლს იწვევს. ზრდადამთავრებული ტირის მხოლოდ დიდი სულიერი მღელვარების, აუნაზღაურებელი დანაკარგის შემთხვევაში. ტ. უმწეობის ნიშანია. ტ-ის ხელოვნური გაჭიანურება ძნელია, ტ. გადამდებია, იწვევს სხვისი წაბაძვის იმპულსს. ტ-ის დროს პირისახის კუნთები მოდუნებულია, ტანი გაუმართავი და მოშვებული. შინაგანად ლაბილური სუბ. უმნიშვნელო მიზეზის გამო ტირის. ტ-ის ბიოლოგიური მნიშვნელობა, გარდა სასიგნალო | მნიშ-ისა, უთუოდ ისიც არის, რომ მწვავე სულიერი დაძაბულობის შემთხვევაში /სტრესი/ ის, რ-რც რეაქცია, იწვევს დაძაბულობის შენელებას, განმუხტვას.

ტიტინი – მეტყველების განვითარების წინასტადიის გამოვლენა: ბ-ვის მიერ ზოგი ბგერის გაბმული გამეორება. იწყება ბ-ვის „ძუძუს ასაკის" პერიოდში. მისი დანიშნულებაა | სამეტყველო ორგანოების გავარჯიშება. ჩვეულებრივ, ბ-ვი ტიტინებს მაშინ, როცა ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. ტ-ს სხვა დანიშნულება არა აქვს გარდა თვით წარმოთქმისა, ამიტომ იგი „ფუნქციური ტენდენციის" გამოვლინებად ჩაითვლება.

ტიფლოპედაგოგიკა /ბერძ. typhlos – უსინათლო და paidagōgikē – აღზრდა/ – პედ. მეცნ-ბის ერთ-ერთი დარგი. შეისწავლის უსინათლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტი მხედველობის ბ–ვთა სწავლა–აღზრდის პრობლემას. უსინათლობა და სუსტი მხედველობა დეფექტის ერთ–ერთი სახეა, ამდენად ტ. წარმოადგენს დეფექტოლოგიის ნაწილს.

ტ–ის მიზანია დაადგინოს უსინათლო და სუსტი მხედველობის ბ–ვის ფსიქო–ფიზ. თავისებურება, დაამუშაოს მისი სწავლა–აღზრდის ისეთი მეთოდები, რ–ებიც შეძლებენ ბ–ის ნაკლის კომპენსირებას, უზრუნველყოფენ მასში შრომით–პროფესიული ჩვევების გამომუშავებას და გახდიან მას საზოგადოებრივად სასარგებლო პიროვნებად.

უსინათლოთა სწავლა–აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა ბრაილის შრიფტმა, რ–იც შეიმუშავა ფრანგმა თვითონ უსინათლო ტ–მა, ლუი ბრაილმა /იხ. ბრაილის შრიფტი./.

ტკივილის შეგრძნება – ასახავს სუბ–ის მდგომარეობას და არაა–სოდეს არ მიუთითებს საგნის ობიექტურ თვისებაზე. ამ აზრით იგი ყველა შეგრძნებაზე უფრო სუბიექტურია. წარმოიქმნება ორგანიზმის ყოველგვარი დაზიანების შედეგად. დამახ. ტ–ლის აფექტური ბუნება. ის ძლიერ უსიამოვნო განცდაა. ფიზიოლ–ში არ არის სრული თანხმობა, არსებობს თუ არა ტ–ის მიმღები ცალკე რეცეპტორი, თუ ყოველი რეცეპტორის ნერვული ღეროს ძლიერი გაღიზიანებაა ტ-ის გამომწვევი, ტ–ის სპეციფიკური რეცეპტორის არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობს: 1. ანალგეზიის მოვლენა, როდესაც ტ–ის შეგრძნება დაკარგულია, ხოლო ტაქტილური და თერმული შეგრძნებები დაცულია; 2. კანში აღმოჩენილი ტ–ის განსაკუთრებული წერტილები; 3. ოპერაციის შედეგად გადაჭრილი ნერვის რეგენერაციის პროცესი /ჯერ აღდგება ტკივილის შეგრძნება და მერე სხვა შეგრძნებები./. უფრო განმტკიცებულია აზრი, რომ ტ–ის შ. აღმოცენდება ან კანში, ან შინაგან ორგანოებში მოთავსებული სპეციფიკური რეცეპტორის აგზნებით. საგულისხმოა, რომ ტ–ის რეცეპტორს ადეკვატური გამღიზიანებელი არ გააჩნია. /იხ. ადეკვატური გამღიზიანებელი/. ტ–ს იწვევს ყოველი გამღიზიანებლის ზემოქმედება, რ–აც შეუძლია ორგანიზმის ცოცხალი ქსოვილის დაზიანება.

ტ–ის შ–ის საპასუხო რეაქციაში მთელი სხეულია ჩართული. ხდება გულისცემისა და სუნთქვის გახშირება, სისხლძარღვების შევიწროება, საჭმლის მომნელებელი წვენების შემცირება, ოფლის გამოყოფის გაძლიერება, სისხლში შაქრის მომატება და სხვა. შინაგანი ორგანოებიდან მომდინარე ტკივილი ხშირად დაავადების ლოკალური ადგილის გარეთაც შეიგრძნობა. ამას **არეკლილ** ტ–ს უწოდებენ, იგი ხელს უშლის დაავადების ლოკალური ადგილის ზუსტ დადგენას.

ტ. შ. ბიოლოგიურად სასიგნალო მნიშვნელობისაა. ის მიუთითებს ორგანიზმს საშიშროების არსებობაზე და იწვევს თავდაცვით რეფლექსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლერანტობა /ლათ. tolerantia — ატანა, მოთმენა/ — მოთმენა იმისა, რაც ძალიან არ გინდა, არ მოგწონს, გაწუხებს, მაგრამ მის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება, ბრძოლა არ გსურს ან არ შეიძლება რაიმე მოტივით /მორალური, ჰუმანური და სხვა/, ამიტომ იტან მას, ითმენ. ეს ნიშნავს, რომ მისდამი ტ-ული ხარ. ტ. არის შემწყნარებლური დამოკიდებულება საკუთარი შეხედულებების, ზნე-ჩვეულებების, რწმენის საწინააღმდეგო პოზიციისადმი. ტ-დ ითვლება ისიც, როცა ფს-კური ან ფიზ. დიდი ბლური ბლური დატვირთვის /მუშაობა, სპორტი/ მიმართ სუბ. იჩენს გამძლეობ-ის უნარს. საწინ. ინტოლერანტობა.

ტონის შეგრძნება — იხ. სმენის შეგრძნება.

ტოტემი /ჩრდილო ამერიკ. ინდიელების ენიდან/ — წინაისტორიულ პერიოდში თემის ან გვარეულობის მიერ გვარის დამაარსებლად აღიარებული ცხოველი /ან მისი ხელოვნური გამოსახულება/, რ-იც მიჩნეული იყო წინაპრების სულის მატარებლად და გვარეულობის მფარველად. გარდა ცხოველისა, ტოტემად შეიძლებოდა დაესახათ სხვა რამ, მაგ., ფრინველი, თევზი ან რაიმე უსულო საგანი /ქვა, ხე და სხვა/. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად ტ. ცხოველის სახით იყო წარმოდგენილი. გარდა გვარეულობის ტ-ისა, არსებობდა ინდივიდუალური ტ. მაგ., „სქესის" /გამრავლების/ და სხვა. ტ. დიდი პატივისცემისა და რელიგიური თაყვანისცემის საგანია. მისი დაკლა და ჭამა მკაცრადაა აკრძალული. ტ-ის სადიდებლად შექმნილია წეს-ჩვეულებები, შემოღებულია ტაბუ, დღესასწაულები, მსხვერპლის შეწირვა, სხვადასხვა რიტუალები /ცეკვები, სიმღერები და სხვა/. ტ-ს ამკობენ გვარეულობის ; გერბით ; /მაგ., ინდიელების გერბი იყო ბოძისებური ფორმის ნაკეთობა ად-ნის თავის ქალისაგან/.

ტოტემიზმი — ეწოდება ტოტემის კულტის განვითარებას, შესაფერისი რელიგიური რიტუალებით და წეს-ჩვეულებებით /დღესასწაულები, ცეკვები, სიმღერები/. ვ. ვუნდტის აზრით, ხალხთა ფს-გიაში ტ-ით აღინიშნება ეგზოგამიის განვითარების, გვაროვნობის დიფერენცირების და ჩამოყალიბების პერიოდი, და ტოტემის კულტის, რ-რც არქაული ფორმის რელიგიის განვითარების ხანა.

ტრანსი /ლათ. tränseo — გადასვლა, გატარება; ფრანგ. transe/ — ძილისებური მდგომარეობა, რ-იც ნამდვილ ძილში არ არის გადასული. თან სდევს ცნობიერების შევიწროება /დაბინდვა/, ნებისყოფის სისუსტე. ტ-ის მდგომარეობაში სუბ-ს შეუძლია შეასრულოს მოქმედებათა რიგი, რ-თა შესახებ გამოფხიზლების შემდეგ არაფერი ახსოვს. ტ-ის მდგომარეობად ითვლება ჰიპნოზური ძილი, მთვარეულის ძილისებური მდგომარეობა.

ტრანსდუქცია /ლათ. transductio — გადაყვანა, გადაადგილება/ — 2-3 წლის ბ-ვის აზროვნების ფორმა. დამახ. დასკვნის გამოტანა კერძოდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კერძოსკენ. ამ სახის აზროვნებას ვ. შტერნმა ტ. უწოდა. ექსპ-ულად დადასტურებულია, რომ აღნიშნული ასაკის ბ-ვისათვის ნამდვილი ლოგიკურ-ვერბალური აზროვნება უცხოა. ლოგიკურ-ვერბალური აზროვნების საფუძველი - ცნება, რ-ზედაც დამყარებულია მსჯელობა და დასკვნა, ბ-ვს სათანადოდ განვითარებული არა აქვს. მართალია, ამ ასაკის ბ-ვი სწორად მეტყველებს, თავის ადგილას ხმარობს სიტყვებს, ადგენს წინადადებებს, მაგრამ, რ-რც ცდებიდან ირკვევა, ეს სიტყვები ნამდვილ ც ნ ებ ა ს არ წარმოადგენენ, იდეურ ობიექტს არ ასახავენ, არამედ შეიცავენ კონკრეტული საგნის წარმოდგენას რ-იმე ერთი ნიშნის მიხედვით. ბ-ვის მეტყველების ის შემთხვევები, რ-ებიც თითქოს ნამდვილ დასკვნას გამოხატავს, ფაქტობრივად წარმოადგენს დასკვნას კერძო შემთხვევიდან კერძოსკენ. დასკვნის ასეთი ფორმა არის ტ., ის მხოლოდ 2-3 წლის ბავშვისთვისაა დამახასიათებელი.

ტრანსპოზიცია - ვარჯიშის შედეგის სხვა ფუნქციის მოქმედებაზე გადატანას ტ. ეწოდება. ერთი რ-იმე ფუნქციის გავარჯიშების შედეგად მეორე, მასთან ახლო მდგომი, მონათესავე ფუნქციის მიღწევების გაუმჯობესება ხდება. ე. ებერტმა და კ. მოიმანმა ჩაატარეს ტ-ის ექსპერიმენტი დასწავლაზე. ცპ-ს აძლევდნენ გარკვეულ მასალას დასასწავლად /მარცვლებს, ციფრებს და სხვა/. აღმოჩნდა, რომ ამ მასალის დასწავლაზე გაწეული ვარჯიში გავლენას ახდენს სხვა მასალის დასწავლაზეც: მისი დასწავლა უფრო ადვილად და სწრაფად მიმდინარეობს. ხდება ვარჯიშით მიღწეული შედეგის გენერალიზაცია.

გ. ე. მიულერისა და ე. თორნდაიკის აზრით, ეს თანაგავარჯიშება შეიძლება აიხსნას თვით დასასწავლ მასალაში შემავალი იდენტური ელემენტებით.

ტ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს პედ. პროცესისათვის, სწავლის ეფექტიანობა, ისე, რ-რც მოსწავლის საერთო განვითარება, დიდად არის ტ-ზე დამოკიდებული.

შემჩნეულია ისიც, რომ ტ-მ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შემდეგი ამოცანის გადაჭრაზე, თუ ეს შემდეგი მასალა, წინასთან შედარებით, **ჰეტეროგენურ ელემენტებს** შეიცავს და არაფრით ჰგავს წინა ამოცანას. მაშინ მის გადაჭრას წინასწარი ვარჯიში უფრო აძნელებს.

ტრანსფორმაცია /ლათ./ ფსიქოანალიზში: დაცვითი მექანიზმის ერთ-ერთი სახე. ნიშნავს რაიმე აფექტის, გრძნობის გარდაქმნას სხვა გრძნობაში გადასვლის გზით ან გრძნობის გაუკულმართებას. /იხ. კონვერსია, - სუბლიმაცია/.

ტროპიზმი /ბერძ. tropos - მიმართულება, მიბრუნება/ ბიოლოგიაში ეწოდება მცენარეთა ზრდისეული მოძრაობის მიმართულების შეცვლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

/გადახრა, მოღუნვა/, რ—აც იწვევს ფიზ. ან ქიმიური გამღიზიანებლის ცალმხრივი ზემოქმედება. მაგ., მზესუმზირა მთელი დღის განმავლობაში მიბრუნებულია მზისკენ, ოთახის მცენარე თავისი ფოთლებით მიბრუნებულია სინათლისკენ. ცალმხრივად მოქმედი გაღიზიანების ზეგავლენით გამოწვეული ტ—ის სახეებია: **ფოტოტროპიზმი** — მცენარის სინათლისაკენ მიბრუნება; **ჰელიოტროპიზმი** — მზის მიმართულებით მიბრუნება; **გეოტროპიზმი** დედამიწისკენ ტოტების მოღუნვა /მაგ., ძეწნა, ტირიფი/; **თერმოტროპიზმი** — სითბოსკენ გადახრა; **ჰემოტროპიზმი** — ქიმიური გამღიზიანებლის მიმართ გადახრა ტ. ორნაირია — დადებითი და უარყოფითი. დადებითია, როდესაც მცენარე ცალმხრივად მოქმედი გამღიზიანებლისაკენ იხრება; უარყოფითია, როდესაც ეს გადახრა გამღიზიანებლის საწინააღმდეგოდ ხდება, თითქოს მცენარე გაურბოდეს გამღიზიანებელს. ტ—ის მოვლენები ტაქსისის მონათესავეა. /იხ. ტაქსისი/.

უ

უარყოფითი ანუ ნეგატიური თანამიმდევარი — **ოპტიკური კვალი** — იხ. მხედველობის კვალი.

უკვე ნახულის ილუზია ანუ Dejavu ანუ illusion déja vu, მეხსიერების პათოლოგიის /იხ. პარამნეზია/ ერთ—ერთი სახე. უცნობი საგნის ან სიტუაციის მიმართ ად—ნს ზოგჯერ უჩნდება განცდა /ექმნება ილუზია/, რომ ის, რასაც ის ახლა ხედავს ოდესღაც უნახავს და განუცდია. ობიექტურად უცნობი სიტუაციის მიმართ სუბ—ს უჩნდება ნაცნობობის გრძნობა. ეს მოვლენა ცნობილია აგრეთვე Fausse reconnaissance /მცდარი ცნობის/ სახელით.

ვ. შტერნი ასე აღწერს ამ მოვლენას: „ობიექტურად სრულიად ახალიც კი ზოგჯერ ნაცნობად მეჩვენება... მაგ., უცხო ქალაქში ვხვდები ად—ნს, რ—იც მანამდე, რასაკვირველია, არასოდეს მინახავს, ერთბაშად შიში ამიტანს და თავში აზრი დამიწყებს ტრიალს: ამ კაცს ხომ ვიცნობ, სად შემხვედრია იგი! ეს გრძნობა 1,5 — 10 წუთს გრძელდება, შემდეგ კი სრულიად ქრება. Faussé reconnaissance მე აგზნებულ მდგომარეობაში როდი მაქვს, არა, ამ დროს მე სრულიად დამშვიდებულ მდგომარეობაში ვიმყოფები“.

არსებობს ამ განცდის, უკვე ნახულის ილუზიის საწინააღმდეგო დაკვირვებაც „არასოდეს ნახულის ილუზია“.

ნაცნობი სიტუაცია ად—ანს ზოგჯერ უცნობად, წარსულში არ ნახულად, უცხოდ ეჩვენება.

ცნობის ილუზიის აღწერილი შემთხვევები შეიძლება ნორმალურ ად—საც აღმოაჩნდეს, მაგ., დაღლილობის დროს. ასეთი შემთხვევა შეიძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა პათოლოგიად არ ჩაითვალოს, მაგრამ, როცა ის მეხსიერების **გაბატონებულ** ფორმად იქცევა, მაშინ უკვე პათოლოგიასთან გვაქვს საქმე /დ. უზნაძე/. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად ხსნის ამ მოვლენას. დ. უზნაძის აზრით, ამ მოვლენათა საფუძველი სათანადო განწყობაა.

უშუალოდ ვითი ანუ რეტროსპექტული თვითდაკვირვება — იხ. თვითდაკვირვება.

უმაღლესი გრძნობები — ინტელექტუალური, ესთეტიკური, ეთიკურ-მორალური, სოციალური, რელიგიური გრძნობებია.

უმოკლესი აწმყო — იხ. დროის აღქმა.

უნარი /რუს. **задаток**, გერმ. **Fähigkeit**/— ზოგ. მნიშვ. — შესაძლებლობა, მოხერხება; ფს-გიაში; ფს-კური ან ფიზიოლ. მონაცემები: მზაობანი, თვისებები, შესაძლებლობანი, რ-ლთა საფუძველზე წარმოიშობა ყოველი აქტიურობა და ხორციელდება მოქმედება გარკვეული მიმართულებით. უ-ზეა დამოკიდებული პიროვნების მიღწევები. თუ პიროვნება იჩენს დაინტერესებას რაიმე საქმეში, ისწრაფვის მის შესასრულებლად, ეძებს მისი განხორციელების ხერხებსა და გზებს და კიდეც აღწევს შედეგს — ჩანს, მას ჰქონია საქმის გაკეთების უ. პიროვნების ნიჭი იგივე უ-ია იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით. უ. აქტიურობის საფუძველია. ამ აზრით, იგი „დისპოზიციაა", /იხ./ ჩანასახში მოცემული. ზოგის აზრით. უ. „დისპოზიციათა სინთეზია" /სური/, უ., ჩანასახის სახით უთუოდ თავიდანვეა მოცემული, მაგრამ მისი სრულყოფა და მოქმედ ძალად გადაქცევა აღზრდაზე და გავარჯიშებაზეა დამოკიდებული. უ. შეიძლება იყოს ზოგად-პიროვნული, შეიძლება იყოს სპეციალური, /დიფერენციულ-ინდივიდუალური/, ე. ი. ეხებოდეს პიროვნების რომელსამე ერთ მხარეს /აზროვნებას, მეხსიერებას, ფსიქო-მოტორიკას და სხვ./, ელინდებოდეს ცხოვრების რომელსამე ერთ სფეროში/ მეცნიერება, ხელოვნება, პრაქტიკული მოქმედება და სხვ./.

დღეს ფს-გია დიდი ყურადღებით ეკიდება უ-ს, როგორც ად-ის მიღწევების საფუძვლის კვლევას. შექმნილია მრავალი ტესტი მისი გამოვლენისა და შესწავლის მიზნით, უ-ის სხვადასხვა სახეების ნათესაობის /აფინიტეტის/ და თანაარსებობის კვლევა მიმდინარეობს ფაქტორალური ანალიზის მეთოდითაც. სინონიმია კაპაციტეტი /იხ./.

უნებლიე ყურადღება — იხ. ყურადღება.

უპირობო რეფლექსი — ორგანიზმის თანდაყოლილი სპეციფიკური რეაქცია გარკვეულ გამღიზიანებელზე. ერთნაირადაა დამახ. მოცემული სახეობის ყველა ცხოველისათვის. ხორციელდება ც. ნ. ს-ის ქვედა განყოფილებით, რ-

აა ზურგის ტვინი, მოგრძო ტვინი, შუამდებარე ტვინი და ჰემისფერების ქერქქვეშა ბირთვები. უ. რ. ინსტინქტის შემადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი ელემენტია. ყოველი ინსტინქტი, რ–რც ორგანიზმის რთული ქცევა, მრავალი უპირობო, თანდაყოლილი რეფლექსის საშუალებით ხორციელდება /იხ. რეფლექსი/.

უსიამოვნება – იხ. გრძნობები.

უფერული ფერები – იხ. ფერის შეგრძნება.

უშუალო მეხსიერება – პასიური მეხსიერების ერთ–ერთი ყველაზე უმარტივესი სახე, სადაც გაღიზიანებას /აღქმას/ მისი აღდგენაც მოსდევს თან, ყოველგვარი გამეორებისა და ლატენტური პერიოდის გარეშე. უ. მ. მდგომარეობს შემდეგში: რ–რც კი სუბ. მიიღებს შთაბეჭდილებას /მოისმენს სიტყვებს, ციფრებს, წინადადებებს/, მაშინვე, დროის ინტერვალის გარეშე აღადგენს მას. მაგ., უ. მ–სთან გვაქვს საქმე, როდესაც ცპ–ს ევალება დაიხსომოს მიწოდებული სიტყვათა რიგი და აღადგინოს იგი მოსმენის დამთავრებისთანავე. უ. მ–ს დიდი მნიშვნელობა. აქვს ად–ნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგ., საუბარი–დიალოგი, კარნახით წერა, ლინოტიპისტის, მანქანაზე მბეჭდავის, სტენოგრაფისტის, ასოთამწყობის მუშაობა მხოლოდ უ. მ-ს ემყარება. მ–ს სხვანაირად ხანმოკლე მეხსიერებასაც უწოდებენ, ვინაიდან შთაბეჭდილების აღდგენის შემდეგ, რ– იც მაშინვე ხდება, იგი გადის ცნობიერებიდან. საპირ. ხანგრძლივი, შუალობითი მეხსიერება, როცა შთაბეჭდილების აღდგენა მისი მრავალჯერ გამეორებისა და საკმაოდ ხანგრძლივი დროის ლატენტური პერიოდის გავლის შემდეგ ხდება.

უშუალობის პოსტულატი ანუ ჰიპოთეზი – უ. პ–ის პრინციპის თანახმად ფს–კური პროცესები უ შ უ ა ლ ო კავშირშია ერთმანეთთან: ფს–კური ფენომენი უშუალო ზეგავლენას ახდენს ისევ ფს–კურ ფენომენზე, რის შედეგადაც მათ შორის კაუზალური დამოკიდებულება მყარდება: ფს–კური ისევ ფს–კური მოვლენის გამომწვევ მიზეზად იქცევა. უშუალობის პრინციპის მიხედვით, ფიზ. მოვლენაც უშუალოდ ზემოქმედებს ფს–კურზე და განსაზღვრავს მის მიმდინარეობას. ამ შემთხვევაში ფიზ. მოვლენა ფს–კურთან მიზეზობრივ კავშირშია. დ. უზნაძის აზრით, რეალურად გარე სინამდვილესთან ურთიერთობაში თვითონ ინდივიდი იმყოფება, როგორც მთლიანი სუბ. და არა მისი რომელიმე ნაწილ–ფს–კური ან ფიზ.; გარესინამდვილე, პირველ რიგში, ამ მთლიან სუბ–ზე ახდენს გავლენას და არა მის რომელიმე ნაწილზე. ამიტომ დ. უზნაძემ ფს–გიის ამოსავალ ცნებად მთლიანი პიროვნება დასახა და ნამდვილი მეცნიერული ფს–გიის ამოსავალ პრობლემად მთლიანი პიროვნების პრობლემა მიიჩნია. ამ უკანასკნელ დებულებას მან „შუალობითი პრინციპი" უწოდა და თავისი „განწყობის" თეორიის წინამძღვრად გამოიყენა, – „უშუალობის პოსტულატი" „შუალობითი პრინციპით" შეცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცოდინარი წესი – ფს–გიაში ექსპერიმენტის ჩატარების ერთ–ერთი ხერხი, რ–ლის მიხედვით ცპ–მა არ უნდა იცოდეს, თუ რა ექსპერ–ს აყენებენ მასზე და რა მიზანი აქვს ამ ექსპ–ს დასახული. გულისხმობენ, რომ ექსპ–ის მნიშვნელობისა და მიზნის ცოდნას შეუძლია წინასწარ განაწყოს ცპ. გარკვეული მიმართულებით, რასაც შეუძლია განსაზღვროს თვით ექსპ–ის შედეგიც.

ფ

ფალუსური ფაზა /ბერძ. phallos/ – ფროიდის თეორიით: ბ–ვის სექსუალურ განვითარებაში ანალური ფაზის მომდევნო ფაზა; იწყება სამი წლის ასაკიდან და უშუალოდ ესაზღვრება გენიტალურ ფაზას /პუბერტატული ფაზის დასაწყისი, 12–13 წ./

/იხ. ანალური ფაზა, გენიტალური ფაზა./

ფანტაზია ანუ წარმოსახვა /ბერძ. phantasia – წარმოსახვა/ – ფს–კის მოქმედების თავისებური სახე, რ–ლიც წინათ აღქმულ და მეხსიერებაში შემონახულ წარმოდგენებს, ასხვაფერებს, ქმნის მათგან ახალ სახეებს და მათი კომბინაციებით აგებს ახალ სიუჟეტს, აყალიბებს არარსებულ სამყაროს. ფ–ში რეალური სახით არც წარმოდგენებია დაცული და არც მათგან აგებული სამყარო. მაგ., სინამდვილეში არ არსებობს ცხრათავიანი დევი, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი, ჯინკა, ან მოლაპარაკე ოქროს თევზი. ეს ყველაფერი ფ–ით შექმნილი წარმოდგენებია; ზღაპრები და მითები ყველა ფ–ის ნაყოფია, სიზმრისა დაძინების მსგავსი ფანტომები. ფ–ს მიმართავს ად–ნი მაშინ, როცა მისი შინაგანი ძალები გამოვლენილი არაა, როცა სურვილები და მისწრაფებები ჩაჭედილია შიგნით, გარეთ|გამოსავალს ვერ პოულობს და გაურეალიზებელი რჩება, როცა არსებული სინამდვილე|სუბ–ს არ აკმაყოფილებს, სხვანაირი საგნები და სხვანაირი ვითარება სურს, შაშინ ის ასხვაფერებს რეალურ წარმოდგენებს, რ–ებიც აქვს, და მათგან აგებს ისეთ სამყაროს, რ–რიც სურს და რ–ლიც მის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს; მაგრამ ეს იქნება წარმოსახვითი სამყარო და დაკმაყოფილებაც იქნება მხოლოდ მოჩვენებითი.

ორულებით ახალი საგნების წარმოსახვა, ისეთის, რ–რიც ად–ნს არასოდეს არ უნახავს და არ| აღუქვამს, არ შეიძლება. მაგ., ბრმადდაბადებული ფერს ვერ წარმოიდგენს და თავის ფ–ში ფერის ფენომენს ვერ გამოიყენებს. ფ–ის მასალა იმავე რეალური აღქმის შედეგად მეხსიერებაში შემონახული შინაარსებია. ფ. მათ მხოლოდ ასხვაფერებს, ერთი წარმოდგენის ნაწილს მეორე წარმოდგენის ნაწილთან| აკავშირებს და მათგან ქმნის საკუთარ ფანტასტიკურ სახეებს. ამის მიხედვით ფ-ის ფუნქცია შემოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაა, ახლის შექმნა. მაგრამ ეს ახალი მხოლოდ სუბიექტურადაა ახალი, ობიექტური ღირებულება მას არ აქვს. რ–რც შემოქმედება, იგი კოგნიციურ–გონებრივი კატეგორიის მოვლენაა, განყენება–ანალიზი–სინთეზის აქტებით განხორციელებული /იხ. აგლუტინაცია/.

ფ. ად–ნის ყოველგვარი აქტივობის თანხმლებია, შემოქმედების გზის გამკვალავი და მისი მასშტაბურობის განმსაზღვრელი. იგი ყველაფერში ერევა, თვით ყოველდღიურ პროზაულ ცხოვრებაშიც კი. უფანტაზიოდ რაიმე მნიშვნელოვანის ¡გაკეთება. შეუძლებელია. განასხვავებენ რეპროდუქციულ და პროდუქტულ ფ–ს. **რეპროდუქციულ** ფ–ში ძირითად ცვლილებებს /აღქმაში ან წარმოდგენაში/ ადგილი არა აქვს, არამედ შეიმჩნევა ოდნავი ცვლილებები. მეხსიერებაში შემონახულ მოვლენებში ცვლილებების შეტანას „ჩვენების ფს–გიაც" ადასტურებს, რ–ლის მტკიცებით აღქმაში ან მეხსიერებაში ცვლილებების შემტან ფაქტორთა შორის ფანტაზირებისადმი მიდრეკილებასაც შეაქვს თავისი წვლილი, რეპროდუქციული ფ. გამოცდილებაში დაგროვილი მასალის ერთგვარი მოდიფიკაციით კმაყოფილდება. **პროდუქტიული** ფ. კი შემოქმედებითი ფ–აა, იგი საკუთარი ახალ სამყაროს აგებს. პროდუქტიული ფ. ეს მუსიკალური სიმფონიებია, მონუმენტური ქანდაკებები, უკვდავი რომანები და პოემები, ფერწერის მარადიული სახეები.

ფ–ის ამ ორი სახის გარდა განასხვავებენ **პასიურ** და **აქტიურ** ფ–ს. პასიური ფ. თან სდევს ად–ნის თითქმის ყოველ მოქმედებას, მის აღქმას და მეხსიერების მოვლენებს. მისი სახეებია აგრეთვე სიზმარი და ოცნება /იხ./. პასიური ფ. სპონტანურად აღიძვრის, სუბ–ის განზრახვის გარეშე და მიმდინარეობს ნებისყოფის ჩაურევლად, ავ ტონომიურად. მაგ, აღქმაში პასიურ ფ–ს თავისი კოლორიტი შეაქვს და საგანს მიაკუთვნებს ისეთ რამეს, რასაც ის ობიექტურად არ შეიცავს. მეხსიერებაში ფ. ცვლის არათუ მოვლენების მიმდინარეობას, არამედ თვით შინაარსსაც კი. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში სპეციალურად დგება ჩვენებათა სისწორის საკითხი. სიზმრის, ისე ვით ოცნების მიმდინარეობაში, სუბ–ის აქტიური როლი სრულებით აღკვეთილია. ფ. ავტონომიურად მოქმედებს, თავისუფალი ასოციაციის პრინციპით.

აქტიური ფ., პასიური ფ–ის საწინ. სუბ–ის ნებაზეა დამოკიდებული. აქ ფ. შემოქმედებით ქცევაშია ჩართული და მის საფუძველზე იშლება სუბ–ის შემოქმედებითი საქმიანობა. მთელი სახვითი ხელოვნება, ისე რ–რც მუსიკის შედევრები და საზოგადოდ მხატვრული შემოქმედება, აქტიური ფ–ის აღმაფრენის შედეგია.

ფანტაზიის თამაში – იხ. ილუზიის თამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანტაზიის თეორიები — ა/ასოციაციური ფს—გია ფ—ის შემოქმედებას და მიმდინარეობას ასოციაციის კანონებით ხსნიდა /თ. რიბო/. ბ/ ინტელექტუალისტური ფს—გიის შეხედულებით, ფ—ში ელემენტები შემთხვევით კი არ უკავშირდება ერთმანეთს, არამედ ამ კავშირს ინტელექტი განსაზღვრავს. | ფ. ინტელექტის მუშაობას უნდა მიეწეროს /ი. ფრებესი/. გ/ ზ. ფროიდის თვალსაზრისით, ფ—ს საფუძვლად უძევს გამოუვლინებელი, არარეალიზებული სურვილები და მისწრაფებები, რ—თა დაკმაყოფილება, რეალური სინამდვილის პირობებში, „ზე—მე"—სთვის | მიუღებელია. ასეთია ყველა განდევნილი განცდა, ფ—ის სიმბოლური მნიშვნელობის საკითხი განსაკუთრებით ფსიქოანალიზის კვლევის საგანია. ამ საკითხს ზ. ფროიდი პრაქტიკულ მნიშვნელობას აძლევს. სიმბოლოს კვალზე დაფარული განცდის /განდევნილი განცდის/ მიგნებას და ცნობიერებაში მის ამოყვანას ზ. ფროიდი სამკურნალო | მნიშვ—ს ანიჭებს /იხ. კათარზისი /. დ/ დ. უზნაძის თეორიით. ფ—ს განსაზღვრავს მთლიანი სუბ. და არა მისი ცალკეული წარმოდგენები. სუბ—ში წინასწარ არის მოცემული თავისი ფიქსირებული | განწყობებით, ე. ი. განსაზღვრული მიმართულებით ამოქმედების ტენდენცია. სწორედ სუბ—ის ეს ტენდენციები — განწყობები — არის ფ—ის განმსაზღვრელი | ფაქტორი. ეს ის ფაქტორებია, რ—თა რეალიზაციას რეალურ პირობებში | დაბრკოლება შეხვდა და | მათ | რეალიზება ვერ მოხერხდა. ფ—ის თავისუფალი მოქმედების პირობებში, | სუბ—ის ცნობიერებას და შემოქმედებით ძალებს, /რ—ებიც ყოველთვის მოცემული განწყობის რეალიზაციას წარმოადგენენ/, არაფერი უშლის ხელს, რომ სწორედ ის სახეები | შექმნან, რ—ებიც ამ განწყობის შინაარსშია ნაგულისხმები.

ფანტაზიორი— ფანტაზიის მოყვარული, ფანტაზიისადმი მიდრეკილი ადამიანი. მეოცნებე.

ფანტასმა — ცრუ შინაარსის შემცველი სიუჟეტი.

ფანტასტი — ფანტაზიორი.

ფანტომი /ფრანგ. fantôme/— 1. მოჩვენება, აჩრდილი; 2. განცდა, რომ სხეულის | ამპუტირებული ნაწილი /ფეხი ან ხელი/ კვლავ გაქვს. გრძნობ ტკივილს | ამპუტირებული ნაწილის რ—სამე ადგილზე; 3. რ—რც | პარანორმალური მოვლენა, ფ. არის რაიმე საგნის აღქმა სათანადო ფიზ. გამღიზიანებლის გარეშე, რ—იც | სიცხოველის ისეთ ხარისხს აღწევს, რომ სინამდვილედ განიცდება.

ფენობრივი ფსიქოლოგია — იხ. სიღრმის ფსიქოლოგია.

ფენომენი /ბერძ. phainomenon — მოვლენა/ —ეწოდება, რ—რც ყოველ განცდას, /ფს—კურ პროცესს/, ისე — საგნობრივი სამყაროს ყოველ მოვლენას, რ—იც სუბ—ის აღქმასა და შემეცნებას ობიექტურად ეძლევა ასეთია, მაგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენა, ფანტაზია, აზრი, სიყვარული, სიძულვილი და სხვ. ისე რ–რც ობიექტურად მოცემული საგანი და მისი ცვლილებები.

ფენომენოლოგია /ბერძ. phainomenon – მოვლენა, logos – სიტყვა, მოძღვრება/ – მოძღვრება ფენომენების შესახებ. ფს–გიაში ცნება ფიხმარება, რ–რც ჩვეულებრივი /არასპეციფიკური/ ფართო მნიშვნელობით, ისე სპეციფიკური ვიწრო მნიშვ. ნიშნავს ფენომენის აღწერას ზუსტი სიმკაცრით, ისე რ–რც არის ის მოცემული ცნობიერებაში. ხატოვნად, თვალსაჩინოდ. ფს–გიის ამოცანაა ამ აღწერით გაიგოს მოვლენის ბუნება, დაადგინოს მისი თავისებურება. იგი არ ეძიებს, თუ რა არის ამ მოვლენაში ნაგულისხმები, ე. ი. რისი გამოვლინებაა იგი, რ–რია ის, რ–რც „საგანი თავისთავად" /ეს ფილოსოფიის საკითხია/. ფს–გიას აინტერესებს აღწეროს ფს–კური ფენომენი იმ სახით, რა სახითაც ის ცნობიერებაშია ასახული. ფენომენის ასეთ აღწერას ფს–გიაში „ფენომენოლოგიური მეთოდი" ეწოდება. ასეთი მეთოდით მუშაობის მაგ., აღწერით ანუ დესკრიფციული ფს–გია /იხ. დესკრიფციული ცნება/, რ–ის განვითარებაში წვლილი ფ. ბრენტანოს ინტენციალობის ცნებას მიუძღვის.

სპეციფიკური, ვიწრო მნიშვ. ფ–ის ქვეშ იგულისხმება ე. ჰუსერლის მიერ დაარსებული /1913/ „წმინდა ფენომენოლოგია", ფილოს. დისციპლინა, რ–იც ცდილობს ცნობიერების არსის წვდომას „წმინდა ხედვით" /„კატეგორიალური ხედვა"/, საგნის ჭვრეტით „იდეაციით". მისი ამოცანაა მოიპოვოს წმინდა, უშუალო ცოდნა განცდის არსზე, მის ჭეშმარიტ ბუნებაზე. განცდების გაგება ან ახსნა, „წმინდა ფენომენოლოგიის" აზრით, ფს–გიურ–ატომისტიკური მეთოდით არ შეიძლება. ჩვეულებრივი ფს–გიური მეთოდი ამისათვის უვარგისია.

ფენოტიპი /ბერძ. phainō – ვავლენ და typos – ანაბეჭდი/ – ორგანიზმის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ და შეძენილ ნიშანთა ერთობლიობა. ფ–ში შემავალი შეძენილი ნიშანი მემკვიდრეობით არ გადადის. საპირ. გენოტიპი.

ფერადი სმენა /ფრანგ. audition coloree/ სინესთეზიის ერთ–ერთი სახე, /იხ. სინესთეზია/.

ფერთა კონტრასტი – ყოველი ფერი საწინააღმდეგოდ ცვლის თავის ფერს იმის მიხედვით, თუ რა ფერად ფონზე აღიქმება იგი. მაგ., თუ რუხი ფერის ქაღალდს შავ ფონზე დავდებთ, მისი სირუხე თითქოს დაიკლებს, იგი ამ შავი ფონის ზეგავლენით მეტ სინათლეს შეიძენს და მოთეთროდ მოგვეჩვენება. თუ იგივე რუხი ფერის ქაღალდს თეთრ ფონზე დავდებთ, იგი ამ თეთრი, ფონის საწინ. შეიცვლება და მოშავოს მოგვეჩვენება. ამ მოვლენას, ე. ი. რაიმე ფერის შეცვლას ფონის ფერის საწინ. კონტრასტი ეწოდება.

კონტრასტის მოვლენებს არა მარტო ნეიტრალურ ფერთა მიმართებაში აქვს ადგილი /თეთრი–შავი/, არამედ ქრომატულ ფერთა შორისაც: თუ ფერადი ფურცლების –ნარინჯის, ყვითლის ან მწვანის – ფონზე დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებთ რუხი ან წითელი ფერის ქაღალდის ნაჭერს, ეს ნაჭერი ფონის საწინააღმდეგო ფერით შეიცვლება, ანუ მისი /ფონის/ შემავსებელი ფერის იერს მიიღებს; მაგ., რუხი ნაჭერი ნარინჯზე მოცისფროდ იქცევა /რადგან ნარინჯი ცისფრის შემავსებელი ფერია/; ყვითელზე — მოლურჯოდ /რადგან ყვითლის შემავსებელია ლურჯი/, მწვანეზე — მოწითალოდ /რადგან მწვანის შემავსებელია წითელი/. ასევე შეიცვლის იერს წითელი ნაჭერიც. მწვანე ფერის ფურცელზე იგი კიდევ უფრო გაწითლდება /რადგან წითელი და მწვანე შემავსებელი ფერებია/, ნარინჯზე იგი ცისფრად გამოჩნდება, ხოლო ყვითელზე — ლურჯად.

ამგვარად, კონტრასტის აზრი შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს: ყოველი ცალკეული ფერი იმ ფერადი ფონის შემავსებელ ანუ მის საწინააღმდეგო ფერად იცვლება, რომელზედაც მას ვეკვრეთ.

ფერთა ოქტაედრი /ბერძ. oktō — რვა და hedra — ფუძე/ — იხ. ფერის შეგრძნება.

ფერთა სიბრმაგე — ზოგი ადამიანი ვერ ცნობს და ერთმანეთისაგან ვერ არჩევს სპექტრის ყველა ფერს. არსებობს სრული /ტოტალური/ სიბრმავე ფერისადმი, როცა ადამიანი ყველა ფერს რუხად ხედავს /რაც ძალიან იშვიათია/, და ნაწილობრივი /პარციალური/ სიბრმავე, როცა ადამიანი მხოლოდ ზოგ ფერს ვერ ხედავს მაგ. წითელ—მწვანეს, ყვითელ—ლურჯს. პირველს /სრულ სიბრმავეს/ უწოდებენ, ავრეთვე აქრომატოფსიას, მეორეს, ნაწილობრივს — დიქრომატოფსიას.

დადასტურებულია დიქრომატოფსიის შემდეგი სახეები: სიბრმავე წითელ—მწვანისადმი /სხვანაირად დალტონიზმად წოდებული/ და სიბრმავე ლურჯ—ყვითლისადმი.

ფერთა ნაწილობრივი სიბრმავით დაავადებულია მამაკაცთა 5% და ქალთა 0,25% /ცნობა მოძველებულია და მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობა აქვს/. ფერთა, რომელიც ნაწილობრივი, ისე სრული სიბრმავე მემკვიდრეობითია.

ფერის შეგრძნება — შეიცავს სინათლისა და ფერის შეგრძნებებს, რომელიც ადამიანი თვალის საშუალებით იღებს. ფ. შ—ები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: პირველს მიეკუთვნება **ქრომატული** „ჭრელი" ანუ „ფერადი ფერები". ასეთებია შვიდი ფერი, რომელიც წმინდა სახით სპექტრში მზის სინათლის დაშლის შედეგად ვიღებთ: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი; ამ ფერებს **სპექტრულ** ფერებსაც უწოდებენ. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება **აქრომატული** ანუ არასპექტრული „უფერული ფერები": თეთრი, შავი და მათ შორის მდებარე სირუხის ნიუანსები. ამ „უფერულ ფერებს" „ნეიტრალურ ფერებსაც" უწოდებენ.

ყოველი ნეიტრალური ფერის შეგრძნება თავისი რომელობით ან თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრის შეგრძნებაა, ან შავისა, ან რუხისა, მაგრამ ისინი ერთმანეთი-საგან ინტენსივობითაც განსხვავდება: მაგ., რომელიმე რუხი ფერი შეიძლება უფრო შავს უახლოვდებოდეს, ან უფრო ნაკლებ რუხი იყოს და უახლოვდებოდეს თეთრს.

ნეიტრალური ფერების ერთიმეორეში გადასვლას მხოლოდ ერთი მიმართულება აქვს: თეთრიდან სირუხის ყველა შესაძლო ნიუანსის გაღლით შავისკენ და ასევე—შავიდან ამავე საფეხურებით —თეთრისაკენ; ხოლო რაც შეეხება თვითონ **თეთრ—შავს**, უკანასკნელნი შინაარსეულად „პოლუსური ფერებია", რ—ებიც სირუხის მრავალსახეობას მხოლოდ საზღვრავენ, აბოლოებენ და ერთმანეთის მიმართ ყოველგვარ მსგავსებას გამორიცხავენ, რადგან „თეთრში" შავისა აღარაფერი ჩანს და შავში კი—თეთრისა.

ვინაიდან ნეიტრალური ფერების ერთმანეთში გადასვლა მკაცრად ორპოლუსიანია, ამიტომ მას **გრაფიკულად** ერთი სწორი ხაზით გამოსახავენ, რ—ლის ბოლოებზეც მოთავსებულია პოლუსური ფერები — თეთრი და შავი, ხოლო მათ შორის — სირუხის ყველა შესაძლო ნიუანსი.

სპექტრულ, ანუ ქრომატულ ფერებს სამი თვისება ახასიათებს, რითაც ისინი ჩვენს განცდაში ერთმანეთისაგან განსხვავდება: **რომელობა**, ანუ ფერითი ტონი, **სინათლე**, ანუ ინტენსიურობა და **სიმაძღრე**, ანუ სიმუქე.

1. ქრომატული ფერის იმ თვისებებს, რ—თაც იგი ერთ გარკვეულ ფერად განიცდება, **რომელობა** ეწოდება. წითელი ფერის რომელობა ისაა, რომ იგი წითელია, ყვითლის რომელობა მის სიყვითლეშია, მწვანისა—მის სიმწვანეში, იგივე ითქმის დანარჩენ ოთხ ფერზეც. ეს ფერები ერთმანეთისაგან **რომელობის**, ანუ „ფერითი ტონის" მხრივ განსხვავდება.

2. მაგრამ, მეორე მხრივ, ქრომატულ ფერთა შორის განსხვავებულობას თითოეული რომელობის ფარგლებშიც ვარჩევთ; მაგ., წითელი ფერის რომელობა მის სიწითლეშია, მაგრამ თვითონ „სიწითლე" ფერად სამყაროში მრავალნაირია— მეტნაკლებად „ბაცი ანუ ღია წითელი" ფერები და თაღხი, ანუ მობნელო წითლის ნიუანსები. ყოველი ფერის ამ თვისებას — მის მეტ—ნაკლებ სიბაცესა და სითაღხეს— ფერის **ინტენსიურობა** ანუ სინათლე ეწოდება, რ—აც თითოეული მათგანი ნეიტრალურ ფერებთან დაახლოება—დაშორების კვალობაზე ამყოფებს. ქრომატული ფერის სინათლე /ინტენსიურობა/ თეთრთან დაახლოებისას მატულობს, ხოლო შავთან დაახლოების კვალობაზე /მობნელო სირუხის ნიუანსების გზით/ თანდათან იკლებს.

3. დასასრულ, რომელობით ერთი და იგივე ქრომატული ფერი ნაირნაირია არა მარტო ინტენსიურობით, არამედ **სიმაძღრის** ხარისხითაც.

ყოველი ქრომატული ფერის სიმაძლრე მისი ფერადობის **სიწმინდეშია, რ–იც** მეტ–ნაკლები შეიძლება იყოს იმის მიხედვით, თუ რამდენად თავისუფალია იგი მოთეთრო ან მობნელო /მოშავო/ სირუხის ნიუანსებისაგან; ასე მაგ., წითელი ფერი მით უფრო **მაძღარი, ანუ წმინდა წითელია,** რაც უფრო ნაკლებადაა მასში წარმოდგენილი მოთეთრო ან მობნელო სირუხის იერი, და პირუკუ, მით უფრო **ნაკლებ მაძღარია,** რაც **უფრო** მეტი მოთეთრო ან მობნელო სირუხე იგრძნობა მასში.

სპექტრული ფერების **რომელობის** მხრივ თანამიმდევრობაში **უწყვეტ** გადასელას აქვს ადგილი, რ–ლიც ოთხჯერ იცვლის თავის მიმართულებ-ას; სახელდობრ: 1 /სპექტრი „**წითლის ზოლით**" იწყება, მაგრამ ეს ზოლი თანდათან კარგავს თავის სიწითლეს და ნარინჯის გავლით, რ–აც სიწითლის იერიც დაჰკრავს, ადგილს უთმობს 2./ **„ყვითლის ზოლს", რ–**შიც სიწითლის კვალიც აღარ ჩანს და ასევე, ყვითლის ზოლი თანდათან **გადადის** 3/ **„მწვანის ზოლში"**, რ–შიც ყვითლის იერი აღარ იგრძნობა; **„მწვანის ზოლი"** ცისფრის გავლით გადადის 4/ **„ლურჯის ზოლში"**, ხოლო უკანასკნელი კი იისფრის გავლით, რ–შიც სიწითლის ნიუანსი შეიმჩნევა, ისევ სპექტრის **საწყის ფერს, წითელს უახლოვდება.**

სპექტრულ ფერებს – წითელს, ყვითელს, მწვანესა და ლურჯს, როგორც ოპტიმალურად წმინდა, არანარევ ფერებს **„ძირითად"**, ანუ „**მთავარ ფერებს**" უწოდებენ, ხოლო დანარჩენ სამ ფერს /ნარინჯს, ცისფერ**სა და** იისფერს/, რომლებიც ძირითადი ფერების ერთმანეთში გადასვლას **გვიჩვენებენ**, „**გარდამავალ ფერებად**" თვლიან.

ნეიტრალურ ფერთა შრავალსახეობის **გრაფიკულად** სწორი ხაზის მონაკვეთით გამოსახვა ადეკვატურია, რადგან თეთრსა და შავს შორის სირუხის ნიუანსების ურთიერთობაში გადასვლას **ხაზისნაირად ერთი უცვლელი** და „პოლუსურად ზღვარდებული" მიმართულება აქვს. მაგრამ სპექტრულ ფერთა რომელობის მხრივ, ურთიერთში გადასელა **ერთხა-ზოვანი აღარაა** და ამიტომ არც „პოლუსურად ზღვარდებულია". გადასელა წითლის ზოლიდან ლურჯისაკენ **ოთხჯერ იცვლის მიმართულებას** და ამასთანავე საგულისხმო ისიცაა, რომ თავისებური გადასვლა სპექ-ტრის ბოლო „ფერად ზოლშიც" კი შეიმჩნევა; სახელდობრ: **იისფერი,** რითაც „ყვითლის ზოლი" ბოლოვდება, კი არ უპირისპირდება საწყის წითელს /მსგავსად თეთრისა და შავისა/, არამედ ისევ წითლის ზოლს უახლოვდება.

სპექტრული ფერების ასეთ „ზოლებრივ ურთიერთდამოკიდებულებას" გრაფიკულად დახშული ფიგურის – **ოთხკუთხედის** სახით გამოსახავენ, რ–ლის კუთხეებზე მოთავსებულია ოთხი ძირითადი ფერი /წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი/ და გვერდებზე კი გარდამავალი ფერები /ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინჯი, ცისფერი, იისფერი/, და ის ნიუანსებიც, რ–თაც ისინი ძირითად ფერებთან დაახლოება–დაშორების კვალობაზე ავლენენ. ხოლო რაც შეეხება კერძოდ ფიგურის **დახშულობას**, უკანასკნელი იმ ფაქტს გულისხმობს, რომ ლურჯის ზოლი იისფრის გზით /რ–იც წითლის ნიუანსსაც შეიცავს/, ისევ წითლის ზოლში გადადის.

მაგრამ „ფერთა ოთხკუთხედი" მხოლოდ რომელობის მიხედვით ითვალისწინებს ქრომატული ფერების ურთიერთდამოკიდებულებას, და ფაქტი კი ისაა, რომ აღნიშნული ფერები სიმაღლრისა და ინტენსიურობის ხარისხითაც განსხვავდებიან, მაშასადამე, „ოთხკუთხედი" არ კმარა; და ქრომატულ ფერთა „გრაფიკულ გამოხატულებად" ისეთი ფიგურა უნდა მივიჩნიოთ, რ–იც მათ ურთიერდამოკიდებულებას **სამივე ნიშნის** /რომელობის, სიმაღლრის და ინტენსივობის/ მიხედვით წარმოგვიდგენდა. ასეთ ფიგურად ფს–გიაში ეწ. „ფერთა ოქტაედრი" მიაჩნიათ /იხ. ნახაზი/.

ფერთა ოქტაედრი–„ფერთა ოთხკუთხედის" ცენტრში ვერტიკალურად გატარებულია წყვეტილი ხაზი, რ–იც შუაწელით ცენტრს ხვდება და ერთი ნახევრით ოთხკუთხედის **ზემოთ** ბოლოვდება, მეორე ნახევრით კი **ქვემოთ** /იხ. ფ. ო. ნახ. 13/ ხაზის ბოლოები გამოსახავენ თეთრსა და შავს, შუაწელი გამოსახავს „საშუალო რუხს", ხოლო დანარჩენი წერტილები–მეტ–ნაკლები სირუხის შესაძლო საფეხურს თეთრიდან შავისაკენ და, პირუკუ, შავიდან – თეთრისაკენ. ეს „წყვეტილი ხაზი", რ–იც ნეიტრალური ფერების „გრაფიკულ გამოსახულებას" წარმოადგენს, ბოლოებით შეერთებულია ქრომატულ „ფერთა ოთხკუთხედის" კუთხეებთან, და, ამრიგად, ვიღებთ „წახნაგიან" სტერეომეტრულ ფიგურას–**ოქტაედრს** /საერთო ფუძის მქონე ორ პირამიდას!/, რ–იც ქრომატული ფერების ყველა იმ ცვლილებას გადმოგვცემს, რასაც კი თითოეული მათგანი ნეიტრალურ ფერებთან /თეთრთან, შავთან და სირუხის ნიუანსებთან/ დაახლოება–დაშორების კვალობაზე შეიძლება ავლენდეს. სახელდობრ:



ნახ. № 13

1. იგულისხმება, რომ ყველაზე უფრო **წმინდა, მაძღარი** ქრომატული ფერები მხოლოდ „ბაზური ოთხკუთხედის" კიდურებზე /გვერდით ხაზებზე/ უნდა იყოს განლაგებული! შაგრამ იგულისხმება ისიც, რომ რომელობით იგივე ქრომატული ფერები! დასაფეხურებულად ნაკლები სიმაღლრისა იქ -

ნება იმის მიხედვით, თუ რა ადგილები უკირავს მათ ოთხკუთხედი ფუ-ძის სიბრტყეზე კიდურისგან დაშორებით ცენტრისაკენ; მაგ., ოთხკუთხედის კუთხეში ან კიდურზე მოთავსებული „წითელი" ოპტიმალურად მაძღარია, მაგრამ ის წითელი, რ–იც კიდურს დაცილებულია ფაღერძის მიმართულებით „საშუალო რუხის" პუნქტს უახლოვდება /იხ. ოქტაედრის ფუძეზე წყვეტილი ხაზი რუხის პუნქტამდე/, ამ დაახლოების კვალობაზე სულ უფრო და უფრო მეტ სირუხეს შეიძენს და სიმაძღრეს დაკარგავს. იგივე ითქმის ყოველ სხვა ქრომატულ ფერზეც. ერთი სიტყვით, ოქტაედრის ფუძეზე უკლებლივ ყველა ქრომატული ფერია წარმოდგენილი, ოღონდ კიდურებზე – ოპტიმალურად მაძღარი ფერები და კიდურებისგან დაშორებით ფუძის ცენტრისაკენ – თანდათან ნაკლები სიმაძღრისა.

2. რაც შეეხება ოქტაედრის ზედაპირს, მის წახნაგებზე განლაგებული ქრომატული ფერებიც რომელობით იგივეა, რაც ბაზური ოთხკუთხედის კიდურებზე და ფუძეზე მოცემული /წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ცისფერ, ლურჯი, იისფერი/, მაგრამ ღერძის „თეთრ–შავის პუნქტებთან" მეტ–ნაკლებად დაახლოების გამო, აქ ისინი სინათლისა და სიმაძღრის ყველა შესაძლო ხარისხით იქნება წარმოდგენილი; სახელდობრ: ა/ ოქტაედრის ზედა წახნაგებზე მოთავსებულ ქრომატულ ფერთათვის დამახასიათებელი ხდება ის, რომ ღერძის „თეთრ პუნქტთან" მიახლოების ზრდის კვალობაზე, მათი ინტენსივობა, ანუ სინათლის ხარისხი თანდათან მატულობს /ისინი სულ უფრო და უფრო ღია, ბაც ფერებად იქცევა/ და სიმაძღრე კი თანდათან მცირდება; ბ/ ხოლო რაც შეეხება რომელობით იმავე ფერებს, რ–იც ქვედა წახნაგებზე ლაგდება, ღერძის „შავ პუნქტთან" მიახლოების კვალობაზე მათ თანდათან უსუსტდებათ ინტენსივობაც და სიმაძღრეც /ე. ი. აქ ისინი მობნელო ქრომატულ ფერებად იქცევა/.

ამრიგად, ფერთა ოქტაედრი ქრომატული ფერების ყველა შესაძლო განსხვავებულობას უწევს ანგარიშს და მას ადეკვატურ გამოსახულებას აძლევს.

ფერის შეგრძნების დროითი და სივრცითი პირობების სისტემატური ექსპერ–ული კვლევით მტკიცედ დადგენილი ფაქტებია: ფერთა შერევის კანონები, ადაპტაცია, ფერთა კონტრასტი და „მხედველობის თანამიმდევარი კვალის" მოვლენები.

ფერის შეგრძნების წარმოშობის პირობები – ყოველი ფერის შეგრძნების წარმოშობისათვის ორი პირობაა საჭირო: 1. ფიზ. გამღიზიანებელი, რ–იც გარემოდან მხედველობის ორგანოზე მოქმედებს და 2. ფიზიოლ. პროცესი, რ–იც ამ მოქმედების შედეგად თვალის ბადისებრ გარსში და ტვინის სათანადო არეებში ერცელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური პირობები. მზის, თეთრი სინათლე 7 „ფერად სხივს" შეიცავს და ყოველი ფიზ. სხეულის ფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მათგანს არეკლავს იგი და რომელს შთანთქავს: ყაყაჩო წითელია, რადგან იგი ძირითადად „წითელ სხივს" გზავნის თვალში და დანარჩენ ექვს სხივს შთანთქავს; ხის ფოთოლი მწვანეა, ღიღილო ლურჯია, მზეს უმზირას ყვავილის ფურცელი ყვითელია იმიტომ, რომ პირველი „მწვანე სხივს" არეკლავს, მეორე-ლურჯს და მესამე — ყვითელს. ერთი სიტყვით, ბუნებაში ყოველი საგნის ქრომატული ფერი ფაქტობრივად ის ფერია, რა ფერად სხივსაც არეკლავს იგი. მაგრამ სინათლის თითოეულ ტალღისებურ რხევას-ან-აც საგანი არეკლავს და თვალისაკენ „გზავნის", სამი ნიშანი ახასიათებს: ტალღების **სიგრძე**, ტალღური რხევის **ენერგია** /ამპლიტუდის სიდიდე/ და ტალღების **სიმარტივე**, **სირთულე**. სამივე ეს ნიშანი ცალ-ცალკე საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ქრომატული ფერის რომელობას, სინათლეს და სიმაძღრეს; სახელდობრ: 1. ტალღების **სიგრძის** მეტ-ნაკლებობა საფუძვლად უდევს ქრომატულ ფერთა **რომელობის**, ანუ ფერითი ტონის მხრივ განსხვავებებს: **უგრძესი** ტალღები (დაახლოებით ერთი მილიმეტრის 760 მილიონედი სიგრძისა — 760 — 620) სპექტრის საწყისი ფერის — **წითლის** შეგრძნებას იძლევა. **უმოკლესი** ტალღები /430 —400/ — ბოლო იისფრისას, ხოლო საშუალო სიგრძის ტალღები კი /620, 590, 530, 500, 470/ დანარჩენი ხუთი ფერის /ნარინჯის, ყვითლის, მწვანის, ცისფრისა და ლურჯის/ შეგრძნებებს წარმოქმნიან. 2. სინათლის ტალღური რხევის **ამპლიტუდა**, ანუ ინტენსიურობა ფერის **სინათლის ხარისხს** განსაზღვრავს: ამპლიტუდის, ანუ რხევის სიდიდის ზრდის კვალობაზე ქრომატული ფერის სინათლეც მატულობს /მთელთრო-სირუხის ნიუანსების გზით ფერი თანდათან ბაცდება!/, ხოლო შემცირების კვალობაზე იგი **იკლებს** /ე. ი. მობნელო-სირუხის ნიუანსების შემოტანით ფერი თანდათან თალხდება./.

3. ტალღების **სიმარტივე** საფუძვლად უდევს ფერის სიმაძღრეს, ანუ სიწმინდეს: ერთი გარკვეული სიგრძის ტალღები ჰომოგენურის, ანუ უგრძესი ფერის შეგრძნებას იძლევა, — ე. ი. ისეთი ფერისას, რ-იც **სირუხის ნიუანსებისაგან თავისუფალია**. მაგრამ როცა ამ ერთი სიგრძის ტალღებს **სხვა სიგრძის ტალღები დაერთვის**, რ-რც ეს თითქმის ყოველთვის ხდება ბუნებაში, — მაშინ ფერს სირუხის ნიუანსიც ერთვის და შესატყვისად მისი სიმაძღრის დონეც იკლებს! ყველა მსგავს შემთხვევაში სიმაძღრის ცვლის /მეტ-ნაკლებობის/ კანონზომიერება უთუოდ შემდეგია: რაც უფრო მცირე იქნება განსხვავება „ძირითადი ტალღების" სიგრძესა და „დართული ტალღების" სიგრძეს შორის, იმდენად ნაკლები იქნება მიღებული ფერის სიმაძღრე; ხოლო რამდენადაც ჯარბი, ანუ დო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინანტური იქნება „ძირითად ტალღათა" სიგრძე თანდართულისაზე, იმდენად მეტი იქნება ფერის სიმაძღრე. ერთი სიტყვით, ფერის სიმაძღრის დონეს ტალღების სიმარტივე–სირთულე განსაზღვრავს.

სხვანაირია აქრომატული ფერების – თეთრის, შავისა და რუხის წარმოშობის პირობები.

თეთრი საწერი ქაღალდი თეთრია, რადგან იგი სინათლის **ყველა /შვიდ/ სხივს** არეკლავს და თვალისაკენ აგზავნის! **ეკვარტლი**, რ–აც ფაფარ ქაღალდთან ვხედავთ, შავია იმიტომ, რომ გვერდით მდებარე ქაღალდ - **საგან** განსხვავებით, იგი ყველა **სხივს** შთანთქავს; მაგრამ სინათლის მოქმედების პირობებში რ–იმე საგნის მიერ ყველა სხივის არეკვლა ან შთანთქმა შეიძლება აბსოლუტურად სრული, ერთზომისა არ იყოს და მაშინ კი საგანი რუხად უნდა მოგვეჩვენოს, ან ღია, მოთეთრო **რუხად**, როცა ყველა სხივის **არეკვლა** ერთზომისა არაა, ან მოშავო, **ბნელ** **რუხად**, როცა **სხივების შთანთქმა** არაა ერთზომისა.

ფერის შეგრძნების ფიზიოლოგიური პირობები – აქ ძირითადად გასარკვევია შემდეგი: რ–რ ახერხებს თვალი საგნისაგან არეკლილი „ფერადი სხივების" დიფერენციაციას, მათ ურთიერთისაგან ისეთ გარჩევას, რომ სხვადასხვა **რომელობის** ფერის შეგრძნებას იწვევს.

ფერთა შეგრძნების თეორიები – იმ თეორიებიდან რ–იც მეცნ–ში ფერთა შეგრძნების გადაწყვეტის საპირობამ დაბადა /ჰ. ჰელმჰოლცის, ე. ჰერინგის, გ. მიულერის, ი. კრისის და სხვ/ ჩვენ მხოლოდ ჰელმჰოლცის თეორიას გავარჩევთ, რადგან დღემდე იგი მეტი პოპულარობით სარგებლობს და პერსპექტიულადაც ნაყოფიერ სამუშაო თეორიად ითვლება.

ჰ. ჰელმჰოლცის თეორია „იუნგ–ჰელმჰოლცის თეორიის" სახელწოდებითაცაა ცნობილი, რადგან მთავარი დებულება, რ–აც იგი ემყარება „ფერთა შეგრძნების „სამკომპონენტიანობის იდეა"/, პირველად ინგლისელი მკვლევარის თ. იუნგის მიერ იყო წამოყენებული.

„ფერთა შერევის ცდების" შედეგებზე დაყრდნობით ნაგულისხმევია, რომ თვალის ბადისებური გარსი სამი სახის ფუნქციურად განსხვავებულ ნერვულ ბოჭკოს /ანუ სამ რეცეპტორს/ შეიცავს, რ–თაგან თითოეულის იზოლირებულმა აგზნებამ მხოლოდ ერთი რომელობის ქრომატული ფერის შეგრძნება უნდა დაბადოს: ერთმა წითლის შეგრძნება /„წითლის რეცეპტორი"/, მეორემ – მწვანის /„მწვანის რეცეპტორი"/ და მესამემ – **იისფერის** შეგრძნება /„იისფერის რეცეპტორი"/. მაგრამ ბუნებაში მთლად ისე არ ხდება, რომ ამ სამი რეცეპტორიდან თითოეულზე მხოლოდ მისი შესატყვისი სხივი მოქმედებდეს, ე. ი. წითლის რეცეპტორ - ზე – მხოლოდ „წითელი სხივი", მწვანის რეცეპტორზე – მხოლოდ მწვანე სხივი" და იისფერზე – მხოლოდ „იისფერი სხივი!" არა, ჰელმჰოლცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიის თანახმად, ვითარება ისეთია, რომ შვიდი „ფერადი სხივიდან" თითოეული სხივი ერთდროულად ან **სამივე** რეცეპტორს აღაგზნებს ან **ორს მაინც;** და ამ რეცეპტორების ერთდროულ აგზნებათა **რაოდენობრივ განსხვავებაზეა** დამოკიდებული ამა თუ იმ ქრომატული ფერის წარმოქმნა.

1. ჯერ განვიხილოთ, თუ რ—რა ჩნდება წითლის, მწვანის და იისფრის შეგრძნებებში:

ა/ ჰელმჰოლცის კონცეფციის მიხედვით, წითლის შეგრძნება იმიტომ ჩნდება, რომ სინათლის „წითელი სხივი", რ—იც საგნიდან აირეკლება და ბადისებრ გარსს ხვდება, **დიდი ზომით** /დომინანტურად/ აღაგზნებს თავის შესატყვის „წითლის რეცეპტორს", გაცილებით **მცირე ზომით** —მწვანისას, ხოლო „იისფრის რეცეპტორს" სრულიად აღუგზნებლად ტოვებს; — ბ/ **მწვანის შეგრძნება** იმიტომ ჩნდება, რომ „მწვანე სხივი" დომინანტურად აღაგზნებს მწვანის რეცეპტორს და მცირე ზომით აღაგზნებს წითლისა და იისფრის რეცეპტორებს, — გ/ და შესატყვისად, იგივე ითქმის საკუთრივ **იისფრის შეგრძნებაზეც,** რ—იც მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა „იისფერი სხივი" დომინანტურად აღაგზნებს იისფრის რეცეპტორს, ოდნავ აღაგზნებს მწვანის რეცეპტორს, ხოლო სრულიად აღუგზნებლად ტოვებს წითლის რეცეპტორს. ერთი სიტყვით, სამი რომელობის ქრომატული ფერის — წითლის, მწვანის და იისფრის — წარმოშობის ფიზიოლ. კანონზომიერება ასე შეიძლება დახასიათდეს: დასახელებულ ფერთაგან /წითელი, მწვანე, იისფერი/, თითოეულის წარმოქმნაში ერთდროულად სამივე რეცეპტორი მონაწილეობს, ოღონდ ისე, რომ დომინანტურია მხოლოდ ერთი რეცეპტორის აგზნება /იმ რეცეპტორისა, რ—იც მოქმედი „ფერადი სხივის" ადეკვატურია!/, ხოლო **დანარჩენი ორის აგზნება** ან მცირეა, ანდა მხოლოდ ერთი მათგანია მცირედ აგზნებული და მეორე კი სრულიად არ აღიგზნება.

2. რაც შეეხება დანარჩენი ოთხი რომელობის ქრომატულ ფერებს /ნარინჯს, ყვითელს, ცისფერსა და ლურჯს/, რ—თაც მხედველობის ორგანოში სპეციფიკური რეცეპტორები არ გააჩნიათ, ჰელმჰოლცის კონცეფციის თანახმად, თითოეული მათგანის შესატყვისი „ფერადი სხივი" ერთდროულად სამივე რეცეპტორს აღაგზნებს, ოღონდ არა იმ ზომით, რა ზომითაც ეს რეცეპტორები წითელი, მწვანე და იისფერი სხივებით აღიგზნებიან. განსხვავება შემდეგია:

თუ წითელ, მწვანე და იისფერი სხივების იზოლირებულად ზემოქმედების შემთხვევაში **დომინანტურია მხოლოდ** ერთ—ერთი რეცეპტორის აგზნება და დანარჩენი **ორის** აგზნება კი თითქმის ერთნაირად მინიმალურია /ან ამ ორიდან მხოლოდ ერთია მინიმალურად აგზნებული და მეორე სრულიად აღუგზნებელი!/, — ნარინჯი, ყვითელი, ცისფერი და ლურჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხივების იზოლირებულად მოქმედებისას დიდი ზომისაა ანუ **დომინანტურია რომელიმე ორი რეცეპტორის აგზნება** და მხოლოდ ერთი რეცეპტორია მინიმალურად აგზნებული, ასე მაგ.

ა/ „ნარინჯი სხივის" მოქმედება, რ—იც საერთოდ ნარინჯის შეგრძნებას ბადებს, დომინანტურად აღაგზნებს **ორ რეცეპტორს** —წითლი - სას და მწვანისას, ხოლო მცირე ზომით — იისფერის რეცეპტორს; ბ/ „ცისფერი სხივის" მოქმედებისას დომინანტურად აღიგზნება მწვანისა და იისფერის რეცეპტორები, ხოლო წითლის| რეცეპტორის აგზნების დონე ძალზე მცირეა; და შესატყვისად იგივე ითქმის „ყვითელი" და „ლურჯი სხივების" შესახებაც. ერთი სიტყვით, ნარინჯის, ცისფერის და ლურჯის შეგრძნებებიც **სამი** რეცეპტორის მონაწილეობით ჩნდება, ოღონდ ამ რეცეპტორთა აგზნების ისეთი პროპორციით, როცა რ—იმე **ორი** მათ - განის აგზნება ერთობლივადაც და ცალ—ცალკეც მეტია /ანუ დომინანტურია/ მესამეზე.

3. ჩვენ გავარკვიეთ, თუ რ—რ ჩნდება ჰელმჰოლციის თეორიის მიხედვით ამა თუ იმ რომელობის ქრომატული ფერის შეგრძნება. მაგრამ ფაქტია, რომ გარდა ქრომატულისა, აქ რომატული ფერის შეგრძნებებიც გვიჩნდება /თეთრი, შავი და მათ შორის გარდამავალი სირუხის ნიუანსები/. როგორ ხსნის ჰელმჰოლცის „სამი რეცეპტორის ფიზიოლოგიური თეორია" ამ აქრომატულ ფერთა წარმოშობას?

ა/ როცა საგანი სინათლის შვიდიუე „ფერად სხივს" /წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, იისფერი/ უნაშთოდ და **ერთზომისად** არეკლავს და ყველა სხივი თვალისკენ „იგზავნება", ამ სხივების ერთობლივი მოქმედების გაელენით „ფერადი რეცეპტორებიც" /წითლის, მწვანის, |იისფერს / **ერთზომისად** აღიგზნება და არა მეტ—ნაკლები! ოდენობით, რ—რც ეს წესისამებრ ყოველი ქრომატული ფერის წარმოქმნისას ხდება. |და აი, სწორედ ჰელმჰოლცის აზრით, სამივე რეცეპტორის ერთზომისი აგზნებაა მიზეზი იმისა, რომ საგანს **თეთრად**| ვხედავთ, | ანუ **თეთრის შეგრძნება გვიჩნდება.**

ბ/ შავი ფერის წარმოქმნისას ვითარება სხვანაირია: შავის შეგრძნება მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა საგანი სინათლის ყველა ფერად სხივს შთანთქავს, და, მაშასადამე, როცა სამივე რეცეპტორი ფაქტობრივად **აღუგზნებელი რჩება.**

გ/თეთრისა და შავის წარმოქმნის ფიზიოლ. **პირობები,** ე. ი. ყველა ფერადი სხივის **არეკვლით** | სამივე რეცეპტორის ერთზომისი აგზნება და ყველა|სხივის **შთანთქმის** გამო მათი /რეცეპტორების/ სრული **აღუგზნებლობა,** თავის მხრივ გასაგებს ხდის იმასაც, თუ რა უნდა აჩენდეს სირუხის განსხვავებულ ნიუანსებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგნის მიერ სინათლის ყველა ფერადი სხივის არეკვლა შეიძლება **არ იყოს საკმაოდ სრული და ერთგვარი** და ამის შესატყვისად, არც რეცეპტორები იყოს თანაბრად აგზნებული. და მაშინ საგანიც, ნაცვლად თეთრისა, „ღია, **მოთეთრო** რუხი ფერის" მქონედ უნდა იყოს განცდილი; ან შეიძლება შთანთქმა არ იყოს **მთლად სრული** და თეთრი სინათლის რაღაც მცირეოდენი ნაწილი რეცეპტორებს მაინც ხვდებოდეს. მაშინ კი საგნის სიშავესაც რაღაც უნდა დააკლდეს და სუბიექტს „მობნელო რუხის" შეგრძნება უნდა გაუჩნდეს.

ასეთია ჰ. ჰელმჰოლცის ფერთა წარმოქმნის ფიზიოლ. თეორია. თვალის ბადურის გარსში სამი სახის რეცეპტორი არსებობს: წითლის, მწვანისა და იისფერისა. ყოველი ფერის წარმოქმნა /ქრომატულისაც და აქრომატულისაც/ ამ რეცეპტორების ერთდროულ აგზნებათა რაოდენობრივ ურთიერთმიმართებაზეა დამოკიდებული. ქრომატულ ფერთა შეგრძნებებს ერთი ან ორი რეცეპტორის „დომინანტური აგზნება" იწვევს. თეთრის შეგრძნებას სამივე რეცეპტორის **ერთგვარი აგზნება** აჩენს: ხოლო შავის შეგრძნება მაშინ ჩნდება, როცა არც ერთი რეცეპტორი არ აღგზნება. —თუ მხედველობაში მივიღებთ „ფერთა ოპტიკური შერევის" ფაქტებს, რ—ებიც ჰელმჰოლცმა თავისი თეორიის დასაფუძნების მიზნით ზედმიწევნით იკვლია, შეიძლება ითქვას: სამი ქრომატული ფერი — წითელი, მწვანე, იისფერი — ჰელმჰოლცის აზრით, **ძირითადი ფერებია**, იმიტომ, რომ მათი „ოპტიკური შერევის ცდებით" შესაძლებელი ხდება ყოველი სხვა ფერის შეგრძნება მივიღოთ /ქრომატულისაც და აქრომატულისაც/.

ფერთა შერევის კანონები — ფერის შეგრძნებაში ცნობილია ფერთა შერევის ფენომენი. პირველად ეს ფენომენი ი. ნიუტონმა შეისწავლა და ფერთა შერევის ორი კანონი დაადასტურა:

1. სპექტრულ ფერთა შორის ყოველ ფერს შეიძლება გამოენახოს მეორე ისეთი ფერი, რ—თანაც მისი განსაზღვრული რაოდენობით შერევა მოგვცემს არასპექტრული, რუხი ფერის შეგრძნებას. ორ ასეთ სპექტრულ ფერს, რ—ებიც შერევისას ერთმანეთს სპობს და ნეიტრალური ფერის /რუხის/ შეგრძნებას იძლევა, **ანტაგონისტური, შემავსებელი /კომპლემენტური /ანუ კონტრასტული ფერი ეწოდება.** ანტაგონისტური ფერებია: წითელი და მწვანე, ყვითელი და ლურჯი, ნარინჯი და ცისფერი.

2. ორი არაშემავსებელი სპექტრული ფერის შერევა იძლევა მათ შორის მდებარე სპექტრულ ფერს; ასეთია: წითელი და ყვითელი, რომელთა შერევა იძლევა მათ შორის მდებარე ნარინჯს, ყვითლისა და ცისფრის შერევა იძლევა მათ შორის მდებარე მწვანე ფერს, ხოლო ცის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრისა და ოისფრისა — მათ შორის მდებარე ლურჯ ფერს. ამათ **ნარევი ანუ რთული ფერი ეწოდება.**

3. ნიუტონის შემდეგ მესამე კანონიც დადასტურდა: შერევის შედეგად მიღებული ფერის შეგრძნებისათვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომ მისი წარმომშობი სინათლის ტალღისებური რხევა შემადგენლობით რთულია /იხ. ფერის შეგრძნების წარმოშობის პირობები/, არამედ იმას, თუ როგორ განიცდება იგი, მაგ., ნარინჯი, მეორე კანონის თანახმად, შეიძლება მივიღოთ ყვითლისა და წითლის შერევით, და, მაშასადამე, როგორც „ნარევი", ფიზ. რთულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი საესებით ისეთივე ნარინჯად განიცდება, რ—რც სპექტრში მოცემული ნარინჯი, რ—იც ფიზ. მარტივია. ფერთა შერევის კანონს იკვლევენ როტაციის აპარატით.

ფეტიში /პორტუგ. feitiço — ჯადოსნობა, ფრანგ. fétiche/ საგანი, რომელშიც ცრურწმენით ად—ნის ბედის გამგებელი ძალა ბუდობს, იგი ყოვლისშემძლეა: შეუძლია იხსნას ან დაღუპოს ად—ნი. მას ღმერთის შესაძლებლობა მიეწერება და თაყვანისცემის ობიექტი ხდება. ფ. ყველაფერზე მაღლაა დაყენებული და სასოებისა და თაყვანისცემის გრძნობებს იწვევს.

ფეტიშიზმი — ეთნოგრ. რ—იმე საგნის თაყვანისცემა, რ—აც მაგიური ძალა მიეწერება და კულტის ობიექტად იქცევა. დამახ. პრიმიტიულ—მაგიური აზროვნების კულტურის დაბალი საფეხურისათვის.

ფსიქოანალიზში — სექსუალური ანომალიის ერთ—ერთი სახე, /იხ. პერვერსია/.

ფეტოფილური გარემო /ლათ. fētus — ნაყოფი და ბერძ. philia — სიყვარული/ —ახალდაბადებული ბ—ვის გარემო პირობების „დედის მუცლად ყოფნის" გარემოსთან დაახლოება /სითბო, სირბილე, სინათლისაგან დაცვა, სიჩუმე და სხვ./.

ფეტოფობური გარემო /ლათ. fētus ნაყოფი და ბერძ. fobos — შიში/ — ახალდაბადებულ ბ—ვზე ზემოქმედ გამღიზიანებელთა ისეთი შერჩევა, რ—ნიც დაშორებულია „დედის მუცლად ყოფნის" პირობებისაგან /მაგ., ცივ წყალში ბანაობა, მაგარ ლოგინზე დაწოლა და საერთოდ ბავშვის გარემოცვა ალერსსა და სიყვარულს მოკლებული მკაცრი პირობებით.

ფეხნერის კანონი — იძლევა პასუხს იმაზე, თუ რა დამოკიდებულება არსებობს გამღიზიანებლისა და შეგრძნების ინტენსივობას შორის. გ. ფეხნერმა გამოიყენა ე. ვებერის მიერ დადგენილი კანონი ძირითადი გამღიზიანებლის ნამატ გამღიზიანებელთან მიმართების კონსტანტობის შესახებ და ამ საფუძველზე გაღიზიანებასა და შეგრძნებას შორის დამოკიდებულებას **მათემატიკური გამოსახულება** მისცა. მან დაადგინა: როცა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიზიანების ინტენსიურობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, მისი შესატყვისი შეგრძნების ინტენსიურობა არითმეტიკული პროგრესიით მატულობს. ეს დამოკიდებულება მან შემდეგი მათემატიკური ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: შეგრძნების ინტენსიურობა უდრის გაღიზიანებ - ის ლოგარითმს, ე. ი. E= K log R/E არის შეგრძნება, R გამღიზიანებელი და K კონსტანტა/. იხ. ვებერის კანონი. ვებერისა და ფეხნერის კანონს დღეს მხოლოდ დაახლოებით მნიშვნელობა ენიჭება: შეგრძნების განსხვავების ზღურბლის ოდენობის ერთი ზუსტი მათემატიკური ფორმულა ჯერაც არ არის დადგენილი.

ფიგურა—ფონის ურთიერთობა /გერმ. Figur—Grund — Verhältnis/ — საგნის, ფიგურის აღქმა არასოდეს არ ხდება სავსებით განცალკევებულად იმ ფონისაგან, რ—ზედაც და რ—თან ერთადაც ის არის მოცემული. ყოველ აღქმაში ორივე ამ ელემენტის /ფიგურის და ფონის/ ურთიერთმიმართება გარკვეული კანონზომიერებით ხორციელდება. როდესაც საგანს /ფიგურ - ას/ აღვიქვამთ, ის წინ წამოიწევს, მთლად გამოიკვეთება და გარკვეული კონტურების მქონე საგნის სახით წარმოდგება ჩვენს წინაშე; ხოლო საფუძველი /ფონი/, რ—ზედაც ეს ფიგურა არის მოცემული, უკან იხევს, და ერთფეროვან უსახო, ინდიფერენტულ მთლიანად განიცდება. ის მხოლოდ ფიგურის უკეთ გამოკვეთას ემსახურება და სხვა საკუთარი დანიშნულება არა აქვს. მაგრამ საკმარისია ყურადღება ფიგურიდან მის საფუძველზე, ფონზე გადავიტანოთ, რომ მაშინ ის, რაც ახლახან ფიგურა იყო, ფონად გადაიქცეს და ფონი კი — ფიგურად. მოცემულ სურათზე ნათლად ვხედავთ თეთრ ლარნაკს შავ ფონზე. გადავიტანთ თუ არა მხედველობას ფონზე, ყველაფერს შებრუნებულად დავინახავთ: ფონი გამოეყოფა საერთო სურათს, ად—ნის ორი იდენტური პირისახის პროფილად ჩამოყალიბდება და ერთმანეთის პირდაპირ დადგება; ახლა პირისახის ეს პროფილებია ფიგურად გაგეშტალტებული, ხოლო რაც წინათ ფიგურა იყო, ის ახლა ფონად განიცდება. აღქმის ეს ფენომენი კანონზომიერი ხასიათისაა და მხედველობის მოდალობის გარდა თუმცა უფრო მკრთალად, მაგრამ შეგრძნების სხვა მოდალობებზედაც ვრცელდება. ფიგურა—ფონის ურთიერთდამოკიდებულება — დაწვრილებით აქვთ შესწავლილი გეშტალტფსიქოლოგებს — ე. რუბინს /1941/, ვ. ერენშტაინს /1930, 1954/, ვ. მეტცგერს /1954/. ფიგურა—ფონის დამახასიათებელი რხევადობა სხვა არასაგნობრივ კატეგორიების მიმართებებშიც მაგ., პიროვნება—სამყაროს მიმართებებშიც შეიმჩნევა. /იხ. ნახაზი №14/

ფიგურის აღქმის მომდევნო ეფექტი — ინგლისურად figural aftereffect. 1922 წელს პირველად აღწერა ი. ვერჰოფმა /Verhoff/, 1933 წ-ს ი. ჯიბსონმა, 1940 წ-ს დაწვრილებით იკვლიეს ვ. კელერმა და ჰ. ვალახმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

656 · 111 4/5

ფ. ა. მ. ე. წარმოადგენს „თანამიმდევარი კონტრასტის“ ერთ-ერთ სახეს.

ფენომენის აღწერა: ქაღალდზე ნებისმიერად აღებულ წერტილს ხაზით ვუერთებთ რაიმე ფიგურას, ვთქვათ, კვადრატს, ისეთი მანძილით, რომ წერტილის ფიქსაციის შემთხვევაში კვადრატის გამოხატულება ეცემოდეს ბადურას არა ცენტრალურ ადგილზე /Eovea centrális /, არამედ მის კიდეებზე. ცა. ახდენს წერტილის ფიქსაციას რამდენსაც წუთს. ამის შემდეგ ცვლიან კვადრატს, მის ადგილას ათავსებენ უფრო მცირე სიდიდის კვადრატს, /წერტილი და მანძილი იგივე რჩება/. ცა. კვადრატს ახლა კიდევ უფრო პატარად აღიქვამს, ვიდრე სინამდვილეშია, მანძილი ფიქსაციის წერტილიდან კვადრატამდე მას უფრო გრძლად ეჩვენება, ვიდრე პირველ ცდაში ეჩვენებოდა. აი, ამ ილუზიურ ცვლილებებს ეწოდება ფ. ა. მ. ე.

კეული შეეცადა აეხსნა აღნიშნული ფენომენი გეშტალტთეორიის პრინციპის მიხედვით, ფიქსაციით აღძრული ელექტროტონური ცვლილებებით თავის ტვინში /იხ. გეშტალტთეორია, იზომორფიზმი/.

აღნიშნული ფენომენი გამოიკვლია ქართველმა ფს-გმა ზ. ხოჯავამ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფ. ა. მ. ე-ის ფენომენი არის დ. უზნაძის „განწყობის თეორიაში აღწერილი „განწყობის“ კონტრასტული ილუზიის ერთ-ერთი სახე, და მისი ახსნა რ-რც კონკრეტული ილუზიისა, განწყობის ფს-გიური კანონზომიერებით სავსებით შესაძლებელია.

ფიზიკური თამაში — თამაშის ერთ-ერთი სახე, რ-რც ქცევის ფორმა, დამახ. სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდის ბ-ვისათვის /2-3 წ./ დ. უზნაძის დაკვირვებით, აღნიშნულ პერიოდში ბ-ვის თამაში ფ. თ-ის ელემენტებს შეიცავს: ბ-ვი დარბის, ხტის, კოტრიალობს, ცალ ფეხზე დახტის, ბურთაობს და სხვა. დ. უზნაძის „ფუნქციური ტენდენციის“ თეორიიდ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორგანიზმის შინაგანი ენერგიის ამოქმედებასთან, რ-იც ფიზ. სხეულის გავარჯიშებას და მოტორიკის გაწვრთნას ემსახურება.

ფიზიოგენური ანუ სომატოგენური /მოვლენა/ — ეწოდება ორგანიზმში მომხდარ ისეთ ცვლილებას, რ-იც წარმოიშობა ფიზიოლ. /სომატურ/ ფუნქციათა ზეგავლენის შედეგად. საწინ. ფსიქოგენური /იხ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიოგნომიკა /ბერძ. physis – ბუნება, gnōmōn – მცოდნე/ – პირისახის გამომეტყველებით პიროვნების შინაგანი მდგომარეობის გამოცნობა. ფ., რ–რც მეთოდი, ცდილობს დაამყაროს მიმართება სუბ–ის სახის გამომეტყველებასა და მის ხასიათს შორის. პირისახის გამომეტყველებაში ფ. გულისხმობს გამომეტყველებას /მიმიკას/ პიროვნების არა დინამიკურ ემოციურ მდგომარეობაში, განცდის პროცესში, არამედ პირისახის გამომეტყველებას ნორმალურ მდგომარეობაში, დასვენების დროს. ფ. პირისახის გამომეტყველების შესასწავლად სარგებლობს პორტრეტებით, გალტონის ფოტოგრაფიით, სახის ესკიზებით და პირისახის უშუალო შესწავლით. ფართო მნიშ. ზოგი მკვლევარი ფ–ში გულისხმობს, გარდა პირისახის გამომეტყველებისა, აგრეთვე მთელი სხეულის აღნაგობის გამომეტყველებით გამოსახულებას /თავის ქალის ფორმა, ტანის აღნაგობა/. ფ–ს იყენებენ აგრეთვე, რ–რც საექიმო დიაგნოზის საშუალებას. ზოგ დაავადებას პირისახის და სხეულის სპეციფიკური გამომეტყველება ახასიათებს.

ფ. სხეულისა და სულის /ფს–კის/ ურთიერთმიმართების ზოგადი პრობლემის ერთი კერძო საკითხთაგანია. იგი ძველის–ძველი საკითხია. მის დასაწყისს ითვლიან თხზულება „ფიზიოგნომიკიდან", რ–აც არისტოტელეს მიაწერენ /ზოგის აზრით არამართებულად!/; ცნობილია ი. ბაპტისტა პორტას „ჰუმანური ფიზიოგნომიკა" /1593/; ახალ დროში სწავლება ფ–ს შესახებ გავრცელდა ი. კასპარ ლავატერის /Lavater /თხზულებით: „ფიზიოგნომიკური ფრაგმენტები" /1775 /; აღსანიშნავია ექიმ ფ. გალის მოძღვრება თავის ქალის ფორმის შესახებ /იხ. ფრენოლოგია, 1808/; კ. კარუსის „ადამიანის გეშტალტის სიმბოლიკა" /1853/; ჩ. დარვინის /1808–1882/ „გამომეტყველებითი მოძრაობის შესახებ ად–ნებთან და ცხოველებთან".

მე–20 ს–ში სხეულის მონაცემებით სულიერი მდგომარეობის და ხასიათის შესწავლა უკავშირდება მოძღვრებას კონსტიტუციის შესახებ /იხ. კონსტიტუცია, სხეულის აგებულების ტიპები/. უკანასკნელ პერიოდში გამომეტყველებითი მოძრაობის საკითხს ამუშავებენ – ი. რიფერტი, ფ. ლერში, მ. სიმონაიტი და სხვები.

ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია – ფს-გიის ერთ–ერთი დარგი, რომელიც იკვლევს ფს–კურ მოვლენათა და შესატყვის ფიზიოლ. პროცესთა ურთიერთობის საკითხებს. ასეთია მაგ., შეგრძნებათა ორგანოების ფუნქციობის და შესატყვის შეგრძნების ფიზიოლ. საფუძვლები. სხეულის აგებულება და პიროვნული თვისებები /იხ. სხეულის აგებულების ტიპები/; თავის ტვინში ფს–კურ ფუნქციათა ლოკალიზაცია. ნერვული სისტემის დარღვევები და მათი შესატყვისი მოვლენები პიროვნულ სტრუქტურაში და სხვა. ფ. ფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ვიას საფუძველი |ჩაეყარა მე—19 ს—ის პირველი ნახევრის ბოლოს, როცა დაიწყო შეგრძნების ორგანოების ფიზიოლოგიასა და შეგრძნებას შორის არსებული კანონზომიერების ძიება ექსპერ. მეთოდის გამოყენებით. პირველი ასეთი მკვლევარები იყვნენ: ი. მიულერი, ე. ვებერი, გ. ფეხნერი, ჰ. ჰელმჰოლცი, ვ. ვუნდტი. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ორტომიანი ნაშრომი „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლები". / იხ. ფსიქოსომატიკა/.

ფილოგენეზი /ბერძ. phylë — გვარი, ტომი, genesis — წარმოშობა/ —მოძღვრება ორგანიზმების /მცენარეების, ცხოველების/ სახეების წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ცნობილია, რომ ცოცხალ ორგანიზმებს თავისი დღევანდელი ფორმა მიღებული აქვთ თანდათანობით განვითარების /ევოლუციის/ შედეგად. ორგანიზმის ყველა ამ ცვლილებას და გარდაქმნას, მისი ფორმაციის ყველა ეტაპზე, ფ. ეწოდება. წინააღმდეგ ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარებისა /ონტოგენეზისა/, ფ. არის მთელი გვარეულობის /ტომის, გვარის, სახის/ განვითარება ყველა საფეხურის გავლით. ე. ჰეკელის ბიოგენეზური კანონის მიხედვით, ონტოგენეზი იმეორებს ფილოგენეზს შემოკლებით. ამ თვალსაზრისით ონტოგენეზსა და ფ—ს შორის ერთგვარი შესატყვისობაც კი შეიძლება ვიგულისხმოთ. /იხ. ონტოგენეზი./

ფს—გიაში ტერმინი ფ. ნიშნავს ფს—კის განვითარებას სიცოცხლის წარმოშობისა და მისი ევოლუციის გასწვრივ. /ტერმინი ფ. მეცნიერებაში შემოიტანა ბუნებისმეტყველმა ე. ჰეკელმა, 1866/.

ფიქსირებული იდეა /idée fixe ფრანგ. fixation — ფიქსაცია და ბერძ. idea — წარმოდგენა/—რომელიმე იდეის გაბატონება ცნობიერებაში იმდენად ძლიერად, რომ მისი მოშორება გარკვეულ პერიოდში შეუძლებელი ხდება. იგი იმორჩილებს დანარჩენ წარმოდგენებს და განსაზღვრავს თვით ქცევასაც კი. შეიძლება თავი იჩინოს| ნეიროზული ან ფსიქოზური მდგომარეობის შემთხვევაში, ან გადავიდეს მონომანიაში და პარანოიაში.

ფი—ფენომენი — /Phi /Φ / Phänomen/ — მოჩვენებითი მოძრაობის ერთ—ერთი სახელწოდება. პირველად გამოიკვლია გეშტალტფსიქოლოგიაში მ. ვერტჰაიმერმა. მდგომარეობს შემდეგში: 1. როცა ცს—ს ორ გამღიზიანებელს a და b ხაზებს ვაწვდით 1/5 სეკუნდის ინტერვალით, სუბიექტი ამ გამღიზიანებლებს აღიქვამს ცალ—ცალკე — ჯერ a— ს და მისი გაქრობის შემდეგ b—ს. 2/ მაგრამ თუ სუქსესიური მიწოდების ინტერვალს შევამცირებთ 0,02 სეკუნდამდე, ე. ი. უფრო სწრაფად მივაწოდებთ, მაშინ აღნიშნულ ხაზებს ცალ—ცალკე კი არ დავინახავთ /აღვიქვამთ/, არამედ შეერთებულად, როგორც სწორი კუთხის გვერდებს. 3/ თუ კიდევ შევამცირებთ



ნახ. N 15

მიწოდების ინტერვალი რამდენჯერმე, მაშინ ორივე ხაზი შეერთდება და ერთ ხაზად მოგვეჩვენება. (ნახ. № 15).

ფლეგმატური ტემპერამენტი /ბერძ. phlegma – ლორწო/– ერთ–ერთი ტიპი ჰიპოკრატეს მიერ დადგენილი ტემპერამენტის ოთხი ტიპიდან. ჰიპოკრატეს განსაზღვრებით, წარმოიშობა ლორწოს სიჭარბით ორგანიზმში /ლორწო მეტია, ვიდრე სხვა სითხეები/. დამახ. ეპათია, გულგრილობა, უაფექტობა, ძნელი აგზნებადობა, ემოციის სიღარიბე, ერთხელ აღძრული ემოციის ხანგრძლივი არსებობა, სიმშვიდე, წონასწორობა, გადანაცვლების სუსტი უნარი. მიდრეკილია უფრო სასიამოვნო ემოციისკენ. ი. პავლოვის ტიპთა კლასიფიკაციაში შეესატყვისება ძლიერი, გაწონასწორებული ინერტული ნერვული სისტემის მოქმედების ტიპს. /იხ. ტემპერამენტი/.

ფლორკონტრასტი – ფერთა სიმულტანური კონტრასტის მოვლენა: ფონის საწინააღმდეგო ფერის **სიმუქის გაძლიერებასთან** ერთად იზრდება კონტრასტის სიძლიერე. მაგ., თეთრ ქაღალდზე რომ რუხი ქაღალდის ნაჭერი მოვათავსოთ, კონტრასტი ოდნავ შესამჩნევი იქნება, რუხი მოშავოდ მოგვეჩვენება. თუკი ამ რუხ. ქაღალდს რაიმე სიფრიფანა ნაჭერს გადავაფარებთ, კონტრასტი გაძლიერდება: რუხი ქაღალდი შავად მოგვეჩვენება. ეს ფენომენი ძალაში რჩება ყველა კონტრასტული /კომპლემენტური/ ფერის მიმართ. /იხ. კონტრასტი/.

ფლუქტუირული ანუ დენადი ყურადღება – ყურადღების თავისებური ტიპი. სუბ. მოკლებულია შთაბეჭდილებაზე ხანგრძლივად კონცენტრირების უნარს, მიდრეკილია ჩქარი გადანაცვლებისაკენ, ადვილად გადადის საგნიდან საგანზე /სიწინ. კონცენტრირებული ყურადღება/.

ფობია /ბერძ. phobos – შიში/– აკვიატებული ხასიათის შიშ; ორი სახისაა: 1. საგნისა და სიტუაციის შიში, რ–იც ობიექტურად არ არის საშიში, მაგ., შინაური ცხოველი, მოედანზე გადასვლა და სხვ. 2. საგნისა და სიტუაციის შიში, რ–იც ად–ნისათვის საფრთხეს ობიექტურად, გარკვეული ხარისხით, მაინც შეიცავენ, მაგ., კეთრით ან კიბოთი დაავადება და სხვ.

ფსიქოანალიზის თეორიით, სრულებით უსაფუძვლო შიში „არაცნობიერი" წარმოშობისაა. მისი თავდაპირველი სათავე ის შიშია, რ–იც წარმო-

ხშვა ისეთი ლტოლვისაგან, რ–ლის დაკმაყოფილება „ზე–მე"–ს ცნობიერებისათვის მიუღებელი იყო, რის გამოც სუბ–ში განვითარდა აკრძალული ლტოლვის განხორციელების შიში. ამიტომ ებრძვის მას არაცნობიერად სუბ, ეარს ეუბნება თავის ლტოლვას, სურს ის დათრგუნოს, ცდილობს შეცვალოს ობიექტი და ამ მიზნით მისგან წარმოშობილი შიში სხვა ინდიფერენტულ ობიექტზე გადააქვს. ამიტომ, ასეთი ფ., ფროიდის აზრით, თავდაცვით რეაქციას წარმოადგენს.

ყოველი ფ. იმ საგნის სახელს ატარებს, რის ფ–საც ის წარმოადგენს. ფ–ების სახეები პრაქტიკულად განუსაზღვრელია. ფ. ხშირად ფსიქოტურ მდგომარეობის თანმხლებია და ახირების სახით ვლინდება.

ფობოფობია – შიშით შეპყრობის შიში.

ფონიზმი /ბერძ. phōnē – ხმა, ბგერა/ – სინესთეზიის ერთ–ერთი სახე, როდესაც მხედველობის, ან სხვა არასმენითი ორგანოს გაღიზიანება იწვევს სმენის შეგრძნებას. მაგ., მხედველობის შეგრძნებით გამოწვეული ფერის ხედვისას სუბ–ტს ესმის გარკვეული ბგერა.

ფოტიზმი – /ბერძ. phōs – სინათლე/სინესთეზიის ერთ–ერთი სახე, რომელიც არამხედველობითი მოდალობის შეგრძნებას თან სდევს მხედველობითი შეგრძნება /ე. ბლოილერი/. მაგ., როცა სმენითი შეგრძნება იწვევს ფერის შეგრძნებას.

ფოტოტროპიზმი/ბერძ. phōs – სინათლე, tropos – მიმართულება/– მცენარის სინათლისკენ მიბრუნების თვისება.

ფრენოლოგია – იხ. ლოკალიზაცია ფს–კურ ფუნქციათა.

ფრიგიდიტეტი /ლათ. frigidus ცივი/ – სექსუალური გრძნობის უქონლობა, განსაკუთრებით ქალებში.

ფროიდიზმი – მიმდინარეობა ფს–გიაში არაცნობიერი ფს–კურის მნიშვნელობისა და როლის შესახებ ად–ნის სულიერ ცხოვრებაში. ამ მიმდინარეობის მამამთავარია ვენელი ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი /1856–1939/. იხ. ფსიქოანალიზი.

ფრუსტრაცია /ლათ. frūstrātio – მოტყუება, იმედის გაცრუება, წარუმატებლობა/ –ეწოდება მძიმე, უარყოფით ემოციურ მდგომარეობას /გულგატეხილობა, იმედგაცრუება, სასოწარკვეთილება/. ფ–ს იწვევს ყოველი წარუმატებლობა, საქმის წაგება, სუბ. ვერ ახერხებს შექმნილი დაბრკოლების აცილებას, ფ–ხს გამომწვევი ფაქტორების– ფრუსტრატორების – დაძლევას. ნ. მაიერმა /1949/ ფ–ის გამომწვევი სიტუაციის არსებით ნიშნებად დაასახელა: 1. შექმნილი სიტუაციის ამოუხსნელობა, 2. მისგან გამოსვლის /გზის გაკვლევის/ შეუძლებლობა; 3. ძლიერი მოტივაცია. /ძლიერ მოტივაციად ითვლება თუ, მაგ., ბავშვს ამის დროს წაართმევენ რძიან ბოთლს, ან ძაღლს წაართმევენ ძვალს/. ასეთ პირობებში, გარდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმისა, რომ სუბ–ის პირდაპირი მოთხოვნილება რჩება დაუკმაყოფილებელი, მასში წარმოიშობა სხვა უარყოფითი განცდაც საკუთარი პიროვნების დამცირების, განადგურების, მისადმი უსამართლოდ მოპყრობის, საკუთარი უმწეობისა და სხვ. სუბ. დეზორგანიზებული და დეზორიენტირებულია. ფ. სხვადასხვა ინდივიდში სხვადასხვა სიძლიერით ელინდება და ხშირად კიდეც ხდება ნერვული დაავადების მიზეზი. ფ–ის /ე. ი. პიროვნების ზღურბლური დატვირთვის/ საპასუხოდ ად–ნები, /აგრეთვე ცხოველებიც/ ავითარებენ სამი სახის რეაქციას: 1. აგრესიას, 2. რეგრესიას, 3. ფიქსაციას.

აგრესიის ჰიპოთეზა: აგრესია /სტენიური მოქმედება/ შეიძლება იყოს მიმართული, რ–რც სხვისადმი /შურისძიება/, ისე თავისი თავისადმი /თვითგაკიცხვა/. ი. დოლარდის აზრით /1939/, ფ–ს თან სდევს აგრესია და, სადაც აგრესიულობა შეიმჩნევა, იქ ყველგან ფ–ის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ. აგრესიამ შეიძლება განზოგადებული სახე მიიღოს, გავრცელდეს ფ–ის გამომწვევ ყველა ანალოგიურ მოვლენაზე, აგრესიის სიძლიერე ფ–ის სიძლიერეზეა დამოკიდებული. **რეგრესიის ჰიპოთეზა:** რ. ბარკერი და სხვები, /1941/ ამტკიცებენ, რომ მოქმედება ფ–ის ზეგავლენით რეგრესიას განიცდის, ე. ი. ძირს ეცემა და ხარისხობრივად უფრო ცუდი ხდება, ონტოგენეზში გავლილ საფეხურს უბრუნდება, ად–ნი იბნევა და მოქმედების ხარისხი უარესდება. ფ–ის **ფიქსირების ჰიპოთეზა:** ნ. მაიერის მტკიცებით, მაგ., ვირთაგვებს „ამოუხსნელ" სიტუაციაში სტერეოტიპული მოქმედება უვითარდებათ; თუ მათ ამის შემდეგ მოვათავსებთ სიტუაციაში, რომლის გადაჯრაც შეიძლება, ისინი აქაც აგრძელებენ ერთხელ გამომუშავებულ ქცევას და მის მოდიფიცირებას ვერ ახერხებენ.

შემჩნეულია, რომ ად–ნებს ფრუსტატორების მიმართ უვითარდება ფ. გარკვეული ტოლერანტობის /შემრიგებლობის/ გრძნობა, რ–იც ადამიანებისდა მიხედვით, დიფერენციული ხასიათისაა /ზ. როზენცვაიგი, 1944/. ფ. ლერშის აზრით, ფ–ის საპასუხოდ ად–ებს, ტოლერანტობის გარდა, ქცევის სხვა ფორმაც უვითარდებათ, მაგ., ფანტაზიაში წასვლა, სუბლიმაცია, კომპენსაცია და სხვა.

ფსევდოდემენცია – ანუ ყალბი ეკუასუსტობა / ბერძ. Pseudos –ყალბი, არანამდვილი/ – გონებრივი შესაძლებლობის უეცარი და უკიდურესად მკვეთრი დაქვეითება. უმარტივეს შეკითხვას ავადმყოფი სოცრად შეუსაბამო პასუხს აძლევს. მისი ქცევა ახირებული და სულელურია. პასუხების აშკარა უაზრობა, დაშვებული შეცდომების მეტისმეტად უხეში ხასიათი სიმულაციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფსევდოესთეზია – მცდარი აღქმა. იგულისხმება ილუზიები და ჰალუცინაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსევდოლოგია /ბერძ. pseudos – ტყუილი და logos სიტყვა, თქმა/ – ტყუილის თქმა, ავად–ური მიდრეკილება სიცრუისადმი, ტყუილის შეთხზვისადმი. მთქმელს ნაწილობრივ სჯერა, რომ მის მიერ შეთხზული შინაარსი სინამდვილეს შეფერება. ილი ფორმით შეიმჩნევა სასკოლო ასაკის ფსიქოპათ ბავშვებთან.

ფსევდონევროზი – მოჩვენებითი ნევროზი; აღწერა ე. ე. ფრანკლიმ /1968/. მისი აზრით, ფ–ის სიმპტომები ნევროზის ხასიათისაა, მაგრამ თავის ეტიოლოგიით იგი სომატურ საფუძველზეა განვითარებული. მედიც–ში სადაეო ტერმინად ითვლება. მას იყენებენ მცდარი დიაგნოზის დასმის აღსანიშნავად, როცა დაავადება სინამდვილეში სომატურია /ენდოკრინული ან ვეგეტატური შოშლილობით გამოწვეული/, დიაგნოზი კი ნევროზისაა დასმული.

ფსევდოჰალუცინაცია /ბერძ. pseudos – ტყუილი და ლათ. (h) álucinátio – ბოდვა/– კანდინსკი, კ. იასპერსი – მცდარი მოჩვენებითი ჰალუცინაცია. თუმცა სუბიექტი მთელი სიცხადით აღიქვამს საგნებს: ხედავს ან ეხება საგანს, ან ესმის ხმა, მაგრამ წინააღმდეგ ნამდვილი ჰალუცინაციისა, მან თვითონ იცის, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ მოლანდებაა, ე. ი. მან იცის, რომ რასაც ის ამჟამად აღქმის სახით განიცდის –ფიზიკურად არ არსებობს, რომ ამ აღქმას რეალობის კვალიტეტი აკლია და აღქმა მხოლოდ მოჩვენებითი მოვლენაა. ფ. ვითარდება ნარკოტიკული წამლების ზეგავლენით, დაღლილობის ან ძილის წინ.

„ფსი“ – შემოკლებულია: სიტყვა პარაფსიქიკური, ჩვეულებრივ იწერება დეფისით, მაგ., „ფსი – ფუნქცია“, „ფსი – მოვლენა“ და სხვ. ტერმინი „ფსი“ პარაფსიქოლოგიაში შემოიტანა ი. რინემ /დ. 1895 / პარანორმალურ მოვლენათა საფუძველში მდებარე ფს–კური ფაქტორის აღსანიშნაგად. ამ შეხედულების თანახმად, პარაფსიქიკური მოვლენები დგანან, საზოგადოდ, ფიზიკური კანონზომიერების გარეშე. ამიტომ მათთან ურთიერთობა ან მათი შემეცნება და ახსნა შესაძლებელია არა სენსომოტორული ზემოქმედების შედეგად, არამედ „ფსი“ – ფუნქციის“ საფუძველზე. მაგ. „ფსიქოკინეზის“ ან „ნათელხედვის“ ახსნა შესაძლებელია მხოლოდ „ფსი“ – ფენომენის მოქმედების შედეგად. „ფსი“ – ფუნქცია არის პარაფსიქიკურ მოვლენათა **ბირთვი**, მისი ძირითადი ფაქტორი.

ფსიქაგოგიკა – ფსიქოპათოლოგიაში: მკურნალობა ავად–ფის დარღვეული სულიერი წონასწორობის აღდგენის მიზნით. მის ამოცანას შეადგენს ახალი მიმართულება მისცეს ავად–ფის დამოკიდებულებას, რ–რც გარემოსთან ისე – თავის თავთან, ახალი ორიენტაციის აღებით ბიძგი მისცეს სულიერი განწყობილების შეცვლას სასურველი მიმართულებით. ახლო დგას ფსიქოთერაპიასთან. ფ–ის მეთოდებია: თვითაღზრდა, განტვირ–

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვა, მედიტაცია, გამოკითხვა, შთაგონება, ანამნეზის ანალიზი, კათარ - სისი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვარჯიშით მკურნალობას: სუნ-თქვით ვარჯიშს, სპორტს, თამაშს.

ფსიქალგია /ბერძ. სულიერი, ფსიქიკური ტკივილი/ — ფსიქოგენ - ური წარმოშობის ტკივილი. ითვლება დეპრესიული მდგომარეობის სიმ-ptomად.

ფსიქასთენია /ბერძ. psyché — სული, asthenéia- სისუსტე, უძლურება/ —ნევროზის ერთ—ერთი ფორმა /პირველად აღწერა პ. ჟანემ/. მის განვი-თარებაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს ნევროპათიურ და ფსიქოპათიურ პიროვნულ წყობას /მიდრეკილებებს/. ეგზოგენური ფაქტორებიდან დიდი მნიშვნელობის მქონეა აღზრდა და უარყოფითი მორალური ფაქტორების ზე-გავლენა. უფრო ხშირად ავადდებიან თეორეტიკული აზროვნების, სუსტი ტიპის ად—ნები /პავლოვი/ 20—25 წლის ასაკში, მეტწილად ძა-მაკაცები. პ. ჟანეს მიხედვით, ფ. ხასიათდება ინტელექტის სფეროში დი-დი ეჭვიანობით, რ—იც წამებაში გადადის; ემოციის სფეროში— აკვიატე-ბული შიშით; ნებისყოფის სფეროში— გადაუწყვეტლობით. ნევრო-ფსიქიკური ნიშნები: მუდამ მძიმე და მშფოთვარე გუნებაგანწყობა, საკუ-თარი პიროვნების უკმარობის გრძნობა, ემოციის დაქვეითება, გარემოს - თან გაძნელებული შეგუებადობა, ფობიები. ავადმყოფობის შიმდინარეობა ტალღისებურია, ასაკის ზრდასთან ერთად აღწერილი სიმპტომები მკრთალ-დება. მკურნალობის ძირითადი მეთოდი არის ფსიქოთერაპია, შრომის თე-რაპია, სომატური მკურნალობა, კურორტული მკურნალობა.

ფსიქასთენიკი — ფსიქასთენიით დაავადებული ადამიანი.

ფსიქესთეზური პროპორცია /ბერძ. psychasthesie — სულიერი მგრძნ-ბელობა, ლათ. proportio — დამოკიდებულება/ — ე. კრეჩმერის მიერ დადგე-ნილი ცნება, რომლის თანახმად, ლეპტოზომური /ასთენიური/ სხეულის აგებულების შესატყვის შიზოთიმიკურ და შიზოიდურ ტიპს განსაზღვრავს სულიერი მგრძნობელობის საწინააღმდეგო პოლუსების ჰიპერსთეზიის /ზე-მგრძნობელობის/ და ანესთეზიის /უგრძნობლობის/ ურთიერთთან შერევ-ის პროპორცია. საპირ. დიათეზური პროპორცია /იხ./.

ფსიქიკა /ბერძ. psychē სული, —სუნთქვა/ — იხ. ცნობიერება.

ფსიქიკის მოქმედების ორი დონე — იხ. განწყობა წარმოდგენის საფუძველზე.

ფსიქიკის დაავადებათა კლასიფიკაცია — ემყარება ნოზოლოგიურ პრინციპს. ყოველი დაავადება, როგორც დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ერთეული, მისი ეტიოლოგიის, პათოგენეზისა და კლინიკური სურათის ერთი-ანობის საფუძველზე გამოიყოფა. არსებობს ფს—კური დაავადებანი, რო - მელთა ეტიოლოგია ან პათოგენეზი ჯერ კიდევ არაა დადგენილი. ასეთ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხვეეაში დაავადების ნოზოლოგიური დამოუკიდებლობა კლინიკური სურათის ერთფეროვანი ხასიათით განისაზღვრება. ამჟამად მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით გამოყოფილია ფს–კურ დაავადებათა სამი ძირითადი კლასი: ფსიქოზები, მოსაზღვრე მდგომარეობანი და გონებრივი განუვითარებლობა ანუ ოლიგოფრენია. თითოეული კლასი მრავალ სახესა და ქვესახეს მოიცავს.

ფსიქიკის მოვლენათა კლასიფიკაცია – სინამდვილე, რ–აც ფს–გია შეისწავლის /ფსიქიკა/, მოვლენების გარკვეულ მრავალსახეობას წარმოადგენს, ამიტომ ისე, რ–რც სხვა მეცნიერებამ, ფს–გიამაც ფ. მ. კ. უნდა მოახდინოს, დაადგინოს ფს–კურ განცდათა განსხვავებული ჯგუფები. ფს–გიაში მიღებულია ძირითადად შემდეგი კლასიფიკაცია: 1. შემეცნებითი განცდები– შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, წარმოსახვა, ყურადღება, მეხსიერების პროცესები, აზროვნება, /ცნება, მსჯელობა, დასკვნა/; 2. გრძნობა–ემოცია: სიამოვნება–უსიამოვნება, სიხარული, იმედი, მწუხარება, შიში, რისხვა, შური, ეჭვი და სხვ; 3. ნებელობა – სურვილი, მისწრაფება, ნდომა, განზრახვა, გადაწყვეტილების მიღება. ის ნიშანი, რ–იც განცდათა ამ ჯგუფებს ერთმანეთისაგან გამოყოფს, არის **განცდაში ასახული შინაარსის მეტ–ნაკლები ობიექტურობა ან სუბიექტურობა**, ე. ი. ის თუ რაა განცდაში ასახული, ობიექტური თუ სუბიექტური სინამდვილე. მაგ.:

ა/ შემეცნებითი განცდებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასში **ობიექტური სინამდვილე განიცდება**: შეგრძნება საგნის რაღაც თვისების განცდაა, რ–იც საგანს ახასიათებს; აღქმა–ობიექტური, კონკრეტული საგნის ასახვაა ცნობიერებაში; წარმოდგენა იმ საგნის განცდაა, რ–იც წარსულში აღგვიქვამს; აზროვნებაში განიცდება საგანთა შორის მიმართება, კავშირი /მსგავსება, ეგივეობა, განსხვავება,მიზეზ–შედეგობრივი დამოკიდებულება. ბ/ გრძნობა–ემოციის ფს–კური მოვლენებისთვის პირველ რიგში დამახასიათებელია ის, რომ აქ საგნისადმი საკუთარი დამოკიდებულება, თავისი სუბიექტური მდგომარეობა განიცდება; ობიექტურ სინამდვილეზე აქ არაფერი მიუთითებს; გ/ ნებელობა საკუთარი აქტივობის სუბიექტური განცდაა.

ფს–კურ მოვლენათა კლასები /ჯგუფები/ არ არის ისე მკვეთრად ურთიერთისაგან გამიჯნული, რ–რც რომელიმე საბუნებისმეტყველო მეცნიერების საკვლევი მოვლენები /ბოტანიკაში, ზოოლოგიაში და სხვა/; სადაც მოვლენის რაიმე ნიშანი ან არის მოცემული ან – არ არის მოცემული. ფს–კური განცდები რეალური ცხოვრების მიმდინარეობაში, ურთიერთანაა ერთ მთლიანობაში დაკავშირებული, მაგ., აზროვნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ნებელობის პროცესები: როცა ვაზროვნებთ, განზრახვაც გვაქვს, გარკვეული პრობლემა გადავჭრა და, ამდენად, აზროვ-

ნებაში საკუთარ აქტივობასაც განვიცდით, იმავე დროს, იმის მიხედვით, წარმატებით მიმდინარეობს აზროვნების პროცესი თუ გაძნელებულად, სიამოვნების ან უსიამოვნების განცდებიც გვიჩნდება. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ კლასიფიკაციით დადგენილი ფს–კურ მოვლენათა ჯგუფები – გონება, ნება, გრძნობა– სინამდვილეში განცალკევებული და-თავის არსში დახშული ფუნქციები კი არაა, არამედ ერთმანეთთან ერთ პროცესში თანაარსებული და თანამოქმედი მოვლენათა ჯგუფები ან კლასებია.

ფსიქიკური ელემენტი – უმარტივესი ფს–კური მოვლენა, რ–ლის დაშლა უფრო მარტივ ფენომენად არ შეიძლება. ფ. ე–სგან რთული ფს–კური ფენომენი აიგება. ასეთი ფ. ე–ის არსებობის იდეას იზიარებდა ბუნებისმეტყველურად ორიენტირებული ატომისტიკური ფს–გია, რ–იც რთულ ფს–კურ მოვლენებს განიხილავდა, რ–რც ელემენტარული ფს–კური პროცესების უბრალო ჯამს. ფ. ე–ის ასეთი გაგება, რომ მისი ჯამიდან ფს – კური მოვლენა აიგება– უარყოფილ იქნა ფს–გიაში ახალი მიმდინარეობე – ბის მიერ, რ–რიცაა გეშტალტფსიქოლოგია, ეიურცბურგის სკოლა, სტრუქტურული ფს–გია, აღწერითი ფს–გია, პერსონალისტური ფს–გია. /იხ./.

ფსიქიკური ეპიდემია – იხ. მიბაძვა.

ფსიქიკური მოვლენა – ცნობიერების მოვლენა; უშუალო გამოცდილებაში მოცემული განცდა; თან ახლავს ურეფლექსო ცოდნა თავისი არსებობის შესახებ. ასეთია მაგ., აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება, გრძნობები და სხვ.

ისტორიულად, ფს–კა, რ–რც სიცოცხლის ძირითადი ნიშანი, სულის სინონიმად აღიარა ძველმა ბერძნულმა აზროვნებამ და შესაბამისად ფს-კური მოვლენები სულის მოვლენებად მიიჩნია. მაგრამ, რადგან სული მან დამოუკიდებელ სუბსტანციად წარმოიდგინა, ამიტომ სულის მოვლენებიც, ე. ი. ფს–კურიც – იდეალისტურ–მეტაფიზიკური და რელიგიურ– სპირიტუალისტური განხილვის საგნად იქცა.

მე–18 – მე–19 ს. ს–ებიდან არსებითად შეიცვალა შეხედულება ცნება „სულის" შინაარსის შესახებ და აქედან თვით ცნება – „ფსიქიკური მოვლენის" გაგებაც. ფს–კური ანუ სულიერი მოვლენები ემპირიულ მოვლენებად, გამოცდილებაში მოცემულ სინამდვილედ განცდებად იქნა აღიარებული, ასეთია მაგ., შეგრძნება: აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება, ემოციები, გრძნობები და სხვა ყველაფერი, რაც ცნობიერების მოვლენებად მიიჩნევა, რაც „ემპირიული ფსიქოლოგიის" საგანს შეადგენს და სულის რელიგიურ–სპირიტუალისტურ –მეტაფიზიკურ გაგებას ეწინააღმდეგება. ერთი სიტყვით, ფს–კური მოვლენები ისეთი მოვლენებია, რ–ებიც ფიზ. მოვლენებისგან განსხვავებით სუბიექტურადაა მოცემული და ორგანიზმის გარემოსთან მიზანშეწონილ დამოკიდებულებას ემსახურება. /იხ. ემპირიული ფსიქოლოგია/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქიკური პრეზენტობის დრო ანუ აწმყოს განცდა. აწმყო დროის განცდაში ობიექტური დროის მინიმალური ხანგრძლივობაა, რ—შიც ურ-ფიერთმომდევნო გამღიზიანებლები ერთი მთლიანი შთაბეჭდილების სახით განიცდება და არა თანამიმდევრულად.

აწმყოს განცდის ხანგრძლივობა მერყეობს 0,5 წამსა და 7,0 წამს შორის. /იხ. დროის აღქმა/.

ფსიქიკურ ფუნქციათა ლოკალიზაცია — იხ. ლოკალიზაცია ფსიქიკურ ფუნქციათა.

ფსიქოანალიზი /ბერძ. psyché — სული და analysis — დაშლა/ — იგულისხმება ფს—კის შესწავლა ანალიზური მეთოდით. ფ—ს რ—რც მოძღვრებას საფუძველი ჩაუყარა ფსიქიატრმა ზიგმუნდ ფროიდმა /ვენა, 1856 — 1939/ ფსიქოგენური დარღვევების მკურნალობის მიზნით. შეიცავს: 1. არაცნობიერი ფს—კურის არსებობის იდეას, მის განმსაზღვრელ მნიშვნ—ას და როლს სულიერი ცხოვრების მიმდინარეობაში; 2. ფს—კის ფენობრივი /სიღრმითი/ წყობის სტრუქტურულ—დინამიკური მოდელის თეორიას; 3. ფსიქოგენური დარღვევების გამოცნობის მეთოდიკას, ტექნიკას და მკურნალობას.

ნევროზების მკურნალობის იდეა პირველად შემოიღო ვენელმა ნევროლოგმა ი. ბროიერმა /1842—1925/, რ—იც ფიქრობდა, რომ ისტერია ტრავმული ან რაიმე აფექტური დატვირთვის შედეგია და მისი განკურნება შეიძლება კათარზისის მეთოდით /იხ. კათარზისი/. ამ მიზნით იგი, ფროიდთან ერთად, მკურნალობდა ისტერიულ დაავადებას ჰიპნოზით.

ი. ბროიერთან თანამშრომლობის დაწყებისას /1893/ ზ. ფროიდს უკვე ჰქონდა ისტერიის ჰიპნოზით მკურნალობის გამოცდილება და აქედან მოპოვებული თავისი თეორიის ორი მთავარი წანამძღვარი: ერთი — რომ ისტერია და სხვა ნევროზული დაავადებანი გამოწვეულია ფს—კური ფაქტორების მავნე ზეგავლენით და არა ნ. ს—ის ორგანული დაზიანებით. ეს შეხედულება მან შეიმუშავა ი. /უან/ მარტინ შარკოს ზეგავლენით /იხ. პარიზის სკოლა/. მეორე წანამძღვარი მან შეიძინა ნანცის სკოლაში /1889/, სადაც ჰ. ბერნჰაიმი ატარებდა ექსპ—ებს პოსტჰიპნოზურ შთაგონებაზე. აქ ფროიდის ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ ჰიპნოტიზიორის ბრძანების თანახმად, პაციენტი ჰიპნოზში მიცემულ დავალებას ივიწყებდა /პოსტჰიპნოზური ამნეზია/, ხოლო თვით დავალებას ასრულებდა გარდაუვალი აუცილებლობით. ფროიდი დარწმუნდა, რომ პაციენტის ქცევას, ამ შემთხვევაში, ფს—კის განსაკუთრებული მექანიზმი არეგულირებდა, თანაც **ცნობიერებისაგან დაფარულად**, ამაში ის იმ ფაქტმა დაარწმუნა, რომ მოქმედება, რ—იც ჩვეულებრივ გონების თაოსნობით სრულდება, ახლა /პოსტჰიპნოზურ შთაგონებაში/ სრულდება არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერად და, მაშასადამე, რაც ჩვეულებრივ ცნობიერად სრულდება, შეიძლება, ზოგ პირობებში, ცნობიერი მოტივების გარეშე, გაუცნობიერებლადაც შესრულდეს. სწორედ ამ დაკვირვების საფუძველზე ფროიდს გაუჩნდა აზრი, რომ „არაცნობიერი ფს-კურის" არსებობა უეჭველი ფაქტია, ისტერიის გამომწვევი მიზეზიც მისგან უნდა მომდინარეობდეს.

ი. ბროიერთან ერთხანს მუშაობის შემდეგ ფროიდმა უარყო ისტერიის ჰიპნოზით მკურნალობა და საკუთარი მეთოდის შექმნის გზას დაადგა. ნევროზის გამომწვევ მიზეზს ის უკვე არაცნობიერში ეძებს და იწყებს მის შესწავლას.

მრავალი ემპირიული მასალის შესწავლის და ანალიზის შედეგად იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ არაცნობიერი სამყარო ჩაკეტილი სამყაროა, რ-ის არარეალიზებული შინაარსები აქტიური ძალის შემცველი, ცნობიერი „მე" -სთვის მიუღებელი **სექსუალური ლტოლვები და სურვილებია**, რ-თა მოქმედებას გზა გადაკეტილი აქვს, ხოლო მოქმედების უნარი შერჩენილი; ამიტომ ისინი არ ცხრებიან თავისი რეალიზაციისკენ ისწრაფვიან, მოქმედებენ შენიღბულად, სახეშეცვლილად, შემაწუხებლად, ცნობიერებას ეწინააღმდეგებიან და მუდამ კონფლიქტურ სიტუაციას უქმნიან სუბ-ს.

არაცნობიერის ეს რთული მექანიზმი, ფროიდის თეორიით, სუბ-ის სტრუქტურულ წყობაშია, პიროვნების ფენათა დინამიკურ ურთიერთმიმართებაშია თავიდან ჩადებული, ესენია: ცნობიერი „მე" - ფენა, „ზე-მე" -ფენა, რ-იც აგრეთვე ცნობიერია. და „იგი"-ფენა, რ-იც არაცნობიერია. ამ ფენათა ურთიერთთან კოორდინირებული თუ არაკოორდინირებული მუშაობა განსაზღვრავს ად-ნის სიცოცხლის მსვლელობას.

ფენათა შორის ინსტინქტებისა და ლიბიდოზურ ლტოლვათა შემცველი „იგი" - ფენაა. ამ ფენის მოქმედება ადრეული ბ-ვობიდან იწყება, გაივლის ორალურ, ანალურ, გენიტალურ ფაზებს, თვით ოიდიპოს-კომპლექსის ფორმირების ეტაპს და მთელი თავისი ძალებით თავის რეალიზაციისკენ ისწრაფვის. მაგრამ ამ სწრაფვას წინ აღუდგება ცნობიერი „მე" და გზავნის უკან ქვეცნობიერში. თვით „მე" „ზე-მე"-ს გავლენას განიცდის. „ზე-მე" არის უმაღლესი ინსტანცია ფენათა შორის, იგი პიროვნების სოციალურად მიმართული „მე"-ა, მისი სინდისია. ეს ინსტანცია მორალურ-საზოგადოებრივ წარმოდგენებს განაგებს და უკარნახებს ცნობიერებას, თუ რ-ელის რეალიზება შეიძლება, მიუღებელს კი გზავნის უკან არაცნობიერში. გარდა განდევნისა ცნობიერებას აქვს კიდევ სხვა დაცვითი მექანიზმები /სუბლიმაცია, სუბსტიტუცია, კომპენსაცია, პროექცია, და სხვ./ /იხ. დაცვითი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანიზმები/. განდევნილი განცდები იკრებიან ცნობიერებაში, როცა ცენზურა " მოდუნებულია /ძილი, დაღლილობა/ და ასახავენ თავის განცდის ემოციურ სიტუაციას. ამიტომ სიზმარი, ფროიდის შეხედულებით არის განდევნილი განცდის via regia /გზა სასახლისაკენ/, ეს იქნება მისი სუბლიმაციაში გადასვლა, შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვა და ნორმალური გზით სვლა.

რაც შეეხება ნევროზის მკურნალობას, ფროიდი იმ აზრისაა, რომ ექიმმა მიაგნოს განდევნილი განცდის შინაარსს, ამოიყვანოს ის ცნობიერების ზედაპირზე და კვლავ განაცდევინოს თერაპიის მიზნით /კათარსისი/ ეს სიღრმეში დაფარული განცდა.

თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ფროიდმა სიცოცხლის მამოძრავებელი ძალის ლიბიდოს გვერდით, რ-იც „სიცოცხლისადმი სწრაფვას", „ეროსს" ასახავს, შემოიტანა მეორე მისი საწინააღმდეგო ძალაც — „სიკვდილისადმი სწრაფვა", „თანატოსის" იდეა, რ-იც ად-ნის აგრესიულობაში ვლინდება და სიცოცხლის განადგურებისკენაა მიმართული. „თანატოსის", დესტრუქციის, აგრესიის იდეამ თავიდანვე ვერ პოვა აღიარება.

ფროიდის თეორიას მიმდევრები და დამცველები ბევრი ჰყავდა, მაგრამ ბევრი ჰყავდა კრიტიკულად განწყობილი. განსაკუთრებულ კრიტიკას თანატოსისა და პანსექსუალიზმის იდეა იწვევდა. თანდათან მისი პირველი მოწაფეებისაგან /ა. ადლერი, კ. გ. იუნგი, ე. ბლოილერი, შტეკელი/ ზოგიერთმა საკუთარი მიმართულება შექმნა /ადლერმა „ინდივიდუალური ფს-გია", იუნგმა „ანალიზური ფს-გია"/. ანა ფროიდიც, /ზ. ფროიდის ქალიშვილი/ კრიტიკულად აფასებს ფროიდიზმის ღრმა ბიოლოგიურ ხასიათს და ლიბიდოს უნივერსალიზაციას. კლასიკური ფროიდიზმის პრინციპების რევიზიის შედეგად შეიქმნა ე. წ. ნეოფსიქოანალიზის მიმდინარეობა, განსაკუთრებით ამერიკაში /კ. ჰორნი, გ. მარკუზე, ს. სულივანი, გ. ჰარტმანი, ე. ფრომი და სხვ./. წეობიჰევიორიზმი არაცნობიერის იდეას არ უარყოფს, მაგრამ არ ეთანხმება ორთოდოქსულ ფროიდიზმს ფს-კური ცხოვრების ბიოლოგიური ფაქტორებით დასაბუთებასა, და ლიბიდოს მნიშვნელობის გაბსოლუტებაში. ად-ნის სულიერი ცხოვრების მაორგანიზებელ პრინციპად მას სოციალური ფაქტორიც შემოყავს.

ფსიქოგალვანური რეფლექსი ანუ კანის ფსიქოგალვანური რეფლექსი — ეწოდება ადამიანისა და ცხოველის კანის ნორმალური ელექტრო-გამტარობის მკვეთრ შეცვლას.

კანის სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა გამღიზიანებლის კანზე ზემოქმედების შედეგად, ელექტრო-პოტენციალის ცვლილება სხვადასხვაა. კანის აღნიშნულ რეაქტიულობას იწვევს აგრეთვე სუბ-ის ზოგი ფს-კური მდგომარეობა : ემოცია, აზროვნება და სხვა. ფიქრობენ, რომ აღნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნული ფენომენი არის ორგანიზმის საერთო ვეგეტატიურის რეაქცია; უშუალოდ კი მის რეგულაციას ახდენს სიმპათიკური ნ. სის ზემოქმედება საოფლე ჯირკვალზე. ეს ფენომენი, რ–რც ელექტრო–პოტენციალთა სხვაობა, პირველად აღწერა ფიზიოლოგმა ივანე თარხნიშვილმა /1889/. ხოლო, როგორც კანის წინააღმდეგობის ცვლილება აღწერა გ. ფერემ /1888/. შემდეგ /1904 – 1905 წწ/ ო. ვერაგუტმა უწოდა მას „ფსიქოგალვანური რეფლექსი“.

ფსიქოგენური /მოვლენა/ – ეწოდება ფსიქიკის ზეგავლენით წარმოშობილ მოვლენას ორგანიზმში. მაგ., როცა რომელიმე დაავადების - თვის დამახ. ფიზიკო–ფიზიოლ. ცვლილება გამოწვეულია არა ორგანიზმში მომხდარი ფიზიოლ. ფუნქციების დარღვევის შედეგად, არამედ ფსიკური მოქმედების ზეგავლენით, ფს–კურ და ფიზიოლ. მოვლენათა შორ - ის დამოკიდებულების განმსაზღვრელი, ამ შემთხვევაში, ფს–კური ფაქტორია /მაგ., ისტერიული დაავადება/. საწინ. ფიზიოგენური ანუ სომატური /იხ./.

ფსიქოგრამა – იხ. ფსიქოგრაფია.

ფსიქოგრაფია /ბერძ. psyché–სული, graphō – ვწერ/ – სუბ–ის, რ–რც ცალკეულ ნიშან–თვისებათა, ისე მთლიან–პიროვნული ექსპერ– ული შემოწმების მონაცემების გრაფიკული გამოსახვა. წარმოადგენს დიფერენციული ფს–გიის ერთ–ერთ პრობლემას. მის ამოცანას შეად - გენს ად–ნის ინდივიდუუმის რაც შეიძლება ზუსტი და სრული დახასიათება პიროვნების შესწავლის მიზნით. ამისათვის აუცილებელია შემოწმდეს ინდივიდუუმის დამახ. ნიშან–თვისებები, ხასიათის თავისებურებანი, ტემპერამენტი, განწყობები, მისწრაფებები, საზოგადოებრივი და პირადი იდეალები, საქმიანობა, ინტელექტუალურ–ნებელობითი სფერო და სხვა. აღნიშნული ფს–გიური მასალის შეგროვებისთვის იყენებენ, რ–რც ცალკე ფუნქციათა გაზომვის ფსიქომეტრიულ მეთოდს /იხ. ფსიქომეტ - რია/, ისე მთლიანი პიროვნების შემოწმების ფსიქო–დიაგნოსტიკურ მეთოდებს /პროექციული მეთოდი, რორშახის მეთოდი, თემატიკური აპერცეფციის ტესტი, განწყობის ტესტი და სხვ/. გათვალისწინებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, ინდივიდუუმის შემოქმედებითი ნიმუშები, ნაწერები, პირადი ჩვენებები, სხვისი ნაამბობი, ბიოგრაფიული მონაცემები. საბოლოო მიზანია შეგროვილი მასალის სინთეზის საფუძველზე პიროვნების ფსიქიკის სტატუსის დადგენა. ფს–გიური პორტრეტის ჩამოყალიბება; სუბ–ის ასეთ მთლიან–პიროვნულ შეფასების გრაფიკულ ასახვას ფ. ეწოდება.

ფსიქოდიაგნოსტიკა /ბერძ. diagnosis/ – ად–ნის ფს–კური ფუნქციების /მოვლენების, ნიშნების, თვისებების, უნარების, ნიჭის და სხვ./ გამოკვლევის და გაზომვის საფუძველზე შეფასება და დადგენა იმისა, თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ–რია სუბ–ის ძალები და შესაძლებლობანი, რა მიღწევებს შეიძლება მისგან ცხოვრებაში მოველოდეთ. ფ–ის მიზანია დასვას დიაგნოზი, ე.ი. გაარკვიოს /გამოიცნოს/ ინდივიდის რ–რც ცალკე ფუნქციათა სახე /ტიპი/ და ხარისხი, ისე დაადგინოს მისი მთლიან–პიროვნული სტატუსი და ამის საფუძველზე ივარაუდოს, თუ რა მიღწევებს შეიძლება მოველოდეთ ამ ძალების რეალიზაციის შედეგად ცხოვრების ოპტიმალურ პირობებში. ცნობების შეგროვებისათვის ფ. სარგებლობს პიროვნების შესამოწმებლად არსებული მეთოდებით, ასეთია: ბიოგრაფიული მონაცემები, დაკვირვება, ექსპლორაცია, გამომხატველი მოძრაობის მეთოდი, ტესტი, პროექციის მეთოდი /იხ./ და სხვა.

ფ. გამოიყენება პედაგოგიკაში, შრომის ფს–გიაში, პროფესიული ორიენტაციის მიზნით, სამედიცინო პრაქტიკაში და, საზოგადოდ, ყველა იმ შემთხვევაში, როცა პიროვნებისქძალის და უნარის ცოდნას რაიმე პრაქტიკული ან თეორიული მნიშვნელობა აქვს.

ფსიქოთერაპია /ბერძ. therapeia – მოვლა, მკურნალობა/ – ფს–კური ზემოქმედება მკურნალობის მიზნით. ფ–ის რამდენიმე მეთოდი არსებობს: 1. **ზოგადი** ფ. –ფს–კურ ზემოქმედებათა კომპლექსი, რ–იც მოწოდებულია შეუქმნას ავად–ფს ფს–კაზე კეთილმოქმედი გარემო, გააძლიეროს დაავადებასთან ბრძოლის უნარი. 2. **სპეციალური** ფ. –ფს–კურ ზემოქმედებათა სისტემა, მიმართულია ავად–ის მკურნალობისაკენ; მიზნად ისახავს ავად–ური მოვლენების აღკვეთას, საკუთარი თავის, საკუთარი მდგომარეობისა და გარემოს მიმართ ავად–ის დამოკიდებულების შეცვლას.

განასხვავებენ ფ–ის ძირითად მეთოდს: **ფ. ფხიზელ მდგომარეობაში და ჰიპნოთერაპიას.**

ფ. ფხიზელ მდგომარეობაში იყენებს შემდეგ მეთოდებს: 1/ **რაციონალური** ფ. – პათოლოგიური სიმპტომების განვითარების მიზეზების ახსნა – განმარტება ავად – სათვის 2/ **ფსიქოანალიზური მეთოდი** – ემყარება ფროიდის თეორიას და მკურნალობის მიზნად მიაჩნია განდევნილი განცდის გაცნობიერება ავად–სათვის. მიმართავს თავისუფალი ასოციაციის მეთოდს, ავად–ის სიზმრებისა და შეცდომების ანალიზსა და ახსნას. 3/ **ფუნქციური წვრთნა** – ავად–ის მუდმივი ვარჯიში ისეთი ფუნქციური დარღვევების დაძლეის მიზნით, რ–რიცაა ფობიები, ისტერიული პარეზები, ისტერიული მუტიზმი და სხვა. 4/**აუტოგენური წვრთნა** –თვითშთაგონება სრული მოდუნებისა და მსუბუქი თვლემის მდგომარეობაში, რ–იც ექიმის დახმარებით მიიღწევა; მიზნად ისახავს შეუმუშაოს ავად–ფს საკუთარი ქცევის, განცდის, გუნება–განწყობილების რეგულაციის უნარი. 5/ **ჯგუფური** ფ. – ფ–პიული საუბრებისა და შთაგონებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის სეანსების ჩატარება ავად-თა გარკვეულ ჯგუფთან.

ჰიპნოთერაპია: ავად-ფის გადაყვანა ისეთ ძილისმაგვარ მდგომარეობაში, როცა ექიმთან კონტაქტი ნაწილობრივ შენარჩუნებულია /ე. წ. რაპორტი/ ჰიპნოზი იძლევა მეხსიერებიდან განდევნილი ტრავმის განცდის საშუალებას /ქათარსისი ;/. ფ-ის მეთოდებს იყენებენ ნერვულ-ფსიქიკური დარღვევების მკურნალობისას.

ფსიქეზი /ბერძ. psyché – სული/ – ფართო მნიშვნელობით: ფს-კური მოქმედების დარღვევის ყველა ფორმა. ვიწრო მნ.: ფს-კური დაავადება, რ-იც ხასიათდება ფს-კური მოქმედების მკვეთრი დარღვევით და ამ ნიშნით განსხვავდება ნევროზისაგან.

ფსიქოიდი /ბერძ. –სულის მსგავსი/ – იდეალისტური კონცეფცია, რ-იც გულისხმობს დაბალ ცხოველებში ვეგეტატიური და ქვეფსიქიკურ – ანიმალური ფუნქციების მარეგულირებელ და სიცოცხლის მართვის პრინციპს. ე. ბლოილერის აზრით, ფ. დიდი ტვინის პროცესებისაგან განსხვავებით, მნემურ პროცესებთან დაკავშირებული, ვეგეტატიურ ფუნქციათა ერთიანობაა. იგი დაბალი ორგანიზმების /პროტოზოამდე/ მოქმედების მაორგანიზებელი პრინციპია. ჰ. დრიშ ფ-ს თვლის სიცოცხლის პრინციპად. ინტელექტის გამოვლენა.

ფსიქოკინეზია – იხ. ტელეკინეზია.

ფსიქოლოგია /ბერძ. psyché – სული, logos – მოძღვრება, მეცნიერება/ – სიტყვასიტყვით: მეცნიერება „სულის" შესახებ. თანამედროვე გაგებით. ფს. არის „მეცნიერება, რ-იც იკვლევს ცნობიერების მოვლენებს /განცდებს/ და მდგომარეობებს, მის მოქმედებებს და წარმოშობის მიზეზებს" /ჰ. რორახერი/. ფსიქოლოგიის კვლევის საგანია „ჩვენი განცდები –ჩვენი გრძნობები და წარმოდგენები, ჩვენი აზრები და სურვილები.... ე. ი. ფსიქიკური მოვლენები.... ფსიქიკური, როგორც ობიექტურთან ერთიანობაში მყოფი სინამდვილე " /დ. უზნაძე/.

ისტორიულად ფს-კური მოვლენების, რ-რც „სულის" გამოვლენის განხილვა არ დაწყებულა სიტყვა „ფსიქოლოგიის" გაჩენასთან ერთად, სული თავიდან იყო ანტიკური ფილოსოფიის მსჯელობის საგანი: „სული" ესმოდათ, რ-რც სიცოცხლის პრინციპი და სუბსტანცია /თალეს მილეთელი, ჰერაკლიტე, პითაგორელები, ელეატები, ანაქსაგორა, ემპედოკლი, დემოკრიტე, ჰიპოკრატე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურელები/. ჰიპოკრატემ /460–377/ დაამუშავა ტემპერამენტის ტიპები /იხ. ტემპერამენტი/, რ-აც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა; ცნობილია არისტოტელეს /384–322/ სისტემატური თხზულებაც „სულის შესახებ" /Peri psychës/სადაც „სული" თუმცა განხილულია, რ-რც სიცოცხლისა და სხეულის პრინციპი ანუ ენტელექია /იხ/, მაგრამ ლაპარაკია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ემპირიულ ფაქტებზეც — წარმოდგენათა ასოციაციის კანონებზე და სულიერ მოვლენათა კლასიფიკაციაზე.

მიუხედავად ზოგი ემპირიულად ღირებული ფაქტის დადგენისა, ანტიკური ფს—გია არსებითად სპეკულატურ—ფილოსოფიური წანამძღვრებიდან გამოდიოდა, ამიტომ იგი მეტაფიზიკური ფს—გიის სახელითაა ცნობილი და, რა თქმა უნდა, მეცნიერულ ფს—გიას არ წარმოადგენს.

ფიქრობენ, რომ სიტყვა „ფსიქოლოგია" პირველად იხმარა, თავის ლექციაში, ფილიპე მელანქტონმა /1497—1560/. ზოგი ფს—ლოგი ამას არ ეთანხმება /მაგ., ლ. ვიგოტსკი, დ. უზნაძე/. ბეჯდვით სიტყვაში სიტყვა „ფსიქოლოგია" პირველად გამოიყენა რუდოლფ|გოკლენიუსმა /1590/, ხოლო ქ. ვოლფმა /1679—1754/ თავისი ნაწერებით ის ფართოდ გაავრცელა. ახალ ფილოსოფიაში რ. დეკარტმა /1596—1650/ პირველად დააშორა ფსიქიკური და ფიზიკური ერთმანეთს და დუალისტურ კონცეფციას მისცა დასაბამი. მან ფს—კურის ატრიბუტად აზროვნება /ცნობიერება/ აღიარა, რ—იც არ არის განფენილი, ხოლო ფიზიკურის ატრიბუტად განფენილობა მიიჩნია, რ—იც მოკლებულია ცნობიერებას. გ. ლაიბნიცმა /1646—1716/ პირველმა ილაპარაკა მცირე აღქმის /Petites Perceptions/ შესახებ. მანვე შემოიტანა აპერცეფციის, რ—რც ცნობიერი აღქმის ცნება. ორიგე /დეკარტეცა და ლაიბნიციც/ იდეალისტური ფილოს—ის წარმომადგენლები არიან და მათი ფს—გიური კონცეფცია მეცნიერულ ემპირიულ ფს—გიას არ განეკუთვნება; მაგრამ მათ მიერ შემოტანილ ცნებებს მნიშვნელობა ჰქონდა ფს—გიური მეცნიერების განვითარების პროცესში. ი. ტეტენსი /1736—1807/ ავითარებდა ემპირიული ფს—გიის და თვითდაკვირვების მეთოდის თვალსაზრისს, კარლ—გუსტავ კარუსი /1789—1869/ წერდა ადამიანის გრძნობებზე, დაამუშავა ფიზიოგნომიკის საკითხები, რ—იც შემდეგ ლუდვიგ კლაგესმა /1872—1956/ გააგრძელა.

ასოციაციური ფს—გიის წარმოშობისა და განვითარებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელი სენსუალისტების ემპირისტულ პოზიციას /ი. ლოკი, დ. იუმი, ჯემს მილი, ი. სტიუარტ მილი, ა. ბენი და სხვ/. იგივე ითქმის ფრანგ მატერიალისტებზე. ერთი სიტყვით, ჰუმანისტური, მატერიალისტური და სენსუალისტური შეხედულებებისა და მერე მე-18 ს—ის ბუნებისმეტყველური აზროვნების და, კერძოდ, ნ. ს—ის კვლევის მეცნიერული წარმატება იყო ის საფუძველი, საიდანაც წარმოიშვა ფს—გია, როგორც ემპირიული მეცნიერება. /იხ. ემპირიული ფსიქოლოგია/.

მე—19 ს—ის პირველი ნახევრის მიწურულს მკვლევართა ყურადღების ცენტრში დგას: 1/ გრძნობათა ორგანოების ფიზიოლ. 2 /გაღიზიანებასა და შეგრძნებას შორის არსებული კანონზომიერების დადგენა, ამ ფსიქო—ფიზიკური კვლევის მიმართულებით პირველი პერიოდის შემდეგი მკვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარები არიან ცნობილი: იოჰანეს მიულერი /1801 –1858/, დაადგინა: „შეგრძნების ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის კანონი“: ერნსტ ვებერი /1795 – 1878/ – პირველმა იკვლია გაღიზიანების ზღურბლი, დაადგინა: ფსიქო–ფიზიკის ძირითადი კანონი /იხ. ფსიქო–ფიზიკა, ვებერის კანონი/, რ–იც გაღიზიანებასა და შეგრძნებას შორის არსებულ მიმართებას გამოხატავს; გ. ფეხნერმა /1801 – 1887/ – ვებერის კანონს მათემატიკური გამოხატულება მისცა /იხ. ფეხნერის კანონი/, მან ფს–გიაში მათემატიკის პრინციპი შეიტანა; ჰ. ჰელმჰოლცი /1821 –1894/, სპეციალობით ფიზიკოსი და ფიზიოლოგი, „ენერგიის შენახვის“ დასაბუთების ავტორი, დაამუშავა მხედველობითი და სმენითი შეგრძნებების საკითხები /იხ. ფერთა შეგრძნების წარმოშობის პირობები/; ე. ჰერინგი /1834 –1918/ – მუშაობდა ფსიქო–ფიზიოლოგიაში, საყოველთაოდ ცნობილია ფერთა შეგრძნების მისი თეორია; იგი ექსპერიმენტული ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის პირველი მკვლევართაგანია. ყველა აღნიშნული ფსიქო–ფიზიკური და ფსიქო–ფიზიოლოგიური გამოკვლევა ემპირიული ფს–გიის პირველი ნაბიჯია.

მე–19 ს–ის პირველ ნახევარში დიდი გავლენით სარგებლობდა, განსაკუთრებით პედაგოგიკაში, იოჰან –ფრიდრიხ ჰერბარტის /1776 –1841/ ასოციაციური ფს–გიის თეორია. მისი შეხედულებით, ად–ის მთელი სულიერი ცხოვრება წარმოდგენებისაგან შედგება. წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდებიან, ეცილებიან, დევნიან, ცვლიან ძველ წარმოდგენასთან აპერცეფციის საფუძველზე. ჰერბარტი ცდილობდა წარმოდგენათა მოძრაობის მექანიკა მათემატიკური ფორმულებით გამოესახა.

ფს–ის, რ–რც ექსპერ–ემპირიული მეცნიერების მამამთავრად მიიჩნევ. ვუნდტი /1832 –1920/ ითვლება. მის ორტომიან ნაშრომში /„ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლები“/ თავმოყრილია და სისტემაშია მოყვანილი, რ–რც მანამდე არსებული ფსიქო–ფიზიკური მასალა, ისე – მისი საკუთარი კვლევის შედეგები. 1875 წელს /მეორე ცნობით 1879 წ–ს/ მან ლაიფციგში დაარსა მსოფლიოში პირველი ფს–გიური ლაბორატორია, მისმა მოწაფეებმა დააარსეს შემდეგ ასეთი ლაბორატორია თავის ქვეყანაში, /საქართველოში ფს–გიური ლაბორატორია დააარსა დ. უზნაძემ 1918 წელს, თბილისის „სამასწავლებლო ინსტიტუტთან“. 1919 წელს, იგი გადასცა სახ. უნივერსიტეტს/. ექსპერ. ფს–ს ვუნდტმა თავის ლაბორატორიაში ჩაუყარა საფუძველი. ვუნდტის მიერ წარმოდგენილი ფ., თუმცა ასოციაციური ფს–ის მიმდინარეობად ითვლება, მაგრამ ზოგი მისი დებულება /შეიძლება ითქვას ძირითადი/ მკვეთრად ეწინააღმდეგება ასოციაციური ფს–ის პრინციპებს. მაგ., ასეთია მისი „აქტუალობის თეორია“, /იხ./ „ცნობიერების შემოქმედებითი სინთეზის პრინციპი“, „აპერცეფციის“ გაგება, რ–რც აზროვნების მაორგანიზებელი აქტიური მომენტისა /იხ. აპერცეფცია, აპერცეფციული ფ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე 1885 წ–ს ჰ. ებინგჰაუსი /1850–1909/ აქვეყნებს ექსპერ. გამოკვლევას მეხსიერების შესახებ, /იხ. დასწავლის კვლევის მეთოდები/. ამ - რიგად, ექსპ. მეთოდი თანდათან გადაიზარდა ფსიქო–ფიზიკიდან ფს–გიური საკითხების კვლევაში და ფს–გიურ მეცნ–ში ექსპ–ტს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. ფს–გიური მეცნ–ის შემდეგი განვითარება ექსპ–ის გზით წარიმართა. ფს–გიას დღეს „ექსპერიმენტული" ფს–გია ეწოდება.

მე–18 და მე –19 ს–ში ბუნებისმეტყველურად ორიენტირებული ფს. რ–იც ფს–კის ელემენტების ძიებისკენ იყო მიმართული და ფს–კას ამ ელემენტების ასოციაციური კავშირისაგან აგებდა – ატომისტიკურ ანუ ასოციაციურ ფს–გიად არის ცნობილი, მას ავრეთვე ახსნით ფს–გია უწოდებენ.

მე–20 ს–ის დამდეგიდან აშშ–ში ჩაისახა მიმართულება „ბიჰევიორიზმი", რომლის კვლევის საგანს შეადგენდა არა განცდები, ფს–კური მოვლენები, არამედ ის, რაც თვალსაჩინოდ არის მოცემული, რისი ობიექტური დაკვირვება და აღრიცხვა შეიძლება, ასეთია ქცევა, რეაქცია, მიღწევები. არსებითად ამავე პოზიციიდან წარმოიშვა რუსეთში რეფლექსოლოგია /ი. ბეხტერევი/, ი. პაველოვის მოძღვრება პირობითი რეფლექსების შესახებ /იხ. ობიექტური ფ., პირობითი რეფლექსი, ბიჰევიორიზმი/.

მე–18 და მე–19 ს–ში ბუნებისმეტყველურად ორიენტირებული ფს–გია, წინააღმდეგო მიმდინარეობა – აღწერითი /იხ. დესკრიფციული ფს–გია/ და მის საფუძველზე განვითარდა გონის მეცნიერული ფს–გია /იხ./, წარმომადგენლები არიან ფ. ბრენტანო, ვ. დილთაი, ე. შპრანგერი და სხვ. აღწერითმა ფს–მ ახსნითი ფს–ის ატომისტიკურ–ასოციაციურ მიმდინარეობას დაუპირისპირა ფს–კურ მოვლენათა მთლიანობის და ერთიანობის იდეა. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ე. წ. „ვიურცბურგის სკოლა" /იხ./ წარმომადგენლები ო. კიულპე, ნ. ახი, კ. ბიულერი, კ. მარბე, ჰ. ვატი, ო. ზელცი და სხვ., რ–იც აგრეთვე მკვეთრ წინააღმდეგობაში დადგა ასოციაციური ფს–გიის მიმდინარეობასთან. ამ სკოლის კვლევის საგანი მაღალ–ფს–კური პროცესები იყო. „სისტემატური თვითდაკვირვების მეთოდით" კვლევის შედეგად ვიურცბურგის სკოლამ წამოაყენა შემდეგი კონკრეტული დებულებები: ა/ აზროვნების პროცესები შეიცავს „არათვალსაჩინო განცდებს" –აზრს, ცოდნას; ბ/ აზროვნების მოქმედების განმსაზღვრელია დეტერმინაციის ტენდენცია. /იხ./ აზროვნების წინაშე დასმული ამოცანის სახით, გ/ აზროვნება ინტენციონალური აქტია. ვიურცბურგის სკოლამ აგრეთვე დაამტკიცა, წინააღმდეგ ვუნდტის შეხედულებისა, რომ ექსპერიმენტის გამოყენება მაღალ, რთულ ფს –კურ მოვლენათა კვლევის მიზნით, არათუ შესაძლებელია, არამედ ეფექტური საშუალებაცაა. ორივე მიმდინარეობა /აღწერითი ფს. და ვიურცბურგის სკოლა/ წინააღმდეგ ასოციაციური ფს–ის მიმდინარეობისა, ფს–კურ მოვლენებს განიხილავს, როგორც მთლიან კვალიტეტებს.

ფს – კურის მთლიანობითი გაგება, განსაკუთრებით განა-
ვითარეს, თუმცა თავისებური პოზიციიდან, გეშტალტფსიქოლოგიის
მიმდევრებმა /იხ. გეშტალტთეორია, ბერლინის სკოლა, ავსტრიის სკოლა/.
გეშტალტფსიქოლოგიის მიმდინარეობას საფუძველი ჩაეყარა 1912 წ. მაქს
ვერთჰაიმერის /1880–1943/ შრომით: „სტრობოსკოპული მხედველობის
შესახებ“. პირველად ფს–კურ სინამდვილედ გეშტ. ფსიქის მიერ აღიარებ-
ულ იქნა განცდები, რ–რც მთლიანი სტრუქტურები, გეშტალტები, ხოლო
ფს–კურ ელემენტს განიხილავდნენ ამ მთლიანის ანალიზის შედეგად ნა-
წარმოებ რომელობად. განცდის მთლიანობით პრინციპს იზიარებენ აგრე-
თვე არაგეშტალტფსიქოლოგიის მიმდევრებიც, მაგ., ვ. შტერნი, ლაიფციგ-
ის სკოლის წარმომადგენლები. მათ შემოიტანეს ახსნითი ცნება „დის-
პოზიცია“ /ვ. შტერნი და სხვები/.

მნიშვნელოვან მიმდინარეობად ითვლება გამოკვლევები „ხასიათის
შესახებ“ ილიუს ბანზენი /1830 –1881/, ლუდვიგ კლაგესი / 1872 –1956/
და სხვა.

არაცნობიერი ფს–კური იდეის შემოტანამ ფს–გიაში /ზ. ფროიდი/
გააფართოვა ფს–გიური კვლევის ჰორიზონტი: მოს ბაზაზე წარმოიშვა
და განვითარდა სიღრმითი ფს–გია, ფსიქოთერაპია, ფსიქოპათოლოგია.
მან ხელი შეუწყო სამედიცინო ფს–გიის განვითარებას. ფს–გიური მეც-
ნიერების განვითარებისათვის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს მო-
ძღვრება სხეულის აგებულების ტიპების შესახებ. /იხ. სხეულის აგებუ-
ლების ტიპები, „კონსტიტუცია“/.

1930 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ერთ–ერთ ძირითად მიმდინარეო-
ბას ფს–გიაში, ე. წ. პერსონალისტურ ფს–გიას /ვ. შტერნი/. მისი კვლე-
ვის საგანია ადამიანის პიროვნება მთელი თავისი ინდივიდუალური ფორ-
მით და სოციალური მიმართებებით. ამ პერიოდისათვის ფს–გიაში უკვე
შემოსულია და დამკვიდრებული ცნებები: დისპოზიცია, უნარი, სტრუქ-
ტურა, კონსტიტუცია, მრავლიანობათა ერთიანობა, სიღრმითი ფს–გია,
ინდივიდუალობა, ტიპურობა, მთლიანობა, „ხასიათი“ და სხვ.

ფს–გიურმა მეცნიერებამ 1930 წლიდან თავისი განვითარების ისეთ
მაღალ დონეს მიაღწია, რომ უკვე არ ეტევა ერთი ფს–გიის ფარგლებში
და ვითარდება ფს–გიის სხვადასხვა დარგი, რ–რც თეორიული, ისე – გა-
მოყენებითი /პრაქტიკული/ ფს–გიის მიმართულებით.

თეორიული ფს–გიის მთავარი დარგებია – ზოგადი ფს–გია, ბავშვ-
ის ფს–გია, დიფერენციული ფს–გია, ასაკგაზრდობის ფს–გია, სოციალუ-
რი ფს–გია, ზოოფსიქოლოგია, კრიმინალური ფს–გია, პიროვნების ფს–
გია /პერსონალისტიკა/, პათოფსიქოლოგია, ფიზიოლოგიური ფს–გია და
სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენებითი ფს–გიის დარგებია – პედაგოგიური ფს–გია, ინდუსტრიული ფს–გია, სამხედრო ფს–გია, სამედიცინო ფს–გია, სპორტის ფს–გია /იხ./ და სხვ.

1863 წ–ს რუსეთში გამოქვეყნდა ი. სეჩენოვის /1849–1905/ გამოკვლევა „თავის ტვინის რეფლექსები“, ეს ფიზიოლოგიური ფს–გიის პირველი ნაშრომია რუსეთში. სეჩენოვი უდიდესი ფიზიოლოგი, რუსეთის ფიზიოლ. სკოლის დამფუძნებელი, იყო მატერიალისტურად მოაზროვნე ფს–გი. ამუშავებდა ფს–გიურ საკითხებს მატერიალისტური კონცეფციის პოზიციიდან. ცნობილია მისი ნარკვევი „ვინ და როგორ უნდა დაამუშაოს ფს–გია“. სეჩენოვის ფიზიოლ–მა იდეებმა დიდი ზეგავლენა იქონია მთელ ფიზიოლ. აზროვნებაზე /თვით ი. პავლოვი იზიარებდა მის დებულებებს/. ასეთივე დიდი გავლენა ჰქონდა ფს–გიურ აზროვნების სფეროშიც. არსებულ ინტროსპექტულ -ასოციაციურ–იდეალისტურ ფს–გიას მან დაუპირისპირა ობიექტურ მეთოდზე დაფუძნებული, მატერიალისტურად გაგებული და მეცნიერულად დასაბუთებული ფიზიოლ. ფს–გია. ამ -ით დაიწყო რუსეთში ფს–გიური მეცნ–ის განვითარების ახალი ერა.

მე–19 ს–ს ბოლოს და მე–20 ს–ს დასაწყისში რუსეთის სხვადასხვა ქალაქში /მოსკოვში, პეტერბურგში, ოდესაში/ ნეგროლოგიურ განყოფილებასთან გაიხსნა ფს–გიური ლაბორატორია. დაიწყო ფს–გიური საკითხების ექსპ. შესწავლა. მაგ., ვ. ბეხტერევი /1857–1927/, ფსიქიატრი, ლენინგრადის ფსიქო–ნევროლოგიური აკადემიის პრეზიდენტი და ტვინის შესწავლის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ექსპ. ამუშავებს ფს–გიურ საკითხებს და აქვეყნებს მათ. ბეხტერევმა შეიმუშავა „ობიექტური ფსიქოლოგიის“ ცნება და მუშაობდა ამ მიმართულებით ექსპ. მეთოდით. „ობიექტური ფსიქოლოგია“ მას ესმოდა, რ–რც მეცნ. ქცევის შესახებ /რ–რც რეფლექსოლოგია/. ცნობიერების კვლევის წინააღმდეგი იყო. მისი აზრით რეფლექსოლოგიას უნდა შეეცვალა ფს–გია.

ძველი პერიოდიდან აღსანიშნავია დიდი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი /1824–1871/, რ–იც პედ. იდეებს ფს–გიურ მონაცემებზე აფუძნებდა. ა. ლაზურსკი /1874–1917/, სპეციალობით ექიმი–ფსიქოლოგი; მას აინტერესებდა ად–ნის პიროვნება, მისი ხასიათი, და შრომებს ამ მიმართულებით ამუშავებდა. ლაზურსკიმ შემოიტანა ფს–გიაში „ბუნებრივი ექსპერიმენტის ცნება“ /იხ./ რ–იც დღესაც სარგებლობს პოპულარობით, რ–რც ფს–გიური დაკვირვების მეთოდი. უველაზე მნიშვ–ა ი. პ. პავლოვის /1849–1936/, რ–რც რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდგომი მოღვაწეობა. იგი იკვლევდა თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ფიზიოლ–ს; მან დაამუშავა „პირობითი რეფლექსის ცნება“ და მისი კვლევის მეთოდი და წარმატებით იკვლია მისი ფიზიოლ. საფუძვლები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობის კანონზომიერებანი. სეჩენოვ–პავლოვის გამოკვლევებმა ფს–გიურ მოვლენათა მატერიალისტურ გაგებას დიდად შეუწყო ხელი.

1922 წელს მოწვეულ იქნა საბჭოთა რუსეთის ფს–გთა პირველი ყრილობა. აქ უკვე დაისვა მარქსისტული ფს–გიის შექმნის საკითხი. 20–ან და 30–ნ წლებში მუშავდება ასეთი ფს–გიის წანამძღვრები.

პ. ბლონსკი /1884 –1941/, ფს–გი და პედაგოგი, კომუნისტური აღზრდის აკადემიის პროფესორი „სკოლის ცხოვრებასთან დაახლოების" მომხრე. იბრძვის განახლებული სკოლის შექმნისათვის. ახალი სკოლა, მისი აზრით, უსათუოდ „შრომის სკოლა" უნდა იყოს. აქტიურად ებრძვის გ. ჩელპანოვის იდეალისტურ ფს–გიას. კ. კორნილოვთან ერთად ცდილობს შექმნას მარქსისტული ფს–გია. აქვს შრომები ფს–გიაში, პედაგ–ში. კ. კორნილოვი /1879–1957/ ფს–გი, დოქტორი, რუს. ფედერაციის პედ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი, შემდეგ მისი ვიცე – პრეზიდენტი, ექსპ. ფს–გიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. აქტიურად იბრძვის ემპირისტულ–იდეალისტური ფს–გიის წინააღმდეგ, იღწვის ახალი ფს–გია – „რეაქტოლოგია" დააფუძნოს, რ–რც მარქსისტული ფს–გია, უპირისპირებს მას ბიჰევიორიზმსა და რეფლექსოლოგიას. ავტორია ფს–გიის ხელმძღვანელების. მ. ბასოვი /1892–1931/ აქტიურად მოღვაწეობდა ფს–გიაში და პედაგოგიკაში. ლაზურსკის ხელძღვანელობით დაამუშავა ბ–ვის კვლევის ობიექტური მეთოდი და იკვლევდა ბ–ის პიროვნებას. აქვს შრომები ზოგად ფს–გიაში, ბავშვის ფს–გიაში, პედოლოგიაში. ლ. ვიგოტსკი /1896 –1934/ მუშაობდა კომუნისტური აღზრდის აკადემიაში; ამუშავებდა ფს–გიისა და კულტურულ–ისტორიულ საკითხებს. იკვლევდა მეტყველებისა და აზროვნების პრობლემას. ფს–გიაში შემოიტანა „განვითარების უახლოესი ზონის ცნება" /იხ./ის დღესაც სარგებლობს პოპულარობით. დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციიდან აანალიზებდა ფს–გიურ საკითხებს. ამ პერიოდის ზემოგანხილული ფს–გები მარქსისტულ–ლენინური ფს–გიის შექმნისათვის იღწვოდნენ, განსაკუთრებით ბლონსკი, კორნილოვი, ვიგოტსკი, მაგრამ ამ საქმის სრულქმნა–დაგვირგვინება წილად ხვდა ფს–გთა შემდეგ თაობას. ესენია: ს. რუბინშტეინი /1889 –1960/; ბ. ტეპლოვი /1896–1965/; ა. სმირნოვი /1894 / ა. ზაპოროჟეცი /დ. 1905/; ა. ლურია / 1902–1977/; ბ. ანანიევი / 1907–1972/, მათ შექმნეს სხვა ფს–გიური მიმართულებისგან განსხვავებული, მარქსიზმ–ლენინიზმის ფილოსოფიური კონცეფციის მეთოდოლოგიურ პრინციპზე დაფუძნებული, ლენინის ასახვის თეორიასთან შეთანხმებული, საბჭოთა რუსეთის საკუთარი მიმართულების მეცნ. ფს–გია. მისთვის დამახ. ფს–კის ერთიანობის იდეა და ქცევა /деятельн-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ость/ რ–რც დინამიკური სისტემა სუბ–ის გარემოსთან ურთიერთობის პი-
რობებში.

ფს–გური მეცნიერების განვითარებას საქართველოში თავისი ისტო-
რია აქვს. მე-19 ს–ში ფილოსოფიურად და ფს–გიურად განსწავლული პი-
როვნება იყო გაბრიელ ჭიქოძე /იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი/. მე–19
ს–ის 50–ან წლებში მან დაწერა და გამოსცა ფს–გიის სახელმძღვანელო
სახელწოდებით |"Опытная Психология", მაგრამ საქართველოს ფს–გიურ
აზროვნებაში მას კვალი არ დაუტოვებია. ასევე უკვალოდ ჩაიარა მ. საღა-
რაძის მიერ 1908 წელს რუსულ ენაზე გამოცემულმა სახელმძღვანელომ
"учебник психологии". ფს–გიური მეცნიერების დაფუძნება საქართველო -
ში დიმიტრი უზნაძის / 1886 – 195 0/ სახელთანაა დაკავშირებული. 1918
წელს საქ. **უნივერსიტეტთან** გაიხსნა ფს–გიის კათედრა, მას დ. უზნაძე
ხელმძღვანელობდა, მან მოახდინა ამ მეცნიერების სისტემატიზება ქართ-
ულ ენაზე, შეუქმნა მას შესაფერისი ქართული ტერმინოლოგია და ლიტე -
რატურა, დაწერა ზოგადი ფს–გიის, ბავშვის ფს–გიის დიდი კურსი და მრა-
ვალი სხვა შრომა|ფს–გიურ და პედაგოგიურ საკითხებზე, დააარსა 1918
წელს ფს–გიის ლაბორატორია, აღზარდა ფს–გთა კადრი, 1941 წ. საქ. მეც-
ნიერებათა აკადემიასთან გახსნა ფს–გიის სექტორი, რომელიც 1942 წ. ფს-
გიურ ინსტიტუტად გადაკეთდა, ' ჩამოაყალიბა ახალი ფს–გიური თეორია,
–„განწყობის" თეორია. ამ თეორიის კვლევის ირგვლივ შექმნა თავის მი-
მდევართა სკოლა /ქართ. ფს–გიური სკოლა/, რ–იც ამჟამად მუშაობს „განწ-
ყობის თეორიის" საფუძველზე.

ფსიქოლოგია სულის გარეშე – იხ. სუბსტანცია.

ფსიქოლოგიზმი – ნიშნავს სხვა მეცნიერების პრობლემების გადა-
ჯრას|ფს–გიური მეცნიერების ცნებათა კატეგორიებით და ფს–გიური პრინ-
ციპით. მაგ. ენის, საკითხების გადაჯრა ფს–გიური კანონზომიერებით და
პრინციპებით ნიშნავს ფ–ს ენათმეცნიერებაში, მხატვრული ლიტერატუ-
რის საკითხების ახსნა და გაგება ფს–გიური ცნებებით ნიშნავს ფ–ს მხა-
ტვრულ ლიტერატურაში და ა. შ. ფ. გულისხმობს, რომ კულტურულ–ჰუმა-
ნიტარულ–გონით მეცნიერებათა საფუძველი ფს–გიური მეცნიერებაა, რომ
მათ ფს–გიური კანონზომიერება განსაზღვრავს. ასეთი შეხედულება ეურ-
დნობა იმ ემპირიულ ფაქტს, რომ კულტურის, გონის ფენომენები შექმნი-
ლია ფს–კური კატეგორიებით, ამიტომ მათი ახსნა და გაგება, ფ–ის შეხე-
დულებით, ისევ ფს–გიის ცნებათა კატეგორიებით უნდა ხდებოდეს.

ფსიქოლოგიის ფილოსოფია–ფსიქოლოგიის დარგი, რ–იც არკვევს ფსი-
ქოლოგიის ფილოსოფიურ პრობლემატიკას, რ–ცაა: რა არის ფსიქიკა,
/ფსიქიკის არსებობის ფორმას/ რა არის ფსიქოლოგია, რ–რც მეცნიერება,
ფ–გიის მიმართებას ბუნებისმეტყველურ და გონით ანუ ჰუმანიტარულ| მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნიერებებთან და ა. შ. საერთოდ ფს–გიის მეთოდოლოგიურ პრობლემატიკას.

ფსიქომეტრია /ბერძნ. metron – ზომა/ – სიტყვასიტყვით: ფს–კურ მოვლენათა გაზომვა. ფს–გიაში ნიშნავს მათემატიკური მეთოდის გამოყენებას ფს–კურ მოვლენათა ექსპერ. შემოწმების შედეგების გამოსახატავად. ასეთია მაგ., გონებრივი განვითარების შემოწმების შედეგის გონებრივი კოეფიციენტით ასახვა; ფსიქოფიზიკაში – გაღიზიანებასა და რეაქციას შორის არსებული მიმართების მათემატიკური ფორმულით გათვალისწინება; მეხსიერების გაზომვის მათემატიკურად გამოსახვა და სხვა. /იხ. გონებრივი კოეფიციენტი, ფეხნერის კანონი, დასწავლის კვლევის მეთოდები/.

ფსიქომოტილიტეტი /ლათ. movere – მოძრაობა/ იხ. მოტორიკა.

ფსიქომოტორიკა – იხ. მოტორიკა.

ფსიქონევროზი – ფროიდის გაგებით, „პრიმარული მოვლენების" /იხ./, ფარული ზემოქმედების შედეგად განვითარებული ნევროზთა ჯგუფი. ასეთია ისტერია, სხვადასხვა ფობიები და სხვ. ტერმინი შემოტანილია ფროიდის მიერ. განსხვავდება აქტუალური ნევროზისაგან. /იხ. აქტუალური ნევროზი/.

ფსიქოპათია – ხასიათის პათოლოგია, რ–იც გამოიხატება პიროვნების წყობის, უპირატესად მისი ემოციურ–ნებითი სფეროს დისჰარმონიულობის სახით. კლინიკაში ფ–ის ორ ძირითად ფორმას განასხვავებენ: ა/ ე. წ. კონსტიტუციურ ანუ „ბირთვულ" ფ–ას, რომლის აღმოცენება ბ. ს. თანდაყოლილი ბიოლოგიური უკმარისობითაა გაპირობებული; არახელსაყრელი გარემოს პირობები აქ მხოლოდ დამხმარე ფაქტორის როლს ასრულებენ. კონსტიტუციური ფ–ის შემთხვევაში ესა თუ ის ფს–კური თვისება საკმაოდ სტაბილურ ხასიათს ატარებს და, ჩვეულებრივ, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება ად–ნს. ბ/ ფ. რ–იც პიროვნების პათოქარაქტეროლოგიური განვითარების შედეგია. ის ძირითადად გაპირობებულია არახელსაყრელი სოციალური ფაქტორებით /არასწორი აღზრდა, გახანგრძლივებული ფს–კური ტრავმები/. ასეთი შეძენილი ფ. შედარებით უფრო ემორჩილება მკურნალობას და გარემოს კეთილმოქმედ გავლენას.

ფ–ების გამოვლენა მეტად მრავალფეროვანია; ამისდა მიხედვით მისი მრავალი კლინიკური ტიპია გამოყოფილი. მაგ.: **ასთენიური** ფ, რ–იც ზედმეტად მგრძნობიარეა, ადვილად აიგზნება, სწრაფად იღლება, გაუბედავია; **აგზნებად** ფ–ს ახასიათებს გადაჭარბებული ემოციური რეაქციები, თავშეუკავებლობა, ტენდენცია აგრესიული ქცევისაკენ; **ფსიქასთენიური** ფ. უაღრესად ეჭვიანი და მერყევია; **პარანოიალური** ფ–ი მიდრეკილია ზეღირებულოვანი იდეებისაკენ; **ისტერიული** ფ–ს ახასიათებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შთაგონებადობა, თეატრალურობა, რეალური ვითარების შეცვლა ფანტა-ზიებით. ცალკე გამოიყოფა **სექსუალური** ფ-ი, რ-თვისაც დამახ. გაუკუღ-მართებული სექსუალური ლტოლვები /პერვერსიები/. სქესობრივი გაუკუღმარ-თება შეიძლება ფ-ს რომელიმე ზემოაღნიშნულ ტიპთან თანაარსებობდეს. უფრო ხშირად გვხვდება სექსუალური **პერვერსიების** შემდეგი სახეები: ჰომოსექ-სუალიზმი, სადიზმი, მაზოხიზმი, გერონტოფილია, პედოფილია.

ფსიქოპათოლოგია – /ზოგადი ფსიქიატრია/ – შეისწავლის ფსიქოზე-ბისათვის საერთო ძირითადი პათოლოგიური სიმპტომების აღმოცენებისა და მიმდინარეობის კანონზომიერებებს, ფ-რი პროცესების პათოგენეზის ზოგად საკითხებს, ფს-კურ დაავადებათა კლასიფიკაციის პრინციპებს, მა-თი კვლევის ზოგად მეთოდებს. /აღნიშნული კანონზომიერებების შესწავ-ლა ხელს უწყობს ცალკეული ფს-კური დაავადებისათვის დამახასიათე-ბელი კერძო კანონზომიერებების დადგენასა და დაზუსტებას/.

ფსიქოპროფილაქტიკა – ზოგადი პროფილაქტიკის ერთ-ერთი განხრა, მიზნად ისახავს შეიმუშავოს ფს-კური ჯანმრთელობის უზრუნველყოფი-სა და ფსიქიკური დაავადების აცილებისაკენ მიმართული ღონისძიებები.

ფსიქოსომატიკა /ბერძ. psychē – სული, sōma სხეული/ – მედიცი-ნაში მოძღვრება ფს-კურისა და ფიზ-ის ერთიანი მოქმედების შესახებ ზოგი დაავადების წარმოშობასა და მიმდინარეობაში. ფიქრობენ, რომ არ-სებობს გარკვეული დაავადებანი, რ-ლთა წარმოშობა-განვითარებაში ფს-კურ ფაქტორს /ემოციურ დარღვევებს/ ისეთივე განმსაზღვრელი მნიშვ-ნელობა აქვს, რ-რც სომატურს, რომ ფს-კური და სომატური ფაქტორები ერთი საერთო, მთლიანი ზემოქმედების ორი კომპონენტია. ამიტომ ასეთ დაავადებათა დიაგნოზი და მკურნალობა ორივე კომპონენტის გათვალის-წინებას მოითხოვს.

ფსიქოტექნიკა – გამოყენებითი ფს-გიის ერთ-ერთი დარგის ძველი სახელწოდება. მისი ამოცანები იყო: 1 /ნმა თუ იმ პროფესიისათვის ფს-კურად ვარგის ად-ნთა შერჩევა სათანადო ფს-გიური გამოცდის გზით /„პროფესიონალური შერჩევა"/; 2 /რმის შესწავლა, თუ რომელი პროფე-სიისათვის არის ფს-გიურად ვარგისი ესა თუ ის პიროვნება /„პროფორი-ენტაცია და პროფკონსულტაცია"/; 3 /ფესატყვისობის დამყარება ად-ნის უნარსა და სამუშაო იარაღებს შორის, ე. ი. თუ როგორი უნდა იყოს სა-მუშაო იარაღი, რომ შრომა ოპტიმალურად ნაყოფიერი იყოს. ტერმინი ფ. შემოიღო ჰ. მიუნსტერბერგმა. ეს სახელწოდება დღეს არ იხმარება, იგი შეცვალეს სხვა სახელწოდებებმა, ასეთებია: შრომის ფს-გია, საინჟინრო ფს-გია, ინდუსტრიული ფს-გია, პროფორიენტაცია , /იხ./.

ფსიქოფიზიკა – ფს-გიის ნაწილი, შეისწავლის ფს-კური ფენომენ-ის – შეგრძნების – და მის გამომწვევ ფიზ. გამღიზიანებელს შორის არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ დამოკიდებულებას. კვლევის დასაწყისი ეკუთვნის ე. ვებერს, რ—მაც ეს საკითხი მე-19 ს. მეორე ნახევრის დასაწყისში დააყენა. მისი დიდი დამსახურება ისიც არის, რომ ფს—კური ფენომენს /შეგრძნებას/, რ—იც მოკლებულია გაზომვისათვის აუცილებელ საგნობრივ ატრიბუტს — განფენილობას, საზომი გამოუნახა: **შეგრძნების ინტენსიურობის ოდნავ შესამჩნევი ცვლილება** და ამის გამომწვევი ფიზ. სიდიდის ძიება დაიწყო. მან შეამჩნია, რომ ყოველ ფიზ. ზემოქმედებას კი არ შეუძლია გამოიწვიოს შეგრძნების განცდა, არამედ მხოლოდ მის გარკვეულ ოდენობას, გარკვეული სიძლიერის გამღიზიანებელს. მაგ., წიგნებით სავსე ჩანთაში რომ კიდევ კალმისტარი ჩავდოთ, სიმძიმის შეგრძნება ამით არ შეიცვლება, მაგრამ თუ დიდტანიანი წიგნი დავუმატეთ, სიმძიმის ცვლილებას შევიგრძნობთ, ფს—კურ ფენომენსა და ფიზ. მოვლენას შორის არსებული მიმართების დადგენა ფს—ის ამოცანას შეადგენს. ე. ვებერმა დაადგინა ამ მიმართების ძირითადი კანონი /იხ. ვებერის კანონი/. შემდეგი ნაბიჯი ფს—ურ კვლევაში გ. ფეხნერმა გადადგა: მან ე. ვებერის კანონი მათემატიკური ფორმულით ასახა /იხ. ფეხნერის კანონი/.

ფს—ის კვლევის შედეგად ფს—ფიაში შემოიტანეს „შეგრძნების ზღურბლის" /ანუ ზღვარის/ ცნება /„შეგრძნების აბსოლუტური ზღურბლი", „შეგრძნების ზედა ზღურბლი", „შეგრძნების განსხვავების" ზღურბლი/. ამ კვლევის დიდ დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ფს—გიურ ექსპ—ს ფაქტობრივად აქ ჩაეყარა საფუძველი.

ფსიქოფიზიკური კანონი — იხ. ფეხნერის კანონი.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმი — ფილოსოფიური მოძღვრება ფს—კური და ფიზიკური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ფს—ფიაში — შეხედულება, რომ ფს—კური და ფიზ. ფენომენები კაუზალურად დაუკავშირებელი მოვლენებია, ხასიათდება ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი პარალელური მიმდინარეობით. ფ.პ. დუალისტური კონცეფციისაგან ლოგიკურად გამომდინარე შეხედულებაა /იხ. დუალიზმი/. ფს—ურ პ-ს იზიარებდა გ. ფეხნერი, ე. ვუნდტი, თ. ლიფსი, ჰ. ებინგჰაუსი, გ. მიულერი და სხვები.

ფსიქოჰიგიენა /ბერძ. psychē — სული, hygieihos — საღი/ — მეცნიერება, რომლის კვლევის საგანს შეადგენს: 1. ნერვო—ფს—კური და ფიზიკური ჯანმრთელობის დამრღვევ პირობათა წინასწარი აღკვეთა /პროფილაქტიკა/; 2. ახალი თაობის აღზრდის პირობების მოწესრიგება: ბრძოლა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ხელშემწყობ პირობებთან, აღზრდისთვის ჯანსაღი სოციალური გარემოს შექმნა; 3. ცხოვრების ბიოსოციალური გარემოს მოწესრიგების პრობლემა. გარემოსთან პიროვნების მიერ ჰარმონიული კავშირის დამყარების საკითხი. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის ის შეისწავლის ცხოვრებისა და შრომის პირობებს, ცდილობს შეიტანოს მასში რაციონალური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ასეთია მაგ., შრომის უშიშროების დაცვა, ბრძოლა გარემოს გაჭუჭყიანებასთან, ხმაურთან და საერთოდ ნ. ს–ზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებთან. ამ მხრივ ფსიქოჰიგიენა სოციალური ორიენტაციის მეცნიერებათა ჯგუფს განეკუთვნება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „იუნესკოს" მზრუნველობის სფეროში შედის.

ფუკოს კანონი— იხ. დასწავლის კანონები.

ფუნქცია /ლათ. functio – შესრულება/ – ზოგადი მნიშვ–ით არსებობის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოქმედება, აქტიურობა, საქმიანობა, დანიშნულება. ამ აზრით თვალის დანიშნულება ანუ ფ. არის ხედვა, ყურისა – სმენა, ხელისა – მუშაობა, გულისა – სისხლის მიმოქცევა და სხვა. **ფუნქციობს** ყოველი ცოცხალი ქსოვილი, როგორც მთლიანი ორგანიზმი, ისე მისი ყოველი ცალკე ავტონომიური ორგანო, ფუნქციობს მთლიანი ფსიქო–ფიზიკური ორგანიზაცია – პიროვნება, ინდივიდუუმი. სადაც მიზანშეწონილი მოქმედება სისტემატურ ხასიათს ატარებს და სიცოცხლის შენარჩუნების მიზანს ემსახურება, იქ ყველგან მთლიანი ორგანიზმის და ცალკეული ორგანოების ფუნქციობას აქვს ადგილი.

ფს–გიაში ფ. ეწოდება ცნობიერების ყოველ მოქმედებას, აქტს; ფსიკური ფუნქციებია მნემური /მეხსიერება/, ნოეტური /აზროვნება/, ბუნური /ნებისყოფა/ მოქმედებები და, საზოგადოდ, სუბიექტის ყოველი აქტიურობა.

ფუნქციური თამაში – თამაშის ერთ–ერთი სახე. დამახასიათებელია „ძუძუს ბავშვობის" ასაკისთვის /1–2 წლამდე/. ამ პერიოდში ბ–ვი დაინტერესებულია საკუთარი ორგანოების ფუნქციობით, მოტორიკით; თვითონ მასალა და მისგან გაკეთებული ნაგებობა არ იპყრობს მის ყურადღებას. მაგ., საშენი მასალისაგან რომ ააგოთ მის წინაშე კოშკი, ის მას არ კი დაჯკვირდება, ჰკრავს ხელს და წააქცევს. რამდენჯერაც ააგებ კოშკს, იმდენჯერ დაანგრევს მას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს, მხოლოდ საკუთარი ფუნქციობა ჰგვრის სიამოვნებას და მისი მოქმედებაც ფუნქციობის აქტისკენ არის მიმართული, ობიექტური ვითარება მას სრულებით არ აინტერესებს, როგორც მაგ., „ექსპერიმენტული თამაშის" დროს, რ–იც ამავე პერიოდში იჩენს თავს.

ფუნქციური მოთხოვნილება – იხ. ფუნქციური ტენდენცია.

ფუნქციური სიამოვნება – კ. ბიულერის თეორიის თანახმად იმიტომ თამაშობს ადამიანი, და, კერძოდ, ბ–ვი, რომ ფუნქციობა, აქტიურობა თავისთავად, როგორც ფუნქციობა, რ–რც ვარჯიში არის სიამოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარო /იხ. თამაშის თეორიები/. თამაშის პროცესით მიღებულ სიამოვნებას ბიულერი ფ. ს–ს უწოდებს.

ფუნქციური ტენდენცია – დ. უზნაძის მიერ შემოტანილი ცნება ფს–გიაში ად–ნის ქცევათა იმ ჯგუფის ახსნის მიზნით, რ–იც მან ქცევათა კლასიფიკაციაში ცალკე ჯგუფად გამოყო „ინტროგენური ქცევის" სახელწოდებით /თამაში, სპორტი, გართობა, მხატვრული შემოქმედება, ესთეტიკური ტკბობა/. განსხვავდება „ექსტროგენური ქცევის ფორმისაგან" იმით, რომ ამ უკანასკნელის ამოქმედებას პრაქტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო რაიმე სუბსტანციური ღირებულების მოპოვება განსაზღვრავს. ინტროგენური ქცევის მიზანი კი მხოლოდ იმ ძალთა რეალიზაციაა, რ–ებიც პრაქტიკული მოქმედებისათვის არ აღიძვრიან, მათი ამოქმედება თავისთავად ხდება, მათშიევე არსებული **აქტიურობის იმპულსით** ანუ „ფუნქციური ტენდენციის" მოქმედებით, რ–იც მათ თავიდან დაჰყვებათ. ფ. ტ–იის მიხედვით, ძალა, თუ ის არსებობს, უსათუოდ მოქმედებისაკენ ისწრაფვის და სუბიექტსაც, რ–აც ძალა აქვს, მისი ფუნქციობის მოთხოვნილება უჩნდება.

ფუნქციური ფსიქოლოგია – მიმდინარეობა ფს–გიაში, აღმოცენდა და განვითარდა, ჩრ. ამერიკაში. მას საფუძვლად დაედო ვ. ჯეიმზის ფს–გიური დებულება, რ–იც უარყოფს ინტროსპექტული ფს–გიის მსგავსად ცნობიერების აგებას ელემენტებიდან /შეგრძნებებიდან/. ვ. ჯეიმზის აზრით, ინდივიდუმი ყველა ფუნქციათა ერთიანობაა, სისტემაა, რომლის საშუალებითაც ის ეგუება გარესამყაროს და ინარჩუნებს არსებობას. ამიტომ ფს–გიის მთავარი საკვლევი საგანი უნდა იყოს **ქცევა, მოქმედება.** ჯეიმზის ეს კონცეფცია, რ–მაც სპენსერისა და დარვინის გავლენა განიცადა, საფუძვლად დაედო პრაგმატიზმის მიმდინარეობას ამერიკაში, განსაკუთრებით პედაგოგიკაში /გ. დიუი/.

ვ. ჯეიმზის კონცეფციას ფ. ფ–ის შესახებ იზიარებდნენ ი. ბალდვინი, სტენლი–ჰოლი, ი. კატელი. ფს–გიის განვითარება ამერიკაში ამ მიმართულებით წარიმართა, ე. ი. მოქმედების, ქცევის კვლევის მიმართულებით. /იხ. ბიჰევიორიზმი/.

ქ

ქარაქტეროლოგია /ბერძ. **charassein** – გამოკვეთა, ამოკაწერა, დაჯდევა, **logos** – მოძღვრება/ – მიმდინარეობა–დიფერენციულ ფს–გიაში. შეისწავლის ად–ნის ხასიათს, მის განვითარებას, სტრუქტურას, დამოკიდებულებას პიროვნების სხვა თვისებებთან/ აზროვნება, ნებელობა, გრძნობები/, არკვევს ხასიათის მნიშვნელობას და როლს, რ–რც ინდივიდის, ისე –სოციალური ცხოვრების მსვლელობაში, იკვლევს ხასიათის ტიპებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათის ქ–ური აღწერა ცნობილია ანტიკური ეპოქიდან: თეოფრასტემ /319 ძ. წ./ აღწერა 30 ტიპური ხასიათისეული პორტრეტი; უფრო ადრე ჰიპოკრატემ /400 ძ. წ. ა./ დაადგინა ტემპერამენტის ტიპები /იხ. ტემპერამენტი/, რ–იც ხასიათის აღწერასაც შეიცავს. მე-17 ს–ში ჟ. ლაბრუიერმა /1645–1696/, თეოფრასტეს მსგავსად, აღწერა ხასიათები /1688/, რაც მაშინ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მე-18 ს–ში იოან კასპარ ლავატერმა /1741–1801/ დაწერა „ფიზიოგნომიკური ფრაგმენტები" /1775/. ეს თხზულება, ისე, რ–რც ამ პერიოდის სხვა ფს–გიური ლიტერატურა, არ წარმოადგენდა მეცნიერულ გამოკვლევას, რადგან თვით ფს–ლოგია, რ–რც მეცნიერება, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული. მე–19 ს–ში ქ. ახლად ფეხადგმული ემპირიული ფს–ლოგიის ატომსტიურ–ასოციაციური პრინციპების პოზიციაზე დგას და ხასიათის კვლევაშიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. ასეთია მაგ., ინგლისში ფსიქოლოგი ა. ბენი /1818–1903/, გერმანიაში ი. ბანზენი /1830–1881/, საფრანგეთში თ. რიბო /1839–1916/ და სხვები. ქ–იის კვლევის ეს პერიოდი არ იყო ნაყოფიერი, რადგან „ელემენტების" ფს–გიის მეთოდით და ასოციაციის კანონების საფუძველზე, მთლიანი ფენომენის – ხასიათის –შემეცნება პრინციპულად შეუძლებელი ჩანს. მე-20 ს–ში, ფს–გიური მეცნიერება გადალახავს ასოციაციური და „ელემენტების" ფს–გიის პრინციპულ საფუძვლებს და ფს–კურ მოვლენათა შემეცნებისათვის ისეთ ცნებებს დაამუშავებს, როგორიცაა „მთლიანობა", „დისპოზიცია", „სტრუქტურა", „მრავლობათა ერთიანობა", „გაგება", „აღწერა", „ფენომენოლოგია", „აგებულება", „განწყობა". ამ პერიოდში იწერება „სხეულის აგებულება და ხასიათი" /კრეჩმერი, შელდონი და სხვ./. მოძღვრება „კონსტიტუციის" შესახებ, საფუძველი ეყრება „ფონით მეცნიერულ ფსიქოლოგიას", მუშავდება „ტიპოლოგიის" პრობლემა /შპრანგერი/, ვითარდება პიროვნების კვლევის სხვადასხვა მიმდინარეობანი, მკვიდრდება ახალი ფს–გიური ცნებები და კვლევის მეთოდები/ „რორშახის ტესტი", „თემატური აპერცეფციის ტესტი", „განწყობის ტესტი" /. ფსიქოლოგიის ამ მიღწევებს ახალი თვალსაზრისი შეაქვთ ქ–იის მიმდინარეობაში, ამდიდრებენ მას ახალი ცნებებით და კვლევის მეთოდებით. ქ–ც იწყებს მუშაობას ამ ახალი ცნებებით და მეთოდებით.

ქერქი თავის ტვინის დიდი ჰემისფეროებისა – ც. ნ. ს–ის ბვიან განვითარებული ნაწილი. იგი მორფოლოგიურად და ფუნქციურად ძალიან რთული და უმნიშვნელოვანესი ორგანოა. მისი სისქე 1,5–3 მმ. აღწევს. ქ. ფარავს თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების მთელ ზედაპირს. ქ–ის მორფოლოგიური აგებულების თავისებურებას შეადგენს ის, რომ იგი ყველგან ექვსი

ფენისაგან შედგება /დაადგინა ბროდმანმა/. მანვე /ბროდმანმა/ აღწერა ქ–ის ციტოარქიტექტონიკური რუკა და გამოიყოფ52 უჯრედოვანი ველი. თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქი არის ფს–კური ფუნქციის მატერიალური სუბსტრატი; ქერქქვეშა წარმონაქმნებთან ერთად ის ახორციელებს უმაღლეს ნერვულ მოქმედებას. მასში აღიძვრება ნებითი მოძრაობების იმპულსები და ანალიზატორებიდან მომდინარე ინფორმაცია გარდაიქმნება გაცნობიერებულ აღქმად. დიდი ჰემისფეროების ქერქი ყველაზე დიდ განვითარებას ად–ში აღწევს.

ქვეფსიქიკური — არსებითად იგივეა, რაც არაცნობიერი.

ქვეცნობიერი— იხ. არაცნობიერი.

ქიმიური შეგრძნებები — იხ. გემოსა და სუნის შეგრძნება.

ქოლერიკული ტემპერამენტი /ბერძ. cholos — ნაღველი/ —ჰიპოკრატეს მიერ დადგენილი ტემპერამენტის ოთხი ტიპიდან ერთ–ერთი. მისი აზრით, ქ. ტ. წარმოიშობა ყვითელი ნაღველის სიჭარბით ორგანიზმში. დამახასიათებელი ნიშნებია: ადვილად აგზნებადობა, სიფიცხე, მბრძანებლობა, ემოციების ხანგრძლივობა, სიამაყე, შურიანობა, მიდრეკილება უარყოფითი ემოციისაკენ, მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, გამომხატველი მოძრაობების სიჭარბე. ც. ნ. ს–ის მიხედვით ტემპერამენტის კლასიფიკაციაში ქ. ტ–ს შეესატყვისება— ძლიერი, უწონასწორო ნერვული მოქმედების ტიპი /ი. პავლოვი/. იხ. ტემპერამენტი.

ქრომატული ფერები — იხ. ფერის შეგრძნება.

ქრონოლოგიური ასაკი —იხ. ასაკი.

ქრონოსკოპი /ბერძ. chronos — დრო, skopeō —ვუყურებ/ — დროის მონაკვეთების ზუსტი გასაზომი ხელსაწყო.

ქცევა /რუს. деятелность, ინგლ. behaviour, ფრანგ. comportement გერმ. Verhalten /— სუბიექტის რაიმე მოთხოვნილების მიზნით გამოწვეულ მოძრაობათა თანამიმდევრობა /დ. უზნაძე/. ამ თანამიმდევრობის ყოველი ცალკე მოძრაობა ნერვულ ცენტრში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესია, რ–იც კუნთის შეკუმშვით მთავრდება. აზრი და მნიშვნელობა ამ ცალკე მოძრაობას საერთო მოძრაობათა კონტექსტში ეძლევა, რ–იც გარკვეულ მიმართებაში იმყოფება სუბიექტთან და მის მიზანს ემსახურება. ქ. არის სუბიექტის განწყობით, ე. ი. მისი მოთხოვნილებით და შესატყვისი გარეპირობების ერთიანი მოქმედებით განსაზღვრული აზრისა და მიზნის შემცველ მოძრაობათა ერთობლიობა. „იმისათვის", რომ ცოცხალმა არსებამ თუნდ ერთი გარკვეული ნაბიჯიც გადადგას, იგი, როგორც მთელი, წინასწარ უნდა ჩადგეს გარკვეულ მდგომარეობაში; თუ მას სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმა უნდა, მაშინ იგი, როგორც მთელი, სწორედ ამ ნაბიჯის გადასადგმელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა განეწყოს" /დ. უზნაძე/. ქ. „მოლარული პროცესია", საგნობრივ - ად მიმართული და მიზნით გაშინაარსებული. ცალკე მოძრაობა, ან მოძ- რაობათა რიგი, რ–იც არ არის სუბიექტის მოთხოვნილებით, მისი განწყობ- ბით გაშუალებული, არ წარმოადგენს ქცევას და არც არის ფს–გიური კვლევის საგანი.

ქ–ის სხვანაირი გაგება წამოაყენა „ბიჰევიორისტულმა" ფს–გიამ, რ –იც ამშ–ში წარმოიშვა. თავისი განვითარების პირველ პერიოდში იგი უარყოფდა სუბიექტით გაშუალებულ ქცევის იდეას და ქ–იდან რიცხავდა ყოვ- ლივე სუბიექტურს, ფს–კას, ცნობიერებას, მიზანს, აზრს. ამაყამად ე. წ. ნეობიჰევიორიზმი „შუამდებარე ცვლადის" სახით, სტიმულ–რეაქციის ურთიერთობაში ცდილობს შემოიტანოს „ოპერაციონიზმის პრინციპის" მიხედვით გაგებული ზოგი ფს–გიური შინაარსის. სიტყვა, მაგ., მიზანი, მოლოდინი და სხვა.

ქცევის ფორმები – ცნება „ქცევის ფორმა", როგორც სპეციფიკურ ფს–გიური ტერმინი, შეიმუშავა და ფს–გიაში შემოიტანა დ. უზნაძემ. შეიცავს ად–ნის ქცევათა კლასიფიკაციას ტიპურ სახეებად. ქცევათა სი- სტემატიზირება და ტიპურ სახეებად დაჯგუფება, გარდა დ. უზნაძის „ქცე- ვის ფორმებისა", ფს–გიაში ცნობილი არ არის.

დ. უზნაძის შეხედულებით, ქცევა **არის** ად–ნის მოთხოვნილების დაკ- მაყოფილებისათვის საჭირო მიზანშეწონილ მოძრაობა –მოქმედებათა ერთობლიობა. ამის შესატყვისად ქცევათა ფორმების დადგენის /კლასი- ფიკაციის/ პრინციპად დ. უზნაძეს მიღებული აქვს სუბიექტის მოთხოვ- ნილებისა **და** მის **დასაკმაყოფილებლად** მოცემული გარეგანი პირობების ერთიანობა– **განწყობა**. ამ პრინციპის საფუძველზე, ქცევათა მთელი სამ- **ყარო** მან **ექსტეროგენურ და ინტროგენურ ჯგუფებად დაყო.**

ექსტეროგენურია ქცევა, როცა სუბიექტის მოთხოვნილების დაკმა- ყოფილების საგანი სუბიექტის გარეთ იმყოფება და მან იგი უნდა მოი - პოვოს. ამ პრაქტიკული ამოცანის შესასრულებელ მოქმედებას /საგნის მო- პოვებისათვის საჭირო მოქმედებათა ერთობლიობას/ **ექსტეროგენური** ქცე- ვა ეწოდება.

ინტროგენური ქცევა, პირიქით, არ არის რაიმე პრაქტიკული მიზნის- კენ მიმართული, იგი წარმოიშობა სუბიექტის აქტიურობის /მისი ძა- ლების რეალიზაციის/ მოთხოვნილებისაგან, მისი „ფუნქციური ტენდენცი- ისაგან", ამის შესატყვისი მოქმედება კი თვითმიზნური ხასიათისაა.

ამ ორი ჯგუფიდან ცალკე დგას **სწავლა**, როგორც ქცევის ფორმა. იგი, უზნაძის თეორიით, ქცევის თავისებური სახეა, რ–იც შეიცავს ორივე ჯგუფის /ექსტეროგენურისა და ინტროგენურის/ ელემენტებს და მასთან ერთად ორივესაგან საფუძვლიანად განსხვავდება. სწავლით მიღწეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შედეგი სულ სხვა სახისაა, ვიდრე ექსტერო ან' ინტროგენური ქცევითშეღწეული; სწავლის შედეგად არა მარტო იმის ცოდნა შეიძლება, რაც კონკრეტულად ისწავლება, არამედ თვით ცოდნის შეძენის უ ნ ა რ ი ც ვითარდება. მაგ., ასოების წერის დასწავლის შედეგად ვითარდება საზოგადოდ წერის უნარი, გარდა ამისა, სწავლა ქცევის გენერალური სახეა, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლა ყველაფრისა შეიძლება, „რომელი ქცევის ფორმა უნდა ავიღოთ, სულერთია, სწავლა შეიძლება ყველას ეხებოდეს" /დ. უზნაძე/. ამით სწავლა იმდენად განსხვავდება ქცევის სხვა ფორმისაგან, რომ მისი ცალკე ფორმად გამოყოფა დ. უზნაძეს კანონიერად მიაჩნია.

ქცევის ფორმების სქემა /დ. უზნაძის მიხედვით/

1. ექსტეროგენური	2. ინტროგენური	3. სწავლა
მოხმარება	თამაში	
მოვლა	გართობა	
მომსახურება	სპორტი	
შრომა	მხატვრული შემოქმედება	
ცნობისმოყვარეობა	ესთეტიკური ტკბობა	
საქმე		

ქცევის ექსტეროგენური ფორმა/ლათ. exter – გარეთ, გარეგანი, ბერძ. genesis – წარმოშობა / –დ. უზნაძის მიერ შემოტანილი ცნება ფს – გიაში /იხ. ქცევის ფორმები/. ად–ნის ქცევათა კლასიფიკაციაში ცნება ქ. ე. ფ. აღნიშნავს გარკვეულ ჯგუფს. როცა რაიმე პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საგანი, რომლის ასიმილაციაც უნდა მოხდეს ორგანიზმთან, სუბ–ტის გარეთ იმყოფება, ამ საგნის მოსაპოვებლად ის /სუბ–ტი/ ისეთ ქცევას მიმართავს, რ–იც უზრუნველყოფს ამ საგნის დაუფლებას სუბიექტის მიერ და ორგანიზმისათვის მიწოდებას; აქტიურობის ანუ ქცევის ასეთ ფორმას ქ. ე. ფ. ეწოდება. ქ–ვის ე. ფ–ის სახეებია: მოხმარება, მოვლა, მომსახურება, შრომა, ცნობისმოყვარეობა, საქმე. 1. მ ო ხ მ ა რ ე ბ ა ქცევის იმ თავისებურ სახეს ეწოდება, რ–იც ჭამა–სმის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო მოძრაობებს შეიცავს. ასეთი მოძრაობებია /როცა საკვები მოცემულია/ მოკბეჩა, ღეჭვა, ყლაპვა, დაღევა. 2. მ ო ვ ლ ა, რ–რც ქცევის ფორმა, მოხმარების ფორმას ენათესავება. ისიც ორგანიზმის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. ასეთია სხეულის სისუფთავის მოთხოვნილება: ასეთია სხეულის სისუფთავის მოთხოვნილება: დაბანა, დაგარცხნა, ჩაცმა–დახურვა. 3. მ ო მ ს ა ხ ურ ე ბ ა, წარმოადგენს მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარება–მოვლისათვის საჭირო მოძრაობების, ერთი მხრივ, დიფერენციაციას და, მეორე მხრივ – გართულებას. საქმე ისაა, რომ ად–ნი საკვებად ვარგის, ბუნების მიერ ბოძებულ პროდუქტს, იქვე კი არ ჭამს, სადაც მისწვდება, არამედ მას ჯერ გადაამუშავებს: დაკლავს, ატყავებს, ხარშავს, წვავს, აცხობს, ერთი სიტყვით, საჭმელს წინასწარ ამზადებს და მერე ჭამს. ტანისამოსს გამოჭრის, შეკერავს და ისე ეცვამს. ყველა ეს და სხვა ასეთი მოძრაობა თვითმმსახურების სახელითაა ცნობილი. თვითმმსახურების ქცევათა ჯგუფში შედის აგრეთვე საკუთარი ოჯახის წევრების მომსახურებაც, რადგან ოჯახიც პიროვნების /ფართოდ გაგებულის/ ცნებაში შედის. ცნებათა აღნიშნული სამი ფორმა /მოხმარება, მოვლა, მომსახურება/ მონათესავე ფორმებია, ისინი ინდივიდუალურად განსაზღვრული, კონკრეტული და **აქტუალური** მოთხოვნილების საფუძველზეა წარმოქმნილი. მათთვის ისაა დამახ., რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად ამ მოძრაობათა გამომწვევი **იმპულსიც** ქრება, მოძრაობები წყდება ისე, რომ მათი მოქმედების შედეგად არავითარი ობიექტური ღირებულების მქონე ნაწარმი არ რჩება, ამიტომ მათ იმპულსური ქცევა ეწოდებათ. ეს ჯგუფი /მოხმარება, მოვლა, მომსახურება/ ექსტეროგენური ქცევის პირველი ძირითადი ფორმაა. 4. ცნობისმოყვარეობა – ად–ნის ფს–კური ცხოვრებისათვისაა დამახასიათებელი, განვითარებული სოციალური ცხოვრების დონეზე. ჩნდება, ინტელექტუალური /აზროვნების/ მოთხოვნილების სახელწოდებითაა ცნობილი და „ცოდნის წყურვილის" სახით განიცდება. ჩვეულებრივ, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების ორი გზა არსებობს: ან ცნობა მზამზარეულად სხვისგან მიიღო, ან საკუთარი კვლევით მოიპოვო. ორსავე შემთხვევაში გარკვეული აქტიურობა უნდა განავითაროს. აქტიურობის ქცევები ნაირნაირია: პრესით სარგებლობა, სხვასთან ბაასი საჭირო ცოდნის მისაღებად, ან კიდევ საკუთარი ძალღონით ძიების წამოწყება და კვლევითი მუშაობის გაშლა. ცნობისმოყვარეობის ქცევის ფორმა, ისე როგორც „მოხმარების" ფორმა გამოწვეულია აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით, მაგრამ მაინც ტიპოლოგიურად დამოუკიდებელ ქცევის ფორმად მიიჩნევა, რადგან მისი საფუძველი მოთხოვნილება ფიზიკურ–ფიზიოლოგიური ხასიათისა კი არაა, არამედ ფს–კურ–ინტელექტუალური /თეორიული/. 5. შრომა არ ენათესავება მოხმარება–მოვლა–მომსახურების ქცევათა ჯგუფს. ის ექსტეროგენური ქცევის მეორე ძირითადი ფორმაა. „შრომის ქცევისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ პრინციპულად იგი სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის გარეშე მიმდინარეობს და მის პროცესში შექმნილი ღირებულება, მოთხოვნილების კონკრეტული განსაზღვრულობის ფარგლებს შორდება: **შრომა ობიექტური აზრის, ობიექტური მნიშვნელობ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მქონე პროდუქტს ქმნის" /დ. უზნაძე/. მოხმარება–მომსახურების შემთხვევაში ქცევას ყოველთვის აქტუალური მოთხოვნილება განსაზღვრავს, შრომას კი–მოთხოვნილების იდეა, განყენებული ცნება. შრომა ზეინდივიდუალური და ზედროული ღირებულების პროდუქტის შექმნისკენაა მიმართული; შრომა ნებელობითი აქტია, მოხმარება–მომსახურების აქტები კი ინსტინქტის ან პირობითი რეფლექსის ბუნებისაა. შრომა სპეციფიკურ ად–ნური მოვლენაა, მოხმარება და მოვლა – მომსახურებ - ის ელემენტები კი ცხოველსაც ახასიათებს. ფიზ. შრომის გვერდით კანონიერ ადგილს იკავებს ინტელექტუალური მოთხოვნილებით განსაზღვრული **გონებრივი შრომა:** რ–იც შემეცნებითი პრობლემების გადაჭრას ემ - სახურება/6. ს ა ქ მ ე ეწოდება ექსტეროგენური ქცევის ისეთ სახეს, რ–ა, ერთი მხრივ, საერთო აქვს, რ–რც მოხმარება–მომსახურების ქცევასთან, ისე–შრომასთან, ხოლო, მეორე მხრივ, განსხვავდება ორივესაგან იმდენად მკვეთრად, რომ სავსებით დამოუკიდებელი ქცევის სახეს ღებულობს. ასეთია ყველა ის პროფესია, რომლის მოქმედება, შრომის მსგავსად, დამოუკიდებელი ღირებულების მქონე იდეური მოთხოვნილების საფუძველზე მიმდინარეობს და ამის გამო იძენს შრომის ყველა ნიშანს. მაგრამ შრომისაგან განსხვავებით, და მოხმარება–მომსახურების მსგავსად, ის რაიმე კონკრეტული პროდუქტის შექმნისაკენ არ არის მიმართული და არც ქმნის რაიმე გარკვეულ პროდუქტს. ეს გარემოება მას „მომსახურების" ქცევის ფორმასთან აახლოებს, მაგრამ ის არც მომსახურების ფორმაა, რადგან კონკრეტული მოთხოვნილების საფუძველზე კი არ მოქმედებს, არამედ განყენებული, ზოგადი იდეის საფუძველზე. ასეთ ქცევას უზნაძე ს ა ქ მ ი ს, საქმიანობის ქცევის ფორმას მიაკუთვნებს. ასეთია მაგ., ტრანსპორტის მომსახურება, რ–იც უშუალოდ რაიმე პროდუქტს კი არ ქმნის, არამედ უფრო იდეის საფუძველზე მოქმედებს /წარმოებას უზიდავს მასალას, გადაჰყავს წარმოებისთვის ხალხი და სხვა/. არსებითად ასეთია პროფესიათა დიდი უმრავლესობა /ექიმი, მასწავლებელი, ტექნიკოსი და სხვა/. ქცევის ექსტეროგენურ ფორმათა შორის „საქმე" უფრო ახლოს მაინც შრომასთან დგას, ვიდრე მოხმარება–მომსახურების პირველ ძირითად ფორმასთან.

ქცევის ინტროგენური ფორმა /ლათ. intro– შიგნით, ბერძ. genesis –წარმოშობა/ – დ. უზნაძის მიერ შემოტანილი ცნება ფს–გიაში. ეწოდება ად–ნის ქცევათა კლასიფიკაციის სისტემაში ისეთ ქცევას, რ–იც წარმოიშობა. თვით აქტივობის, ფუნქციობის, ძალთა თავისთავად ამოქმედების მოთხოვნილების საფუძველზე. ასეთ ქცევას არავითარი პრაქტიკული მიზანი არა აქვს, რაიმე საგნის დაუფლებას არ ესწრაფვის. ქ ი ფ–აა თამაში, გართობა, სპორტი, მხატვრული შემოქმედება, ესთეტიკური ტკბობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. **თამაში** დამახასიათებელი და სპეციფიკურია ბავშვობის ასაკისათვის; ამ პერიოდში თამაში ქცევის გაბატონებული ფორმაა, ექსტეროგენური ქცევის ყველა ფორმა შეიძლება ბ–მა თამაშის შინაარსად გამოიყენოს /მაგ., ბ–ვი თამაშში თავის დედოფალას ვარცხნის, ბანს, უვლის და სხვა/. თუმცა ექსტეროგენური ქცევის ფორმით სარგებლობის მოთხოვნილება, ბ–ისთვის ჯერ კიდევ უცხოა. თამაში წარმოიშობა ფუნქციური ტენდენციიდან გაინაღდოს საკუთარი თავისუფალი ძალები. თამაში არის „ძალთა სპონტანური თავისუფალი მოქმედება" /უზნაძე/. 2. **გ ო რ თ ო ბ ა** –დამახ. ზრდადამთავრებული ად–ნისათვის. გართობას მაშინ მიმართავს ად–ნი, როცა ექსტეროგენური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძალთა | იძულებული ხარჯვა რეალიზებულია და ის ისვენებს. დასვენების პერიოდში იწყებენ მოქმედებას „ფუნქციური ტენდენციის" გაუნაღდებელი ძალები; მათი განაღდების მიზნით ად–ნი მიმართავს თამაშს /უკრავს მუსიკას, ცეკვავს, მღერის, ან, გართობის მიზნით, წიგნს კითხულობს, ბაასობს, სეირნობს და სხვა/. ამ შემთხვევაში ქცევა იძულებით ხასიათს არ ატარებს, არამედ „ძალთა თავისუფალ თამაშს" წარმოადგენს. 3. **ს პ ო რ ტ ი** – ახლოს დგას გართობასთან, მას ხშირად მიმართავენ გართობის მიზნით, მაგრამ, რ–რც განცდა იგი უფრო სხვა ბუნებისაა, ვიდრე გართობა, ამის გამო იგი დამოუკიდებელი ქცევის ფორმად მიიჩნევა. სპორტი მოტორული მოძრაობებისაგან შედგება, რომლებსაც შეჯიბრებაში გამარჯვების მოტივით გამოწვეული მოძრაობის გარეშე არსებული სხვა რაიმე მიზანი არ ამოქმედებს. მოძრაობის იმპულსს აქ თვით მოძრაობისადმი შინაგანი მისწრაფება წარმოშობს, მოძრაობა, რ–რც ფუნქციის მოთხოვნილება და არა მოძრაობის შედეგად მიღებული სიამოვნების განცდა /რ–რც ამას კარლ ბიულერი ვარაუდობდა/. სიამოვნება შედეგია და არ შეიძლება ის წინ უსწრებდეს მოძრაობას, რ–რც გამომწვევი იმპულსი. „მოძრაობის ფუნქცია თვით შეიცავს თავის თავში ამოქმედების იმპულსს: ფუნქცია თვითონ ისწრაფვის ამოქმედდეს, მას ფუნქციობის ტენდენცია აქვს" /დ. უზნაძე/. სპორტი, თუმცა ფიზ. მოძრაობებისგან შედგება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს სპორტულ მოქმედებაში გონებრივი ფუნქციების თანამონაწილეობას. მაგ., ჟადრეაკი სპორტული თამაშია, მაგრამ, სრულდება გონებრივი ოპერაციების მეშვეობით. 4. **მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა** შრომის მსგავსად ისეთ ნაწარმოებს ქმნის, რომელსაც გარკვეული ღირებულება აქვს და, მაშასადამე რაღაც მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს, მაგრამ შრომად მას მაინც არავინ თვლის. იმიტომ, რომ მას, შრომის მსგავსად, თავის მიზნად დასახული არა აქვს პროდუქტის შექმნა რაიმე პრაქტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. თავისი შემოქმედების იმპულსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის აქედან არ იღებს. „ხელოვნება არა ობიექტურად მოცემული საგნების შესატყვისი გამოხატულების მიზანს ემსახურება, არამედ თვითონ ხელოვანის ინტიმურ |განწყობილებათა გამოხატვის მიზანს: ხელოვნება შინაგანი განსახიერების ფორმაა და ამიტომ იგი სინამდვილის ფოტოგრაფიულ რეპროდუქციას როდი იძლევა, არამედ სინამდვილის ახალ ფორმებს ქმნის“. /დ. უზნაძე/. ხელოვანი ისწრაფვის, რაც შეიძლება ადეკვატური ფორმით განასახიეროს თავისი შინაგანი ,ინტიმური განწყობილება, შექმნას თავისი განწყობილების შესაფერისი ნაწარმოები. ხელოვანის შემოქმედების ფესვები „ ფუნქციური ტენდენციის წიაღშია წასული და| შემოქმედის აზრი, შემოქმედების, რ–რც მოქმედების პროცესუალურ ხასიათში მდგომარეობს“. 5. ესთეტიკური ტკბობა –ეწოდება მშვენიერების განცდის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მშვენიერება ეძლევა ადნს ან უშუალოდ |ბუნების სურათებით, ან მხატვრული ნაწარმოების სახით. ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სუბ–ტი აღწევს, ან ბუნებრივად მოცემული ან ხელოვნურად შექმნილი სილამაზის ნიმუშების ჯვრეტით. ჯვრეტის აქტი გვაგონებს|მოხმარების ქცევის ანალოგს /კბეჩა, ღეჯვა, ყლაპვა/, რადგან ჯვრეტის გზით მიიღწევა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ განსხვავება მათ შორის იმდენად დიდია, რომ ამ მსგავსებიდან არაფერი რჩება. ჯვრეტა ქცევის თავისებურ ფორმას წარმოადგენს. ესთეტიკური ტკბობის შემთხვევაში ჯვრეტა, რ–რც აქტი, უშუალოდ იწვევს ესთეტიკურ ტკბობას, აკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნილებას, მაშინ, როცა „მოხმარების“ ქცევაში „ღეჯვა–ყლაპვა“, რ–რც აქტი კი არ აკმაყოფილებს ორგანიზმის მოთხოვნილებას, არამედ ამ გზით მიწოდებული სანოვაგე, რ–რც საასიმილაციო ნივთიერება.

ღ

ღამის ‘მიში /Pavor nocturnus/ ლად. pavor – კანკალი , შიში, nocturnus – ღამე/ – შიში, რ–იც წარმოიშობა ღამე, ძილის დროს. ხშირად ემართებათ ბ–ვებს. დამახასიათებელია ძილში კანკალი, მოტორული აგზნება, წამოძახილი, ბ–ვი გარბის, ტირის, ვერ ცნობს თავისიანებს, ცოტა ხნის შემდეგ მშვიდდება და იძინებს. მეორე დღეს არაფერი ახსოვს /სრული ამნეზია/. ითვლება ნევროზის ერთ–ერთ გამოვლენად.

ყ

ყვითელი ლაქა – ყველაზე უფრო მგრძნობიარე ადგილი სინათლისადმი თვალის ბადისებრ გარსში; ლაქის შუაში მოთავსებულია ცენტრალური ფოსო, შეიცავს მხოლოდ კოლბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყ ნოსვის შეგრძნება– იგივეა, რაც სუნის შეგრძნება. /იხ/.

ყ ურადღება – ფს–კური აქტი, რ–აც მიმართავს სუბიექტი რაიმე საგნის ან/ მოვლენის აღქმის, გაცნობიერების და თავისი გამოცდილების მყარაგში მისთვის ადგილის მიჩნევის /აპერცეფციის/ მიზნით. ტრადიციული ფს–გიის გაგებით ყ. ეწოდება ერთდროულად ზემოქმედ მრავალ სხვადასხვა გამღიზიანებელთაგან ზოგიერთის გამოყოფას /სელექციას/, ამ გამოყოფილი ელემენტის ცნობიერების ცენტრში მოქცევას და|მაქსიმალური სიცხადით და გამოკვეთილობით მის განცდას. მაგრამ, სუბ–მა რომ ეს აქტი განახორციელოს, დიფუზურ, დაუნაწევრებელ, ურთიერთთან დაუკავშირებელ გამღიზიანებელთა წრიდან თავისი შემეცნების ობიექტი გამოყოს და იგი|ცნობიერების ნათელ ველზე წამოსწიოს, ამისათვის მან მთელი თავისი ფს–კური ძალები ამ ობიექტისაკენ უნდა მიმართოს. აი ეს აქტი, გარკვეული ობიექტისაკენ ფს–კური ძალების მიმართვა და თავის ცნობიერებაში ამ ობიექტის ნათლად გამოკვეთა არის ყ–ის აქტი. „ადამიანს 'მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით შეუძლია იმოქმედოს' და ყ–ის მდგომარეობა ის მდგომარეობაა, როდესაც ჩვენი ფს–კური ენერგიის მობილიზაცია ამ გარკვეული მიმართულებით ხდება" /დ. უზნაძე/.

ყ ურადღების სახეები. ჩვეულებრივ განასხვავებენ უნებლიე ანუ პ ა ს ი ურ და ნებისმიერ ანუ ა ქ ტ ი ურ ყ–ას.

უნებლიე ანუ პასიური ყ.: სუბიექტი თვითონ არ აქცევს ობიექტს ყ–ას, ობიექტი ეძალება სუბ–ს, იპრობა მასში თავისი ნიშნებით და იქცევს მის ყ–ას. **ნებისმიერი ანუ აქტიური ყ.:** სუბ. თვითონ არეგულირებს თავის ყ–ას, თავისი მოტივების, მოთხოვნილების, ინტერესის, მიზნების, ამოცანების მიხედვით. ნებისმიერი ყ. სპეციფიკურია ად–ნისთვის, იგი შრომის პროცესში ჩაისახა და განვითარდა. ყ–ის აღნიშნული სახეები ერთმანეთისაგან სრულებით იზოლირებულად არ გეხვდება. მათ შორის საზღვარი მერყეევია, ისინი ადვილად გადადიან ერთიმეორეში.

აქტივობის მიხედვით გამოყოფენ ს ე ნ ს ო რ უ ლ ი, მ ო ტ ო რ უ ლ ი და ი ნ ტ ე ლ ე ქ ტ უ ა ლ უ რ ი ყ–ის სახეებს. **სენსორულად** თელიან ყ–ას, როცა სუბიექტი სენსორული /გრძნობითი/ ორგანოებით მიღებული შთაბეჭდილების შესატყვისად წარმართავს თავის რეაქციას; **მოტორულია** ყ. როცა სუბ. მოძრაობებზე აფიქსირებს ენერგიას /სპორტული მოძრაობები/; **ინტელექტუალურია** ყ., როცა სუბ–ის მოქმედება აზროვნების აქტების საფუძველზე მიმდინარეობს.

ყ ურადღების თვისებები: 1. მ ო ც უ ლ ო ბ ა – შთაბეჭდილებათა ერთდროული ყურადღებითი აღქმა რაოდენობრივად სრულიად განსაზღვრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია; შთაბეჭდილებათა იმ რაოდენობას, რ–აც **ერთდროულად თანაბარი სიცხადით** განვიცდით, ყ–ის მოცულობა ეწოდება. ექსპ–ულად დადასტურებულია, რომ, ოპტიმალურ პირობებში, ად–ნს ნათლად ექვსი ელემენ-ტის გარჩევა შეუძლია. თუ კი ამ ელემენტებისაგან გეშტალტებს შევადგენთ /მაგ., ექვს წერტილს ოთხკუთხედად . განვალაგებთ/ მაშინ ექვსი ასეთი ფიგურის ერთდროულ ხილვას ვახერხებთ. აქედან მტკიცდება, რომ ყ–ის მოცულობისათვის მნიშვნელობა აქვს გეშტალტებს, მოლიან ერთეულ-ებს. ყ–ას თავისი მოცულობა აქვს და ამ მოცულობის საზღვრებს ის ვერ გა' კდება. 2. რ ხ ე ვ ა დ ო ბ ა – ყ–ას პერიოდული ცვალებადობა ახასიათებს: ყურადღების ყოველი სახე, თვით უაღრესად ინტენსიურიც კი, თავისი მიმდინარეობის ყოველ მომენტში ერთსა და იმავე დონეზე არ დგას. იგი ხან სუსტდება და ხან ძლიერდება, ე. ი. ყ–ბის მიმდინარეობა ტალღისებურია და არა სწორხაზობრივი. ამ მოვლენას ფს–გიაში ყ–ის რხევადობას უწოდებენ. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ რხევათა პერიოდები 2–3 წამს უდრის. მაგ. ისეთი გამღიზიანებელი, რ–რიც საათის წიკწიკია, ხან კარგად ისმის, ხან კი სულ იკარგება /ვ. ურბანჩიჩი, 1875/, მონაცვლეობა თანაზომიერი და პერიოდულია. პერიოდის ხანგრძლივობა 2,5 –4 წამამდე გრძელდება /ნ. ლანგე, 1888/; ყ–ის რხევადობა შეიმჩნევა შეგრძნების ყველა მოდალობაში. 3. კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი ა და დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ა ყ–ის ორი საპირისპირო თვისებაა. ყ–ის კონცენტრაცია ის მდგომარეობაა, როცა ყ. დაკავებულია ერთი ან რამ-დენიმე ერთფეროვანი შთაბეჭდილებით იმდენად ინტენსიურად, რომ შეუძლებელი ხდება იმავე დროს სხვა შთაბეჭდილების შემჩნევა. დისტრი-ბუციული ანუ განაწილებული ყ. ერთდროულად რამდენიმე ურთიერთისაგან განსხვავებული ობიექტისაკენ თანაბარი სიცხადითაა მიმართული. ამას ახერხებს სუბ. სხვადასხვა ოპერაციების ერთ, უფრო მაღალ ოპე-რაციაში ორგანიზებით. მაგ., მძღოლი დისტრიბუციული ყ–ით მუშაობს: ის რეაგირებს ყველა შთაბეჭდილებაზე, რ–იც მას გზადაგზა ხვდება და მათ უფარდებს მანქანის მართვას. დისტრიბუციული ყ. არ უნდა აგვერიოს ყ–ბის დაფანტულობაში. ეს უკანასკნელი სხვადასხვა მიზეზით დაქვეითებული ყ–ბის დამახ-ია. დისტრიბუციული ყ. კი დაძაბული და მაღალი სახის ყ–აა, მაგრამ თუ შესასრულებელი ოპერაციები შეუთავსებელია, ანტაგონისტურია და მათი ორგანიზება უფრო მაღალი სახის ოპერაციაში შეუძლებელია, მაშინ მათი შესრულება ორმაგ ოპერაციას მოითხოვს: ჯერ ერთის შესრულებას, მერე – მეორისას. გადასვლა ერთიდან მეორეზე სწრაფად ხდება. ასეთ მოქმედებას მ რ ა ვ ა ლ მ ა გ ი /ანუ მრავალგზისი/ მოქმედება ეწოდება /Mehrfach-

ეროვნული ბიბლიოთეკა

handlung.მაგ., მოთხრობის მოსმენა და არითმეტიკული ამოცანის გადაწ - ყვეტა ერთდროულად/. მრავალმაგ მოქმედებას ექსპერიმენტულად იკვლევ- დნენ მ. პოლანი, ო. შტერლინგერი, ვ. ვუნდტი, აიზენჰაუერი, და სხვები. ხედვით, 1 – 2 წამი. მაინცაა საკვირო, რომ ყ. შეეგუოს ახალ გამღი - ზიანებელს, შეამჩნიოს ის და აღნიშნოს, ე. ი. ადაპტაცია მოხდეს. 5. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ უ რ ობ ა – ერთ შთაბეჭდილებაზე ყ–ის ერთი და იმა- ვე ინტენსიურობით შეჩერების უნარი. შემჩნეულია კონსტანტურობის ორი სახე: ს ტ ა ტ ი კ უ რ ი და დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი. სტატიკური ყ.: სუბიექტი თავისუფლად, საგანგებო ძალისხმევის გარეშე, ხანგრძლივად ინარჩუნებს ყ–ს ერთ ობიექტზე. ასეთი ყურადღება გამძლე და მტკიცეა. სა- პირ. დინამიკური ყ., იგი მიდრეკილია გადანაცვლებისაკენ, სუბ. ძალას ატანს თავის თავს, რომ შეინარჩუნოს ყ. საკვირო დონეზე. ხშირი გადა- ნაცვლებისაკენ მიდრეკილ ყ–ას უწოდებენ ავრეთვე ფ ლ უ ქ ტ უ ი რ- უ ლ ს. მისი საწინ. კონცენტრირებული ყ./ ყ ურადღების ტიპოლოგიური განსხვავებულობა – ყ–ის სახეები და თვისებები სხვადასხვა ად–ნებში სხვადასხვანაირია. მაგ., ერთი ადამიანის ყ. შეიძლება იყოს ხანგრძლივი და ბოლომდე თანაბარი ინტენსიურობისა, მეორეში კი უფრო ხანმოკლე და ცვალებადი. ერთს შეიძლება ახასიათებდეს უფრო დისტრიბუციული ყ., მეორეს – კონცენტრირებული. ადაპტაციის თვისებაც ტიპოლოგიუ - რად განსხვავებულია: ზოგი სწრაფად ეგუება გამღიზიანებელს, ზოგი ნე- ლა, ზოგის ადაპტაციას უცხო გამღიზიანებელი უშლის ხელს, ზოგისას – არა. ინდივიდუალურად განსხვავებულია ყ–ის თვისება–კონსტანტურობა- აც: ერთი ადა–ნი მიდრეკილია სტატიკური ყ–ისკენ, დიდხანს შეუძლია ერთ ობიექტზე შეაჩეროს ყ., მეორეს – პირიქით, ახასიათებს დინამი - კურობა, გადააქვს ყ. ობიექტიდან ობიექტზე.

ყ ურადღების /პროსექსოგენური/ ფაქტორები /პროსექსი ბერძ. ყუ- რადღება, გენეზისი – წარმოშობა/ – ორი სახისაა: ობიექტური ფაქ- ტორი – განსაზღვრავს პასიურ ყ–ს და სუბიექტური ფაქტორი კი განსა- ზღვრავს აქტიურ ყ–ს. ყ–ის ძირითად ფაქტორად, საზოგადოდ, მოთხოვ- ნილებაა მიჩნეული. ად–ნის ყ. იმ ამოცანის შესრულებისაკენ არის ყო- ველთვის მიმართული, რ–აც მოთხოვნილების მიზანი აყენებს. მოთხოვ- ნილება ყ–ის იმპულსის წყაროა. იგი ორგვარია: აქტუალური, ისეთი, რ–იც აი, ახლა უნდა დაკმაყოფილდეს, და არაპირდაპირი, რ - აც შორეულ მომავალში უნდა დაკმაყოფილდეს. აქტუალური მოთხოვნი - ლებიდან მომდინარე იმპულსი პასიური ყ–ის განმსაზღვრელი ფაქტორია: ყ. იმ მოქმედებაში ჩაერთვება, რომელსაც აქტუალური მოთხოვნილება და- აყენებს. თვითონ პიროვნების განზრახვაზე აქ არაფერია დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არააქტუალური, არაპირდაპირი მოთხოვნილება კი ნებისმიერი ანუ აქტიური ყ–ის გამომწვევი ფაქტორია. **პასიური ყურადღების გამომწვევი ფაქტორები** – /გარდა ზემოთ დასახელებული „მოთხოვნილების ფაქტორისა"/. 1. გაღიზიანების ინტენსიურობა; დიდი სიძლიერის შთაბეჭდილება, მაგ., ხმაური, თოფის ხმა, ზარის რეკვა, დიდი ფორმატის რეკლამა და ყოველგვარი ინტენსიური სიგნალი ძალაუნებურად იპყრობს ად–ნის ყ–ას. 2. ცვლილება: ერთფეროვანი გარემოს დარღვევა, ახალი უჩვეულო გაშლიზიანებლის შემოსვლა გარემოში, პასიური ყ–ის ერთ–ერთი გამომწვევი პირობაა. 3. მოძრაობა: უძრავ საგანთა შორის მოძრაობის გაჩენა მაშინვე შესამჩნევი ხდება. იგი იზიდავს ყ–ას, რ–რც უძრავ საგანთა შორის მომხდარი ცვლილება. ერთი სიტყვით, ყოველივე ახალი, ერთფეროვან პირობებში ცვლილების შემტანი მოვლენა, პასიური ყ–ის გამომწვევი ფაქტორია. **აქტიური ყ–ის გამომწვევი ფაქტორი:** ასეთად ად–ნის ინტერესს თვლიან. აქტიური ყ. ჩვენი ნებით, ჩვენი განზრახვითაა გამოწვეული. ჩვენ კი ის გვსურს განხორციელდეს, რაც ჩვენი ინტერესისა და ჩვენი მოთხოვნების წრეში შედის. ასეთი ყ. კი ნებისმიერი ყ–აა ამიტომ ნებისმიერი ყ. პიროვნების ინტერესზე დამოკიდებული ყურადღებაა.

ყურადღება და ორგანიზმი – ყ–ბის მოქმედებასთან ორგანიზმი გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება, იგი ისეთ პოზას იღებს, რ–იც ყ–ის მოქმედების შესატყვისი იქნება. მაგ., თუ ყ. მხედველობით მოქმედებაშია ჩართული, მაშინ თვალების კუნთები იმ მოძრაობებს მიმართავენ, რ–ებიც უკეთესად დაანახვებენ თვალს საგანს. თუ ყ. სმენით მოქმედებას ასრულებს, ორგანიზმიც ამის შესატყვისად მოიმართება: მთელი კორპუსით ან თავით მიბრუნდება ხმაურის წყაროს მიმართულებით და სასმენად დაძაბავს სმენის ორგანოს. მიმიკური მოძრაობებიც ყურადღების მოქმედების შესატყვისად იცვლება. დამახასიათებელია თვალების ფართოდ გახელა, სახის გამომეტყველების დაძაბვა. ყ–სთან დაკავშირებით შინაგანი მოტორული პროცესებიც განიცდიან ცვლილებას: სუნთქვა, თითქოს ჩერდებაო, გულის ცემაც შეიძლება შენელდეს ან აჩქარდეს და სხვ. ყ–ის მოქმედებას თვით ც. ნ. ს–ში გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესი შეესატყვისება. ყ–ის სპეციფიკის ფიზიოლოგიურ საფუძველს რუს ფიზიოლოგ ა. უხტომსკის მიერ შემუშავებული დომინანტის თეორია ითვალისწინებს. /იხ. დომინანტის თეორია/.

ყურადღების თეორიები – პრობლემა, რომლის გადაჭრა ყ–ის თეორიას ევალება, შემდეგია: არის თუ არა ყ., რ–რც ცნობიერების სიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადის განმსაზღვრელი აქტი, სპეციფიკურ- ფს-კური პროცესი; თუ არ-ის, მაშინ რ-რ უნდა წარმოვიდგინოთ მისი მოქმედების მექანიზმი; თუ არ არის ყ. მოვლენა sui generis და არ ქმნის ცნობიერების სიცხადეს, მაშინ, რ-ია ცნობიერების სიცხადის სხვა ფაქტორი. რა უკაფავს გზას საგნებს და მოვლენებს ცნობიერებისაკენ და ათავსებს მათ მის „ფოკუსში?".

თეორიათა ერთი ჯგუფი ყ-ს დამოუკიდებელ, სპეციფიკურ პროცესად თვლის, რ-იც გამოყოფს შემეცნების საგანს დიფუზიური გარემოდან, აფიქსირებს მას ცნობიერების ნათელ ველზე და უზრუნველყოფს მის მკაფიო აღქმას ყველა დეტალებით. ამ აზრით, ყ. არის ყოველი მოქმედების წინასწარი პირობა. თეორიათა მეორე ჯგუფი ცნობს ყ-ს დამოუკიდებელ, სპეციფიკურ ფენომენად, რომელიც განსაზღვრავს ცნობიერების სიცხადეს, ხოლო იმ თვისებებს, რ-თაც ჩვეულებრივ ყურადღებას მიაწერენ, ისინი სხვა მოვლენების თვისებებად თვლიან. იმ მიმართულებიდან, რ-იც ყურადღებას გარკვეულ მნიშვნელობას და შემეცნებით ღირებულებას მიაკუთვნებს ყველაზე მთავარია **„აქტივობის"** თეორია, რ-იც ყ-ს ნებისყოფაზე აფუძნებს და, რ-ის ძირითად არსს აპერცეფციის ცნება ასახავს.

ჯერ კიდევ ,რენე, დეკარტი იზიარებდა ყ-ზე ნებისყოფის ზემოქმედების იდეას. გ. ვ. ლაიბნიცი მიაწერდა ყურადღებას პერცეპტულ მასალაზე გამაცნობიერებელ ზემოქმედების უნარს, ფიქრობდა, რომ ყ-ს პერცეფცია გადაჰყავს აპერცეფციაში. ი. ჰერბარტი /1776-1841/ განასხვავებდა გრძნობადი ყ-ისაგან ინტელექტუალურ ყ-ს; ამ უკანასკნელის ზეგავლენით, მისი აზრით, ერთი შთაბეჭდილება ან წარმოდგენა იძენს უპირატესობას მეორის წინაშე, ახდენს მასზე „გამააპერცეფცირებელ" ზეგავლენას. ვ. პრაიერი /1842-1897/ თვლიდა, რომ ყოველი ნებისყოფის აქტი ყ-ს მოითხოვს და ყ-ის ყოველი კონცენტრაცია არის ნებისყოფის აქტი. ვ. ვუნდტი ყ-ს განმარტავს, რ-რც „აპერცეფციასთან დაკავშირებულ წარმოდგენათა სუბიექტურ მოვლენას", მისი აზრით, ყ. ნებისყოფის შინაგანი პროცესია. აპერცეფციული კავშირების დამყარება ნიშნავს წარმოდგენათა ურთიერთდაკავშირებას. ყ-ის ზეგავლენით. ყ. და აპერცეფცია შინაგანად არიან ურთიერთთან დაკავშირებულნი, აპერცეფცია ნიშნავს წარმოდგენის ყურადღებით განცდას და მის გაბატონებას ცნობიერებაში. **ფიზიოლოგიური თეორია** ყ-ს ფიზიოლოგიურ მოვლენებზე აფუძნებს, მისი მოქმედება ც. ნ. ს-ის მოქმედებაზე დაჰყავს. წარმომადგენლები არიან გ. ე. მიულერი, ე. ჰერინგი, ჰუბერტ ,რორხერი. თანამედროვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიოლოგია ყ–ის მოქმედებას რეტიკულარული ფორმაციით თავის ტვინში გამოწვეულ მომატებულ აქტიურობას მიაწერს.

იმ მიმართულებათაგან, რომელნიც ყ–ს არ მიაწერენ დამოუკიდებელ მნიშვნელობას აღსანიშნავია გეშტალტთეორია, ბიჰევიორისტული თეორია, **რეფლექსოლოგია გეშტალტთეორიის** წარმომადგენელი ედგარ რუბინი/ ყ–ბას საერთოდ არც უთმობს ადგილს, როგორც დამოუკიდებელ ფუნქციას ფს–კურ მოვლენათა შორის. ის ფაქტები, რ–ებიც ყ–ბის მოქმედებას მიეწერება, ამ თეორიის შეხედულებით, გეშტალტრზაციის კანონებით აიხსნება, აღქმის „გეშტალტური ველის" სტრუქტურიზაციით, კერძოდ, ფიგურისა და ფონის ურთიერთმიმართების კანონით. **ბიჰევიორისტული მიმართულება** ისე, რ–რც რეფლექსოლოგია, პრინციპულად უარყოფს სუბიექტური ხასიათის მოვლენებს და მათ შორის, რასაკვირველია, ყურადღებასაც.

დ. უზნაძის თეორია ყ–ს განიხილავს ფს–კური ცხოვრების ორი დონის – განწყობისა და ობიექტივაციის – თვალსაზრისით. აქტუალური მოთხოვნილებით შექმნილი **განწყობის** პირველ დონეზე, სადაც რაიმე ამოცანის გადაწყვეტის პრობლემა არ დგას და მაღალ – ფს–კური პროცესები მოქმედებაში ჩართული არ არის, იქ **აქტიური ყურადღება** არც არის საჭირო. მაგრამ, რადგანაც საგანთა და მიმართებათა აღქმა აქაც, განწყობის ამ დონეზეც ცნობიერებასთან დაკავშირებული მაინც არის, ამიტომ ისინი თავისი მოქმედებისათვის ყ–ის მონაწილეობას გულისხმობენ, მაგრამ ეს ყ. თვით არსებული სიტუაციით არის გამოწვეული და განსაზღვრული, ამიტომ იგი მხოლოდ **პასიური** ყურადღებაა.

განწყობის მეორე დონეზე, ობიექტივაციის დონეზე, სადაც სუბიექტის წინაშე შემეცნების პრობლემაა დასმული და სადაც მაღალ–ზონითი პროცესებია მოქმედებაში ჩართული, იქ ობიექტივაციის პროცესის მიმდინარეობას **აქტიური ყურადღება** ემსახურება.

ყურადღების პათოლოგია – მრავალი სახისაა, ყველა ფორმის სულიერ დარღვევას თან სდევს ყ–ის საერთო დაქვეითება. ყ–ის ნაწილობრივი დეფექტებიდან აღნიშნულია შემდეგი სახეები /ე. კრეპილინის კლასიფიკაციით/: **დაჩლუნგება** – ყ. არ მოქმედებს, ავად. გაღიზიანების საპასუხოდ არ რეაგირებს; **ჩარაზვა** – ავად-ს ესმის რასაც სთხოვენ, მაგრამ ყურადღებას არ ამეღავნებს; **შეფერხება** – ავად–ს დიდი დრო სჭირდება რომ გაიგოს ნათქვამი, ვარაუდობენ, რომ ავად–ს ამ შემთხვევაში დროის მომენტი აქვს დაზიანებული; **გარე – გაღიზიანებით განსაზღვრულობა** – ყ–ს იწვევს ყოველი ახალი გამღიზიანებელი; **მომატებული დინამიკურობა** – ყ. ადვილად გადადის საგნიდან საგანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ

შეგრძნება — ეწოდება აღქმის შინაარსის ისეთ ელემენტარულ წაწილს, რომლის კვლავ დაშლა არ შეიძლება. ასეთია ფერის, ბგერის, სუნის, გემოს, შეხების და სხვა შ. შ–ის დამოუკიდებლად არსებობა, ისე, რომ მას კონკრეტული აღქმის გარეშე ეხვდებოდეთ და არა მის შინაარსში, ნორმალურ ფს–კურ სინამდვილეში, ვერ დავადასტურებთ. შ. მხოლოდ აღქმაშია მოცემული, მას მხოლოდ საგნის აღქმის შინაარსის ანალიზის შედეგად ვწვდებით.

ყოველი კონკრეტული აღქმა მთლიანი საგნის განცდაა, შ. კი ამ საგნის რომელიმე ერთი თვისების განცდას წარმოადგენს.

შ–ის წარმოშობისათვის ორი პირობაა საჭირო და აუცილებელი: ფიზიკური გამღიზიანებელი /სინათლე–ფერის შეგრძნებისათვის, ჰაერის ტალღისებური რხევა ბგერის შეგრძნებისათვის, ტემპერატურა – სითბო–სიცივის შ–სათვის და სხვ/ და ამ ფიზ. გამღიზიანებლის ზემოქმედება შ–ის ორგანოზე. შ–ათა მრავალიანობის ფაქტი, რ–თაც აღქმის ანალიზი გვიდასტურებს, თავისთავად მოწმობს იმას, რომ ჩვენ მათ ურთიერთისაგან განვასხვავებთ. ასეთი განსხვავებული ნიშნებია შ–ის **მოდალობა, რომელობა, ინტენსიურობა.** შ–ს ურთიერთისაგან განვასხვავებთ იმის მიხედვით, თუ რომელი გრძნობის ორგანოს საშუალებით ვიღებთ მას. ამ თვალსაზრისით ვარჩევთ ფერის შეგრძნებას, რომელსაც მხედველობის ორგანოს საშუალებით ვიღებთ, გემოს შ–ს – ენით, სუნის შ–ს ცხვირის ლორწოვანი გარსის საშუალებით და სხვ. ყოველი შ. გარკვეული შ–ის ორგანოსთანაა დაკავშირებული და მის ამ თვისებას **შ–ის მოდალობა ეწოდება.** შ–ებს განვასხვავებთ თითოეული მოდალობის ფარგლებშიც, მაგ., ფერის შეგრძნებები, რასაც მხედველობის ორგანოს საშუალებით ვიღებთ, გარკვეულ სიმრავლეს წარმოადგენს. ფერთა ამ სიმრავლეში ვარჩევთ წითელს, ყვითელს, ლურჯს და სხვ. არ არსებობს ფერის შ. საერთოდ. ფერის ყოველი შეგრძნება უთუოდ რომელიმე კონკრეტული ფერის შეგრძნებაა, წითლის, ყვითლის, ლურჯისა და სხვ. ფერის შ–ის თვისებას, რომ ის გარკვეული ფერის შ–აა, **ფერის რომელობა** ეწოდება. მაგრამ თითოეული რომელობის ფარგლებშიც ვარჩევთ განსხვავებებს: ერთი და იმავე რომელობის ფერი, ვთქვათ წითელი, შეიძლება იყოს მეტად წითელი ან ნაკლებად წითელი! შ–ის ამ მეტ–ნაკლებობის თვისებას შ–ის **ინტენსიურობა** ეწოდება. იგივე ითქმის ყოველი სხვა შ–ის შესახებ.

ფს–გიაში არსებობს ისეთი შეხედულებაც, რ–იც შ–ისთვის დამახასიათებლად თვლის სხვა ნიშანსაც, ე. წ. გ რ ძ ნ ო ბ ი თ ე მ ო ც ი ურ ტ ო ნ ს /თეოდორ ციენი/, ს ი ცხ ა დ ე ს /ე. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიჩიერი/ **ა ხ ა ნ ი ე რ ო ბ ა ს** /ო. კიულპე/. ეს უკანასკნელი თვისებები არ წარმოადგენენ შ–ის კონსტიტუციურ ნიშანს, რ–რიცაა რომელობა, ინტენსიურობა და მოდალობა.

შეგრძნების აბსოლუტური ზღურბლი – გალიზიანების ინტენსიურობის ის მინიმალური ოდენობა, რ–იც პირველად იწვევს ჩვენში ოდნავ შესამჩნევ შეგრძნებას. მის ქვემოთ გაღიზიანება ობიექტურად შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ივი, მცირე ინტენსიურობის გამო, შეგრძნებას არ იწვევს. შ. ა. ზ. გვიჩვენებს სუბ–ის მგრძნობელობის ხარ - ისხს: დაბალი ა. ზ. ნიშნავს სუბ–ის მაღალ მგრძნობელობას და, პირიქით, მაღალი /დიდი/ ზღურბლი – დაბალ მგრძნობელობას. შ. ა. ზ–ს იკვლევენ „მინიმალურ ცვლილებათა მეთოდით", /იხ./.

შეგრძნების განსხვავების ზღურბლი – გაღიზიანების მატების ან კლების ის მინიმალური დონე, როდესაც სუბ–ს პირველად უჩნდება არსებულ შეგრძნებისაგან, ინტენსიურობის მხრივ, ოდნავ განსხვავებული /მეტი, ან ნაკლები/ ინტენსიურობის ახალი შეგრძნება. შ. გ. ზ–ს იკვლევენ „ოდნავ შესამჩნევი განსხვავების მეთოდით" /იხ./.

შეგრძნების ზედა ზღურბლი /ზღვარი/ – გაღიზიანების მომატების ის დონე, რომლის შემდეგ გრძნობის ესა თუ ის ორგანო გამღიზიანებლის ზრდას ვეღარ ამჩნევს და მას ჩვეულებრივი ტკივილის შეგრძნებით უპასუხებს. მაგ., ობიექტური სინათლის ზრდას მხედველობის ორგანო გარკვეულ დონემდე გრძნობს, მის შემდეგ კი განათების მომატება სინათლის მომატების განცდას არ იწვევს და განიცდება, რ–რც ტკივილის შეგრძნება. ივივე ითქმის სხვა ორგანოების შესახებაც. შეგრ - ძნების აბსოლუტური ზღურბლი, შეგრძნების განსხვავების ზღურბლი და შ. ზ. ზ. ფსიქო–ფიზიკაში პირველად იკვლიეს ე. ვებერმა და გ. ფეხნერმა /იხ. ვებერის კანონი, ფეხნერის კანონი/.

შეგრძნებათა ინტერმოდალური ერთიანობა– შეგრძნებათა განსხვავებული მოდალობების არსებობის ფაქტი გულისხმობს, თითქოს ამ მოდალობებს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს; მაგ., მხედველობის შეგრძნებას თითქოს **არავითარი კავშირი არ აქვს** სმენასთან, სმენას– გემოსთან, გემოს–სუნთან, სუნს–შეხებასთან, და, მაშასადამე, ვითარება თითქოს ისეთია, რომ, რაც მგრძნობელობის ერთ მოდალობაში ხდება, რ–იმე მეორე მოდალობისათვის მას მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ასეა თუ არა ნამდვილად?

ვარაუდობენ, რომ სიცოცხლის განვითარების დაბალ საფეხურზე ორგანიზმს მხოლოდ ერთი დიფუზიური გრძნობის ორგანო გააჩნდა და უთუოდ ამ **ერთი** ორგანოდან განუვითარდა შემდეგ სხვა მოდალობათა შეგრძნების ორგანოებიც. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთი დიფუზიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობიდან განვითარებულმა „გრძნობის ორგანოებმა" სავსებით დაკარგეს პირვანდელი ერთიანობა და აღარაფერი საერთო აღარ შერჩათ; არა! -- არსებობს უტყუარი ფაქტები, რ–იც ადასტურებენ რაღაც **საერთოს არსებობას** სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებებს შორის. 1. პირველი ასეთი ფაქტია მეტყველების მოწმობა, მაგ., გამოთქმები: „თბილი ფერი", „ცივი ფერი", „ცივი ხმა", „თბილი ხმა", „დაბალი ხმა", „მაღალი ხმა" და სხვა. ასეთი გამოთქმები ყველა ენაში არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ, შ–ის გარკვეული მოდალობის შინაარსს სხვა მოდალობის შ–ის თვისებით ვახასიათებთ, მაგ., ფერს–ტემპერატურის შ–ის თვისებით, ბგერას – მხედველობის შეგრძნების თვისებით. ამ ფაქტებიდან ჩანს, რომ მიუხედავად შეგრძნებათა სხვადასხვა მოდალობებს შორის არსებული მკაცრი დიფერენციაციისა, რაღაც ნათესაობა მათ შორის მაინც არსებობს.

2. შ. ი. ე–ის სასარგებლოდ კიდევ უფრო დამარწმუნებლად მეტყველებს ე. წ. სინესთეზიის ანუ თანაშეგრძნების ფაქტი, როდესაც აქტუალური გაღიზიანებით გამოწვეული გარკვეული მოდალობის შეგრძნების შემთხვევაში, მეორე, განსხვავებული მოდალობის შეგრძნება ჩნდება, თუმცა ამ მეორე მოდალობის შეგრძნებას ფაქტიურად ადგილი არ ჰქონია /იხ. სინესთეზია/.

3. შ. ი. ე–ს სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე თვით შეგრძნების ორგანოთა ურთიერთზემოქმედების ფაქტი, მაგ., ა/ადამიანის მხედველობის სიმახვილე იზრდება, როცა მასზე ერთდროულად ბგერა ან სხვა რომელიმე გამღიზიანებელი მოქმედებს /სუნი, გემო, შეხება და სხვ./; ბ/ბგერა უფრო მაღალი ჩანს ნათელ ოთახში, ვიდრე ბნელში.

შეგრძნებათა კლასიფიკაცია – ვუნდტის კლასიფიკაციის მიხედვით შეგრძნებები 5 ძირითად ჯგუფად იყოფა: მხედველობა, სმენა, გემო, სუნი, შეხება. მაგრამ ჩვეულებრივი შეხედულება, რომ მთელი ჩვენი შეგრძნებათა სამკვიდრო თითქოს მხოლოდ ხუთი შეგრძნებით ამოიწურებოდეს ეს მეცნიერულად არ მართლდება. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში მეტი რაოდენობის შეგრძნებებს ვფლობთ, ასეთებია: 1 /სითბო–სიცივის ანუ ტემპერატურის, 2 / ვიბრაციის, 3/ტკივილის, 4/ სხეულის მოძრაობებისა ანუ კინესთეტური შ. 5 / წონასწორობისა და 6/ორგანული შეგრძნებები. შ. კ–ს საფუძვლად უდევს გრძნობის ორგანოთა განსხვავებულობა: ცალკეულ მოდალობას ქმნიან ის შეგრძნებები, რ–იც ერთი გრძნობის ორგანოსთან არიან დაკავშირებულნი.

შეგრძნების ორგანო. ყოველი შ-ბის აღქმა გარეგამღიზიანებლის გარკვეულ ორგანოზე ზემოქმედების შედეგად ჩნდება. ეს ორგანოებია: თვალი, ყური, ცხვირის ლორწოვანი გარსი, ენის ზედაპირი, კანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნთები, მყესები, სახსრები და სხვა... ყოველი შ. ორგანო სამი ნაწილისაგან შედგება. პირველია **რეცეპტორი**, სპეციფიკურად აგებული გარე აპარატი, რ–ლიც გამღიზიანებლის მისაღებადაა მოწყობილი. მეორე – **გ ა მ ტ ა რ ი** ნერვი, რ–ლიც გაღიზიანებას თავის ტვინის სათანადო ცენტრს გადასცემს, და მესამე – თვითონ ეს **ცენტრი**, რომელიც მოთავსებულია თავის ტვინის ქერქში. შ. ორგანოები მკაფიოდაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. თითოეული მათგანი სხეულის გარკვეულ ადგილზეა მოთავსებული და შესატყვისი გაღიზიანების მიღება მხოლოდ მისი საშუალებით ხდება: სინათლის სხივებში მთელი ორგანიზმია გახვეული, მაგრამ, რ–რც გამღიზიანებელი სინათლე მხოლოდ თვალზე მოქმედებს. ასევ ხმაც, სუნიც და სხვ. /დ. უზნაძე/. „შეგრძნების" ორგანო, როგორც ტერმინი შემორჩენილია მხოლოდ ფს–გიაში, ფიზიოლ–ში მის ნაცვლად იხმარება ტერმინი „ანალიზატორი".

შეგრძნების ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის კანონი – ეხება დამოკიდებულებას, რ–ლიც არსებობს გაღიზიანების რომელობასა და შეგრძნების რომელობას შორის. შეგრძნების ყოველი ორგანო – თვალი, ყური, ცხვირი, ენა, კანი – გამღიზიანებელს სპეციფიკური შეგრძნებით აძლევს პასუხს, მაგ.: თვალი სინათლის ტალღისებურ რხევას სინათლის შეგრძნებით უპასუხებს; ჰაერის ტალღისებურ რხევას ყური ბგერის შეგრძნებით უპასუხებს; ცხვირის ლორწოვანი გარსი გარკვეულ ქიმიურ გამღიზიანებელს – სუნის შეგრძნებით უპასუხებს და სხვ. ასე ხდება, ჩვეულებრივ, ნორმალურ პირობებში, როდესაც გამღიზიანებელი შეგრძნების ორგანოს ადეკვატურია /თვალისათვის ადეკვატური გამღიზიანებელია სინათლე, ყურისათვის –ჰაერის ტალღისებური რხევა და სხვ. მაგრამ თუ შეგრძნების რომელიმე ორგანოზე /არაადეკვატურ /არასპეციფიკურ/ გამღიზიანებელს ეამოქმედებთ, ორგანო მაინც მისთვის სპეციფიკური შეგრძნებით უპასუხებს: მაგ:, თუ თვალს გავაღიზიანებთ მექანიკურად /დარტყმით ან დაწოლით/, ელექტროდენით ან ქიმიურად, თვალი მაინც მისთვის სპეციფიკური შეგრძნებით – სინათლის შეგრ - ძნებით უპასუხებს. ასე ხდება ყველა სხვა შეგრძნების ორგანოს მოქმედების შემთხვევაშიც. ორგანოს ამ თვისებას, რომ არასპეციფიკურ გამღიზიანებელს იგი მისთვის სპეციფიკური შეგრძნებით უპასუხებს, „სპეციფიკური ენერგიის კანონი" ეწოდება. ეს კანონი აღმოაჩინა გერმანელმა ფიზიოლოგმა ი. მიულერმა.

შ. ო. ს. ე. კ. ფაქტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თითქოს შეგრძნება ან აღქმა არ წარმოადგენდეს ობიექტური სინამდვილის ასახვას და მხოლოდ მგრძნობიარე ნერვის საკუთარი ენერგიის გაშლა იყოს. საქმე ისაა, რომ ყოველი შეგრძნების ორგანოს სპეციფიკა მიღებულია გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარების პროცესში ორგანიზმის გარემოსთან შეგუების შედეგად და მასში სწორედ ის ობიექტური სინამდვილეა მოცემული, რ–იც შეგრძნების ან აღქმის შინაარსშია ასახული.

შეგრძნების ორგანოთა ურთიერთზემოქმედება – იხ. შეგრძნების ინტერმოდალური ერთიანობა.

შეგუება–იხ. ადაპტაცია.

შედარებითი ფსიქოლოგია– ფს–გიის ერთ–ერთი დარგი. მისი ამოცანაა შედარების მეთოდით იკვლიოს თუ რა აქვთ საერთო ად–ნსა და ცხოველს, ბ–ესა და ზრდადამთავრებულ ად–ნს, ჯანმრთელ ად–ნს და სულიერად დაავადებულს, პრიმიტიულ /პირველყოფილი კულტურის/ ად–ნსა და ცივილიზებულს, ან რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. ამ საკითხების გადასაჭრელად შ. ფ. იყენებს უმთავრესად ცხოველის ფს–გიის, გენეტიკური ფს–გიის კვლევის შედეგებს, რ–რც პრიმიტიული, ისე ცივილიზებული ად–ნის ფს–გიური კვლევის მონაცემებს /აზროვნება, მსოფლმხედველობა, ხელოვნება, ზნე–ჩვეულებები/.

შეზღუდული ასოციაციის მეთოდი – იხ. ასოციაციური ექსპ–ტი.

შეკუმშვა /გერმ. Verdichtung/–ფროიდის მიერ შემოტანილი სპეციფიკური მნიშვნელობის ტერმინი. წარმოადგენს „დაცვითი მექანიზმი"-ს ერთ–ერთ სახეს. შ–ში, ფროიდის თეორიით, ხდება სხვადასხვა წარმოდგენების არაცნობიერად გარდაქმნა – შემჭიდროება და ერთ წარმოდგენად შერწყმა. მაგ., შ–ის შედეგად „სიზმრის ლატენტური შინაარსები" –დან მუშავდება შემოკლებული სახის ახალი წარმოდგენები, რ–ებიც „ზე–მე" –სთვის მისაღები იქნება და ივარგებს სიზმარში სამანიფესტაციოდ. სიზმრისთვის აუცილებელი ასეთი შეკუმშული, სადემონსტრაციო წარმოდგენების დასადგენად ხდება „სიზმრის ლატენტური შინაარსის" ზოგი ნაწილის უგულებელყოფა, ზოგის ნაწილობრივი გამოყენება, ისეთებისა, რ–თაც ურთიერთთან რაღაც საერთო აქვთ–შემჭიდროება, შერწყმა ერთ ჰარმონიულ სახედ. შ–ის შედეგად სიზმრის „ლატენტურ შინაარსთა" შორის წინააღმდეგობები მოხსნილია, შერიგებულია. შ. დამახ. არქაულ–პრიმიტიული სიზმრისა და შიზოფრენიული აზროვნებისათვის. /საწინ. გადატანა/.

შემავსებელი ფერი /ანუ კომპლემენტური, ანტაგონისტური/ – იხ. ფერთა შერევის კანონები.

შემეცნების თეორია – იგივეა, რაც გნოსეოლოგია.

შენარჩუნების მეთოდი–იხ. დასწავლის კვლევის მეთოდები.

შეხებითი ანუ ტაქტილური სიბრმავე – იხ. აგნოზია.

შეხებისა და წნევის შეგრძნება /უწოდებენ აგრეთვე ტაქტილურ შეგრძნებას/ – როცა რაიმე საგანი კანის ზედაპირს ეხება, შეხებასთან ერთად ამ საგნის მთელ რიგ თვისებებს განვიცდით: მის სითბოს ან სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოვეს, სიმაგრეს ან სირბილეს, ზედაპირის სიგლუვეს ან სიმქისეს, სი-სველეს ან სიმშრალეს; თუ საგნის შეხებას ყველა ამ თანადროულ განცდას ჩამოვაშორებთ /განვაყენებთ/, მაშინ მხოლოდ შეხების შეგრძნება გვექნება, ე. ი. თავისებური განცდა, რ-იც გარდა შეხებისა, ანუ მიკარებისა, არავითარ სხვა თვისებად არ განიცდება. ხშირად შეხება წნევადაც განიცდება იმისდა მიხედვით თუ რა ინტენსიურობით მოქმედებს ჩვენზე შეხებითი გამღიზიანებელი.

კანის სხვადასხვა ადგილზე შეხებითი გამღიზიანებელი სხვადასხვანაირად განიცდება. შეხების შეგრძნებათა ამ თვისებას, რ-აც ისინი კანზე მიკარების ადგილის მიხედვით ღებულობენ, ადგილობრივი ანუ „ლოკალური ნიშანი" ეწოდება. /იხ. „ლოკალური ნიშანი"/.

კანის ზედაპირზე ყოველი წერტილის გაღიზიანება არ იძლევა შეხების შეგრძნებას. დადგენილია, რომ ამ შეგრძნებებს საგანგებო ორგანოები აქვთ, რ-ებიც მეტ-ნაკლები სიხშირით არიან განლაგებული კანქვეშ მდებარე ფენებში. შეხების შეგრძნებისათვის ყველაზე მგრძნობიარე ადგილებია ენის წვერი, ტუჩები, ცხვირის ზედაპირი და თითების დაბოლოებანი.

შეხების რეცეპტორებია მეისნერის და პაჩინის სხეულაკები, რ-ებიც კანშია მოთავსებული.

შთაბეჭდილების მეთოდი— იხ. გაღიზიანების მეთოდი.

შთაგონება /სუგესტიკობა/ — სხვისი აზრებისა და შეხედულებების უკრიტიკოდ გაზიარება და თავისი მოქმედების საფუძვლად მიღება, მოქმედება არა საკუთარი ნებელობის კარნახით, არამედ სხვისი ზეგავლენით; განცდა-დარწმუნებულობა კი ისეთი აქვს სუბ-ს თითქოს საკუთარ სურვილსა და მიზანს მისდევდეს და ახორციელებდეს. ზოგჯერ ერთი ად-ნის ზეგავლენა მეორეზე იმდენად დიდია, რომ სუბ-ს სხვისი აზრი და სურვილი საკუთარ შეხედულებად გარდაექმნება, ვერ გრძნობს, რომ მის მოქმედებას სხვა წარმართავს, უკრიტიკოდ სჯერა ყველაფერი, რასაც ეს სხვა ეტყვის და ასრულებს მის სურვილს, რ-რც ბრძანებას. ამის მაგალითს ჰიპნოზური მდგომარეობა წარმოადგენს. ამ თვისების გამო შ. და თვითშთაგონება გამოიყენება ფუნქციურ-ნერვული დაავადების მკურნალობის ფსიქოთერაპევტულ მეთოდად. შ-სათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შთამგონებლის პიროვნებას, მის ავტორიტეტს, ნებისყოფის სიძლიერეს, მეორე ად-ნში ჩაწედომის და თავისი გავლენის ქვეშ მისი მოქცევის უნარს. სუბ. მით უფრო ადვილად ეძლევა შ-ს, რაც ნაკლებ ინტელექტუალურია, ... ემოციურად მერყევი და სუსტი ნებისყოფის მქონეა. განასხვავებენ შ-ის სამ სახეს: ჰიპნოზურს, პოსტჰიპნოზურს და სიფხიზლეში მიღებულს. შ-ის ანუ სუგესტის წყარო შეიძლება იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივიც/მაგ., პანიკის შემთხვევაში– იქცევი ისე, რ–რც ყველა იქ-ცევა, სხვისი გავლენის ქვეშ ხარ, სხვას ბაძავ. მოდაც შ–ას ემყარე-ბა: რაიმე მოგწონს იმიტომ, რომ ის ყველას მოსწონს. შ–ის საფუძ-ველზე იზიარებ და აკეთებ იმას, რასაც სხვა იზიარებს და აკეთებს, რის შედეგადაც პირადი, შენი, ინდივიდუალური იკარგება და მიბაძვას ეთმობა ადგილი. რეკლამის ზემოქმედებაც შთაგონების გავლენით აიხსნება. შ–ის ნაირსახეობას თვითშთაგონება ანუ აუტოსუგესტია წარმოადგენს. როდესაც შენი თავის შთამგონებელი თვითონ შენ ხარ. თვითშთაგო-ნებას ხელს უწყობს სუბ–ის მომატებული ემოციურობა, მოლოდინი, ში-ში, ეჭვი და ყველაფერი ის, რაც ძლიერ გსურს.

შთაგონებითი თერაპია – ფსიქოთერაპიის ერთ–ერთი მეთოდი. /იხ. ფსიქოთერაპია/.

შიზოთიმიკური ტიპი – /ბერძ. schizo – ვაპობ. thymos – გრძნობა, განწყობილება/ ე. კრეჩმერის მიხედვით: ჯანმრთელი ად–ნის ხასიათისა და ტემპერამენტის ერთ–ერთი ტიპის აღმნიშვნელი ცნება. შეესატყვისე-ბა ლეპტოზომური /ასთენიური/ სხეულის აგებულებას /იხ. სხეულის აგე-ბულების ტიპები/ შ. ტ–ის დამახასიათებელი ტენდენციაა: გარემოსაგან უკუქცევა, თავისი შინაგანი სამყაროს შექმნისკენ სწრაფვა, ჩაძირვა თა-ვის პიროვნებაში–ინტროვერსია. შ. ტ. გარეგან სამყაროსთან მუდამ ან-ტითეზურ წინააღმდეგობაშია. მასთან დაახლოება არ სურს, მისი ინტე-რესები არ აღელვებს, გულჩათხრობილია, ეჭვიანი; ზოგი შ. ტ. ზემგრძნო-ბიერია, ზოგი – ცივი, უგრძნობელი, მიუკარებელი, შ. ტ. არც თავის სა-კუთარ შინაგან სამყაროში არის ჰარმონიულად აწყობილი. ის შინაგან-ად გახლეჩილი, ამბივალენტური პიროვნებაა. ე. კრეჩმერმა აღწერა შ. ზ-ის სახეები: ფაქიზმგრძნობიარე არისტოკრატი, მეოცნებე იდეალისტი, სამყაროდან გაქცეული რომანტიკოსი, ტრაგიკული პათეტიკოსი, სასტიკი, ენერგიული, პრინციპული, დიპლომატი, ცივი, ანგარიშიანი და სხვ.

შ. ტ–ს დიფერენციული სახეების განმსაზღვრელ ფაქტორად კრეჩმე-რი მგრძნობელობის პოლუსების პროპორციულ ურთიერთდამოკიდებულებ-ას თვლის. ეს პოლუსებია: ზემგრძნობელობა /ჰიპერესთეზია/ და უგრძ-ნობლობა /ანესთეზია/. **ზემგრძნობელობის პოლუსს** ახასიათებს მაღალი გაღიზიანებადობა, შთაგონების უნარი, ფაქიზი მგრძნობელობა, ადვილი განაწყენება; **უგრძნობლობის პოლუსს** – სიტლანქე, გულგრილობა, სიბ-ლაგვე, ამ ორი პოლუსის ერთმანეთთან შერევის პროპორცია, კრეჩმერის თანახმად განსაზღვრავს შიზოთიმიკის ამა თუ იმ ტიპს. /იხ. ფსიქეოთე-ზური პროპორცია/. გაძლიერებული შიზოთიმიკის თვისებები ქმნიან ში-ზოიდურ ტიპს, რ–იც შიზოფრენიის მოსაზღვრე მდგომარეობად ითვლება. თვით შიზოფრენია, კრეჩმერის აზრით, შიზოთიმიკის და შიზოიდის პრო-ტოტიპს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიზოიდია, შიზოიდური ტიპი / ბერძ. schizo – ვაპობ/ – ფსიქოპათი, ად–ნის ხასიათისა და ტემპერამენტის ერთ–ერთი სახის აღმნიშვნელი ცნება. შეესატყვისება სხეულის აგებულების ლეპტოზომურ/ასთენიურ/ კონსტიტუციას /ე. კრეჩმერის კლასიფიკაციით/. შიზოიდურ ტიპში შიზოთიმიკის თვისებები გაძლიერებული პროპორციითაა ურთიერთშერეული /იხ. ფსიქესთეზური პროპორცია/. თვისებათა ტიპური ნიშნებით ენათესაება შიზოფრენიას.

შიზოფრენია – პროგრესულად მიმდინარე ფს–კური დაავადება, რიც უპირატესად ახალგაზრდობის პერიოდში იწყება და ხშირად მთავრდება სპეციფიკური ფს–კური დეფექტით /აქედან, ამ დეფექტიდანაა დაავადების კრეპელინისეული სახელწოდება Dementia praecox – ნაადრევი ჭკუასუსტობა/. შ–ისათვის დამახასიათებლად ითვლება ფს–კური მოქმედების ერთიანობის დარღვევა, გახლეჩა /აქედან წარმოიშვა ე. ბლოილერის მიერ მოწოდებული სახელწოდება – შიზოფრენია: schisis გახლეჩა, phren – ჭკუა, სული/; დამახ. ავად–ის აზრების, ქცევისა და გრძნობების შეუსატყვისობა /ე. წ. ინტრაფსიქიკური ატაქსია/ და მათი არაადეკვატურობა გარემოს მიმართ; რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტა და საკუთარი ავადმყოფური განცდების სამყაროში ჩარაზვა /ე. წ. აუტიზმი/. ტერმინები „შიზოფრენია" და „ნაადრევი ჭკუასუსტობა" ამჟამად დაახლოებით ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ ფრანგული სკოლა, განსაკუთრებით კლოდი, შ–ის ქვეშ გულისხმობს ნაადრევი ჭკუასუსტობისაგან განსხვავებულ დაავადებას, რ–იც ვითარდება შიზოიდურ ფონზე რაიმე გარეგანი მიზეზის ზემოქმედების შედეგად და არ ხასიათდება ინტელექტუალური სფეროს ცვლილებებით. შ–ის კლინიკა უაღრესად მრავალფეროვანია. ე. კრეპელინის კლასიფიკაციით არჩევენ დაავადების ოთხ ძირითად ფორმას: 1. **მარტივი ფორმა** – ახასიათებს ინტელექტუალური გაღარიბება, ემოციური განურჩევლობა, ინტერესის პროგრესული დაკარგვა, ბოდვითი იდეები და ჰალუცინაციები ნაკლებადაა გამოხატული. 2. **ჰებეფრენიკ**-კლინიკურ სურათში ჭარბობს ახირებული ქცევები, უაზრო სიცელქე, მანერულობა, ეიკფორია. 3. **კატატონიური ფორმა** – ახასიათებს კატატონიური აგზნება, ან კატატონიური სტუპორი. 4. **პარანოიდური** –კლინიკურ სურათში განსაკუთრებით წინა პლანზეა წამოწეული ბოდვითი იდეები და ჰალუცინაციები /უპირატესად სმენითი სახის ფსევდოჰალუცინაციები/. ამჟამად ფსიქიატრიაში ფართოდ იყენებენ შ–ის სხვაგვარ კლასიფიკაციასაც, რ–აც საფუძვლად დაავადების მიმდინარეობის თავისებურება უდევს. ამ კლასიფიკაციით შ–ის სამი ძირითადი ფორმაა გამოყოფილი: უწყვეტად მიმდინარე, პერიოდული, ანუ რეკურენტული ფორმა და შეტევისებურ–პროგრედიენტული ფორმა. თითოეული მათგანი კიდევ რამდენიმე ქვეფორმად იყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაგანი აღქმა — იხ. აღქმა.

შინაგანი მიკუთვნილების ფაქტორი — იხ. გეშტალტის ფაქტორები.

შიში — /Furcht / ემპირიული ანუ რეალური /რაციონალური —ფროიდი/ შ., უსიამოვნო ემოცია, აღიძვრის ამჟამად ობიექტურად არსებული რაიმე საფრთხის /ან ასეთად განცდილის/ საპასუხოდ. ასეთი საფრთხე აღიქმება, ან რ—რც მთლიანი ორგანიზმის არსებობის წინააღმდეგ მიმართული, ან სუბ—ის რომელიმე სასიცოცხლო ღირებულების /მოთხოვნილების, მიზნის, მიღწევის/ საზიანოდ მიმართული მუქარა. შ—თ გამოწვეული რეაქცია ვლინდება ან შებრძოლება—აგრესიის სახით, ან გაქცევა — დამალვის სახით /თუ რომელს აირჩევს სუბიექტი, მის პიროვნულ თვისებაზეა დამოკიდებული/. შ—ის რეაქცია ინსტინქტურ—პრიმიტიულია, ხოლო ფილოგენეზურად თავდაპირველ რეაქციად ითვლება. იგი საერთოა ცხოველთა მთელი სამყაროსათვის. შ—ის გამომწვევი ობიექტისადმი მიმართული გრძნობა, რ—რც თავდაცვითი ინსტინქტის გამოვლენა, ორგანიზმისათვის სასიგნალო მნიშვნელობისაა და სწორედ ამაშია მისი ბიოლოგიური აზრიანობაც /ჩ. დარვინი/.

შ. შეიძლება იყოს სხვადასხვა ხარისხის ანუ სიძლიერის. მაგ., შეშინება, დაფრთხობა, შეკრთომა—საშუალო ხარისხის, მეტნაკლებად ასატან შ—ად წარმოიდგინება, მაგრამ ძრწოლა, ელდა, შ—ის ზარი, დაფეთება—ძლიერ შ — ად, აფექტად ითვლება.

ძლიერი შ. აბნელებს და ავიწროებს ცნობიერებას, ახშობს მოქმედების გზას, იწვევს ქცევის არევ—დარევას და აუარესებს საპასუხო მიღწევის შედეგს /იხ. ფრუსტრაცია/. შ—ისათვის დამახ. სიმპათიკური ნ. ს—ის მოქმედებით გამოწვეული სომატური ცვლილებები: თვალის გუგის გაფართოება, პირის სიმშრალე, სახის გაფითრება, გულისცემისა და სუნთქვის გახშირება, არტერიული წნევის აწევა, ადრენალინისა და შაქრის მომატება სისხლში, ოფლიანობა, გამოყოფითი ფუნქციების გააქტიურება და სხვ. შ. გადამდებია, მასობრივ შ—ს პანიკა ეწოდება.

შიშნეულობა /რუს. тревожное состояние, გერმ. Angst , ლათ. anxietas, ფრანგ. angausse, ინგლ. anxety / — შიშის ემოციის თავისებური სახე. განსხვავებით საკუთრივ შიშისაგან, შ—ს არ გააჩნია შიშის გამომწვევი, რეალურად არსებული ობიექტი. ამ აზრით იგი „უსაგნოა", ობიექტურ საფუძველს მოკლებული. იგი ტოტალური გრძნობაა, გაუგეშტალტებელი /ვ. შტერნი/, რაღაც უბედურების მოლოდინის განცდა, მომავლის წინაშე დაურწმუნებლობის უარყოფითი გრძნობა. ახას. უმწეობა, სევდიანობა, დაძაბულობა, მოუსვენრობა, შფოთი, აგრესიულობა, შინაგანი და გარეგანი რეალობისადმი კონტროლის დაკარგვა, სასიცოცხლო მოვლენებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, „სიცოცხლე არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძღია"-ს განცდა, ვიტალური შიშის ტერმინი „შიშნეულობა" /Angst/ ფს-გიაში შემოიტანა ზ. ფროიდმა /1894/. მიაწერდა მას ნევროზის განმსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობას და თავისი ფსიქოანალიზური კონცეფციის ძირითად ცნებად თვლიდა. ამ კონცეფციის თანახმად შ. წარმოიშობა დათრგუნვილი ლიბიდოზური წარმოდგენების ენერგიისაგან, „ზე-მე"-ს /Super Ego/ მიერ ამ წარმოდგენების ქვეცნობიერში განდევნის შედეგად. რ-რც საშიშროების სიგნალი, ფროიდმა იგი განასხვავა რაციონალური ანუ რეალური შიშისაგან /1936/ და მას „სიღრმითი შიში" უწოდა. ნეოფროიდიზმს /ვ. ჰორნი, ე. ფრომი/ ზ. ფროიდის ამ კონცეფციაში შეაქვს შესწორება, შ-ს აფუძნებს სოციალურ მომენტებზე.

შ-ის ცნებამ განსაზღვრული როლი ფილოსოფიაშიც შეასრულა. პირველად ეს ცნება ს. კირკეგარდმა /1813-1855/ გამოიყენა; მისი აზრით, შ. „არარაობის" გრძნობით გამოწვეული „მეტაფიზიკური შიშია". შემდეგ მ. ჰაიდეგერმა /1889/ შ-ით გამოწვეული სევდის, „გულის გადალევის" საწყისად „არარაობის" გრძნობა, სიკვდილი აღიარა და ამ გაგებით შეიყვანა ეს ცნება თავის „ექსისტენციალურ" ფილოსოფიაში.

რელიგიური გრძნობებისათვის შ. აგრეთვე ფუნდამენტური ცნებაა. მას თვლიან ღვთის წინაშე შიშად.

სრულებით განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას ამერიკის ოპერაციონალისტური მიმდინარეობა /იხ. ოპერაციონალიზმი/. ამ მიმართულების შეხედულებით, შ-ის არსის ძიების მიმართულებებს არა აქვთ საზომი, მასშტაბი, რ-იც იტყოდა, სწორია თუ არა მათი დეფინიცია, ცნება კი მისი სისწორის ობიექტური მაჩვენებელის გარეშე, მეცნ. კვლევისათვის გამოუსადეგარია. ასეთი ობიექტური კრიტერიუმი კი მხოლოდ ოპერაციონალისტურ დეფინიციას შეუძლია წამოაყენოს. ოპერაც. დეფინიციით შ. არის ავტონომიური რეაქციის ნიმუში ორგანიზმისათვის ზიანის მომტან გაღიზიანებაზე. ასეთი გამღიზიანებელია მაგ., ელექტრული ნაკადი, რ-აც შეუძლია დააზიანოს ქსოვილი და რ-აც ინდივიდი აღიქვამს, რ-რც ტკივილს /განიცდის/. ოპერაციონალისტების აზრით ეს არის „უპირობო" რეაქციის ჩვეულებრივი სახე, ასეთი „უპირობო" რეაქცია უკავშირდება იმავე დროს მოქმედ რაიმე ნეიტრალურ გამღიზიანებელს, რ-იც ამ თანამონაწილეობის გამო თვით იქცევა ამ რეაქციის გამომწვევ „პირობით" გამღიზიანებლად; ეს უკანასკნელი კვლავ შეიძლება, თავის მხრივ, დაუკავშირდეს კიდევ სხვა ნეიტრალურ გამღიზიანებელს და გახადოს იგი პირობით გამღიზიანებლად, და ასე შემდეგ. ად-ნს მრავალი ასეთი გაუცნობიეოებელი „პირობითი" გამღიზიანებელი აქვს შეძენილი. ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა მოიძებნოს ის სპეციფიკური „უპირობო" გამღიზიანებელი, რომლის ბაზაზეც აღიზარდა შ-ის პირობითი რეაქცია. მაშინ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვავებას შიშსა და შინაგანად შეპირობებულ შ–ს შორის ძალა დაეკარგება. მათი განცხადებით, შ–ბის რეაქციის გამოწვევა შეიძლება სპეციალურად შერჩეული გამღიზიანებლით ისე, რ–რც მოშლა ამ „პირობითი“ რეაქციისა.

დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით შ–ის საფუძველი ოდესაც რეალური შიშის ღრმად ფიქსირებულ განწყობაში უნდა ვეძებოთ.

შრედერის კიბე – ოპტიკურ–გეომეტრიული ილუზიის ერთ–ერთი სახე. დაადგინა შრედერმა /1859/. ქვემოთ მოტანილი ფიგურა, იმისდა მიხედვით თუ რა მხრიდან ვუყურეთ მას, ან კიბის საფეხურების სახით განიცდება, ან რაიმე სხვა ფიგურად, ნახ. № 16.



ნახ. № 16.

შრომა – იხ. ქცევის ექსტეროგენური ფორმა.

შუალობის პრინციპი – იხ. უშუალობის პოსტულატი.

შუამდებარე ცვლადი – იხ. ბიჰევიორიზმი.

ჩ

ჩაწვდომა ანუ წვდომა /გერმ. Einsicht – წვდომა/ – ტერმინი გერმანულ ფს–გიაში შემოიტანა ვ. კელერმა. ნიშნავს საქმის ვითარების უშუალო გაგებას, მოკლენათა კავშირების, მიზეზებისა და შედეგების უშუალო წვდომას. ასეთი წვდომა ყოველთვის შეგუებულია ქცევის ამოცანასთან. ცნება ჩ. კელერმა დაამუშავა ანთროპოიდების გონიერების კვლევასთან დაკავშირებით. პირველი მსოფლიო ომის დროს ამ ცდებს იგი ატარებდა კუნძულ ტენერიფაზე. მშიერ მაიმუნებს ათავსებდა გალიაში. ჭერზე ჩამოკიდებული იყო ბანანი. იქვე ეყარა სხვადასხვა სიგრძის ჯოხები და სხვადასხვა სიდიდის კუთები. ბანანს მაიმუნი უშუალოდ ვერ სწვდებოდა, უნდა გამოეყენებინა ჯოხები და იმით ჩამოეგდო, –ან კუთები უნდა დაედგა ერთიმეორეზე და ამ გზით მისწვდომოდა საკვებს. ბევრს ეწვალა მაიმუნი, მაგრამ ვერც ჯოხი და ვერც კუთი ვერ გამოიყენა მიზნის მისაღწევად. მაიმუნი ჯოხებს რამდენიმე დღე ატრიალებდა – თამაშობდა. კელერის დაკვირვებით, ამოცანის გადაჭრა მოხდა არა „ცდისა და შეცდომის“ შედეგად, არამედ ამოცანაში ერთბაშადი ჩაწვდომის გზით: მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანი–ბანანი, საშუალება–ჯობი და ბანანისაკენ მიმართული გზა მაიმუნმა უცბად ერთ ველში აღიქვა, ერთ სტრუქტურულ მთლიანობაში და ამოცანის გადაჭრაც რამდენიმე სეკუნდში მოხდა. მაიმუნი „ჩასწვდა" სიტუაციას და პრობლემაც გადაჭრა. თითქოს იგი „მიხვდა", თუ რა უნდა გაეკეთებინა. ამ შედეგების საფუძველზე კელერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფილოგენეზური განვითარების მაღალ დონეზე /ად –ნის მსგავსი მაიმუნებისათვის/ დამახ. გონიერი ქცევა, რ–იც ფს–გიაში „პრაქტიკული აზროვნების" სახელითაა ცნობილი. /იხ. ცდისა და შეცდომის მეთოდი, პრაქტიკული აზროვნება/.

ჩვევა /რუს. навык.ინგ. habit,გერმ. Fertigkeit/–ჩვეულებრივი გაგებით: სწავლის გზით შეძენილი მოქმედება, რ–იც ხშირი გამეორების /გავარჯიშების/ შედეგად მუშავდება. დამახ. 1 /სტერეოტიპურობა–სრულდება ყოველთვის ერთი და იმავე სახით; 2 /ავტომატიზმი–მიმდინარეობს მექანიკურად, აზროვნების დაუხმარებლად; 3/ შეიცავს ჩვეულებაში გადასვლის ტენდენციას: დროთა ვითარებაში, ხშირი გამეორების შედეგად ის, რაც მიზნის მიღწევის საშუალება იყო, თვითონ ხდება მიზანი, ე. ი. იძენს მოთხოვნილების ხასიათს /მაგ., თამბაქოს მოწევა/; 4/ ემსახურება სუბ–ის „განტვირთვას" – მიმდინარეობს აზროვნების აქტებისა და ნებელობის დაძაბვის გარეშე ; 5 / სუბ–ის გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ჩვევა ქცევის შემადგენლობაში შედის და წარმოადგენს სიტუაციასთან შეგუების იარაღს.

ბიჰევიორისტულ ფს–გიაში ჩვევა გაგებულია რ–რც ყოველი სწავლის ძირითადი პრინციპები; სრულდება თანახმად სტიმულ–რეაქციის /S – R/ ფორმულა.ს, წარმოადგენს ჩვეულებრივ, კონდიციურ /პირობით/ რეფლექსს, მიმდინარეობს და; ყალიბდება „ ცდისა და შეცდომის" წესით /ე. თორნდაიკი და სხვა/; საერთოა ცხოველთა მთელი სამყაროსათვის.

ქართულ ფს–გიაში ჩ-ის პრობლემა ექსპერიმენტულად გამოიკვლია ფს–ემა ზ. ხოჯავამ. ამ ექსპერიმენტებით მიღებული შედეგებისა და|დ. უზნაძის „განწყობის თეორიის" საფუძველზე შემუშავებული მისი კონცეფცია ჩ–ის შესახებ რადიკალურად განსხვავდება ბიჰევიორისტული გაგებისაგან. მისი აზრით, 1. ჩ. არ არის სწავლის ერთადერთი შედეგი. სწავლის შედეგია აგრეთვე ცოდნის შეძენაც; 2. არ არის ერთნაირად დამახ. ცხოველთა მთელი სამყაროსათვის; 3. არ ეტევა „სტიმულ–რეაქციის" ფორმულაში; 4. „ცდა და შეცდომა" მხოლოდ |ადამიანს სპეციფიკაა. ცხოველი არასოდეს არ „სინჯავს", რადგან იგი ფაქტობრივად არც „ცდას აყენებს" და „არც ცდება"; 5. ყოველი ჩ–ის გამომუშავება ხდება ვარჯიშის გზით /ცურვის ჩვევის შეძენა/. სუბ. ვარჯიშის პროცესში თანდათან ამარტივებს მოქმედებას, ხვეწავს, არამიზანშეწონილს ტოვებს, აფიქსირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს მხოლოდ ზუსტ და უმოკლეს მოქმედებას; ის ბევრჯერ ცდება, მაგრამ ეს შეცდომაც დადებით როლს თამაშობს, მიუთითებს, თუ რ–ლი მოქმედებაა მცდარი და რ–ლი საჭირო; 6. ერთხელ დაფიქსირებული ჩვევა იზოლირებული, დამოუკიდებელი მოქმედებაა, რ–იც ქცევის სხვადასხვა ფორმაში შედის /ამას სუბ–ის მიზანი განსაზღვრავს/; 7. რეალურად არსებობს მხოლოდ აზრის შემცველი სხვადასხვა ქცევა. მასში ჩართული ქცევითი მოქმედება წარმოადგენს ამ ჩვევის შესრულების „ტექნიკურ საშუალებას"; 8. ჩ., რ–რც ოპერაცია, არ გადადის ჩვეულებაში; ჩვეულებაში გადადის ქცევა, რ–რც გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფიქსირებული ფორმა, ე. ი. **ჩვეულება არის მოთხოვნილებად ქცეული ქცევა**; 9. ჩ. ისე, რ–რც ყოველი სხვა მოქმედება, გარკვეული „განწყობის" საფუძველზე წარმოიშობა; 10. სულ სხვაა სწავლით მიღებული ცოდნა. იგი ასახავს ობიექტურ ვითარებას, არის ცნებათა სისტემის ლოგიკური წევრი და ფუნქციობს მსჯელობისა და დასკვნის /აზროვნების/ პროცესებში.

ჩვენების ფსიქოლოგია – სასამართლო ფს–გიის დარგი, შეისწავლის მოწმის ჩვენების სისწორეს, მის საიმედოობას, დოკუმენტურობას. ჩ–ის ფს–გიას საფუძველი ჩაუყარა ფს–გმა ვ. შტერნმა. (1903–1905 წწ. ის სცემდა სპეციალურ ჟურნალს „ჩვენების ფსიქოლოგიის საკითხისათვის").

ცნება „ჩვენება" ნიშნავს წარსულში მომხდარი რაიმე მოვლენის ან საქმის ვითარების სიტყვიერ აღწერას მ ო გ ო ნ ე ბ ი ს საფუძველზე. მოწმის ჩვენებაზე, რ–რც საბუთზე, დამოკიდებულია სასამართლოს პრაქტიკა. მიტომ ჩვენებას მოეთხოვება მომხდარი მოვლენის შინაარსი წარმოადგინოს სრული სიზუსტით, მის ბუნებრივ მიმდინარეობაში; გაგვაცნოს საქმის ვითარება, რ–რც პირი მომხდარი ფაქტისა.

მაგრამ ცნობილია, რომ მოგონება ერთგვარად სახეს უცვლის წარსულს. ექპ–ულადაც დადასტურებულია, რომ მომხდარი ფაქტის სრული სიზუსტით აღდგენა ჩ–ში თითქმის მიუღწეველია. ჩ–ბის ფს–გიის საგანს იმ ფაქტორების შესწავლა შეადგენს, რ–თაც ცვლილებები შეაქვთ მოგონებაში.

ასეთად მიჩნეულია: 1/დროის ფაქტორით გამოწვეული ცვლილებები მეხსიერების შინაარსში. მეხსიერება რ–რც დროის ფუნქცია, დამოკიდებულია მომხდარი ფაქტის ხანიერობაზე. 2/ შთაგონებითი კითხვებით გამოწვეული ცვლილებები; 3/ მოვლენის ესთეტიკური გაფორმებისადმი და საერთოდ ინტელექტუალიზაციისადმი და ფანტაზირებისადმი მიდრეკილების როლი; 4/საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა. განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს ბ–ვის ჩ–ისადმი ნდობის საკითხი. ბ–ვის ჩ–ის სისწორე დამოკიდებულია აღზრდაზე, გარემოზე, ასაკზე, განვითარების დონეზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მაგ; აქვს თუ არა ბ–ვს განვითარებული ესა თუ ის ცნება, რამდენად სწორად იყენებს გამოთქმებს: გუშინ", „ერთი თვის წინ", „ერთი წლის წინ" და სხვა. ასაკთან დაკავშირებულია ბ–ვისათვის და სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაა. აღნიშნული ფაქტორები მოგონებაში მომხდარ ცვლილებებს განსაზღვრავენ. ჩ–ბის ფს–გია ითვალისწინებს ავრეთვე მოვლენის ა ღ ქ მ ი ს საკითხსაც: ყურადღების როლს აღქმაში, აღმქმელი სუბ–ტის შინაგან მდგომარეობას, მის განწყობებს, პიროვნულ თვისებებს, პირად დაინტერესებას და სხვა.

ჩვეულება –იხ. ჩვევა.

ც

ცდისა და შეცდომის მეთოდი /ინგლ. trial and error – ცდა და შეცდომა, გერმ. Versuch und Irrtum / – ცხოველის ქცევის კვლევის ექსპერ. მეთოდი, გულისხმობს ავრეთვე ყოველი სწავლის ზოგად პრინციპს. რ–რც ცხოველის ქცევის ძირითადი პრინციპი, თავდაპირველად წამოაყენა კ. ლ. მორგანმა. რ–რც ქცევის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი განვითარდა ამერიკაში. აშშ–ის ფს–გიის ბიჰევიორისტული მიმართულების წარმომადგენელთა აზრით, იგი არის „სწავლის" ფს–გიური კვლევის ერთადერთი ობიექტური მეთოდი. მდგომარეობს შემდეგში: მშიერ ცხოველს საჭმლის მოსაპოვებლად უქმნიან გართულებულ სიტუაციას „/პრობლემურ სიტუაციას/". სანამ ცხოველი საჭმელს დაეუფლებოდეს, უნდა გაიკვლიოს გზა მხედველობის არეში მოცემულ, მაგრამ მისაწვდომად ძნელ პირობებში მოთავსებული საჭმლისაკენ. ამის შესასრულებლად მას არ გააჩნია მზა–მზარეული სამოქმედო აპარატი, ინსტინქტით ან წინასწარი ვარჯიშით შემუშავებული ქცევა. ამოცანას სწორედ ასეთი ქცევის შემუშავება და მისი დასწავლა შეადგენს. (იხ. პრობლემური ყუთის მეთოდი, ლაბირინთის მეთოდი). ცხოველი იწყებს სვლას საჭმლისაკენ. მრავალ მცდარ მოძრაობათა შორის შემთხვევით გამოერევა ერთ–ერთი „შედეგიანი", ე. ი. მიზანშეწონილი მოძრაობა, რომლის შედეგად ცხოველი მისწვდება საჭმელს და დაეუფლება მას. ამის შემდეგ სულ უფრო ხშირად სრულდება ეს „შედეგიანი" მოქმედება და მცდარ მოძრაობათა რაოდენობა პროგრესულად კლებულობს. მოლოს დადგება მომენტი, როდესაც ცხოველი არ იმეორებს არც ერთ მცდარ მოძრაობას და თავიდანვე, პირველივე მოძრაობით აღწევს მიზანს, –ე. ი. მან „ისწავლა" ამოცანის სწორად გადაჭრის ხერხი. 2 - „ცდა და შეცდომა", ბიჰევიორისტების შეხედულებით, ნათლად გვიჩვენებს თუ როგორ ხდება „სწავლა". შედეგიანი მოძრაობა /მაგ., ყუთიდან კარის გაღება/ დადებით **უკუზეგავლენას** ახდენს იმ მოძრაობაზე, რ–მაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველი დადებით შედეგთან მიიყვანა. იგი გამოეყოფა სხვა მოძრაობებს და მიინიშნება ცხოველის მიერ. მოძრაობათა შემდეგ სერიაში ეს შედეგიანი მოძრაობა უფრო ადვილად მიიღწევა და ბოლოს ფიქსირდება კიდეც /ამ მოვლენას ე. თორნდაიკმა მოქმედების „მომდევნო ეფექტის კანონი" უწოდა/. არა შედეგიანი მოძრაობები კი სავსებით აღიკვეთება.

„ცდა და შეცდომა", ბიჰევიორისტების შეხედულებით, არის ცხოველის ყოველ სწავლის ძირითადი პრინციპი, მას მოქმედების „მომდევნო ეფექტის კანონი" განსაზღვრავს. ამ აზრით, ცხოველის მიღწევა და სწავლა ხორციელდება არა „ჩაწვდომის" /Einsicht/, ან გააზრების, გონებრივი აქტების შედეგად, არამედ მექანიკურად, „ცდისა და შეცდომის" პროცესში, მიზანშეწონილი მოძრაობის დადებითი უკუზეგავლენით გამოწვეული ეფექტის შედეგად. /იხ. მომდევნო ეფექტის კანონი", – სწავლა/.

ცდისპირი /შემოკლებით „ცპ"/ – ეწოდება იმ პირს, ვისზეც ატარებენ ფს–გიურ ექსპერიმენტს.

ცელნერის ილუზია – ოპტიკურ–გეომეტრიული ილუზიის ერთ–ერთი სახე. დაადგინა ტ. ცელნერმა, პარალელური ხაზები არაპარალელურად გვეჩვენება, თუ თითოეულ მათგანს პატარა პარალელური დახრილი ხაზები კვეთენ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით. /იხ. ნახ. 17/.



ნახ. № 17

ცენზურა /ლათ. censura – მკაცრი შეფასება/ – ზ. ფროიდის მიერ შემოტანილი ცნება „არაცნობიერი ფს–კურის" თეორიაში. ცნობიერების სტრუქტურის ერთ–ერთი ინსტანცია, რ–იც აკონტროლებს და აკავებს „იგი"–ს სფეროდან მომდინარე მისწრაფებებსა და სურვილებს; ც. ცნობიერებისათვის მიუღებელ შინაარსებს არ უშვებს ცნობიერებაში, დევნის მათ გარეთ ქვეცნობიერში, არეგულირებს „მე"–სა და „არაცნობიერს" შორის დამოკიდებულებას. ც–ის ეს მუშაობა მიმდინარეობს არაცნობიერად, მისი ძოქმედების შესახებ სუბ–მა არაფერი იცის. ც–ის მოქმედება განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებით ინტენსიურია და აქტიური სუბ–ტის ძილის პერიოდში, როცა ცნობიერება მოხსნილია და „სიზმრის ლატენტური შინაარსები“ ისწრაფ - ვიან შემოიჭრან სიზმრის ცნობიერებაში.

ცენტრალური ნერვული სისტემა /ც. ნ. ს./ – ნ. ს–ის უმნიშვნელოვა- ნესი ნაწილი. შედგება თავისა და ზურგის ტვინისაგან. თავის ტვინში განასხვავებენ: 1. ტვინის ღეროს, რ–იც შეიცავს მოგრძო ტვინს, ვაროლის ხიდს, შუა ტვინსა და შუამდებარე ტვინს. 2. დიდი ტვინის ჰემისფერო - ებს /მანტიას/ და 3. ნათხემს. თავის ტვინი მოთავსებულია თავის ქალა - ში. ზურგის ტვინი მოთავსებულია ხერხემლის არხში, იგი მოგრძო ტვინის უშუალო გაგრძელებაა.

ც. ნ. ს–ის ევოლუციის უმნიშვნელოვანეს ეტაპს თავის ტვინის ქერ - ქის წარმოშობა წარმოადგენს, რ–იც ყველაზე მეტად განვითარებული აქვს ადამიანს. ფილოგენეზურად ტვინის ეს ნაწილი ყველაზე გვიანი წარ- მოშობისაა, ამიტომ თავის ტვინის ჰემისფეროებს აგრეთვე ახალ ტვინს /neencephalon – ს/ უწოდებენ.

ც. ნ. ს. –ის ფუნქციის განვითარება ხდება იმ პრინციპით, რომ მო- გვიანებით წარმოშობილ ნაწილს ექვემდებარება ტვინის უფრო ძველად ფორმირებული განყოფილება.

ც. ნ. ს–ის სფეციფიკურ და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას რეფლექსუ- რი მოქმედება შეადგენს. ც. ნ. ს. ასრულებს და არეგულირებს ნერვული მოქმედების მრავალ სახეს. რეფლექსური მოქმედების ყველაზე მნიშვნელო- ვან და რთულ ფორმას უმაღლესი ნერვული მოქმედება წარმოადგენს. მას ასრულებს თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქი და ტვინის ქერქქვე- შა წარმონაქმნები.

ც. ნ. ს.–ის მოქმედება ფსიქიკის ფიზიოლოგიური საფუძველია.

ცერებროტონიკური ტემპერამენტი /ლათ. cerebrum – თავის ტვინი, და ბერძ. tonos – დაძაბვა/ –ვ. შელდონის კლასიფიკაციით ტემპერამენ- ტის ერთ–ერთი ტიპი /იხ. სხეულის აგებულების ტიპები/. შეესატყვისება სხეულის „ექტომორფულ აგებულებას“, ახლო დგას კრეჩმერის „შიზოთიმიკურ“ „ტემ- პერამენტთან“. დამახ. ადვილი აგზნებადობა, აგზნების ადვილი შეფერ - ხება. ამის შესატყვისად დამახ. მუდმივი შინაგანი დაძაბულობა, ინტრო- ვერსია, თავისი განცდების დამალვა, სოც. გარემოსთან გაძნელებული კონ- ტაქტი.

ციკლოთიმიკური ტემპერამენტის ტიპი /ბერძ. kiklos – წრე, thy - mos – გუნება, განწყობილება/ – ე. კრეჩმერის მიხედვით, ჯანმრთელი ად–ნის ნასიათისა და ემოციურ–აფექტური სფეროს /ტემპერამენტის / ერთ–ერთი ტიპის აღმნიშვნელი ცნება. კრეჩმერის კლასიფიკაციით შეე- სატყვისება პიკნიკური სხეულის აგებულებას /იხ. სხეულის აგებულების ტიპები/.

ც. ტ.–ში ძირითადი და არსებითია **ციკლური სახის რხევადობის** ტენდენცია /მხიარულ – სოციოფილურსა და დეპრესიულ–სოციოფობიურ სულიერ განწყობილებათა შორის /მონომანია, დეპრესია/. ეს რხევადობა ჯანმრთელ ადამიანებში „დიათეზური პროპორციის" მიმართების საფუძველზე [illegible]ნარეობს და მრავალ ვარიაციულ სახეს ქმნის.

ც. ტ. ტის ადამიანი მეტწილად ჰარმონიული პიროვნებაა, სასიამოვნო განცდებისაკენ მიდრეკილი, სიცოცხლისა და ადამიანების მოყვარული, ემპირიკი, მხიარული, საზოგადოებრივი, კონტაქტური, გარემოს აწმყო ინტერესებთან შერწყმული, ექსტრავერტული, ცოცხალი ფს–კური ტემპის, გაბედული, საქმიანი. ამის საწინააღმდეგო პოლუსზე ადამიანი თავისი თავისკენ მიმართული, მძიმე სულიერი განწყობილების, განრისხების კენ მიდრეკილი, სევდით მოცული, შეკავებული ფს–კური ტემპის პიროვნებაა. მაგრამ ორსავე შემთხვევაში /მხიარულ–სოციოფილური და დეპრესიულ–სოციოფობური/ პოლუსების პიროვნებები ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანები არიან. მათი სულიერი განწყობილება, გარემოსთან დამოკიდება ბუნებრივად მიმდინარეობს, ქცევა ნორმის ფარგლებს არ სცილდება.

ც. ტ.–ს, ფსიქოპათ ადამიანებში შეესატყვისება „ციკლოიდური" ტემპერამენტის ტიპი.

ციკლოიდ ანუ ციკლოიდური ტემპერამენტის ტიპი – ფსიქოპათი ადამიანების ხასიათისა და ემოციურ–აფექტური სფეროს /ტემპერამენტის/ ერთ–ერთი ფორმის აღმნიშვნელი ცნება. ჯანმრთელ ად–ნებში მისი შესატყვისია ციკლოთიმიკური ტემპერამენტის ტიპი. თუ ციკლოთიმიკური ტიპის ად–ნებში, ჰარმონია– დეპრესიის პოლუსთა შორის რხევადობა /დიათეზური პროპორცია/ რბილად მიმდინარეობს და ნორმალური ქცევისა და განცდის ფარგლებიდან არ გადის, ციკლოიდური ტიპის შემთხვევაში დიათეზური პროპორცია მკვეთრადაა გამოხატული, საწინააღმდეგო პოლუსების დაპირისპირება ავად–ფურ მდგომარეობას /ციკლოფრენიას/ ესაზღვრება და ძლიერი ფორმით ვლინდება. ციკლოფრენიით დაავადების მდგომარეობაში მიმართება ამ პოლუსთა შორის მანიაკურ – დეპრესიული ფორმით ვითარდება. ე. კრეჩმერმა სწორედ ციკლოფრენიით დაავადების საფუძველზე ააგო, რ–რც ციკლოთიმიკური, ისე–ციკლოიდური ტიპები.

ცირკულარული ფსიქოზი ანუ ციკლოფრენია /ლათ. circulatio – მიმოქცევა/ –იგივეა, რაც მანიაკურ–დეპრესიული ფსიქოზი.

ცნება – არათვალსაჩინო ცოდნა ანუ აზრი საგნისათვის დამახ. არსებითი ნიშნების შესახებ. მუშავდება ლოგიკურ–ვერბალური აზროვნების გზით და ამიტომ იგი მის ერთ–ერთ ფორმას წარმოადგენს. ც. გან -

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვავდება ზოგადი წარმოდგენისაგან. „ზოგადი წარმოდგენა მხოლოდ იმ ნიშნებს შეიცავს, რ–იც საგანთა ჯგუფის ყველა ეგზემპლარს აქვს, ე. ი. ზოგად ნიშნებს. ცნება ზოგად ნიშნებს კი არ შეიცავს, არამედ არსებით ნიშნებს, ე. ი. იმ ნიშნებს, რ–იც აუცილებელია და ძირითადი ყველა იმ ობიექტისათვის, რ–აც ეს ცნება ეხება“ /დ. უზნაძე/. მაგ. წრის ზოგად წარმოდგენაში განიცდება წრის თვალსაჩინო ნიშნები – სიმრგვალე, ფორმა. წრის ცნება კი გულისხმობს მიმართებას წრის წერტილებსა და მის ცენტრს შორის. ეს მიმართება წრის აღქმაში მოცემული არ არის, მას აზროვნების საშუალებით ვწვდებით, ამიტომ იგი არათვალსაჩინო განცდა ანუ აზრია. ც–ის შინაარსი არც აღიქმება და არც წარმოიდგინება, იგი მხოლოდ აზროვნებით მიიწვდომება და არსებობს რ–რც აზრი. მაგ., ათასკუთხედი, რ–რც ცნება, კანონიერია, მაგრამ, რ–რც წარმოდგენა იგი არ არსებობს, იგი არ წარმოიდგინება. ცნების შინაარსი ყოველთვის აბსტრაქტულია, წარმოდგენისა კი – კონკრეტული. ზოგადი წარმოდგენისა და ცნების შემუშავების გზებიც განსხვავებულია: ზოგადი წარმოდგენა რ–იმე საგანზე ამ საგნის მრავალჯერ აღქმის შედეგად მუშავდება, ეს პროცესი მექანიკური პროცესია, რ–იც აზროვნებას არ საჭიროებს და ასოციაციის გზით ხორციელდება. ცნების შემუშავების პროცესი კი აზროვნების პროცესია და სუბ–ის მონაწილეობას გულისხმობს.

ცნების შემუშავება შემდეგ საფეხურებს გაიელის: 1. პრობლემის დასმა და დაკვირვება: ც–ის დადგენას ზოგადი წარმოდგენისაგან განსხვავებით, ყოველთვის გარკვეული შემეცნებითი ამოცანა უძღვის წინ; ამ ამოცანის გადასაჭრელად ხდება დაკვირვება შესასწავლი სინამდვილის მოვლენებზე, მათ დამახ. ნიშნებზე. 2. აბსტრაქცია: დაკვირვებით დადასტურებული ნიშნებიდან შესასწავლი მოვლენისათვის დამახ. ნიშნების გამოყოფა. განზოგადება: დამახ. ნიშნებიდან ზოგად–არსებით ნიშანთა გამოყენება. 3. სახელდება: გამოყოფილ ნიშანთა სახელდება, სიტყვის საშუალებით, მათი სინთეზი, , გაერთიანება; სიტყვა აზრის დასაყრდენი სუბსტრატია, რ–იც მას ცნებად აქცევს. /ამიტომ ც–ბის შემუშავებას აგრეთვე ვერბალურ–ცნებით აზროვნებას უწოდებენ/.

არსებობს ცნების შემუშავების მეორე გზაც, რ–იც უკვე შემუშავებული, მაგრამ სუბ–ტისათვის უცნობი ც–ბის წვდომას წარმოადგენს; ე. ი. როცა სუბ–ტს ესმის სიტყვა, რ–რც ბგერათა კომპლექსი, მაგრამ მისი შინაარსი მისთვის უცნობია, ასეთ შემთხვევაში იგი ეუფლება ანუ წვდება უკვე შემუშავებულ ცნებას შემდეგი გზით: აკვირდება, თუ რა და რა სიტუაციაში რა მნიშვნელობით იხმარება მისთვის უცნობი სიტყვა და ამ გზით ადგენს მის აზრს, შინაარსი. ეს პროცესი, ისე, რ–რც ც–ბის შემუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაევების ზემოთ განხილული საფეხურები, გულისხმობს სუბ. მიერ პრობლე-
მის დასმას და დაკვირვებას.

ცნების ფუნქციური ეკვივალენტი — იხ. ზოგადი წარმოდგენა.

ცნობა — პასიური მეხსიერების ისეთი ფორმა, როცა სუბ-ტი კონკრე-
ტულ საგანს აღიქვამს, რ-აც თან ახლავს იმისი განცდაც, რომ იგი მას
წარსულშიც ჰქონია. მაგ., შევხვდი კაცს და მახსენდება, /ვცნობ/, რომ
ეს ის კაცია, რ-იც ამას წინათ თეატრში ვნახე. ც. წარსულში მიღებული
აღქმის აწმყოში განმეორებითი აღქმაა. ც. ისეთი აღქმაა, რ-აც თან ახ-
ლავს „ნაცნობობის გრძნობა" /ვ. ვუნდტი, ჰ. ჰეფდინგი/. იხ მეხსიერება.

ცნობა როგორც დასწავლის მეთოდი — იხ. დასწავლის მეთოდები.

ცნობიერება — მეცნ-ში სხვადასხვა მნიშვ-ბით იხმარება: 1/ რ-რც
ობიექტური სინამდვილის იდეალური ასახვა, გაგება და მეცნ-ული შემეცნე-
ბა, მასში მიმდინარე პრო-სებისა და მოვლენების წედომა. ძირითადად ამ
მნიშვ-ბით იხმარება ცნება ც. ფილოსოფიაში. 2/ ც. იხმარება აგრეთვე
შეგრძნების მნიშვ-ბით რ-რც „შეუგნებლობის" საპირ. ცნება. ამ გაგებით, ცნო-
ბიერი მოქმედება ეწოდება ისეთ მოქმედებას, რ-შიც სუბ-ტს გათვალისწი-
ნებული აქვს თავისი მოქმედების მიზანი, საშუალებები და მისი შესაძლო
შედეგები, 3/ იხმარება აგრეთვე „საზოგადოებრივი" ც-ის მნიშვ., რ-შიც
იგულისხმება: 1/ აქვს თუ არა სუბ-ს იდეოლოგიური, პოლიტიკური, ეკონო-
მიკური, ზნეობრივ-უფლებრივი, კლასობრივი, ნაციონალური და სხვა სა-
ზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, განცდა ანუ ც. 4/ მეცნიერულ ფს-
გიაში ცნება ც. სხვა, სპეციფიკური მნიშვნელობითაც იხმარება, იგი ნიშ-
ნავს უშუალო, ურეფლექსიო ცოდნას, რ-იც თან ახლავს ყოველ კონკრეტ-
ულ განცდას- შეგრძნებას, აღქმას, წარმოდგენას, დასმომდა- მოგონებ-
ის აქტებს, გრძნობა-ემოციას, აზრს, ინტერესს, სურვილს, მისწრაფებას,
ე. ი. ყოველ ფს-კურ პროცესს. მაგ., როცა მე სიამოვნებას განვიცდი, მე
არა მარტო მაქვს ეს განცდა, არამედ კიდეც ვიცი, რომ ის მაქვს. ამ შემ-
თხვევაში განცდა და მისი ჩემში არსებობის ცოდნა ორ ცალკეულ მოვლენ-
ას კი არ წარმოადგენს, არამედ ერთ განუყოფელ მთელს. ც., ამ შემთხვე-
ვაში, ისეთი ცოდნა კი არ არის, რ-აც ჩვენ დისკურსიული აზროვნების
საშუალებით ვიძენთ, არამედ ისეთი, რ-იც თვით განცდის ფაქტშია უშუა-
ლოდ მოცემული და რ-ლის გამოყოფას მხოლოდ ანალიზის გზით ვახერხებთ.

ც. გარკვეული სტრუქტურის მქონეა: 1/ სუბ-ის ფსიზლად არსებობის ყოველ
მომენტში ც. მისი ყველა განცდის მთლიანობასა და ერთო-
ბლიობას წარმოადგენს. ც-ის მთლიანობა არსებითად განსხვავდება ბუნება-
ში არსებული ყოველი სხვა მთლიანობისაგან; ის პირველადი, განცდადი მთლი-
ანობაა, არსაიდან არ გამოიყვანება, მასში შემავალი ყოველი განცდა ამ მთლია-
ნობის კანონზომიერებას იზიარებს, მის დაღს ატარებს და მის გარეშე არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობა არ გააჩნია. 2/ ც–ის არსებითად დამახ. თვისებაა აგრეთვე დ ი ნ ა მ ი კ უ რ ო ბ ა: ც–ში განცდები განუწყვეტლივ ცვლიან ურთიერთს, მისი შინაარსი ნაკადივით დენადია. ც–ბის ამ თვისებას ამერიკელმა ფს–გმა და ფილოსოფოსმა უილიამ|ჯეიმზმა |„ცნობიერების ნაკადი" უწოდა: ეს დახასიათება ც–ს დღემდე|შერჩა. 3/ ც – ისათვის დამახ. აგრეთვე უწყვეტობა: ბუნებრივ ძილში, ჰიპნოზურ მდგომარეობაში, გულწასულობის დროს ც–ბის მიმდინარეობა თითქოს წყდება, მაგრამ აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ მყარდება კავშირი წარსულის განცდებთან, რაც საფუძვლად ედება „მე"–ს ივივეობას, უწყვეტობას და ერთიანობას, ე. ი. თვითცნობიერებას. ამრიგად, „მე"–ს ცნობიერება ივივეა, რაც|თვითცნობიერება.

ესა თუ ის განცდა ყოველთვის არ არის ერთნაირად ცხადი და ნათელი, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს ცნობიერების განსხვავებული საფეხურები. ეს ფაქტი ექსპერიმენტულადაც დადასტურდა /|ვესტფალის ცდები/.

|იდეალისტურ ფილოსოფიასა და ფს–გიაში ც. წარმოდგენილია რ–რც დამოუკიდებელი სულიერი სუბსტანცია. მარქსისტულ–მატერიალისტური ფს–გიის თანახმად კი ც. გაგებულია, რ–რც თავის ტვინის თვისება და ფუნქცია, რ–იც გაჩნდა მატერიის განვითარების უმაღლეს საფეხურზე და ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს.

ცნობიერების გახლეჩა–ცნობიერების შეცვლის ერთ–ერთი სახე, რ–ლის ფარსაც ავად. უჩივის საკუთარი „მე"–ს გაორებას: ერთდროულად განიცდის ორ „მე"–ს, რ–თაგან თითოეული განსხვავებულად აღიქვამს მოვლენებს, განსხვავებულად|აზროვნებს და|განსხვავებულად მოქმედებს. ითვლება ფს–კური დაავადების ერთ–ერთ სიმპტომად.

ცნობიერების მდგომარეობა /გერმ. | Bewusstseinslage /–ვიურცბურგის სკოლაში დამკვიდრებული ცნება, /განსაკუთრებით დაამუშავა კარლ მარბემ/, რ–რც ერთ–ერთი არათვალსაჩინო განცდის სახელწოდება.

არათვალსაჩინო შინაარსის /აზრი, ცოდნა/ სპეციფიკას ნიშანთა სიღარიბე შეადგენს, რის გამოც მისი აღწერა და სახელდება ძნელდება. ვიურცბურგის სკოლაში ცპ–ები, ფს–გიური ექსპერ–ის პროცესში, თვითდაკვირვების საფუძველზე ადასტურებენ, რომ მათ აქვთ ემოციური ტონით შეფერილი ერთგვარი ინტელექტუალური განცდა, რ–ის დაწვრილებით აღწერა და დაზუსტება არ შეუძლიათ /|ასეთია. მაგ., ეჭვის, დარწმუნებულობის, ცნობის და სხვა განცდა/. ასეთ განცდას კარლ მარბემ „ცნობიერების მდგომარეობა" უწოდა.

ცნობიერების მოვლენათა კლასიფიკაცია– ივივეა, რაც ფს–კურ მოვლენათა კლასიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერების სიგიწრე /გერმ. Bewusstseinsenge/– ეწოდება ცნობიერების მოცულობის განსაზღვრულობას დროის ერთ მონაკვეთში. ტაქისტოსკოპური ექსპერ–ით დადასტურებულია, რომ სუბ–ს ერთდროულად შეუძლია აღიქვას 4–დან 6.–შდე მარტივი შთაბეჭდილება /ასოები ან ციფრები/, ამაზე მეტ ელემენტს ერთდროულად ცნობიერება ვერ იტევს. ხოლო თუ აღქმის შინაარსი რთულია, მაშინ ცნობიერება მარტო ერთი შინაარსით, ერთი შთაბეჭდილებით ისაზღვრება. მაგ., სუბ–ს არ შეუძლია ერთდროულად აკეთოს ორი სხვადასხვა რთული საქმე, ვთქვათ, გამოიყვანოს რაიმე მათემატიკური ამოცანა და იმავე დროს|იმსჯელოს სერიოზულ საქმეზე. ამ გაგებით, ც. ს. არსებითად იგივეა, რაც ყურადღების მოცულობა.

ცნობიერების სტრუქტურა – იხ. ცნობიერება.

ცნობიერების შემოქმედებითი სინთეზის პრინციპი – ე. ვუნდტის ფს–გიური კონცეფციის ერთ–ერთი ძირითადი ცნება. ვუნდტის შეხედულებით, ფს–გიაში მიღებული ასოციაციის პრინციპი ვერ ხსნის აღქმის პროცესში შეგრძნების ჯამიდან ახალი მომენტის წარმოქმნის ფაქტს. ელემენტთა უბრალო გაერთიანება ვერ ქმნის ფს–კურ სტრუქტურებს, რ–აც შეგრძნების შედეგად ვღებულობთ, რ–რც აღქმას. ეს უკანასკნელი არ არის ელემენტებისაგან მექანიკურად შედგენილი ჯამი, არამედ მათ ჯამზე მეტია. საგნის აღქმას, შეგრძნების პროცესში, ერთვის კიდევ ახალი მომენტი – საგნის მთლიან–სტრუქტურული სახე, რ–იც ამ ჯამში ელემენტად არ შედის. მელოდია არ უდრის მასში შემავალი ტონების /ბგერების/, რ–რც ელემენტების ჯამს, არამედ იგი შეიცავს კიდევ რაღაც სხვას და ახალია, ეს ახალი და სხვა მელოდიის აღქმის სტრუქტურაში ვ. ვუნდტის აზრით შექმნილია აღმქმელი სუბ–ს მიერ, ცნობიერების „შემოქმედებითი" სინთეზით. ელემენტებიდან საგნის სტრუქტურის აგების პროცესში, შემმეცნებელი სუბ–ს აქტუალურ დამოკიდებულებას საგანთან, შეაქვს თავისი საკუთარი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი წვლილი: ქმნის ამ ელემენტებისაგან მთლიან და ერთიან სტრუქტურას. აღქმის პროცესში სუბ–ს ამ აქტიურ შემოქმედებით დამოკიდებულებას საგანთან უწოდებს ვუნდტი „ცნობიერების შემოქმედებითი სინთეზის პრინციპს". /იხ. სინთეზი, აქტუალობის თეორია/.

ცნობიერობა /გერმ. Bewusstheit/ – 1. ნ. ახის მიერ შემოტანილი ცნება. ენათესავება „ცნობიერების მდგომარეობას" /იხ./. ახის გადმოცემით ფს–გიური ექსპერ–ის პროცესში სუბ–ები დავალებას, (მაგ., რაიმე ამოცანის გადაწყვეტას, მიმატებას ან გამოკლებას) ასრულებდნენ ინსტრუქციის მიხედვით, რ–რც კი ამისათვის სიგნალს მიიღებდნენ ექსპერიმენტატორისაგან. მისი აზრით, ასე ერთბაშად /დაუფიქრებლად/ დავალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესრულების დაწყება მათ იმიტომ შეეძლოთ, რომ წინასწარ ჰქონ - დათ ინსტრუქციით შემუშავებული „ცნობიერების“ ერთგვარი მდგომარეობა, რ–აც მან ამოცანის ცნობიერობა უწოდა. /იხ. ვიურცბურგის სკოლა/. 2. ცნობიერების აქტ–ის მიმართვა საგანზე, რაც იგივე ხედვაა; იგი ხედვის აქტია თვითონ.

ცნობისმოყვარეობა – იხ. ქცევის ესტეროგენური ფორმა.

ცხოველის ფსიქოლოგია – ფს–გიის ერთ–ერთი დარგი. იკვლევს ცხოველის გონიერების საკითხს: არის თუ არა ცხოველი გონიერი არსება, თავისი ქცევის შემოქმედი სუბ., ნაწილობრივ მაინც. ც. ფ–ის მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა მემკვიდრეობით მიღებულ თვისებათა ცვალებადობის საკითხია.

მე–19 ს–ში ცხოველის ცხოვრებაზე წერდნენ ა. ბრემი, ლ. ბიუხნერი, ე. ჰეკელი, ს. კარუსი, ჰ. ლოიდ–მორგანი და სხვ. მაგრამ ყველაზე დიდი გავლენით ჩ. დარვინის /1809–1882/ გამოკვლევები და თეორია სარგებლობდა. ცხოველის ცხოვრების კრიტიკული განხილვა და მეცნიერული გაანალიზება მაინც მხოლოდ მე–20 ს–დან დაიწყო.

ცხოველთა კვლევის ისტორიას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია გასდევს: 1. ცხოველის ქცევის გაგება ადამიანის ქცევის ანალოგიით –ანთროპომორფიზმი და 2. რ. დეკარტის სწავლების შესატყვისად, ცხოველის ავტომატის მსგავსად გაგება, მისი ქცევის დამსგავსება მანქანურ-მოქმედებასთან.

ცხოველის გაადამიანების წინააღმდეგ ჯერ კიდევ ლოიდ–მორგანმა წამოაყენა /1890/ დებულება: ცხოველის ქცევა „არ უნდა ავხსნათ მაღალი ფს–კური თვისებებით, თუ მისი ახსნა დაბალი ფუნქციით შეიძლება“.

მე–20 ს–ში ცხოველის ფს–გიური კვლევა მიმდინარეობს ობიექტური მეთოდით, რ–რიცაა „პირობითი რეფლექსის მეთოდი“ ბიჰეიორისტული მიმდინარეობის ობიექტური მეთოდები /„ლაბირინთის მეთოდი“, „პრობლემური ყუთის მეთოდი“, „ ცდისა და შეცდომის მეთოდი“/.

აღსანიშნავია ვ. კელერის ცდები მაიმუნზე. ამ შემთხვევაში ისე, რ–რც ყველა ზევით დასახელებულ მეთოდში, ად–ნის მონაწილეობა ცდის პროცესში გამორიცხულია, ცხოველის მიღწევის შეფასება ევალება ად–ნის უშუალო დაკვირვებას.

რაც შეეხება მემკვიდრეობით მიღებულ თვისებათა ცვალებადობის საკითხს, ზოგი მკვლევარი იზიარებს ინსტინქტის შეზღუდულ /ნაწილობრივ/ პლასტიკურობას /ვ. ლორენცი, ნ. ტინბერგენი/, მათი აზრით ინსტინქტური მოქმედების ერთ ნაწილს შეიძლება პლასტიკურობა ახასიათებდეს, მეორეს – არა, ეს მათ ასე ესმით: მთლიანი ქცევის პირველი ნაწილი / ე. წ. აპეტენცური ქცევის დასაწყისი/ შეიძლება კონკრეტულ პი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებს შეეგუოს, ამდენად ინსტინქტი პლასტიკურია, ხოლო ქცევის მეორე ნახევარი – საბოლოო ქცევა – სრულებით უცვლელია. მაგ., ჩიტის ბუდის აგების პირველი ნახევარი, – ბუდისათვის ადგილის არჩევა და საშენი მასალის შერჩევა, – შეიძლება მოცემულ კონკრეტულ პირობებს შეეგუოს, ხოლო ბუდის საბოლოო სახე, უსათუოდ მემკვიდრეობითი რეცეპტით აგება, ნებისმიერ პირობებში.

ცხოველური მაგნეტიზმი – იხ. მესმერიზმი.

ძ

ძირითადი ტონი – იხ. სმენის შეგრძნება.

ძირითადი ფერები – იხ. ფერის შეგრძნების წარმოშობის პირობები.

ძუძუს ბავშვობის ხანა – იწყება „ახალდაბადებულობის" ბოლო პერიოდიდან /მეორე თვის ბოლო/ და გრძელდება მეორე წლამდე /დ. უზნაძის კლასიფიკაციის მიხედვით/. ამ პერიოდში ბ–ვი უშუალო კონტაქტში შედის გარეგამლიზიანებლის ფარეო წრესთან /სითბო, სიცივე, სინათლე, ხმა და სხვ./. **ფიზიკური განვითარება** – მიმდინარეობს ორგანიზმის გაფორმება, ინტენსიურად მატულობს თავისა და გულმკერდის გარშემოწერილობა. მიმდინარეობს ძვლების დაკირიანება, კბილების ამოსვლა, /წლის ბოლოს 8 კბილია ამოსული/. **ნერვული სისტემა** განიცდის ინტენსიურ განვითარებას, თავის ტვინი წლის ბოლოსათვის ერთი–ორად მატულობს. **მოტორიკა**: ბ–ვი ეჩვევა თავისი სხეულის გადაადგილებას, იწყებს ჯდომას და ფოფხვას. **ფსიქიკური სფერო** – თავდება არადიფერენცირებული, ფეტუსური მდგომარეობის მსგავსი არსებობა /ახალდაბადებულობის ხანა/ და იწყება გარე სამყაროს აღქმის /პერცეფციის/ და მასთან ურთიერთობის დამყარების პერიოდი. პირველი პერცეპტული აქტი „ჯვრეტა"/ იხ. ჯვრეტის ინტერესი/. ბ–ვი საგნებს აშტერდება, თვალს აყოლებს მათ მოძრაობას. მე–5 მე–6 თვეზე მას ემატება „ტაცების" აქტი – თუ ხელში იგდო რაიმე საგანი, მას უმალ პირში მიაქანებს, ხმაურსა და ბგერას უსმენს, ყურადღება და თავს ბგერისაკენ აბრუნებს. ჯვრეტა და ტაცება ბ–ვის საგნობრივ აღქმას ედება საფუძვლად ამ გზით ის ეცნობა საგნის ნიშნებს: ფერს, ფორმას, სუნს, გემოს, ტაქტილურ თვისებებს, მაგრამ საგნის რ–რც დიფერენციული ერთეულის აღქმა არ შეუძლია, ჯერ კიდევ მისი აღქმა გლობალურ–დიფუზურია, უკავშირდება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციას. **ეკსიერება** ცნობის აქტით განისაზღვრება. **მეტყველება**: ამ პერიოდისთვის ნიშანდობლივია მეტყველების წინა სტადიების გამოვლენა ტიტინის სახით. წლის ბოლოს კი ბ. იწყებს ზოგი ბგერითი კომპლექსის ხმარებას. მაგრამ სიტყვა დიფუზიური შინაარსისაა, მთლიანი სიტუაციის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხატველი, რ–შიც მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება; მაგ., სი - ტყვა „დედა“ ნიშნავს: ხელში ამიყვანე, მაჯამე, მომეცი და სხვა. ასეთი „ერთსიტყვიანი“ წინადადებები /ვ. შტერნი/, აფექტურ–ემოციურ მდგომარეობას აღნიშნავენ და ამიტომ მათ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა არა აქვთ. **სოციალური ქცევა:** პირველად თავს იჩენს სხვისი „გა - მომხატველი მოძრაობის“, გაგებაში მაგ., დედის ღიმილზე ბ–ვი ილიმება, სხვა ბ–ვის ტირილზე – ტირის, ქცევის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს მეტყველება ასრულებს, წლის მეორე ნახევრიდან და, განსაკუთრებით, წლის ბოლოს „ერთსიტყვიანი“ წინადადებით იგი სხვას აგებინებს თავის სურვილებს /ამყარებს კონტაქტს/. **წაბაძვა:** ამ პერიოდში დამახასიათებელია წამბაძველობა, რომელიც მეცხრე თვეში ქცევის დომინანტურ ფორმად იქცევა. ბ–ვი ბაძავს ად–ნს: მაგ., თავზე გაზეთს იდებს ქუდის მსგავსად, ქაღალდით ბერტყავს სკამს და სხვ. მოქმედება „ფუნქციური ტენ - დენციის“ გამოვლინებაა და ორგანიზმის გავარჯიშებას ემსახურება. **თამაში:** გარდა წაბაძვისა მეექვსე თვიდან ბ–ვი იწყებს ე. წ. „ექსპერიმენტულ თამაშს“ /სათამაშოების მტვრევა, ქაღალდის ხევა და სხვ./; **ინტელექტი:** ზემოაღნიშნული რეცეფციის აქტები /ჭვრეტა, ტაცება/ და ფუნქციათა მოქმედებები /შეგრძნება, აღქმა, მეხსიერება, ექსპერ. თამაში და სოც. ქცევა, მეტყველებითი კონტაქტების დამყარება, წაბაძვა/ – ინტელექ - ტის განვითარების წინამოსამზადებელი საფეხურია. აღნიშნულ პერიოდში ბ–ვი ახერხებს საგანთა შორის დამოკიდებულების დადგენას დამიზნის მისაღწევად საგნის იარაღად გამოყენებას /ძაფის საშუალებით საგნების მოწევა, კ. ბიულერის ცდა/.

წ

წაბაძვა – იხ. მიბაძვა.

წარმოდგენა – არის წარსულში აღქმული საგნის ან მოვლენის ხელახალი განცდა, მისი ფიზ. კორელატის აწმყოში ცნობიერებაზე ზემოქმედების გარეშე. წ–ში სუბ–ტი განიცდის საგანს /მოვლენას/ მისი ხატის სახით, „შინაგანი ხედვით“, ე. ი. საგანს იგი ახლად კი არ აღიქვამს, არამედ წინათ აღქმულის ხატს თავისი „შინაგანი ხედვის“ წინაშე აყენებს –| წარმოიდგენს მის შინაარსს. ასეთია მოგონების საფუძ - ველზე ცნობიერებაში გაჩენილი შინაარსები, სახეები /რეპრეზენტა - ტები/. წარსულის განცდა მეხსიერებაში წ–ების სახითაა შენახული. წ - ში მოცემული ხატი აღქმაში მოცემულთან მთლად იდენტური არ არის. აღქმის ცოცხალ სახესთან შედარებით წ–ის ხატი უფრო მკრთალია, აღქმის სიზუსტე და სიცხადე აკლია. წ–ის კონკრეტული შინაარსი საგნის აღქმის ზუსტი გამეორება არ არის, არამედ გარკვეული კატეგორიის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთა ზოგადი სახეა /იხ. ზოგადი წარმოდგენა/. წ. შეიძლება ან აღქმამ გამოიწვიოს, მაგ., აღვიქვამ სურათს და მიჩნდება მეგობრის წ., რ-თან ერთადაც ეს სურათი წინათ დამითვალიერებია, ან შეიძლება არსებულმა წ-ამ სხვა წ. გამოიწვიოს, ე. ი. აღმიძრას მასთან დაკავშირებულ მოვლენათა წ. და სხვ. /იხ. ასოციაცია წარმოდგენათა/.

წ. მხოლოდ იმ შინაარსისა შეიძლება, რ-იც ოდესმე ყოფილა აღქმული. არასოდეს არაღქმული საგნების წ. არ შეიძლება. მაგ., უსინათლოს /ბრმას/, რ-აც ფერი არასოდეს არ უნახავს, ფერის წ. არ შეუძლია. ზღაპრებისა და მითების არარეალური პერსონაჟები ოდესმე სხვადასხვა აღქმაში მოცემულ საგანთა ელემენტების კომბინაციებით მიღებული სახეებია, მათი გაერთიანება ჩვენი ფანტაზიის შემოქმედებაა /იხ. აგლუტინაცია, ფანტაზია/.

წ-ას თან ახლავს დარწმუნებულობა, ცოდნა, რომ წარმოდგენილი ობიექტი არ იმყოფება ამჟამად მის წინაშე, ე. ი. არ არის აღქმა. /ჰალუცინაცია კი სუბ. თავისი წარმოდგენის საგანს რეალურ არსებობას მიაწერს/. ეიდეტური ხატის წარმოდგენად მიჩნევა სადაოა /იხ. ეიდეტური ხატი/.

განასხვავებენ წ-ებს ვიზუალურს, აკუსტიკურს, კინესთეტურს, მოტორულს და სხვა. იმის მიხედვით, თუ რომელი მოდალობის წარმოდგენისადმი აქვს სუბ-ს მეტი მიდრეკილება, ამყარებენ შესატყვისი წ-ის ტიპს. ზოგი მოტორული ტიპის სუბ-ის წარმოდგენისათვის, ისე, რ-რც შესატყვისი აღქმისათვის, დამახ. წარმოდგენილი მოძრაობის შესრულებისადმი მიდრეკილება /მაგ., დამთქნარება, სიცილი და სხვა/ იხ. იდეომოტორული კანონი.

წ-ის ის უპირატესობა აღქმის წინაშე, რომ ის საგანს მიჯაჭვული არ არის, თავიდან იყო შენიშნული და ამიტომ მას ად-ნის სულიერ ცხოვრებაში, მაღალი შეფასება ეძლეოდა. ასოციაციური ფს-გია წ-თა ასოციაციას განიხილავდა, რ-რც ყოველგვარ ფს-კურ მოვლენათა დაკავშირების უზოგადეს პრინციპს; წ-თა ასოციაციური თანამიმდევრობა აზროვნების განმსაზღვრელად ითვლებოდა. წ-ს მოტივაციის /მიზნის/ ფუნქციას მიაწერდნენ, გაჩნდა მთელი სულიერი ცხოვრების წ-აზე დაფუძნების მისწრაფება, მაგ., ი. ჰერბარტი მთელ სულიერ ცხოვრებას განიხილავდა, რ-რც წ-თა მექანიკას. წ-ის ასეთ ჰიპოსტაზირებას, მთელი ფს-კური ცხოვრებისათვის მისი საყოველთაო მნიშვ-ბის მიწერას, წინ აღუდგა ვიურცბურგის სკოლა... ის ექსპერ. მონაცემების საფუძველზე ამტკიცებდა, რომ აზროვნება არამც თუ არ დაიყვანება წ-ზე, არამედ აზროვნების პროცესი ისედაც არ შეიცავს წ-ას, რომ აზროვნება თვალსაჩინო შინაარსებს მოკლებული წმინდა ცოდნაა. შემდგომმა ფს-გიურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევამ წ–ის სრული გამორიცხვა აზროვნების პროცესიდან არ გაიზიარა და თვალსაჩინო და არათვალსაჩინო შინაარსებს შორის კავშირის არსებობა აღიარა.

ფსიქოანალიზში წ. ლიბიდოზური ენერგიის რეპრეზენტატად ითვლება.

წარმოსახვა – იხ. ფანტაზია.

წვრთნა – სწავლის თავისებური სახე, რ–იც სპეციფიკურია ცხოველისათვის. გულისხმობს ისეთი რეაქციების შეძენას, რ–ებიც ავტომატურად ჩნდება გარკვეული გამღიზიანებლის საპასუხოდ. წ–ის გზით მიღებული ქცევა ინსტინქტური ქცევისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი მაინც ერთგვარ სწავლას საჭიროებს, გონიერი მოქმედებისაგან განსხვავდება იმით, რომ აზროვნების მონაწილეობას ანუ წინასწარ წარმოდგენას არ საჭიროებს. წ–ს, რ–რც მეთოდს, იყენებენ განსაკუთრებით ცხოველთა ფს–გიაში, ცხოველთა უნარის, მაგ. აღქმის, გამღიზიანებლების ერთმანეთისაგან გარჩევის და სხვა ფუნქციების კვლევის მიზნით. წ., როგორც მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოველს გარკვეული ინსტინქტური ან უპირობო რეფლექსების საფუძველზე უმუშავებენ ახალ ქცევას – პირობით რეფლექსს.

წინელ–მწვანე ფერებისადმი სიბრმავე–იხ. დალტონიზმი.

წინაპუბერტატული პერიოდი– იხ. პუბერტატული პერიოდი.

წინალოგიკური ანუ პრალოგიკური აზროვნება – იხ. მაგიური აზროვნება.

წნევის ანუ წოლვის შეგრძნება– იხ. შეხების შეგრძნება.

წონასწორობის ანუ სტატიკური შეგრძნება –ად�–ნის სხეულის სივრცეში მდებარეობის/პოზის/ დარღვევის შეგრძნება. თავისებური დიფუზიური განცდა, რ–იც თან სდევს სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის ყოველ დარღვევას /მაგ., თავბრუდასხმა ირგვლივ ტრიალის შედეგად, ზღვის ღელვის დროს გემზე/. როცა ადამიანი მოულოდნელად რაიმეს ფეხს წამოჰკრავს, სხეული კარგავს სტაბილურ ვერტიკალურ მდგომარეობას და წაბარბაცდება /შექანდება/; მაგრამ სხეული იმ წუთშივე ისწრაფვის დაიბრუნოს თავისი ჩვეული მდგომარეობა. აი, ის **შეგრძნება, რომელიც სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის დაკარგვის მომენტში ჩნდება– წონასწორობის შეგრძნების განცდაა.** ეს განცდა მეტად დიფუზური და ინტიმურია /დ. უზნაძე/. მისი დაწვრილებითი ფს–გიური დახასიათება ჯერჯერობით ჯეროვნად არცაა დადგენილი.

წ. შ–ის ინფორმაცია ცნ. ს–ში მოაქვს ყურის ვესტიბულარულ აპარატში. კერძოდ, მის კარიბჭესა და სამნახევარ რკალოვან არხში მოთავსებულ რეცეპტორებს, რის შედეგადაც ცნ. ს–ში წარმოიშობა წონას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორობის აღდგენის რეფლექსი, რ—იც იწვევს სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის აღდგენისათვის საჭირო ჩონჩხის მუსკულატურის კოორდინირებულ ტონურ შეკუმშვებს.

წყვილური ასოციაციის მეთოდი— იხ. ასოციაციური ექსპერიმენტი.

ჭ

ჭარბი ენერგიის თეორია — იხ. თამაში.

ჭვრეტის ინტერესი — ქცევის ერთ—ერთი ფორმა აღრეული ბავშვობის ასაკში /„ძუძუს ბავშვობის ხანა"/, დაბადებიდან მესამე — მეოთხე თვეს. ბ—ვის სოლიფსური მდგომარობიდან გამოსვლასთან დაკავშირებით იღვიძებს პერცეპტული ინტერესი. თავს იჩენს საგნის დაყინებით ჭვრეტა, იგი ქცევის დომინანტურ ფორმად იქცევა. ბ—ვი გამღიზიანებელს თვალს ადევნებს, ბრჭყვიალა საგნის დანახვისას ტირილს წყვეტს, საგანს აშტერდება ჭვრეტის ზეგავლენით. ბ—ვი ეჩვევა კისრისა და თვალის მოძრაობის აქტიურ გამოყენებას—უვითარდება აკომოდაცია და კონვერგენცია. ჭვრეტისგზით ბ—ვი ეჩვევა საგნისათვის დამახასიათებელი ნიშნების /ფერი, ფორმა/გამოყოფასა. 2—3 წლის ასაკში, /სკოლის წინარე ასაკის წინა პერიოდი/, ის კვლავ ქცევის დომინანტურ ფორმად რჩება, ოღონდ სხვა შინაარსით და სხვა დანიშნულებით. აქ მას საგნის „აზრის მნიშვნელობის" ცნობიერება უდევს საფუძვლად და ემსახურება ინტელექტუალური ფუნქციების გავარჯიშება—განვითარებას.

ჭკუასუსტობა— იხ. ოლიგოფრენია.

ჭრელი ფერები— იხ. ფერის შეგრძნება.

ხ

ხალხთა ფსიქოლოგია— ფს—გიის დარგი. იკვლევს ხალხთა შემოქმედების ძეგლებს /პროდუქტებს/—ენას, მითს, ხელოვნებას, უფლებას, რელიგიას, ადათ—ჩვეულებას. ხ. ფს—გიას, რ—რც მეცნიერული კვლევის საგანს, მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი; დამაარსებლად ითვლებიან მ. ლაცარუსი /1824—1903/, რ—მაც გამოსცა წიგნი „ხალხთა ფს—გიის ცნებისა და მისი შესაძლებლობების" შესახებ /1856/, და ჰ. შტაინთალი /1823—1899/, რ—თან ერთადაც ლაცარუსი სცემდა ჟურნალს: Zeitschrift f. Völkerpsychol. und Sprachwissenschaft. მათ ამით დიდი მასალა დააგროვეს და ხ. ფს—გიას შეუქმნეს კვლევის ნიადაგი. ხ. ფს—გიის კორიფე მაინც ვ. ვუნდტია, მისი მრავალტომიანი მონუმენტური ნაშრომი „ხალხთა ფსიქოლოგიის" გამოცემა დაიწყო 1900 წელს და გაგრძელდა ვუნდტის გარდაცვალებამდე /1920 წ./ ვუნდტი ხ. ფს—ს ექსპერიმენტულ ფს — გიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირისპირებდა. მისი შეხედულებით, მაღალ ფს–კურ მოვლენათა /ესთეტიკური, რელიგიური განცდების/ კვლევა ექსპერიმენტულად შეუძლებელია სამაგიეროდ, მისი აზრით, ისინი გვეძლევა ობიექტურად, ჰიპოსტაზირებულად, ხალხის /კოლექტივის/ შემოქმედების ნიმუშებში, როგორიცაა ენა, ხელოვნება, ზნე-ჩვეულებები, რელიგია, მითი, უფლება და სხვ. ამიტომ ვუნდტი იკვლევდა ხალხთა შემოქმედების ამ ძეგლებს და მათში ეძებდა მასალას ინდივიდუალური ფს–გიის პრობლემების გადასაჭრელად. ვუნდტის ხ. ფს–გიის წინააღმდეგ გაიღაშქრა ენათმეცნიერმა ჰ. პაულმა /1846–1921/. მისი შეხედულებით, ფს–კის არსებობა მხოლოდ ინდივიდუალური სახით გვეძლევა, ამიტომ ღირებულება მხოლოდ ინდივიდუალური ფორმის წარმონაქმნებს აქვთ. ზეინდივიდუალურ ორგანიზმებს და ინსტიტუტებს რეალურ–კონკრეტული არსებობა არ გააჩნიათ, ამიტომ მათში არც შეიძლება რაიმე ჩაისახოს, ან მათგან რაიმე წარმოიშვას.

ვ. ვუნდტი ხ. ფს–გიის კვლევას იწყებს ანიმისტური საფეხურიდან /იხ. ანიმიზმი/, პრიმიტიული ხალხის ცხოვრების აღწერიდან, /პრიმიტიული კულტურა, ტოტემიზმი, ტაბუ, „გმირობის" პერიოდი/. ვუნდტის შემდეგ კვლევის ეს ხაზი ერთხანს დაცულ იქნა – /ლევი ბრიული „პირველყოფილი აზროვნება", „მაგიური აზროვნების" საფეხური/.

ბოლო პერიოდში ხ. ფს–გიის პრობლემის კვლევა ხალხის კულტურული ერთეულების /დიდი ჯგუფების/ ფს–კური მონაცემების კვლევის სახით მიმდინარეობს–ეთნიკური ფს–გიის, ფიზიკური ანთროპოლოგიის, სოც. ფს–გიის ჩარჩოებში. კვლევის ცენტრში დგას კულტურის ცნება.

ხასიათი /ბერძ. charassein – გამოკვეთა, ამოკაწრა, დაკდევა/ – ზოგადი მნიშვ. მოვლენის /საგნის/ გაძოკვეთილი ნიშანი, ან ნიშანთა კომპლექსი, რ–იც თავის დაღს ასვამს მოვლენას და მის ინდივიდუალურ /თავისებურ/ სახეს ქმნის. ფს–გიაში – ად–ნის პიროვნების თავისებურების განმსაზღვრელი ნიშანი, თვისებათა ერთობლიობაა. ხ–ში აღბეჭდილია პიროვნების ის თავისებურება, რ–იც მის განსაკუთრებულობას შეადგენს და განასხვავებს მას სხვა ად–ნებისაგან. ხ. განსაზღვრავს პიროვნების დამოკიდებულებას, რ–რც თავის თავთან /თავმოყვარეობა, სიამაყე, ამპარტავნობა/, ისე–სხვა ინდივიდთან, გარემოსთან, სოციალურ ჯგუფებთან /სიყვარული, სიმპათია, მეგობრობა, თავდადება/. ხ. განსაზღვრავს ად–ნის ქცევას და, საზოგადოდ, სიცოცხლის მთელ გზას.

ხ. დიფერენციული ფს–გიის საგანია. თუმცა ხ–ის სახით დაინტერესება უძველესი დროიდან დაიწყო /არისტოტელე, თეოფრასტე/. ამ უკანასკნელს მიაწერენ სიტყვა „ხ–ის" გამოყენებას პირველად და ხ–ების პირველ აღწერას, ფს–გიური მეცნიერების კვლევის საგნად იგი მხოლოდ მე–19 –მე–20 ს–ში გახდა. ამ პერიოდში ჩაისახა და განვითარდა ხ–ის შემსწავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელი ცალკე მიმდინარეობა „ქარაქტეროლოგია“ /იხ./.

ხ. რ–რც პიროვნების თავისებურება მემკვიდრეობითაა განსაზღვრული, მაგრამ ამასთან ერთად, აღზრდა და სოც. პირობები აგრეთვე ხ–ის ფორმირების ფაქტორებს წარმოადგენენ. ერთხელ ჩამოყალიბებული ხ. შედარებით მყარია და უცვლელი. სწორედ ხ–ის ეს უცვლელობა, კონსტანტურობა ხ–ს ხდის დისპოზიციურ და კონსტიტუციურ მოვლენად. ამით აიხ – სნება ის, რომ ფს–გთა მეტი ნაწილის აზრით ხ. ნებელობის დისპოზიციას წარმოადგენს, რომ ის ნებელობის საფუძველში მოცემული ფაქტორია, რ–აც მიჰყავს ნებელობის აქტი ისე, რ–რც აზროვნება მიჰყავს მის დისპო - ზიციას – ინტელექტს, და გრძნობა მიჰყავს ტემპერამენტს. მაგრამ ყველა ფს–გი არ იზიარებს ამ აზრს. ამათი შეხედულებით, თუ ნებელობა არსებობს, რ–რც დამოუკიდებელი ფს–კური ფუნქცია, მას თავისი საკუთარი ნებელობითი დისპოზიციაც უნდა განსაზღვრავდეს /იხ. ნებელობა/.

თუმცა ხ–ის პრობლემა ფს–გიური მეცნიერების ერთ–ერთი ძირითადი საკითხთაგანია, მაგრამ თვით ცნება ხ–ის ერთი საყოველთაოდ მიღებული გაგება ჯერაც არ არის მიღწეული. ის, რაც მე–20 ს–ის ფს–გიურ კვლევაში „ემპირიული“ /კანტი/ ხასიათის შესახებ უდავოდ არის ყველას მიერ მიღებული, ეს ხ–ის მთლიანობითი ბუნების აღიარებაა; ხ. ყველგან და ყოველთვის მთლიანი და ერთიანი მოვლენაა, რ–იც ნაწილების საფუძველზე ხდება მისაწვდომი და ნაწილი – მთლიანის საფუძველზე. მაგ., აღმზრდელ მასწავლებელს, რ–იც მკაცრად ეპყრობა მოწაფეებს, ეს სიმკაცრე შეიძ - ლება ავი და ბოროტი ხასიათის გამოვლინებად ჩაეთვალოს, სანამ არ გა - ეიგებთ, რომ ის კეთილი და მაღალ–ზნეობრივი პიროვნებაა და მისი იდეალია აღზარდოს საზოგადოებრივად ღირსეული მოქალაქე. სიმკაცრეს ის იყენებს რ–რც მეთოდურ ხერხს თავისი კეთილი მიზნის მისაღწევად. ეს მთლიან–პიროვნული საფუძველი გასაგებს ხდის, რომ მის მიერ გამოვლენილი სიმკაცრე სინამდვილეში კეთილი სურვილებითაა გამოწვეული. მთლიანი პიროვნების ცოდნის გარეშე ცალკე ფუნქციების გაგება შეუძლებელია. მაგრამ თვით მთლიანის გაგებაც მასში შემავალი ნაწილების გათვალისწინების გარეშე – არ შეიძლება.

ზოგი ფს–გი ხ–ის ცნებას პიროვნების ცნებასთან ათანაბრებს და მათ სინონიმად თვლის /მაგ., კლაგესი/, ზოგის აზრით კი, ხ–ის ცნება პიროვნების ცნებასთან შედარებით, უფრო ვიწრო ცნებაა, პიროვნების ცნება შეიცავს ხ–ის ცნებას, რ–რც მთელი თავის კომპონენტს /იხ. პიროვნება/.

ხ–ის კვლევის ძირითად პრობლემას ხ–ის ტიპების დადგენა შეადგენს. მე–20 ს–ში ადამიანის ხ–ის შესწავლა და მისი ტიპოლოგიური სისტემის დადგენა ორი მიმართულებით ვითარდება: 1. სხეულის მორფოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებულების/კონსტიტუციის/ და მისი შესატყვისი ხ–ის |ტიპის დადგენის მიმართულებით: 2. პიროვნების ფენომენური | აგებულების მიმართულებით.

ცნება „კონსტიტუციის" ძირითადი იდეის მიხედვით ხ–ის თვისებათა ერთობლიობა, რ–რც პიროვნულ–სტაბილური ნიშანი და ინდივიდუალურ – სტატიკური მდგომარეობა, სრულებით გარკვეულ მიმართებაში იმყოფება სხეულის აგებულებასთან, რაც იმაში გამოიხატება, რომ სხეულის გარკვეულ აგებულებას ხ–ის გარკვეული ტიპი შეესაბამება. ამ მხრივ დადგენილ: იქნა სხეულის აგებულების არა ერთი სისტემა. მათგან ყველაზე გავრცელებულად ე. კრეჩმერისა და ვ. შელდონისა ითვლება /იხ. სხეულის აგებულების ტიპები, კონსტიტუცია/.

რაც შეეხება ხ–ის ტიპების დადგენას მთლიანი პიროვნების ფს–კურ ფენომენური აგებულების კონტექსტში, აქაც მკვლევართა და სისტემათა სიმრავლესთან გვაქვს საქმე /კლაგესი, კრიუგერი,| ლერში, ველეკი, შტერნი, იუნგი, შპრანგერი, უზნაძე/.

შპრანგერი „სიცოცხლის ფორმის" საფუძველზე გამოყოფს ადამიანთა 6 ტიპს: **თეორიულს, ეკონომიკურს, ესთეტიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს და რელიგიურს.** ვ. **შტერნის** შეხედულებით ხ–ის ჩამოყალიბებას ადამიანის ვიზანთა სისტემის მიმართულება განსაზღვრავს. თავისი თავისაკენ მიმართული მიზანთა სისტემა **აუტოტელურ** ხ–ს ედება საფუძვლად. ასეთი ხ–ის ადამიანი უფრო საკუთარი პიროვნების ინტერესებიდან გამოდის. საწინააღმდეგოა **ჰეტეროტელური** ხ., მას გარემოსკენ, სხვისკენ მიმართული მიზანთა სისტემა განსაზღვრავს. ასეთი ად–ნი მეტწილად სხვა ადამიანებზე ზრუნავს, სხვის ინტერესებს იცავს. ამ ორ უკიდურეს ტიპს აერთიანებს **ინტროცეპტული** ტიპის ადამიანი. ის ჰარმონიული პიროვნებაა, რ–იც სხვის მიზანთა სისტემას საკუთარ მიზნად აქცევს შთაგრძნობის, ინტროცეფციის საშუალებით /იხ. ინტროცეფცია/. მოქმედების დინამიკის მიხედვით აღნიშნულ ტიპებს შტერნი „**მტაცე**" და „**სუსტ**" ხ–ად ყოფს. კარლ **იუნგი** ტიპური განსხვავებულობის ადამიანთა ორ ჯგუფს გამოყოფს: ინტროვერტულს და ექსტრავერტულს /იხ./.

დ. **უზნაძის** განწყობის თეორიის მეთოდით ადამიანთა სამი ძირითადი ტიპი გამოიყო: 1. **დინამიკური** განწყობის ჰარმონიული ხ–ის ტიპი; 2. **სტატიკური** განწყობის კონფლიქტური ხ–ის ტიპი; 3. **ვარიაბილური** განწყობის იმპულსური ხ–ის ტიპი. /ვ. ნორაკიძე/.

ხატოვანი აზროვნება –იხ. თვალსაჩინო აზროვნება.

ხმაურის შეგრძნება– იხ. სმენის შეგრძნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ

ჯავური რეფლექსი — იხ. ინსტინქტი.

ჯავური ასოციაციის მეთოდი — იხ. ასოციაციური ექსპერიმენტი.

ჯეიმზ-ლანგეს თეორია ეხება ემოციის წარმომშობი ფაქტორების პრობლემას.

თითქმის ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, აღნიშნულ საკითხზე, პრინციპულად ერთნაირი თეორია წამოაყენა ორმა ავტორმა — დანიელმა ექიმმა კარლ ლანგემ /1894/ და ამერიკელმა ფს-გმა, უილიამ ჯეიმზმა 1895 /. ამიტომ თეორია ატარებს ორივე ავტორის სახელს.

ჯეიმზ-ლანგეს თეორიის ძირითადი აზრის მიხედვით, ემოცია განსაზღვრულია **პერიფერიულ ფიზიოლოგიური პროცესებით**, რ-ებიც ყოველთვის ემოციასთან ერთად გვეძლევა სხვადასხვა ვისცერალური და ვაზომოტორული ცვლილებების სახით. ესენია: სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის დარღვევა, შინაგანი ორგანოებისა და სეკრეტორული ფუნქციობის შეცვლა /თირკმელზედა ჯირკვალის აქტივირება და ადრენალინის დიდი რაოდენობით გამოყოფა/. ამ ორგანული ცვლილებების გარეგანი გამოხატულება „გამომხატველი მოძრაობის" სახით, არაერთია ცნობილი, მაგ., გულის, მაჯისცემის და სუნთქვის აჩქარება, მიმიკური და პანტომიმიკური ცვლილებები: თვალის გუგის გაფართოება, ტირილი, სიცილი, პირის სიმშრალე, კანკალი, გამოყოფითი ფუნქციების გააქტიურება და სხვ. ჯეიმზის კონცეფციით, რ-აც ლანგე პრინციპულად ეთანხმება, ემოციაში მთავარი და ძირითადი სწორედ ეს პერიფერიული ფიზიოლოგიური ცვლილებებია. ესენია ემოციის გამომწვევი მიზეზი და საფუძველი. მოსპეთ ისინი და ემოციაც მოისპობა, აღიკვეთება. ცნობილია ჯეიმზის შემდეგი პარადოქსი: „მე ვტირი არა იმიტომ, რომ ვწუხვარ, არამედ იმიტომ ვწუხვარ, რომ ვტირი", „გავრბივარ არა იმიტომ, რომ მეშინია, არამედ მეშინია იმიტომ, რომ გავრბივარ." ამ კონცეფციის თანახმად, ემოცია გამოწვეულია თანმხლები პერიფერიულ-ორგანული ცვლილებებით, და უფრო მეტიც, ემოცია თვით ამ ორგანული ცვლილებების შეგრძნებათა კომპლექსია. შემდგომმა ფიზიოლოგიურმა ექსპერიმენტებმა უარყოფ ჯეიმზ-ლანგეს ეს პერიფერიული თეორია / ჩ. შერინგტონი, უ. კენონი, ა. მარანონი და სხვები/. დ-ამტკიცდა, რომ ემოცია არ არის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებაში პერიფერიულ-ორგანულ ცვლილებებთან, მაგ., შეიძლება გამოვიწვიოთ ემოცია პერიფერიულ-ორგანული ცვლილებების შეგრძნების ნეიტრალიზაციის პირობებში; ცხოველის ზურგის ტვინის გადაჭრის შედეგად /ჩ. შერინგტონის ცდები/, ან შებრუნებით, შეიძლება გამოვიწვიოთ ემოციის შესატყვისი პერიფერიული ფიზიოლოგიური ცვლილებები და ემოცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არ გაგვიჩნდეს. /ა. მარანონის „ადრენალინის შეშხაპუნების“ ცდები/. ის დაკვირვებაც, რომ სხვადასხვა ემოციას /შიში, მწუხარება, სიხარული/ ერთნაირი ორგანული ცვლილებები სდევს თან, არ ლაპარაკობს|ჯეიმზ-ლანგეს თეორიის სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ ემოციის წარმოშობას არ განსაზღვრავს პერიფერიული ორგანული ცვლილებები, რომ იგი არ არის ორგანულ შეგრძნებათა უბრალო კომპლექსი და, რომ ემოციისთვის გადამწყვეტი მნიშვ-ბისაა მისი დამოკიდებულება მხოლოდ ცნ.|ს-თან,თავის ტვინთან. ბოლო პერიოდში ეეგ-ს /ელექტროენცეფალოგრაფიული/ დაკვირვების საფუძველზე მტკიცდება აზრი, რომ ემოციისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა თალამუსის, რეტიკულური ფორმაციის და ლიმბიური სისტემის მოქმედება.

ჯიუტობა – ქცევა, რ-იც გამოწვეულია არა გონივრული მოტივაციით და რეფლექსიით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის სურვილით. ჯიუტი სუბ. თავის პოზიციებს არ თმობს, არც| გადასინჯ-ავს მას, თავის გადაწყვეტილებას არ ცვლის, მოტივებს ანგარიშს არ უწევს, მოქმედებს აფექტის ზეგავლენით. ხანგრძლივი და სისტემურ ფორმაში გადასული ჯ. ნეგატივიზმის სახეს ღებულობს. ზრდადამთავრებულ ად-ნებში იგი უარყოფით თვისებას წარმოადგენს, ხოლო ახალგაზრდობის პერიოდში | დამახ. განვითარების გარკვეული საფეხურისათვის, ე. წ. ინიანობის ხანისათვის, რ-რც ნებელობითი ქცევა იგი სუსტი ნებელობის სიმპტომად ითვლება /იხ. ნებელობა/,-ან შეიძლება ასეც ითქვას: ჯიუტი ად-ნის ქცევა ნებელობის ქცევად არ ჩაითვლება.

ჰ

ჰაბიტუსი /ლათ. habitus – აგებულება/– მოვლენის /საგნის/ გარეგნობა, საერთო შესახედაობა, აგებულება, აღნაგობა, ხატი, /იხ. კონსტიტუცია/. ფს-გიაში: სუბ-ის ფიზიკურ-ფიზიოლოგიური და ფს-კური მომენტების ერთობლივი გარეგნული გამოსახულება, რომელსაც მიაწერენ სუბ-ის თვისებებთან, მზოობებთან კავშირში ყოფნას, შესატყვისობას. ამ აზრით, განასხვავებენ-ეპილეპტოიდურ, აპოპლექსიურ, ტუბერკულიოზურ ჰ-ს. იგულისხმება, რომ გარკვეული ჰ-ის სუბ. გარკვეული შინაგანი წყობისაკენ არის მიდრეკილი.

გადატანითი მნიშვნელობით, სიტყვა „ჰაბიტუსში“ გულისხმობენ აგრეთვე სუბ-ის ქარაქტეროლოგიურ თვისებას, საერთო სულიერ მდგომარეობას.

ჰალუცინაცია /ლათ. halluciatio /–|ყალბი აღქმა, მცდარი აღქმა. წინააღმდეგ ილუზიისა, სუბ-ის განცდაში ჩნდება აღქმის შინაარსი. გრძნობის ორგანოზე| გარე სინამდვილის ზემოქმედების გარეშე: სუბ-ს

ესმის ბგერები, ტონები, ხედავს ად-ნს, რ-იც ესაუბრება მას, ურჩევს, არწმუნებს, უბრძანებს, ხედავს სხვა საგნებსაც, ისინი მასთან რაღაც მიმართებაში იმყოფება. სინამდვილეში კი ეს საგნები არ ზემოქმედებენ მასზე, ისინი მის წინაშე მოცემულნი არ არიან; სუბ. კი დარწმუნებულია, რომ ეს საგნები ობიექტურად არსებული საგნებია და უშუალოდ ზემოქმედებენ მასზე. ჰ. შეიძლება გრძნობის ყველა ორგანოს გზით გაჩნდეს. იგი თან ახლავს სხვადასხვა სულიერ აშლილობას. ჰ. ფს-კური დაავადების ერთ-ერთ სიმპტომად ითვლება.

ჰემერალოპია /ბერძ. hemera – დღე/. სიბნელისადმი თვალის დაწეული მგრძნობელობა, ბინდის ჟამს ან ღამე ად-ნი კარგავს მხედველობის უნარს-ვერ ხედავს, დღისით კი მხედველობა არ აკლია; მედიც. უწოდებენ „ბინდის სიბრმავეს", /საუბარში-„ქათმის სიბრმავე"-ს/. გამოწვეულია ვიტამინი A-ს ნაკლებობით.

ჰერინგის ილუზია – ოპტიკურ-გეომეტრიული ილუზიის ერთ-ერთი სახე. დაადგინა ე. ჰერინგმა. 1834-1918/. სხვადასხვა მიმართულებით დახრილ ხაზთა ვარსკვლავისებურ ფიგურაში ჩასმული პარალელური ხაზები გამრუდებულად გვეჩვენება /ნახ. №18./



ნახ. 18

ჰიპერალგეზია /ბერძ. algos- ტკივილი/ – ტკივილისადმი გაძლიერებული მგრძნობელობა.

ჰიპერგეზია /ბერძ./- გემოს შეგრძნების გაძლიერება.

ჰიპერესთეზია /ბერძ. hyper-ზედმეტი, აწეული, გადამეტებული, aisthésis- მგრძნობელობა/- აწეული მგრძნობელობა, გაღიზიანების მიმართ გადაჭარბებული აგზნებადობა. ვლინდება ნ. ს. დაავადების შემთხვევაში. /სიწინ. ჰიპოესთეზია/.

ჰიპერმნეზია /ბერძ. hyper-ზე, ზედმეტი, mnësis – გახსენება/, მოგონება/-გაძლიერებული მეხსიერება, მეხსიერების ერთბაშადი ინტენსიური ფუნქციობა. ჰ. ორი სახისაა: ზოგადი და ნაწილობრივი. I. ზოგადი ჰ. ად-ნის მეხსიერებაში აღდგება, და, რაღაც უმოკლეს დროში, მის თვალწინ გაივლის მისი სიცოცხლის მთელი ისტორია. ად-ნის წინაშე თითქოს პანორამულად გადაიშლება მთელი წარსული და ელვის სისწრაფით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაივლის. ასე ხდება როცა სიცოცხლე დიდი ხიფათის ან სიკვდილის წინაშე დგება. ამას ერთხმად ადასტურებენ წყალში დახრჩობას გადარჩენილნი. ფს–ლოგ ფრებესს მოჰყავს შემდეგი შემთხვევა: ერთი კაცი მატარებლის რელსების შუა ჩავარდა. მას მატარებელმა გადაუარა. სანამ მატარებელი გადარბოდა, ამ კაცის მეხსიერებაში გაიარა მისი სიცოცხლის მთელმა შინაარსმა, თითქოს „მის წინაშე მისი სიცოცხლის წიგნი ყრფილიყოს გადაშლილი". 2. ნაწილობრივი /პარციალური/ ჰ. – მეხსიერებაში წამოიჭრება რომელიმე სავსებით მივიწყებული განცდის შინაარსი: მაგ., ცნობილია, რომ, ად–ნებს, რ–თაც თავის მშობლიურ ენაზე არ ულაპარაკიათ 50–60 წელს და ის უკვე აღარც ახსოვთ, ავადმყოფობის დროს ან სიკვდილის წინ იხსენებდნენ მას და იწყებდნენ მასზე ლაპარაკს. 3. არიან ისეთი ადამიანებიც, რ–თაც ფენომენალური მეხსიერება აქვთ. მაგ., შეუძლიათ დაიმახსოვრონ და აღიდგინონ ერთხელ წაკითხული ციფრების დიდი რაოდენობა, შეუძლიათ ზეპირად დიდი რიცხვების მიმატება–გამოკლება ან გამრავლება/მაგ., ინდი, დიამნდი, რიუკლე და სხვ./ ეს მოვლენები პათოლოგიად არ ითვლება.

ჰიპერფიქსაციის კანონი – იხ. დასწავლის კანონები.

ჰიპნოზი /ბერძ. Hypnos – ძილის ღმერთი, სიკვდილის ღმერთის თანატოსის ძმა /– ხელოვნურად გამოწვეული ფს–კური მდგომარეობა, რ–იც გარეგნულად ნამდვილ ძილს წაგავს, დაკავშირებულია ყოველთვის ცნობიერების შევიწროებასთან, წარმოიქმნება და ქრება შთაგონებით. ჰ–ის მდგომარეობაში ჰიპნოზიორსა და ჰიპნოზირებულს შორის მყარდება კავშირი, რ–აც **რაპორტი** ეწოდება. სხვა, გარეშე პირთან ჰიპნოზიორისა არავითარი კავშირი არა აქვს, ესმის, გაიგება მხოლოდ ჰიპნოზიორისა და მის მითითებებს ასრულებს რ–რც ბრძანებას. ჰიპნოზიორი აძინებს პაციენტს და მასვე გამოჰყავს იგი ჰ–ის მდგომარეობიდან, ჰიპნოზებულს შთაბეჭდილებების გადამუშავების უნარი დაკარგული აქვს, ფენომენალური მოძრაობები ბლოკირებულია.

განასხვავებენ ჰიპნოზის სამ საფეხურს–სომნალენცს, ჰიპოტაქსიას და სომნამბულიზმს. დაყოფის პრინციპად ძილის ხარისხია აღებული. 1. **სომნალენცი:** ჰ–ური მდგომარეობის პირველი სტადიაა, იგი არც ფხიზელ მდგომარეობად ითვლება და არც ძილის მდგომარეობად. ახას. შევიწროებული, ოდნავ დაბინდული, არანათელი ცნობიერება, მიდრეკილება ძილისადმი. 2. **ჰიპოტაქსია:** მოძრაობები დაქვეითებულია, აქტიური მოძრაობის უნარი პარალიზებული, სხეულის მიერ ერთხელ მიღებული მდგომარეობა უცვლელი რჩება /იხ. კატალეფსია/. ცნობიერება იმდენად შევიწროებულია, რომ მისი შინაარსი მხოლოდ ერთი წარმოდგენით განისაზღვრება. 3. **სომნამბულიზმი** – ღრმა ძილის მდგომარეობაა. ახას ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშვიდი სუნთქვა, ძლიერ აწეული სუგესტიეობა, იღებს პოსტჰიპნოზურ მდგომარეობაში შესასრულებელ დავალებებს, მოძრაობები გაცხოველებული, ძალიან მიზანშეწონილია. სომნამბულს შეუძლია მაღალ ხეზე ან სახლის სახურავზე ასვლა და, საერთოდ, ისეთი რთული მოძრაობების შესრულება, რ–ებიც ფხიზელ ადამიანსაც კი უჭირს. ცნობიერება სრულებით დაბინდულია. ყველა ამ სამ საფეხურზე| ჰიპნოზებულის კავშირი /რაპორტი/ | ჰიპნოზიორთან შენარჩუნებულია, ჰ–დან გამოსვლის შემდეგ პაციენტი ასრულებს ჰ–ურ მდგომარეობაში | ჰიპნოზიორის მიერ შთაგონებულ ბრძანებას /პოსტჰიპნოზური შთაგონება/, გარდა ისეთი დავალებისა, რ–იც ეწინააღმდეგება პაციენტის ზნეობრივ პრინციპებს /ბოროტმოქმედების ჩადენა/. თვითონ ჰიპნოზირებულს ჰ–ს მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ არაფერი ახსოვს, ისიც არ ახსოვს, რაც |ჰიპნოზიორმა შთაგონა დავალების სახით /პოსტჰიპნოზური ამნეზია/. ჰ–ში მიღებული დავალებები, რ–ებიც პაციენტმა გაღვიძების შემდეგ უნდა შეასრულოს, სრულდება ისე, რომ მან არ იცის, რატომ იქცევა ასე, შთაგონებული მოქმედების ცნობიერი მოტივაცია არ გააჩნია. მედიც–ში ჰ–ს იყენებენ მკურნალობის ერთ–ერთ საშუალებად, რ–რც ფსიქოთერაპიულ მეთოდს მსუბუქი ნერვული დარღვევის შემთხვევაში /ისტერია, ტიკი და სხვა/. აგრეთვე, იყენებენ, რ–რც ანესთეზიის საშუალებას ქირურგიული ოპერაციების ან მშობიარობის დროს.

ად–ნთა მეტი ნაწილი ექვემდებარება ჰ–ს, განსაკუთრებით ქალები, ისტერიულები, არაკრიტიკულად განწყობილნი და აწეული შთაგონების პირნი. ჰიპნოზური ძილის მზაობა მაღალია იმათში, ვინც ერთხელ მაინც განიცადა ჰ. ცნობილია აგრეთვე ცხოველთა ჰ: – ფრინველები, მწერები, თევზები, გველები, პატარა და დიდი ძუძუმწოვარი ცხოველები ემორჩილებიან ჰ–ზურ ზეგავლენას. ცხოველის ჰ| გამოიხატება ძილით და|აკინეზიით–ცხოველი ხუჯავს თვალებს და კარგავს მოძრაობის|უნარს.

ჰიპოალგეზია /ბერძ. algos – ტკივილი/ – ტკივილის შესუსტებული მგრძნობელობა.

ჰიპოგეზია /ბერძ./– გემოს შეგრძნების შესუსტება.

ჰიპოესთეზია /ბერძ. hypo – დაწეული, aisthésis – მგრძნობელობა/– დაწეული მგრძნობელობა, გაღიზიანებისადმი საშუალოზე დაბალი აგზნებადობა.

ჰიპომანია /ბერძ. hypo–დაწეული, mania–ვნება, გაშმაგება/ – შერბილებული სახით გამოხატული მანიაკური მდგომარეობა, მისი ქვედა საფეხური. ჰ–კი მხიარული, ცხოვრებაში ჩაფლული, საქმის წამომწყები და გატაცებით მისი შემსრულებელი ად–ნია. მისი ქცევა ნორმალურ ჩარჩოებში რჩება. კრეჩმერის კლასიფიკაციით, ციკლოთიმიკური ტიპის ერთ–ერთი პოლუსი /იხ. დიათეზური პროპორცია/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიპომნეზია — მეხსიერების ისეთი დაქვეითება, როდესაც იგი დაავადების სახეს იღებს და პათოლოგიაში გადადის /იხ. ამნეზია/.

ჰიპსოფობია /ბერძ. hypsos— სიმაღლე/ სიმაღლის შიში.

ჰომეოსტაზი /ბერძ. homoios— მსგავსი, იგივე, stasis-უმოძრაობა, მდგომარეობა/ — სამედიც. ტერმინი, აღნიშნავს ორგანიზმის—ადამიანისა და ცხოველის ერთ—ერთ ძირითად სასიცოცხლო თვისებას. რ—ლის მიხედვით ყოველი ორგანიზმი ისწრაფვის დაძლიოს შინაგანი თუ გარეგანი გაღიზიანების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული სომატური დარღვევები და ძვრები და დაიბრუნოს თავდაპირველი რეზისტენტურ—ადაპტირებული წონასწორობის მდგომარეობა. ორგანიზმი ამას აღწევს მასშივე ჩადებული მარეგულირებელი მექანიზმის მოქმედებით.

ცოცხალი ორგანიზმი მტკიცედ კოორდინირებული, მთლიან—დინამიკური სისტემაა. მასში მიმდინარე მრავალნაირი სპეციალიზებული პროცესით შექმნილი საერთო „ფიზიოლოგიური ბალანსი" შედარებით მუდმივი, მდგრადი კონსტანტური მდგომარეობაა. ეს კონსტანტურობა ერთნაირად ახასიათებს, რ—რც ორგანიზმის შინაგან სუბსტრატს /სისხლი, ლიმფა და სხვ./, მათ მდგომარეობასა და ურთიერთმიმართებას, ისე ორგანიზმში მიმდინარე ყველა ფიზიოლ. პროცესს, /სისხლის მიმოქცევა, სუნთქვა, თერმორეგულაცია, ნივთიერებათა ცვლა და სხვა/. მაგ., თბილსისხლიან ორგანიზმში შინაგანი ტემპერატურის რხევადობა, გარემოში ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების მიუხედავად დაახლოებით ერთ დონეზე დგას. ტემპერატურის ამ კონსტანტობას მასშივე ჩადებული მექანიზმი არეგულირებს უკუმოქმედების პრინციპის შესაბამისად.

ად—ნის ქცევაში ადასტურებენ ჰ—ს ხხვადასხვა დონეს; ასეთად ითვლება მაგ., 1. რეფლექსი და ინსტინქტური მოქმედება, 2. ჩვევა, შეგუება და სწავლა, 3. ნებისმიერი მოქმედება. მოქმედების აღნიშნული დონეები აგრეთვე ჩართულია დარღვეული სასიცოცხლო პირობების აღდგენა—მოწესრიგებაში.

ორგანიზმის ეს თვისება—კონსტანტურობა, მდგრადობა არსებობის სასიცოცხლო ბიოლოგიური პირობაა. რ—რც კი ეს პირობა დაირღვევა, მაშინვე ორგანიზმის დაცვითი მექანიზმები იწყებენ მოქმედებას, რ—ებიც იმ მიზნისკენაა მიმართული, რომ დაუბრუნდეს ორგანიზმს მისი ჩვეულებრივი ნორმალური მდგომარეობის ოპტიმალური დონე. ორგანიზმის ამ სასიცოცხლო მოქმედებას ამერიკ. ფიზიოლოგმ უ. კენონმა, „ჰომეოსტაზი" უწოდა და /1929/ მის მარეგულირებელ მექანიზმს—ჰომეოსტატიკური მექანიზმი. არსებითად ამასვე ნიშნავს, ჯერ კიდევ, 1878 წელს კ. ბერნარის მიერ გამოთქმული აზრი, რომ ყოველი სასიცოცხლო პროცესის მიზანია ჩვენი შინაგანი გარემო პირობების მ უ დ მ ი ვ ო ბ ი ს დ ა ც ვ ა. ამასვე ამბობდა სხვა ბევრი მკვლევარი, მათ შორის, ი. სეჩენოვი, ი. პავლოვი.